სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
LEPL GORI STATE TEACHING UNIVERSITY

სამეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი II, №2

Volume II, No 2

2021

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2018 წლის 16-17 ნოემბერს ჩატარებულ მეთერთმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „განათლება და მეცნიერება XXI საუკუნეში: რეალობა, გამოწვევები, პერსპექტივები“ სექციებზე - „მათემატიკა და ინფორმატიკა“, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“, „ბიზნესი და ეკონომიკა“, „სოციალური მეცნიერებები და სამართალი“ წარმოდგენილი ნაშრომები, რომლებმაც გაიარეს რეცენზირება.

In the current issue of LEPL – Gori State Teaching University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the works, that were presented at the sections – “Mathematics and Informatics”, “Natural Sciences”, “Business and Economics”, “Social Sciences and Law” at the XIth International Scientific Conference – “ Education and Science in The XXI Century: Reality, Challenges, Perspectives”, held by Gori State Teaching University on November 16-17, 2018. All the works have been reviewed.

სარედაქციო კოლეგია:

- **გიორგი სოსიაშვილი** - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- **ვიანორ ახალაია** (საქართველო);
- **გიზო გოგიჩაიშვილი** (საქართველო);
- **გიორგი გოგიჩაძე** (საქართველო);
- **იან მალიცკი** (პოლონეთი);
- **თეიმურაზ მთიბელაშვილი** (საქართველო);
- **დიმიტრი ნადირაშვილი** (საქართველო);
- **იურგიტა რაუდელიუნიენე** (ლიტვა);
- **ზვიად როგავა** (საქართველო);
- **მანანა რუსიეშვილი** (საქართველო);
- **სოსო სიგუა** (საქართველო);
- **იანის სტრადინში** (ლატვია);
- **ომარ ფურთუხია** (საქართველო);
- **ჰარუნ ჩიმქე** (თურქეთი);
- **ჯემალ ძაგანია** (საქართველო);
- **ქეთევან ჭკუასელი** (საქართველო);
- **მიხეილ ჯიბუტი** (საქართველო).

ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

EDITORIAL BOARD:

- **Giorgi Sosiashvili** - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- **Vianor Akhalaia** (Georgia);
- **Gizo Gogichaishvili** (Georgia);
- **Giorgi Gogichadze** (Georgia);
- **Jan Malicki** (Poland);
- **Teimuraz Mtibelashvili** (Georgia);
- **Dimitri Nadirashvili** (Georgia);
- **Jurgita Raudeliuniene** (Lithuania);
- **Zviad Rogava** (Georgia);
- **Manana Rusieshvili** (Georgia);
- **Soso Sigua** (Georgia);
- **Janis Stradinsh** (Latvia);
- **Omar Purtukhia** (Georgia);
- **Harun Chimke** (Turkey);
- **Jemal Dzagania** (Georgia);
- **Ketevan Chkuaseli** (Georgia);
- **Mikheil Jibuti** (Georgia).

TECHNICAL EDITOR:
Giorgi Kazishvili, Gori State Teaching University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author`s or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

ISSN 2587-4683

შ ი ნ ა ა რ ს ი

მათემატიკა და ინფორმატიკა

ინგა აბულაძე, ვლადიმერ წვერავა – *საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის მართვის მოდელები* – 7
ლაურა ელიაური, ლელა ალექსიძე – *წრფივი ძალდებული კრიტერიუმები ჰიპოთეზათა შემოწმებისათვის* (რუსულ ენაზე) – 11
ზურაბ ზერაკიძე, სოსო ცოტნიაშვილი – *ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმები* (რუსულ ენაზე) – 13
ზურაბ ზერაკიძე, თამარ ჭყონია – *სტატისტიკური სტრუქტურების პარამეტრების ძალდებული შეფასება და ძალდებული კრიტერიუმი* – 15
თამარ ნასყიდაშვილი – *მონაცემთა დამუშავების ანალიზი და მათი მხარდამჭერი სისტემები* – 17
თეიმურაზ ორმოცაძე – *კვადრატული სამწევრის გრაფიკულ ენაზე წარმოდგენის შესახებ* – 21

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ნანა გელოვანი, ირმა გოდერძიშვილი – *მცენარეული ანტრაცენწარმოებულების აღმოჩენა და გამოცალკევება მცენარეული ნედლეულიდან* – 26
ნელი გოგინაშვილი, ესმა წკრიალაშვილი – *ზოგიერთი ვიტამინის შემცველობა მცენარეულ საკვებ პროდუქტებში (შიდა ქართლის პირობებში)* – 30
ალექსანდრე იაშვილი, მამია ტუღუში, ნელი პაპუკაშვილი – *მოსწავლე გოგონების ფიზიკური მომზადების პრობლემური საკითხები* – 34
ნინო კიკნაძე, ნარგიზ მეგრელიძე, ლელა ებრალიძე, ქეთინო თელია – *ბოსტნეულის და მათი გადამუშავების პროდუქტის ხარისხის შეფასება მათი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების განსაზღვრის საფუძველზე* – 40
რობერტ მაღლაკელიძე – *ლანდშაფტების ესთეტიკური აღქმა, ლანდშაფტების დიზაინი და კულტურული ლანდშაფტების ესთეტიკური მოწყობის ზოგიერთი საკითხი* – 48
პავლე მიდოდაშვილი, ლევან მიდოდაშვილი – *ახალი კოსმოლოგიური მემბრანული სამყაროს ამონახსნი 6 განზომილებიან სივრცე-დროში* (ინგლისურ ენაზე) – 51
გიორგი მძინარაშვილი, ლალი აზმაიფარაშვილი – *თავისუფალ ჭიდაობაში ტექნიკური მომზადების სრულყოფა* – 54
მამია ტუღუში, ნელი პაპუკაშვილი – *გარდამავალ ასაკში სისწრაფის, როგორც ფიზიკური თვისების განვითარების საკითხისათვის* – 56
მარიამი უბირია – *ტროპანის რიგის ალკალოიდები* (რუსულ ენაზე) – 61
ქეთევან ქობალია – *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნების მოდელი* – 66

ბიზნესი და ეკონომიკა

მაია აზმაიფარაშვილი – *საქართველოს დაცული ტერიტორიების ტურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობა და მდგრადი დესტინაციის თავისებურებანი* – 70
თეა ანესაშვილი – *საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები საქართველოს სოფლის მეურნეობაში* – 76
ეკატერინე აფხაიძე – *ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები საქართველოში* – 82
ლია ბიბილაშვილი – *საქართველოს ენერგეტიკა: მდგომარეობა და პერსპექტივები* – 85
გიული გიგუაშვილი, თამარ მაკასარაშვილი – *ინოვაციების ინფრასტრუქტურის ფორმირების თავისებურებები საქართველოში* – 90
მანია გოგიძე – *ეკონომიკური თავისუფლების პრობლემები საქართველოში* – 97
მერაბ ვანიშვილი, ნინო ვანიშვილი – *ფისკალური დეცენტრალიზაციის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოს თვითმმართველ ქალაქებში* – 103
ნინო ლიპარტელიანი – *ლურჯი ოკეანეები ქართულ ბიზნესში* – 112

ლეილა მამულაშვილი – *რისკების მართვა ბიზნესში და საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი* – 119
თამარ ნადირაძე, ნათია ილურიძე – *უცხოური ინვესტიციები და მათი სამართლებრივი რეგულირება* – 124
ნანა ნადირაძე – *საგარეო სავაჭრო პოლიტიკა საქართველოს უახლოეს მეზობელ სახელმწიფოებთან* – 129
ნინო ორჯონიკიძე, მანანა ჯაფიაშვილი – *კონკურენციული პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში* – 136
ნათია ჟოჟუაშვილი – *ეკონომიკის ციფროვიზაციის პლატფორმა და მისი როლი თანამედროვე მსოფლიოში* – 143
მაკა სოსანიძე, ნანული ქოქაშვილი, ლალი ოსაძე – *საქართველოს და თურქეთის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები* – 149
ლალი სრესელი – *შრომის ბაზრის რეგიონული თავისებურებების გავლენა დასაქმების ხარისხზე* – 153
გიორგი ყაზიშვილი – *საცალო სავაჭრო საწარმოთა მომსახურების ფორმები და თანამედროვე ფორმატები* – 159
კარლო ცერცვაძე, დავით ბიძინაშვილი – *მიგრაციის პროცესი. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები* – 166
დავით ჭიოტაშვილი, ხალიანა ჩიტაძე – *მასობრივი ტურიზმის და ეკონომიკური განვითარების პროექტების გავლენა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე - წარმატებული ფინანსური რეზულტატი, თუ პრობლემა* – 174
თეა ხორგუაშვილი, ნათია ხორგუაშვილი, თამარ მაკასარაშვილი, ლია ნადირაძე – *მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მნიშვნელოვანი ინსტუმენტები ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის* – 184

სოციალური მეცნიერებები და სამართალი

ნუგზარ აბრამიშვილი – *კეთილისა და ბოროტის ცნობადობის ხის მეტაფორის საზრისისათვის* – 191
ივანე ბალახაშვილი – *ელექტრონული ხელშეკრულების დადება* – 196
გიორგი ბაღათურია, ლევან წიქარიძე – *გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების ეფექტიანობის ასპექტები საჯარო სამსახურში გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე* – 204
მანანა გაგოშიძე, ნატალია ბიწაძე – *მაქს ვებერი და რელიგიური ფაქტორი* – 209
დავით გეფერიძე – *„უდისციპლინო მგზავრების“ აქტუალური პრობლემის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ასპექტები* – 212
ნოდარ დარსანია – *პოლიტიკა როგორც პრაგმატული აზროვნება* – 218
მაკა დოლიძე – *ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები* – 222
კლარა ელჩიბეგაშვილი – *მცირედი სჯა ზურაბ კაკაბაძის წიგნზე „ფილოსოფია და ცხოვრება“* – 225
თინათინ ზაქარაშვილი – *დეზინფორმაციის კომუნიკაციური რისკ ფაქტორები* – 228
ანა იმნაძე – *კულტურათაშორისი კომუნიკაციის მთავარი კომპონენტები* – 234
ბესიკ კაიშაური, ნინო შავდათუაშვილი – *თვითმენეჯმენტი საჯარო მართვაში* – 237
ნარგიზა კანკია – *საგამოძიებო სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის თავისებურებანი* – 242
სალომე კაპანაძე – *პოლიტიკური კომუნიკაციის მორალურ-ეთიკური ასპექტები საქართველოში* – 246
ნესტან ლომაია – *ფემინიზმისა და გენდერის პარალელები* – 251
მალხაზ ლომსაძე – *პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი ძარცვისათვის* – 255
ნესტან მამუჭაძე, იოსებ სანიკიძე – *რეგიონული მედიის ზოგიერთი ასპექტის მიმოხილვა (აჭარის მაგალითი, 2013-2015 წწ)* – 261
ნიკოლოზ მიდოდაშვილი – *საქართველოს სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობის ეფექტიანობის ზოგიერთი აქტუალური საკითხი* – 265
მაკა სალხინაშვილი – *რამდენიმე მოსაზრება ადმინისტრაციულ ორგანოებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვისას არსებული პრობლემების შესახებ* – 267
მარიკა შერაზადიშვილი – *მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენა და პოლიტიკა* – 272
სოფო ჩქოფოია – *მენეჯმენტი: მართვის მეცნიერება და ხელოვნება* – 275
ნანული (ნანა) ცხვედაძე, ბექა ტოლიაშვილი – *სამხედრო განათლების განსხვავებულ სისტემაში მომზადებულ ოფიცერთა სოციალური კომპეტენციის განმსაზღვრელი პიროვნული დისპოზიციები* – 279

C O N T E N T S

Mathematics and Informatics

Inga Abuladze, Vladimer Tsverava – *MODELS OF MANAGEMENT ORGANIZATION OF TRAFFIC ROAD ON THE BASIS OF INFORMATION TECHNOLOGIES* – 7
Laura Eliauri, Lela Aleksidze – *LINEAR CONSISTENT CRITERIA FOR TESTING HYPOTHESES* (in Russian) – 11
Zurab Zerakidze, Soso Tsotniashvili – *THE CONSISTENT CRITERIA FOR TESTING HYPOTHESES* (in Russian) – 13
Zurab Zerakidze, Tamar Chkonia – *CONSISTENT CRITERIA AND CONSISTENT ESTIMATORS FOR STATISTICAL STRUCTURES* – 15
Tamar Naskidashvili – *DATA PROCESSING ANALYSIS AND THEIR SUPPORT SYSTEMS* – 17
Teimuraz Ormotsadze – *ABOUT THE PRESENTATION OF A QUADRATIC TRINOMIAL IN GRAPHICAL LANGUAGE* – 21

Natural Sciences

Nana Gelovani, Irma Goderdzishvili – *DISCOVERY AND SEPARATION OF HERBAL ANTHRACENE DERIVATIVES FROM VEGETABLE RAW MATERIALS* – 26
Neli Goginashvili, Esma Tskrialashvili – *THE COMPOSITION OF SOME VITAMINS IN PLANT PRODUCTS (SHIDA KARTLI ENVIRONMENT)* – 30
Aleksandre Iashvili, Mamia Tughushi, Neli Papukashvili – *PROBLEMATIC ISSUES OF PHYSICAL TRAINING OF SCHOOLGIRLS* – 34
Nino Kiknadze, Nargiz Megrelidze, Lela Ebralidze, Ketino Telia – *EVALUATION OF QUALITY OF VEGETABLES AND PRODUCT RECEIVED FROM VEGETABLES BASED ON DETERMINATION OF THEIR ORGANOLEPTIC PARAMETERS* – 40
Robert Maghlakelidze – *AESTHETIC PERCEPTION OF LANDSCAPES, LANDSCAPE DESIGN AND SOME ISSUES OF AESTHETIC ARRANGEMENT OF CULTURAL LANDSCAPES* – 48
Pavle Midodashvili, Levan Midodashvili – *NEW COSMOLOGICAL BRANEWORLD SOLUTION IN 6D SPACETIME* – 51
Giorgi Mdzinarashvili, Lali Azmaiparashvili – *IMPROVEMENT OF TECHNICAL TRAINING IN FREESTYLE WRESTLING* (in English) – 54
Mamia Tughushi, Neli Papukashvili – *FOR THE ISSUE OF DEVELOPMENT OF SPEED AS A PHYSICAL FEATURE IN TRANSITIONAL AGE* – 56
Mariami Ubiria – *ALKALOIDS OF THE TROPANE SERIES* (in Russian) – 61
Ketevan Kobalia – *MODEL OF PERSONALITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT TEACHER* – 66

Business and Economics

Maia Azmaiparashvili – *TOURIST - RECREATIONAL IMPORTANCE OF GEORGIAN PROTECTED AREAS AND PECULIARITIES OF SUSTAINABLE DESTINATION* – 70
Tea Anesashvili – *PROJECTS IMPLEMENTED BY INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN AGRICULTURE OF GEORGIA* – 76
Ekaterine Apkhaidze – *YOUNG PEOPLE EMPLOYMENT PROBLEMS IN GEORGIA* – 82
Lia Bibilashvili – *GEORGIAN ENERGY: CONDITIONS AND PROSPECTS* – 85
Giuli Giguashvili, Tamar Makasarashvili – *PECULIARITIES OF INNOVATION INFRASTRUCTURE FORMATION IN GEORGIA* – 90
Mania Gogidze – *PROBLEMS OF ECONOMIC FREEDOM IN GEORGIA* – 97
Merab Vanishvili, Nino Vanishvili – *FISCAL DECENTRALIZATION CHALLENGES AND PERSPECTIVES IN THE SELF-GOVERNING CITIES OF GEORGIA* – 103
Nino Liparteliani – *BLUE OCEANS IN GEORGIAN BUSINESS* – 112
Leila Mamulashvili – *BOARD OF RISK IN BUSINESS AND PUBLIC RELATIONS* – 119
Tamar Nadiradze, Natia Iluridze – *FOREIGN INVESTMENTS AND THEIR LEGAL REGULATION* – 124
Nana Nadiradze – *FOREIGN TRADE POLICY WITH GEORGIA'S NEAREST NEIGHBORING COUNTRIES* – 129
Nino Orjonikidze, Manana Japiashvili – *COMPETITIVE POLICY AND ANTIMONOPOLY REGULATION IN GEORGIA* – 136
Natia Zhozhuashvili – *DIGITALIZATION PLATFORM OF THE ECONOMY AND ITS ROLE IN THE MODERN WORLD* – 143

Maka Sosanidze, Nanuli Kokashvili, Lali Osadze – *THE MAIN DIRECTIONS OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA AND TURKEY* – 149
Lali Sreseli – *THE IMPACT OF LABOR MARKET REGIONAL PECULIARITIES ON THE QUALITY OF EMPLOYMENT* – 153
Giorgi Kazishvili – *SERVICE FORMS AND MODERN FORMATS OF RETAIL TRADE ENTERPRISES* – 159
Karlo Tsertsvadze, Davit Bidzinashvili – *MIGRATION PROCESS. SOCIO-ECONOMIC PROBLEMS* – 166
Davit Tchiotashvili, **Khaliana Chitadze –** *IMPACT OF MASS TOURISM AND ECONOMIC DEVELOPMENT PROJECTS IN GEORGIA'S PROTRCTED AREAS - A SUCCESSFUL ECONOMIC AND FINANCIAL RESULT OR A PROBLEM* – 174
Tea Khorguashvili, Natia Khorguashvili, Tamar Makasarashvili, Lia Nadiradze – *IMPORTANT INSTRUMENTS OF MONETARY POLICY TRANSFER FOR EFFECTIVE FUNCTIONING OF THE ECONOMY OF COUNTRY* – 184

Social Sciences and Law

Nugzar Abramishvili – *FOR THE NOTION OF METAPHOR OF THE TREE OF THE KNOWLEDGE OF GOOD AND EVIL* – 191
Ivane Balakhashvili – *CONCLUDE ELECTRONIC CONTRACT* – 196
Giorgi Baghaturia, Levan Tsikaridze – *ASPECTS OF THE EFFECTIVENESS OF DECISION-MAKING MECHANISMS IN THE PUBLIC SERVICE ON THE EXAMPLE OF THE MUNICIPALITY OF GORI* – 204
Manana Gagoshidze, Natalia Bitsadze – *MAX WEBER AND RELIGIOUS FACTOR* – 209
David Geperidze – *INTERNATIONAL LEGAL REGULATION ASPECTS OF THE ACTUAL PROBLEM OF "UNDISCIPLINED TRAVELERS"* – 212
Nodar Darsania – *POLITICS AS PRAGMATICAL THINKING* – 218
Maka Dolidze – *INFORMATION SHARING MECHANISMS* – 222
Klara Elchibegashvili – *A LITTLE BIT ABOUT ZURAB KAKABADZE'S BOOK "PHILOSOPHY AND LIFE"* – 225
Tinatin Zakarashvili – *COMMUNICATION RISK-FACTORS OF MISINFORMATION* – 228
Ana Imnadze – *MAIN COMPONENTS OF INTERCULTURAL COMMUNICATION* – 234
Besik Kaishauri, Nino Shavdatuashvili – *SELF-MANAGEMENT IN PUBLIC MANAGEMENT* – 237
Nargiza Kankia – *PECULIARITIES OF INVESTIGATORY TV DOCUMENTARY FILM* – 242
Salome Kapanadze – *MORAL AND ETHICAL ASPECTS OF POLITICAL COMMUNICATION IN GEORGIA* – 246
Nestan Lomaia – *FEMINISM AND GENDER PARALLELS* – 251
Malkhaz Lomsadze – *LIABILITY FOR UNCOMPLETED PILLAGES* – 255
Nestan Mamuchadze, Ioseb Sanikidze – *OVERVIEW OF SOME ASPECTS OF REGIONAL MEDIA (EXAMPLE OF ADJARA, 2013-2015)* – 261
Nikoloz Midodashvili – *SOME TOPICAL ISSUES OF EFFICIENCY OF GOVERNANCE OF A HIGHER EDUCATION INSTITUTION* – 265
Maka Salkhinashvili – *SOME IDEAS ON THE EXISTING PROBLEMS WHEN DISCUSSING ADMINISTRATIVE LAW VIOLATIONS IN ADMINISTRATIVE AGENCIES* – 267
Marika Sherazadishvili – *LANGUAGE OF MASS MEDIA AND POLITICS* – 272
Sopo Chkopoia – *MANAGEMENT: SCIENCE AND ART OF MANAGEMENT* – 275
Nanuli (Nana) Tskhvedadze, Beka Toliashvili – *PERSONAL DISPOSITIONS THAT DEFINE THE SOCIAL COMPETENCE OF THE OFFICERS WHO ARE TRAINED IN A DIFFERENT SYSTEM OF MILITARY EDUCATION* – 279

ინგა აბულაძე, ვლადიმერ წვერავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის მართვის მოდელები

საკვანძო სიტყვები: საინფორმაციო ტექნოლოგიები, მაკროქსელების მოდელები, საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია, პეტრის ქსელი.

1. შესავალი

21-ე საუკუნეში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საინჟინრო სფეროში, მათ შორისაა სატრანსპორტო მიმართულება. დღესდღეობით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში შეიმჩნევა საავტომობილო პარკის სწრაფი ზრდა. ამასთან ერთად, სატრანსპორტო საშუალებების ძირითადი ნაწილის თავმოყრა ხდება ქალაქებში, რაც იწვევს საგზაო ქსელის გადატვირთვას. ეს განაპირობებს მოძრაობის სიჩქარის შემცირებას, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ზრდას და გარემოს დაბინძურებას. ასეთი სახის პრობლემებს განსაკუთრებით ადგილი აქვს საგზაო კვანძების შემთხვევებში. ისინი წარმოადგენენ საგზაო ქსელის ყველაზე მეტად რთულ და საპასუხისმგებლო ელემენტებს. ყველაზე ხშირად ამ ადგილებში წარმოიქმნება სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითად მოსიარულეთათვის რთული და მეტად საშიში მდგომარეობები. ამიტომ, საჭირო ხდება მოცემული საგზაო კვანძის გავლით სატრანსპორტო და ქვეითად მოსიარულეთა ნაკადების გატარებისათვის გარკვეული რეჟიმების დადგენა, რომლებიც შეესაბამება როგორც მოძრაობის მონაწილეთა შემადგენლობასა და სიდიდეს, ასევე საგზაო კვანძის დაგეგმარების თავისებურებებს.

2. ძირითადი ნაწილი

ნაშრომში დამუშავებული კომპიუტერული მოდელების საშუალებით შესაძლებელია ისეთი პარამეტრების მოდელირება როგორიცაა: სატრანსპორტო ნაკადი, გადაკვეთებზე რეგულირების რეჟიმები, მოძრაობის ზოლების კონფიგურაცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები და ა.შ.

ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო ნაკადების საგზაო მოძრაობის აღმწერი მოდელირების სისტემის დამუშავება. ცნობილია რომ, სატრანსპორტო ნაკადები იმართება საგზაო ნიშნებით. ამიტომ, საჭიროა შეიქმნას მოდელირების ისეთი სისტემა, რომელიც აღწერს საგზაო ნიშნებს. განხილულ ნაშრომში წარმოდგენილია საგზაო ნიშნების ერთი ელემენტის - შუქნიშნის მოდელი, რომელიც დაფუძნებულია პეტრის ქსელის თეორიასა და მის მოდიფიცირებულ გაფართოებაზე.

ავტორების მიერ დამუშავებულ იქნა შუქნიშნის სიგნალების მუშაობის პრინციპის აღმწერი მაკროქსელები, ანუ პეტრის ქსელის გაფართოებული მოდიფიკაციები. (ფრანგიშვილი, გასიტაშვილი, & აბულაძე, 2007, გვ. 236) ისინი შეესაბამება:

- შუქნიშნის მწვანე სიგნალის ანთებას (ნახ. 1.);
- შუქნიშნის წითელი სიგნალის ანთებას (ნახ. 2.);
- მწვანე სიგნალთან ერთად მწვანე ისრის ანთებას (ნახ. 3);
- წითელ სიგნალთან ერთად მწვანე ისრის ანთებას (ნახ. 4).

1-ელ ნახაზზე წარმოდგენილი მაკროქსელი - გრაფი შეესაბამება შუქნიშნებზე მწვანე სიგნალის ანთებასꙮ



ნახ.1. პეტრის ქსელის გაფართოებული
მოდიფიკაცია შუქნიშნის მწვანე სიგნალის ანთებისას

მე-2 ნახაზზე წარმოდგენილი მაკროქსელი - გრაფი შეესაბამება შუქნიშნებზე წითელი სიგნალის ანთებასiი



ნახ.2. პეტრის ქსელის გაფართოებული
მოდიფიკაცია შუქნიშნის წითელი სიგნალის ანთებისას

მე-3 ნახაზზე წარმოდგენილი გრაფი შეესაბამება შუქნიშანზე მწვანე სიგნალთან ერთად მწვანე ისრის ანთებას.



ნახ. 3. პეტრის ქსელის გაფართოებული
მოდიფიკაცია შუქნიშნის მწვანე სიგნალთან ერთად
მწვანე ისრის ანთებისას

მე-4 ნახაზზე წარმოდგენილი გრაფი შეესაბამება შუქნიშნებზე წითელი და წითელი ყვითლით სიგნალებთან ერთად მწვანე ისრის ანთებას.



ნახ.4. პეტრის ქსელის გაფართოებული
მოდიფიკაცია შუქნიშნის წითელ სიგნალთან ერთად
მწვანე ისრის ანთებისას

აღვნიშნოთ თითოეული მაკროქსელი *M1, M2, M3* და *M4*–ით. როგორც ვხედავთ, ოთხივე მაკროქსელში (ნახ. 1-4) სიგნალების შეცვლის რეჟიმები ერთნაირია, განსხვავება მხოლოდ მათ მარკირებაშია. ამასთან ერთად *M3* და *M4* მაკროქსელებს დამატებული აქვთ მწვანე ისრის მდგომარეობები.

იმისათვის, რომ არ გადაიტვირთოს სატრანსპორტო ნაკადების მართვის პეტრის ქსელი, შემოგვაქვს PNM მაკროქსელის ცნება (გასიტაშვილი, ფრანგიშვილი, & აბულაძე, 2005, გვ. 36):

$$PNM = (\, P, T, \tau, \mu_0, \mu_i, \omega, F_1, F_2 \,) \;, \qquad (1)$$

სადაც $P = \{\, p_1, p_2, \ldots, p_n \}$ არის პოზიციების სიმრავლე. იგი შეესაბამება გზაჯვარედინების რაოდენობას;

$T = \{\, t_1, t_2, \ldots, t_n \}$ – გადასასვლელების სიმრავლე, ამასთან ერთად, პოზიციებისა და გადასასვლელების სიმრავლეები არ გადაიკვეთება $P \bigcap T = 0$. იგი შეესაბამება შუქნიშნის რეგულირების ციკლის ხანგრძლივობას;

τ – t_j ($t_j \in T$) გადასასვლელების გაშვების დრო (წმ);

$\mu_0(P)$ – $p \in P$ წვერის საწყისი მარკირება;

$\mu_i(P)$ – მოდელირების პროცესში დროში ცვალებადი მარკირება;

$\omega(P)$– PNM ქსელის თითოეულ პოზიციას მიწერი აქვს ტევადობა ($p \in P$ წვეროში მარკერების მაქსიმალური რაოდენობა);

$F_1(t)$ – t_j ($t \in T$) გადასასვლელებისათვის შესასვლელი პოზიციების სიმრავლე;

$F_2(t)$– $t_j(t \in T)$ გადასასვლელებისათვის გამოსასვლელი პოზიციების სიმრავლე; ამასთან $F_1(t) \subseteq P$ და $F_2(t) \subseteq P$.

PNM ქსელის $\mu_0(P)$ საწყისი მარკირება ნიშნავს საწყის მდგომარეობაში $p \in P$ წვეროში ერთი მარკერის არსებობას.

PNM ქსელის $\mu_i(P)$ მარკირება ნიშნავს i მომენტში $p \in P$ წვეროში მარკერის არსებობას.

რადგან, ჩვენ შემთხვევაში მარკერს წარმოადგენს ავტომობილი. აქედან გამომდინარე, $\mu_0(P)$ შეესაბამება გზაჯვარედინზე ავტომობილების რაოდენობას პიკი საათის დასაწყისში, ხოლო $\mu_i(P)$ შეესაბამება დროის გარკვეულ მომენტში გზაჯვარედინზე ავტომობილების რაოდენობას. ამასთან ერთად, $\omega(P)$ შეესაბამება გზაჯვარედინის გამტარუნარიანობას (ავტომობილების მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც მოთავსდება გზის ამ უბანზე).

$F_1(t)$ და $F_2(t)$ შეესაბამებიან ფაზების მიხედვით ქვეითად მოსიარულეთა გატარებისათვის საჭირო დროებს.

3. დასკვნა

ამრიგად, ნაშრომში ავტორების მიერ შემუშავებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ეფექტური მართვის კომპიუტერული მოდელები - ოთხი მოდელი. მათი პრაქტიკული რეალიზაცია განტვირთავს ქალაქის ცენტრალურ უბნებს საცობებისაგან და ხელს შეუწყობს გამტარუნარიანობის ამაღლებას. ამასთან ერთად, თავიდან აგვაცილებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რიცხვს და ეფექტურს გახდის სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობას.

ბიბლიოგრაფია:

გასიტაშვილი, ზ., ფრანგიშვილი, ა., & აბულაძე, ი. (2005). შუქნიშნების აღწერა მოდიფიცირებული პეტრის ქსელის გამოყენებით. *მეცნიერება და ტექნოლოგიები* (1-12).

ფრანგიშვილი, ა., გასიტაშვილი, ზ., & აბულაძე, ი. (2007). *სატრანსპორტო ნაკადების მართვისა და დაგეგმარების კომპიუტერული ტექნოლოგიები. მონოგრაფია.* თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.

Inga Abuladze, Vladimer Tsverava

Georgian Technical University

MODELS OF MANAGEMENT ORGANIZATION OF TRAFFIC ROAD ON THE BASIS OF INFORMATION TECHNOLOGIES

RESUME

In the paper presented models of traffic light MacroNets based on the information technologies for efficient manage traffic road. The authors have developed MacroNets to desribe the conditions of traffic lihgt signals, it means computer models of the traffic light signals. In addition, the authors developed *PNM* MacroNet of the for effectively management organization of traffic road, which represents the expansion of Petri Net.

Keywords: Information technologies, Models of macronets, Organization of traffic road, Petri Net.

Лаура Елиаури, Лела Алексидзе
Горийский государственный учебный университет

ЛИНЕЙНЫЕ СОСТОЯТЕЛЬНЫЕ КРИТЕРИЙ ДЛЯ ПРОВЕРКИ ГИПОТЕЗ

Ключевые слова: Гипотеза, Линейные критерии, Проверьте, Функция.

Пусть (X,β)– выборочное пространство, X сепарабельное гильбертово пространство с σ–алгеброй борелевских множеств β из X, а $\{\mu_h, h\in H\}$ семейство вероятностных мер на (X,β). Пусть a_h среднее значение $(a_h, z)=\int(z,x)\mu_h(dx)\quad \forall z\in X$ и β_h кореляционная функция: $(\beta_h z,u)=\int\limits_X(z,x)(u,x)\mu_h(dx),\quad z,u\in X$, где $(z,u), z,u\in X$ означает скалярное произведение на X.

Предложим, что $\beta_h=\beta$ от h не зависит. Напомним некоторые определения (см. Zerakidze & Mumladze, 2015; Боровков, 1984). Гипотезами будем считать среднее значение м.е $H\subset X$ и $(h,z)=\int\limits_X(x,z)\mu_h(dx)$.

В линейной теорий H предпологается линейным многообразием. В качестве критериев рассмотрим лишь линейные отображения из X в H.

Определение 1. Отображение $g(x): X\to X$ для которой существует такая последовательнсть ограниченных линейных отображений $g_n(x)$ из X в X, что

$\lim\limits_{n\to\infty}\int(z, g_n(x)-g(x))^2\mu_h(dx)=0,\quad \forall z\in X,\ \ h\in H$ называется слобо измеримой линейной относительно статистической структуре $\{X,\beta,\mu_h, h\in H\}$.

Определение 2. Отображение $g: X\to X$ для которой существует такая последовательнсть ограниченных линейных отображений $g_n(x): X\to X$, что

$\lim\limits_{n\to\infty}\int(g_n(x)-g(x))^2\mu_h(dx)=0,\quad \forall h\in H$ называется сильно измеримой линейной относительно статистической структуры $\{X,\beta,\mu_h, h\in H\}$.

Определение 3. Мы будем говорить, что статистическая структура $\{E,S,\mu_h, h\in H\}$. допускает слабо состоятельный линейный критерий для поверки гипотез, если существует последовательнсть линейных (непрерывных) отображений $g_n(x): X\to X$, что

$\lim\limits_{n\to\infty}\int(z, g_n(x)-h)^2\mu_h(dx)=0,\quad \forall z\in X,\ \ h\in H$.

Определение 4. Мы будем говорить, что статистическая структура $\{E,S,\mu_h, h\in H\}$. допускает сильно состоятельный линейный критерий для поверки гипотез, если существует такая последовательнсть ограниченных линейных (непрерывных) отображений $g_n(x): X\to X$, что $\lim\limits_{n\to\infty}\int(g_n(x)-h)^2\mu_h(dx)=0,\quad \forall h\in H$.

Теорема. Пусть $X_n\subset X_{n+1}$-некоторая возврастающая последовательнсть конечномерных подпространств из X, Q_n–оператор ортогонального проектирования на X_n, оператор Q_n' удовлетворяет соотношениям $Q_n'u=u$ при $x\in X_n-Q_nH$, $Q_n'\nu\in X_n-Q_nH$, $\forall\nu\in X_n$, $Q_n'\beta=\beta Q_n'$ на X_n. Если $z=\lim\limits_{n\to\infty}Q_nz$ (т.е. лежит в замикании $\cup X_n$) то условие $\lim\limits_{n\to\infty}(\beta Q_n'Q_nz, Q_n'Q_nz)=(\beta z,z)$ необходимо и достаточно, для существования несмещённый состоятельной критерий для проверка гиротез, согласованной с последовательностью подпространств $\{X_n\}$.

Доказательство. Предположим,что в X выделеная возврастающая последовательнсть конечномерных подпространств $X_n, X_n \subset X_{n+1}$, такая что $\bigcup_n X_n$ плотно в X. Обозначем через Q_n оператор проектирования на X_n. Последовательнсть линейных функций $\lambda_n(x)$ называется несмещённый оценкой для (h,z) согласованной с системой подпространств $\{X_n\}$, если:

1. $\lambda_n(x) = \lambda_n(Q_n x)$
2. $\int \lambda_n(x)\mu_h(dx) = (Q_n h, z) \quad \forall h \in H.$

Функция $\lambda_n(x)$удовлетворяющая условию 1) имеем вид $\lambda_n(x) = (a_n, x)$, чде $a_n \in X_n$. Если выполнено 2),то $(a_n h) = (Q_n h, z)$и значим,$(h, a_n - Q_n z) = 0, \quad \forall h \in H$. В частности,это выполнено, если $a_n = Q_n z$. Таким образом, несмещённая оченка для h всегда существует. Пусть имеется несмещённая оценка $\lambda_n(x) = (a_n, x)$, тогда

$$\int [\lambda_n(x) - (Q_n, h, z)]^2 \mu_h(dx) = \int [(x, a_n) - (h, Q_n, z)]^2 \mu_h(dx) = (\beta a_n, a_n) \ .$$

Естественно выбирать критерий, так, чтобы её дисперсия была минимальной. Такой критерий называется наилучний несмещённым критерии, для этого нужно найти $a_n \in X_n$, для которых $(a_n, h) = (Q_n z, h), \ \forall h \in H$ а$(\beta a_n, a_n)$– минимально. Последнее соотношение эквивалентно следующему: $(a_n \mu) = (Q_n z, u), \ u \in Q_n H,$ где $Q_n H$ -проекция H на X_n. Ясно, что $Q_n H$ является линейным подпространством в X_n. Обозначан егоU_n. Множество тех a_n, для которых $(a_n, u) = (Q_n z, h), \ \forall u \in U_n$, имеет вид $a_n = Q_n z + v_n$, где $v_n \in X_n - U_n$ (это ортогональное дополнение U_n в X_n) В X_n можно ввести скалярное произведение $(x, y)_n = (\beta_n x, y)$. Пусть , тогда $a_n = Q_n z - Q_n' Q_n z$.

Ясно, что $\lambda_n(x) = (a_n x)$– наилучных несмещённый критерий. Разберём две краиних случая.

1. $U_n = \{0\}, X_n - U_n = X_n, \ a_n = 0$ Значит, $\mu_h = \{\lambda(x) = (Q_n z, h)\} = 1$. Так как $\bigcup X_n$ плотно в X, то это может выполняться лишь для конечного множества значений n.
2. $U_n = X_n$, тогда $X_n - U_n = \{0\}, \ a_n = Q_n z, \ \lambda_n(x) = (Q_n z, x)$. В этом случае несмещённый критерий единственный и является наилучший причём $\lambda_n(x) \to (x, z), \ n \to \infty$ нас интересуют состоятельный критерий т.е. $\int (\lambda_n(x) - (Q_n z, h))^2 \mu_h(dx) = 0$.

Для этого необходимо и достаточно, чтобы

$$\lim_{n\to\infty}[(\beta Q_n z, Q_n z) - 2(\beta Q_n z, Q_n' Q_n z) + (\beta Q_n' Q_n z, Q_n' Q_n z)] = 0,$$

а это эквивалентно $\lim_{n\to\infty}(\beta Q_n' Q_n z, Q_n' Q_n z) = (\beta z, z)$.

Библиография:

Zerakidze, Z., & Mumladze, M. (2015). *Statistical structure and consistent criteria for checking hypotheses.* Lambert Academic publishing.

Боровков, А. (1984). *Математическая статистика.* Москва: Наука.

Laura Eliauri, Lela Aleksidze

Gori State Teaching University

LINEAR CONSISTENT CRITERIA FOR TESTING HYPOTHESES

RESUME

In the paper we prove necessary and sufficient for existence of such criteria.

Keywords: Hypothesis, Linear criteria, Check, Function.

Зураб Зеракидзе, Сосо Цотниашвили
Горийский государственный учебный университет

СОСТОЯТЕЛЬНЫЕ КРИТЕРИЙ ДЛЯ ПРОВЕРКИ ГИПОТЕЗ

Ключевые слова: Состоятельные критерий, Гипотеза, Статистические структуры.

Пусть (X,β)– выборочное пространство, X сепарабельное гильбертово пространство с σ–алгеброй борелевских множеств β из X, а $\{\mu_h, h\in H\}$ семейство вероятностных мер на (X,β). Здесь μ_h,- гауссовские меры в сепарабельном гильбертовом пространстве X со средним значением h, меняющемся в некотором множестве $H\subset X$, и корреляционным операторой β, одним и тем же для всех мер $\{\mu_h, h\in H\}$ из этого семейства. Гипотезами будем считать среднее значение из H.

В случае, когда оператор β невырожден,проекция меры μ_h на любое конечномерное подпространство N будет n мерным (n–размерность N) невырожденным нормальным распределением. Пусть P -оператор проектирования на N. Тогда $P(H)=N_1$ (проекйия линейного многообразия H на N) будет линеиным подпространством в N, а если P_1–оператор проектирования на N_1, то несмещённый критерий гипотезы μ_h с наиненьшим квадратическом отклонением будет P_1x. В наиболее интересных случаях (бесконечномерное H) H всюду плотно в X, поэтому $N_1=N$ и значит, P_x-единственный линейной несмещённый критерий для P_a. Если размерность N стремится к бесконечности, то $P_x\to x$, откуда следует, что используя несмещённый критерии, нельзя получить состоятельный критерий.

Замечание 1. Заметим, что можно ограничится рассмотрением лишь таких статистических структур $\{X,\beta,\mu_h, h\in H\}$ для которых корреляционный оператор не вырожден. Действительно, пусть N замыкание области значении оператора β (или $\beta^{1/2}$ они собладают), а M -ортогональное дополнение к N. Тогда для всех $x\in M$ справедлива $(\beta_x, x)=0$. Обозначим через P_1 и P_2 операторы проектирования на M и N соответственно. Тогда величина P_1x является несмещённый критерий для $P_1h,\ h\in H$ и $\int |P_1x-P_1h|^2\mu_1(dx)=SpP_1\beta P_1=0$.

Следовательно P_1h можно определить однозначно и задача будет сведена к определению P_2h. Но семейство $\{\mu_{P_2h}, P_2h\in P_2(H)\}$ можно уже рассматривать на гидьбертовом пространстве N, на котором корреляционный оператор семейства $\{\mu_h, h\in H\}$ (он совпадаиет с β) уже невырожден. Отметим, что в некоторых случаях спомощью указанной выше процедуры можно определить больше, чем P_1h. Обозначим $N_1=H\bigcap N$. Если можно указать такое линейное многообразие $N_2\subset H,$ что $H=N_1\oplus N_2$ (имеется в виду алгебраическая сумма линейных многообразий), то,обозначая через Q_h тот вектор из N_2, для которого $h-Q_h\in N_1\quad (h\in H)$ можно определить Q_h. Это вытекает из того, что Q_h однозначно определяется по P_1h: если $P_1h_1=P_1h_2$, то $Qh_1=Qh_2$ поскольку $h_1-h_2\in H\bigcap M$. Если H замкнуто, то N_1 замкнутно, и в качестве N_2 можно взять ортогональное допольнение к N_1 в H. Если $N_1=\{0\}$ то $Qh=h$ и для гипотезы h существует состоятельный критерий для проверки гипотез. Это соображения и легли в основу проекционных методов.

Общая идея проекцонных методов состоит во введении в X новой гильбертовой метрики, для которой линейные многообразия H и $\beta^{1/2}X$ становится ортогональнымию Если это удастся сделать,то P_Hx станет проекцей на H и будет являтся сотоятельной критерии. Как известно для этого необходимо, чтобы

$H \cap \beta^{1/2}(X) = \{0\}$. Оказывается, в случае, когда $H = S(X)$, где S-некоторый ограниченный оператор, приведенное условие будем являеться достаточным. Докажем, более общую теорему.

Теорема. Пусть S-такой ограниченный оператор, что $H \subset S(X) \oplus \beta^{1/2} X$ и $S(X) \cap \beta^{1/2}(X) = \{0\}$. Тогда существует измеримая функция $h(x): X \to S(X)$ такая, что $\mu_h\left\{\left(x : h - h(x) \in \beta^{1/2}(X)\right)\right\} = 1, \ \forall h \in H$.

Доказательство. Обозначим $L = S(X) \oplus \beta^{1/2} X$. Заметим, что L является измеримым множеством. Действительно $L = \bigcup_n S(\{x : |x| \le n\}) \oplus \beta^{1/2}(\{x : |x| \le n\})$. Так как $S(\{x : |x| \le x\})$замкнуто, а $\beta^{1/2}(\{x : |x| \le n\})$ компактно то множество под знаком $\bigcup_n$ замкнуты. Итак L-измеримое линейное многообразие. Если $x \in L$, то будем обозначать через $Q_1 x$ и $Q_2 x$ такие векторы из $S(x)$и $\beta^{1/2}(x)$ соответственно, что $x = Q_1 x + Q_2 x$. Легко доказать, что ффункции Q_1 иQ_2 измерины. Введём на L скалярное произведение $(x, y)_L = \left(S^{-1} Q_1 x, S^{-1} Q_1 y\right) + \left(\beta^{-1/2} Q_2 x, \beta^{-1/2} Q_2 y\right)$. Ясно, что L со скалярным произведением $(x, y)_L$ является гильбертовым пространством. Пусть $L_i = Q_i(L), \ i = 1,2.$ L_i ортогональны в L. Меры μ_h в L можно рассмотреть как обобщённые гаусовы меры.

Ряд $\sum_{i=1}^{\infty} \frac{(Q_2 z, e_k)(x, e_k)}{\lambda_k}$ сходится по мере μ_o к $(Q_2 z, x)_L$, поэтому $\int (Q_2 z, x)^2 \mu_o(dx) = (Q_2 z, Q_2 z)_L$ и характерическая функция $\varphi_h(z) = \exp\left\{i(h, z) - \frac{1}{2}(Q_2 z, z)_L\right\}$.

Пусть C-такой симетрический оператор L, что $CQ_1 = Q_1, \quad CQ_2 \subset L_2$ и CQ_2 является оператором Гильберта-шмидта вL. Тогда $Cx = Ch + C(x - h) = Q_1 h + CQ_2 h + C(x - h)$. Расмотрим функции $h(x) = Q_1 Cx$. Но $Q_1 CQ_2 = 0$. Значит, $\mu_h(\{h(x) = Q_1 Ch\}) = 1$. Посколько $h - Q_1 Ch = Q_1 h + Q_2 h - Q_1 CQ_1 h - Q_1 CQ_2 h = Q_2 h,$ то из $\mu_h(\{h(x) = Q_1 Ch\}) = 1$ вытекает $\mu_h\left(\left\{x : h - h(x) \in \beta^{1/2}(x)\right\}\right) = 1, \quad \forall h \in H$.

Библиография:

Ибрамхалилов, И. Ш., & Скороход, А. В. (1980). *Состоятельные оценки параметров случайных процессов.* Киев: Наукова думка.

Zerakidze, Z., & Mumladze, M. (2015). *Statistical structure and consistent criteria for checking hypotheses.* Lambert Academic Publishing.

Zurab Zerakidze, Soso Tsotniashvili

Gori State Teaching University

THE CONSISTENT CRITERIA FOR TESTING HYPOTHESES

RESUME

In the paper we prove necessary and sufficient for existence of such criteria use of projective methods.

Keywords: Consistent criteria, Hypothesis, Statistical structures.

ზურაბ ზერაკიძე
გორის სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი
თამარ ჭყონია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატისტიკური სტრუქტურების პარამეტრების ძალდებული შეფასება და ძალდებული კრიტერიუმი

საკვანძო სიტყვები: სტატისტიკური სტრუქტურა, ძალდებული შეფასებები, ძალდებული კრიტერიუმები, ჰიპოთეზები.

ვთქვათ მოცემულია (E,S) ზომადი სივრცე, სადაც E არის ფიქსირებული სიმრავლე, ხოლო S არის ამ სიმრავლის ქვესიმრავლეების σ-ალგებრა. შემოვიტანოთ შემდეგი განსაზღვრებები. (იხ. Khazarashvili, 2000; Zerakidze, 1986)

განსაზღვრება 1. სტატისტიკური სტრუქტურა ვუწოდოთ შემდეგ ობიექტს $\{E, \mu i, i\epsilon I\}$, სადაც $\{\mu i, i\epsilon I\}$ ალბათური ზომებია S-ზე, ხოლო I პარამეტრთა სიმრავლეა.

განსაზღვრება 2. სტატისტიკურ სტრუქტურას $\{E, S, \mu i, i\epsilon I\}$ ეწოდება ორთოგონალური, თუ

$$(\forall i)(\forall j)(i\epsilon I \S j\epsilon I, i \neq j) \rightarrow \mu i + \mu j$$

განსაზღვრება 3. სტატისტიკურ სტრუქტურას $\{E, S, \mu i, i\epsilon I\}$ ეწოდება ძლიერად განცალებადი, თუ არსებობს ისეთი დინუნქტური S-ზომადი $\{Xi, i\epsilon I\}$ სიმრავლეები, რომ $\mu i(Xi) = 1, \forall i\epsilon I$.

განსაზღვრება 4. ჩვენ ვიტყვით, რომ სტატისტიკური სტრუქტურა $\{E, S, \mu i, i\epsilon I\}$ უშვებს პარამეტრების ძალდებულ შეფასებას, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი f ზომადი გადასახვა

$$f: (E,S) \rightarrow (I, B(I)),$$

რომ სრულდება შემდეგი ტოლობები:

$$\mu i(\{x: f(x) = i\}) = 1, \qquad \forall i\epsilon I.$$

ვთქვათ H-ჰიპოთეზათა სიმრავლეა, ხოლო $B(H)$ არის H სიმრავლის ქვესიმრავლეების σ-ალგებრა.

განსაზღვრება 5. ჩვენ ვიტყვით, რომ სტატისტიკური სტრუქტურა $\{E, S, \mu h, h\epsilon H\}$ უშვებს ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებულ კრიტერიუმს, თუ არსებობს ერთი მაინც ისეთი ზომადი გადასახვა

$$\delta: (E,S) \Rightarrow (H, B(H)),$$

რომ სრულდება შემდეგი დამოკიდებულებები:

$$\mu h(\{x: \delta(x) = h\}) = 1, \qquad \forall h\epsilon H.$$

განსაზღვრება 6. ჩვენ ვიტყვით, რომ მოცემული δ კრიტერიუმი (x) დაშვებულია h რიგის შეცდომა, თუ h ჰიპოთეზა უარყოფილია, როცა ეს ჰიპოთეზა ჭეშმარიტია, ხოლო h რიგის შეცდომის ალბათობა ეწოდება შემდეგ ტოლობას

$$\alpha h(\delta) = \mu h(\{x: \delta(x) \neq h\}).$$

განვიხილოთ სტატისტიკური სტრუქტურა $[0,\infty), B[0,\infty), \mu n, u\epsilon\{0,1,2,\dots\}$, სადაც μn ლებეგის ალბათური ზომებია $[n, n+1)$ ინტერვალებში, $n\epsilon\{0,1,2,\dots\}$ ადვილი დასანახია, რომ ეს სტატისტიკური სტრუქტურა ძლიერად განცალებადია. ჩვენი მიზანია ამ სტატისტიკური სტრუქტურისათვის ავაგოთ პარამეტრების ძალდებული შეფასება და ძალდებული კრიტერიუმი.

განვიხილოთ ზოგადი გადასახვა

$$f: [0,\infty), B\big([0,\infty)\big) \rightarrow [0,\infty), B([0,\infty))$$

შემდეგი ფორმულით

$$f(x) = n + \frac{1}{2}, \text{ თუ } x\epsilon[n, n+1), \ \forall n\epsilon\{0,1,2,\dots\}$$

ამ შემთხვევაში პარამეტრთა სიმრავლეა $\{n + \frac{1}{2}, \ n = 0,1,2,\dots\}$. ცხადია, რომ

$$\mu n\left(\left\{x: f(x) = n + \frac{1}{2}\right\}\right) = 1, \quad \forall n\epsilon\{0,1,2,\dots\}$$

ე.ი. f არის ამ პარამეტრებისათვის ძალდებული შეფასება.

განვიხილოთ ჰიპოთეზათა სიმრავლე $H = \{\mu n,\ n = \{0,1,2,\dots\}$, სადაც μn ლებეგის ზომებია $[n,\ n+1)$ ინტერვალებში}

განვიხილოთ შემდეგი კრიტერიუმი

$$\delta(x) = \mu n, \quad \forall n \epsilon \{0,1,2,\dots\}, \text{ მაშინ}$$

$$\mu n(\{x: \delta(x) = \mu n\}) = \mu n[n, n+1) = 1, \quad \forall n \epsilon \{0,1,2,\dots\}$$

ე.ი. δ ძალდებული კრიტერიუმია.

ჩვენ ჩავატარეთ რობერტ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ,,პროგრამა სენტ-ეგზიუპერის'' მეცხრე კლასის მოსწავლეებთან (მასწავლებელი თამარ ჭყონია) შესაბამისი მოსწავლეების ფიზიკური აქტივობის (ცელქობა) გამოკითხვის დონე შემდეგ საგნებში: ქართული, მათემატიკა, უცხო ენა, ისტორია და გეოგრაფია. გამოვთვალეთ საშუალო ქულა და შევამოწმეთ ჰიპოთეზები, თუ როგორ არიან განაწილებული ეს დონეები.

ფიზიკური აქტივობა	საშუალო ქულა
ქართული	
საშუალო	2,5
მაღალი	3,5
დაბალი	4,5
მათემატიკა	
საშუალო	5,5
მაღალი	6,5
დაბალი	7,5
უცხო ენა	
საშუალო	8,5
მაღალი	9,5
დაბალი	10,5
ისტორია	
საშუალო	11,5
მაღალი	12,5
დაბალი	13,5
გეოგრაფია	
საშუალო	14,5
მაღალი	15,5
დაბალი	16,5

ამ გამოკითხვების შედეგად დავადგინეთ, რომ მაგალითისათვის ,,მათემატიკა'' ფიზიკურად დაბალი აქტივობის მოსწავლის საშუალო ქულაა 4,5 და დავადგინეთ, რომ მისი შესაბამისი განაწილება არის თანაბარი [4,5) ინტერვალში.

ბიბლიოგრაფია:

Khazarashvili, A. (2000). *Strange Function Real Analysis.* New York: Marcel Dekkez. Inc.

Zerakidze, Z. (1986). On consistent estimators for families of probability measures. *5-th Japan-USSR symposium on probability Theory.* Kioto.

Zurab Zerakidze

Gori State Teaching University

Tamar Chkonia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

CONSISTENT CRITERIA AND CONSISTENT ESTIMATORS FOR STATISTICAL STRUCTURES

RESUME

In this work we investigate the statistical structures admits consistent criteria and consistent estimators.

Keywords: Statistical Structure, Consistent estimators, Consistent criteria, Hypotheses.

თამარ ნასყიდაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მონაცემთა დამუშავების ანალიზი და მათი მხარდამჭერი სისტემები

საკვანძო სიტყვები: გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემები, პროფესიონალური ანალიტიკური სისტემები, ინფორმაციის შენახვის ქვესისტემა, რელაციური მონაცემთა ბაზები, საგნობრივი ორიენტაცია.

თანამედროვე პერიოდში ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია ინფორმატიზაციის პროცესს, რამდენადაც თანამედროვე ტექნოლოგიები მთლიანად უკავშირდება ინფორმაციასთან დაკავშირებული პროცესების აღქმას, გაცნობიერებას, დაკვირვებას, დამუშავებას, შენახვას და სხვა მნიშვნელოვან ეტაპებს. გამოთვლითი ტექნიკის ძირითად დანიშნულებად განიხილება სწორედ ინფორმაციული ნაკადების ანუ მონაცემების დამუშავება. თანამედროვე გამოთვლითი სისტემები და კომპიუტერული ქსელები იძლევიან დამუშავებისა და ანალიზისათვის საჭირო მონაცემთა უზარმაზარი მასივების დაგროვების საშუალებას. ეს უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია, ერთი მხრივ, იძლევა უფრო ზუსტი გამოთვლებისა და ანალიზის მიღების საშუალებას, მაგრამ მეორე მხრივ, ართულებს გადაწყვეტილების მიღებას. აქედან გამომდინარე, გაჩნდა პროგრამული სისტემების მთელი კლასი, რომელიც შრომას უმსუბუქებს ანალიტიკოსებს, რა სფეროშიც არ უნდა უხდებოდეთ მათ მუშაობა. მაგალითისთვის აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა, დაწყებული სკოლამდელი სწავლებით და დამთავრებული უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურით, მთლიანად დამოკიდებულია ელექტრონულ მატარებლებზე იმ მონაცემების დაფიქსირებით, რომელთა დამუშავება და ანალიზი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ცალკეული მიმართულებების საქმიანობას, როგორიცაა მაგალითად აკადემიური მოსწრება, სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის, აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების საქმიანობის პროგრამული უზრუნველყოფა და ა.შ. მონაცემთა დამუშავებისათვის განსაკუთრებული მხარდაჭერა პოვა გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერმა სისტემებმა - (შემდგომში გმმს) (DSS, Decision Support System), რომელთა მეშვეობითაც საანალიზოდ ხდება ინფორმაციის დაგროვება მისი შეტანისა და შენახვის საშუალებების დახმარებით. აქ გამოიყოფა ის სამი ძირითადი ამოცანა, რომელთა გადაწყვეტა შეიძლება გმმს საშუალებით, ესენია: მონაცემთა შეტანა, მონაცემთა შენახვა და მონაცემთა ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ გმმს-ში მონაცემთა შეტანა ხორციელდება ავტომატურად - სენსორების საშუალებით, რომელიც ასახავს გარემოს ან პროცესის მდგომარეობას, ან ოპერატორის - ადამიანის მიერ. როდესაც მონაცემთა შეტანა ხორციელდება რამდენიმე ოპერატორის მიერ, მაშინ სისტემა ირჩევს თუ როგორ უნდა გადაწყვიტოს ერთი და იგივე მონაცემის პარალელური წვდომისა და მოდიფიკაციის პრობლემები.

მონაცემთა მუდმივი დაგროვება იწვევს მისი მოცულობის განუწყვეტელ ზრდას, რის გამოც გმმს წინაშე დგება დიდი მოცულობის მონაცემთა საიმედო შენახვის, აგრეთვე არასანქცირებული შეღწევადობის აღკვეთის, მონაცემთა სარეზერვო შენახვის, არქივიზაციის უზრუნველყოფის და სხვა საკითხები.

გმმს ძირითად ამოცანას წარმოადგენს მონაცემთა ანალიზისათვის საჭირო ინსტრუმენტების შეთავაზება ანალიტიკოსებისთვის. სისტემა ვერ ახდენს სწორი გადაწყვეტილებების გენერირებას, ის მხოლოდ აწვდის ანალიტიკოსს ანალიზისთვის საჭირო მონაცემებს შესაბამისი სახით (ანგარიშები, ცხრილები გრაფიკები და სხვა) ამის შემდგომ კი ხორციელდება მისი დამუშავების შემდგომი ეტაპები. ასეთი სისტემები რეალიზებადი და აქტუალურია ნებისმიერ სფეროში. განათლების მიმართულებით მონაცემთა მახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ინფორმაციის განსხვავებული წარმომავლობა და შემდგომში მათი წარმოდგენა სხვადასხვა ფორმატში, კერძოდ რიცხვითი, გრაფიკული, ფოტო და ვიდეომასალის სახით.

დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვის, გადამუშავების და მათთან წვდომის მიზნით თანამედროვე საშუალებებში გამოიყენება უბრალო მარტივი ნაკადების ან ტრადიციული სტატისტიკური მეთოდები, რომლებიც ნაკლებად უზრუნველყოფენ განსხვავებული ბუნების და სტრუქტურის მონაცემთა სრულყოფილად დამუშავებას. ესეც გახდა ერთ-ერთი მიზეზი პროფესიონალური

ანალიტიკური სისტემების შექმნის აუცილებლობისა, რომელიც ადგენს შესაბამისობას კლასიფიკაციის, დაგეგმვის, პროგნოზირების და გადაწყვეტილებათა სქემის შემუშავების და ბოლოს ევოლუციური პროგრამირებისათვის.

ცნობილია, რომ „ინტელექტუალურობის“ ხარისხის მიხედვით გამოიყოფა ანალიზის ამოცანების სამი კლასი: ა) **საინფორმაციო-საძიებო** - როდესაც გმმს ახორციელებს აუცილებელი მონაცემების მოძიებას; ბ) **ოპერატიულ-ანალიტიკური** - როდესაც გმმს ახდენს ანალიტიკოსისთვის საჭირო მონაცემების დაჯგუფებას და განზოგადებას ნებისმიერი სახით და 3) **ინტელექტუალური** - როდესაც გმმს ახორციელებს დაგროვილ მონაცემებში ფუნქციონალური და ლოგიკური კანონზომიერებების მოძიებას, მოდელებისა და წესების აგებას, რომლებიც, თავის მხრივ, ხსნიან აღმოჩენილ კანონზომიერებებს და ახდენენ ზოგიერთი პროცესის განვითარების პროგნოზირებას გარკვეული ალბათობით.

უმჯობესია თითოეული მხარდამჭერი სისტემის ქვესისტემის უფრო დაწვრილებით განხილვა. კერძოდ, გამოყოფენ **მონაცემთა შეტანის ქვესისტემას.** ასეთ OLTP (Online transaction processing) სისტემებში სრულდება მონაცემთა ოპერაციული (ტრანსაქციონული) დამუშავება. ასეთი ქვესისტემების რეალიზაციისთვის გამოიყენება ჩვეულებრივი მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები.

ინფორმაციის შენახვის ქვესისტემის რეალიზაციისთვის გამოიყენება თანამედროვე მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები და მონაცემთა საცავის კონცეფცია. **ანალიზის ქვესისტემა კი** შესაძლებელია აიგოს საინფორმაციო-საძიებო ანალიზის, ოპერატიული ანალიზისა და ინტელექტუალური ანალიზის საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემის განზოგადებული სისტემა სქემის სახით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:



გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემების საფუძველს წარმოადგენს მონაცემთა ბაზები, ხოლო მათთან მუშაობის საშუალებას - მონაცემთა ბაზის მართვის სისტემები. მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა წარმოადგენს იმ გამოყენებითი პროგრამების შემუშავების ინსტრუმენტს, რომლებიც იყენებენ მონაცემთა ბაზებს. იმისათვის, რომ შევინახოთ მონაცემები რაიმე მოდელის შესაბამისად, მონაცემთა ბაზების სტრუქტურა მაქსიმალურად უნდა შეესაბამებოდეს ამ მოდელს. იმ სტრუქტურებს შორის, რომელსაც იყენებდნენ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში, იყო **იერარქიული სტრუქტურა.** იგი გაჩნდა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ამ სტრუქტურის მიხედვით მონაცემები ინახებოდა ხისმაგვარი სტრუქტურის სახით. თუმცა იმის გამო, რომ შეუძლებელია რეალური სამყაროს მრავალი ობიექტის იერარქიის სახით წარმოდგენა, ასეთი მონაცემთა ბაზები გამოიყენებოდა მკვეთრად სპეციალიზირებულ სფეროებში. ასეთი სტრუქტურის გაუმჯობესების ცდას წარმოადგენს მონაცემთა ბაზების **ქსელური სტრუქტურა,** რომელიც ითვალისწინებს მონაცემთა ქსელის სახით წარმოდგენას.

ქსელურ მონაცემთა ბაზებთან მუშაობა ბევრად უფრო რთული პროცესია, ვიდრე იერარქიულ მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ამიტომაც მან პრაქტიკაში ვერ პოვა ფართო გამოყენება.

ამჟამად ყველაზე გავრცელებულია **რელაციური მონაცემთა ბაზები.** („რელაციური“ - შეფარდება - ლათინური „relatio” - დან.) მონაცემთა შენახვის ასეთი სტრუქტურა დაფუძნებულია მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთდამოკიდებულებაზე. რელაციური მიდგომა ცნობილი გახდა ე. კოდის ნაშრომების წყალობით, რომლებიც პირველად გამოქვეყნდა 1970 წელს. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ ნაშრომებში კოდის მიერ ჩამოყალიბებული რელაციური მონაცემთა ბაზების აღწერილობა. მონაცემთა დამუშავების და ანალიზის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მონაცემთა დაცულობას და უსაფრთხოების გარანტიებს, სწორედ ამ მიზნით იქმნება მონაცემთა საცავები (მს). **მონაცემთა დაცულობაზე პასუხს აგებს მბმს.** მონაცემთა დაცულობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს მბმს და არა დანართის მიერ. არსებობს დაცულობის უზრუნველყოფის ორი ხერხი: დეკლარატიული და პროცედურული. დეკლარატიული ხერხის დროს მონაცემთა დაცულობა უზრუნველყოფილია ცხრილებზე შეზღუდვების დაწესებით, ხოლო პროცედურულის დროს - მონაცემთა ბაზების პროცედურების საშუალებით.

ასევე მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს, რომ არ უნდა დაირღვეს მონაცემთა დაცულობა მბმს-ზე ნებისმიერი მანიპულაციის დროს, ასევე **შესაძლებელი უნდა იყოს ოპერაციების გადანაწილება.** მბმს შეიძლება განთავსებულ იქნეს როგორც ერთ, ისე რამდენიმე კომპიუტერზე. მომხმარებელს უნდა ჰქონდეს სხვადასხვა კომპიუტერულ ქსელების კვანძებსა და სხვადასხვა ცხრილებში შენახულ მონაცემებთან დაკავშირების საშუალება, ხოლო მბმს-ის დაცულობა უზრუნველყოფილ უნდა იყოს მიუხედავად მათი შენახვის ადგილისა. პრაქტიკაში ამ წესებს ემატება მბმს-თვის საჭირო მეხსიერების მოცულობის მინიმიზაციის მოთხოვნა. ეს მიიღწევა ისეთი მბ პროექტირებით, რომლის დროსაც ინფორმაციის დუბლირება მინიმუმამდეა დაყვანილი. აუცილებელია აღინიშნოს, რომ რელაციურ მოდელს მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს - ყველა ინფორმაციის წარმოდგენა ცხრილის სახით შეუძლებელია, მაგალითად გამოსახულების, მუსიკის და ა.შ. თუმცა ამჟამად ცდილობენ ველების სპეციალური ტიპების - BLOB (Binary Large Objects) გამოყენებას, მაგრამ მათი გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად არის შეზღუდული.

ასეთი ტიპის ინფორმაციის შესანახად იყენებენ პოსტრელაციურ მოდელებს მონაცემთა შენახვის ობიექტურ-ორიენტირებული სტრუქტურის სახით. თუმცა ასეთი მიდგომა არ არის საკმარისად ფორმალიზებული, რაც არ იძლევა პრაქტიკაში მათი ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას. კოდირების წესების შესაბამისად, მბმს უნდა უზრუნველყოს მონაცემთა ბაზებზე ოპერაციების შესრულება ისე, რომ მისცეს რამდენიმე მომხმარებელს ერთდროული მუშაობის საშუალება და უზრუნველყოს მონაცემთა დაცულობა. ამისათვის მბმს-ში გამოიყენება ტრანზაქციების მართვის მექანიზმი. **ტრანზაქცია** არის მონაცემთა ბაზებზე ოპერაციების თანმიმდევრობა, რომელსაც მბმს განიხილავს როგორც ერთ მთლიანს. განიხილება ტრანზაქციების რიგითობის დაგეგმვის რამდენიმე საბაზო ალგორითმი. ცენტრალიზებულ მბმს-ში ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული ალგორითმები, რომლის საფუძველიცაა მბ ობიექტების სინქრონიზებული მიტაცება. მბმს განვითარების ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული მონაცემთა შენახვისა და ტრანზაქციების მართვის ამოცანების გადაწყვეტის მიდგომებთან. ტრანზაქციების მართვის განვითარებულმა მექანიზმმა თანამედროვე მბმს გადააქცია OLTP-სისტემების აგების ძირითად საშუალებად, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მბ-თან ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა.

OLTP სისტემის გამოყენების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მათი გამოყენება არ არის ეფექტური ინფორმაციის სრულყოფილი ანალიზისათვის. ასეთი სისტემები საკმაოდ წარმატებით ართმევენ თავს ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და მოძიების ამოცანებს, მაგრამ ვერ წყვეტენ ინფორმაციის ეფექტური ოპერატიულ-ანალიტიკური და ინტელექტუალური ანალიზის ამოცანებს ანუ ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე გადაწყვეტილების მიღწევის მხარდამჭერის სისტემებისადმი **(გმმს)** წაყენებულ მოთხოვნებს. ძირითადი მიზეზი მდგომარეობს OLTP და **გმმს** სისტემებისადმი წაყენებული მოთხოვნების დაპირისპირებაში.

გადაწყვეტილების მიღწევის მხარდაჭერის სისტემებმა (გმმს) უნდა გადაწყვიტოს სამი ძირითადი ამოცანა: ინფორმაციის შეგროვება, შენახვა და ანალიზი. ანალიზის ამოცანა მოიცავს საინფორმაციო-საძიებო, ოპერატიულ-ანალიტიკურ და ინტელექტუალურ ანალიზს. ასეთი სისტემების შექმნამ უზრუნველყო სისტემის შემადგენელი ელემენტების მიზნობრივი ანალიზი, იმ სტრატეგიის და სტრუქტურულ-ორგანიზაციული საკითხების გათვალისწინებით, რომელთა გადაწყვეტით ხდება კომპლექსური ამოცანების დამუშავება და რეალიზება, რამდენადაც სისტემის აგების დროს სრულად გაითვალისწინება ინტეგრირებული დამოკიდებულებები.

OLTP სისტემისა და ანალიზის სისტემის შესაძლებლობების გადაწყვეტილების მიღწევის მხარდაჭერის სისტემების (გმმს) ერთიან არქიტექტურაში გაერთიანებისადმი სწრაფვამ წარმოშვა მონაცემთა საცავის (მს) კონცეფცია. მონაცემთა საცავის (მს) კონცეფცია უკვე კარგა ხანია განიხილება

საინფორმაციო სისტემების სპეციალისტების მიერ. პირველი სტატიები გამოჩნდა 1988 წელს, მათი ავტორები იყვნენ ბ. დევლინი და პ. მერფი, ხოლო 1992 წელს უ. ინმონმა დაწვრილებით აღწერა მოცემული კონცეფცია თავის მონოგრაფიაში „მონაცემთა საცავის აგება“ („Building the Data Warehouse”). მონაცემთა საცავის (მს) კონცეფციას საფუძვლად უდევს იდეა მონაცემთა დაყოფისა ოპერატიული დამუშავებისა და ანალიზის ამოცანებისათვის. ასეთი დაყოფა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ოპტიმიზაცია როგორც ოპერატიული საცავის მონაცემთა (ოპერატიული მონაცემთა ბაზა, ფაილები, ელექტრონული ცხრილები და ა. შ.) სტრუქტურისა, რომელიც საჭიროა შეტანის, მოდიფიკაციის, წაშლისა და ძიების ოპერაციებისთვის, ისე ანალიზისათვის აუცილებელი მონაცემთა სტრუქტურისა. გმმს-ში მონაცემთა ამ ორ ტიპს უწოდებენ, შესაბამისად, მონაცემთა ოპერატიულ წყაროებს (მოწ) და მონაცემთა საცავებს (მს).

როგორც ვიცით, მონაცემთა საცავი არის საგნობრივად ორიენტირებული, ინტეგრირებული, უცვლელი, ქრონოლოგიურად მხარდაჭერილი მონაცემთა ნაკრები, რომელიც ორგანიზებულია გადაწყვეტილების მიღების მიზნით. მნიშვნელოვანი მომენტია იმ განსხვავების განხილვა, რაც მდგომარეობს მონაცემთა ოპერატიულ წყაროებსა (მოწ) და მონაცემთა საცავებს (მს) შორის.

მათ შორის ფუნდამენტური განსხვავებას წარმოადგენს **საგნობრივი ორიენტაცია** - სხვადასხვა მოწყობილობა შეიძლება შეიცავდეს მონაცემებს, რომლებიც აღწერენ ერთი და იგივე საგნობრივ სფეროს სხვადასხვა თვალსაზრისით (მაგ. საბუღალტრო აღრიცხვის, სასაწყობე აღრიცხვის, საგეგმო განყოფილების და ა. შ.) და ერთი თვალსაზრისიდან მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება აღმოჩნდეს არაეფექტური ან სულაც არასწორი. მს კი იძლევა ინფორმაციის ინტეგრირების საშუალებას, რომელიც გამოხატავს სხვადასხვა თვალსაზრისს ერთ საგნობრივ სფეროზე. საგნობრივი ორიენტაცია იძლევა მს მხოლოდ იმ მონაცემთა შენახვის საშუალებას, რომელიც საჭიროა მათი ანალიზისათვის. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს ინფორმაციის მატარებლებზე და ამაღლებს მონაცემებისადმი წვდომის უსაფრთხოებას. საგნობრივი სფეროს მონაცემთა დამუშავების პროგრამული საშუალებებისადმი ხელმისაწვდომობის მზარდმა მოთხოვნამ განაპირობა პროფესიონალური ანალიტიკური სისტემების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტულ სფეროში ამოცანათა გადაწყვეტის კანონზომიერებებს, ასევე მათი საშუალებით ხდება გადაწყვეტილებათა მიღება, კლასიფიკაცია, დაგეგმვა და პროგნოზირება პროგრამულად გადაწყვეტის საფუძველზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დიდი მოცულობის ინფორმაციის ანუ ინფორმაციული ნაკადების დამუშავება და ანალიზი მოითხოვს სისტემურ მიდგომას. მასში ჩართული და გამოყენებული უნდა იყოს თანამედროვე პროგრამული საშუალებები და უახლესი მიდგომები უკვე არსებულ მონაცემთა და ცოდნის ბაზებში.

ბიბლიოგრაფია:

Барсегян, А. А., Куприянов, М. С., Степаненко, В. В., & Холод, И. И. (2007). *Технологии анализа данных.* Санкт-Петербург: БХВ-Петербург.

Tamar Naskidashvili
Gori State Teaching University

DATA PROCESSING ANALYSIS AND THEIR SUPPORT SYSTEMS

RESUMÉ

The paper “Data Processing Analysis and Their Support Systems” concerns the key approaches and tools for the information processing and analysis; it analysis the structure and contents of the Decision Support Systems which are considered to be particularly efficient for the data processing. The present paper also emphasizes the necessity of the creation and use of the professional analytical systems and the involvement of the online transaction processing systems throughout this process. The data protection and security issue is described in details within the reviewed systems.

Keywords: Decision support systems, Professional analytical systems, Information storage subsystem, Relational databases, Subject orientation.

თეიმურაზ ორმოცაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კვადრატული სამწევრის გრაფიკულ ენაზე წარმოდგენის შესახებ

საკვანძო სიტყვები: კვადრატული სამწევრი, გრაფიკული ენა, ფუნქცია, ინტერვალი.

კვადრატული სამწევრი ეწოდება მეორე ხარისხის მრავალწევრს, რომლის ზოგადი სახეა

$$ax^2 + bx + c, \quad a \neq 0.$$

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ამოცანები, რომლებიც გვხვდებიან მათემატიკის გამოცდაზე, პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული არიან კვადრატულ სამწევრთთან. ეს არცაა გასაკვირი, რადგან სკოლის პროგრამაში დიდი ადგილი და დრო უჭირავს კვადრატულ $ax^2 + bx + c = 0$ განტოლებას და $y = ax^2 + bx + c$ ფუნქციის თვისებების დადგენას. ეს ფუნქცია გვხვდება ფიზიკაში; მაგალითად, ჰორიზონტისადმი კუთხით გასროლილი მატერიალური წერტილის მოძრაობის აღწერისას.

მოსწავლეებმა კარგად იციან კვადრატულ სამწევრთან დაკავშირებული ფორმულები, იციან მის გრაფიკის (პარაბოლის) გამოსახვაც. მაგრამ, როდესაც საქმე მიდგება კონკრეტული ამოცანის ამოხსნაზე, უმრავლესობა ცდილობს სუფთა ანალიზური სახით ამოხსნას დასმული ამოცანა მხოლოდ ფორმულების გამოყენებით. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ამოცანისადმი გრაფიკული მიდგომა, პასუხის მოძებნის სწრაფ და ადვილ საშუალებად გვევლინება.

ჩვენ რამდენიმე მაგალითზე გაჩვენებთ, თუ რაოდენ საჭიროა მოსწავლისათვის ალგებრულ და გეომეტრიულ "ენებზე" ერთდროულად ფიქრი.

ამოცანა 1. ნახ. 1-ზე გამოსახულია კვადრატული სამწევრის რამდენიმე გრაფიკი. ნახაზები მიახლოებითია და მასშტაბი მითითებული არ არის. თითოეული ამ პარაბოლისთვის განსაზღვრეთ a, b და c კოეფიციენტების ნიშნები.

მაგალითად, განვიხილოთ (იხ. ნახ. 1) პარაბოლა №4; ის წარმოადგენს რომელიღაც $f(x) = ax^2 + bx + c$ კვადრატული ფუნქციის გრაფიკს. რადგან, პარაბოლას შტოები მიმართულია ზემოთ ამიტომ $a > 0$. შემდეგ, c - კოეფიციენტი უდრის ფუნქციის მნიშვნელობას $x = 0$ წერტილში. ე.ი. $c = f(0)$. ნახაზიდან ჩანს, რომ მე-4 პარაბოლის გრაფიკი ორდინატთა ღერძის დადებით მიმართულებას გადაკვეთს, ამიტომ, $c > 0$. (ორმოცაძე, 1999)



(ნახ. 1)



(ნახ. 2)

პარაბოლას წვეროს აბსცისაა $-\frac{b}{2a}$; ნახაზიდან ჩანს, რომ ის დადებითია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ $a>0$, ამიტომ , $b<0$.

პასუხი: $a>0$, $b<0$, $c>0$.

ნახ. 1-ზე წარმოდგენილი დანარჩენი შემთხვევების განხილვა დაინტერესებულ პირთათვის მიგვინდვია.

ბევრ ამოცანაში აუცილებელია კვადრატული ფუნქციის ყოფაქცევის გამოკვლევა მოცემულ $(\alpha,\ \beta)$ ინტერვალში; ასევე აუცილებელია აღვწეროთ ფესვების მდებარეობა ფიქსირებული $x=\gamma$ წერტილის მიმართ და ა.შ. ასეთი ტიპის ამოცანებში გეომეტრიული ენა (გრაფიკული წარმოდგენა) ამოხსნის პროცესს საგრძნობლად ამარტივებს.

ამოცანა 2. a, b და c კოეფიციენტების რომელი მნიშვნელობებისათვის იქნება $ax^2+bx+c=0,\ \ a\neq 0,\ \ b^2-4ac>0$ განტოლების ერთი ფესვი $\alpha<x<\beta$ ინტერვალში?

სხვანაირად, რომ ვთქვათ a, b და c კოეფიციენტების რომელი მნიშვნელობებისათვის გადაკვეთს $f(x)=ax^2+bx+c$ ფუნქციის გრაფიკი აბსცისთა ღერძს ზუსტად ერთხელ $\alpha<x<\beta$ ინტერვალში.

თუ ანალიზურად შევეცდებით ამ ამოცანის ამოხსნას, x_1 და x_2 კვადრატული სამწევრის ფესვების გამოყენებით, მაშინ მხოლოდ ის პირობა, რომ ერთი ფესვი მდებარეობს α და β რიცხვებს შორის, საკმაოდ რთული ჩასაწერია.

წარმოვიდგინოთ, როგორი მდებარეობა უნდა ჰქონდეს პარაბოლას, რომელიც აკმაყოფილებს ამოცანის პირობას. ცხადია, (ნახ. 2)-ზე წარმოდგენილი ოთხი შემთხვევიდან ერთ-ერთი. შევნიშნოთ, რომ თითოეულ ამ შემთხვევისათვის $f(x)$ ფუნქციას α და β წერტილებში აქვს სხვადასხვა ნიშანი ანუ $f(\alpha)\cdot f(\beta)<0$ უფრო კონკრეტულად კი $\left(a\alpha^2+b\alpha+c\right)\cdot\left(a\beta^2+b\beta+c\right)<0$. ეს პირობა აუცილებელი და საკმარისია, რომ $ax^2+bx+c=0,\ \ a\neq 0,\ \ b^2-4ac>0$ განტოლების ერთი ფესვი $(\alpha;\beta)$ ინტერვალში მდებარეობდეს.

მაშასადამე, გრაფიკებმა გვიჩვენეს აღნიშნული პირობა და ისინი მოგვცემენ ამ პირობის აუცილებელ და საკმარის პირობების დამტკიცების საშუალებას.

აუცილებლობა: ვთქვათ, განტოლებას აქვს ორი x_1 და x_2 $(x_1<x_2)$ ფესვი. ამასთან ერთ-ერთი მდებარეობს $(\alpha;\beta)$ ინტერვალში, ხოლო მეორე არა. მაშინ, α და β რიცხვებიდან ერთი მდებარეობს (x_1, x_2) ინტერვალში, მეორე კი არა. მაგრამ, სკოლის პროგრამაში მტკიცდება, რომ $f(x)=ax^2+bx+c$ ფუნქციის მნიშვნელობა (x_1, x_2) ინტერვალის გარეთ და მის შიგნით სხვადასხვა ნიშანი აქვს. ე.ი. $f(\alpha)\cdot f(\beta)<0$. (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2014)

საკმარისობა: დაუშვათ, $f(\alpha)$ და $f(b)$ რიცხვებს სხვადასხვა ნიშანი აქვთ. მაშინ $b^2-4ac>0$ ამიტომ, $ax^2+bx+c=0$ განტოლებას აქვს ორი x_1 და x_2 ფესვი, ხოლო ფუნქციის მნიშვნელობა (x_1, x_2) ინტერვალში და მის გარეთ სხვადასხვა ნიშნის არიან.

ამიტომ, α და β რიცხვებიდან მხოლოდ ერთი მდებარეობს (x_1, x_2) ინტერვალის შიგნით. მაგრამ, ეს ნიშნავს, რომ x_1 და x_2 რიცხვებიდან მხოლოდ ერთი მდებარეობს $(\alpha;\beta)$ ინტერვალში.

ცხადია, რომ კვადრატულ $y=ax^2+bx+c,\ \ a\neq 0,\ \ b^2-4ac=0$ ფუნქციას აქვს ერთი ფესვი $x_0=-\frac{b}{2a}$ და ის მდებარეობს $(\alpha;\beta)$ ინტერვალში, თუ $\alpha<-\frac{b}{2a}<\beta$.

ამოცანა 3. დაამტკიცეთ, რომ ნებისმიერი λ რიცხვისათვის $f(x)=(x-a)(x-b)+\lambda(x-c)(x-d)$ კვადრატულ სამწევრს აქვს ნამდვილი ფესვები, თუ ცნობილია, რომ c და d რიცხვებიდან ერთ-ერთი მდებარეობს a და b რიცხვებს შორის.

შევნიშნოთ, რომ $f(c)=(c-a)(c-b)$ და $f(d)=(d-a)(d-b)$. პირობის თანახმად ამ რიცხვებიდან ერთი დადებითია, ხოლო მეორე უარყოფითი. ამიტომ, სამწევრს აქვს ნამდვილი ფევები, რომელთაგანაც ერთი მდებარეობს (a,b) ინტერვალში, ხოლო მეორე მის გარეთ.

სხვადასხვა კვადრატული ფუნქციის გრაფიკების განხილვის შედეგად, ადვილად შევამჩნევთ ერთ საინტერესო თვისებას: **კვადრატული სამწევრის მაქსიმალური და მინიმალური (უდიდესი და უმცირესი) მნიშვნელობები შეიძლება მიღწეული იქნან შემდეგ სამ წერტილში: $x=-\dfrac{b}{2a}$ წერტილში, თუ რა თქმა უნდა ის ეკუთვნის $[\alpha,\beta]$ მონაკვეთს; α -წერტილში და β -წერტილში (მონაკვეთის ბოლოებში).**

ამოცანა 4. a პარამეტრის რომელი მნიშვნელობებისათვის სრულდება

$$\sin^6 x+\cos^6 x+a\sin x\cos x\ge 0$$ **უტოლობა ყოველი x -სათვის?**

გარდავქმნათ უტოლობის მარცხენა მხარე:

$$\left(\sin^2 x\right)^3+\left(\cos^2 x\right)^3+a\sin x\cos x=$$

$$=\left(\sin^2 x+\cos^2 x\right)\left(\sin^4 x-\sin^2 x\cos^2 x+\cos^4 x\right)+a\sin x\cos x=$$

$$=\left[\left(\sin^2 x+\cos^2 x\right)^2-3\sin^2 x\cos^2 x\right]+a\sin x\cos x=1-\frac{3}{4}\sin^2 2x+\frac{a}{2}\sin 2x$$

შემოვიტანოთ აღნიშვნა $\sin 2x\equiv y$; ცხადია, რომ $-1\le y\le 1$ და y^2-ის კოეფიციენტი უარყოფითია, ამიტომ $-\dfrac{3}{4}y^2+\dfrac{a}{2}y+1$ კვადრატული სამწევრის მინიმუმი მიიღწევა $[-1;1]$ მონაკვეთზე.

მაშასადამე, $-\dfrac{3}{4}y^2+\dfrac{a}{2}y+1\ge 0$ უტოლობა სრულდება მთელ $[-1;1]$ მონაკვეთზე, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კვადრატული სამწევრი არაუარყოფითია მონაკვეთის ბოლოებზე:

$$\begin{cases}-\dfrac{3}{4}(-1)^2+\dfrac{a}{2}(-1)+1\ge 0\\[2mm] -\dfrac{3}{4}\cdot 1^2+\dfrac{a}{2}\cdot 1+1\ge 0\end{cases}\Leftrightarrow\begin{cases}a\le\dfrac{1}{2}\\[2mm] a\ge-\dfrac{1}{2}\end{cases}$$

პასუხი: მოცემული უტოლობა სრულდება ყოველი x -სთვის როცა $-\dfrac{1}{2}\le a\le\dfrac{1}{2}$.

ამოცანა 5. რაკეტამ უნდა გაიაროს გარკვეული H მანძილი. ის იწყებს მოძრაობას მუდმივი v სიჩქარით და ნებისმიერ მომენტში შეუძლია ჩართოს დამატებითი ძრავი, რომელიც მას ანიჭებს მუდმივ $a\ (a>0)$ აჩქარებას მოძრაობის ბოლომდე. საწვავის ხარჯი, მუდმივი სიჩქარით მოძრაობისას პროპორციულია მოძრაობაზე დახარჯული დროისა, ხოლო დამატებითი ძრავის ჩართვისას კი - დროის კვადრატისა პროპორციულობის k_1 და k_2 $(k_1,k_2>0)$ კოეფიციენტებით შესაბამისად. რა დრო უნდა იმოძრაოს რაკეტამ ჩართული დამატებითი ძრავით, რომ დახარჯული საწვავი იყოს უმცირესი?

ვთქვათ, τ - არის რაკეტის მუდმივი სიჩქარით მოძრაობის დრო, t - ჩართული დამატებითი ძრავით მოძრაობის დრო, A - საწვავის ხარჯი.



ნახ. 3. მინიმუმი, როცა $t = t_0$



ნახ. 4. მინიმუმი, როცა $t = t^*$

შემდეგი

$$H = v\tau + vt + \frac{at^2}{2}\ , \quad A = k_1\tau + k_2 t^2$$

განტოლებებიდან ვპოულობთ

$$\tau = \frac{1}{v}\left(H - vt - \frac{at^2}{2}\right), \qquad A = \left(k_2 - \frac{ak_1}{2v}\right)t^2 - k_1 t + \frac{k_1 H}{v}. \qquad (*)$$

შევნიშნოთ, რომ $0 \le t \le t_0$, სადაც t_0 – $H = vt + \frac{at^2}{2}$ განტოლების დადებითი $t_0 = \frac{-v + \sqrt{v^2 + 2aH}}{a}$ ფესვია. (ეს არის მოძრაობის დრო იმ შემთხვევაში, როცა დამატებითი ძრავი ჩართულია თავიდანვე).

დასმული ამოცანის ამოხსნა დადის შემდეგ ამოცანამდე:

ვიპოვოთ $A = A(t)$ $(*)$ **ფუნქციის მინიმუმი** $[0; t_0]$ **მონაკვეთზე.**



ნახ. 5. მინიმუმი, როცა $t = t^*$



ნახ. 6. მინიმუმი, როცა $t = t_0$

1) $k_2 - \frac{ak_1}{2v} < 0.$ $A = A(t)$ პარაბოლის წვეროს აბსცისაა $t^* = \frac{k_1}{2\left(k_2 - \frac{ak_1}{2v}\right)} < 0$. მინიმუმი მიიღწევა, როცა $t = t_0$. (იხ. ნახ. 3).

2) $k_2 - \frac{ak_1}{2v} = 0$; $A = -k_1 t + \frac{k_1 H}{v}$. მინიმუმი მიიღწევა როცა $t = t_0$. (იხ. ნახ. 4).

3) $k_2 - \frac{ak_1}{2v} > 0$. პარაბოლას წვეროს აბსცისა $t^* = \frac{vk_1}{2vk_2 - ak_1} > 0$.

თუ $t^* \le t_0$, მაშინ მინიმუმი მიიღწევა როცა $t = t^*$. (იხ. ნახ. 5).

თუ $t^* \ge t_0$, მაშინ მინიმუმი მიიღწევა როცა $t = t_0$. (იხ. ნახ. 6).

პასუხი: თუ $2vk_2 - ak_1 > 0$ **და** $\frac{vk_1}{2vk_2 - ak_1} \le \frac{-v + \sqrt{v^2 + 2aH}}{a}$ **მაშინ** $t = \frac{vk_1}{2vk_2 - ak_1}$

თუ $2vk_2 - ak_1 \le 0$ **ან** $2vk_2 - ak_1 > 0$ **და** $\frac{vk_1}{2vk_2 - ak_1} > \frac{-v + \sqrt{v^2 + 2aH}}{a}$ **მაშინ**

$t = \frac{-v + \sqrt{v^2 + 2aH}}{a}$.

ამრიგად, ნაშრომში მოყვანილი ამოცანებით გაკეთებული აქცენტები სასარგებლო იქნება დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისა და აბიტურიენტებისათვის, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და განათლების ფაკულტეტის მაგისტრებისათვის. ჩვენი აზრით, ეს საკითხები ასევე ფასდაუდებელ დახმარებას გაუწევს იმ დამწყებ მასწავლებლებს, რომლებიც ჩართული არიან "მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში".

ბიბლიოგრაფია:

ახალაია, შ., & ორმოცაძე, თ. (2000). საშუალო სკოლაში ირიბკუთხა სისტემის სწავლების შესახებ. *თსუ სოხუმის ფილიალის მოამბე,* (ტ. 3).

ორმოცაძე, თ. (1999). *გეომეტრიული ილუსტრაცია როგორც პარამეტრიანი ამოცანების ამოხსნის გამარტივების შესაძლებლობა. მოხსენებები* (ტ. 25). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ორმოცაძე, თ. (2010). სასწავლო მეცადინეობათა ფორმების როლი მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებაში. *საერთაშორისო პერიოდული გამოცემა "განათლება"* (2).

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი. (2014). *როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის: მათემატიკა.*

Teimuraz Ormotsadze

Sokhumi State University

ABOUT THE PRESENTATION OF A QUADRATIC TRINOMIAL IN GRAPHICAL LANGUAGE

RESUME

In this work it is well described the interesting approach about the connection between the solution about the analytical tasks and graphical answers. To our mind this approach will be helpful for the people, who are interested in Math, especially in studying graphics. In addition, it will be great opportunity for current teachers, to make their working environment more interesting, comprehensible and much more various.

Keywords: Quadratic trinomial, Graphical language, Function, Interval.

ნანა გელოვანი, ირმა გოდერძიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

მცენარეული ანტრაცენწარმოებულების აღმოჩენა და გამოცალკევება მცენარეული ნედლეულიდან

საკვანძო სიტყვები: მცენარეული ნედლეული, ანტრაცენწარმოებულები, დაჟანგულობის ხარისხი, ანტრაგლიკოზიდები.

თანამედროვე ნორმატიულ დოკუმენტაციაში, რომელიც მზადდება სამკურნალო მცენარეული ნედლეულისათვის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად გათვალისწინებულია მათ შემადგენლობაში შემავალი ძირითადი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების აღმოჩენა და ნორმირება. კვლევა მიმდინარეობს ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით. საანალიზო ნივთიერებების ჯგუფს, ან ინდივიდუალურ ნივთიერებას წინასწარ გამოჰყოფენ მცენარეული ნედლეულიდან. ხშირად იყენებენ გამხსნელებით ექსტრაქციის მეთოდს, რის შედეგადაც იღებენ კომპონენტთა ნარევს. შემდეგ აწარმოებენ მინარევებისაგან გასუფთავებას, ჰყოფენ ცალკეულ ფრაქციებად და/ან გამოჰყოფენ ინდივიდუალურ ნივთიერებებს ქრომატოგრაფიული მეთოდების გამოყენებით.

მცენარეული ნედლეულის მიერ სინთეზირებულ, ფარმაკოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა შორის, ცნობილია ქინოიდური სტრუქტურის მქონე ანტრაცენის ნაწარმები. მცენარეებში ანტრაცენწარმოებულების როლზე, არსებობს სხვადასხვა აზრი, მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ისინი იცავენ მცენარეებს პარაზიტებისგან, არის აზრი, რომ ისინი ხელს უწყობენ პოლისაქარიდების დაგროვებას, მაგრამ ჩვენ უფრო ვემხრობით მოსაზრებას, რომ მათი ძირითადი ფუნქციაა მცენარეში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენით პროცესებში მონაწილეობა.

ეს ნაერთები განაპირობებენ მრავალი ფიტოპრეპარატის სრულიად განსხვავებულ ფარმაკოთერაპიულ ზემოქმედებას: საფაღარათო, შემკვრელ, ანთების საწინააღმდეგო, ადაპტოგენური, დიურეტული, სიმსივნის საწინააღმდეგო.

მეთოდოლოგია:

ანტრაცენწარმოებულები ბუნებრივი ნაერთების ჯგუფია, რომლის საფუძველიც არის დაჟანგულობის სხვადასხვა რიცხვის მქონე ანტრაცენის ბირთვი (ბ ბირთვი).



ისინი იყოფა სამ ძირითად ჯგუფად:

1. მონომერები - გვხვდება ანტრაცენის 1 ბირთვი -

   ა. დაჟანგული ფორმები, 9,10 - ანტრაქინონის ნაწარმები;



ანტრაქინონი

ბ. ანტრაქინონის აღდგენილი ფორმები - ანტრანოლის, ანტრონის და ოქსიანტრონის ნაწარმები:



ანტრანოლი ანტრონი ოქსიანტრონი

უნდა აღინიშნოს, რომ ანტრაცენწარმოებულების აღდგენილი ფორმები გამოირჩევიან ლაბილურობით, ადვილად იჟანგებიან ჰაერის ჟანგბადით ანტრაქნონამდე. მცენარეულ ნედლეულში გვხვდება ორივე ფორმა.

2. დიმერები - ანტრაცენის 2 ბირთვით;

3. კონდენსირებული ანტრაცენწარმოებულები.

ანტრაცენწარმოებულები კრისტალური ნივთიერებებია, მათი შეფერილობა შეიძლება იყოს წითელი, ნარინჯისფერი ან ყვითელი. ანტრაცენწარმოებულების აგლიკონები კარგად იხსნებიან ეთილის ეთერში, ქლოროფორმში, ბენზოლში და სხვა ორგანულ გამხსნელებში; წყალში არ იხსნებიან, მაგრამ წყლით განზავებულ ტუტეთა ხსნარებში, ფენოლატების წარმოქმნის ხარჯზე იხსნებიან ადვილად.

ანტრაცენწარმოებულები გლიკოზიდების სახით წყალში ხსნადია, კარგად ხსნადია ფუძეებში, ცუდად - მეთანოლსა და ეთანოლში. უხსნადია ორგანულ გამხსნელებში - ბენზოლში, ეთილისეთერში, ქლოროფორმსა და სხვ.

210°C - მდე გაცხელებისას, ისინი განიცდიან სუბლიმაციას.

ანტრაცენწარმოებულების უმეტესობა აღგზნებულ მდგომარეობაში ფლუორესცირებენ სინათლის ულტრაიისფერ უბანში მოლურჯო-იისფრად. ამასთანავე, ფლუორესცენციის ბუნება და ხარისხი დამოკიდებულია ძირითადი ბირთვის დაჟანგულობის ხარისხზე და ჩამნაცვლებლების განლაგებაზე: ანტრაქინონები ფლუორესცირებენ ნარინჯისფრად, ვარდისფრად, წითლად, ალისფერ-წითლად; ხოლო ანტრონები და ანტრანოლები - ყვითლად, ცისფრად, იისფრად.

მცენარეულ ნედლეულში ანტრაცენწარმოებულების ლოკალიზაცია და დაგროვების დინამიკა

ანტრაცენწარმოებულები გვხვდება უმაღლესი მცენარეების რამდენიმე ოჯახის წარმომადგენლებში: მატიტელასებრნი (Polygonaceae) (რევანდი - Rheum, მჟაუნა - Acetosa), ხეჭრეჯასებრნი (Rhamnaceae) (ხეჭრელა, ხეშავა), და სხვ. ისინი ნაპოვნია ზოგიერთ სოკოში, მწერებში და ზღვის ცხოველების ორგანიზმებშიც კი.

მცენარეებში აღნიშნული ნაერთების დაგროვება უშუალოდ არის დაკავშირებული მათ ასაკთან და განვითარების ფაზასთან. რაც უფრო დიდია მცენარის ასაკი, მით მეტია მათში ანტრაცენწარმოებულების კონცენტრაცია. ასაკოვან მცენარეებში ჭარბობს ნაერთების დაჟანგული ფორმები, ახალგაზრდა მცენარეებში - აღდგენილი.

მცენარეული ნედლეულის შეგროვების პროცესში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანტრაცენწარმოებულების დაჟანგული ფორმები გამოირჩევიან მეტი ფარმაკოლოგიური აქტივობით, მათი აღდგენილი ფორმები მცენარეში უმეტესად გროვდება ადრე გაზაფხულზე, ხოლო შემოდგომაზე ისინი გადადიან დაჟანგულ ფორმაში.

აღდგენილ ფორმაში ანტრაცენებს ხშირად აქვთ გვერდითი მოვლენები, იწვევენ: გულის რევის შეგრძნებას, ღებინებას, სპაზმებს; ამიტომ ხეჭრელას ახლად აღებულ ქერქს, რომელშიც ჭარბობდა ანტრაცენების აღდგენილი ფორმები, გამოყენებამდე ვაყოვნებდით ხანგრძლივად, და ვამუშავებდით თერმულად 100°C-ზე 1 სთ-ის მანძილზე (დადასტურდა, რომ ამ დროს ანტრაცენწარმოებულების აღდგენილი ფორმები იჟანგება) ან უმეტეს შემთხვევაში ვიყენებდით ერთი წლის ნიმუშებს.

ძირითადი ნაწილი

ნედლეულად შევარჩიეთ ხეჭრელი (Rhamnus Imeretina)

შერჩეული მცენარე ხეჭრელისებრთა ოჯახის წარმომადგენელი დაბალტანიანი ხეა სიმაღლით 3,7 მ, ძველ ტოტებზე შეინიშნება მუქი ნაცრისფერი ქერქი, ახლად ამოყრილი ყლორტები მოწითალო-ყავისფერია. რადგან ჩვენ გვაინტერესებდა მცენარის ქერქი, ლანცეტის საშუალებით მოვახდინეთ მისი ჩამოფხეკა, ქერქის გარე ფენის ჩამოფხეკის შემდეგ გამოჩნდა მუქი-ჟოლოსფერი კორპისებრი ფენა.

ცნობილია, რომ ხეჭრელის ქერქში ანტრაგლიკოზიდები 8%-მდეა.

ცნობილია, რომ ხეჭრელის ქერქი კარგი საფაღარათო საშუალებაა; მასში არსებული ანტრაგლიკოზიდები აძლიერებენ ნაწლავების პერისტალტიკას; ქერქი ხშირად იხმარება სპასტიკური კოლიტების, ატონიური შეკრულობის, ბუასილის დროს კუჭნაწლავის მოქმედების მოსაწესრიგებლად, სწორი ნაწლავის ნახეთქების დროს და სხვა. ფარმაცევტული მრეწველობა უშვებს ხეჭრელის თხევად და მშრალ ექსტრაქტებს.

ანტრაგლიკოზიდების ექსტრაჰირება

ექსპერიმენტისთვის აღებული მცენარის ქერქი

მცენარეული ნედლეულის მიერ დასინთეზირებული ფარმაკოლოგიუტრად აქტიური ნივთიერებების თავისებურ ჯგუფს ქმნის ქინოიდური სტრუქტურის მქონე ანტრაცენის ნაწარმები. ისინი გვხვდებიან როგორც გლიკოზირებულ, ასევე არაგლიკოზირებული ფორმით. ანტრაცენის ნაწარმების დიდი ნაწილი მიეკუთვნება პოლიოქსი(მეტოქსი)-ანტრაქინონებს ჩამნაცვლებლებით $-CH_3$, $-CH_2OH$, -CHO, -COOH β მდგომარეობაში, მაშინ როცა -OH და $-OCH_3$ - ჯგუფები შეიძლება იმყოფებოდეს როგორც α-, ისე β-მდგომარეობაში.



რეინი **ქრიზოფანოლი**

ალოემოდინი **ფისციონი**

მცენარეული ნედლეულიდან გამოყოფილი ანტრაქინონები

მცენარეული ნედლეულიდან ანტრაგლიკოზიდების ექსტრაჰირება მოვახდინეთ წყლით და ეთილის სპირტით, ვცადეთ სპირტ-წყალხსნარითაც, როგორც აღმოჩნდა, აგლიკონები უკეთ იხსნებიან ორგანულ გამხსნელებში, მაგრამ ხსნადობა - შერჩევითია თითოეული ნაერთისთვის.

შედეგები:

ექსპერიმენტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა ასეთი სურათი: ანტრაქინონები, რომლებსაც ჩამნაცვლებლად აქვთ კარბოქსილური ჯგუფი კარგად იხსნებიან ტუტე ლითონების და მათი ჰიდროქსიდების, კარბონატების და ჰიდროკარბონატების წყალხსნარებში და წარმოქმნიან მარილებს.

ანტრაქინონები, რომლებსაც β-მდგომარეობაში აქვთ ჰიდროქსილის იონი, არ ურთიერთქმედებენ ჰიდროკარბონატებთან, მაგრამ ტუტე ლითონების კარბონატების და ჰიდროკარბონატების წყალხსნარებთან იძლევიან ფენოლატებს.

ნივთიერებები, რომლებშიც ჰიროქსილი გვხვდება α - მდგომარეობაში, ფენოლატებს იძლევიან მხოლოდ ტუტეების ხსნარებთან.

α- და β მდგომარეობაში არსებულ ოქსიჯგუფებს შორის განსხვავება აიხსნება იმით, რომ α-ჰიდროქსიდები მეზობელ კარბონილურ ჯგუფთან წარმოქმნიან შიდამოლეკულურ წყალბადურ ბმას, რის გამოც ნაკლებად აქტიურები არიან.

ბიბლიოგრაფია:

აბაშიძე, ი. (რედ.). (1980). *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია* (ტ. 5). თბილისი.

Алексеев, Ю. Е., & Цвелёв, Н. Н. (1996). Сем. Rhamnaceae Juss. — Крушиновые. В Н. Н. Цвелёв (Ред.), *Флора Восточной Европы* (Т. IX, стр. 392-398). СПб: Мир и семья-95.

Грубов, В. И. (1949). Монографический обзор рода Rhamnus L. *Труды Ботанического института АН СССР: Серия 1.* (Т. 8).

Муравьёва, Д. А. (1978). *Фармакогнозия.* Москва.

Category: Rhamnus imeretina. (n.d.). Retrieved September 15, 2018, from https://commons.wikimedia.org/wiki/Category:Rhamnus_imeretina

Nana Gelovani, Irma Goderdzishvili

Georgian Technical University

DISCOVERY AND SEPARATION OF HERBAL ANTHRACENE DERIVATIVES FROM VEGETABLE RAW MATERIALS

RESUME

The work deals with the methods of separation and identification of antennae derivatives of cinematic structures, which are synthesized and pharmacologically active substances by vegetable raw materials. The selected plant is a low-grade tree with a height of 3,7 m, with dark gray crust on old branches, freshly squeezed sprouting reddish brown.

During the experiment, anthraquinas that have been replaced by the carboxyl group are well remedied for alkaline metals and their hydroxides, carbonates and hydrocarbons in aqueous solution and produce salts.

Keywords: Vegetable raw, Antacid derivatives, Oxidation quality, Antragilocytes.

ნელი გოგინაშვილი, ესმა წკრიალაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ზოგიერთი ვიტამინის შემცველობა მცენარეულ საკვებ პროდუქტებში (შიდა ქართლის პირობებში)

საკვანძო სიტყვები: ვიტამინები, ხილ-ბოსტნეული, მცენარის ორგანოები.

ვიტამინები სხვადასხვა სტრუქტურის მქონე დაბალმოლეკულური ნაერთებია, რომლებიც მონაწილეობენ ორგანიზმში მიმდინარე მთელ რიგ ბიოქიმიურ პროცესებში. ჯერ კიდევ 100 წლის წინ შემჩნეული იყო, რომ ადამიანის ნორმალური ცხოველქმედებისათვის ნახშირწყლების, ცილებისა და ლიპიდების გარდა, საჭირო იყო უცნობი დამატებითი ფაქტორები. საკვებში მათი არარსებობისას აღინიშნებოდა მთელი რიგი მძიმე დაავადება, რომლის გამომწვევი ერთ-ერთი ფაქტორია ვიტამინები.

ვიტამინები წარმოადგენენ ორგანული ნივთიერებების ჯგუფს, რომელთაც აქვთ ნაირფეროვანი ქიმიური აგებულება, ძლიერ მცირე დოზებით არიან ბიოლოგიურად აქტიურნი და სიცოცხლისათვის აუცილებელი ნივთიერებები. მათ აქვთ დიდი მნიშვნელობა ცოცხალი უჯრედების ნივთიერებათა ცვლაში, ამაღლებენ დაავადებებისადმი ორგანიზმის გამძლეობის უნარს, ხელს უწყობენ ორგანიზმის დეზინტოქსიკაციას (ტოქსიკური ნივთიერებების გამოდევნას და გაუვნებელყოფას) და ორგანოების ნორმალური ფიზიოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებას. ცალკეული ვიტამინის ფუნქციები იმდენად მჭიდროდ არიან ერთიმეორესთან დაკავშირებული, რომ ერთის ნაკლებობა არღვევს მეორის გამოყენებას, ე.ი. ხდება ვიტამინების ცვლის დარღვევა და შესაბამისად ფუნქციის მოშლა. არის დაავადების ისეთი ფორმები, რომლებიც არ ექვემდებარება ვიტამინურ თერაპიას (ვიტამინრეზისტენტული მდგომარეობა). ასეთ შემთხვევაში დაავადება მძიმე ფორმით მიმდინარეობს და ის ხშირად სიკვდილითაც კი მთავრდება. (ალექსიძე, 2008; ერისთავი, 2005)

ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმში ვიტამინები არ სინთეზირდება. მათი ბიოსინთეზი ხორციელდება უმაღლეს და ზოგიერთ დაბალ საფეხურზე მყოფ მცენარეთა მწვანე ნაწილებსა და ნაყოფებში, რაც მიუთითებს მათ კავშირზე ქლოროფილთან.

ამჟამად ცნობილია 30-მდე ვიტამინი, მათგან დაახლოებით 20 მოდის მცენარეულ და ცხოველურ საკვებზე. მცენარეული ნედლეული არის ძვირფასი წყარო ადამიანისათვის საჭირო ვიტამინებისა. მათი გამოყენებისას პრაქტიკულად გამორიცხულია დოზის სიჭარბე და გვერდითი მოვლენები, რომელიც გარდაუვალია სინთეზური ვიტამინების პრეპარატების უკონტროლოდ და ხანგრძლივად მიღებისას. (Ловкова, Рабинович, Пономарева, Бузак, & Соколова, 1990)

ვიტამინების ძირითადი წყარო მცენარეული წარმოშობის საკვებია, თუმცა ზოგიერთი ვიტამინი მხოლოდ ცხოველურ ორგანიზმშია აღმოჩენილი (ვიტამინი A, D, B_{12}). თავის მხრივ, როგორც ვიტამინი A, ისე ვიტამინი D გენეზისურად მაინც მცენარეული წარმოშობის წინამორბედებთანაა დაკავშირებული, კერძოდ ვიტამინი A - კაროტინი და სტეროლები. (ალექსიძე, 2008; კოშორიძე, 2013)

ცხოველურ ორგანიზმში ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ვიტამინები არ განიცდიან დეპონირებას და როგორც წესი, საჭიროა საკვებთან ერთად მათი მიღება. ვიტამინების დღე-ღამური ნორმა მკგ-დან რამდენიმე მგ-ის ფარგლებში მერყეობს. ვიტამინებთან ერთად მცენარეული საკვები შეიცავს მათ მსგავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომელთა დეფიციტი არ იწვევს რაიმე შესამჩნევ პათოლოგიას. ორგანიზმში წარმოებს ზოგიერთი მცენარეული ნივთიერების გარდაქმნა ვიტამინად. ამ წინამორბედებს მაგალითად, კაროტინებს, უწოდებენ პროვიტამინებს. (ერისთავი, 2005)

ჩვენ შევეხებით პროვიტამინ A-ს (ცხიმში ხსნადი) და ვიტამინ C-ს (წყალში ხსნადი) მნიშვნელობას ადამიანის ორგანიზმისათვის და მათ შემცველობას მცენარეულ საკვებში.

A ჯგუფის ვიტამინები წარმოიქმნებიან და აკუმულირდებიან მხოლოდ ცხოველურ წარმოშობის პროდუქტებში. მცენარეებში ისინი არ გვხვდება. დამტკიცებულია, რომ ცხოველურ ორგანიზმში A ვიტამინი წარმოიშობა მცენარეში არსებული ნივთიერებებიდან - კაროტინოიდებიდან. აქედან დადასტურდა, რომ კაროტინი წარმოადგენს პროვიტამინ A-ს. (ალექსიძე, 2008)

კაროტინოიდები თავისი ბუნებით წარმოადგენენ ტეტრატერპენებს - $C_{40}H_{56}$ და მცენარეებში არიან ჟანგბადის აქტიური გადამტანები. მათში შედის α, β, γ კაროტინი. მათგან ყველაზე აქტიურია β ფორმა. კაროტინი და კაროტინოიდფები (ისევე როგორ ვიტამინი C) მონაწილეობენ მცენარეებში ფოტოსინთეზის

პროცესში. მნიშვნელოვანია აგრეთვე მათი როლი მცენარის განაყოფიერებაში, ზრდასა და დაფესვიანებაში. (ალექსიძე, 2008; ერისთავი, 2005)

ვიტამინი A განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში, საიდანაც ადამიანი ითვისებს მზა სახით ან თვით წარმოქმნის მცენარის კაროტინოიდებიდან. მცენარეული საკვების მიღების შემდეგ მასში არსებული β-კაროტინის მოლეკულის ჰიდროლიზური დაშლის შედეგად ფერმენტ კაროტინაზას მონაწილეობით 1 მოლეკულიდან წარმოიქმნება 2 მოლეკულა ვიტამინი A, ხოლო კაროტინის α- და γ-იზომერებიდან - თითო მოლეკულა A



$$C_{40}H_{56} + 2H_2O \rightarrow 2C_{20}H_{29}OH$$

β-კაროტინი ვიტამინი A

დიდია ვიტამინ A-ს მნიშვნელობა ადამიანისათვის. მისი უკმარისობისას ხდება მხედველობის დაქვეითება (ქათმის სიბრმავე) ან საერთოდ დაბრმავება, ზრდის შეჩერება, იმუნიტეტის შემცირება, კანისა და ლორწოვანი გარსის გარქოვანება. ვიტამინი A და მისი წინამორბედი კაროტინები ავლენენ ანტიოქსიდანტურ და სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებას. (ალექსიძე, 2008; ერისთავი, 2005)

ვიტამინი C (ასკორბინის მჟავა) ორი ფორმით არსებობს: აღდგენილით და დაჟანგულით. ორივე ფორმა შექცევადია, სწრაფად გადადიან ერთმანეთში და კოფერმენტის სახით მონაწილეობენ ჟანგვა-აღდგენით რეაქციებში. როგორც კოფაქტორი, ასკორბინის მჟავა ჩართულია ისეთი ამინომჟავების ჰიდროქსილირების პროცესში, როგორიცაა პროლინი და ლიზინი, მონაწილეობს კოლაგენისა და კარნიტინის ბიოსინთეზში, აძლიერებს დერმის აბსორბციის უნარს, ავლენს ანტიოქსიდანტურ და ანტიკანცეროგენულ თვისებას, იცავს დაჟანგვისაგან ფოლიატსა და ვიტამინ E-ს. იგი ზრდის ორგანიზმის გამძლეობას დაავადებებისადმი, ხასიათდება აღმდგენი თვისებებით, აჩქარებს ქსოვილების რეგენერაციას, მონაწილეობს ნახშირწყლოვან ცვლაში, სისხლის შედედებაში, სტეროიდული ჰორმონებისა და კოლაგენის წარმოქმნაში. აღნიშნული ვიტამინი საგრძნობლად აკავებს ათეროსკლეროზის განვითარებას, განსაკუთრებით ეფექტურია სურავანდისას (ეს დაავადება ხასიათდება ღრძილების დაზიანებით, ღრძილებიდან სისხლის დენით). სამწუხაროდ, ვიტამინი C სინთეზური პრეპარტის სახით არ აღმოჩნდა ბუნებრივი C ვიტამინის სრულფასოვანი შემცვლელი, მიუხედავად იმისა, რომ ის მაინც ამჟღავნებს ანტივირუსულ მოქმედებას. ვიტამინი C ხასიათდება საკვებ და სამკურნალო მცენარეებზე ფართო გავრცელებით. (ალექსიძე, 2008; ერისთავი, 2005)

მცენარეებისაგან განსხვავებით ადამიანებსა და ცხოველებს არ გააჩნიათ ვიტამინ C-ს სინთეზის უნარი და საჭიროა მისი ყოველდღიური მიღება საკვებთან ერთად, რომლის დღე-ღამური ნორმაა 50-70 მგ. (ერისთავი, 2005)

ორგანიზმში ვიტამინების დეფიციტი იქმნება არასრულფასოვანი პროდუქტებით კვებისას, განსაკუთრებით ორგანიზმის მათზე გაძლიერებული მოთხოვნის პირობებში (ფიზიკური დატვირთვა, ორსულობა, ნაწლავებში ვირულენტური მიკროფლორის განვითარება და სხვ.). სრულფასოვან კვებაში კი განსაკუთრებული ადგილი უკავია მცენარეულ პროდუქციას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა ზოგიერთი ვიტამინის (ვიტამინი C, კაროტინი - პროვიტამინი A) აკუმულაციის დადგენა ბოსტნეული მცენარეებისა და ხილის პროდუქციაში (საკვებად გამოსაყენებელი ორგანოების მიხედვით).

კვლევა ჩატარდა შიდა ქართლის რეგიონში. კვლევისათვის შერჩეული იყო მცენარეთა ის სახეობები, რომლებიც ლიტერატურული წყაროების (ერისთავი, 2005; Ловкова, Рабинович, Пономарева, Бузак, & Соколова, 1990; Канделаки, Кезели, & Тарасишвили, 1954; რობაქიძე, 1977) მიხედვით მეტ-ნაკლები რაოდენობით შეიცავენ საკვლევ ვიტამინებს და ფართოდ არიან გავრცელებული როგორც საკვები მცენარეები (საკვლევ მცენარეთა ნუსხა იხ. ცხრილი 1, 2). ამასთან, აღნიშნული საკითხები საკვლევი რეგიონის ნიადაგურ-კლიმატური პირობების მიხედვით ნაკლებადაა შესწავლილი.

ცხრილი 1

ვიტამინ C-ს და კაროტინის (პროვიტამინი A) შემცველობა ბოსტნეულ მცენარეებში, მგ%

№	მცენარე	გამოსაყენებელი ორგანო	ვიტამინი C	კაროტინი (პროვიტამინი A)
1	ბოლოკი - Raphanus sativus L.	ძირხვენა	27	0,27
2	ისპანახი - Spinacia oleracea L.	ფოთოლი	52	2,30
3	კამა - Anethum graveolens L.	ფოთოლი	154	1,14
4	კარტოფილი - Solanum tuberosum L.	ტუბერი	20	კვალი
5	კიტრი - Cucumis sativus L.	ნაყოფი	13	კვალი
6	კომბოსტო თეთრთავიანი - Brassica olerace L. car capitata L.	თავი	45	0,31
7	კომბოსტო ყვავილოვანი - Brassica olerace L. var botrytis L.	თავი	77	0,54
8	ლობიო - Praceolus vulgaris (L.) Savi	მწვანე	21	0,43
9	მჟაუნა - Ramex asetosa L.	ფოთოლი	47	3,10
10	ნიახური - Apium graveolens L.	ფოთოლი	114	0,80
11	ნიახური - Apium graveolens L.	ფესვი	15	კვალი
12	ნიორი - Allium sativum L.	ბოლქვი	13	კვალი
13	ნიორი - Allium sativum L.	ფოთოლი	50	კვალი
14	ოხრახუში - Petroselinum crispum (Mill.) Nym.	ფოთოლი	315	2,17
15	პამიდორი - Lycopersicum esculentum Mill.	ნაყოფი	22	6,11
16	რეჰანი - Osimum basilicum L.	ფოთოლი	202	3,17
17	სალათა - Lactuca sativa L.	ფოთოლი	18	1,92
18	სუფრის ჭარხალი, წითელი - Beta vulgaris L.	ძირხვენა	12	1,12
19	სტაფილო - Daucus sativus (Hoffm) Roch L.	ძირხვენა	7	13,55
20	ტარხუნა - Artemisia dracunculus L.	ფოთოლი	84	3,07
21	ქინძი - Anethum graveolens L.	ფოთოლი	85	1,10
22	ქონდარი - Satureia hortensis L.	ფოთოლი	63	5,13
23	ცხარე წიწაკა - Capsicum annum L.	ნაყოფი	380	9,58
24	წიწმატი - Lepidum sativum L.	ფოთოლი	62	2,20
25	ხახვი თავიანი - Alliu cepa L.	ბოლქვი	9	კვალი
26	ხახვი მწვანე - Allium cepa L.	მთელი მცენარე	58	2,02

ცხრილი 2

ვიტამინ C-ს და კაროტინის (პროვიტამინი A) შემცველობა ხილში, მგ%

№	მცენარე	გამოსაყენებელი ორგანო	ვიტამინი C	კაროტინი (პროვიტამინი A)
1	ალუბალი - Gerasus vulgaris Mill.	ნაყოფი	15	0,21
2	ალუჩა - Prunus vachuschtii Breg.	ნაყოფი	13	0,22
3	ატამი - Persia vulgaris Mill.	ნაყოფი	13	0,55
4	ბალი - Gerasus avlum (L.) Moerch	ნაყოფი	15	0,21
5	გარგარი - Armeniuaca vulgaris Lam.	ნაყოფი	11	2,48
6	ვაშლი - Malus domestica Horkh.	ნაყოფი	15	0,87
7	თუთა - Morus alba L.	ნაყოფი	14	კვალი
8	კომში - Cudonia oblonga Mill.	ნაყოფი	27	1,95
9	მსხალი - Purus sp.div. cult.	ნაყოფი	8	კვალი
10	ქლიავი - Prunus domestica L.	ნაყოფი	12	0,25
11	შინდი - Cornus mas L.	ნაყოფი	30	1,09

ჩვენი კვლევის შედეგებით (ცხრილი 1, 2) გამოვლინდა მკვეთრი სხვაობა როგორც ვიტამინ C-ს, ისე კაროტინის შემცველობაში მცენარეთა სახეობების მიხედვით. სახელდობრ, C ვიტამინის რაოდენობა ბოსტნეულ მცენარეებში 7-380 მგ% (ცხრილი 1), ხოლო ხილის პროდუქციაში - 8-30 მგ% (ცხრილი 2)

ფარგლებში ცვალებადობს. ამასთან, ვარირება მნიშვნელოვნად მაღალია ბოსტნეულში, ხილის პროდუქციასთან შედარებით. ანალოგიური მდგომარეობაა კაროტინის დაგროვებაში (ცხრილი 2). ეს გარემოება, ჩვენი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს მცენარეთა სახეობების გენეზისთან.

ვიტამინ C-ს მაქსიმალური შემცველობით გამოირჩევა ცხარე წიწაკა (Capsicum annum L.) – 380 მგ%, მინიმალურით - სტაფილო (Daucus sativus (Hoffm) Roch L.) – 7 მგ%. რაც შეეხება კაროტინს, მისი მაქსიმალური რაოდენობაა ცხარე წიწაკაში (Capsicum annum L.) – 9,58 მგ%, ხოლო მინიმალური ანუ კვალი კიტრის (Cucumis sativus L.), კარტოფილის (Solanum tuberosum L.), თავიანი ხახვის (Alliu cepa L.), ნიახურსა (Apium graveolens L.) და ნივრის (Allium sativum L.) პროდუქციაში (ცხრილი 1).

რაც შეეხება ხილის პროდუქტებს, ვიტამინ C-ს მაქსიმალურად დაგროვების უნარი გამოვლინდა შინდის (Cornus mas L.) ნაყოფში - 30 მგ%, ხოლო მინიმალური მსხლის (Purus sp.div. cult.) ნაყოფში - 8 მგ%. კაროტინის მაქსიმალური დაგროვებით ხასიათდება გარგარი (Armeniuaca vulgaris Lam.) – 2,48 მგ%, მინიმალურით - თუთა (Morus alba L.) და მსხალი (Purus sp.div. cult.) - კვალი (ცხრილი 2).

ვიტამინ C-ს შემცველობის მიხედვით საკვლევი მცენარეები შეიძლება დავალაგოთ შემდეგი კლებადი რიგით:

ბოსტნეული

ცხარე წიწაკა > ოხრახუში > რეჰანი > კამა > ნიახური > ..... > სტაფილო

ხილი

შინდი > კომში > ბალი, ალუბალი, ვაშლი > თუთა > ..... > მსხალი

კაროტინის შემცველობით:

ბოსტნეული

სტაფილო > ცხარე წიწაკა > პამიდორი > ქონდარი > რეჰანი > ..... > თავიანი ხახვი

ხილი

გარგარი > კომში > შინდი > ვაშლი > ..... > მსხალი

მიღებული მასალის გაანალიზების საფუძველზე, ჩვენ მიერ გამოვლენილი იქნა ვიტამინ C-ს და კაროტინის (პროვიტამინი A) კონცენტრატორი ხილ-ბოსტნეული მცენარეები, რაც ჰიპო- თუ ჰიპერვიტამინოზის თავიდან აცილების საშუალებას მისცემს მოსახლეობას, ეს, თავის მხრივ, შეაფერხებს სხვადასხვა პათოლოგიების განვითარებას.

ბიბლიოგრაფია:

ალექსიძე, ნ. (2008). *ნორმალური და პათოლოგიური ბიოქიმია მედიკოსებისათვის.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი.

ერისთავი, ლ. (2005). *ფარმაკოგნოზია (სამკურნალო მცენარეები).* თბილისი: საქართველოს მაცნე.

კოშორიძე, ნ. (2013). *ბიოქიმია.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტი.

რობაქიძე, თ. (1977). *საქართველოში გავრცელებული სურნელოვან-სანელებელი ბოსტნეული კულტურები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

Канделаки, Г., Кезели, Т., & Тарасишвили, К. (1954). К вопросу о содержании витаминов в пряных растениях Грузии. *Труды Тбилисского Ботанического Института , XVI.*

Ловкова, М. Я., Рабинович, А. М., Пономарева, С. М., Бузак, Г. Н., & Соколова, С. М. (1990). *Почему растения лечат.* Москва: Наука.

Neli Goginashvili, Esma Tskrialashvili

Gori State Teaching University

THE COMPOSITION OF SOME VITAMINS IN PLANT PRODUCTS (SHIDA KARTLI ENVIRONMENT)

RESUME

Based on the research conducted to find out the composition of Vitamin C and Carotene (Provitamin A) in fruits and vegetables widely spread in Shida Kartli, the following plant concentrators were revealed:

Vitamin C:

From vegetables: Capsicum annum L. (Hot Pepper) > Petroselinum crispum (Mill.) Nym. (Parsley) > Osimum basilicum L. (Basil) > Foeniculum culgare Mill. (Dill) > Apium graveolens L. (Celery) >…… > Daucus sativus (Hoffm) Roch L. (Carrot).

From fruits:

Cornus mas L.(Dog –tree) > Cudonia oblonga Mill. (Quince) > Gerasus avlum (L.) Moerch (Cherry), > Gerasus vulgaris Mill. (Red Cherry), > Malus domestica Horkh (Apple), Morus alba L. (White Mulberrry), > …… > Purus sp.div. cult. (Pear);

Carotene (Provitamin A)

From vegetables:

Daucus sativus (Hoffm) Roch L. (Carrot) > Capsicum annum L. (Hot Pepper) > Lycopersicum esculentum Mill. (Tomato) > Satureia hortensis L. (Savory) > Osimum basilicum L. (Basil) > …….. > Alliu cepa L. (Onion);

From fruits:

Armeniuaca vulgaris Lam. (Apricot) > Cudonia oblonga Mill. (Quince) > Cornus mas L.(Dog –tree) > Malus domestica Horkh. (Apple) >…… > Purus sp.div. cult. (Pear);

It will help to have a full meal and correct imbalance of the studied vitamins.

Keywords: Vitamins, Fruits and vegetables, Plant organs.

ალექსანდრე იაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
მამია ტულუში, ნელი პაპუკაშვილი
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მოსწავლე გოგონების ფიზიკური მომზადების პრობლემური საკითხები

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური აღზრდა, ფიზიკური ვარჯიში, სპორტი, ჯანმრთელობა.

თანამედროვე პერიოდში საზოგადოების განვითარების სწრაფმა ტემპმა კაცობრიობის წინაშე მთელი რიგი პრობლემები დააყენა გადასაწყვეტად, რომელთა შორის წამყვანი მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებას ენიჭება. დღეს, კოსმოსური სივრცეების ათვისებისა და წარმოების მექანიზაცია-ავტომატიზაციის ეპოქაში ადამიანი სულ უფრო ნაკლებად მუშაობს ფიზიკურად, რასაც ემატება სატრანსპორტო საშუალებათა სწრაფი განვითარება, ყოველდღიური საყოფაცხოვრებო კომფორტი და სხვა. მაგრამ ამით ადამიანის მოძრაობითი აქტივობა, მისი კუნთური მუშაობა მცირდება, რაც მეტად ყურადსაღებია. აქტიური მოძრაობის შეზღუდვა უარყოფითად მოქმედებს არა მარტო ორგანიზმის ჰარმონიულ განვითარებაზე, არამედ ადამიანის ჯანმრთელობაზეც. სწორედ ამან განაპირობა როგორც ცალკეული ფიზიოლოგიური სისტემის, ისე მთლიანი ორგანიზმის ე. წ. ჰიპოდინამიის განვითარება.

ჰიპოდინამია, ანუ ჰიპოკინეზია, ორგანიზმის ფიზიკური აქტივობის (მოძრაობის) ხანგრძლივად შეზღუდვას ნიშნავს, რაც ჯანმრთელ ორგანიზმშიც კი იწვევს კუნთების, შინაგანი ორგანოებისა და მთელი რიგი სხვა სისტემების მხრივ არათუ ფუნქციური მდგომარეობის თვალსაჩინოდ დაქვეითებას, არამედ მათში დეგენერაციულ (ორგანულ) ცვლილებებს, რაც სხვადასხვა დაავადების განვითარების მიზეზი ხდება.

ადამიანის მიერ ცხოვრების მანძილზე მოძრაობის თვალსაჩინოდ შემცირება, კუნთების, ფილტვების, გულის, ნერვული სისტემის, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებისა და სხვა ორგანოების ფუნქციების დაქვეითება ორგანიზმის ძირითადი ფიზიოლოგიური პროცესის - ნივთიერებათა ცვლის მოშლას იწვევს, რაც მრავალი სხვა დაავადების განვითარების საწინდარია.

ჰიპოდინამიისა და მისი შედეგების წინააღმდეგ ბრძოლა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს. ამ საკითხში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწორ აღზრდას, სადაც ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ერთ-ერთი წამყვანი როლი ენიჭება. მოძრაობა ჯანმრთელობის საწინდარია და იგი სწორედ იმ ძირითად მხარეს წარმოადგენს, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უნდა ეჭიროს თითოეული პიროვნების ცხოვრების ყველა ეტაპზე. კუნთური მოძრაობა გაჯანსაღების თვალსაზრისით ყველაზე ეფექტურია

მაშინ, როდესაც ფიზიკური ვარჯიშის სახით ტარდება. მეცნიერული კვლევებით დადგენილია, რომ ფიზიკური ვარჯიშობა მრავალმხრივ სასიკეთო და მრავალფეროვან გავლენას ახდენს ადამიანის (მოზარდების, გოგონების, ქალების, მამაკაცების) ორგანიზმზე მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ყველა ასაკობრივ პერიოდში.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი მეტად მნიშვნელოვანია მოზარდი თაობის, და კერძოდ, გოგონათა ფიზიკური განვითარებისათვის, მათ თავიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ფიზიკური აქტივობის აუცილებლობის შეგნება. თითოეულმა მათგანმა კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ ჯანმრთელობა ნიშნავს არა რომელიმე დაავადების არქონას, არამედ ამ დაავადების თავიდან აცილებას, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვით არის შესაძლებელი. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ფიზიკური აქტივობა სიცოცხლის გახანგრძლივების, სოციალური და მატერიალური კეთილდღეობის საწინდარია. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს მთელ რიგ სკოლებში ჯერ კიდევ არ არის დამყარებული სათანადო წესრიგი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და კლასგარეშე მასობრივ-სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში. როგორც განათლების მინისტრის 2004 წლის 10 ნოემბრის N254 ბრძანებაში არის ფიქსირებული „ბოლო პერიოდში სასწავლო დაწესებულებებში სათანადო დონეზე არ დგას ფიზიკური აღზრდის სწავლების მიმდინარეობა.“ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროგრამის შესრულების მიზნით, საჯარო სკოლებში, არც დღეისათვის არ არის დამყარებული სათანადო წესრიგი (რის მხილველიც თავადვე გახლდით), საქმიანობაში შეინიშნება ზერელეობა და ფორმალიზმი. ამ მიმართებით, სწავლების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის ბევრი პრობლემური საკითხია გადასაწყვეტი. ტექნიკური პროგრესის შემოტევას დღემდე ვერ უწევს კონკურენციას სპორტული ბაზების სიმცირე სასწავლო დაწესებულებების და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ყოველივე ამან განაპირობა მოსწავლეთა, განსაკუთრებით კი გოგონათა მასობრივი უმოძრაობა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური ვარჯიში უზრუნველყოფს არა მარტო მოძრაობითი ფუნქციის განვითარებას, არამედ იგი დადებითად მოქმედებს ორგანიზმის თითქმის ყველა ფიზიოლოგიურ ორგანოსა და სისტემაზე (ცენტრალური, პერიფერიული, ვეგეტატიური, ენდოკრინული, ნერვული სისტემა, შინაგანი ორგანოები და სხვ.), აუმჯობესებს მათში მიმდინარე ფსიქიკურ, ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და მორფოლოგიურ პროცესებს. სისტემატური ფიზიკური ვარჯიშის დროს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში (ც.ნ.ს.) ძლიერდება ნერვული (აგზნება-შეკავებითი) პროცესები, უმჯობესდება მდგრადობა, წონასწორობა და სხვ. ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან ერთად ღრმა გარდაქმნას განიცდის შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები, რაც განაპირობებს შინაგანი ორგანოების, საბოლოოდ კი ნივთიერებათა ცვლის (მეტაბოლიზმის) რეგულაციას.

ცნობილია, რომ გოგონათა ფიზიკური განვითარების მაჩვენებლები და ფუნქციონალური შესაძლებლობანი საშუალოდ დაბალია, ვიდრე ვაჟებისა. ასე მაგალითად, მათი სიმაღლე და წონა ნაკლებია, ტანი რამდენადმე გრძელი, ხოლო კიდურები მოკლე. მენჯი გოგონებს რამდენადმე განიერი აქვთ, ვიდრე ვაჟებს, ხოლო მხრების სიგანე - ნაკლები. მენჯში თეძოს ძვლები მეტად გაშლილია. გოგონათა ზემოაღნიშნული ტანის პროპორციის თავისებურებები განსაზღვრავს ქვედა კიდურებზე ყრდნობისას ხელსაყრელ პირობებს, მაგრამ ზღუდავს სწრაფ გადაადგილებას და რიგ მოძრაობით მოქმედებებს.

სისტემატური ფიზიკური ვარჯიშობის ზეგავლენით გოგონათა ორგანიზმი თვალსაჩინოდ განიცდის ფიზიკურ და ფუნქციურ სრულყოფას. ფიზიკური ვარჯიშები უკეთ უზრუნველყოფს ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ძირითადი ფიზიკური თვისებების - ძალის, გამძლეობის, სისწრაფის, მოქნილობის და სიმარჯვის განვითარებას. საექიმო გამოკვლევებით დადგენილია, რომ გოგონები, რომლებიც წლების მანძილზე სისტემატურად ასრულებენ ფიზიკურ ვარჯიშებს, მკვეთრად განსხვავდებიან არამოვარჯიშე გოგონებისაგან როგორც ფიზიკური განვითარებით, ასევე ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობით.

სასკოლო ასაკის გოგონათა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ქალაქად და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში ცხოვრებას ნაკლებად მოძრავ პირობებში ატარებს, რაც უთუოდ ვნებს მათ ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას და უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, შეიმჩნევა მომატებული არტერიული წნევა, გულის კუნთის მოდუნებისა და სისხლძარღვთა დაავადების სიმპტომები, რაც ნაკლებად მოძრავი ცხოვრების შედეგია. ფიზიკურად სუსტად განვითარებულ ორგანიზმს ნაკლები უნარი აქვს დაავადების წინააღმდეგ ბრძოლისა. ასეთი გოგონა (მოზარდი) ხშირად ავადმყოფობს, რაც დაღს ასვამს მის გონებრივ განვითარებასაც და არღვევს განვითარების ჰარმონიულობას. სკოლის მოსწავლე გოგონებში არცთუ იშვიათად გვხვდება ბეჭებში მოხრილობა, მოდუნებული და მოშვებული სიარული, გულმკერდის სივიწროვე, ხერხემლის გამრუდება, კუნთების არასაკმარისი განვითარება, ჭარბი სიმსუქნე ან სიგამხდრე და სხვ. ყველა ამ არასასურველ დეფექტთან

ბრძოლა და მათი დაძლევა შეიძლება ვარჯიშების გამოყენებით, თუ ვარჯიშობას ექნება სისტემატური ხასიათი.

ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ 2015 წლის 23 ოქტომბერს იუნესკოს 2014-2015 წლების „მონაწილეობის პროგრამის“ შესაბამისად განახორციელა კვლევა „გენდერული თანასწორობა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაში“, რაც ეფუძნება იუნესკოს 37C/5 კომპეტენციის სფეროებსა და პროგრამულ პრიორიტეტებს. კვლევის მიზანი იყო საქართველოს სკოლის მოსწავლე გოგონების სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობის თავისებურებების შესწავლა, ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების გათვალისწინებით, როგორიც არის სოციო-ეკონომიკური, ეთნიკური, ტრადიციული, ინფრასტრუქტურული, გარემო და სხვა ფაქტორები; აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო სტრატეგიული გეგმისა და ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის. კვლევები ჩატარდა შვიდ რეგიონულ ცენტრსა და თბილისში. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა: სკოლის მოსწავლე-გოგონების ორი ასაკობრივი ჯგუფი (12-15 წლ. და 16-19 წლ.); მშობლები; სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები; მწვრთნელები და ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები. კვლევებში მონაწილეობა მიიღო 429 გოგონამ, 405 მშობელმა, სხვადასხვა სკოლის 19-მა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელმა, თექვსმეტმა მწვრთნელმა და რვა მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა, სულ 877 პიროვნებამ.

კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველოში საკმაოდ მკვეთრი გენდერული დისბალანსია, რაც გამოწვეულია უშუალოდ გოგონების პასიური ჩართულობით ფიზიკურ აქტივობებში; ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე მოსწავლე გოგონათა დასწრება (ყველა რეგიონში) იყო 71,1%. თუმცა გოგონათა ასაკის მატებასთან ერთად შეინიშნებოდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე მათი დასწრების მკვეთრი შემცირება. ამასთან, იმ მოსწავლეებისათვის, ვინც ესწრებოდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებს, სასწავლო მეცადინეობები სრულფასოვნად არ ტარდებოდა და რიგ შემთხვევაში ირღვეოდა უსაფრთხოების ნორმები. მშობელთა მხოლოდ 34% აღნიშნავდა, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე მათ შვილს აცვია სპორტული ფორმა. კვლევაში მონაწილე გოგონების მხოლოდ 36% არის დაკავებული სხვადასხვა სპორტული სახეობებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცადინეობებს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სასკოლო ასაკში, როდესაც ძირითადად მთავრდება მოზარდის ფიზიკური ფორმირება. სავსებით მართალი არიან ის პედაგოგები და ექიმები, რომლებიც მოითხოვენ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ყოველდღიური მეცადინეობების შემოღებას, შესვენების დროს მოძრავი თამაშების მოწყობა-ჩატარებას, რადგან აღნიშნული ღონისძიებები დიდად შეუწყობს ხელს მოსწავლე-გოგონათა არა მარტო ჯანმრთელობის განმტკიცებას და ფიზიკურ განვითარების სრულყოფას, არამედ მათი აკადემიური მოსწრების ამაღლებას.

მოზარდი ორგანიზმის ფიზიკური სრულყოფა სწორი ფიზიკური აღზრდით შეიძლება იქნეს მიღწეული. დადგენილია, რომ სისტემატურად წარმოებული ფიზიკური ვარჯიშობა, ყველა ასაკობრივ პერიოდში, დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე და ხელს უწყობს მის არა მარტო ფიზიკურ, არამედ გონებრივ განვითარებასაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისტემატურ კუნთურ მუშაობას (ფიზიკურ ვარჯიშობას) მოზარდის გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციური სრულყოფისათვის, რადგან გულის სწორი მუშაობა დიდადაა დამოკიდებული კუნთების ქმედითუნარიანობაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ ვარჯიშობას სასკოლო ასაკში, როცა ძირითადად მთავრდება ორგანიზმის ფიზიკური ფორმირება.

იმის გამო, რომ გოგონების ნერვ-კუნთოვანი აპარატი შედარებით სუსტადაა განვითარებული, ფიზიკური ვარჯიშობისა და შრომითი საქმიანობის დროს მათ გარკვეულად უნდა შეზღუდონ ძალისმიერი ვარჯიშები, განსაკუთრებით კი დაძაბული და შედარებით ხანგრძლივი კუნთური მუშაობის პროცესში. სამაგიეროდ, ვაჟებისაგან განსხვავებით, გოგონები უფრო თავისუფლად ეუფლებიან ვარჯიშებს ელასტიურობაზე, მოქნილობაზე, პლასტიკურობასა და კოორდინაციაზე.

სისტემატური ფიზიკური ვარჯიშობის ზეგავლენით გოგონების ორგანიზმი თვალსაჩინოდ განიცდის ფიზიკურ და ფუნქციურ სრულყოფას. ფიზიკური აქტივობა უზრუნველყოფს გოგონათა ორგანიზმისათვის დამახასიათებელ შედარებით სუსტი ფიზიკური თვისებების - ძალის, სისწრაფისა და გამძლეობის თანდათანობით განვითარებას, შესაბამისად იზრდება ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა, ასევე მატულობს გულის კუნთის მიოკარდიუმის მოცულობა მისი გასქელების ხარჯზე. აღნიშნულის შედეგად გული იწყებს ძლიერად და ამავე დროს ეკონომიურად მუშაობას. საექიმო გამოკვლევებით დადგენილია, რომ გოგონები, რომლებიც წლების მანძილზე სისტემატურად ეწევიან ფიზიკურ

ვარჯიშობას, განსხვავდებიან გაუვარჯიშებელი გოგონებისაგან როგორც ფიზიკური განვითარებით, ისე ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობით.

გოგონების კუნთოვანი სისტემა ნაკლებად არის განვითარებული, ვიდრე ვაჟებისა, ასევე გოგონებს ბევრად მეტი აქვთ ცხიმოვანი ქსოვილი, რის გამოც მათ ექმნებათ ნაკლებად ხელსაყრელი თანაფარდობა ტანის წონასა და კუნთებს შორის. გოგონები უფრო მოქნილები არიან ვიდრე ვაჟები, რადგან მათი შემაკავშირებელი აპარატი მეტად ელასტიკურია და კუნთებს დაჭიმულობის უკეთესი უნარიანობა აქვთ, ამიტომ მათ მიერ დიდი ამპლიტუდით მოძრაობის შესრულება გარკვეულად გაადვილებულია. რამდენადმე დაბალია გოგონების სისხლის მიმოქცევის და სასუნთქი ორგანოების ფუნქციური უნარიანობა, ვიდრე ვაჟებისა. გოგონების გულის შედარებით მცირე მოცულობა განსაზღვრავს გულის დაბალი ფეთქვის ოდენობას. ამდენად, გულის წუთოვანი მოცულობა უზრუნველყოფილი ხდება მისი კუმშვადობის დიდი სიხშირით. ასევე ნაკლებია მათი ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა, წუთში ფილტვების ვენტილიაცია და ჟანგბადის მოხმარება.

სწორედ ამიტომ, გოგონათა ჩართულობის მაჩვენებელი, სპორტის ნებისმიერ სახეობაში და ფიზიკურ აქტივობაში, საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მთელ მსოფლიოში როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, აღინიშნება გარკვეული დისბალანსი გოგონებისა და ქალების, ვაჟებისა და მამაკაცების სპორტში ჩართულობის მაჩვენებლებს შორის. ციფრები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და ეს სხვაობა არ უკავშირდება იმას, რომ ქალებს და გოგონებს არა აქვთ სურვილი მონაწილეობა მიიღონ სპორტულ ღონისძიებებში. უმეტესწილად, ეს უკავშირდება ქვეყნის ტრადიციებს და იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც ქვეყანა სთავაზობს გოგონებსა და ვაჟებს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.

იმასთან დაკავშირებით, რომ გოგონების ფუნქციური შესაძლებლობანი ვაჟებთან შედარებით ნაკლებია, ფიზიკურ აქტივობაში მეცადინეობებზე დატვირთვები გამარტივებული და გაადვილებული უნდა იყოს. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს ყოველი დამწყები მოვარჯიშე გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობა. ვიდრე ისინი დაიწყებდნენ ფიზიკურ ვარჯიშობას, ვალდებულნი არიან გაიარონ სამედიცინო შემოწმება. პირველივე მეცადინეობიდან მოვარჯიშე გოგონებმა ძირითადი ყურადღება უნდა მიაქცონ ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას, საკუთარი ჯანმრთელობის განმტკიცებას და სწორი ტანადობის გამომუშავებას.

ეფექტურია ისეთი ვარჯიშები, როგორიცაა: 1. ფეხების აწევა ტანვარჯიშულ კედელზე; 2. ფეხების აწევა მაგიდაზე წოლით მდგომარეობაში ყოფნისას; იგივე ვარჯიში მსუბუქი დამძიმებებით; 3. იატაკზე წოლელა მდგომარეობიდან ტენილი ბურთების (1 – 3 კგ.) გდებები; 4. ზურგზე წოლელა მდგომარეობაში (ხელები ჩაჭიდებულია ლატანზე) ფეხები აწეულია 90^0-იანი კუთხით, ფეხების დაშვება იატაკზე მარჯვნივ და მარცხნივ; 5. იატაკზე ჯდომში საწყისი მდგომარეობიდან ტენილი ბურთების გდებები ზევით; 6. იატაკზე ჯდომიდან ფეხების მოხრა და გაშლა მუხლის სახსარში; 7. ხელებით ტერფის წვერების დაკავება; 7. ვარჯიშები დრეკადი საგნების გამოყენებით (ესპანდერები, რეზინის ჟგუტები, ტენილი ბურთები და ა. შ.). რეკომენდებულია აგრეთვე სხვადასხვა ხტომები, რომლებიც უნდა შესრულდეს საშუალო ინტენსივობით და სხვ.

ფიზიკური ვარჯიშები, რომლებიც გამოიყენება გოგონებთან, ბევრად წააგავს ვაჟების ვარჯიშებს, მაგრამ მათი ფიზიკური დატვირთვა ბევრად ნაკლებია. დატვირთვის ოდენობის დადგენა და განსაზღვრა საჭიროა ინდივიდუალური თავისებურებებისა და ფიზიკური მომზადებულობის გათვალისწინებით.

ორგანიზმის გაჯანსაღების საქმეში დიდი წვლილი აქვს დილის ჰიგიენურ ტანვარჯიშს. იგი ფართო მასების გაჯანმრთელების საუკეთესო პროფილაქტიკური საშუალებაა. ყოველ დილით 10–15 წუთიანი, სისტემატურად ჩატარებული მოძრაობითი მოქმედებები დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და ხელს უწყობს ორგანიზმში მიმდინარე ყველა სასიცოცხლო პროცესების ზომიერ ფარგლებში ამაღლება-გაძლიერებას. რეგულარული, თანამიმდევრობით ჩატარებული დილის ჰიგიენური ტანვარჯიში, ბუნებრივ ფაქტორებთან (მზე, ჰაერი, წყალი) შეხამებული, გამოიწვევს ორგანიზმში მიმდინარე ძირითადი სასიცოცხლო პროცესების გააქტიურებას (ინიციატივის უნარის, შრომისადმი სიყვარულისა და სხვა დადებითი ჩვევების განმტკიცებას) და გაკაჟებას.

გაკაჟება ფიზიკური აღზრდის განუყოფელი ნაწილია. გოგონების მიერ სისტემატური გაკაჟება მთელ რიგ დაავადებების თავიდან აცილების, სიცოცხლის გახანგრძლივებისა და დიდი ხნის განმავლობაში მაღალი შრომისუნარიანობის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. გაკაჟება ზოგადად ახდენს გამაჯანსაღებელ მოქმედებას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ამაღლებს ცენტრალური ნერვული სისტემის ტონუსს, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას და ჰიგიენური რეჟიმის გამომუშავებას. ამასთან, გამაკაჟებელი პროცედურები ხელს უწყობს ფიზიკური და გონებრივი შრომისუნარიანობის ამაღლებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას და ავადობის შემცირებას. გაკაჟება

შეიძლება განხორციელდეს სპეციალურად ორგანიზებული ვარჯიშობის დროს და ყოველდღიურ ცხოვრებაში შესაბამისი პროცედურების სწორად ჩატარების შედეგად.

ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობების დროს გოგონების მიერ პირადი ჰიგიენის წესების დაუცველობამ მოზარდის ორგანიზმი შეიძლება სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანოს. ამიტომ სასურველია დასაწყისში ყურადღება გადავიტანოთ სავარჯიშო (სასპორტო) ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ხმარების ჰიგიენური წესების დაცვაზე. ტანსაცმელი უნდა იყოს მსუბუქი მცირე სითბოგამტარიანი, ელასტური, გამძლე, თავისუფალი და ხელს არ უშლიდეს მოძრაობებს. ზამთარში შედარებით მსუბუქი სპორტული კოსტიუმების ხმარების შედეგად გოგონებს ყოველდღიურ ცხოვრებაში მსუბუქი ტანსაცმლის ტარების ჩვევა გამოუმუშავდება, რაც გაკაჟების ერთ-ერთ სახედ შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ გაცივების თავიდან ასაცილებლად, ზამთრის სპორტული ტანსაცმლის ზედმეტი შემსუბუქება არ უნდა ხდებოდეს მისი თბოდამცველი თვისებების დაქვეითების ხარჯზე; ხოლო ფეხსაცმელი კარგად უნდა მოვირგოთ ფეხზე. ზამთრის პერიოდში იგი უნდა იყოს თბილი და ფეხზე მორგებული. მიზანშეწონილი არ არის მოჭერილი ან ვიწრო ფეხსაცმლის ხმარება. ეს გამოიწვევს ტერფის დეფორმაციას. სპორტული ფეხსაცმლის ფორმის, გარეგნობისა და ჰიგიენური მოთხოვნების შესანარჩუნებლად საჭიროა მისი გულმოდგინე მოვლა. სველი და ჭუჭყიანი ფეხსაცმელი უნდა გაიწმინდოს და გაშრეს კარგად განიავებულ ოთახში. რადიატორზე ან ცეცხლთან მისი გაშრობა არ არის რეკომენდებული.

ვარჯიშობის დროს კანი მნიშვნელოვნად ჭუჭყიანდება, ოფლიც მოჭარბებულად გამოიყოფა. გოგონების პირადი ჰიგიენის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს კანის სისტემატური მოვლა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისმა უარყოფამ შეიძლება გამოიწვიოს ანთებითი პროცესები და მისი ადრეული სიბერე, ნაოჭების წარმოქმნა და სხვ. ამიტომ, ვარჯიშობის შემდეგ აუცილებელია თბილი შხაპის მიღება. იგი არა მარტო კარგად ასუფთავებს კანს, არამედ დამამშვიდებლადაც მოქმედებს ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე, აძლიერებს ნივთიერებათა ცვლას და აუმჯობესებს აღდგენით პროცესებს.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს თმების ჰიგიენის დაცვას. ლამაზი ვარცხნილობა გოგონებს ეშხს მატებს. ვარჯიშობის დროს სასურველია თმების შეკვრა და თავსაფრის გამოყენება. ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობის დროს გოგონების შრომისუნარიანობა და მათი ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობა დამოკიდებულია მენსტრუალური ციკლის მიმდინარეობაზე. ამ დროს რეკომენდებულია მარტივი სახის ფიზიკური ვარჯიშების გამოყენება და ზომიერების დაცვა. საერთოდ, მენსტრუაციის პერიოდში გოგონები უნდა მოერიდონ როგორც დიდ ფიზიკურ დატვირთვებს, ასევე სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობას.

ამგვარად, თანამედროვე ცხოვრების პირობები ზღუდავს გოგონათა ფიზიკურ აქტივობასა და განვითარებას. ორგანოთა ქსოვილებში თანდათანობითი გადაგვარების პროცესები მიზეზი ხდება თითქმის ყველა ფიზიოლოგიური სისტემის ფუნქციის თანდათანობითი დაქვეითებისა. კუნთური მოძრაობა აუცილებელი ფაქტორია არსებობისათვის, ამიტომ მის რაციონალურ გამოყენებას განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდეს ყველა გოგონა, რადგან მათ მხოლოდ სისტემატური ფიზიკური ვარჯიშობით შეუძლიათ გაიკაჟონ ჯანმრთელობა; ამასთან, კარგად უნდა გაითავისონ ის, რომ ფიზიკური ვარჯიშობა წარმოადგენს იმ ბუნებრივ საშუალებას, რომელიც სტიმულირებას უკეთებს ორგანიზმში მიმდინარე ყველა სასიცოცხლო ძალას, რის შედეგადაც გოგონა უფრო მხნე და ხალისიანი გახდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების გაკეთება:

- ჩვენი ქვეყნის სასწავლო დაწესებულებების მოსწავლე გოგონების დიდი ნაწილი აქტიურად არ არის ჩართული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესში;
- მეტად დაბალია გოგონათა დასწრება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებზე;
- გოგონების ჩართულობა ფიზიკურ აქტივობებში ხელს უწყობს მათ ჯანმრთელობას და საზოგადოების კეთილდღეობას;
- ფიზიკურ აქტვობებსა და სპორტში გოგონათა ჩაბმის მიზნით უნდა შემუშავდეს სპეციალური პროგრამები და ბუკლეტები;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს გოგონათა ასაკობრივი განვითარების თავისებურებები, მათი ინტერესები, საჭიროებები და მიდრეკილებები;
- დროულად უნდა მოხდეს სასწავლო დაწესებულებების უზრუნველყოფა სპორტული ინვენტარით და სპორტული ბაზებით;
- ფიზიკურ აქტივობებსა და სპორტში გოგონათა ჩართულობის გასაუმჯობესებლად უპირატესობა უნდა მიენიჭოს „მასობრივი სპორტი ყველასათვის“;

• განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სპორტღონისძიებათა სტაბილური კალენდარი (სპორტის სახეობების მიხედვით);

• გაიზარდოს მასობრივ სპორტულ ღონისძიებათა რაოდენობა და მასში გოგონათა ჩართულობა;

• ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობების დროს გოგონების მიერ პირადი ჰიგიენის წესების დაცვა (წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ორგანიზმის სავალალო მდგომარეობამდე მიყვანა);

• ფიზიკური ვარჯიშობა სტიმულირებს ორგანიზმში მიმდინარე ყველა სასიცოცხლო ძალას, რის შედეგადაც გოგონა უფრო მხნე და ხალისიანი გახდება;

• გოგონათა ფიზიკურ აქტივობებსა და სპორტში წარმატებული საქმიანობისათვის უნდა მოხდეს მწვრთნელ-მასწავლებელთა და მოვარჯიშეთა წახალისება-სტიმულირება.

ბიბლიოგრაფია:

ბაქრაძე, დ. (1891). *ქართველი ქალები.* თფილისი: ზ. ჭიჭინაძის გამოცემა.

თანდილავა, ზ. (1980). *შუამთობის ტრადიციები და ფოლკლორი.* თბილისი: მეცნიერება.

კეკელია, მ. (1982). *ეროვნულ ჩვეულებათა და ტრადიციათა ბუნებისათვის.* თბილისი: მეცნიერება.

კეკელია, მ. (1989). *ეროვნული ტრადიციების სოციალური ფუნქცია.* თბილისი: მეცნიერება.

ნადარეიშვილი, გ., & ხეცურიანი, ჯ. (1979). *ზოგი მავნე წეს-ჩვეულების შესახებ.* თბილისი: მეცნიერება.

რობაქიძე, ა. (1981). *ტრადიცია და ცხოვრების წესი.* თბილისი: მეცნიერება.

რუხაძე, ჯ. (1980). *ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა.* თბილისი: მეცნიერება.

საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაცია. (2015). *გენდერული თანასწორობა სპორტსა და ფიზიკურ აქტივობაში.* თბილისი.

ყორანაშვილი, გ. (1984). *ეთნიკური თვითშეგნება და ტრადიციები.* თბილისი: მეცნიერება.

ჩაფიძე, ნ. (1985). *ეროვნული კულტურის სოციალური ფუნქცია.* თბილისი: მეცნიერება.

ჩინჩალაძე, ლ. (1990). *ქალისადმი პატივისცემის ქართული ტრადიცია.* თბილისი: მეცნიერება.

წიქვაძე, რ. (1988). *ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურული ტრადიციები XV-XVIII სს. უცხოელი ავტორების ცნობებში.* თბილისი: მეცნიერება.

Боген, М. М. (1986). *Обучене двигательним действиям.* Москва.

Лихачев, В. П. (1979). *Общие проблеми воспитания. Методические основы.* Москва.

Тер-Ованесян, А. А., & Тер-Ованесян, И. А. (1986). *Педагогика спорта.* Киев.

Aleksandre Iashvili

Gori state Teaching University

Mamia Tughushi, Neli Papukashvili

Georgian State Teaching University of Physical and sport

PROBLEMATIC ISSUES OF PHYSICAL TRAINING OF SCHOOLGIRLS

RESUME

Physical education and sports is very important in the life of young generation, between them in the physical development of the girls.

Physical activities help to develop not only motion functions, but it also improves the functions of vital syystem.

It is a wellknown fact that doing physical exarcises regularly has a positive influence on biological changes in the girls' organism.

Keywords: Physical education, Physical exercise, Sport, Health.

ნინო კიკნაძე, ნარგიზ მეგრელიძე,
ლელა ებრალიძე, ქეთინო თელია
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბოსტნეულის და მათი გადამუშავების პროდუქტის ხარისხის შეფასება მათი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების განსაზღვრის საფუძველზე

საკვანძო სიტყვები: ბოსტნეული, ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები, ხარისხი, ექსპერტიზა.

შესავალი. ბოსტნეულის როლი შეუფასებელია ადამიანის კვებაში, ისინი ხელს უწყობენ მისი ჯანმრთელობის და ხანგრძლივი სიცოცხლის შენარჩუნებას. მათი ბიოლოგიური ღირებულება განისაზღვრება ორგანიზმისთვის შეუცვლელი საკვები ნივთიერებების შემცველობაში, როგორებიცაა ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური მარილები, ვიტამინები, ბიოლოგიურად აქტიური ნაერთები. ბოსტნეული დადებითად მოქმედებს სხვადასხვა პროდუქტის საკვებ ღირებულებაზე, ავსებს რა მათ აუცილებელი კომპონენტებით. ისინი გამოირჩევიან დაბალი კალორიულობით და ადვილად შეითვისებიან საჭმლის მომნელებელი ორგანოებით. ბოსტნეული წარმოადგენს ვიტამინების, ფიტონციდების, მიკროელემენტების, საკვები ბოჭკოების მნიშვნელოვან წყაროს, რომლებიც აუცილებელია ნაწლავის ნორმალური მოქმედებისთვის. ბოსტნეული ხელს უწყობს საჭმლის მომნელებელი წვენების გამომუშავებას და მათი ფერმენტული აქტივობის ზრდას. ბოსტნეულს ადამიანის ორგანიზმი საჭიროებს ყოველდღიურად მთელი წლის განმავლობაში, კვების რაციონში მათი უკმარისობა ზამთარსა და გაზაფხულზე ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითების ერთ-ერთი მიზეზია, რის შედეგადაც ორგანიზმი წინააღმდეგობას ვერ უწევს ინფექციურ დაავადებებს. ზრდასრულ ადამიანში ბოსტნეულის ყოველდღიური ნორმა შეადგენს 300-400 გრამს. ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებების ფარგლებში, დღეისათვის საქართველოში შექმნილია სურსათის უვნებლობის სააგენტო, რომლის ფუნქციებში შედის კვების საწარმოთა პროდუქციის წარმოების სახელმწიფო პერიოდული, გეგმიური კონტროლი. სააგენტოს ყოველწლიურად დაგეგმილი აქვს განსაზღვრული რაოდენობის საწარმოს კონტროლი "ISO 22000" და "HACCP"–ის სტანდარტებთან შესაბამისობაში, რომელიც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ამრიგად, საქართველოში საკმაოდ მწვავე პრობლემას წარმოადგენს სურსათის უვნებლობის საკითხი და მას ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები აქვს გადასადგმელი. ბოსტნეული იკავებს ჩვენი პლანეტის მოსახლეობის კვების რაციონის 90%-ს. იგი დიეტების განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, რადგანაც პრაქტიკულად არ შეიცავენ ცხიმებს. მათი მიღება უფრო მიზანშეწონილია ნედლი სახით.

ვითვალისწინებდით რა ბოსტნეულის სასიცოცხლო როლს ადამიანის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში, ჩვენს მიზნად დავისახეთ ჩაგვეტარებინა ქიმიურ-ექსპერტიზული კვლევა საქართველოს შიდა ბაზარზე რეალიზებაში არსებულ ბოსტნეულის 3 სახეობაზე - კარტოფილზე, ხახვზე, პომიდორზე და პომიდორის გადამუშავების პროდუქტ ტომატ-პასტაზე, რომელიც ითვალისწინებდა ორგანოლეპტიკური და ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლის განსაზღვრას, რათა მოგვეხდინა მათი შედარებითი დახასიათება და საუკეთესო ხარისხის მქონე პროდუქტის გამოვლენა. კვლევის ობიექტად შერჩეული იქნა საქართველოს შიდა ბაზარზე რეალიზებაში არსებული ბოსტნეულის და მათი გადამუშავების პროდუქტის შემდეგი სახეობები: I სახეობა - კარტოფილი (ხულოს, ახალქალაქის, თურქული); II სახეობა - ხახვი (გორის, თურქული); III სახეობა - პომიდორი (მარნეულის, თურქული); IV პომიდორის გადამუშავების პროდუქტი - ტომატ-პასტა (მარნეულის და თურქული წარმოების).

ლიტერატურული მიმოხილვა. ბოსტნეული - კულინარიული ტერმინია, რომელიც აღნიშნავს მცენარის საკვებად გამოსაყენებელ ნაწილს (ნაყოფს, ბოლქვს, ტუბერს). ბოტანიკური თვალსაზრისითაც ბოსტნეული წარმოადგენს ბალახოვანი მცენარეების საკვებად გამოსაყენებელ ნაწილებს. (ბადრიშვილი, 1974, გვ. 45-80) საჭმელად გამოსაყენებელი ორგანოების მიხედვით ბოსტნეული კულტურები 4 ჯგუფად იყოფა: ფოთლიანები - კომბოსტო, კამა ოხრახუში, სალათა, ისპანახი და სხვა; ნაყოფიანები - კიტრი, ნესვი, საზამთრო, პამიდორი, ბადრიჯანი, ლობიო, სიმინდი სხვა; ძირხვენები - თალგამურა, ბოლოკი, სტაფილო, ჭარხალი და სხვა; ბოლქვიანნი - ხახვი, პრასი, ნიორი. (დათეშიძე, შენგელია, & შენგელია, 2006, გვ. 76-83) ბოსტნეულის ქიმიური შედგენილობა ცვალებადია და დამოკიდებულია მათ ზრდა-განვითარებაზე, ასევე მათ სახეობაზე, სიმწიფის ხარისხზე, დამუშავების პირობებსა და შენახვის

ხანგრძლივობაზე. ბოსტნეულის ძირითადი შემადგენელი კომპონენტებია: წყალი (98%-მდე); არაორგანული ნივთიერებები; ნაცრის ელემენტები, რომლებიც იყოფა მაკროელემენტებად Ca, Mg, P, S, K, Na და მიკროელემენტებად - I, F, Mn, Cu, Zn, Ni, Cr; ორგანული ნაერთები, რომელთაგან აღსანიშნავია: ნახშირწყლები (მონოსაქარიდებიდან - გლუკოზა, ფრუქტოზა, მანოზა, დისაქარიდებიდან - საქაროზა, მალტოზა, პოლისაქარიდებიდან - სახამებელი, ცელულოზა, ინულინი); პექტინოვანი ნივთიერებები (პროტოპექტინი, პექტინი, პექტიანის მჟავა); ცილები; ცხიმები; ფერმენტები; ორგანული მჟავეები; ვიტამინები ($B_1, B_2, B_3, B_6, B_{12}, C, PP, A, D, E, H$); პიგმენტები; ქლოროფილი; არომატული ნივთიერებები (ძირითადად ეთერზეთები); ფიტონციდები. (რობაქიძე, 1977, გვ. 216) ბოსტნეულის ხარისხს და მოსავლიანობას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მათი კვების რეჟიმი, რომლის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია მინერალური და ორგანული სასუქები. მინერალური კვების აუცილებელი კომპონენტებია - N, P, K. თუმცა, აზოტიანი სასუქების ჭარბად გამოყენება უარყოფითად მოქმედებს ბოსტნეულის ხარისხზე, რადგანაც იწვევს ნიტრატების და ნიტრიტების დაგროვებას, რომლებიც მომწამვლელია ადამიანის ორგანიზმისათვის. ბოსტნეულის ხარისხობრივი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებია: გემო, არომატი, კონსისტენცია. გემოს ჩამოყალიბებაში მონაწილეობენ შაქრები, ორგანული მჟავები, არომატული ნივთიერებები, პექტინოვანი ნივთიერებები, სახამებელი. ასხვავებენ 4 სახის გემოვნურ შეგრძნებას: მწარე, ტკბილი, მჟავე, მლაშე. (უმიკოვი, 1950, გვ. 74-103) ბოსტნეულის ხარისხობრივი შედგენილობა დამოკიდებულია სახეობრივ და ჯიშურ თავისებურებებზე. ბოსტნეულის შემადგენელი ნაერთები იყოფა ძირითადად 2 ჯგუფად: წყლად და მშრალ ნივთიერებად. რაოდენობრივი თვალსაზრისით წყალი ბოსტნეულის მთავარი შემადგენელი ნაწილია (75-95%). წყლის მაღალი შემცველობა უზრუნველყოფს ბიოქიმიური პროცესების ინტენსიურ მიმდინარეობას და უჯრედის ტურგორს. მშრალი ნივთიერებები წარმოდგენილია: სხვადასხვა სახის ნახშირწყლებით (სახამებელი, ინულინი, უჯრედისი, ჰემიცელულოზა, პექტინოვანი ნივთიერებები); ორგანული მჟავებით (ვაშლის, ლიმონის, ღვინის, სალიცილის, ქარვის, მჟაუნმჟავა, პიროყურძნის მჟავა, ძმარმჟავა, ჭიანჭველმჟავა); ვიტამინებით ($A, B_1, B_2, B_3, B_6, B_{12}, C, PP, E, K$); ეთერზეთებით; ფერმენტებით; კაროტინოიდებით; არაორგანულ მჟავათა მარილებით, 60-მდე ნაცრის ელემენტით (მაკრო-და მიკრო). (Боенко, 2016, стр. 61-72) ბოსტნეული გამოიყენება როგორც ცოცხლად (ნედლად), ასევე დაკონსერვებული სახით, რაც თავიდან გვაცილებს მათ გაფუჭებას და უზრუნველყოფს ახალი გემოვნური თვისებების მქონე პროდუქციის მიღებას. ყველაზე უფრო გავრცელებულია დაკონსერვების შემდეგი სახეები: დამწნილება, დამარილება, დამარინადება, შრობა, გაყინვა, დაკონსერვება მაღალ ტემპერატურაზე ჰერმეტულ ტარაში. დაკონსერვებისათვის იყენებენ მინის, თუნუქის ან ხის ტარას. დაკონსერვების ძირითადი ხერხია - თერმული სტერილიზაცია, რადგანაც 100°C-ზე მაღალ ტემპერატურაზე სოკოები და ბაქტერიები იღუპებიან. სტერილიზაციის ტემპერატურა და ხანგრძლივობა დამოკიდებულია ბოსტნეულის მჟავიანობაზე, ზომებზე და ტარას ფორმაზე. წვენებისა და ტომატ-პროდუქტებისათვის გამოიყენება სტერილიზაციის განსაკუთრებული სახე - ცხელი ჩამოსხმა. (ჩავლეიშვილი, 1988, გვ. 215-243)

მეთოდოლოგია. ქიმიურ-ექსპერტიზული კვლევის განსახორციელებლად, ჩვენ ვიძენდით საკომეურნეო ბაზარზე განთავსებულ ბოსტნეულის სახეობების - კარტოფილის, ხახვის, პომიდორის ნიმუშებს 1 კგ-ის ოდენობით და ბოსტნეულის გადამუშავების პროდუქტის - ტომატ-პასტას ნიმუშს 1 ქილის ოდენობით. ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებიდან ნიმუშებში ისაზღვრებოდა: ა) გარეგნული სახე; ბ) სუნი, გემო; გ) სიმწიფის ხარისხი; დ) ნაყოფების, ბოლქვების, ტუბერების მდგომარეობა; ე) ყუნწებიდან მოწყვეტილი ნაყოფების შემცველობა; ვ) ნაყოფის განივი დიამეტრი; ზ) გარეშე მინარევების არსებობა; თ) ნახეთქებიანი, დაავადებული, მავნებლებით დაზიანებული, დამპალი, დამჭკნარი, მოყინული ნაყოფების არსებობა. (ГОСТ 7194-81, 1981, стр. 13) დაკვირვებები ტარდებოდა კარგად განათებულ, ქარისაგან დაცულ შენობაში, სადაც არ იყო უცხო სუნი. ნიმუშების გარეგნული სახე ისაზღვრებოდა ვიზუალურად, დღის კაშკაშა სინათლეზე, რისთვისაც ნიმუშს ვშლიდით თეთრ ქაღალდზე. (ГОСТ 1723-2015, стр. 9)

ბოსტნეულის საგამოცდო ნიმუშების გარეგნული სახე ფასდებოდა ნაყოფების, ბოლქვების, ტუბერების მთლიანობით, სისუფთავით, ფორმით, კანის სიმკვრივით, შეფერილობით, ნაყოფების (ბოლქვების) სიმწიფით, ლაქიანობით. შემდეგ ვახდენდით გემოს, ფერის, სუნის შეფასებას. ვზომავდით ბოლქვების და ნაყოფების ზომას უდიდესი განივი დიამეტრის მიხედვით. (ГОСТ Р 55906-2013, стр. 15) გაშიშვლებული, მექანიკურად და მავნებლებით დაზიანებული, ჩაჭყლეტილი, დამპალი, მოყინული, ყუნწებიდან მოწყვეტილი ბოლქვების პროცენტული წილი მასიდან გამოითვლებოდა ფორმულით:

$$X = \frac{m_1}{m} \cdot 100,$$

სადაც: X - არის დაზიანებული ნაყოფების (ბოლქვების, ტუბერების) პროცენტული წილი;

m_1 - არის დაზიანებული ნაყოფების (ბოლქვების, ტუბერების) წონა, გ;

m - არის ნიმუშის საერთო წონა, გ.

ტომატ-პასტას ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების შეფასებისას მოწმდებოდა მისი გარეგნული სახე, კონსისტენცია, ჩანართების არსებობა, ფერი, გემო და სუნი. (ГОСТ 54678-2011, стр. 12)

შედეგები/დისკუსია. ექსპერტიზული კვლევისათვის აღებული ბოსტნეულის და მათ გადამუშავების პროდუქტის საგამოცდო ნიმუშების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების კვლევისას დადგინდა შემდეგი:

გარეგნული სახის მიხედვით, ხულოს კარტოფილი იყო არასტანდარტული, რადგანაც მის ტუბერებზე აღინიშნებოდა მეჭეჭიანობა და ჟანგისფერი ლაქიანობა. ახალქალაქის კარტოფილი ექსტრა კლასისაა, რადგანაც მისი ბოლქვები იყო მთლიანი, სუფთა, ჯანმრთელი, მექანიკურად და მავნებლებით დაუზიანებელი, ერთგვაროვანი ფორმის, კანი-მკვრივი, ნახეთქების გარეშე. თურქული კარტოფილი I კლასისაა, რადგანაც შეიცავდა ერთეულ ბოლქვებს ღია მწვანე ლაქებით (ცხრილი 1). ხულოს კარტოფილის გემო და სუნი არადამახასიათებელი იყო მოცემული ბოტანიკური სახეობისათვის. ბოლქვების დიამეტრის ზომით ხულოს და თურქული კარტოფილი მიეკუთვნებოდა I კლასს (40 და 45 მმ), ხოლო ახალქალაქის - ექსტრას (72 მმ). რბილობის ფერი იყო თეთრი ან ყვითელი. ხულოს კარტოფილის ბოლქვებზე აღინიშნებოდა მღრღნელებისაგან მიყენებული დაზიანებები 3%-მდე (არასტანდარტული), ხოლო თურქულ კარტოფილში გამწვანებული ბოლქვების რაოდენობა 1%-მდეა (II კლასი). ბოლქვებზე მიკრული მიწის შემცველობა ხულოს კარტოფილში >1% მასიდან (არასტანდარტული), ახალქალაქის კარტოფილში - არაუმეტეს 1% (I კლასი), თურქულში - არაუმეტეს 0,5% მასიდან (ექსტრა).

თავიანი ხახვის საგამოცდო ნიმუშების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ შემდეგი: გარეგნული სახის მიხედვით გორის და თურქული ხახვი მიეკუთვნებოდა I კლასს, მათი ბოლქვები იყო მწიფე, ჯანმრთელი, სუფთა, მთელი. არ შეინიშნებოდა აღმოცენებული და მავნებლებით დაზიანებული ბოლქვები. კანი იყო მშრალი. ფერი თეთრი ან მოწითალო (ცხრილი 2). გორის ხახვის ბოლქვების კანზე ნახეთქები არ აღინიშნებოდა (I კლასი), თურქული ხახვის კანზე აღინიშნებოდა ერთეული ნახეთქები (II კლასი). სუნი და გემო ორივე საგამოცდო ნიმუშში დამახასიათებელი იყო მოცემული ბოტანიკური სახეობისათვის, უცხო სუნის და გემონაკრავის გარეშე (I კლასი). ბოლქვების ზომა უდიდესი განივი დიამეტრის მიხედვით გორის ხახვში შეადგენდა 3-4 სმ (II კლასი), თურქულში >4 სმ-ზე (I კლასი). არც ერთ ნიმუშში არ აღმოჩნდა ბოლქვები არასაკმარისად მშრალი ყელით, ასევე გაშიშვლებული ბოლქვები. გორის ხახვში არ იყო მექანიკურად და მავნებლებით დაზიანებული ბოლქვები, თურქულ ხახვში კი ისინი შეადგენდნენ 1%-მდე საერთო მასიდან (I კლასი). არც ერთ საგამოცდო ნიმუშში არ აღმოჩნდა დამპალი, შეხუთული, მოყინული, ტკიპებით დაზიანებული ბოლქვები (I კლასი).

პომიდორის ნიმუშების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების შეფასების საფუძველზე დადგინდა: გარეგნული სახის მიხედვით, მარნეულის და თურქული პომიდვრის ნაყოფები ახალია, მთლიანი, სუფთა, მზით დამწვრობის, ნახეთქების და მექანიკური დაზიანების გარეშე (ცხრილი 3). ორივე ნიმუშის სუნი და გემო დამახასიათებელია მოცემული ბოტანიკური სახეობისათვის, უცხო სუნის და გემონაკრავის გარეშე. ნაყოფების რბილობი მკვრივია და ისინი ექვემდებარებიან ტრანსპორტირებას. სიმწიფის ხარისხით მარნეულის პომიდორი ვარდისფერია, თურქული - წითელი. ყუნწებიდან მოწყვეტილი ნაყოფები არ აღინიშნება არც ერთ ნიმუშში. არ არის გარეშე მინარევები, დაავადებული, მავნებლებით დაზიანებული, დამპალი, დამჭკნარი, მოყინული ნაყოფები. ზემოაღნიშნული პარამეტრების მიხედვით, ორივე საგამოცდო ნიმუში მიეკუთვნება უმაღლეს კატეგორიას. ნაყოფების განივი დიამეტრი მარნეულის პომიდორში შეადგენს 56 მმ-ს (I კატეგორია), თურქულში - 75 მმ-ს (II კატეგორია).

ტომატ-პასტას საგამოცდო ნიმუშების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე დადგინდა შემდეგი: გარეგნული სახის მიხედვით მარნეულის ტომატ-პასტა წარმოადგენს კონცენტრირებულ ერთგვაროვან, სქელ ფაფისებურ მასას, წებოვანი კონსისტენციით, ყოველგვარი ჩანართის, თესლის, კანის და სხვა მინარევის გარეშე (კატეგორია „ექსტრა“). თურქულ ტომატ-პასტაში აღინიშნება ერთეული მუქი ჩანართები (კატეგორიის გარეშე). მარნეულის ტომატ-პასტას ნიმუშის ფერი წითელია და ერთგვაროვანი, თურქულის - მოწითალო-მურა. ორივე დამამზადებლის ტომატ-პასტას გემო მკვეთრად გამოხატულია, უცხო გემონაკრავის - სიმწარის და სიდამწვრის გარეშე (ცხრილი 4).

ცხრილი 1

კარტოფილის საგამოცდო ნიმუშების ორგანოლეპტიკური და ფიზიკური მაჩვენებლები

№	მახასიათებელი	ხულოს კარტოფილი	ახალქალაქის კარტოფილი	თურქული კარტოფილი	კლასი
1.	*გარეგნული სახე*	აღენიშნება მეჭეჭიანობა და ტუბერების ჟანგისფერი ლაქიანობა	ბოლქვები მთლიანი, სუფთა, ჯანმრთელი, მექანიკურად და მავნებლებით დაუზიანებელი, ერთგვაროვანი ფორმის და ფერის, კანი-მკვრივი, ნახეთქების გარეშე, ბოლქვები-მწიფე.	ერთეული ბოლქვები ღია მწვანე ლაქებით	ახალქალაქის-ექსტრა თურქული - I ხულოს - არასტანდარტული
2.	*გემო, სუნი*	არადამახასიათებელი მოცემული ბოტანიკური სახეობისათვის.	დამახასიათებელი მოცემული ბოტანიკური სახეობისათვის		
3.	*ბოლქვების ზომა დიამეტრის მიხედვით, მმ, არანაკლებ: მომრგვალებულ-ოვალური ფორმისათვის*	40	72	45	ხულოს - I ახალქალაქის - ექსტრა თურქული - I
4.	*რბილობის ფერი*	ყვითელი	თეთრი	თეთრი	
5.	*გამწვანებული, ჩაჭყლეტილი, მღრღნელებისაგან დაზიანებული ბოლქვები, % მასიდან*	აღინიშნება ბოლქვებზე მღრღნელებისაგან მიყენებული დაზიანებები 3%-მდე	_____	გამწვანებული ბოლქვები 1%-მდე	ახალქალაქის - ექსტრა თურქული - II ხულოს - არასტანდარტული
6.	*ბოლქვებზე მიკრული მიწის არსებობა, % მასიდან*	>1%	არაუმეტეს 1%	არაუმეტეს 0,5%	თურქული - ექსტრა ახალქალაქის - I ხულოს - არასტანდარტული

ცხრილი 2

თავიანი ხახვის საგამოცდო ნიმუშების ორგანოლეპტიკური და ფიზიკური მაჩვენებლები

N	მახასიათებელი	ხახვი გორის	ხახვი თურქული	კლასი
		დაკვირვების შედეგი	**დაკვირვების შედეგი**	
1.	*გარეგნული სახე*	ბოლქვები მწიფე, ჯანმრთელი, სუფთა, მთელი, არ არის აღმოცენებული. არ არის დაზიანებული მავნებლებით დაზიანებული ბოლქვები. კანი - მშრალი		I
2.	*ფერი*	მოწითალო	თეთრი	
3.	*ნახეთქები კანზე*	არ აღინიშნება	აღინიშნება ერთეული ნახეთქები კანზე	გორის - I თურქული- II
4.	*სუნი, გემო*	დამახასიათებელი მოცემული ბოტანიკური სახეობისათვის, უცხო სუნის და გემონაკრავის გარეშე		I
5.	*ბოლქვების ზომა უდიდესი განივი დიამეტრის მიხედვით, სმ*	3-4	> 4	გორის - II თურქული - I
6.	*ბოლქვები არასაკმარისად მშრალი ყელით, % მასიდან*	_____	_____	I
7.	*გაშიშვლებული ბოლქვები, რომლებიც შეადგენენ 1/3-ზე მეტს, % მასიდან*	_____	_____	I
8.	*მექანიკურად და მავნებლებით დაზიანებული ბოლქვები, % მასიდან*	_____	მექანიკურად დაზიანებულია - 1%-მდე საერთო მასიდან	I
9.	*დამპალი, შეხუთული, მოყინული, ტკიპებით დაზიანებული ბოლქვები*	_____	_____	I

ცხრილი 3

პომიდვრის საგამოცდო ნიმუშების ორგანოლეპტიკური და ფიზიკური მაჩვენებლები

№	მახასიათებელი	პომიდორი მარნეულის	პომიდორი თურქული	კატეგორია
1	*გარეგნული სახე*	ახალი, მთლიანი, სუფთა, მზით დამწვრობის, ნახეთქების, მექანიკური დაზიანების გარეშე		უმაღლესი
2	*სუნი და გემო*	დამახასიათებელი მოცემული ბოტანიკური სახეობისათვის, უცხო სუნის და გემონაკრავის გარეშე		უმაღლესი
3	*ნაყოფების მდგომარეობა*	ექვემდებარებიან ტრანსპორტირებას, რბილობი მკვრივია		უმაღლესი
4	*სიმწიფის ხარისხი*	ვარდისფერი	წითელი	
5	*წონა, გ*	16,1	14,9	
6	*ყუნწებიდან მოწყვეტილი ნაყოფების შემცველობა, % მასიდან*	_____	_____	უმაღლესი
7	*ნაყოფის განივი დიამეტრი, მმ*	56	75	მარნეულის - I კატეგორია თურქული - II კატეგორია
8	*გარეშე მინარევების არსებობა, % მასიდან*	_____	_____	უმაღლესი
9	*ნახეთქებიანი, დაავადებული, მავნებლებით დაზიანებული, დამპალი, დამჭკნარი, მოყინული ნაყოფების არსებობა, % მასიდან*	_____	_____	უმაღლესი

ცხრილი 4

ტომატ-პასტას საგამოცდო ნიმუშების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლები

№	მახასიათებელი	ტომატ-პასტა მარნეულის		ტომატ-პასტა თურქული „Kingtom"	კატეგორია
		დაკვირვების შედეგი	კატეგორია	დაკვირვების შედეგი	
1.	*გარეგნული სახე*	ერთგვაროვანი კონცენტრირებული მასა, სქელი ფაფისებრი, წასმადი (წებოვანი) კონსისტენციის, მუქი. ყოველგვარი ჩანართის, კანის, თესლის და სხვა მინარევის გარეშე	„ექსტრა"	ერთგვაროვანი კონცენტრირებული მასა, სქელი ფაფისებრი, წასმადი (წებოვანი) კონსისტენციის. აღინიშნება ერთეული მუქი ჩანართები	კატეგორიის გარეშე
2.	*ფერი*	წითელი ერთგვაროვანი	„ექსტრა"	მოწითალო - მურა	კატეგორიის გარეშე
3.	*გემო, სუნი*	გემო - მკვეთრად გამოხატული, რომელიც დამახასიათებელია კონცენტრირებული პომიდორის მასისათვის. უცხო გემონაკრავის და სიმწარის გარეშე	„ექსტრა"	გემო - მკვეთრად გამოხატული, რომელიც დამახასიათებელია კონცენტრირებული პომიდორის მასისათვის, უცხო გემონაკრავის (სიმწარის და სიდამწვრის) გარეშე	„ექსტრა"

ამრიგად, ჩვენ მიერ ქიმიურ-ექსპერტიზული კვლევისათვის შერჩეული ბოსტნეულის ნიმუშების ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების გაანალიზების შედეგად დადგინდა:

- გარეგნული სახის, გემოს და სუნის, ბოლქვების ზომის, დაზიანებული ბოლქვების არსებობის მიხედვით, ახალქალაქის კარტოფილი შეესაბამებოდა ექსტრა კლასს, თურქული - I კლასს და ხულოს კარტოფილი იყო არასტანდარტული;
- გარეგნული სახის, სუნის და გემოს, ბოლქვების ზომის, გაშიშვლებული, დამპალი, მოყინული, დაზიანებული ბოლქვების რაოდენობის მიხედვით, გორის და თურქული ხახვი შეესაბამებოდა I კლასს;
- გარეგნული სახის, სუნის და გემოს, ნაყოფების მდგომარეობის, სიმწიფის ხარისხის, გარეშე მინარევების არსებობის, დაავადებული და დაზიანებული ნაყოფების არსებობის მიხედვით, მარნეულის და თურქული პომიდორი შეესაბამებოდა უმაღლეს კლასს;
- გარეგნული სახის, ფერის, გემოს და სუნის მიხედვით, მარნეულის ტომატ-პასტა იყო ექსტრა კატეგორიის, თურქული ტომატ-პასტა "Kingtom" კი ძირითადად-კატეგორიის გარეშე.

ბიბლიოგრაფია:

ბადრიშვილი, გ. (1974). *მემცენარეობა.* თბილისი: განათლება.

დათეშიძე, ლ., შენგელია, ა., & შენგელია, ვ. (2006). *ქართული სამედიცინო ენციკლოპედია.* (მე-2 გამოცემა). (28). თბილისი.

რობაქიძე, თ. (1977). *საქართველოში გავრცელებული სურნელოვან-სანელებელი ბოსტნეული კულტურები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

უმიკოვი, ნ. ზ. (1950). *ხილი, კენკრა, ბოსტნეული, მარცვლეული და სანელებელი.* თბილისი: საქმედგამი.

ჩავლეიშვილი, ა. (1988). *სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვისა და გადამუშავების ტექნოლოგია.* თბილისი: განათლება.

Боенко, И. Д. (2016). *Овощи и фрукты. Физиологические и лечебные свойства.* Воронеж: Центрально чернозёмное книжное издательство.

ГОСТ 1723-2015. *Лук репчатый свежий для промышленной переработки (Технические условия).* Москва: Стандартинформ.

ГОСТ 54678-2011. *Продукты томатные консервированные. Общие технические условия.* Москва: Стандартинформ.

ГОСТ 7194-81. (1981). *Картофель свежий. Правила приёмки и методы определения качества.* Москва: Стандартинформ.

ГОСТ Р 55906-2013. *Томаты свежие. Технические условия (издание официальное).* Москва: Стандартинформ.

Nino Kiknadze, Nagiz Megrelidze, Lela Ebralidze, Ketino Telia

Batumi Shota Rustaveli State University

EVALUATION OF QUALITY OF VEGETABLES AND PRODUCT RECEIVED FROM VEGETABLES BASED ON DETERMINATION OF THEIR ORGANOLEPTIC PARAMETERS

RESUME

Chemical-expertise research of organoleptic parameters of 3 kinds of vegetables and the products received from it are carried at Georgian Markets. I Type - Potato (Khulo, Akhalkalaki, Turkish); II Type - Onion (Gori, Turkish); III Type -Tomato (Marneuli, Turkish); The product received from tomato – Tomato-pasta (made in Marneuli and Turkey). The compliance of the mentioned research objects to the norms set under state standards is identified and the best quality product is revealed. As a result of analyzing organoleptic parameters of vegetable samples the following is identified: according to visual appearance, taste and smell, sizes of the bulbs according to the damaged bulbs potato of Akhalkalaki coincides with the standard of extra class, Turkish potato coincides with I Class and Khulo potato is non-standard; according to visual appearance, smell and taste, sizes of bulbs, naked, rotten, frozen, and damaged bulbs Gori and Turkish onion coincides with the standards of I class; according to visual appearance, smell and taste, conditions of fruits, the degree of ripeness, the existence of other admixtures, as well as according to ill and damaged fruits Marneuli and Turkish tomato coincide with the standards of high class; according to visual appearance, smell and taste, Marneuli tomato-pasta is of an extra category, Turkish tomato-pasta "Kingtom" is without any categories mostly.

Keywords: Vegetables, Organoleptics, Composition, Quality, Expertise.

რობერტ მაღლაკელიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ლანდშაფტების ესთეტიკური აღქმა, ლანდშაფტების დიზაინი და კულტურული ლანდშაფტების ესთეტიკური მოწყობის ზოგიერთი საკითხი

საკვანძო სიტყვები: ლანდშაფტი, ლანდშაფტების ესთეტიკა, პერცეფცია, ლანდშაფტების დიზაინი.

ლანდშაფტმცოდნეობაში სინამდვილის უმნიშვნელოვანესი სულიერი ათვისება –ესთეტიკური აღქმა, ხშირად იწოდება ლანდშაფტების პერცეფციად (ლათინურად perceptio – წარმოდგენა, აღქმა) და საერთოდ აღიარებულია, როგორც – „ლანდშაფტის მეხუთე განზომილება“ (ნ. ბერუჩაშვილი). ლანდშაფტების პერცეფციასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მიმართულებები ლანდშაფტების ესთეტიკა, ლანდშაფტების დიზაინი და ლანდშაფტების არქიტექტურა.

თანამედროვე საუნივერსიტეტო გეოგრაფიულ ლიტერატურაში ,,ლანდშაფტმცოდნეობის'', ,,ანტროპოგენული ლანდშაფტმცოდნეობის'', ,,გეოეკოლოგიის'' და სხვ. კურსებში პრობლემები, რომლებიც ეხება ლანდშაფტურ ესთეტიკას, ლანდშაფტურ დიზაინს და ლანდშაფტურ არქიტექტურას, როგორც წესი, არ განიხილება. ითვლება, რომ ისინი მოიაზრებიან სხვა მეცნიერებათა ან კიდევ ხელოვნების სფეროში. ამიტომ უნდა იყვნენ არქიტექტორების, დიზაინერების, მხატვრების და არა გეოგრაფების გამგებლობაში.

თუმცა, ცნობილი გეოგრაფი, პროფესორი ფ. მილკოვი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60–იან წლებში წერდა, ,,ლანდშაფტური არქიტექტურა, სოფლის მეურნეობის და სამედიცინო გეოგრაფიის მსგავსად გეოგრაფიულ ლანდშაფტმცოდნეობას ფართოდ უღებს კარს პრაქტიკაზე გასვლისათვის. ამ ორი მეცნიერების წამყვანი იდეების ურთიერთგაცნობა უდავოდ გაამდიდრებს, მათ თეორიას და პრაქტიკას''. ასევე ცნობილი გეოგრაფი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის პროფესორი ე. სმირნოვა თავის შრომაში ამახვილებდა ყურადღებას გეოგრაფების კადრების მომზადების შესახებ, რომლებიც ფლობენ კვლევის მეთოდებს არქიტექტურულ პრაქტიკაში. იგი ჯერ კიდევ 1969 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ამბობს: ,,არქიტექტურის ფაკულტეტზე უნდა იკითხებოდეს ლანდსაფტმცოდნეობა, ხოლო გეოგრაფიის ფაკულტეტზე აუცილებელია არქიტექტურის კურსის შემოტანა''.

ლანდშაფტური პერცეფციის, როგორც განზობილების შესწავლაზე და პერცეფციის საფუძველზე კულტურული ლანდშაფტების ესთეტიკური მოწყობის აუცილებლობაზე მიუთითებენ მეცნიერები ნ. ბერუჩაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, დ. ნიკოლაიშვილი, გ. ისაჩენკო, ვ. ნიკოლაევი, მ. გროდზინსკი და სხვ.

ვფიქრობთ, მითითებული მეცნიერული მიმართულებების, პერცეფციის კანონების ღრმა გაცნობიერების გარეშე ბუნებრივი ლანდშაფტების ყოველმხრივი შესწავლა და მით უმეტეს კულტურული ლანდშაფტების დაგეგმარება და პროექტირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

სტატიაში განიხილება პერცეფცია, როგორც სუბიექტურ–ობიექტური ფილოსოფიური კატეგორია და სივრცესა და დროსთან ერთად ლანდშაფტი, როგორც ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი ,,მეხუთე'' განზომილება.

ასევე განიხილება პერცეფციის საფუძველზე კულტურული ლანდშაფტების ესთეტიკური მოწყობის, მართვის ზოგიერთი თეორიული და პრაქტიკული საკითხი თბილისის მაგალითზე.

ლანდშაფტების ესთეტიკური აღქმას-პერცეფციას, როგორც ლანდშაფტის, ერთ–ერთი უმნიშვნელოვანეს ,,მეხუთე'' განზომილებას მივყავართ ლანდშაფტების ესთეტიკასა და დიზაინის ცნებასთან.

ლანდშაფტების ესთეტიკა განსაკუთრებული მიმართულებაა ლანდშაფტმვცოდნეობაში, რომელიც სწავლობს ბუნებრივი და ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების სილამაზეს და სიმშვენიერეს, მათი ესთეტიკური აღქმის და შეფასების თავისებურებებს. ლანდშაფტების ესთეტიკის გამოყენებითი მხარეა ლანდშაფტური დიზაინი, ე.ი. ბუნებრივ ანთროპოგენური ლანდშაფტების მოწყობა ესთეტიკის და სილამაზის კანონებით. ცნობილია, გეოგრაფიული ლანდშაფტები ყოველთვის ასრულებდა მისთვის დამახასიათებელ სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ფუნქციას, ამავე დროს ისინი უნდა

ფლობდნენ მნიშვნელოვან ესთეტიკურ ღირსებებს. ამიტომ ლანდშაფტური დიზაინი წარმოადგენს კულტურული ლანდშაფტური აღმშენებლობის აუცილებელ შემადგენელს.

დგება რა ლანდშაფტმცოდნეობა ესთეტიკური ათვისების გზაზე, ლანდშაფტმცოდნეობა უახლოვდება ხელოვნებას. ახლობელი ხდება მისთვის პეიზაჟური ფერწერა და მხატვრული პეიზაჟური ფოტოგრაფია, ლანდშაფტური არქიტექტურა, საბაღო-საპარკო ლანდშაფტური ხელოვნება და სხვ.

ვფიქრობთ, მეცნიერების და ხელოვნების ასეთი კავშირი ძალიან ნაყოფიერი შეიძლება იყოს. ლანდშაფტური დიზაინი უნდა გავიგოთ, როგორც ლანდშაფტური არქიტექტურის ნაწილი, ორიენტირებული ღია (აუშენებელი) ანთროპოგენური ლანდშაფტური სივრცის ეკოლოგიურ-ესტეტიკურ მოწყობაზე.

მთავარი ობიექტი ლანდშაფტური დიზაინის, როგორც წესი, არის სამეურნეოდ ათვისებული ტერიტორიის ეკოლოგიური კარკასი – სხვადასხვაგვარი მწვანე ნარგავები, წყალსატევები და სხვ. განსაკუთრებით დიდია ლანდშაფტური დიზაინის როლი ქალაქის ღია სივრცეების, რეკრეაციული და სხვ. ქალაქის გარემოსშემქმნელი გეოსისტემებისთვის. სხვა ფუნქციონალური დანიშნულების გეოსისტემები, მაგალითად სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, ასევე საჭიროებენ მათ, თუმცა, არცთუ ისე ხშირად ხდებიან მისი ობიექტები.

ლანდშაფტურ არქიტექტურაში მიღებულია განვასხვაოთ რამდენიმე იერარქიული ურთიერთქვემდებარე დონე, ან პროექტირების სტადია. თითოეული მათგანი გამოირჩევა თავისი ფუნქციური და კომპოზიციური პრობლემების შემადგენლობით. გამოიყოფა შემდეგი ძირითადი პროექტირების დონეები: რაიონული დაგეგმარება, გენერალური გეგმა, მიწის დაგეგმარების პროექტი, ცალკეული არქიტექტურული ნაგებობა (ობიექტი).

ლანდშაფტური მშენებლობის წამყვანი გეოეკოლოგიური პრინციპი – ბუნებრივ, მეურნეობრივი ადაპტაციის პრინციპი – ქალაქის დიზაინშიც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. თანამედროვე არქიტექტურული პროექტირება სულ უფრო ამოდის ლანდშაფტიდან. ლანდშაფტიდან ამოდის იგი დიზაინის საკითხებშიც. ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ საუკეთესო ეკოლოგიურ და ესთეტიკურ შედეგებს. ქალაქის მწვანე გარემო აუცილებელია იყოს მთლიანი ზომით ადაპტური, როგორც ზონალური, ასევე ედაფური მხრივ.

განვიხილოთ თბილისის ზოგიერთი ტერიტორია ლანდშაფტურ-ესთეტიკური შეფასების თვალსაზრისით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის ლანდშაფტურ-არქიტექტურული შეფასებასთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ, რომ იგი შექნილი იყო, როგორც მრავალფუნქციური პარკი ვარაზის ხევში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ. ეს პარკი სტუდენტებისა და თბილისელების სასიამოვნო რეკრაციული ტერიტორია იყო და არის ქალაქის ცენტრში. გარდა ამისა, მას აქვს შემეცნებითი დანიშნულება, ასევე წარმოადგენს უნივერსიტეტის დამაარსებელი თვალსაჩინო მეცნიერების პანთეონს. ბაღში არის პატარა ეკლესია, რომელიც სტუდენტი ახალგაზრდების და თბილისელების ერთ-ერთი სარწმუნოებრივი მონახულების ადგილია ე.ი. ბაღს აქვს საკრალურ-სარწმუნოებრივი დანიშნულება.

ამრიგად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ არსებულ ბაღს ჰქონდა პოლიფუნქციური დანიშნულება: რეკრეაციული, შემეცნებითი, სამეცნიერო, პანთეონის, საკრალურ-სარწმუნოებრივი. ამ ფუნქციებიდან დღესდღეობით ამოვარდნილია შემეცნებითი და სამეცნიერო დანიშნულება.

სახელდობრ, ბაღის ტერიტორიაზე ათეულობით უნიკალური ენდემური რელიქტური ბუჩქი და ხე მცენარეა. ყოველ მცენარეს ქონდა მცენარის სახეობის აღმნიშვნელი ქართული და ლათინური წარწერა და მოკლე დახასიათება, რის საფუძველზეც უნივერსიტეტის ბაღის რეკრეანტები, სტუდენტები და თანამშრომლები ეცნობოდნენ ბაღის დენდროფლორის თავისებურებებს და ზემოთ აღნიშნულ ბაღს შემეცნებითი თვალსაზრისით ძალზე საინტერესოს ხდიდა.

ამავე დროს ბაღს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის ბაღებსა და სამეცნიერო დაწესებულებებთან, მიმდინარეობდა ინფორმაციისა და თესლების გაცვლა. ბაღს კურირებდა ბიოლოგიისა და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, ბაღის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა სათბური, სადაც გამოჰყავდათ საზღვარგარეთის სხვადასხვა მცენარეების ნერგები, ყვავილების ჩითილები, მიმდინარეობდა ბაღთმშენებლობის, მისი მოვლა-პატრონობის, გამშვენიერების ყოველდღიური პროცესი.

ბაღის ამგვარი შემეცნებითი მოწყობის პროცესში აქტიურად ჩართული გეოგრაფი და ბიოლოგი სტუდენტებისათვის, ეს სამუშაო მნიშვნელოვანი პრაქტიკული მუშაობა იყო. ამგვარად მოწყობილი ბაღი კი დამთვალიერებლებისა და რეკრეანტებისათვის შემეცნებით წყაროს წარმოადგენდა. ვფიქრობთ ბაღს უნდა აღუდგეს შემეცნებითი სამეცნიერო ფუნქცია და ბაღის ამგვარ შემეცნებით მოწყობის სპროცესში აქტიურად ჩაერთონ გეოგრაფი და ბიოლოგი სტუდენტები.

მტკვრისა და მდინარე ვერეს სანაპიროს ლანდშაფტურ-არქიტექტურული და ექსპერტული შეფასებასთან დაკავშირებულ აზრს მივყავართ იქამდე, რომ ადამიანმა დაიკავა ეს ტერიტორიები და ჩამოაყალიბდა სელიტებური ტერიტორია კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსებით. მაგრამ ნაგებობები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში შეიქმნა ვერეს ხეობაში, ასევე უკანონო დასახლებები მის ჭალაში რა თქმა უნდა საშიშროების შემცველი იყო, რომელიც გამოვლინდა 2015 წლის 13 ივლისის ტრაგიკული მოვლენების სახით.

ვფიქრობთ, პირველ რიგში, ამ ტერიტორიების ლანდშაფტურ-არქიტექტურულ მოწყობამდე, ხსენებული საშიშროების მოგვარებაა საჭირო, კერძოდ საჭიროა ევერეს ხეობაში დამონტაჟდეს სელური ნაკადებისაგან დამცავი ბადეები ე.წ. "ხერხეულიძის ბადეები". თბილისამდე, სადღაც ბაგების მიმდებარე ტერიტორიაზე შეიქმნას წყალსაცავი, რომელიც იქნება წყალდიდობის დროს თბილისის სტიქიური პროცესებისაგან დამცავი ობიექტი და სასიამოვნო რეკრეაციული ტერიტორია. ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზაფხულში ქალაქში ტენიანობის გაზრდას და ექნება "სიგრილის ეფექტი". რაც შეეხება ვერეს ხეობას, იგი მხოლოდ რეკრეაციული და სამეცნიერო სახით უნდა იქნეს გამოყენებული, ვაკე საბურთალოს შემაერთებელი გვირაბი შეძლებისდაგვარად უნდა განივად გაფართოვდეს, რათა არ მოხდეს ჩახერგვები, საგზაო კომუნიკაციები კი ვერეს ხეობაში უნდა იქნეს დაფუძნებული ხიმინჯებზე.

რაც შეეხება მტკვარსა და მტკვრის სანაპიროს, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში რეკონსტრუქციის საშუალებით, თბილისი გადაიქცა კინტოებისა და ყარაჩოღელების აზიური ქალაქიდან ულამაზეს ევროპულ ქალაქად. ამ დროს ჩაფიქრებული იყო, რომ მტკვარსა და მტკვრის სანაპიროს უნდა ჰქონოდა მნიშვნელოვანი რეკრეაციული ფუნქცია. ასევე, იგი უნდა ყოფილიყო უმოკლესი საწყლოსნო მაგისტრალი დიღმიდან-ორთაჭალამდე, სადაც იცურებდა საწყლოსნო კატარღა-ტრამვაი. კატარღის სადგურების საპარადო ჩასასვლელები დღესაც შემორჩენილია მდინარე მტკვარზე. ვფიქრობთ ეს სატრანსპორტო ფუნქცია უნდა დაუბრუნდეს მდინარე მტკვარს, რაც გააუმჯობესებს და განტვირთავს ნაწილობრივ დედაქალაქს მგზავრთა ნაკადისაგან, ასევე ქალაქს მისცემს მნიშვნელოვან სასიამოვნო სახეს და რეკრეაციულ დანიშნულებას.

საბაგირო გზებით ერთმანეთთან დაკავშირებული ტერიტორიების ლანდშაფტურ არქიტექტურულ შეფასებასთან დაკავშირებით შეიძლება ვთქვათ, რომ თბილისი მთებშია მოქცეული და შეფარდებით სხვაობა სიმაღლეებს შორის 200-300 მეტრია. ამიტომ ყველა მნიშვნელოვანი ობიექტი მთაწმინდის პარკი, კუს ტბა, ლისის ტბა, ნარიყალა და სხვა დაკავშირებული უნდა იყოს საბაგირო გზებით. აუცილებლად აღსადგენია საბაგირო გზა „ზემელი" მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზა იგი დიდ პეწს სძენდა და ახლაც შესძენს თბილისს. ჩვენ ვემხრობით პროექტს "პანორამა თბილისი".

ბიბლიოგრაფია:

Беручашвили, Н. Л., & Ришар, Ж. Ф. (1979). Учение о пейзажах и ландшафтоведение во французской географической науке. *Известия АН СССР серия географическая* (6).

Мдивани, А. Р. (1985). *Некоторые вопросы эстетики ландшафта (на примере верхней Сванетии, Ковалукской возвишенности и Вашлованского заповедника): Дипломная работа* (Руководитель: профессор Н. Л. Беручашвили). Тбилиси.

Николаев, В. А. (1999). Эстетическое восприятие ландшафта. *Вестн. Моск. ун-та. Сер. 5. География* (6), 10-15.

Robert Maglakelidze

Gori State Teaching University

AESTHETIC PERCEPTIONS OF LANDSCAPES, LANDSCAPE DESIGN AND SOME ISSUES OF AESTHETIC ARRANGEMENT OF CULTURAL LANDSCAPES

RESUME

The article discusses the aesthetic perception of landscapes - the perception as a subjective-objective philosophical category and the landscape as one of the most important - "fifths" dimension, together with space and time.

Some theoretical and practical issues of aesthetic arrangement and management of cultural landscapes based on perception are also discussed in the example of Tbilisi.

Keywords: Landscape, Landscape aesthetics, Perception, Landscape design.

Pavle Midodashvili
Ilia State University
Levan Midodashvili
Gori State Teaching University

NEW COSMOLOGICAL BRANEWORLD SOLUTION IN 6D SPACETIME

1. Introduction

In braneworld models our world is considered as a hypersurface embedded in a higher dimensional spacetime. There already exist cosmological models with time-dependent metrics and matter fields, as well as branes with tensions varying in time (Gutperle & Strominger, 2002; Kruczenski, Myers, & Peet, 2002; Ivashchuk & Singleton, 2004; Burgess, Quevedo, Rabadan, Tasinato, & Zavala, 2004). Interesting 5D braneworld models with non-stationary metric coefficients were proposed in (Gogberashvili & Singleton, 2010; Gogberashvili, Herrera-Aguilar, & Malagón-Morejón, 2012; Gogberashvili, Herrera–Aguilar, Malagón–Morejón, Mora-Luna, & Nucamendi, 2013) (for the generalization to 6D case see (Sousa, Silva, & Almeida, 2012; Midodashvili, 2014). In these models the braneworlds are generated by standing gravitational waves coupled to a phantom-like bulk scalar field, and rapid oscillations of waves provide universal gravitational trapping of zero modes of all kinds of matter fields on the brane (Gogberashvili, Midodashvili, & Midodashvili, 2011; Gogberashvili, Midodashvili, & Midodashvili, 2012a; Gogberashvili, Midodashvili, & Midodashvili, 2012b; Gogberashvili, 2012; Gogberashvili, Sakhelashvili, & Tukhashvili, 2013). Subsequently in the paper (Gogberashvili & Midodashvili, 2013) it was introduced the 5D braneworld generated by standing gravitational waves coupled to real scalar field (instead of the phantom-like scalar fields of (Gogberashvili & Singleton, 2010; Gogberashvili, Herrera-Aguilar, & Malagón-Morejón, 2012; Gogberashvili, Herrera–Aguilar, Malagón–Morejón, Mora-Luna, & Nucamendi, 2013; Sousa, Silva, & Almeida, 2012; Midodashvili, 2014).

In the paper (Gogberashvili, Herrera-Aguilar, Malagon-Morejon, & Mora-Luna, 2013) authors considered cosmological solution within the framework of a 5D standing wave braneworld model generated by gravity coupled to a massless scalar phantom-like field. By obtaining a full exact solution of the model they found a novel dynamical mechanism in which the anisotropic nature of the primordial metric gives rise to inflation along certain spatial dimensions, and deflation and a shrinking reduction of the number of spatial dimensions along other directions. This dynamical mechanism can be relevant for dimensional reduction in string and other higher dimensional theories in the attempt of getting a 4D isotropic expanding space-time. In the paper (Sakhelashvili, 2015) the author generalized the results of (Gogberashvili, Herrera-Aguilar, Malagon-Morejon, & Mora-Luna, 2013) to the case of 6D standing wave braneworld model generated by gravity coupled to a massless scalar phantom-like field. In our previous paper (Midodashvili & Midodashvili, 2017) we have proposed another kind of cosmological solution for N-dimensional standing wave braneworld that also featured that novel dynamical mechanism of dimensional reduction.

In this article we introduce new cosmological braneworld solution in the 6D spacetime. Although the braneworld is generated by gravity coupled to a massless scalar phantom-like field, it isn't kind of standing wave braneworld. Despite that fact, our new solution still features the dynamical mechanism of dimensional reduction. In our future articles we will show that the new cosmological braneworld also supports gravitational trapping of the zero modes of matter fields on the brane.

Our setup (see also Sakhelashvili, 2015) consists of a single brane and non-self-interacting phantom-like bulk scalar field ϕ in 6D spacetime with signature $(+,-,-,-,-,-)$. The action of our model has the form

$$S=\int d^6x\sqrt{|g|}\left(\frac{1}{2}M^4R_{(6)}-\frac{1}{2}g^{AB}\partial_A\phi\partial_B\phi+L_{Brane}\right). \tag{1}$$

In this formula L_{Brane} is the brane Lagrangian, $R_{(6)}$ is the scalar curvature of 6-dimensional spacetime, and M is the fundamental scale, which is related to the 6-dimensional Newton constant, $G=1/\left(8\pi M^4\right)$. Capital Latin indices numerate 6-dimensional coordinates, and we use the units where $c=\hbar=1$.

Variation of action (1) with respect to metric g_{AB} leads to the Einstein equations:

$$R_{AB}-\frac{1}{2}g_{AB}R_{(6)}=\frac{1}{M^4}\left(\sigma_{AB}-T_{AB}\right), \tag{2}$$

where the energy-momentum tensor of the brane is expressed in terms of brane tensions τ_A

$$\sigma_B^A=M^4\delta(r)\,diag\left[\tau_t,\tau_x,\tau_y,\tau_z,\tau_r,\tau_\theta\right], \tag{3}$$

and the energy-momentum of the bulk scalar field is

$$T_{AB} = \partial_A \phi \partial_B \phi - \frac{1}{2} g_{AB} \partial^C \phi \partial_C \phi \ . \tag{4}$$

The Einstein equations (2) can be written in the form

$$R_{AB} = \frac{1}{M^4}\left(\sigma_{AB} - \frac{1}{4} g_{AB} \sigma - \partial_A \phi \partial_B \phi \right) , \tag{5}$$

where $\sigma = g^{AB} \sigma_{AB}$.

We consider the following 6-dimensional metric *ansatz*

$$ds^2 = e^S dt^2 - R^2 e^V \left(dx^2 + dy^2 + dz^2 \right) - dr^2 - R^{-6} e^{-3V} d\theta^2 \ , \tag{6}$$

where metric functions have the following form

$$S = S\left(|r|\right), \quad V = V\left(t, |r|\right), \quad R = R\left(t\right) \ . \tag{7}$$

It's easy to see that determinant of metric (6) is

$$|g| = e^S \ . \tag{8}$$

Metric (6) describes geometry of 5-brane placed at the origin of large space-like extra dimension r . The brane coordinates x , y and z denote the ordinary infinite dimensions of our world, while the remaining one θ can be assumed to be any kind, ie infinite, compact, large or curled up to the experimentally unobservable sizes for the present energies.

Using the standard procedure (see Midodashvili & Midodashvili, 2017) the Einstein equations (5) can be split into the system of equations for metric functions and for the brane energy-momentum tensor. Here we are interested only in system of equations for metric functions which have the following form

$$-\frac{1}{4} e^S S'^2 - \frac{1}{2} e^S S'' + 3\dot{V}^2 + 12 \dot{V} \frac{\dot{R}}{R} + 12 \frac{\dot{R}^2}{R^2} = \frac{1}{M^4} \dot{\phi}^2 \ , \tag{9}$$

$$3V' \left(\dot{V} + 2 \frac{\dot{R}}{R} \right) = \frac{1}{M^4} \phi' \dot{\phi} \ , \tag{10}$$

$$\frac{1}{2} S'' + \frac{1}{4} S'^2 + 3V'^2 = \frac{1}{M^4} \phi'^2 \ , \tag{11}$$

$$R^2 e^{-S+V} \left(\frac{1}{4} V' S' e^S + \frac{1}{2} V'' e^S - \frac{1}{2} \ddot{V} - \frac{\ddot{R}}{R} + \frac{\dot{R}^2}{R^2} \right) = \frac{1}{M^4} \left(\frac{\partial \phi}{\partial x} \right)^2 \ , \tag{12}$$

$$R^2 e^{-S+V} \left(\frac{1}{4} V' S' e^S + \frac{1}{2} V'' e^S - \frac{1}{2} \ddot{V} - \frac{\ddot{R}}{R} + \frac{\dot{R}^2}{R^2} \right) = \frac{1}{M^4} \left(\frac{\partial \phi}{\partial y} \right)^2 \ , \tag{13}$$

$$R^2 e^{-S+V} \left(\frac{1}{4} V' S' e^S + \frac{1}{2} V'' e^S - \frac{1}{2} \ddot{V} - \frac{\ddot{R}}{R} + \frac{\dot{R}^2}{R^2} \right) = \frac{1}{M^4} \left(\frac{\partial \phi}{\partial z} \right)^2 \ , \tag{14}$$

$$\frac{3}{4} R^{-6} e^{-S-3V} \left(-S' V' e^S - 2V'' e^S + 2\ddot{V} + 4 \frac{\ddot{R}}{R} - 4 \frac{\dot{R}^2}{R^2} \right) = \frac{1}{M^4} \left(\frac{\partial \phi}{\partial \theta} \right)^2 \ . \tag{15}$$

In (9)-(15) overdots and primes denote the derivatives with respect to t and $|r|$, respectively.

This system for metric functions has the following solution

$$S(r) = 2\ln\left(1+\frac{|r|}{k}\right) , \tag{16}$$

$$R(t) = C_1 e^{C_2 t} , \tag{17}$$

$$V(t,r) = C_3 \left(|r|+k\right)^{-2} e^{-\frac{2t}{k}} , \tag{18}$$

$$\phi(t,r) = \sqrt{3M^4}\left(V(t,r)+2C_2 t + C_4\right) , \tag{19}$$

where k is the positive constant which characterizes the width of the brane along the r dimension, and C_i (for $i \in \{1,2,3,4\}$) are some real constants.

For this solution the metric (6) gets the following form

$$ds^2 = \left(1+\frac{|r|}{k}\right)^2 dt^2 - C_1^2 e^{2C_2 t + C_3\left(|r|+k\right)^{-2} e^{-\frac{2t}{k}}}\left(dx^2+dy^2+dz^2\right) - dr^2 - C_1^{-6} e^{-6C_2 t - 3C_3\left(|r|+k\right)^{-2} e^{-\frac{2t}{k}}} d\theta^2 , \tag{20}$$

which, taking for simplicity $C_1 = 1$, $C_2 = \frac{1}{2}H > 0$ and $C_3 = 1$, can be written in the form

$$ds^2 = \left(1+\frac{|r|}{k}\right)^2 dt^2 - e^{Ht + \left(|r|+k\right)^{-2} e^{-\frac{2t}{k}}}\left(dx^2+dy^2+dz^2\right) - dr^2 - e^{-3Ht - 3\left(|r|+k\right)^{-2} e^{-\frac{2t}{k}}} d\theta^2 . \tag{21}$$

From (21) we can easily see that spacetime is exponentially expanding in the x, y and z directions. In other directions, ie r and θ, the spacetime undergoes effective exponential squeezing. This dimensional reduction mechanism effectively reduces 6D spacetime to a 4D isotropic expanding spacetime.

So, in this article we have introduced new cosmological braneworld solution in the 6D spacetime. Although it is generated by gravity coupled to a massless scalar phantom-like field, our new braneworld is not a standing wave braneworld. Despite that fact, we have explicitly shown that the new solution still features the dynamical mechanism of dimensional reduction, which effectively reduces 6D spacetime to a 4D isotropic expanding spacetime. Dimensional reduction mechanism of this type can be very important in string and other higher dimensional theories.

References:

Burgess, C. P., Quevedo, F., Rabadan, R., Tasinato, G., & Zavala, I. (2004). On Bouncing Brane-Worlds, S-branes and Branonium Cosmology. *Journal of Cosmology and Astroparticle Physics (JCAP), 2004*(02). Retrieved from https://arxiv.org/pdf/hep-th/0310122.pdf

Gogberashvili, M. (2012). Localization of Matter Fields in the 5D Standing Wave Braneworld. *Journal of High Energy Physics, 2012*(56). Retrieved from https://arxiv.org/pdf/1204.2448.pdf

Gogberashvili, M., & Midodashvili, P. (2013). The 5D Standing Wave Braneworld With Real Scalar Field. *Advances in High Energy Physics, 2013*. Retrieved from https://arxiv.org/pdf/1310.1911.pdf

Gogberashvili, M., & Singleton, D. (2010). Anti-de-Sitter Island-Universes from 5D Standing Waves. *Modern Physics Letters A, 25*(25), 2131-2143. Retrieved from https://arxiv.org/pdf/0904.2828.pdf

Gogberashvili, M., Herrera-Aguilar, A., & Malagón-Morejón, D. (2012). An anisotropic standing wave braneworld and associated Sturm–Liouville problem. *Classical and Quantum Gravity, 29*(2). Retrieved from https://arxiv.org/pdf/1012.4534.pdf

Gogberashvili, M., Herrera-Aguilar, A., Malagon-Morejon, D., & Mora-Luna, R. R. (2013). Anisotropic Inflation in a 5D Standing Wave Braneworld and Dimensional Reduction. *Physics Letters B, 725*(4-5), 208-211. Retrieved from https://arxiv.org/pdf/1202.1608.pdf

Gogberashvili, M., Herrera–Aguilar, A., Malagón–Morejón, D., Mora-Luna, R. R., & Nucamendi, U. (2013). Thick brane isotropization in a generalized 5D anisotropic standing wave braneworld model. *Physical Review D, 87*(8). Retrieved from https://arxiv.org/pdf/1201.4569.pdf

Gogberashvili, M., Midodashvili, P., & Midodashvili, L. (2011). Localization of scalar and tensor fields in the standing wave braneworld with increasing warp factor. *Physics Letters B, 702*(4), 276-280. Retrieved from https://arxiv.org/pdf/1105.1701.pdf

Gogberashvili, M., Midodashvili, P., & Midodashvili, L. (2012a). Localization of gauge bosons in the 5D standing wave braneworld. *Physics Letters B, 707*(1). 169-172. Retrieved from https://arxiv.org/pdf/1105.1866.pdf

Gogberashvili, M., Midodashvili, P., & Midodashvili, L. (2012b). Localization Problem in the 5d Standing Wave Braneworld. *International Journal of Modern Physics D, 21*(10). Retrieved from https://arxiv.org/pdf/1209.3815.pdf

Gogberashvili, M., Sakhelashvili, O., & Tukhashvili, G. (2013). Numerical Solutions in 5D Standing Wave Braneworld. *Modern Physics Letters A, 28*(20). Retrieved from https://arxiv.org/pdf/1304.6079.pdf

Gutperle, M., & Strominger, A. (2002). Spacelike Branes. *Journal of High Energy Physics (JHEP), 2002*(04). Retrieved from https://arxiv.org/pdf/hep-th/0202210.pdf

Ivashchuk, V. D., & Singleton, D. (2004). Composite electric S-brane solutions with maximal number of branes. *Journal of High Energy Physics (JHEP), 2004*(10). Retrieved from https://arxiv.org/pdf/hep-th/0407224.pdf

Kruczenski, M., Myers, R. C., & Peet, A. W. (2002). Supergravity S-Branes. *Journal of High Energy Physics (JHEP), 2002*(05). Retrieved from https://arxiv.org/pdf/hep-th/0204144.pdf

Midodashvili, P. (2014). Localization of Matter Fields in the 6D Standing Wave Braneworld. *International Journal of Theoretical Physics, 53*(4), 1174–1187. Retrieved from https://arxiv.org/pdf/1211.0206.pdf

Midodashvili, P., & Midodashvili, L. (2017). Dimensional Reduction in Standing Wave Braneworlds. *Gori State Teaching University, The Ninth International Scientific Conference - "Management of Education: Current Challenges and Development Perspectives".* (pp. 95-99).

Sakhelashvili, O. (2015). Dimensional Reduction in 6D Standing Waves Braneworld. *International Journal of Modern Physics D, 24*(1). Retrieved from https://arxiv.org/abs/1407.5264

Sousa, L. J. S., Silva, J. E. G., & Almeida, C. A. S. (2012). *A 6D standing wave Braneworld*. Retrieved from https://arxiv.org/pdf/1209.2727.pdf

ABSTRACT

In this article we introduce new cosmological braneworld solution in the 6D spacetime. Although it is generated by gravity coupled to a massless scalar phantom-like field, our new braneworld is not a standing wave braneworld. Despite that fact, we have explicitly shown that the new solution still features the dynamical mechanism of dimensional reduction, which effectively reduces 6D spacetime to a 4D isotropic expanding spacetime. Dimensional reduction mechanism of this type can be very important in string and other higher dimensional theories.

გიორგი მძინარაშვილი, ლალი აზმაიფარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

თავისუფალ ჭიდაობაში ტექნიკური მომზადების სრულყოფა

საკვანძო სიტყვები: თავისუფალი ჭიდაობა, ილეთი, ტექნიკური მოქმედება, ტაქტიკა, სასწავლო-საწვრთნო პროცესი.

ხანგრძლივი პრაქტიკის საფუძველზე ყველა მწვრთნელმა შექმნა სწავლისა და წვრთნის მეთოდების სისტემა, რომელიც მას აძლევს საშუალებას მოამზადოს მაღალი კლასისა და მაღალი დონის მოჭიდავეები. გარკვეულ ეტაპებზე არის ხშირი შემთხვევები, როდესაც მწვრთნელის და მოსწავლის ერთობლივ მუშაობას შედეგი არ მოაქვს. რატომ ხდება ეს, ამის ახსნა ხანდახან შეუძლებელია. ჩვენთვის მისაწვდომ თითქმის ყველა სახელმძღვანელოში დიდი ყურადღება ენიჭება სპორტში და, კერძოდ, ჭიდაობაში წვრთნის საკითხებს, სწავლების საკითხებს კი ენიჭება მცირე ყურადღება.

ძირითადად ყველა ნაშრომში დიდი ინტერესია გამახვილებული სწავლების საწყის ეტაპებზე. სამწუხაროდ, დღევანდელ დღემდე მწვრთნელები და სპეციალისტები არასაკმარისი დოზირებით და რაოდენობით იყენებენ პედაგოგიურ მეთოდებს და საშუალებებს, რომელიც დამოკიდებულია მოსწავლეთა ასაკზე და სპორტული ოსტატობის ჩამოყალიბების ეტაპებზე. ამის შედეგად მწვრთნელები იძულებულნი არიან იხელმძღვანელონ ერთეტაპიანი პედაგოგიური ილეთებით როგორც დამწყებ

სპორტსმენებთან, ისე სპორტის ოსტატებთან. მაგრამ ზოგიერთი სწავლების ილეთი, რომელიც გამოსადეგია ოსტატებისათვის, უარყოფით გავლენას ახდენს დამწყებ სპორტსმენებზე. ეფექტური შედეგისათვის აუცილებელია არსებული პედაგოგიური მეთოდების განაწილება მათი საფეხურების მიხედვით. ამისათვის საჭიროა პედაგოგიური მეთოდების იმის მიხედვით გამოყენება, თუ როგორ მოქმედებენ ისინი მოსწავლეებზე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაკუთრებით ტექნიკის სრულყოფის პროცესში, აუცილებელია წამყვანი პედაგოგიური მეთოდის დადგენა იმისათვის, რომ მივიღოთ ეფექტური შედეგი არსებულ პირობებში. სხვა მეთოდები მცირე რაოდენობით უნდა გამოვიყენოთ და მაქსიმალური ყურადღება და დრო გადავიტანოთ ძირითად მეთოდზე.

ყველა პედაგოგიური მეთოდის გამოყენებისას ჩვენი ზემოქმედება უნდა მოვახდინოთ მოჭიდავის გრძნობების ორგანოებზე იმის გათვალისწინებით, რომ გრძნობადი ორგანოების განვითარების შედეგად მოჭიდავის მიერ ხდება რთული და რთულად კოორდინაციული ილეთების ათვისება და სრულყოფა.

სპორტული ოსტატობის კრიტერიუმი არის სპორტსმენის ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობა. ყველა საჭიდაო შეხვედრასა და საწვრთნო მეცადინეობებზე და განსაკუთრებით შეჯიბრზე ფასდება სპორტსმენის (მოჭიდავის) მიერ ჩატარებული ტექნიკური მოქმედებების საფუძველზე, მათ რაოდენობაზე და ხარისხზე დაკვირვება და შეფასება, რომლებსაც ის ასრულებს სხვადასხვა ტექნიკური ხერხების შემდეგ. ამიტომ სპორტული ჭიდაობის ტექნიკის სრულყოფასა და ჭიდაობის ტაქტიკას განკუთვნილი აქვს დიდი დრო და ყურადღება სასწავლო-საწვრთნელო პროცესში მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებში. დიდი მნიშვნელობა აქვს ჭიდაობაში და, ჩვენ ვთვლით, ნებისმიერ სფეროში და მასში არსებულ სწავლის პროცესში სწავლის საწყის ეტაპს. აქ ხდება სპორტსმენის და კერძოდ მოჭიდავის ჩამოყალიბება, რამდენად სწორად აირჩევს მწვრთნელი სწავლების მეთოდიკას, მეთოდებს და მათში არსებულ ეფექტურ საშუალებებს და ხერხებს და პერსპექტივაში შედეგი უფრო კარგი იქნება. თავისუფალ ჭიდაობაში და სხვა ჭიდაობების სახეობებში არსებობს ილეთების და ტექნიკური მოქმედებების ძირითადი სამი კატეგორია. ეს არის: 1) ტექნიკური მოქმედებები, 2) კონტრმოქმედებები, 3) დაცვის ილეთები.

ჩვენს პრაქტიკაში და სასწავლო საწვრთნო პროცესში უპირატესობას ვანიჭებთ საიერიშო ილეთებს. მოჭიდავე, რომელიც უტევს და უტევს მობილიზებულად, გონივრულად და ეფექტურად, ხშირ შემთხვევაში ამთავრებს შეხვედრას გამარჯვებით. სწავლის პროცესში მწვრთნელებმა და მოსწავლეებმა დიდი ყურადღება უნდა გაამახვილონ, როგორც დგომის ილეთებზე, ისე ჩოქბჯენის ტექნიკურ მოქმედებებზე. ხშირად მწვრთნელები არ ეყრდნობიან არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებას, შეაქვთ თავისი კორექტივები, რომლებიც, ჩვენი აზრით, გამართლებულია და ამას ამართლებს მათ მიერ მოპოვებული შედეგი მხოლოდ ვარჯიშის დაწყებიდან 4-5 თვის მანძილზე. ხშირად მწვრთნელები და მოჭიდავეები ნაკლებ ყურადღებას ანიჭებენ ჭიდაობის ტექნიკის საფუძველს და მის რაციონალურ სტრუქტურას.

პირველ ყოვლისა ტექნიკური მოქმედებები უნდა შევისწავლოთ და შევასრულოთ ისე, რომ დიდი ეფექტის ხარჯზე დავხარჯოთ ნაკლები ენერგია. როგორც ცნობილია თავისუფალ ჭიდაობაში სხვა სპორტის სახეობებთან შედარებით არსებობს 1000-ზე მეტი ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედება. მიუხედავად ამისა, ამ ტექნიკური მოქმედებების მრავალრიცხოვანი რაოდენობიდან და მრავალფეროვნებიდან, როგორი დიდი დონის მოჭიდავეც არ უნდა იყოს ის ირჩევს ილეთების გარკვეულ კატეგორიას, თავისი ინდივიდუალური მონაცემებიდან გამომდინარე. იმისდა მიხედვით, თუ რომელი კუნთები აქვს განვითარებული მოჭიდავეს, მიზანშეწონილია იმ ილეთების გამოყენება, სადაც მონაწილეობენ ეს კუნთები. მოჭიდავე სწრაფ წარმატებას აღწევს კარგი რეაქციის საშუალებით, ის ასწრებს თავის მოწინააღმდეგეს როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში, ფიზიკურად ძლიერ მოწინააღმდეგეზე ფიზიკურ ზეწოლას ახდენს და ელოდება სასურველ მომენტს ილეთის შესრულებისათვის. გამძლე მოჭიდავეს შეუძლია მთლიანად შეჯიბრების პერიოდში ჭიდაობის მიმდინარეობისას ჩაატაროს დინამიური შეხვედრები და თითოეულ შეხვედრაში იყოს ძალიან აქტიური, დაღალოს მოწინააღმდეგე და მიოპოვოს გამარჯვება. დიდი ფიზიკური შესაძლებლობის სპორტსმენს, რომელსაც გააჩნია კარგი მოძრაობის კოორდინაცია, გამძლეობა, სიმარჯვე, პოზიციის შეფასება, შეუძლია აითვისოს ერთი ან ორი და შეიძლება ხუთი და ექვსი ილეთი როგორც დგომში, ისე ჩოქბჯენში. შემდგომში ხდება ყველა სპორტსმენის ჭიდაობის სტილის დამუშავება. ეს პროცესი დამოკიდებულია სპორტსმენის ინდივიდუალურ შესაძლებლობაზე. ამის შედეგად ზოგ მიჭიდავეს თავის საჭიდაო არსენალში შეაქვს ერთი ან ორი ილეთი, ზოგ მოჭიდავეს სამი, ოთხი, უძლიერესებს კი რამდენიმე ტექნიკური მოქმედება. ის მოჭიდავეები, რომლებსაც ახასიათებთ შეტევითი სტილი, ილეთების შესრულებისათვის ესაჭიროებათ დიდი ძალისხმევა და იმყოფებიან მოწინააღმდეგესთან მჭიდრო კონტაქტში. კომბინაციური სტილის მოჭიდავეებს ახასიათებთ ის უნარი, რომ მათ შეუძლიათ გადაერთონ საჭიროების შემთხვევაში ერთი ილეთიდან მეორე ილეთზე და მათ ეს კარგად გამოსდით.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სასწვლო-საწვრთნო პროცესი უნდა იყოს მიზანმიმართული და ეფექტური. მწვრთნელმა-პედაგოგმა სწორად და რაციონალურად უნდა წარმართოს ეს პროცესი.

ბიბლიოგრაფია:

მატვეევი, ლ. (1987). *სპორტული წვრთნის საფუძვლები.* თბილისი: განათლება.

მატვეევი, ლ. პ., & ნოვიკოვი, ა. დ. (1979). *ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა.* თბილისი.

მძინარაშვილი, გ. ა. (2006). *თავისუფალი ჭიდაობის ტექნიკური მოქმედებების მოცულობისა და თანამიმდევრობის ექსპერიმენტული დასაბუთება (სწავლების საწყის ეტაპზე).* თბილისი: პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი.

Матвеев, Л. П., & Новиков, А. Д. (1976). *Теория и методика физического воспитания.* Москва: Фис.

Медведь, А. В., & Кочурко, Е. И. (1985). *Совершенствование подготовки мастеров спортивной борьбы.* Минск: Полымя.

Новиков, А. А., & Кузнецов, В. В. (1971). Основы системы подготовки борцов высокого класса. *Спортивная борьба: Ежегодник.*

Туманян, Г. С. (1985). *Спортивная борьба.* Москва: ФИС.

Giorgi Mdzinarashvili, Lali Azmaiparashvili

Gori State Teaching University

IMPROVEMENT OF TECHNICAL TRAINING IN FREESTYLE WRESTLING

RESUME

The Training process demands from the trainers and sportsmen the long working. It depends on that conditions, which must be considered as by trainers, as by sportsmen. These are: correctly picked up training methods, means and techniques. But it must said that, whatever universal methods they must be, they must be realized and carefully chosen.

Keywords: Freestyle wrestling, Method, Technical action, Tactics, Training process.

მამია ტულუში, ნელი პაპუკაშვილი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და

სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

გარდამავალ ასაკში სისწრაფის, როგორც ფიზიკური თვისების განვითარების საკითხისათვის

საკვანძო სიტყვები: გარდამავალი ასაკი, სისწრაფე, ექსპერიმენტი, კუნთები.

სასკოლო ასაკში ფიზიკური მომზადება მოსწავლის ფიზიკური თვისებების განვითარებისა და ფიზიკური შესაძლებლობების ამაღლების პროცესია. არ არსებობს ადამიანის საქმიანობის არცერთი დარგი, რომ არ საჭიროებდეს მოძრაობის სწრაფი შესრულების უნარის სრულყოფა-განვითარებას.

მოთხოვნილებები, რომლებიც ადამიანს აქვს, ცხოვრების ყველა საფეხურზე ერთნაირი ძალით არ იჩენს თავს. ასაკობრივი კანონზომიერებით იცვლება და ვითარდება ის ფსიქოფიზიკური ძალებიც, რომლითაც ადამიანი აწარმოებს საჭირო ქცევას თავისი მოთხოვნილებებისა და გადაწყვეტილების განხორციელებისათვის. ისინი განიცდიან არა მარტო რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ ცვლილებებსაც.

ადამიანის ცხოვრებიდან მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას ***გარდამავალი ასაკი*** იქცევს. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ასაკი ხშირად ართულებს სოციალურ გარემოსთან მოზარდის შეგუებას, რითაც აღმზრდელებს ბევრჯერ ძნელად გადასაჭრელი პრობლემების წინაშე აყენებს. მოსწავლეთა აღზრდაში დაშვებული სერიოზული შეცდომები ხშირად იწვევს გარდამავალი ასაკის მოზარდის საზოგადოებრივი ცხოვრების სწორი გზიდან აცდენას, რის გამოც იგი ადვილად უერთდება დანაშაულებრივი ქცევის მოტივებით შეკავშირებულ ამა თუ იმ მცირე სოციალურ ჯგუფს და ძნელად აღსაზრდელ პიროვნებად იქცევა. ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად გარდამავალ ასაკში წარმოქმნილი პიროვნების ფორმირების პრობლემების ჩვენი ეპოქის მოთხოვნათა დონეზე გადასაჭრელად აუცილებელია, რომ ყველა, ვისაც ამ ასაკის მოზარდთან უხდება აღმზრდელობითი საქმიანობა, საფუძვლიანად იცნობდეს მის ძირითად თავისებურებებს.

არ არსებობს ადამიანის საქმიანობა, მოღვაწეობის არცერთი დარგი, რომ არ საჭიროებდეს ფიზიკური თვისებების განვითარების მაღალ დონეს, და, კერძოდ, მოძრაობის სწრაფად შესრულების უნარს. სისწრაფის, როგორც ფიზიკური თვისების მნიშვნელობა პიროვნების ზრდა-განვითარებაში უაღრესად დიდია. იგი ახალი შემძლეობის საფუძველია. მოძრაობის სისწრაფის განვითარების ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ ამაღლდეს ორგანიზმის ისეთი ფუნქციური შესაძლებლობანი, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვაგვარ მოძრაობით მოქმედებებში სისწრაფის მახასიათებლებს. სისწრაფეზე ვარჯიშობა (სწავლება) ხელს უწყობს ახალგაზრდა ორგანიზმის ზრდასა და ფორმირებას, ფიზიკურ განვითარებას და ჯანმრთელობის განმტკიცებას.

ვარჯიშთა ასეთი გავლენა აიხსნება იმით, რომ ისინი ამაგრებენ გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქ სისტემებს, ხელს უწყობენ კუნთების ჰარმონიულ განვითარებას, სახსრების მოძრაობის უნარიანობას და სრულყოფენ ნერვულ-კუნთოვან კოორდინაციას. ბავშვებთან, მოზარდებთან და ჭაბუკებთან ფიზიკური ვარჯიშებით მეცადინეობის შინაარსი დამოკიდებულია ასაკობრივ თავისებურებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სისწრაფეზე ვარჯიშობა უზრუნველყოფს არა მარტო მოძრაობითი ფუნქციის განვითარებას, ასევე დადებითად მოქმედებს ორგანიზმის თითქმის ყველა ფიზიოლოგიურ სისტემაზე.

სისწრაფე არის პიროვნების მორფოფუნქციურ თვისებათა ისეთი კომპლექსი, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს მოძრაობის მახასიათებლებს, მოძრაობის რეაქციის დროს. იგი ხასიათდება მოცემული პირობებისათვის მოძრაობთი მოქმედების რაც შეიძლება მცირე დროში შესრულებით. სისწრაფის ცნება ირთავს: მოძრაობათა სიჩქარეს, მათ სიხშირესა და მოძრაობათა რეაქციის დროს. განასხვავებენ საერთო (ზოგად) და სპეციალურ სისწრაფეს, რასაც მოსწავლე იძენს საერთო და სპეციალური მომზადების პროცესში. ამასთან, გამოყოფენ ***მარტივი და რთული*** რეაქციის სისწრაფეს, რაც იზომება რეაგირების ლატენტური დროით.

მოძრაობის სისწრაფის გამოვლინება ხასიათდება თავისი ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური და მორფოლოგიური საფუძვლებით. მაგალითად, რეაქციის ფარული პერიოდი შედგება დროის იმ მონაკვეთისაგან, რაც საჭიროა რეცეპტორის ასაგზნებად და ცენტრალურ ნერვულ სისტემაში (ც.ნ.ს.) აგზნების გადასაცემად. დიდი სისწრაფით შესრულებული მოძრაობები, შედარებით ნაკლები სისწრაფით შესრულებული მოძრაობებისაგან განსხვავდება იმით, რომ დიდი სისწრაფის შემთხვევაში გაძნელებულია სენსორული კორექცია. რეფლექსური რგოლები ვერ ასწრებენ სრულად ამოქმედებას, რის გამოც ძნელდება ზუსტი და სრულყოფილი მოძრაობების შესრულება. რიგ შემთხვევაში მოძრაობითი მოქმედებისას კუნთების აქტივობა იმდენად ხანმოკლეა, რომ ისინი ვერ ასწრებენ სათანადო შეკუმშვას. ე. ი. რაც უფრო სწრაფად სრულდება მოძრაობა, მით უფრო მეტად უახლოვდება კუნთის შეკუმშვა იზომეტრულ რეჟიმს.

კუნთის შეკუმშვის სისწრაფე, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია კუნთის ბოჭკოში ქიმიური ენერგიის მობილიზაციის და მის მექანიკურ ენერგიად (კუნთის შეკუმშვის ენერგიად) გარდაქმნაზე. აღნიშნული გარემოება განპირობებულია კუნთში მყოფი ადენოზინტრიფოსფატის რაოდენობით და მამოძრავებელი ნერვული იმპულსების კუნთში მოსვლის მომენტში მისი დაშლის სისწრაფით. რაც უფრო მეტია კუნთში ადენოზინტრიფოსფატის რაოდენობა და რაც უფრო სწრაფად იშლება იგი, მით უფრო სწრაფად იკუმშება კუნთი და, პირიქით.

მართალია, სისწრაფის როგორც ფიზიკური თვისების შემუშავება-განვითარების საკითხი მრავალმხრივ არის განხილული, მაგრამ სისტემატიზებული დასკვნები გარდამავალი ასაკის მოსწავლეთა მიმართ არ მოგვეპოვება. ამ მიმართებით მრავალი არსებითი ხასიათის პრობლემა ჯერ კიდევ დაუმუშავებელია. სწორედ ამიტომ დავისახეთ მიზნად გარდამავალ ასაკში სისწრაფის, როგორც ფიზიკური თვისების შემუშავების საკითხის გარკვევა. ამ პროცესში ჩვენი ყურადღება მიიქცია ფიზიკური თვისების სისწრაფის, როგორც სწავლების გზით შეძენილი მოქმედების ბუნებამ. მიღებულმა მასალამ საშუალება მოგვცა გარდამავალი ასაკის მოსწავლეებთან დაგვედგინა სისწრაფის, როგორც ფიზიკური

თვისების შესწავლა-სრულყოფის კანონზომიერებები და შეგვემუშავებინა შესაბამისი პედაგოგიური რეკომენდაციები.

გარდამავალ ასაკში დიდი გარდატეხა ხდება ინტელექტუალური განვითარების გზაზე თავს იჩენს აზროვნების ახალი, უფრო მაღალი ფორმები და მიმართულებანი. ხშირად გარდამავალ ასაკში დამახასიათებელია ძლიერი სპორტული ინტერესებიც. ამ შემთხვევაში მოზარდს დიდი სიფრთხილე და ზომიერება მართებს, რადგან ადვილი დაღლადობა და ორგანიზმის გარდაქმნა ფიზიკურ გადატვირთვას იწვევს. გარდამავალი ასაკი ეს არის ენერგიის მატებისა და „დუღილის“, აქტიურობის, ფიქრების, მაღალი აზროვნებისა და დიდი საქმეების ასაკი.

გარდამავალი ასაკი 10 წლიდან იწყება და 14–15 წლამდე გრძელდება. ყველა მოზარდი ერთი ხნის არ შედის ამ ასაკში, ზოგს დაგვიანება ემჩნევა, ზოგს აჩქარება. ამ ასაკზე დიდ გავლენას ახდენს კლიმატური პირობები. გარდამავალი ასაკის მოზარდის ფიზიკურ განვითარებაში უნდა გავარჩიოთ სამი მხარე: წონა-ზომაში ზრდა, მოტორული ფუნქციების ანუ ქცევის ფიზიკურ შესაძლებლობათა განვითარება და ბიოლოგიური (სქესობრივი) მომწიფება. ფიზიკური განვითარება ყოველთვის სამივე მიმართულებით ერთდროულად და ერთნაირი ძალით არ ხდება.

სახელწოდება „გარდამავალი ასაკი“ ფიზიკური განვითარების ერთ მიმართულებასთან - ბიოლოგიურ ანუ სქესობრივ მომწიფებასთანაა დაკავშირებული. იგი მიუთითებს, რომ აღნიშნული პერიოდი ბიოლოგიური ბავშვობიდან ბიოლოგიურ მოწიფულობაში გარდამავალი პერიოდია. ამ პერიოდის დასაწყისში სქესობრივი განვითარების მხრივ ბავშვთან გვაქვს საქმე, დასასრულს კი ამ მხრივ ფუნქციონალურად სავსებით მომწიფებულ და სრულყოფილ არსებასთან. მოსწავლის ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მისი შრომისუნარიანობა და მუშაობის ხარისხი.

გარდამავალი ასაკის მოსწავლეებთან მარტივი რეაქციის განვითარების მიზნით დაკვირვება ვაწარმოეთ რუსთავის 22-ე საჯარო სკოლის მე-8 და მე-9 კლასების (სულ 38, მათ შორის 13 გოგონა) მოსწავლეებზე. ფიზიკური თვისების სისწრაფის არსებული მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების გზების დადგენის მიზნით გამოვიყენეთ რბენი დაბალი საწყისიდან 30 მ. მონაკვეთზე. ამ მანძილზე რბენა მაქსიმალური ინტენსივობის ფიზიკურ ვარჯიშს განეკუთვნება. ამ მანძილის ზღვრული სიჩქარით გარბენისათვის მორბენალმა წამების ფარგლებში უნდა „ააფეთქოს“ საკუთარი ენერგეტიკული შესაძლებლობანი, რის შედეგადაც წარმოიშობა ჟანგბადის დიდი დავალიანება. კუნთებში გროვდება ნივთიერებათა ცვლის პროდუქტები, შესაბამისად კუნთების დაღლილობა ინტენსიურად იზრდება და რბენის სიჩქარე კლებულობს. შევეცადეთ, რომ საექსპერიმენტო ჯგუფებში შეგვერჩია ტოლი ასაკისა და შედარებით თანაბარი ფიზიკური განვითარების მოსწავლეები. ექსპერიმენტები ჩატარდა გარკვეულ საათებში და მშვიდ უქარო ამინდში (თითოეული მოსწავლე 30 მეტრიან მონაკვეთს გარბოდა 20 ჯერ - ყოველ საწვრთნელ მეცადინეობაზე თითოჯერ შედეგზე).

მოკლე მანძილზე რბენის სწავლების მეთოდიკა უშუალოდ დაკავშირებული იყო მოსწავლის სქესის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, მომზადებულობის დონის, ინტერესისა და შესაძლებლობების ყველა თავისებურებასთან. სწავლება წარმოებდეს ისეთი მეთოდებით, რომლებიც ხელს შეუწყობდა ჩვენებისა და ახსნა-განმარტების სხვადასხვა ხერხების გამოყენებას.

რბენი სისწრაფის შემუშავების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა და ხელს უწყობს პიროვნების სივრცეში გადაადგილებას. რბენი ზუსტად გამოხატავს განვითარების ხარისხს და საკუთარი მოძრაობის მართვის უნარს. რბენის დროს დაცული იყო მძლეოსნობის შეჯიბრების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები. იმის გამო, რომ მანძილის გარბენისას წამზომით მიღებული შედეგი (დრო) არ იძლეოდა სისწრაფის თვისების განვითარების სრულ სურათს, შევიმუშავეთ შეფასების ხუთქულიანი სისტემა.

ხუთი ქულა - დაბალი საწყისიდან რბენის სწრაფი დაწყებისათვის მოსწავლე გამოიყენებდა ტერფსაბჯენებს. ძახილზე „საწყისზე!“ - მორბენალი უნდა დადგეს სასაწყისე ხაზის წინ, ჩაჯდეს და ხელები დადოს საწყისის ხაზის წინ. ამ მდგომარეობიდან უკან მოძრაობით იგი ფეხებით ებჯინება ტერფსაბჯენებს, ჯერ უკანას, შემდეგ წინას (ძლიერი ფეხი უნდა დაიდგას წინ, და დაეშვას უკან მიბჯენილი ფეხის მუხლზე). ხელების თითები ქმნიან დრეკად თაღს ცერსა და დანარჩენ თითებს შორის. ხელები მხრების სიგანეზეა, ზეტანი გამართულია, სხეულის სიმძიმე თანაბრად არის განაწილებული ხელებზე, წინ დადგმული ფეხის ტერფსა და მეორე (გამქნევი) ფეხის მუხლზე. ძახილზე „ყურადღება“ მორბენალი ოდნავ გამართავს ფეხებს და უკან დადგმული ფეხის მუხლს მოაცილებს ბილიკს ე. ი. მორბენალი არის „საბრძოლო მზადყოფნის“ მდგომარეობაში, რომ მომდევნო ძახილზე („წინ!“ ან გასროლის ხმა) რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს რბენა. კარგ შედეგს რომ მიაღწიოს მოსწავლემ საჭიროა საწყისის შემდეგ განავითაროს სისწრაფე. დიდი მნიშვნელობა აქვს ხელების ენერგიულ მოძრაობას წინ და უკან. რბენისას დაცული უნდა იქნას ნაბიჯების სიგრძისა და სიხშირის ხელსაყრელი თანაფარდობა. ბილიკზე ფეხი უნდა დაიდგას ტერფის წინა ნაწილით, რბენა კი უნდა წარიმართოს დაძაბულობისა და

სწორი ხაზიდან გადახრის გარეშე. მანძილის ბოლოს უნდა შესრულდეს მკერდით მკვეთრი წინ დახრა ხელების ერთდროულად უკან გატანით (ამ ხერხს ეწოდება „მკერდით მიჭრა“. რბენის სისწრაფე კლებულობს მხოლოდ ფინიშირების შემდეგ. სასურველია, საწყისიდან სწრაფად მივაღწიოთ შესაძლო მაქსიმალურ სისწრაფეს და არ შევამციროთ იგი მანძილის დასრულებამდე. რბენა დასრულებულად ითვლება მაშინ, როცა მორბენალი თავისი სხეულით შეეხება ვერტიკალურ სიბრტყეს, რომელიც გადის ფინიშის ხაზზე.

მოსწავლეს ოთხი ქულა ეძლევა იმ შემთხვევაში თუ რბენი სრულდება ძირითადად ისევე, როგორც ხუთქულიანი შეფასების დროს, იმ განსხვავებით, რომ რამდენადმე დარღვეულია მოძრაობის სისუფთავე; სამი ქულა - თუ უხეში შეცდომები მკვეთრად არის გამოხატული; ორი ქულა ეძლევა მაშინ, თუ არ სრულდება ზემოაღნიშნული მოთხოვნები და მოსწავლე მანძილს გაირბენს მხოლოდ დაბალი საწყისიდან; ერთ ქულას ვაძლევდით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დარღვეული იყო ყველა ზემოაღნიშნული მოთხოვნა და მორბენალი დაბალი საწყისიდან ვერ ახერხებდა მანძილის გარბენას.

მოზარდის ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაში იმდენი არსებითი ცვლილებები ხდება, რომ XVIII საუკუნის დიდი მოაზროვნე ჟან-ჟაკ რუსო ამ ხანას „მეორე დაბადებასაც“ კი უწოდებდა. ეს არის ინტენსიური ზრდის პერიოდი. იგი არა მხოლოდ ორგანიზმის ბიოლოგიური ძალების აღმავლობის ასაკია, არამედ მოზარდის ინტენსიური ფორმირებისა და, კერძოდ, მორალური და გონებრივი ძალების განვითარების პერიოდიცაა. სქესობრივი მომწიფების დაწყებასთან ერთად მოზარდი სწრაფად იზრდება სიმაღლეში (განსაკუთრებით გოგონები), ისე, რომ სხეულის ნაწილების სიდიდეთა შორის პროპორცია ირღვევა. სიმაღლეში ზრდა კისრისა და კიდურების ხარჯზე ხდება, სხეულის ძირითადი ნაწილის სიდიდე კი უცვლელი რჩება, რასაც ჰუბერტეტულ დისჰარმონიას უწოდებენ. იგი გარდამავალი ასაკის ბოლოს ჰარმონიულ ზრდს უთმობს ადგილს - დარღვეული პროპორცია 15–16 წლისათვის უკვე აღდგენილია.

გარდამავალ ასაკში შესამჩნევად ვითარდება და მაგრდება კუნთები, უფრო სწრაფად იზრდება გული, სხეულის მასა მატულობს ერთნახევარჯერ. არტერიების დიამეტრები ასეთი ტემპით არ იზრდება, ამიტომ გული ტვინს საკმაო რაოდენობის სისხლს ვერ აწვდის, ამის გამო ნერვული სისტემა ნაწილობრივ შიმშილობს, საკმაო ენერგიას ვერ იღებს და მალე იღლება. ამ ნიადაგზე თავს იჩენს ტვინის მუშაობის უნარის ერთგვარი დაქვეითება, ადვილად დაღლა, ყურადღების გაფანტულობა, სიზარმაცისაკენ მიდრეკილება.

გარდამავალ ასაკში მოზარდის ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემები იმდენად მომაგრებულია, რომ შეიძლება დატვირთვების გაზრდა, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გარდამავალ ასაკში მოზარდს უნდა ავარიდოთ მეტისმეტი გადატვირთვა და გადაღლა, რასაც ემოციებით მდიდარი მოქმედების დროს იგი თავად ვერც კი ამჩნევს. აგზნებისა და გაღიზიანებადობის აწეული დონე, რაც გარდამავალი ასაკის პირველი ფაზისთვისა უფროა დამახასიათებელი, ყველაზე მეტ ზეგავლენას სულიერი ცხოვრების ემოციურ მხარეზე ახდენს. ეს ემოციურ მოვლენათა მიმდინარეობის დინამიკაში იჩენს თავს - ემოციური განცდები ამ ასაკში ადვილად, სრულიად უმნიშვნელო საბაბის ნიადაგზეც კი ჩნდება და დიდი ძალითა და სიცხოველით მიმდინარეობს. სიხარული და მწუხარება, აღშფოთება და მრისხანება მასში სწრაფად ვითარდება და ხშირად მთელ ცხოვრებას იპყრობს. უნდა აღინიშნოს, რომ თუ გარდამავალ ასაკში ფიზიკური თვისებების შემუშავება სწორად არ განხორციელდა, მომდევნო წლებში გართულდება მათი უმტკივნეულოდ და ნაყოფიერად შემუშავება.

მოკლე მანძილებზე რბენის დროს მოძრაობითი მოქმედების ნათელი სურათი რომ მივიღოთ, ერთმანეთს შევადარეთ პირველ და მეოცე ცდაზე მიღებული შედეგები. მერვე კლასელ მოსწავლეთა საშუალო შედეგი რბენის დროს პირველ ცდაზე იყო 1,7 ქულა, მეოცე ცდაზე - 3,9 ქულა. მეცხრე კლასელ მოსწავლეთა საშუალო შედეგი კი პირველ ცდაზე იყო - 1, 9 ქულა, ხოლო ბოლო ცდაზე - 4,2 ქულა. მოცემული შედეგებიდან ჩანს, რომ გარდამავალი ასაკის მოსწავლეებთან (ჩვენს შემთხვევაში) მოკლე მანძილზე (30 მ.) რბენაში საწვრთნელი მეცადინეობისას (როგორც გოგონებთან, ასევე ვაჟებთან) შესაძლებელია შედეგების ზრდა.

ექსპერიმენტების დაწყებისას მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი ვერ ახერხებდა საწყიზე სწორად დგომას, შესაბამისად, რბენის დროულად დაწყებას და მესაწყისის (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის) მიერ მიცემულ ძახილზე სწრაფ რეაგირებას. მოსწავლეთა უმეტესობა რბენს საწყისიდან ვერ იწყებდნენ ენერგიულად და მაქსიმალურად ვერ ანვითარებდნენ სისწრაფეს, ხოლო სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდათ უკან. ამასთან, რბენის დაწყებისას ადგილი ჰქონდა ტერფსაყრდენებზე ფეხების არაერთდროულ ძალმიყენებას, რაც მორბენალს არ აძლევდა პირველსავე ნაბიჯებზევე განევითარებინა მაღალი სიჩქარე.

მანძილზე რბენისას მოსწავლეებთან შეინიშნებოდა ტანის მნიშვნელოვანი დახრილობა და ტერფების ზედმეტად გაშლა, რაც აუარესებდა არეკნს. როგორც სასაწყისე გარბენში, ასევე მანძილზე

რბენის დროს, უმეტესად, ხელები არ მოძრაობდნენ ერთიან რიტმში. რბენაში შეინიშნებოდა სწორი ხაზიდან გადახრა, რაც იწვევდა რბენის რიტმისა და წონასწორობის შენარჩუნებაში გარკვეულ ხარვეზებს. საწყისისა და შემდგომი ნაბიჯების ტექნიკა დამოკიდებულია მორბენლის ძალასა და სისწრაფეზე. სისწრაფის ზრდასთან და აჩქარების სიდიდის დაკლებასთან ერთად სხეულის დახრილობა მცირდება და რბენა თანდათან უახლოვდება მანძილზე რბენის სწორ ტექნიკას.

ცდების ჩატარების ბოლო სტადიაზე სისტემატურმა ვარჯიშობამ მოსწავლეებს საშუალება მისცა, რომ მოძრაობები (საწყისზე დგომა, რბენის დაწყება, რბენა მანძილზე, ფინიშირება) შეესრულებინათ უკეთ, ვიდრე ექსპერიმენტების დაწყების ეტაპზე. მოკლე მანძილზე რბენის დროს ბოლო ორი შედეგის მიღებისას, „ემოციური ფონის“ გასაძლიერებლად, გამოვიყენეთ შეჯიბრების მეთოდი. სპორტულ შეჯიბრებაში „მოწინააღმდეგეზე“ გამარჯვების მოთხოვნილებისა და შესაბამისად არსებული სიტუაციის საფუძველზე აღმოცენებული განწყობა იმ მძლავრ მასტიმულირებელ ძალას წარმოადგენს, რის საფუძველზეც ხდება მოსწავლის (მოვარჯიშის) შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლინება. აღნიშნული ქმედებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასწავლო პროცესის უკეთ ორგანიზებისათვის.

ჩვენ მიერ წინასწარ გაწეული მუშაობის (ახსნა-განმარტება, დარწმუნება და სხვ.) შეჯიბრების დროს მოსწავლეებთან შეინიშნებოდა გარკვეული დაძაბულობა, შეზღუდვა მოძრაობაში, მაღალი ემოციური განცდები და ა. შ. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსწავლეების მიერ (თითქმის ყველასთან) შეჯიბრების დროს შეინიშნებოდა შედეგის გაუმჯობესება.

მიღებულმა მასალამ საშუალება მოგვცა გარდამავალი ასაკის მოსწავლეებთან დაგვედგინა სისწრაფის, როგორც ფიზიკური თვისების, შესწავლა-სრულყოფის კანონზომიერებები და შეგვემუშავებინა შესაბამისი პედაგოგიური რეკომენდაციები:

- სისწრაფის ჩვევის შემუშავების საწყის ეტაპზე საჭიროა პედაგოგი დაეხმაროს მოსწავლეს მოქმედების სტრუქტურაში მთავარისა და მეორეხარისხოვანის მიგნებაში, მიიყვანოს მოვარჯიშე მოძრაობის სწრაფად შესრულების არსის ღრმად გაგებამდე;
- სწავლების პროცესში მოსწავლეებს უნდა გავუღვიძოთ ინტერესი შესასწავლი მოძრაობისადმი. მასწავლებელმა მოძრაობის (დაბალი საწყისიდან რბენის ტექნიკის) შესწავლის პროცესი უნდა დაიწყოს მოძრაობის ჩვენებით, თუ მას არ შეუძლია სწორად ჩვენება, მაშინ ასრულებს სხვა მოსწავლე, თუ არ არის ამის შესაძლებლობაც, მაშინ იგი იყენებს ვიდეო ტექნიკას, შენელებულ კადრებს ან სხვა რაიმე თვალსაჩინო მასალას. მოძრაობის ჩვენება უნდა იყოს ზუსტი და მოვარჯიშისათვის მისაწვდომი, ლოგიკურად თანამიმდევრული;
- მიღებულმა შედეგებმა ცხადყო, რომ გარდამავალ ასაკში (გოგონებთან, ვაჟებთან) ყოველთვის შეგვიძლია მივაღწიოთ მოძრაობის სისწრაფის ამაღლებას არა მარტო საკუთრივ სწრაფუნარიანობაზე ზემოქმედებით, არამედ სხვა გზებითაც, კერძოდ, ძალისა და სწრაფძალისმიერი უნარიანობის, სწრაფგამძლეობის ზემოქმედებით;
- განსაკუთრებული ემოციური ფონი, რაც იქმნება შეჯიბრების სიტუაციით, აძლიერებს სწავლების ზემოქმედებას და ხელს უწყობს ორგანიზმის შესაძლებლობების გამოვლინებას იმ რეზერვების ხარჯზე, რომელთა გამოვლენა ჩვეულებრივ პირობებში არის გართულებული;
- საწვრთნელი დატვირთვის მოცულობა იცვლება მოსწავლის (მოვარჯიშის) გაწვრთნილობისა და ფიზიკური მომზადების პარალელურად, ამაღლების ტენდენციით;
- დასვენების, როგორც სწავლების ეფექტის ოპტიმიზაციის საშუალების გამოყენება ემყარება იმას, რომ ვარჯიშთა შორის დასვენებებში მისი ხანგრძლივობა და შინაარსის თავისებურებები დამოკიდებულია წინა დატვირთვის „შემდეგ მოქმედებაზე“ და მომდევნო ზემოქმედებაზე;
- რაც უფრო მდიდარია მოსწავლის მიერ შეძენილი მოძრაობითი უნარ-ჩვევების მარაგი, მით უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნია მას ახალი მოძრაობების ასათვისებლად და საჭიროების შემთხვევაში მათ გარდასაქმნელად;
- საჭიროა სწავლების დროს გავითვალისწინოთ სამედიცინო შემოწმების დასკვნები და პედაგოგიური დაკვირვების შედეგები;
- კვლევაში ასევე გამოიკვეთა მოსწავლის უარყოფითი თვისებები (ქედმაღლური დამოკიდებულება თანაკლასელის მიმართ, დაცინვა, თანაგუნდელის სულიერ მდგომარეობაში წვდომის უუნარობა, თავშეუკავებლობა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა და სხვ.).

ბიბლიოგრაფია:

თოფურია, თ., & სვანიშვილი, რ. (1985). *მოძრაობა, მოძრაობა...* თბილისი.

კახიძე, გ. (რედ.). (2007). *სპორტის თეორია.* თბილისი.

კინწურაშვილი, დ. (1988). *მოძრაობა - ჯანმრთელობაა.* თბილისი.

მამარდაშვილი, შ. (1976). *მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდა.* (სერია 8). თბილისი.
მარკოვი, დ., & ოზოლინი, ნ. (რედ.). (1977). *მძლეოსნობა.* თბილისი: განათლება.
ნორაკიძე, ვ. (1989). *ზოგადი ფსიქოლოგია.* თბილისი: განათლება.
ტუღუში, მ., & გობირახაშვილი, ა. (2018). *მძლეოსნობა: დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის* (პირველი ნაწილი). თბილისი: უნივერსალი.
ქართველი კლასიკოსები ბავშვთა აღზრდის შესახებ. (1973). (სერია 4). თბილისი.
ყოლბაია, მ. (2003). *სპორტის ფსიქოლოგია.* თბილისი: ცის ნამი.
ჩხარტიშვილი, შ. (1975). *აღზრდა გარდამავალ ასაკში.* (სერია 8). თბილისი.
ჯანელიძე, პ. (1984). *სქესობრივი აღზრდის საკითხები.* თბილისი: განათლება.
Матвеев, Л. П. (1997). *Общая теория спорта.* Москва.

Mamia Tugushi, Neli Papukashvili
Georgian State Teaching University of Physical and Sport

FOR THE ISSUE OF DEVELOPMENT OF SPEED AS A PHYSICAL FEATURE IN TRANSITIONAL AGE

RESUME

It's a well known fact that school age is considered to be the period of physical feature development and raising physical abilities. We pay great attention how to choose physical activities and the ways of their regulation in the transition age, and take into consideration biological changes and their features. Multi-year observation and the analyses on the results gave us a chance to work out some recommendations how to develop and improve speed in the transition age, that is widely spread in the above article.

Keywords: Transition Age, Speed, Experiment, Muscle.

Мариами Убирия
Грузинский государственный учебный университет физического воспитания и спорта

АЛКАЛОИДЫ РЯДА ТРОПАНА

Ключевые слова: Алкалоиды, Тропан, Анестезия, Медицина, Классификация.

Алкалоиды - это природные азотсодержащие органические соединения основного характера, имеющие сложный состав и обладающие сильным специфическим действием. Большинство их относится к соединениям с гетероциклическим атомом азота в кольце, реже азот находится в боковой цепи. Широкое применение алкалоиды находят в медицине в составе многих лекарственных препаратов, в ветеринарии, в сельском хозяйстве и даже в пищевой промышленности. Синтезируются преимущественно растениями, иногда животными или микроорганизмами. (Алкалоиды, общая характеристика)

В настоящее время единого метода назначения алкалоидам тривиальных названий не существует. Во многих случаях названия алкалоидов образуются путем присоединения суффикса «-ин» к видовым или родовым названиям алкалоидов.

Также не существует и единой классификации алкалоидов. Приведем наиболее часто используемые способы классификации:

1. Классификация алкалоидов по Орехову А.П. Является наиболее известной классификацией и основывается на распределении их по группам на основе структуры, т.е. на основе строения их углеродно-азотного скелета. Так, он выделяет следующие группы: производные пирролидина, производные 1-метилпиррозилидина(гелиотридана), производные пиридина, производные хинолина, производные акридина, производные изохинолина, производные индола, производные имидазола, производные хиназолина,

производные пурина, стероидная группа алкалоидов, ациклические алкалоиды, алкалоиды неустановленного строения.

2. По филогенетическому (ботаническому) признаку объединяют в одну группу все соединения, выделенные из растений одного рода. Принцип часто используется, когда химическое строение ещё не установлено: алкалоиды мака, алкалоиды ипекакакуаны, алкалоиды табака, алкалоиды аконита, алкалоиды хинного дерева, алкалоиды спорыньи, алкалоиды эфедры, алкалоиды стрихноса (рвотного ореха).

3. По биогенетическому предшественнику, из которого алкалоиды синтезируются. Например, алкалоиды, предшественником которых является триптофан, лизин, гистидин, фенилаланин. Такая классификация не позволяет точно отнести алкалоид к какой-либо группе, т. к. в составе соединения может быть несколько предшественников. Например, в никотине содержатся пиридин и пирролидин.

4. По преобладающему фармокологическому эффекту действия: наркотические алкалоиды, местноанестезирующие алкалоиды, спазмолитические алкалоиды, алкалоиды, обладающие курареподобным действием. (Орехов, 1955)

5. В биохимии растений различаются три типа алкалоидов: истинные алкалоиды, протоалкалоиды и псевдоалкалоиды. Истинные алкалоиды синтезируются из аминокислот и основой их структуры являются азотистые гетероциклы. Протоалкалоиды не содержат гетероциклического фрагмента, но являются растительными аминами и также образуются из аминокислот. Псевдоалкалоиды – соединения, содержащие аминогруппу, но образованные не из аминокислот. К ним относятся терпеновые и стероидные алкалоиды.

В растительном организме распределение алкалоидов обычно бывает довольно неравномерно. Локализация алкалоидов происходит преимущественно в определенных частях: в коре, листьях, корнях, клубнях, семенах или плодах. Например, в видах *Cincona (хинное дерево)* алкалоиды находятся главным образом в коре, тогда как у аконитов главная их масса находится в клубнях. Известны случаи, когда одни части растений очень богаты алкалоидами, тогда как в других частях того же растения они полностью отсутствуют или содержаться в гораздо меньшем количестве. (Орехов, 1955) Различные части одного и того же растения могут отличаться между собой также и качественными содержанием алкалоидов, т.е. в различных частях растений могут находиться разные алкалоиды. Например, корень мачка бахромчатого содержит исключительно хелеретрин и сангвинарин, тогда как в надземных его частях находятся только протопин, коридин и аллокриптопин.

Процентное содержание алкалоидов, заключающихся в каком-либо органе растения, обычно невелико. Известно, правда, несколько примеров – хинное дерево, барбарис, коридалис и др., когда содержание алкалоидов доходит до 10-15 %. Но такие случаи являются редкими исключениями, и растения, содержащие 1-2 % алкалоидов, считаются уже богатыми сырьем. Обычно содержание алкалоидов измеряется десятыми, а иногда и сотыми долями процента. Процентное содержание алкалоидов подвержено сильным колебаниям, зависящим от многих факторов: климата, времени суток ,высоты над уровнем моря, почвы, внутривидовой (индивидуальной) изменчивости растения, интенсивности солнечной радиации. При этом за время вегетации оно может или непрерывно расти, или же сначала увеличиваться, а затем падать.

Обычно алкалоиды находятся в растении в виде солей различных органических или минеральных кислот. Особенно часто встречаются они в виде солей яблочной, лимонной, щавелевой, янтарной и дубильной кислот (таннин). Далее встречаются соли уксусной, пропионовой и молочной кислот. Из минеральных кислот встречаются серная, фосфорная, роданисто водородная. В некоторых растениях алкалоиды связаны с кислотой, являющейся характерной для данного растения, например аконитовой (в аконите), хинной (в хинной корке), меконовой (опий). (Распространенность алкалоидов в природе, 2014)

По физическим свойствам различают бескислородные и кисловодсодержащие алкалоиды.

При комнатной температуре кислородсодержащий алкалоид - это твердое кристаллическое вещество, а бескислородный- маслянистая жидкость. Цвета и запаха, за редким исключением (например, кониин, пахикарпин, никотин), не имеют. На вкус, в основном, горькие, вяжущие, неприятные. Проявляют оптическую активность в растворах, причем у левовращающих изомеров оптическая активность, в большинстве случаев, выше. Если говорить о растворимости в воде, то могут полностью растворяться только кофеин, эфедрин, эргометрин. Остальные представители этого класса соединений растворяются только в жидких органических веществах (растворителях). В виде солей алкалоиды обычно хорошо растворимы в воде и этаноле. (Петрова, 2015)

Для всех групп алкалоидов характерен ряд химических свойств:

1. Основные (щелочные) свойства. Благодаря основному характеру алкалоиды образуют соли с кислотами разной степени прочности. Эти соли легко разлагаются под действием едких щелочей и аммиака.

2. Образование осадков с солями тяжелых металлов, с комплексными соединениями, с некоторыми органическими соединениями кислотного характера (пикриновая кислота).

3. Реакции, зависящие от наличия в молекулах различных функциональных групп. Например, морфин содержит фенольный гидроксил, поэтому он со щелочами образует феноляты; дает реакции с $FeCl_3$.

4. Алкалоиды, которые представляют собой сложные эфиры (атропин, скополамин) способны подвергаться гидролизу кислотами и щелочами.

5. Специфические качественные реакции на отдельные алкалоиды.

Для извлечения алкалоидов используют три способа. Предварительно растительное сырье необходимо высушить и измельчить. Первый способ основан на отгонке с водяным паром оснований алкалоидов, имеющих

температуру кипения ниже 100 °С(обычно способ применяется для легколетучих алкалоидов). В двух других способах алкалоиды извлекают путем экстракции либо в виде солей, либо в виде оснований. Соли алкалоидов экстрагируют водой или спиртом после подкисления сырья органическими либо минеральными кислотами. Полученный экстракт сгущают в вакууме при температуре не выше 30—40 °С, чтобы не допустить разложения алкалоидов. Недостаток такого способа состоит в том, что вместе с алкалоидами извлекается большое количество сопутствующих веществ (углеводы, белки, смолы, дубильные вещества и т. д.). Для извлечения алкалоидов в виде оснований сырье предварительно обрабатывают растворами аммиака, едкой или углекислой щелочи. Затем экстрагируют основания органическими растворителями (хлороформом, дихлорэтаном, бензолом и т. д.). Сопутствующих веществ в данном способе извлекается меньшее количество. Очистку суммы алкалоидов, полученных в виде солей или оснований, производят путем последовательного перевода солей в основания, а оснований в соли. Эту операцию повторяют несколько раз, извлекая основания алкалоидов органическими растворителями, а соли — подкисленной водой. Более современными методами выделения и очистки алкалоидов являются хроматографические методы. В качестве сорбентов применяют окись алюминия, силикагель, ионообменные смолы, целлюлозу и др. Через них пропускают растворы солей алкалоидов, а затем осуществляют десорбцию (выделяя основания алкалоидов). Очень сложным этапом является разделение суммы алкалоидов на индивидуальные вещества, для этой цели используют различие в физических и химических свойствах самих алкалоидов или их производных (фенолятов, нитрозопроизводных, бензоильных производных, эфиров и т. д.). Отличие в растворимости, силе основности, адсорбционной способности позволяет отделить алкалоиды друг от друга. Применяют также адсорбционную и распределительную хроматографию, электрофорез, метод противоточного распределения и т. д. (Белихов, 2007)

Тропан является основой некоторых природных алкалоидов и ряда синтетических лекарственных средств. Тропан - бициклическое основание, содержащее два конденсированных цикла: пятичленный пирролидин и шестичленный пиперидин (рис. 1). К алкалоидам ряда тропана относятся в основном алкалоиды растений семейств пасленовых и эритроксилоновых (Solanacea еи Erythroxylaceae). Иногда эти алкалоиды делят на 2 группы: группа атропина (заместители в позициях 3, 6,7) и группа кокаина (заместители в позициях 2 и 3).Основные алкалоиды, относящиеся к ряду тропана: атропин, скополамин, гиосциамин (группа атропина), кокаин, экгонин (группа кокаина).



Рис. 1.Тропан

Атропин содержится в красавке (Atropabelladonna), белене (Hyoscyamusniger), дурмане (Daturastramonium), скополии (Scopoliacarniolica) и других растениях семейства пасленовых (Solanaceae). Однако, его содержание в растениях невелико и составляет всего лишь 0,1—0,5 %. Атропин - основание, представляет собой бесцветные призматические кристаллы. Температура плавления 115-117°. Оптически неактивен, в воде растворяется с трудом, легко - в этиловом спирте, бензине, амиловом спирте и хлороформе. Хорошо растворяется в подкисленной воде. Водные растворы атропина обладают щелочной реакцией на лакмус. Большинство солей атропина не кристаллизуется. Кристаллической солью атропина является его сульфат. Атропин представляет собой рацемическую смесь (рис. 2). Физиологической активностью обладает лишь гиосциамин. Он является стереоизомером атропина и при температуре 110° легко переходит в него. Гиосциамин по химическим свойствам не отличается от атропина, однако, он несколько лучше растворяется в воде и несколько хуже в бензине и эфире. Предполагают, что именно гиосциамин содержится в растениях, тогда как атропин образуется в процессе выделения. Атропин может быть получен синтетическим методом. Он образуется при упаривании смеси тропина и троповой кислоты. Первый синтезируют из янтарного альдегида, метиламина и ацетона с последующим восстановлением образующегося тропинона. Троповая кислота может быть получена конденсацией этилового эфира фенилуксусной кислоты $C_6H_5CH_2COOC_2H_5$ с этилформиатом $HCOOC_2H_5$ с последующим восстановлением и гидролизом образовавшегося эфира формил-фенилуксусной кислоты $C_6H_5CH(CHO)COOC_2H_5$.



Рис. 2.Атропин и гиосциамин.

Основной фармакологической особенностью атропина является его способность блокировать М-холинорецепторы; он действует также (хотя значительно слабее) на Н-холинорецепторы. Атропин относится, таким образом, к неизбирательным блокаторам М-холинорецепторов. Блокируя М-холинорецепторы, он делает

их нечувствительными к ацетилхолину, в области окончаний постганглионарных парасимпатических (холинергических) нервов. Эффекты действия атропина противоположны, поэтому к эффектам, наблюдающимся при возбуждении парасимпатических нервов относят: уменьшение секреции слюнных, желудочных, бронхиальных, потовых желёз, поджелудочной железы, учащением сердечных сокращений, понижением тонуса гладкомышечных органов (бронхи, органы брюшной полости и др.). Под влиянием атропина происходит сильное расширение зрачков. Также атропин проникает через гематоэнцефалический барьер и оказывает сложное влияние на ЦНС. Он оказывает центральное холинолитическое действие и вызывает у больных паркинсонизмом уменьшение дрожания и мышечного напряжения. Однако, действие атропина недостаточно эффективно для этих целей. Его сильное влияние на периферические м-холинорецепторы приводит к ряду осложнений (сухость во рту, сердцебиение и др.). В больших дозах атропин стимулирует кору головного мозга и может вызвать двигательное и психическое возбуждение, сильное беспокойство, судороги, галлюцинаторные явления. В терапевтических дозах атропин возбуждает дыхание; большие дозы могут, вызвать паралич дыхания.

Токсикологическое значение атропина определяется как широким применением его в медицинской практике (возможность передозировки), так и широким распространением растений, содержащих производные тропана (отравление частями растений). В медицине атропин применяется в глазной практике как средство, расширяющее зрачок (медриатическое), а также как спазмолитическое при бронхиальной астме, спастических коликах и т. п. Токсическое действие атропина и других алкалоидов этой группы проявляется возбуждением, галлюцинациями, повышенной подвижностью, смехом и т. п., через некоторое время наступает угнетение. Атропин парализует также окончания парасимпатических нервов, иннервирующих мускулатуру (глаз, сердца, легких, желудка, кишечника), и железы (слюнные, потовые и др.). Впоследствии наступает расширение зрачков, сохраняющееся часто даже после смерти, нарушение зрения, сухость в носу, хрипота, кожа становится сухой и горячей; обнаруживаются и другие признаки отравления. Смертельная доза для человека 0,1 г. Из организма атропин выводится с мочой. При вскрытии характерные признаки отравления не обнаруживаются. Доказательством отравления могут быть части растений в желудке. В отношении сохраняемости атропина в организме данные противоречивы. Одни исследователи считают, что атропин разрушается быстро, другие указывают, что он способен сохраняться в трупе после смерти до 3 недель и более. Л. И. Гельгесен и А. Ф. Рубцов показали, что атропин может сохраняться в биологическом материале животного происхождения до 2 лет. Изолирование производилось методом Крамаренко, качественное обнаружение-реакцией Витали - Морена и фармакологической пробой. (Гельгесен & Рубцов, 1969)

Ещё один значимый алкалоид ряда тропана-скополамин. По химической структуре скополамин является сложным эфиром спирта - скопина и троповой кислоты (рис. 3). В растении сопутствует гиосциамину и другим химически близким ему алкалоидам, являясь одним из главных алкалоидов. Скополамин - твердое кристаллическое вещество, кристаллизуется с одной молекулой воды. Легко подвергается рацемизации, особенно в присутствии щелочей, и дает рацемический скополамин. Трудно растворяется в воде и легко в органических растворителях. Образует хорошо кристаллизующиеся соли. В медицине применяется в виде бромгидрата, представляющего собой бесцветные прозрачные кристаллы, легко выветривающиеся на воздухе. Бромгидрат растворяется в воде, спирте, хлороформе, не растворяется в эфире. Водные растворы скополамина при стоянии частично омыляются. Под влиянием кислот и щелочей скополамин подвергается гидролизу, образуя скополин и троповую кислоту.



Рис 3.Скополамин

По физиологическому действию скополамин является М-холиноблокатором, оказывает противорвотное, седативное и спазмолитическое действие. М-холиноблокирующее действие проявляется наиболее значимо на фоне повышенного тонуса парасимпатической части вегетативной нервной системы и/или возбуждения М-холинорецепторов. При применении в больших дозах может вызвать тахикардию. Скополамин применяется в качестве успокаивающего и снотворного средства при состояниях моторного возбуждения, маниакальных состояниях, бессоннице. По физиологическому действию скополамин напоминает атропин. Однако у скополамина более выражено действие на центральную нервную систему, а парасимпатический эффект менее стоек и проявляется лишь при больших дозах препарата. Физиологический эффект левовращающего изомера скополамина и 2 раза больше, чем рацемата. Смертельной дозой считают 0,1 г скополамина, но в некоторых случаях отмечается и повышенная чувствительность к нему.

Кокаин - дважды сложный эфир спиртокислоты экгонина, метилового спирта и бензойной кислоты (рис. 4). Кокаин является главным алкалоидом листьев кокаинового куста (Erythroxyloncoca) семействаЭритроксиловые (Erythroxylaceae), произрастающего в Южной Америке и культивируемого на Яве, Цейлоне и в Индии. Содержание кокаина в листьях до 1%. Молодые листья содержат кокаина больше, чем старые (до 2%).Водные растворы кокаина обладают слабощелочной реакцией по лакмусу. Основание кокаина

легко растворяется в разбавленных кислотах. Соли кокаина являются аморфными или кристаллическими веществами. Медицинское применение имеет хлористоводородная соль кокаина (кокаина гидрохлорид) - бесцветные игольчатые кристаллы. При кристаллизации из воды получается соль, содержащая две молекулы воды. Кокаина хлоргидрат очень легко растворяется в воде, спирте, эфире, хлороформе.



Рис. 4.Кокаин

В промышленности кокаин получают экстракцией из листьев кокаинового куста или омылением смеси алкалоидов до экгонина с последующим метилированием его карбоксильной группы и бензоилированием. Кокаин является ценным местноанестезирующим средством и применяется в глазной практике и для смазывания слизистой оболочки носоглотки. При приеме кокаина может возникнуть тяжелейшая наркомания - кокаинизм. Кокаин очень токсичен. Смертельная доза составляет 1,2 г, хотя смерть может наступить и от приема 0,1-0,3 г. Симптомы отравления кокаином разнообразны и характеризуются действием как на центральную, так и на периферическую нервную систему. Действие кокаина проявляется в виде опьяняющего веселья, галлюцинаций, позднее появляются бред, страх, притупление или потеря ощущения вкуса, слуха, зрения, расширение зрачков и понижение аккомодационной способности, конвульсии, паралича. Кокаин вызывал многочисленные отравления. В настоящее время, вследствии всё большей замены его синтетическими анестетиками, он сравнительно редко встречается как яд при химико - токсикологических исследованиях. При вскрытии характерных признаков отравления не обнаруживается. Обнаружение кокаина в органах трупа возможно только через непродолжительное время после наступления смерти. Максимальные сроки, указанные в литературе, не превышают 3-х недель.

На сегодняшний день изучение алкалоидов является важной задачей. Количество известных алкалоидов уже приближается к 10000, однако, до сих пор продолжается открытие все новых и новых алкалоидов. Благодаря быстроте воздействия и высокой физиологической активности они нашли широкое применение в медицине. Одними из наиболее применяемых являются алкалоиды ряда тропана. Так, на основании алкалоидов этого ряда возможен синтез новых веществ с уже заданными фармокологическими своиствами (например, на основе кокаина был синтезирован новокаин). Алкалоиды ряда тропана входят в состав препаратов спазмолитиков и анестетиков, поэтому являются одними из важнейших в терапевтической практике.

Библиография:

Алкалоиды, общая характеристика. (б.д.). Получено 15 сентября 2018 г., из http://www.fito.nnov.ru/special/alkaloids/

Белихов, В. Г. (2007). *Фармацевтическая химия* . Москва: Медпресс Инфо.

Гельгесен, Л. И., & Рубцов, А. Ф. (1969). Сохраняемость атропина в трупном материале. *Судебно-медицинская экспертиза* (3), 37-39.

Орехов, А. П. (1955). *Химия алкалоидов* (изд. 2). Москва: АН СССР.

Петрова, Л. (8 февраля 2015 г.). *Алкалоид - это... Классификация алкалоидов, характеристика*. Получено 15 сентября 2018 г., из https://fb.ru/article/168351/alkaloid---eto-klassifikatsiya-alkaloidov-harakteristika

Распространенность алкалоидов в природе. (2014). Получено 15 сентября 2018 г., из Биофайл: http://biofile.ru/bio/17326.html

Mariami Ubiria

Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

ALKALOIDS OF THE TROPANE SERIES

RESUME

The study of alkaloids is an important task. The number of known alkaloids is already approaching 10,000, however, the discovery of more and more alkaloids is still ongoing. Due to the speed of exposure and high physiological activity, the alkaloids of the tropane series are widely used in medicine. On the basis of alkaloids of this series, the synthesis of new substances with already specified pharmacological properties is possible. Alkaloids of a number of tropan are included in the composition of antispasmodic and anesthetic drugs, therefore, are among the most important in therapeutic practice.

Keywords: Alkaloids, Tropan, Anesthesia, Medicine, Classification.

ქეთევან ქობალია
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნების მოდელი

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი, პროფესიულად ღირებული ნიშან-თვისებები.

საზოგადოებრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მკაფიოდაა გაცნობიერებული ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვის მნიშვნელობა. ისიც ნათელია, რომ ამ პრობლემის წარმატებით რეალიზაციისათვის აუცილებელია ფიზიკური აღზრდის არსებული სისტემის მოდერნიზაცია, მისი ფოკუსირება თითოეული ადამიანის შესაძლებლობათა გამოვლენასა და ასევე საყოველთაო კეთილდღეობაზე. ცხადია, რომ ამ ღონისძიებათა ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული შესაბამისი პროფესიული კადრების თეორიულ მზაობაზე და ასევე საშუალო თუ უმაღლეს სკოლებთან პრაქტიკულ კავშირ-ურთიერთობათა ინტენსივობაზე.

სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან (L. Hendry, B. Ogilvie, B. Cratty, M. Mosston, В. Верещагин და სხვ.) განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა მომზადების პრობლემისადმი. ისინი სამართლიანად მიუთითებენ, რომ მის გადასაჭრელად, ანუ პედაგოგიური მოღვაწეობისა და თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილების გათანამედროვეობისათვის, საჭიროა ამ მომზადებაში ჩაირთოს სპეციალური ცოდნის დაუფლებისა და კომუნიკაციური უნარების გაძლიერების გამოსამუშავებელი მოთხოვნებიც. ეს იმიტომ, რომ პროფესიული მომზადება აუცილებლად გულისხმობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ცოდნის (თეორიულის, პრაქტიკულის, მეთოდიკურის) ოპერატიულობის უზრუნველყოფას და მისი პროფესიულ-პედაგოგიური მოღვაწეობის დინამიურ ერთიან, მთლიან სტრუქტურიზაციას.

2010 წელს აშშ-ში, აიოვას შტატში ჩატარდა ფიზიკური აღზრდის პედაგოგიკისადმი მიძღვნილი გლობალური ფორუმი (Global Forum for Physical Education Pedagogy). ფორუმზე განხილულ იქნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების ახალი მოდელი თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით (Edginton, 2010). აღნიშნული მოდელი მოიცავს:

- პრაქტიკის შერწყმას თეორიასთან;
- სრულ ჩართვა-ჩაფლობას სასწავლო ვითარება-გარემოებაში;
- ყურადღების გამახვილებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე;
- სასწავლო გარემოს გაფართოებას და სხვ.

მასწავლებლის მომზადების პროცესის ინტენსიფიკაცია უშუალოდაა დაკავშირებული მისი პიროვნების ფორმირებასთან. მასწავლებლის თვითშემეცნება ამ დროს მის პროფესიულ-პედაგოგიურ რეფლექსიას ეფუძნება, რაც აუცილებელია წარმატებული სპეციალისტის მოსამზადებლად. პროფესიული თვითშეგნების აღზრდას, საერთოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, იგი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების ეფექტიანობის გარანტიაა.

„დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის სტანდარტის“ (2012) მიხედვით, მასწავლებლის პროფესიული მოღვაწეობის მთავარი მიზანია დაადგინოს მიზეზშედეგობრივი კავშირები ცხოვრების ჯანმრთელი წესის როლისა და პიროვნების საზოგადოებრიობაში ინტეგრაციის პროცესს შორის. საამისოდ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა მოსწავლეებში უნდა აღზარდოს სწორი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, საკუთარი სხეულისადმი, გამოუმუშაოს დადებითი განწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტისადმი, რაც მათი ცხოვრების, მათი ფიზიკური და სულიერი განვითარების საწინდრად უნდა იქცეს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელს და მის პროფესიულ მომზადებას იგივე მოთხოვნები წაეყენება, რაც ნებისმიერ სხვა მასწავლებელს. ამასთან, მისი პედაგოგიური საქმიანობის ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული მისივე სამუშაო სპეციფიკის რაობაზე. ეს სპეციფიკა სამად დაჯგუფებულ პირობებს ითვალისწინებს (Гогунов & Мартьянов, 2000), კერძოდ:

- ფსიქიკური დაძაბულობის პირობებს;

- ფიზიკური დატვირთვის პირობებს;
- გარეშე ფაქტორებთან დაკავშირებულ პირობებს.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლისათვის **ფსიქიკური დაძაბულობის** პირობებში იგულისხმება: მეცადინეობაზე დამსწრე მოსწავლეთა ხმაური, სამეტყველო აპარატისა და სახმო სიმების განსაკუთრებული დაძაბვა, მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა (ფიზიკურ აქტივობას ხშირად თან სდევს ტრავმის მიღების მაღალი რისკი), ასევე, არცთუ იშვიათად, ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეზე გადართვის აუცილებლობა. ყველაფერი ეს იწვევს მასწავლებლის ფსიქიკურ გადაღლას.

ფიზიკურ დატვირთვათა პირობები მოიცავს ფიზიკურ ვარჯიშობათა ცოცხლად ჩვენებას, მათ შესრულებას მოსწავლეებთან ერთად, ასევე ტრავმებისაგან მოსწავლეთა დაცვა-უზრუნველყოფას.

ღია ჰაერზე მეცადინეობათა ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ **კლიმატურ პირობებს,** ასევე სპორტული დარბაზის თუ სპორტული მოედნის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულ მზაობაში, სხვა უნარებთან ერთად (კონსტრუქციულობა, ორგანიზებულობა, კომუნიკაბელობა, გნოსტიკურობა), ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მის მოძრაობით უნარებს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სავარჯიშოთა პრაქტიკული ჩვენებისთვის არის საჭირო. პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ფიზიკური აქტივობის ჩვენება აუცილობლად განსაზღვრავს მოსწავლის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. აღნიშნული სპეციალობის მასწავლებელი ამასთანავე უნდა ფლობდეს დაზღვევის ტექნიკას; ტურისტული ლაშქრობებისას სპორტული აღჭურვილობისა და ინვენტარის დროულ აღდგენა-შეკეთებას და სხვ.

წარმატება პედაგოგიურ საქმიანობაში ასევე დიდადაა დამოკიდებული მასწავლებლის ავტორიტეტზე. თუ იგი მოსწავლეებში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს, მაშინ მას, ცხადია, მათზე ძლიერი აღმზრდელობითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ავტორიტეტი მისი პედაგოგიური პრაქტიკის პროცესში ყალიბდება და, ძირითადად, შემდეგი კომპონენ-ტებისაგან შედგება (Гогунов & Мартьянов, 2000):

- პროფესიონალიზმი, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ცოდნა, ფიზიკური აღზრდისა და წვრთნის უნარ-ჩვევების ფლობა. ძალზე მნიშვნელოვანია ასევე მასწავლებლის როგორც ყოფილი სპორტსმენის სტატუსი;
- მასწავლებლის ავტორიტეტს განსაზღვრავს ასევე მისი ხნოვანება, ასაკი. მასწავლებელი მოსწავლისათვის ყოველთვის რჩება წლოვანებით უფროს თანამდგომად, ადამიანად, რომელსაც მასთან შედარებით მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს;
- არსებობს, აგრეთვე, ე.წ. თანამდებობრივი ავტორიტეტი, ანუ მასწავლებლის როგორც პედაგოგის სტატუსი, რასაც ერთვის მისი სპეციალური ცოდნა და მეთოდიკური უნარ-ჩვევები.

ჩამოთვლილი კომპონენტები მასწავლებლის ერთიან, მთლიან ავტორიტეტს ქმნის, რომელშიც დროდადრო შესაძლებელია ჭარბობდეს ესა თუ ის მიმართება. თავად ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა კი საკუთარი ავტორიტეტის ფორმირებისას უნდა გაითვალისწინოს თავისი შესაძლებლობები, უკვე შეძენილი უნარ-ჩვევები და საქმიანობის ინდივიდუალური სტილიც.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის საქმიანობის წარმატება (ისევე, როგორც სხვა სპეციალობის მასწავლებლისა) ასევე დამოკიდებულია პროფესიულ-პიროვნულ "მე"-ს მიერ შერჩეულ პედაგოგიურ კონცეფციაზე (საკუთარი პოზიციის, შეხედულებების სისტემაზე). საერთოდ კი პროფესიული მზაობის სრულყოფის პერსპექტივად მიჩნეულია მთავარი პრინციპი - „განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში"; რეპროდუქციული პედაგოგიკიდან გადასვლა ინტერაქტიურ რეჟიმზე, კვალიფიკაციის ამაღლების ინოვაციურ ფორმებსა და მეთოდებზე. აქვე ვიტყვით, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ამაღლების პროცესი, თავის მხრივ, ააქტიურებს მოტივაციის მექანიზმების შემუშავებას, აორგანიზებს მასწავლებლის ინდივიდუალურ საქმიანობას ზემოხსენებული კონცეფციის ფარგლებში.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებმა წამოიწყეს წარმატებული მასწავლებლის მოდელის შემუშავება. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიოგრამა შეიცავს არა მხოლოდ პედაგოგიური პროფესიისათვის ჩვეული ტიპიური მახასიათებლების ზოგად მოთხოვნებს, არამედ საკუთრივ იმ კერძო ფაქტორებსაც, რომლებიც მხოლოდ ფიზიკური აღზრდის სპეციალობის მასწავლებელთა საქმიანობას განეკუთვნება. ჩვეულებრივ, ესაა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ძირითად პედაგოგიურ ფუნქციათა მახასიათებლები, მისი პიროვნული თვისებების მონაცემები, ზოგადპედაგოგიური და პროფესიულ-მეთოდიკური უნარების მაჩვენებლები და სხვ. ყოველივე ეს თავ-თავიანთ ფუნქციათა რეალიზაციას უზრუნველყოფს. ისე რომ, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიოგრამისაა იმ

მოთხოვნათა ჩამონათვალი, რომლებიც წაეყენება ამ პიროვნებას და განსაზღვრავს მის უნარ-ჩვევებს, ოსტატობას თუ ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობებს.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მოდელის შემუშავებისას ამერიკელი მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მისი პიროვნული თვისებების განვითარების საკითხს. ბ. ოგილვი, რომელსაც გამოყენებითი სპორტული ფსიქოლოგიის „მამად" მიიჩნევენ, ზოგადად, მასწავლებლის პიროვნების შემდეგ თვისებებს გამოყოფს, ესენია:

- მტკიცე ხასიათი;
- ფსიქიკური დაძაბულობის ატანა-გაძლება;
- დამოუკიდებლობა;
- შეხედულებათა სიმყარე და რეალისტურობა;
- მედეგი ავტორიტარულობა;
- საკუთარ მოსაზრებებზე დამყარებული სასწავლო პროცესის მართვის სურვილი, მისკენ სწრაფვა. (Ogilvie & Tutko, 1966)

ბ. ოგილვის მიერ შემოთავაზებული ავტორიტარული მოდელისაგან განსხვავებით, ლ. ჰენდრი (1968) თვლის, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს შემდეგი პიროვნული თვისებები უნდა ამკობდეს:

- გულღიაობა;
- თავაზიანობა;
- ემოციური მდგრადობა;
- მოსწავლეთა მართვის უნარი;
- ნოვატორობა;
- დამოუკიდებლობა გადაწყვეტილების მიღებისას. (Hendry, 1968)

ამგვარად, უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ჰენდრიმ ჯერ კიდევ 1968 წელს გამოყო და წარმოაჩინა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის საბაზო, პროფესიულად მნიშვნელოვანი ისეთი პიროვნული თვისებები, რომლებიც დღესაც თანამედროვედ აღიქმებიან.

მ. მოსტონი (1966) ასაბუთებდა, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა სწავლება ავტორიტარული მიდგომით უნდა დაიწყოს - „გააკეთე, როგორც გეუბნებიან!" თუმცაღა, მერე და მერე, როცა მოსწავლეები შეეგუებიან ასეთ მიდგომას, თანდათან მათაც შეიძლება დავაკისროთ პასუხისმგებ-ლობა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაზე. იგი თვლიდა, რომ ამის შემდეგ მოსწავლეები ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე უფრო მეტად აქტიურდებიან. (Mosston & Theroux, 1966)

აქვე შევნიშნავ, რომ ბ. ჯ. კრეტიმ (1983) მაღალი შეფასება მისცა მოსტონის ფიზიკური აღზრდის კონცეფციას, აღნიშნა, რომ მასში ჩანს ორგანიზაციული მოქნილობა, იგრძნობა მოსწავლეებთან თანამშრომლობა, რაც ესოდენ აუცილებელია წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის. მოსტონის მეთოდები, როგორც კრეტი განმარტავს, მართალია მეტ დროს საჭიროებს, მაგრამ, სამაგიეროდ, თუ მათ ფიზიკური აღზრდის ჩვეულებრივ ავტორიტარულ ანდა დემოკრატიულ მიდგომებს შევადარებთ, გაირკვევა, რომ ისინი არც მთლად ავტორიტარულია. კერძოდ: თუ პირველ შემთხვევაში მოძრაობითი ჩვევების ათვისება უფრო სწრაფად ხდება, სანაცვლოდ, მოსტონისეულ მეთოდიკას მოსწავლეები პედაგო-გიურ პროცესში თანდათანობით უფრო აქტიურად მონაწილეობენ და თანაც ხვდებიან რატომ გამოიყენება სწავლების სხვადასხვა, ესა თუ ის ალტერნატიული ტაქტიკა მათ მიმართ.

ბ. ჯ. კრეტის აზრით, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პედაგოგიური წარმატებები ასევე დამოკიდებულია თვით მისსავე განწყობაზე ფიზიკური ვარჯიშობებისა და სპორტული საქმიანობისადმი იმაზეც, თუ რამდენად აქტიურია იგი ამ მხრივ, როგორია მისი სპეციალური, პროფესიული ცოდნა, უნარი მოსწავლეებთან ურთიერთობების დამყარებისა, მათი ემოციურადშეფერილი გაკონტროლებისა, მათთან მაღალინტელექტუალურ დონეზე საუბრებისა. (Cratty, 1983)

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პიროვნული სტრუქტურის შინაარსმა ცვლილებები განიცადა. მეცნიერებმა წინ წამოსწიეს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა:

- საზრიანობა;
- მოხერხებულობა;
- გადაწყვეტილებათა მიღების სისწრაფე;
- ყურადღების განაწილება და სხვ.

მიმაჩნია, რომ უკვე ამითაც შეიძლება განისაზღვროს როგორია ფორუმის მონაწილეთა თანამედროვე მიდგომა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პიროვნული თვისებების კლასიფიკაციისადმი, რა მიიჩნიეს მათ საჭიროდ მისი პედაგოგიური საქმიანობის წარმატებისათვის.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიოგრამის შედგენის, პიროვნული თვისებების ფორმირების, მისი პიროვნების მოდელის წარმოდგენის საკითხებმა რუსი მეცნიერებიც დაინტერესა.

ჩატარებული თეორიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიონალი მასწავლებლის პიროვნების ჩამოსაყალიბებლად ორი მიდგომა გამოიყენება: ქცევითი და პიროვნული. ქცევითი მიდგომა უფრო საფუძვლიანად არის შესწავლილი იმდენად, რამდენადაც მასში ფიზიკური კულტურის მასწავლებლის ცოდნა და უნარ-ჩვევებია ნაგულისხმევი და გაერთიანებული. პიროვნული მიდგომა კი შედარებით სუსტადაა, ნაკლებადაა დამუშავებული. წამყვან როლს, პროფესიონალი მასწავლებლის პიროვნების ქცევაში, ო. მისინი ნებელობით სფეროს მიაკუთვნებს, რასაც ისეთი ნებელობითივე თვისებები განაპირობებს, რომლებიც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის რეალიზაციისას შექმნილი სიძნელეების დაძლევისკენაა მიმართული. ესაა (ძირითადად):

- მომთხოვნელობა;
- მიზანსწრაფულობა;
- დაბეჯითება;
- ინიციატივიანობა.

მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის შემდეგ პროფესიულ-პიროვნულ თვისებებს:

- თვითშემეცნების მოთხოვნილებას;
- დამოუკიდებლობასა და თვითკრიტიკულობას;
- შრომისმოყვარეობასა და სიბეჯითეს;
- დისციპლინიანობას;
- საკუთარი ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვას;
- ჯანმრთელი ცხოვრების წესს;
- ქცევის კულტურასა და კავშირ-ურთიერთობებს.

სპეციალური კვლევის შედეგად მკვლევარებმა განსაზღვრეს ფიზიკური კულტურის მასწავლებლის ის ძირითადი პიროვნული თვისებები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენს მის პედაგოგიურ საქმიანობაზე. ესაა:

- მაღალი ინტელექტუალური დონე;
- ემოციური მდგრადობა;
- დომინანტურობა;
- ექსპრესიულობა;
- სოციალური სითამამე;
- სწორხაზოვნობა.

მიმაჩნია, რომ ჩამოთვლილი თვისებები არ არის ყოველთვის ერთმანეთის კონგრუენტული. მაგალითად, მაღალი ინტელექტი ალტერნატივების გათვალისწინებას გულისხმობს და არა სწორხაზოვნობას.

ამგვარად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნული მოდელის შესწავლა საშუალებას იძლევა დავასკვნათ:

- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულ-პიროვნული თვისებების კლასიფიკაციისას ანალიზმა გამოავლინა ამ თვისებათა მრავალგვარობა და საკმაოდ დიდი მოცულობა, რომელშიც, ძირითადად, მაინც ჭარბობს მათი ავტორიტარულობა;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნების მოდელის აგების ეფექტიანობა და თეორიული დასაბუთება ითვალისწინებს მისი მუშაობის სპეციფიკას და ასევე მოიცავს განათლების თანამედროვე სტრატეგიას;
- მასწავლებლის პროფესიული მომზადების ხარისხის ამაღლების მიზნით დღევანდელ, მოდერნიზაციისა და ინოვაციური განათლების პირობებში შესაძლებლობა იქმნება აიგოს წარმატებული ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ჰიპოთეტური მოდელი.

ბიბლიოგრაფია:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. (2012). *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის სტანდარტი.*

Cratty, B. J. (1983). *Psychology in contemporary sport: guidelines for coaches and athletes* (2 ed.). Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hal.

Edginton, C. R. (May, 2010). A Model for Preparing 21st Century Physical Education Teachers. *Global Forum for Physical Education Pedagogy.* Grundy Center, Iowa, USA.

Hendry, L. B. (1968). Assessment of Personality Traits in the Coach-Swimmer Relationship, and a Preliminary Examination of the Father-Figure Stereotype. *Research Quarterly. American Association for Health, Physical Education and Recreation, 39* (3), 543-551.

Mosston, M., & Theroux, Y. L. (1966). *Teaching physical education: from command to discovery.* Montreal: Universite de Montreal, Departement d'education physique.

Ogilvie, B. C., & Tutko, T. A. (1966). *Problem athletes and how to handle them.* London: Pelham.

Гогунов, Е. Н., & Мартьянов, Б. И. (2000). *Психология физического воспитания и спорта: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб. заведений.* Москва: Академия.

Ketevan Kobalia
Georgian State Teaching University of Physical Education and Sport

MODEL OF PERSONALITY OF PHYSICAL EDUCATION AND SPORT TEACHER

RESUME

Scientists from different countries show particular interest to the problem of preparation physical education and sport teachers. They think that for the modernization of this process, it is necessary to take into account the requirements for the development of special knowledge and communication skills.

Recently, the content of the personal structure of the physical education teacher has changed. Scientists have brought forward the personal qualities of the specialist. Nowadays, it is necessary to create a hypothetical model of modern successful physical education teacher. For this we have to take into account his individuality, character, talent, professional skills and professionally valuable traits.

Keywords: Teacher of physical education and sport, Professionally valuable traits.

ბიზნესი და ეკონომიკა
Business and Economics

მაია აზმაიფარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს დაცული ტერიტორიების ტურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობა და მდგრადი დესტინაციის თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: დაცული ტერიტორიები, ვიზიტორები, მონიტორინგი, მდგრადი, გარემო.

შესავალი

საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინ იწყება. ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში თამარ მეფემ გამოსცა სამეფო ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. ხუთასი წლის შემდეგ ვახტანგ მე VI-ს "კანონთა კრებული" მოიხსენიებს ყორულის ტერიტორიას, როგორც დაცვის ობიექტს იქ აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა, ტერიტორიას კი მცველები იცავდნენ. მთიან რეგიონებში არსებობდა ე.წ. „ხატის ტყეები", რომლებიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპიურ ნაკრძალს წარმოადგენდა. პირველი ოფიციალური ნაკრძალი კი უფრო მოგვიანებით, 1912 წელს კახეთში შეიქმნა და მას ლაგოდეხის ნაკრძალი ეწოდა. მე-20 საუკუნის

განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თანდათან სხვა ნაკრძალები და დაცული ტერიტორიები დაფუძნდა (ქიქოძე & გოხელაშვილი, 2007, გვ. 5)

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის თვითმყოფადი და უნიკალური ბუნებრივ-კულტურული გარემოს მნიშვნელობა და მიიღო „კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“. ეს კანონი ქმნის იურიდიულ საფუძველს დაცული ტერიტორიების დასაარსებლად, რომელთა დანიშნულებაა დაიცვას ქვეყანაში ღირსშესანიშნავი ბუნებრივი გარემო და ძვირფასი კულტურული მემკვიდრეობა. საქართველოში დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც კონსერვაციის მსოფლიო კავშირის (IUCN - The World Conservation Union) რეკომენდაციებს ემყარება.

დღეისათვის საქართველოში დაცული ტერიტორიების ხუთი კატეგორიაა წარმოდგენილი და მათი საერთო ფართობი 597 556 ჰექტარს შეადგენს, რაც ჩვენი ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის დაახლოებით 7%-ია. იურიდიულად საქართველოში არსებობს 88 დაცული ტერიტორია (14 სახელმწიფო ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 40 ბუნების ძეგლი, 2 დაცული ლანდშაფტი და 2 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია), თუმცა, სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით ქვეყანაში 86 დაცული ტერიტორია არსებობს: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 40 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტი (დაცული ტერიტორიების სააგენტო), რომელთა საერთო ფართობის შესახებაც ასევე განსხვავებულ მონაცემებს აფიქსირებენ. ფაქტობრივად საქართველოში არის 92 დაცული ტერიტორია, მათგან 8 მდებარეობს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა (ბიჭვინთის, ლიძავას, მიუსერის, რიწის, ფსხუს, გუმისთის, სკურჩას სახელმწიფო ნაკრძალები) და ცხინვალის რეგიონში (ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალი). (მაჭარაშვილი, არველაძე, სვანიძე, არჩუაძე, კობახიძე & ქუთათელაძე, 2018)

თავისი ბუნებრივი ლანდშაფტებით ცნობილია, რომ დაცული ტერიტორიები დღესდღეობით უმთავრეს როლს ასრულებენ საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) ბიომრავალფეროვნების, ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვაში. გარდა ამისა დაცული ტერიტორიები გამოირჩევა თავისი უნიკალური ბუნებრივ-ესთეტიკური მახასიათებლებით. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, დაცული ტერიტორიების მაგალითზე შევისწავლოთ, თუ როგორ აღიქმება ვიზიტორების მიერ ლანდშაფტის მრავალფეროვნება და რა როლი შეიძლება შეასრულოს პერცეფციულმა რესურსებმა დაცული ტერიტორიების დაგეგმარებასა და მენეჯმენტის გაუმჯობესების სქემაში. ნაშრომში აგრეთვე მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა სტატისტიკას, ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევას, ტურიზმიდან შემოსავლებს და ტურიზმის მდგრადობის გავლენას დესტინაციის ხარისხზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს დაცული ტერიტორიების შესწავლას, შეიძლება ითქვას, უკვე დიდი ხნის ისტორია აქვს, ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევებს საფუძველი თბილისის ტყის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დამაარსებელმა აკადემიკოსმა ვასილ გულისაშვილმა ჩაუყარა. პირველად მან შეისწავლა ტყის კურორტოლოგიური მნიშვნელობა (1934, 1949), საინტერესო შრომები აქვს ვლადიმერ მათიკაშვილს (1938), გიორგი გიგაურს „საქართველოს ტყეების კურორტოლოგიური მნიშვნელობა“ (1960). აღნიშნული შრომების გამოცემიდან დიდი დრო გავიდა და ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცნენ. საინტერესოა გიორგი გიგაურის და არჩილ სუპატაშვილის მონოგრაფია „საქართველოს ტყეების საკურორტო-რეკრეაციული-ტურისტული-მნიშვნელობა და მათში მეურნეობის გაძღოლის საფუძვლები“ (2007), ასევე ძალიან მნიშვნელოვანია არჩილ ქიქოძისა და რამაზ გოხელაშვილის რედაქტორობით გამოცემული „საქართველოს დაცული ტერიტორიები“ (2007), რომელიც გამოიცა და დაფინანსდა „საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის“ ფარგლებში. არ შეიძლება არ აღინიშნოს მარინა მეტრეველის სახელმძღვანელოს „გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი“ შესახებ (2012), სახელმძღვანელო შეეხება ბუნებრივ რესურსებს, დაცულ ტერიტორიებს, მდგრად დესტინაციებს, გარემოსდაცვით პოლიტიკას, ტურიზმის ბუნებათსარგებლობის პრინციპებს და მახასიათებლებს და ა. შ.

მეთოდოლოგია

დაცული ტერიტორიების რაოდენობის, ფართობის, ზონირებისა და მენეჯმენტის გეგმების თაობაზე ინფორმაციის მისაღებად დავამუშავეთ და გავაანალიზეთ თითოეული დაცული ტერიტორიის შექმნასა და მართვასთან დაკავშირებული კანონები და მენეჯმენტის გეგმები (წყარო: იუსტიციის სამინისტროს საკანონმდებლო მაცნე - matsne.gov.ge). გავაანალიზეთ მონაცემთა კვლევის ჯგუფის მიერ 2017 წლის ივლის-აგვისტოს თვეში მიღებული მონაცემები.

საქართველოს დაცული ტერიტორიებისთვის მეტად მნიშვნელოვანია ვიზიტორთა აზრის კვლევა და მათგან კონსტრუქციული კრიტიკის მოსმენა. ეს შესაძლებელია მოხდეს როგორც პირდაპირ დაკავშირებით, აგრეთვე ელექტრონული და ამოსაბეჭდი კითხვარების შევსებით. ვიზიტორები დაცულ

ტერიტორიებზე სტუმრობისას ავსებენ სარეგისტრაციო ფორმებს (წარმომავლობა, ასაკი, სქესი და ა.შ). ვიზიტორთა ცენტრებში, აღნიშნული მონაცემები ტერიტორიული ადმინისტრაციების მიხედვით გროვდება და მუშავდება დაცული ტერიტორიების სააგენტოში. შერჩეული ჯგუფის გამოკითხვა ინტერვიუერის მიერ ადმინისტრირებადი/თვით ადმინისტრირებადი (მათ შორის ელექტრონული) კითხვარის გამოყენებით ხდება. ჩვენს კვლევაში გავაანალიზეთ ვიზიტორთა ცენტრებში მოძიებული მონაცემები. გამოვიყენეთ რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის მეთოდები. განისაზღვრა სამიზნე ჯგუფი და კვლევის არეალი. გავაანალიზეთ ვიზიტორთა სტატისტიკა, ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევა, შემოსავლები და ტურიზმის მდგრადობის გავლენა დესტინაციის ხარისხზე. დესტინაციის მდგრადობის უზრუნველყოფა, მდგრადი შენარჩუნება და განვითარების დამოკიდებულება მის მენეჯმენტზე.

შედეგები და დისკუსია

საქართველოში ტურიზმის განვითარებას უდავოდ ხელს უწყობს ეროვნული პარკებისა და სხვა დაცული ტერიტორიების ქსელის არსებობა. ეკოტურიზმი დამოკიდებულია ეკოსისტემების ფუნქციონირებასა და მათ მიერ შემოთავაზებულ სერვისებზე. აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი (70-80%) ტყითაა დაფარული, ეროვნულ პარკებში მრავლადაა ისტორიისა და კულტურის ძეგლი, სხვადასხვა სახის მღვიმე, რომლებიც ორგანულად ერწყმიან ბუნებრივ ლანდშაფტებს, მათი უმეტესობა უძველესია და ძვირფას ტყის მასივებშია გაადგილებული. (გიგაური & სუპატაშვილი, 2007)

ტურიზმის ინოვაციური მენეჯმენტი სულ უფრო მეტად არის ფოკუსირებული ლოკაკური დესტინაციების მართვასა და მის მდგრადობაზე. მეცნიერები არ კამათობენ იმის თაობაზე, რომ დესტინაცია ტურიზმის ბირთვია. შესაბამისად იოლი შესაფასებელია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება დესტინაციის მდგრადობას, რაც პრაქტიკულად ტურიზმის მდგრადობის ტოლფასია. მიუხედავად ამისა ნაკლები ყურადღება ეთმობა ზოგადად დესტინაციებისა და, კერძოდ მისი მდგრადობის პრობლემებს. ტურისტული დანიშნულების ადგილებზე ტურიზმის უსაფრთხო მართვის საკითხებზე, მდგრადი ტურიზმის ძირითადი მაჩვენებლების შესაბამისად ხორციელდება მონიტორინგი. კრიტერიუმების და ინდიკატორების დახმარებით განისაზღვრება კონკრეტული მიზეზშედეგობრივი კავშირი ტურიზმსა და გარემოს შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი სახის ინდიკატორი: 1. მდგრადი ტურიზმის ძირითადი მაჩვენებლები, რომელიც შემუშავებულია ტურისტული დანიშნულების ადგილებში ზოგადი გამოყენებისათვის; 2. ტურისტული დანიშნულების ადგილის მაჩვენებლები, რომელიც გამოიყენება კონკრეტულ ეკოსისტემასთან მიმართებაში.

დესტინაციის მდგრადობა (nationalgeografhic.com) ეფუძნება ექვს კრიტერიუმს ესენია: გარემო, კულტურული ერთიანობა, მატერიალური მემკვიდრეობა, ესთეტურობა, ტურიზმის მენეჯმენტი, საერთო ტრენდები. საუკეთესოდ ითვლება ტურიზმი, რომელიც ხელს უწყობს და ახალისებს დესტინაციის მიმზიდველი ღირსშესანიშნაობებს დაცვას (უკლება, 2017, გვ. 160).

ჩვენ განვიხილავთ მდგრადი დესტინაციის თავისებურებებს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე. ტურისტთა სტატისტიკის შედეგები ასე გამოიყურება: 2017 წელს უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობამ დაცულ ტერიტორიებზე 954 397 შეადგინა. 2016 წელთან შედარებით უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 33%-ით გაიზარდა, ხოლო ქართველების 28%-ით. 2017 წელს, დაცულ ტერიტორიებს ვიზიტორები მსოფლიოს 97 ქვეყნიდან ესტუმრნენ, უცხოელ ვიზიტორთა შორის სჭარბობდნენ: რუსები (28.7%), ებრაელები (13.6%), პოლონელები (7.5%), უკრაინელები (6.4%) და გერმანელები (4.5%).

2018 წელს ვიზიტორთა რაოდენობა განსაკუთრებით, 203%-ით გაიზარდა არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, 64%-ით ინდოეთიდან, 63%-ით ლატვიიდან, 48%-ით ლიტვადან და რუსეთიდან. საქართველოს დაცულ ტერიტორიებს პირველად ესტუმრნენ ვიზიტორები ლიბანიდან, ლიბიიდან, ტაჯიკეთიდან, იემენიდან, ტუნისიდან, სამხრეთ სუდანიდან და ნეპალიდან.

როგორც მოცემული დიაგრამიდან ჩანს, 2018 წელის 10 თვის მონაცემებით ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა პრომეთეს მღვიმეს - 175,275 (19%), მარტვილის კანიონს 168,452 (136%), ყაზბეგის ეროვნულ პარკს - 162,810 (17%). ასევე სათაფლიას 85507 და ოკაცეს 73 113. ასევე ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია შემდეგ დაცულ ტერიტორიებზე: მაჭახელას ეროვნული პარკი - ზრდა 147%, მარტვილის კანიონი - ზრდა 136%, ალგეთის ეროვნული პარკი - ზრდა 74%, თბილისის ეროვნული პარკი - ზრდა 47% , მტირალას ეროვნული პარკი - ზრდა - 41% , ოკაცეს კანიონი - ზრდა - 40% , პრომეთეს მღვიმე - ზრდა - 19%. პრომეთეს, მარტვილის, ჭაჭუნას, მტირალასა და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა აღემატებოდა ქართველ ვიზიტორთა რაოდენობას.





წყარო: http://apa.gov.ge/ge/statistika/vizitorta-statistika/

დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 4,504,473 ლარი შეადგინა, ზრდა წინა წელთან შედარებით +94.7%-ია. შემოსავლების მიღების მხრივ ლიდერობდნენ: პრომეთეს მღვიმე - 1,887,064 ლარი, მარტვილის კანიონი - 1,274,463 ლარი, ოკაცეს კანიონი - 538,506 ლარი და სათაფლია - 499,019 ლარი.

საინტერესოა იმ დესტინაციების ანალიზი, სადაც აღინიშნა ვიზიტორთა მეტი რაოდენობა. პრომეთეს მღვიმეში, მარტვილის კანიონში და სათაფლიაში მონაცემთა კვლევის ჯგუფის მიერ 2017 წლის ივლის-აგვისტოში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ნაკრძალების ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევა. კვლევაში ჩაერთნენ ის ვიზიტორები, რომლებიც ეწვივნენ საქართველოს ეროვნულ ნაკრძალებს და ისარგებლეს იქ არსებული სერვისებით. გამოკითხვა მიმდინარეობდა ინტერვიუერის მიერ ადმინისტრირებადი ქართული, ინგლისური და რუსულენოვანი სპეციალიზებული კითხვარებით. კვლევას ატარებდა 6 ინტერვიუერი. გამოკითხვა ჩაუტარდა 238 დამთვალიერებელს, რომელთაგან 43.2% ქართველი ტურისტი იყო, ხოლო 56.8% უცხოელი ტურისტი. უცხოელ ტურისტთა შორის ყველაზე მეტი წარმომადგენელი იყო შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთი, ომანი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები.

საკვლევი ჯგუფის საშუალო ასაკი იყო 34 წელი, მინიმალური ასაკი 18, მაქსიმალური ასაკი 73 წელი. მონაწილეთაგან 53.6% კაცი იყო, ხოლო 46.4% ქალი. გამოკითხულთა 92.7% პირველად იყო საქართველოს ეროვნულ ნაკრძალში, 7.3% მეორედ ან/და მეტჯერ. უცხო ქვეყნის მოქალაქეთა 80%-თვის ეს ვიზიტი საქართველოში პირველ ვიზიტს დაემთხვა.

ნაკრძალის შესახებ ინფორმაციის წყაროს განაწილება ასეთია: - ინტერნეტი და ტელევიზია - 37.5% - ახლობლები - 33.8% - ტურისტული სააგენტო - 6.7%. უცხოელ ტურისტთა 17.4% ნაკრძალის შესახებ ქართველი მეგობრებისაგან შეიტყვეს. ნაკრძალის ტერიტორიის სისუფთავე შემდეგნაირად შეფასდა: - ძალიან სუფთა - 59.2%; - დამაკმაყოფილებლად სუფთა - 36.6%; - უსუფთაო - 4.2%. ტუალეტებით სარგებლობის შემდეგ ვიზიტორთა აზრი ტუალეტების სისუფთავეზე ასეთია: - უსუფთაო - 53.6%;, - დამაკმაყოფილებელი - 29.7%; - სუფთა - 7.3%; - არ უსარგებლია - 9.4%. პარკში სეირნობისას 88.3% თავს დაცულად გრძნობს, 11.7% ნაწილობრივ დაცულად. მომუშავე პერსონალის ვიზიტორისადმი დამოკიდებულებას 68.8% ძალიან მეგობრულად აფასებს, 28.6% ნეიტრალურად, ხოლო 2.6% არათავაზიანად. გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი - 88% - აუცილებლად ურჩევს მეგობრებს ეწვიონ საქართველოს ნაკრძალებს, 12% კი შესაძლოა ურჩიოს.

კითხვას „სერვისის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ნაკრძალში შესვლის საფასურის (საქართველოს მოქალაქისთვის 1-3 ლარით, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის 2-5§) გაზრდის შემთხვევაში ეწვეოდით თუ არა ნაკრძალს მომავალშიც“ დამთვალიერებლები ასე პასუხებენ: ქართველი ტურისტები: - აუცილებლად ვეწვეოდი - 61.6%; - ვეწვეოდი, თუმცა შემიქმნიდა დისკომფორტს - 32.2%; - აღარ ვეწვეოდი - 6.2%. უცხოელი ტურისტები: - აუცილებლად ვეწვეოდი - 76%; - ვეწვეოდი, თუმცა შემიქმნიდა დისკომფორტს - 18.5%; - აღარ ვეწვეოდი - 5.5%. ყველა სერვისის გათვალისწინებით ნაკრძალებში ვიზიტის ქულებით შეფასების სურათი, სადაც 10 ქულა ვიზიტორის დიდ კმაყოფილებას შეესაბამება, ხოლო 0 უკმაყოფილებას, ასეთია: - 10 ქულა - 35.3%; - 9 ქულა - 25.8%; - 8 ქულა - 26.3%; - 7 ქულა - 7.9%; - 6 ქულა - 2.7% - 5 ქულა - 1%. (ღ - მონაცემთა კვლევის ჯგუფი. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2017).

განვიხილოთ ვიზიტორთა იდეები, რომელთა განხორციელებით ნაკრძალი უფრო მიმზიდველი გახდებოდა დამთვალიერებლებისათვის: მარტვილი - დაამატებდა სკამებს, სადაც დამთვალიერებელი შეძლებდა დასვენებას - 20.2%; - საჭიროა საკვები პუნქტების დამატება - 23.1%; - პარკის ტერიტორია უნდა გაფართოვდეს და მოეწყოს მეტი სასეირნო ბილიკი - 36.2%; - ინტერნეტში ხელმისაწვდომი უნდა იყოს განახლებადი ინფორმაცია სერვისების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით - 23%; - პარკის გარე ტერიტორია უნდა მოწესრიგდეს - 8.6%; - უნდა დაემატოს ატრაქციონები - 5.7%; - საჭიროა მომსახურე პერსონალის ინგლისური ენის გაუმჯობესება - 15.7%; - საჭიროა პანდუსის მოწყობა - 1.73%; - ადგილობრივი მოსახლეობისთვის პარკში შესვლა უფასო უნდა იყოს - 1.73%. პრომეთე - საჭიროა მომსახურე პერსონალის ინგლისური ენის დონის გაუმჯობესება - 19.2%; - მღვიმეში არსებულ ბილიკს გაასუფთავებდა - 3.8%; მდინარის ნახვა იყოს უბილეთოდ შესაძლებელი - 3.8%; - მღვიმის ტერიტორიაზე ბანკომატის განთავსება - 3.8%. სათაფლია - საჭიროა მომსახურე პერსონალის ინგლისური ენის დონის გაუმჯობესება - 6.7%; - შიდა ტრანსპორტი პარკში გადასაადგილებლად - 6.7%; მეტი დინოზავრის ჩონჩხი - 6.7%; - მეტი ექსტრემალური გასართობი საშუალებები - 6.7%. (ღ - მონაცემთა კვლევის ჯგუფი. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2017).

რაც შეეხება ზოგადად ყველა დესტინაციას, ასეთი სურათია, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე წლის ზაფხულში მიღებული სერვისით და მომსახურებით გამოკითხულ ვიზიტორთა 84% კმაყოფილია. ვიზიტორთა უდიდესი ნაწილი — 88% აუცილებლად ურჩევს მეგობრებს ეწვიონ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს. გამოკითხულთა 68,8% მომუშავე პერსონალის ვიზიტორისადმი დამოკიდებულებას ძალიან მეგობრულად აფასებს. დაცულ ტერიტორიებზე მოგზაურობისას თავს დაცულად 88,3% გრძნობს. (დაცული ტერიტორიების სააგენტო, 2017)

დასკვნა

საქართველოს კოლოსალური პოტენციალი გააჩნია ტურიზმის განვითარებისათვის, რადგან მას მრავალფეროვანი ბუნებრივი ზონები, ესთეტიკურად მიმზიდველი ლანდშაფტები, ურბანიზაციისა და გაკულტურების პროცესებისაგან ხელუხლებელი უნიკალური ფლორა და ფაუნა, ქართულ და საერთაშორისო წითელ წიგნში შეყვანილი, არც თუ ისე ცოტა რაოდენობის რელიქტური და ენდემური სახეობები, ბუნებრივი დაცული ტერიტორიების სისტემა. ეკოტურისტებისთვის ქვეყნის განსაკუთრებულ მიმზიდველობას ქმნის ეთნოკულტურის სიმდიდრე, სახალხო დღესასწაულების მრავალფეროვნება, ადათ-წესები, ხელობები, მოსახლეობის ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და თავისებური ქართული სამზარეულო.

ეკოლოგიურ-ტურისტული საქმიანობის ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე რაციონალური, მდგრადი ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფა. დაცული ტერიტორიების თვალსაზრისით, რომლებიც იმართება დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმით,

თუ გამოვყოფთ IUCN-ის VI კატეგორიის დაცული ტერიტორიების საკითხს, მდგრადი მართვისათვის არანაირი სამართლებრივი საფუძველი და ინსტიტუცია არ არსებობს.

ეროვნული სტრატეგიული მიზნები 2011-2020 წლისთვის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და მდგრად გამოყენებასთან დაკავშირებულ ტრადიციულ ცოდნას და საჭიროებების ინტეგრირებას გულისხმობს კანონმდებლობასთან.

ტურიზმი და გარემო პირობები ურთიერთდამოკიდებულნი არიან. გარემო შეიცავს უამრავ ელემენტს. მდგრადი განვითარების მიღწევის საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ტურიზმის ისეთი განვითარება და მართვა, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს. ეკოლოგიური თვალსაზრისით ტურიზმის სწორი დაგეგმარებისას კარგად უნდა იყოს გაცნობიერებული ის პოტენციური ზემოქმედებანი, რაც მოსდევს ტურიზმის განვითარებას. მდგრადი განვითარება ნიშნავს, რომ ერთმანეთში უნდა დაბალანსდეს ეკონომიკური წინსვლა, სოციალური სამართლიანობა და ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს დაცვა. მდგრადობის პრინციპი მოიცავს ტურიზმის განვითარების ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ასპექტებს, ამიტომ საჭიროა სამივე მიმართულების ბალანსირება, რათა გარანტირებული იყოს დესტინაციის გრძელვადიანი მდგრადობა.

დესტინაციის მდგრადობის უზრუნველყოფა, შენარჩუნება და განვითარება კი დამოკიდებულია მის მენეჯმენტზე. მდგრადი მენეჯმენტის არსი და უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ არ დაირღვეს დესტინაციის ბალანსი, დესტინაციის მდგრადობა უზრუნველყოფილი იყოს სამივე მიმართულებით: გარემო, ეკონომიკა, სოციალურ-კულტურული მემკვიდრეობა.

ბიბლიოგრაფია:

გიგაური, გ., & სუპატაშვილი, ა. (2007). *საქართველოს ტყეების საკურორტო-რეკრეაციული-ტურისტული-მნიშვნელობა და მათში მეურნეობის გაძღოლის საფუძვლები.* თბილისი: მონოგრაფია.

გულისაშვილი, ვ. (1977). *საქართველოს ბუნება და ბუნებრივი ზონები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

გუნცაძე, მ., & წაქაძე, ვ. (რედ.). (2017). *საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა 2016.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.geostat.ge/media/13738/Garemo_2016.pdf

დაცული ტერიტორიების სააგენტო. (2017). *კვლევის შედეგების პრეზენტაცია.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://apa.gov.ge/ge/media/Publications/News/kvlevis-shedegebis-prezentacia.page

დაცული ტერიტორიების სააგენტო. (თ. გ.). *დაცული ტერიტორიები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://apa.gov.ge/ge/protected-areas

ზაზანაშვილი, ნ. (1997). *საქართველოს დაცული ტერიტორიების აწმყო და მომავალი.* თბილისი.

მაჭარაშვილი, ი., არველაძე, თ., სვანიძე, ი., არჩუაძე, მ., კობახიძე, დ., & ქუთათელაძე, ი. (2018). *ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი დაცულ ტერიტორიებში.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/07/biodiversity_monitoring_2018.pdf

მეტრეველი, მ. (2012). *გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი.* თბილისი: ფავორიტი პრინტი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მონაცემთა კვლევის ჯგუფი - DRG. (2017). *საქართველოს ეროვნული ნაკრძალების ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://drg.com.ge/uploads/DRG-Garemo-17.8.17.pdf

საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ. (1996). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/32968?publication=17

უკლება, მ. (2017). *ტურისტული დესტინაციის მენეჯმენტი.* თბილისი: უნივერსალი.

ქიქოძე, ა., & გოხელაშვილი, რ. (2007). *საქართველოს დაცული ტერიტორიები.* თბილისი: საქართველოს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი.

Azmaiparashvili, M. (2014). *Georgian Resort - Recreational Areas and Prospects of Tourism Development.* Retrieved from https://journals.gisap.eu/

Azmaiparashvili, M. (2017). Eco-Tourism Potential in Protected Areas and its Sustainable Development Challenges. *European Journal of Hospitality and Tourism Research, 5* (1).

European Tourism Indicators System for sustainable destination management. (n.d.). Retrieved from https://ec.europa.eu/growth/sectors/tourism/offer/sustainable/indicators_en

Maia Azmaiparashvili
Gori State Teaching University

TOURIST - RECREATIONAL IMPORTANCE OF GEORGIAN PROTECTED AREAS AND PECULIARITIES OF SUSTAINABLE DESTINATION

RESUME

Georgia is a country with high tourism and resort potential. With its natural landscapes it is known that protected areas now play an important role in protecting Georgia's biodiversity, natural heritage. In addition, protected areas are characterized by its unique natural-aesthetic characteristics. In addition, protected areas are characterized by its unique natural-aesthetic characteristics. The purpose of the work is to study the example of the protected areas as to how the landscape diversity is perceived by the visitors and what role the perceptual resources can be employed in the planning and management scheme of the Protected Areas. In the work there is an important place for the visitors 'statistics on the protected areas, the survey of visitors' satisfaction, income and the sustainability of tourism sustainability on its quality. The provision of sustainability, maintenance and development is deteriorated to its management. The essence and sustainability of sustainable management is that it does not violate the balance of destiny, the sustainability of deserting in all three directions: environment, economy, socio-cultural heritage.

Keywords: Protected Areas, Visitors, Monitoring, Sustainable, Environment.

თეა ანესაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები საქართველოს სოფლის მეურნეობაში

საკვანძო სიტყვები: სოფლის მეურნეობა, ორგანიზაცია, პროექტი, ბანკი, დონორი.

2014 წლის ივნისში საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას ევროკავშირთან. „2013 წელს განახლდა ვაჭრობა რუსეთთან და მას შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა. კორუფციის და ბიზნესის კეთების სიმარტივის რეიტინგები ისევ ხელსაყრელი რჩება. 2016 წლის ივლისში ამოქმედებული ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად მთავრობა გეგმავს ინტეგრაციის გაღრმავების კაპიტალის და მუშახელის უფრო პროდუქტიულ ინდუსტრიებში გადაადგილების ხელშეწყობის გზით, დამხმარე ფირმების დაფუძნებით ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლების ჰარმონიზაციას, სახელმწიფო ინსტიტუტების გაუმჯობესებას ვაჭრობის ხელშეწყობის, ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის და ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარების მიზნით.“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მიმოხილვა 2006-2015, 2017, გვ. 4)

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით არაერთი დონორი ორგანიზაცია მუშაობს, მათ შორისაა ევროპის კავშირი. სოფლის მეურნეობის განვითარების დახმარების კუთხით, ევროკავშირი ქვეყნის მთავარი დონორია. დახმარების მიზანი 2014-2017 წლების სტრატეგიულ ჩარჩო-ხელშეკრულებაში შემდეგნაირადაა ფორმულირებული: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა, მცირე ფერმერების ცოდნის გაუმჯობესება და მათთვის უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობა, ასევე, მათი როლის ზრდა კომერციულ ფერმერულ საქმიანობაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ევროკავშირის მთავარ პოლიტიკის ინსტრუმენტს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) წარმოადგენს. შემოთავაზებული სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის მიზანი იყო საქართველოში სურსათის წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება,

კონკრეტული ამოცანა კი სექტორის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისათვის მხარდაჭერა და მცირე ფერმერული ორგანიზაციების განმტკიცება.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

საქართველო გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის წევრი 1995 წელს გახდა. 2004 წელს FAO-ს სუბ რეგიონალური წარმომადგენელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში გახდა FAO-ს წარმომადგენელი საქართველოში. 2004 წლის 4 ნოემბერს თბილისში ოფიციალურად გაიხსნა FAO-ს მანდატი საქართველოში ითვალისწინებს ეროვნული ძალისხმევის მხარდაჭერას სურსათის უვნებლობის და სოფლის მეურნეობის, სატყეო და წყლის მართვის სექტორების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიმართულებით. ორგანიზაცია თავის მრავალ ფუნქციას ახორციელებს ტექნიკური დახმარების საშუალებით. რომელსაც უზრუნველყოფს მთავრობის მიერ ან მისი მეშვეობით წარმოდგენილი საპროექტო მოთხოვნების ფორმით. საქართველოში FAO-ს ძირითადი პრიორიტეტებია მთავრობის მხარდაჭერა ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და მარეგულირებელი გარემოს შექმნისა და გაძლიერებისას, სოფლის მეურნეობის უკეთ განვითარების ხელშეწყობის მიზნით. „საქართველოს მთავრობა და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია შვიდ პრიორიტეტულ სფეროში თანამშრომლობდა, რომლებიც ქვეყნის პროგრამირებულ ჩარჩოში იყო ჩამოყალიბებული (CPF 2010–2015):

- პოლიტიკა და ინსტრუმენტები სოფლის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
- ცხოველთა ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება და მცენარეთა დაცვა;
- სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა დაცვა;
- მიწის რესურსების მენეჯმენტი და მიწათსარგებლობა;
- მეტყევეობა;
- თევზჭერისა და აკვაკულტურის განვითარება.“ (ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა, 2012, გვ. 40)

FAO საქართველოს მთავრობასთან, გაეროს ორგანიზაციებთან, სამოქალაქო და კერძო სექტორთან ერთად, აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ მიგრაცია სოფლიდან ქალაქში გახდეს ადამიანების არჩევანი და არა იძულებით ნაბიჯი თვითგადარჩენისთვის. იგი ახორციელებს პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერებას, რომ ქვეყანაში ეფექტური პოლიტიკა გატარდეს სოფლის განვითარებისა და სურსათის უსაფრთხოების მიმართულებით.

გაეროს პროგრამა საქართველოში

გაეროს განვითარების დახმარების სქემა (UNDAF) (2011-2015) საკონსულტაციო პროცესის შედეგად შეიქმნა და იგი აღწერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის სფეროებს 2011-2015 წწ. იგი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ეროვნული განვითარების პრიორიტეტებთან, რომლებიც დადგინდა პროგრამისთვის „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, ასევე ათასწლეულის განვითარების ეროვნულ მიზნებთან (MDGs) და სხვა ძირითად დოკუმენტებთან. „მასში გამოკვეთილია სამი ურთიერთდაკავშირებული თემატური სფერო, რომლის ფარგლებშიც გაეროს სისტემას საქართველოს პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე უფრო ეფექტიანი რეაგირება შეუძლია:

- სიღარიბის შემცირება, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ინკლუზიურ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას, განათლებას და ძირითად სოციალურ მომსახურებებს, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის.
- დემოკრატიული განვითარება, რომლის მიზანია დაბალანსებული, დამოუკიდებელი, სამართლიანი და ინკლუზიური მმართველობის სისტემისა და პროცესების ხელშეწყობა ყველა დონეზე, რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და თანასწორობის პრინციპებზე.
- კატასტროფების რისკის შემცირება, რომლის მიზანია საქართველოს გაძლიერება კატასტროფების მიმართ, პრევენციული ზომებისა და გადაუდებელ შემთხვევებში ზიანისა და დანაკარგების შემცირების გზით.“ (ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა, 2012, გვ. 42)

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო ძირითადი დონორები არიან, რომლებიც დახმარებას უწევენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მათი მიმდინარე პროექტების ნუსხა ასე გამოიყურება:

დონორი	პროექტები	მილიონი €	ტიპი	ხანგრძლივობა
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო	ს/მ მექანიზაციის პროექტი	4	გრანტი	2009/2012
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო	ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები	15	გრანტი	2011/2015
აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო	ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა	10	გრანტი	2010/2014
აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი	ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამა	1	გრანტი	2008/2012
შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა	საბაზრო კავშირების სიღარიბის წინააღმდეგ	7	გრანტი	2008/2014
მსოფლიო ბანკი	კახეთის რეგიონალური განვითარება	45	სესხი	2011/2013
ევროპის რეკონსტრუქც. და განვით. ბანკი	სოფლის მეურნეობის კრედიტის საშუალებები - ბანკები	40	სესხი	2011/2013
რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი	სოფლის მეურნეობის საკრედიტო საშუალება - MFLS	9	სესხი	2011/2013
დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო	შერჩეული ღირებულების ქსელის მხარდაჭერა	9	გრანტი	2012/2015

წყარო: ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა. *სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში. საქართველო.* 2012. გვ. 42-43

„ამ პროექტთაგან, სოფლის განვითარებაზე ფოკუსირებულია მხოლოდ კახეთის რეგიონული განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი) და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების პროექტი (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო), დანარჩენი პროექტები ძირითადად სოფლის მეურნეობის ღირებულების ქსელის განვითარებას ისახავს მიზნად. ცხრილში ქვემოთ მოცემულია სოფლის მეურნეობის სფეროში მთავრობის ის ხუთი პრიორიტეტული სფერო, რომლებზეც დონორები მუშაობენ.“ (ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა, 2012, გვ. 43)

სტრატეგიული პრიორიტეტები	ძირითადი დონორები
კონკურენტულობის გაუმჯობესება კერძო სექტორის განვითარების მეშვეობით	EU, EBRD, KfW, SDC, USAID
სოფლის მეურნეობაში ჩართული ინსტიტუტების საქმიანობის გაუმჯობესება	EU, UNDP, FAO
სურსათის უსაფრთხოება	EU, FAO
სურსათის ღირებულების ქსელის მხარდაჭერა	USAID, SDC, DANIDA
სასოფლო ინსფრასტრუქტურის განვითარება	Government, WB, USAID

წყარო: ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა. *სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში. საქართველო.* 2012. გვ. 43

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-10 თავის - „სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება“ თანახმად, საქართველომ უნდა უზრუნველყოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება ევროკავშირის პოლიტიკის და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და დაუახლოოს საქართველოს კანონმდებლობა ევროპულს, ასევე, ხელი შეუწყოს როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება შეესაბამებოდეს ევროპულ ნორმებს. "მხარეები ითანამშრომლებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებას, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თანმიმდევრული დაახლოების გზით" (ასოცირების შეთანხმება, მუხლი 333).“ (საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, გვ. 6)

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სოფლის მეურნეობის მხარდამჭერ პროგრამებში აქტიურად არიან ჩართულები: ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID/REAP; USAID/ZRDA), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC), ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA), სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD), მსოფლიო ბანკი (WB), ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტო, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი (USDA) და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩო.

რამდენიმე წელია პანკისის ხეობაში **USAID-ის** პროექტი Zrda მიმდინარეობს. პროექტი Zrda პანკისის ხეობის ოთხივე თემში მოსახლეობას დახმარებას უწევს საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობის გზით. გარდა ამისა, პროექტი ტექნიკურ დახმარებას უწევს რეგიონის ცნობადობის გაზრდას პანკისის ხეობაში წარმოებული პროდუქციის ბრენდის ფორმირებისა და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების გზით. პროექტის ფარგლებში, პანკისის ხეობაში უკვე მოეწყო სასათბურე სადემონსტრაციო ნაკვეთები და მიმდინარეობს ბოსტნეულის ჩითილების წარმოება, რაც ფერმერებს შემოსავლების მიღების გაზრდაში დაეხმარება. პროექტი ხორციელდება **სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD)** ერთად. პროგრამის ფარგლებში ფერმერებმა შეიძინეს ხელის ტრაქტორები და ხელსაწყოები, რომლის ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ მოახდინა.

საქართველოში რძის პროდუქტების წარმოების მხარდასაჭერად, **გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)** და **ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)** ძალისხმევას აერთიანებენ. ინიციატივა მიზნად ისახავს რძის სექტორის განვითარებას, რძის პროდუქტების მწარმოებლებისა და ფერმერების კომერციული მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, რათა სექტორი უფრო მიმზიდველი გახდეს ინვესტირებისთვის. პროგრამა მიზნად ისახავს რძის სექტორში ინვესტიციების ხელშეწყობას, სურსათის უვნებლობის უახლესი სტანდარტების განხილვას და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის გავრცელებას, ასევე ყველა დაინტერესებული მხარის ინფორმირებას სურსათის უვნებლობის ცვალებადი საერთაშორისო სტანდარტების შესახებ. ეს უკანასკნელი საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან 2014 წელს ქვეყანამ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA) და ამჟამად ახორციელებს სურსათის უსაფრთხოების სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად. FAO-მ და EBRD-მ საქართველოს რძის სექტორის დეტალური ტექნიკური და საბაზრო კვლევა ჩაატარეს ხარვეზების შესასწავლად და განვითარებისათვის მომავალი რეკომენდაციების დასადგენად. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს რძის პროდუქტების წარმოებაში დომინირებენ მცირე ზომის მწარმოებლები, მოძველებული საწარმოო ტექნიკითა და ჰიგიენის დაბალი სტანდარტებით. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ქართულ რძის მწარმოებელ ფერმებს შეუძლიათ 35%-ით გაზარდონ პროდუქტიულობა და გაუმჯობესონ რძის ხარისხი, მსხვილი ინვესტირების გარეშე, თუ ადგილობრივ ფერმებში გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები და ფერმების მენეჯმენტი.

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა (FAO) და სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) წარმომადგენლების შემადგენლობით შედგა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სამუშაო ჯგუფი, რომელიც ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის სისტემის (NAITS) გაუმჯობესებულ მოდელზე მუშაობს. ჯგუფის მიზანია, ერთიანი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც რეგისტრაცია-იდენტიფიკაციის სისტემას მოქნილს და საქართველოს საჭიროებებზე მორგებულს გახდის. რეგისტრაცია-იდენტიფიკაციის სისტემა ე.წ ცხოველთა რეესტრი საქართველოში 2012 წლიდან არსებობს. პროგრამის ფარგლებში საქართველოში მსხვილფეხა საქონელს უმაგრდება საყურე ნიშნები, მფლობელობაზე ინფორმაცია კი რეგისტრირდება ბაზაში. ბაზის საშუალებით, სახელმწიფო

მონიტორინგს გაუწევს ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, რაც პირდაპირ უკავშირდება სურსათის უვნებლობას. 2017 წლიდან საქართველომ ეტაპობრივად დაიწყო გადასვლა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამის ახალ, გაუმჯობესებულ სისტემაზე – NAITS, რომელიც მისი წინამორბედი პროგრამის განახლებულ ვერსიაა. სამუშაო ჯგუფის მიზანია, შექმნას სტრატეგიული დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილია დეტალური ინფორმაცია, როგორც სისტემის ტექნიკური პარამეტრების ასევე, ცხოველთა ჯანმრთელობის, მფლობელობის და გადაადგილების შესახებ. კონცეფციის ნაწილია საკანონმდებლო რეგულაციების და ევროდირექტივით გათვალისწინებული ვალდებულების საქართველოს გამოწვევებთან ინტეგრირება. ესაა NAITS პროექტი, რომლის განხორციელებისათვის **შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (SDC)** და ავსტრიის განვითარების სააგენტომ (ADC) ჯამში 5 მილიონი დოლარი გამოყო.

„საქართველოში საირიგაციო სისტემა თავისი განვითარების კულმინაციის დროს თითქმის 500 000 ჰექტარს მოიცავდა, ხოლო 1990 წელს - 386 000 ჰექტარს. დღეისათვის იგი 73-80 ათას ჰექტარს ფარავს, ანუ ქვეყნის დამუშავებული მიწის ფართობების დაახლოებით 25 პროცენტს. ეს მაჩვენებელი 33%-მდე გაიზრდება, თუკი სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმატებით შეასრულებს ირიგაციის გაფართოების გეგმას. ამ დროს კი საირიგაციო სისტემები ნადგურდება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილის რეკონსტრუქციას დონორები აფინანსებენ. ამავდროულად, ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში დაიწყეს წყლის მომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნა, მაგრამ ამ პროცესს არაერთგვაროვანი შედეგები აქვს.“ (ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა, 2012, გვ. 16)

შპს „საქართველოს მელიორაცია“ თეძამის ხეობაში ახალი წყალსაცავის მშენებლობას 2018 წელს დაიწყებს. თეძამის წყალსაცავის პროექტის განხორციელება შიდა ქართლის ფერმერებს სარწყავი წყლის პრობლემას მოუხსნის. პროექტის განხორციელებით მკვეთრად შემცირდება კლიმატით გამოწვეული ნეგატიური მოვლენები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ადგილობრივი ფერმერების სამელიორაციო მომსახურება. ახალი წყალსაცავი 72 სოფელს მოუხსნის სარწყავი წყლის პრობლემას. პროექტი ფერმერებისა და მოსახლეობის დაკვეთით შეიქმნა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „სართველოს მელიორაცია“ აქტიურად ემზადება სარწყავი სეზონის ჩასატარებლად. უკვე განხორციელდა და ამჟამადაც მიმდინარეობს ძირითადი სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მელიორაცია დიდ ყურადღებას უთმობს არა მარტო აღდგენით სამუშაოებს, არამედ სამელიორაციო სისტემების შემდგომ ექსპლუატაციას. ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართული დონორი ორგანიზაციებიც. 2018 წლის სარწყავი სეზონის წარმატებით ჩასატარებლად **მსოფლიო ბანკმა,** ირიგაციის და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის ფარგლებში, საქართველოს მელიორაციას გადასცა სპეცტექნიკა, რომელიც აღიჭურვება სხვადასხვა დანიშნულების მოწყობილობებით (გენერატორი, შედუღების აპარატი. ელ. მექანიკური ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და ა.შ). აღნიშნული ტექნიკის დახმარებით სამელიორაციო სისტემებზე ავარიის შემთხვევაში, მათ შორის სტაციონარულ და გადასატან სატუმბ სადგურებზე, შესაძლებელი გახდება ოპერატიულად განხორციელდეს სარემონტო სამუშაოები. სპეციალური დანიშნულების ტექნიკა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გადანაწილდება.

2016 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავება განახორციელა, **ევროკავშირის (EU**) დახმარებით და **გაეროს ორი სააგენტოს - გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP)** და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში. სტრატეგიაზე მუშაობა ნაკარნახევი იყო იმ მწვავე მდგომარეობით, რაც რეალურადაა საქართველოს სოფლებში. კერძოდ შეინიშნება:

- „სოფლად მცხოვრები მოსახლეობის შემცირება და ასაკის მატებით გამოწვეული პრობლემები;
- მწვავე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა მთიან რეგიონებში;
- შედარებით მცირე მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობასა და მასთან დაკავშირებულ სექტორებში;
- ნაკლებად დივერსიფიცირებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, დაბალი პროდუქტიულობა, სოფლის მეურნეობის სექტორში გაწეულ საქმიანობებში დაბალი დამატებული ღირებულება;
- სოფლად მცხოვრები ოჯახების შედარებით დაბალი შემოსავალი და სიღარიბის მაღალი დონე;
- სოფლად დასაქმების შესაძლებლობათა სიმწირე;
- მიწების დანაწევრება და არაეფექტური ეკონომიკური პირობები მიწათმოქმედების და მესაქონლეობის სექტორებში; არასათანადოდ განვითარებული (მათ შორის, სარწყავი) ინფრასტრუქტურა, საძოვრების სიმცირე, სასაწყობე და მარცვლეულის შესანახი ობიექტების სიმცირე ან/და მათი სარგებლობისთვის დაწესებული მაღალი ფასები;
- მნიშვნელოვანი ფართობის აუთვისებელი ტერიტორიები/მიწები;

- გასაღების ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;
- ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა;
- განადგურებულია ტყის ფონდის დიდი ნაწილი; საძოვრების მდგრადი მართვის პრინციპების დაცვის ნაკლებობა/არარსებობა;
- წყლის დაბინძურება და ნარჩენების მართვის მოუწესრიგებელი სისტემა;
- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სირთულეები და ა.შ." (საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, გვ. 56-57)

„მიუხედავად იმისა, რომ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, ამ მიმართულებით სავაჭრო სალდო ჯერჯერობით კვლავ უარყოფითია. ძირითადი საექსპორტო პროდუქტებია: თხილი, ყურძნის ნატურალური ღვინოები, სპირტიანი სასმელები, მინერალური მტკნარი წყლები. მათი წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან ექსპორტში 70%-მდე აღწევს. დარგის მდგრადი განვითარებისათვის და ქვეყნისთვის მეტი შემოსავლის გენერირებისათვის მნიშვნელოვანია საექსპორტო პროდუქციის და ბაზრების შემდგომი დივერსიფიკაცია. განსხვავებული მდგომარეობაა იმპორტის შემთხვევაში: ხორბალი, ხორცი და ხორცპროდუქტები, ხილი და ბოსტნეული, შაქარი, სპირტიანი სასმელები, მცენარეული ზეთი - ეს იმ პროდუქტთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც მნიშვნელოვან საიმპორტო პროდუქტებს წარმოადგენს. აღნიშნული პროდუქტების წილი აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან იმპორტში 42%-მდე აღწევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია არასეზონური ბოსტნეულის იმპორტი, რომლის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო პირობები არსებობს საქართველოში. ადგილობრივი წარმოების ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე მიწოდება ძირითადად სეზონზე ხორციელდება." (საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020, გვ. 24)

ბიბლიოგრაფია:

აგულაშვილი, გ. (2014 წლის სექტემბერი). რას სთავაზობს აგროდაზღვევა ფერმერებს?: ზარალის ასანაზღაურებლად ფიზიკურ პირისთვის გამოიყოფა 30 ათასი ლარი, ხოლო კოოპერატივისათვის - 50 ათასი. *ახალი აგრარული საქართველო* (9 (41)). 4-5.

„ადამიანი გაჭირვებაში"-ს 2015 წლის წლიური ანგარიში. (2015). მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებგვერდიდან: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Attachment-1-ENPARD-PIN-Project-331-310-List-of-trainings-10-files-merged.pdf

გადაგვარჩენს თუ არა სოფლის მეურნეობა? (2012 წლის 04 მარტი). *ტაბულა*. მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებგვერდიდან: http://www.tabula.ge/ge/story/58282-gadagvarchens-tu-ara-soflis-meurneoba

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მეოთხე შუალედური ანგარიში (24 ნოემბერი 2014 – 25 მაისი 2015). (2015). მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებგვერდიდან: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/EU-FAO-CapacityDevelopment_Fourth_Pr_R_FINAL-PR-29.06.2015.pdf

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მეხუთე შუალედური ანგარიში (25 მაისი 2015 - 24 ნოემბერი 2015). (2015). მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებგვერდიდან: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/EU-FAO-Capacity-Development-to-MoA_Fifth-Progress-FINAL-cleared-DZ-proofread-JG.pdf

გოგოლიშვილი, ი. (2015). ევროკავშირი და საქართველო: ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებები დაზღვევის სფეროში. *საქართველოს ევროპული გზა* (4), 46-48.

ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა. (2012). *სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სექტორების შეფასება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში. საქართველო.* მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებგვერდიდან: http://www.fao.org/3/aq673ka/aq673ka.pdf

ეჩანოვე, ი. (2015 წლის იანვარი). საქართველოს სოფლის მეურნეობა, რეალობა და მითები. *ახალი აგრარული საქართველო* (1 (45)), 11-12.

იობაშვილი, თ. (2014). აგროდაზღვევა-მთავრობის ახალი რეცეპტი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. *აუდიტი. აღრიცხვა. ფინანსები* (8 (176)), 17-20.

კახნიაშვილი, ქ. (2015). ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება - რა სარგებელს მოუტანს საქართველოს სოფლის მეურნეობას. *ახალი აგრარული საქართველო*(1), 12-14.

კილაძე, დ., & ქვარცხავა, მ. (2014 წლის ივნისი). სოფლის მეურნეობა და ქვეყნის განვითარება. *ახალი აგრარული საქართველო* (6 (38)), 21-24.

"მერსი კორპსის" 2015 წლის წლიური ანგარიში. (2015). მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებგვერდიდან: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Mercy-Corps-ENPARD-Interim-Report-Y2.pdf

“ოქსფამის” 2015 წლის წლიური ანგარიში. (2015). მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებგვერდიდან: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/OXFAM_ENPARD-Annual-Report-Y2.pdf

საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია 2017-2020. (თ. გ.). მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებ-გვერდიდან: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/საქართველოს-სოფლის-განვითარების-სტრატეგია-2017-2020.pdf

საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია. დამოუკიდებლობის 20 წელი. შუალედური ანგარიში. (2012). მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებგვერდიდან: http://www.ei-lat.ge/images/doc/20%20Years%20of%20Independence-Transformation%20of%20Georgian%20Agricultural%20System.pdf

„ქეა საერთაშორისოს“ 2015 წლის წლიური ანგარიში. (2015). მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებგვერდი-დან: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/331-728_Interim-Report_CARE-Consortium_JAN14-SEP15.pdf

საქართველოს სოფლის მეურნეობის მიმოხილვა 2006-2015. (2017). მოძიებულია 2018 წლის 13 მაისს ვებგვერდიდან: http://enpard.ge/ge/wp-content/uploads/2015/05/Agricultural-Review_GEO.pdf

Tea Anesashvili
Gori State Teaching University

PROJECTS IMPLEMENTED BY INTERNATIONAL ORGANIZATIONS IN AGRICULTURE OF GEORGIA

RESUME

Topic “Projects implemented by International organizations in agriculture of Georgia” The purpose of the study is: to increase the quality and quantity of agricultural products in Georgia, Improving the knowledge of small farmers and access to the latest agricultural techniques To study the role of international donor organization.

Topics covered include large-scale projects implemented by international agricultural donor organizations, which are meant for the long-term development of the field and aim to create an environment that, which helps in agriculture raising competitiveness, steady growth of high quality products, ensuring food security and production of agricultural products acceptable to the European market.

In the direction of agricultural development in Georgia many donor organizations work, including: Food and Agriculture Organization (FAO), UN Program in Georgia, U.S. Agency for International Development, U.S. Department of Agriculture, European Bank for Reconstruction and Development, Credit Bank of Reconstruction (KfW), Swiss Development Cooperation and Danish International Development Agency, etc.

Keywords: Agriculture, Organization, Project, Bank, Donor.

ეკატერინე აფხაიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, ახალგაზრდობის დასაქმება, უმუშევრობის დონე, შრომითი მიგრაცია.

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების, ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში განსაკუთრებული სიმწვავით წარმოჩინდა ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები.

ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი, შრომითი გამოცდილების უქონლობის და სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნების გამო, შრომის ბაზარზე გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდება და უმუშევართა რიგებს ემატება. ამიტომ სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდების დასაქმების

საკითხისადმი მიდგომა განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმ სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგების გაცნობიერება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდობის დაუსაქმებლობამ. ხანგრძლივი და მასობრივი უმუშევრობა ახალგაზრდებში იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, საკუთარ შესაძლებლობებში ურწმუნოებას, პიროვნების დეგრადაციას, ხელს უწყობს დანაშაულის ზრდას, ოჯახების დანგრევასა და სხვა ნეგატიურ შედეგებს, რომ არაფერი ვთქვათ მთლიანი შიდა პროდუქტის იმ დანაკარგებზე, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა სრული დასაქმების პირობებში.

ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია მათი მხრიდან სამუშაოს ძიების ხანგრძლივი პროცესი. ვინაიდან საშუალო (20-25 წელი) და უფროსი (25-29 წელი) ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების მოთხოვნები საკმაოდ მაღალია სამუშაოს მიმართ, ვიდრე უმცროსი (20 წლამდე) ასაკის.

ახალგაზრდების ეკონომიკური აქტიურობის შედარებით დაბალი დონე იმითაც არის განპირობებული, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სწავლითაა დაკავებული. არასწორი პროფესიული ორიენტაცია, რაც ძირითადად უმაღლესი განათლების მიღებაში გამოიხატება, მნიშვნელოვნად ართულებს მათ დასაქმებას. ბოლო ათწლეულის განმავლობაში შრომის ბაზარზე მხოლოდ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები გამოდიან.

ახალგაზრდების დასაქმება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, რომელიც არსებითად 2 ჯგუფად იყოფა - ობიექტური და სუბიექტური.

ეს ფაქტორები გათვალისწინებული უნდა იყოს ახალგაზრდობის დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისათვის.

,,სუბიექტური" ფაქტორები უშუალოდ დაკავშირებულია ახალგაზრდებთან (მათი მზადყოფნა პროფესიული შრომისათვის, ფასეულობათა ორიენტაციაზე, სხვა ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე და ა.შ.). ახალგაზრდობის დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორების გამოყოფა პირველ რიგში საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს ახალგაზრდობის დასაქმების სახელმწიფო რეგულირება სხვადასხვა დონეზე (ადგილობრივი, რეგიონული, ქვეყნის) და დროის მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში.

დასაქმებაზე მოქმედი ობიექტური ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის;
- პროფესიული განათლების ქსელის გაფართოება;
- ახალგაზრდობის მომზადება ახალი სპეციალობების მიხედვით, შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;
- ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის კვოტირებული სამუშაო ადგილების გამოყოფა შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფით;
- ახალგაზრდობის დასაქმების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;
- შრომის ბაზრის საინფორმაციო მომსახურების სრულყოფა, რაც გულისხმობს ამომწურავი ინფორმაციის არსებობას ვაკანსიების შესახებ ქვეყნის რეგიონულ და საქალაქო დონეზე;
- დასაქმების სახელმწიფო სისტემაში სპეციალური სამსახურის შექმნა ახალგაზრდების სოციალური დაცვისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდული წამოწყების სტიმულირებას (შეღავათიანი კრედიტები, საინფორმაციო და საკონსულტაციო მხარდაჭერა);

ახალგაზრდობის დასაქმებაზე, ობიექტურთან ერთად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სუბიექტური ფაქტორები:

- ჯანმრთელობის მდგომარეობა (ფიზიკური და ფსიქოლოგიური);
- არასაკმარისი საგანმანათლებლო მომზადება;
- არასაკმარისი შრომითი ჩვევები და გამოცდილება;
- პროფესიული შრომისათვის ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა;

შრომითი ფასეულობების სუსტი დასაბუთება (პროფესია, კვალიფიკაცია, შრომის მწარმოებლურობა, შემოქმედებითი სამუშაო, პროფესიული კარიერა და ა.შ.).

- მაღალი მოთხოვნა და მოლოდინი მომავალი სამუშაოსადმი;
- ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა სამუშაო ადგილის დასაკავებლად კონკურენტული ბრძოლისათვის;
- ეკონომიკური სტიმულის უქონლობა, რომელიც წარმატებული პროფესიული მოღვაწეობის წინაპირობაა.

ახალგაზრდობის დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორების განხილვისას უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს არცერთი მათგანი. ასევე თითოეულის მნიშვნელობა უნდა შეფასდეს რეალური მდგომარეობიდან გამომდინარე სახელმწიფო ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობებით.

გარდამავალ პერიოდში, რასაც თან ახლდა სისტემური კრიზისი ეკონომიკაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ბუნებრივია, სახელმწიფო ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდების დასაქმების პრობლემას. გარკვეულწილად, აღნიშნული პრობლემის არასათანადოდ გაცნობიერებამაც განაპირობა ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე.

ახალგაზრდობის დასაქმების მდგომარეობის ანალიზმა გვაჩვენა, რომ უმუშევართა წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვში გაიზარდა ახალგაზრდების უმცროს ასაკობრივ ჯგუფში, რაც მოწმობს შრომის ბაზრის მაღალ მოთხოვნებს სამუშაო ძალის ხარისხის მიმართ, ასევე მათ სწრაფვას მაღალანაზღაურებადი სამუშაოსადმი.

უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში მიგრაციული, განსაკუთრებით კი შრომითი მიგრაციის გააქტიურების ფონზე არცთუ სახარბიელოა ახალგაზრდების მიგრაციული განწყობა. ჩვენი აზრით, შემაშფოთებელია ახალგაზრდების ეს განწყობა, რადგან სწორედ ისინი არიან შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც ესოდენ საჭირო და აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის. ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქალთა მიგრაციული განწყობა, რაც ქვეყნის საზიანოდ მეტყველებს.

რადგან ქალები პოტენციური დედები არიან და რადგან არალეგალური მიგრაცია ხანგრძლივი პროცესია, ეს ყველაფერი გენოფონდის დეგრადაციას იწვევს.

- შრომის ბაზარზე გამოსული ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონეა;
- ახალგაზრდებს თავისი ფსიქო-ფიზიოლოგიური თვისებებიდან (დინამიურობა, მოქნილობა, ენერგიულობა, სწრაფვა სიახლისკენ, სრულყოფილებისაკენ, თვითდამკვიდრებისკენ და ა.შ.) და თავისებურებებიდან გამომდინარე, უფროსი თაობისაგან განსხვავებით, სამუშაო ადგილისადმი სწრაფი და უმტკივნეულო ადაპტაცია ახასიათებთ. ამიტომ, ისინი აქტიურობით გამოირჩევიან შრომის ბაზარზე, ხშირ შემთხვევაში ათავსებენ სწავლას და მუშაობას.
- ახალგაზრდებს, როგორც წესი, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ათვისების მეტი უნარი გააჩნიათ, დიდია სწრაფვა ადრე ნაკლებად ცნობილი, მაგრამ დღეს უკვე პრესტიჟული, მაღალანაზღაურებადი პროფესიების მიმართ. სამუშაო ადგილის მიმართ წაყენებული მოთხოვნები განსაკუთრებულია შრომის ანაზღაურების, შრომის პირობების, კვალიფიციური და თანამდებობრივი წინსვლის შესაძლებლობების თვალსაზრისით. ახალგაზრდები არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ სპეციალობის მიხედვით დასაქმებას.
- ახალგაზრდების დასაქმებაზე თავისებურად აისახა ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები. აშკარად გამოიკვეთა მათი სწრაფვა კერძო სექტორში დასაქმებისაკენ (გამოკითხული ახალგაზრდების 68% კერძო სექტორშია დასაქმებული), რაც შეეხება სახელმწიფო სექტორს, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც მაღალი ანაზღაურება და კარიერის შექმნის მეტი შესაძლებლობაა.

ბოლო პერიოდში გაკეთებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საქართველოს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობაში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში, კერძოდ 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება. ამ ასაკის ახალგაზრდებიდან 38,3% უმუშევარია. ფონდის კვლევის მიხედვით, ძალიან ბევრი ახალგაზრდა უმუშევრობის ფაქტის წინაშე თვეების და წლების განმავლობაშია, სანამ ფორმალური განათლების დასრულების შემდეგ პირველ სამსახურს იპოვის. თუმცა პირადი კონტაქტების გარეშე სამსახურის მოძიება საკმაოდ რთულია.

ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო სტრატეგია და პრიორიტეტი, რომელიც ასახავდა დასაქმების პრობლემას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებში. ევროპულ უნივერსიტეტში პროფესიული სტაჟირება სასწავლო პროგრამის ნაწილად იქცა, რათა კურსდამთავრებულთა შრომისუნარიანობა უფრო მაღალი იყოს. საქართველოში კი სტაჟირება ოფიციალურ გამოცდილებად არ ითვლება. შესაბამისად, ახალგაზრდებს გავლილი რამდენიმეთვიანი და ზოგჯერ ერთწლიანი უფასო სტაჟირება დასაქმებაში ვერ ეხმარება.

მთავრობამ ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების აღმოსაფხვრელად სხვადასხვა გეგმა შეიმუშავა, იმედია, სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი რეფორმები შედეგს გამოიღებს და ახალგაზრდებს დასაქმების მეტი შესაძლებლობა ექნებათ. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების დასაქმების სახელმწიფო ხედვისა და სტრატეგიის განსაზღვრა.

ბიბლიოგრაფია:

International Organization for Migration (IOM). (2010). *World Migration Report 2010: Future of Migration: Building Capacities for Change.* Geneva: International Organization for Migration. Retrieved from https://publications.iom.int/system/files/pdf/wmr2010_summary.pdf

Pyatkovska, O. (2010). Globalization and International labor migration: the macroeconomic impact of migrants' remittances. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები" მასალები.* თბილისი: უნივერსალი.

Tukhashvili, M., Shelia, M., Taktakishvili, G., Zubiashvili, T., & Chelidze, N. (2012). *Socio-economic Problems of Return Migration in Georgia.* Tbilisi: Universal. Retrieved from http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11050/1/Dabrunebul_Migrantta_Kvleva.pdf

Ekaterine Apkhaidze

Gori State Teaching University

YOUNG PEOPLE EMPLOYMENT PROBLEMS IN GEORGIA

RESUME

Georgia's ongoing economic structural changes, economic liberalization and integration conditions, that are the essential conditions to civilized market economy, in particular caused uproar employment and especially employment problems for young people.

Important part of young people because of lack of work experience, and the high demands of the labour market are facing an insurmountable obstacle and stay unemployed. Therefore, from the state approach to employment for young people requires special caution and moderation. First of all, we need to understand the social and economic losses, which can lead of youth unemployment. Long and massive unemployment among young people is causing psychological stress, unbelief in their abilities, personality degradation, contributing to an increase in crime, family breakdown and other negative consequences, to say nothing about the losses in gross domestic product, the production of which would be able in full employment conditions.

Keywords: Labor market, Young people employment, Unemployment rate, Labor migration.

ლია ბიბილაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს ენერგეტიკა: მდგომარეობა და პერსპექტივები

საკვანძო სიტყვები: ენერგეტიკა, მზის ენერგია, ქარის ენერგია, განახლებადი ენერგია.

საქართველოში ენერგეტიკა წარმოდგენილია ელექტროენერგეტიკისა და სათბობის მრეწველობის თითქმის ყველა ძირითადი დარგით (თბოელექტროსადგურები, ჰიდროელექტროსადგურები, ელექტრული და თბოქსელები, ნავთობმომპოვებელი, ნახშირის მრეწველობა, თერმული წყლები). ბოლო წლებში მიმდინარეობს მუშაობა ქარისა და მზის ენერგიის გამოსაყენებლად. 1961-1990 წლებში საქართველოს ენერგეტიკის პროდუქცია 1,4-ჯერ გაიზარდა; ზრდა დაახლოებით თანაბარი იყო პირველისა და მეორე ათწლეულში, მესამეში კი - მკვეთრად დაეცა.

1991-1995 წლებში საქართველოს ენერგეტიკა მწვავე კრიზისმა მოიცვა. მინიმუმამდე დაეცა ყველა ენერგორესურსის წარმოება. ელექტროენერგიის გამომუშავება 2-ჯერ და მეტად შემცირდა, ნავთობისა და

ნახშირის მოპოვება - შესაბამისად - 4,4-ჯერ და 22,4-ჯერ, ნავთობის გადამუშავება - 60-ჯერ, თანმდევი გაზის მოპოვება - 18,2-ჯერ.

2013 წლის შედეგებით, საქართველოს ენერგეტიკაში ფუნქციონირებდა 66 საწარმო, სადაც დასაქმებული იყო 19123 ადამიანი, წარმოებული იყო 1077,6 მლნ ლარის პროდუქცია, ხოლო ძირითადი აქტივების (ფონდების) ღირებულება შეადგენდა 3052,1 მლნ ლარს. ეს მაჩვენებლები კი მრეწველობის ანალოგიურ პარამეტრებში შესაბამისად უდრიდა 2,3%, 17,0%, 14-8%, 52,9%.

საქართველო თავის მოთხოვნილებას საკუთარი ენერგორესურსებით იკმაყოფილებს მხოლოდ 34,5%-ით, ანუ იმპორტულ რესურსებზე 65,5%-ით არის დამოკიდებული (2013 წ.) საკუთარი წარმოების ენერგორესურსების ფორმირებაში წამყვანია ჰიდროენერგია 711,2 ათ ტ.პ.ს. (49,85), მეორე ადგილზეა ბიოსაწვავი (შეშა და დანარჩენები) - 481,1 ათ. ტ.პ.ს. (33,6%), მესამეზე - ქვანახშირი 168 ათ ტ.პ.ს. (11,8%) და ა. შ. რაც შეეხება ბალანსის ხარჯვით ნაწილს საბოლოო მოხმარების მიხედვით, აქ პირველ ადგილზეა ნავთობპროდუქტები 1077,6 ათ ტ.პ.ს (28,9%), მეორეზე - ბუნებრივი გაზი 1058,7 ათ. ტ.პ.ს (28,4%) და მესამეზე - ელექტროენერგია 780,3 ათ ტ.პ.ს (20,9%).

საქართველოს ელექტრობალანსი საბჭოთა პერიოდში ძირითადად დეფიციტური იყო. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ რამდენიმე წელი (1970-1075, 1979-1980).

დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს ელექტრობალანსი კვლავ, მაგრამ უფრო ღრმა დეფიციტური გახდა. განსაკუთრებით ეს ითქმის 1990-2005 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდებზე. 2000 წელს კი ელექტროენერგიის ფაქტობრივმა დეფიციტმა საქართველო 400 მლნ კვტ. სთ შეადგინა. მცირდებოდა ელექტროენერგიის წარმოებაც (თითქმის 2-ჯერ). ეს კი განაპირობებდა ელექტროენერგიის მოხმარების იძულებით შემცირებას. მრეწველობაში იგი შემცირდა 11,5-ჯერ, ტრანსპორტზე - დაახლოებით 4-ჯერ. იგივე ტენდენცია იყო სოფლის მეურნეობაში (2000 წელს სოფლის მეურნეობაში ელექტროენერგიის წლიურმა მოხმარებამ 7,2 მლნ კვტ.სთ შეადგინა), მშენებლობაში (2000 წლის მოხმარება 9,0 მლნ კვტ. სთ) და ა. შ.

2005 წელს ელექტროენერგიის დეფიციტი 96,2 მლნ კვტ. სთ-მდე შემცირდა, ხოლო 2007 წლიდან 2014 წლამდე ბალანსი უდეფიციტო იყო (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1

საქართველოს ელექტრობალანსი 2005-2014 წლებში, მლნ კვტ. სთ

დასახელება	2005	2007	2010	2011	2012	2013	2014
წარმოება (სალტედან გაშვება)	6880,8	8169,5	9919,2	9912,2	9471,9	9860,6	10153,7
მათ შორის							
ჰესი	5850,2	6724,5	9263,3	7788,7	7122,1	8163,5	8221,1
თესი	1030,6	1445,0	655,9	2123,4	2349,8	1697,1	1932,6
იმპორტი - რუსეთიდან - სომხეთიდან - თურქეთიდან - აზერბაიჯანიდან	1398,6 615,7 752,9 9,3 20,7	433,3 176,9 ------ 149,0 107,4	222,1 211,9 ------ 0,0001 4	470,9 447,6 ------ 2,8 23,4	614,6 517,05 408,0 629,0 97,54	484,1 460,5 ----- ----- 23,6	851,9 665,6 2,1 ---- 184,2
ექსპორტი - რუსეთში - აზერბაიჯანში - თურქეთში - სომხეთში	121,8 ----- ----- 121,8 ------	625,5 ----- 300,3 215,6 109,6	1524,2 1117 14,31 303,4 89,5	930,6 588,6 5,9 218,6 117,5	528,2 369,43 11,79 79,0 67,9	450,4 370,6 6,6 ------ 73,2	603,6 218,6 8,0 236,5 140,5
წმინდა მოხმარება, სულ ბალანსი (±)	7842,8 -96,2	7812,6 +356,9	8422,0 +1477,2	9256,6 +655,6	9379,4 +92,5	9690,1 +170,5	10402,0 -248,3

2014 წელს, მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოება თითქმის 3%-ით გაიზარდა, დეფიციტი მაინც მოხმარების უფრო ზრდამ (7,3%) განაპირობა. ამ წელს იმპორტის საჭიროებამ 248,3 მლნ კვტ. სთ-ით გადააჭარბა ექსპორტს.

ახლა საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის „ბუმია“. ჯერ კიდევ 2012 წლიდან დაიწყო 15 ჰესის მშენებლობა, რომელთა მშენებლობის საერთო ღირებულება იყო 3,5 მლრდ. აშშ

დოლარი, ხოლო სიმძლავრე - 2000 მგვტ-ზე მეტი. 2011 წელს კი უკვე შენდებოდა 10 ჰესი. მათი საერთო სიმძლავრეა 300 მგვტ., გამომუშავება 1,5 მლრდ კვტ. სთ.

აღნიშნულ სადგურთა შორისაა: ფარავანჰესი, ლუხუმჰესი, მტკვარჰესი, ლარსიჰესი, შილდაჰესი, გუბაზოულიჰესი, ბახვიჰესი - 2. მხოლოდ ბოლო 2 წელიწადში (2013-2014) ექსპლუატაციაში შევიდა 7 ჰესი 251 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციით. დაიწყო ქარის ელექტროსადგურის და უკვე დამთავრდა გარდაბნის 230 მგვტ სიმძლავრის კომბინირებული თბოსადგურის მშენებლობა.

გარდაბნის სადგური ხასიათდება მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით. იმუშავებს ბუნებრის გაზზე და აღიჭურვება კომბინირებული ციკლის უახლოესი ტექნოლოგიებით, მათ შორის ,,ჯენერალ ელექტრისის“ და ,,შკოდას“ მაღალეფექტიანი ტურბინებით. სადგური არის ყველაზე საიმედო რეზერვი, პროექტის საინვესტიციო ღირებულება 220 მლნ აშშ დოლარია, პოტენციური გამომუშავება - 1,8 მლრდ კვტ. სთ.

ნავარაუდევია აგრეთვე ტყიბულში მძლავრი ახალი თესის მშენებლობა; ამ მიზნით მნიშვნელოვნად გაიზრდება ადგილობრივი ნახშირის მოპოვება.

მთავარი აქცენტი გადატანილია განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებაზე. პერსპექტიულ მშენებლობათა გათვალისწინებით შემუშავებულია ,,საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა“ 2015-2025 წლებისთვის, რომელიც დამტკიცებულია მთავრობის მიერ (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოს ელექტროსისტემის ენერგიის საპროგნოზო ბალანსი (მლრდ კვტ. სთ)

წელი	გენერაცია	ჰესები	თბოსადგურები	მოხმარება	ექსპორტი
2015	11,57	9,48	2,09	11,15	0,42
2016	12,79	10,84	3	11,71	1,08
2017	13,99	10,99	2,3	12,29	1,70
2018	14,03	11,72	2,65	12,91	1,12
2019	16,39	13,73	3,64	13,55	2,84
2020	19,94	16,3	2,18	14,23	5,71
2021	24,52	22,34	1,37	14,94	9,58
2022	26,78	25,42	1,85	15,69	11,09
2023	27,26	25,42	2,38	16,48	10,78
2024	27,8	25,42	2,97	17,30	10,50
2025	28,42	24,42	3,0	18,16	10,26

ამ გეგმის მიხედვით, 2025 წელს საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება შეადგენს 28,42 მლრდ კვტ. სთ, მათ შორის ჰესებში - 25-42. გამომუშავების ასეთი ზრდა კი საშუალებას იძლევა ექსპორტზე გადატანილი იქნას 10 მლრდ კვტ. სთ-ზე მეტი ენერგია.

საქართველოში ნავთობის მოპოვებამ მაქსიმუმს 1982 წელს მიაღწია - 3331 ათას ტონა შეადგინა. ეს კი 1960 წლის დონეს 98-ჯერ აღემატებოდა. ნავთობმოპოვება რესპუბლიკაში ძირითადად სამგორი-პატარძეულის საბადოს ხარჯზე ვითარდებოდა. 1982 წლისათვის ამ საბადოზე მოდიოდა რესპუბლიკაში მოპოვებული ნავთობის 92,8% და თანმდევი გაზის 82%.

ამჟამად ნავთობის მოპოვება, მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, უცხოური ინვესტიციების მეშვეობით თანდათან გამოდის იმ მდგომარეობიდან, რომელშიც იგი 1990-1995 წლებში იყო. თუმცა ბოლო წლებში მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა.

ქვეყანაში ნავთობისა და გაზის პერსპექტიულ ტერიტორიებს მიეკუთვნება 26,5 ათასი $მ^2$ ფართობი ხმელეთზე და 6 ათასი $მ^2$ შავი ზღვის აკვატორიის ფარგლებში.

2014 წლის მონაცემებით საქართველოში ნავთობის ძიებასა და მოპოვებას ახორციელებს 12 კომპანია, მათ შორის აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ინდოეთის, ჩინეთის, ისრაელის, ავსტრალიის, რუმინეთისა და საქართველოს კომპანიები.

გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნახშირის წარმოება საქართველოს მრეწველობის პრიორიტეტულ დარგად ითვლებოდა. 1990 წლის შედეგებით მასზე მოდიოდა სათბობი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 20,0%, მომუშავეთა 79,6% და ძირითადი საწარმოო ფონდების (კაპიტალის) ღირებულების 53.4%.

განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ნახშირის წარმოებას საქართველოში 1958 წელს ჰქონდა, როდესაც მოპოვებულ იქნა 3014 ათასი ტონა, რაც 3.1-ჯერ აღემატებოდა 1990 წლის დონეს. ეს განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წლები ნახშირის საწარმოთა ყველაზე ინტენსიური მშენებლობის პერიოდი იყო საქართველოში და იგი უკავშირდებოდა ქვეყანაში თუჯის,

ფოლადის, ნაგლინის წარმოების განვითარებას. ამასთან, ნახშირის წარმოება აგრეთვე ამარაგებდა შავ მეტალურგიას ტექნოლოგიური სათბობით, ხოლო ელექტრო ენერგეტიკას - ენერგეტიკული ნახშირით. საქართველო ერთადერთი რესპუბლიკა იყო სამხრეთ კავკასიაში, რომელსაც საკუთარი ნახშირის მრეწველობა ჰქონდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის წლებში ნახშირის მოპოვება უკიდურესად შემცირდა. მისი ერთგვარი გამოცოცხლება შეიმჩნევა 2009 წლიდან. მან თავის მაქსიმუმს მიაღწია 2014 წელს - 352 ათასი ტონა. ეს კი 2000 წლის დონეს 48,2-ჯერ აღემატება (იხ. ცხრილი 3)

ცხრილი 3

ნახშირის მოპოვება საქართველოში
2000-2014 წლებში (ექსპერტული შეფასება)

წლები	ათასი ტონა
2000	7, 3
2005	5, 1
2007	15, 0
2009	110, 0
2010	119, 7
2013	350,0
2014	352,0

საქართველო მდიდარია ენერგიის არატრადიციული რესურსებით, თუმცა, ჯერჯერობით, მათი პრაქტიკული გამოყენება თითქმის არ ხდება.

თერმული წყლები. ეს რესურსები მიწის სიღრმისეული სითბოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო შესწავლილი სახეა და დაკავშირებულია მიწისქვეშა თერმულ წყლებთან. საქართველო ასეთი წყლებით მსოფლიოში ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანაა.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური შესწავლის თანამედროვე ეტაპზე თერმულ წყლების საერთო პროგნოზული მარაგი (წყლის ტემპერეტურა 50-1100 C) შეადგენს 250 მლნ კუბურ მეტრს. მისი სრული გამოყენებით, როგორც ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემები გვიჩვენებს, წლიურად შეიძლება დაიზოგოს 1.5-2 მლნ ტონა პირობითი სათბობი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში მარაგის სახელწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული იყო თერმული წლების მარაგი დღე-ღამეში 200 ათასი კუბური მეტრის ოდენობით, ხოლო 1990 წლის დასაწყისში კი რესპუბლიკის განკარგულებაში იყო 59 წყალ შემკრები ჭაბურღილი, რომელთა საერთო სიმძლავრე დღე-ღამეში 60 ათასი კუბურ მეტრზე მეტი იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის წინ საქართველოში თერმული წყლების 23 საბადოდან დამუშავებაში იყო 17, კერძოდ, კინდღა-მოქვის, რეჩხის, საბერიოს, ზუგდიდი-ცაიშის, კვალონის, მენჯის, სამტრედიის, ვანის, თბილისის, ბიჭვინთის, ხარაგაულის, ალაზნის, კარდანახის, ჭანდარის, ყვარლისა და ენისელისა.

მზის ენერგია. ენერგიის არატრადიციული წყაროებიდან ყველაზე უფრო პერსპექტიული მზის ენერგიაა. იგი ამავე დროს ყველაზე უფრო ,,სუფთა“ და მუდმივი პირველადი ენერგო რესურსია.

საქართველო, როგორც სამხრეთი ქვეყანა, მზის ენერგიით მდიდარია და მდებარეობს ე.წ. „მსოფლიოს მზის სარტყელში“ (ჩრდილოეთი განედის 450 - სამხრეთი განედის 450).

მზის ენერგიის თეორიული ოდენობა, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე ხვდება წლის განმავლობაში, აღწევს 1014 კვტ. სთ-ს ანუ 32,5 მლრდ. ტონა პირობით სათბობს, რაც დაახლოებით 1600-ჯერ აღემატება ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოხმარების 1990 წლის დონეს.

საქართველოს უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა საკმაოდ დიდია და მერყეობს 200-იდან 250 დღემდე. ამასთან, უფრო მზიანია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონები, ვიდრე შავი ზღვისპირეთი და კოლხეთის დაბლობი. წლის განმავლობაში მზის ნათების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება როდიონოვკაში (2 633 სთ), ყველაზე დაბალი - საირმეში (1 147 სთ), ზამთრის თვეებში მზის ნათება საშუალოდ 80-120 საათს (მაქსიმუმი შესაძლებლობის 25-40%), ზაფხულის თვეებში ზოგჯერ 285-300 საათს (50-65%), ხოლო ხელსაყრელ წლებში- 300-360 საათს (70-75%) შეადგენს.

საქართველოს ზოგიერთი რაიონი მზის ნათების ხანგრძლივობით არა თუ ჩამორჩება, არამედ სჭარბობს კიდეც მსოფლიოს იმ რეგიონებს, სადაც წარმატებით გამოიყენება ჰელიოდანადგარები. 1990 წლის დამდეგს საქართველოში სამრეწველო, საკურორტო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 338

ობიექტზე დადგმული იყო და ფუნქციონირებდა დაახლოებით 65 ათასი $მ^2$ მზის კოლექტორი, მათი ექსკლუატაციით ყოველწლიურად იზოგებოდა 7.8 ათასი ტონა მაღალხარისხიანი პირობითი სათბობი.

ქარის ენერგია. საქართველოს ქარის მნიშვნელოვანი ენერგეტიკული პოტენციალი აქვს. რომელიც ჯერჯერობით პრაქტიკულად არ გამოიყენება. როგორც სპეციალური გამოკვლევები გვჩვენებს, თეორიულად, საქართველოს ტერიტორიაზე ქარის ენერგიის მარაგი შეადგენს 1.3. 1012 კვტ-სთ-ს წლიურად, ხოლო წამში 4.0-ზე მეტი სიჩქარის ქარის ენერგიის მარაგი ცალკეულ ზონაში წლიურად თითქმის 4,5 მლრდ. კვტ. სთ-ს აჭარბებს.

საქართველოს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებები გატარდეს ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებისათვის. ამისათვის კი აუცილებელია: 1. ბუნების დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით რაციონალურად გამოვიყენოთ ტერიტორიაზე არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მთელი კომპლექსი - ჰიდროენერგია, ქვანახშირი, ნავთობი და არატრადიციული წყაროები; 2. ჩამოყალიბდეს საქართველოს პირობებისათვის შესაფერისი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ოპტიმალური სტრუქტურა. სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, ენერგეტიკულ, ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა გათვალისწინებით, თავიანთი ადგილი უნდა მიეკუთვნოთ როგორც ჰიდრო, ისე თბოსიმძლავრეებს და ენერგიის სხვა ალტერნატიულ წყაროებს; 3. აუცილებელია რესპუბლიკის ენერგოუზრუნველყოფის საქმეში დიდი როლი შეასრულოს ამ რესურსების ეკონომიურმა და რაციონალურმა გამოყენებამ; 4. საქართველომ საიმედო და ხელსაყრელი საგარეო ენერგეტიკული კავშირები უნდა დაამყაროს მსოფლიოს მოწინავე, მათ შორის მეზობელ სახელმწიფოებთან.

ენერგეტიკის განვითარება, ცხადია, მნიშვნელოვან თანხებს საჭიროებს. ეს კი ხშირად ხდება დარგის განუვითარებლობის მიზეზი. თუმცა ჩატარებულმა სპეციალურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ თუ ერთმანეთს დავუპირიპირებთ ენერგეტიკის განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციების მოცულობას და ენერგიის დანაკლისით გამოწვეული ეროვნული შემოსავლების შესაძლო ზარალს, დავინახავთ, რომ ენერგეტიკის განვითარებისთვის საჭირო კაპიტალდაბანდებები 5-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ის ზარალი, რასაც ამ დარგის განუვითარებლობა გამოიწვევს.

ბიბლიოგრაფია:

„საქსტატის“ სტატისტიკური კრებულები. (2005-2016).

საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა. საქართველოს ელექტროსისტემა. (2015).

ჩომახაძე, დ. (2014). *საქართველოს ენერგეტიკა: ეკონომიკა, რეგულირება, ტერმინოლოგია, სტატისტიკა.* თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.

Lia Bibilashvili

Gori State Teaching University

GEORGIAN ENERGY: CONDITIONS AND PROSPECTS

RESUME

The article assesses the current state of energy arecharacterized the electricity, oil and coal mining development trends. Analyzed the energy balance. Laying its perspectives for the period until 2025. The focus is on the problems of the energy balance of the deficit and also there are expressions and suggestions how to mitigate it.

Keywords: Energy, Solar energy, Wind energy, Renewable energy.

გიული გიგუაშვილი, თამარ მაკასარაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ინოვაციების ინფრასტრუქტურის ფორმირების თავისებურებები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: ინოვაციების ინფრასტრუქტურა, ტექნოპარკი, ფაბლაბი, ინოვაციების ლაბორატორია, ბიზნეს-ინკუბატორი.

შესავალი.

საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა თავისი გავლენა იქონია ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციურ პოლიტიკაზე. ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, უახლესი ტექნოლოგიებისა და ეროვნული ინოვაციური პოტენციალის ათვისება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლების და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის აუცილებელი პირობაა. საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა: სტრატეგიულ ამოცანად განისაზღვრა ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბება; ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარება; ელექტრონული კომუნიკაციების, მეწარმეობის და კონკურენციის, ელექტრონული კომერციის განვითარება და სხვა. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მთავარი: ხედვა)

ლიტერატურის მიმოხილვა.

ცოდნის ეკონომიკა, როგორც „ქოლგისებრი კონცეფცია“, თავისი მფარველობის ქვეშ აქცევს ინოვაციურ იდეებსა და კონცეფციებს და მათ ერთიან კონცეპტუალურ სისტემად აყალიბებს. XXI საუკუნის ეკონომიკის ეს ახალი ფენომენი ოთხ მნიშვნელოვან კონცეფციას აერთიანებს: ცოდნის როგორც რესურსის, როგორც პროდუქტის, როგორც კოდიფიციური ცოდნის და ცოდნის, როგორც ინფორმაციული საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი შედეგის კონცეფციას. ურთიერთდაკავშირებული წარმოება, მეცნიერება და განათლება სამეწარმეო საქმიანობაში ინოვაციურ მიდგომებს აყალიბებს და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ხარჯზე სამომხმარებლო ბაზარს სრულყოფს. (ჯოლია, 2013, გვ. 280)

ავსტრიელმა (მოგვიანებით ამერიკელმა) მეცნიერმა იოზეფ ალიოზ შუმპეტერმა 1911 წელს ნაშრომში “ეკონომიკური განვითარების თეორია” ინოვაციური პროცესები ოთხ განზომილებაში წარმოგვიდგინა: გამოგონება, ინოვაცია, გავრცელება და იმიტაცია. თანამედროვე ბიზნესმეცნიერება კი ძირითადად ინოვაციის სამ ძირითად მიმართულებას აღიარებს: 1. პროდუქტის ინოვაცია 2. პროცესის ინოვაცია (ინოვაციის მართვის ჩათვლით) და 3. ბიზნესმოდელის ინოვაცია.

პროდუქტის ინოვაციაში მოიაზრება ახალი პროდუქტების/სერვისების შექმნა ან არსებული პროდუქტების/სერვისების მახასიათებლების გაუმჯობესება. პროცესისა და ინოვაციის მართვა არის პროცესების შემუშავება და გაუმჯობესება, რომლითაც პროდუქტები/სერვისები იწარმოება და მიეწოდება მომხმარებელს. ზოგადად, კომპანიები ამ ტიპის ინოვაციის წყალობით ცდილობენ ხარჯების შემცირებას, ორგანიზაციული და საწარმოო ეფექტიანობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების ამაღლებას. ბიზნესმოდელის ინოვაცია ახალი ბიზნესმოდელების შექმნაა, რომელიც აუმჯობესებს კომპანიის შედეგებს ინოვაციებისა და მდგრადი განვითარების გზით. ეს, როგორც წესი, დიდი მასშტაბის ცვლილებებსა და ბიზნესის ზოგიერთი ნაწილის ნგრევას იწვევს. ასევე გავლენას ახდენს მთლიან ინდუსტრიაზე, რადგან ცვლის თამაშის წესებს. (საქართველოს ბანკი: ბიზნეს ჰაბი)

ამრიგად, ინოვაციური პროცესი ახალ იდეებს გარდაქმნის ახალ ბიზნესმოდელებად, პროდუქტებად ან ბრენდებად. უდავოა, რომ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების აუცილებელ პირობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება წარმოადგენს. ინოვაციების ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს სამეცნიერო კვლევების შედეგებსა და ინვესტორებს, მეწარმეებსა და სახელმწიფოს შორის. ექსპერტთა დიდი ნაწილი ინოვაციების ინფრასტრუქტურაში მოიაზრებს სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების სპექტრს, რომელიც უზრუნველყოფს ინოვაციური პროცესის ყველა სტადიის განვითარებას და შენარჩუნებას. აქ შედის საწარმოო ტექნოლოგიური სტრუქტურები (ტექნოპარკები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები და ბიზნეს-ინკუბატორები), საინფორმაციო სისტემების ობიექტები (ანალიტიკური სტატისტიკური ცენტრები, საინფორმაციო ბაზები და ქსელები), ტექნოლოგიური მენეჯმენტის სფეროში კადრების მომზადების და გადამზადების ორგანიზაციები, საფინანსო სტრუქტურები (საბიუჯეტო, არასაბიუჯეტო, ვენჩურული, სადაზღვევო ფონდები). (ჭილაძე, 2013, გვ. 110)

სტუ-ის პროფესორმა არჩილ სამადაშვილმა „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი“-ს სახელმძღვანელოში ინოვაციების ინფრასტრუქტურა ორ ჯგუფში გააერთიანა: 1. სოციოეკონომიკური ინფრასტრუქტურა: მოიცავს მატერიალურ, ადამიანურ, ორგანიზაციულ და ფინანსურ რესურსებს და 2. ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა - მოიცავს იმ რესურსებს, რომლებიც აუცილებელია ინოვაციური პროდუქტის შექმნისა და ბაზარზე წარდგენისთვის. მისი აზრით, ინოვაციის წარმატება დამოკიდებულია ახალი იდეების, ინოვაცია-პროდუქტის და ინოვაცია-ტექნოლოგიის სწორი კომბინაციის მიღწევაზე. (სამადაშვილი, 2009, გვ. 38)

ძირითადი ნაწილი.

ინოვაციების ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა: ტექნოპარკები, „ფაბლაბები“, ინოვაციების ლაბორატორიები, ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრები და ბიზნეს-ინკუბატორები.

ტექნოპარკი მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ის პროგრესულ ფორმაა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მეცნიერ-გამომგონებელსა და კომპანიებს. აღსანიშნავია, რომ ტექნოპარკები დაინტერესებული არიან ტექნოლოგიების გაყიდვით როგორც უშუალოდ, ისე საშუამავლო ფირმების მონაწილეობით, ამასთან ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის. არის შემთხვევები, როცა ტექნოპარკი ხდება კომპანიების თანადამფუძნებელი ან თვითონ აფუძნებს კომპანიას ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციის მიზნით.

მეცნიერთა ნაწილი ტექნოპარკის წინამორბედად მიიჩნევს 1939 წელს აშშ-ში კალიფორნიის შტატის, პალო ალტოში შექმნილ ინოვაციურ ცენტრს, რომლის დამფუძნებლებიც იყვნენ სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. 1950-იანი წლების ბოლოდან, ტექნოპარკების განვითარების პირველ ეტაპზე შეიქმნა საუნივერსიტეტო ტექნოპარკები სტენფორდში, კემბრიჯში და აშშ-ის და ინგლისის სხვა ქალაქებში. უნივერსიტეტებში იქმნებოდა ტერიტორიები, რომლებზეც გამომგონებლები წყვეტდნენ პრაქტიკოსების მიერ შემოთავაზებულ ამოცანებს. აშშ და საფრანგეთში ფუნქციონირებენ ტექნოპოლისები, ბელგიასა და გერმანიაში მათ ეწოდებათ ინოვაციური ცენტრები, დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში მათ ეწოდებათ ტექნოპარკები. ყოფილ საბჭოთა კავშირში 1956 წელს შეიქმნა ნოვოსიბირსკის აკადემქალაქი, რომელშიც განთავსდნენ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებების მიხედვით, რომლებიც დასავლეთის ტექნოპარკებისაგან განსხვავებით ორიენტირებულნი იყვნენ ქვეყნის წინაშე მდგომი დარგობრივი გეგმური ეკონომიკის ამოცანების გადაწყვეტაზე.

ტექნოპარკების განვითარების მეორე ეტაპი იწყება გასული საუკუნის 80-იან წლებში, რომელმაც ძირითადად მოიცვა დასავლეთ ევროპა და დაკავშირებულია მსოფლიო ენერგომატარებლებზე ფასების სწრაფ ზრდასა და ეროვნული მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების სტაგნაციასთან, როგორებიცაა: მეტალურგია, გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა. შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის საუკეთესო გზა იყო ახალი, მეცნიერებატევადი დარგებისა და ბაზრების განვითარებისათვის ხელის შეწყობა. აღნიშნულ ეტაპზე ხდება ბიზნეს-ინკუბატორების არნახული ტემპებით განვითარება.

ტექნოპარკების განვითარების მესამე ეტაპად მიიჩნევა გასული საუკუნის 90-იანი წლები, როცა ტექნოპარკები სულ უფრო მეტად იყენებენ ინოვაციებს, როგორც კონკურენტუნარიან საქონელს. ამასთან ახალი თაობის ტექნოპარკების კონკურენტუნარიანობა აისახება მათი გამოგონებითი საქმიანობის მრავალფეროვნებაში. (სოხაძე, 2017, გვ. 13)

დღეისათვის მსოფლიოს უდიდესი ტექნოპარკები ფუნქციონირებენ კიოტოში (იაპონია), შენჩჟენ-ში (ჩინეთი), სინჩჟუ-ში (ტაივანი), ბანგალორსა და ტრივანდრუმში (ინდოეთი), სოფია-ანტრიპოლისში (საფრანგეთი). პირველი თურქული ტექნოპარკი დაარსდა მარმარაში 1999 წელს კვლევით ცენტრ TUBITAK-ს ბაზაზე; 2011 წელს შვედეთში, ქალაქ ლუნდში გაიხსნა სამეცნიერო პარკი IDEON; მალაიზიაში, ქალაქ კულიმში 1996 წლიდან ფუნქციონირებს Kulim Hi-Tech Park-ი; სინგაპურში, ე. წ. საქმიან კვარტალში One-North ორი ტექნოპარკია განთავსებული: Biopolis და Fusionopolis. (commersant.ge, 2017)

„ფაბლაბი“, იგივე ფაბრიკაციის ლაბორატორია - არის მაღალტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი სახელოსნო, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ციფრულ ფაბრიკაციას. ფაბლაბის კონცეფცია 2001 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, ბიტების და ატომების ცენტრის დირექტორმა, ნილ გერშენფილდმა წარმოგვიდგინა. მისი იდეა იყო შეექმნა სამრეწველო ლაბორატორიის მცირე ანალოგი, სადაც კომპიუტერით მართვადი დანადგარებით და შესაბამისი ცოდნით, ნებისმიერი მსურველი შეძლებდა საკუთარი იდეის ხორცშესხმას. ,,ფაბლაბის“ სივრცე არის ტექნოლოგიური პლატფორმა სწავლებისთვის და ინოვაციებისთვის. „ფაბლაბი“ ნიშნავს დააკავშირო და ერთ სივრცეში მოაქციო მსოფლიოს განმანათლებლები, ტექნოლოგები, გამომგონებლები და ნოვატორები. ცოდნის გაზიარების ეს ქსელი მოიცავს 50 ქვეყანას. „ფაბლაბი“ მოიცავს სამრეწველო კლასის დაზგა-

დანადგარებს და ელექტრონულ ხელსაწყოებს, რომელიც უზრუნველყოფილია „ღია კოდის მქონე“ პროგრამული უზრუნველყოფებით. „ფაბლაბი“ აღჭურვილია ლაზერული მჭრელით და სკანერით, პროგრამირებადი რუტერით, რომელიც ჭრასა და გრავირებას უკეთებს ნებისმიერ მყარ სხეულს. იგი ასევე გამოიყენება პლატების დასამზადებლად. „ფაბლაბი“ მოიცავს მაღალი გაფართოების 3დ პრინტერებს, ელექტრონული კომპონენტებისა და ნაწილების კომპლექტს. დღეისათვის მსოფლიოს მასშტაბით 1090 ფაბლაბი ფუნქციონირებს. (ფაბლაბ ტექნოპარკი)

ინოვაციების ლაბორატორიები ორიენტირებულია ხელი შეუწყოს სპეციალისტების მომზადებას, შექმნას კომფორტული გარემო ნოვატორული იდეების გენერირებისთვის, პროექტული მართვის უნარების განვითარებისთვის და ინოვაციებზე და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სტარტაპების შექმნისთვის. ინოვაციების ლაბორატორიების ტექნოლოგიური ბაზა მყარ საფუძველს ქმნის ახალგაზრდებში ციფრული უნარების შექმნისა და გამდიდრების მიზნის მისაღწევად. ინოვაციების ლაბორატორიები წარმოადგენენ 24 საათიან სამუშაო სივრცეს დამწყები კომპანიებისთვის და კერძო სექტორის მიერ განხორციელებულ დამატებით ინვესტიციას სტარტაპ ეკოსისტემის ფორმირების პროცესში.

ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარება მაღალტექნოლოგიურ ბიზნეს სფეროში შეიძლება განხორციელდეს ინოვაციურ-ტექნოლოგიური ცენტრების მეშვეობით. მოცემული სტრუქტურა წარმოადგენს მის ჭერქვეშ გაერთიანებულ მცირე საწარმოთა ერთობლიობას, ე.წ. კონგლომერატს, რომელიც ამ საწარმოებს სთავაზობს ტექნიკურ, საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებას.

ბიზნეს ინკუბატორები 21–ე საუკუნის მსოფლიო ეკონომიკაში კერძო ბიზნესის ხელშემწყობ უმთავრეს მექანიზმად იქცა. “ბიზნეს ინკუბატორების ეროვნული ასოციასციის (NBIA)” 2012 წლის ოქტომბრის მონაცემებით, მსოფლიოში 7000–მდე მოქმედი ინკუბატორია, რომელთაც ათი ათასობით დამწყებ ბიზნესს მისცეს განვითარებისა და ზრდის საშუალება. იმ სტარტაპების 87% კი, რომლებმაც გაიარეს ბიზნეს ინკუბაციის პროგრამა, წარმატებით აგრძელებს საქმიანობას საკუთარ ბაზარზე. ბიზნეს ინკუბატორი, ეს არის დამწყები ბიზნესის ხელშემწყობი პროგრამა, რომელიც ინოვაციური და კრეატიული იდეის მქონე მეწარმეებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა სახის შეღავათიან პირობებში გაიარონ საკუთარი ბიზნესის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. ბიზნეს ინკუბატორები და სტარტაპების ასელერატორები დღითიდღე უფრო და უფრო აქტუალურ თემად იქცევა მსოფლიოში. ეს არის გზა მცირე ბიზნესის ხელშეწყობისა, რაც გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მსოფლიოში დღითიდღე იზრდება და ვითარდება ბიზნესის ინკუბაციის კულტურა. ბიზნეს ინკუბატორი კლიენტებს სთავაზობდეს ისეთ სერვისებს, როგორებიცაა: იაფი საოფისე ფართი და წვდომა ინტერნეტთან; ბიზნეს ტრენინგები; პროფესიონალური მენტორობა და კონსულტაციები ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: მარკეტინგი, ბუღალტერია და ფინანსების მართვა, სამუშაო გუნდის მშენებლობა და ა.შ.; კავშირი სტრატეგიულ პარტნიორებთან; წვდომა საბანკო სესხებთან, ასევე პირდაპირი ურთიერთობა ინვესტორებთან. NBIA–ს კვლევების მიხედვით, სტარტაპი ინკუბაციის პერიოდში 400%–იან ზრდას განიცდის, ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული ხარჯები კი 40–50%–ით მცირდება. (Innovations' Center, 2012)

შედეგები/დისკუსია.

მსოფლიოში მიმდინარე თვისებრივად ახალ ტექნოლოგიურ სისტემებზე გადასვლის ფონზე, საქართველოში ჯერ კიდევ მრავლადაა ინვესტიციურ-ინოვაციური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია ქვეყნის მომავალი. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის დაბალმა ტემპებმა, ბაზრის მასშტაბების შემცირებამ, წარმოებისა და ინვესტიციების მკვეთრმა დაცემამ, ინფლაციის მაღალმა დონემ და სხვა ფაქტორებმა განაპირობა ინოვაციური შესაძლებლობების შეზღუდვა. უცხოური მონოპოლიები და ტრანსნაციონალური კორპორაციები გაბატონებულნი არიან სამრეწველო საქონლისა და მნიშვნელოვანწილად სურსათის ბაზარზე, რაც ქვეყნის ეკონომიკას მათზე დამოკიდებულს ხდის, და გადააქცევს მზა პროდუქციის გასაღებისა და იაფი ნედლეულის ბაზრად; დაბალია როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, ასევე, ტექნოლოგიური განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის დონე. ქვეყანაში დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, არადამაკმაყოფილებელია ინტელექტუალური საკუთრების დაცვის დონე, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინოვაციების განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად არაერთი ღონისძიება გატარდა, მოსახლეობის მიერ ამ საშუალების გამოყენების მაჩვენებელი კვლავ არადამაკმაყოფილებელია. (გობეჯიშვილი, 2013, გვ. 90-91)

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ბოლო პერიოდში საქართველოში შეინიშნება გარკვეული წანამძღვრები ინოვაციური მცირე მეწარმეობის განვითარებისათვის. გამოიკვეთა პირველი მცდელობები ინოვაციური საქმიანობის გააქტიურების მიმართულებით. მიმდინარე ეტაპზე უდიდეს მნიშვნელობას

იძენს საქართველოში ინოვაციური საქმიანობის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება. ინოვაციური ინფრასტრუქტურა უნდა ითვალისწინებდეს, ერთი მხრივ - სახელმწიფოებრივი რეგულირების გაძლიერებას და მისი შესაბამისი სუბიექტების ქმედების კოორდინაციას, მეორე მხრივ - ყველა დაინტერესებული სტრუქტურის ინტეგრაციას ეკონომიკაში ინოვაციური პროცესების გასააქტიურებლად.

საქართველოში ერთიანი ეკოსისტემის შექმნის და ინოვაციური იდეების განვითარების მიზნით, 2016 წელს თბილისის მახლობლად, დაბა ოქროყანაში გაიხსნა პირველი ტექნოლოგიური პარკი, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებისათვის. ტექნოპარკი მოიცავს როგორც მცირე ინკუბატორებს, სასწავლო ცენტრებსა და ლაბორატორიებს, ისე დიდ ოფისებს კომპანიებისთვის, ერთობლივ სამუშაო ადგილებსა და რეკრეაციულ სივრცეს. პარკის ტერიტორიაზე მუშაობს მაღალტექნოლოგიური კომპანიების ტრენინგ-ცენტრები და შოუ-რუმები, მაღალტექნოლოგიური ინკუბატორი, სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია (FabLab), საერთო სამუშაო სივრცე (co-working), საკონფერენციო დარბაზი და სხვა სერვისები, რომლებიც ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის განვითარებას.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) ინფორმაციით, 2018 წლის დასაწყისისათვის ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს ინოვაციების ხელშემწყობი შემდეგი ინფრასტრუქტურა: ორი ტექნოპარკი (თბილისში და ზუგდიდში), სამი ინოვაციების ცენტრი, სამი ინოვაციების ლაბორატორია, ოცდაორი სამრეწველო ლაბორატორია, 2018 წლის ოქტომბრის ბოლოს იხსნება მესამე ტექნოპარკი (თელავში), საფუძველი ჩაეყარა მეოთხე ტექნოპარკის მშენებლობას (კასპში). საქართველოში აქტიურად მუშაობს 22 ფაბლაბი. ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ფაბლაბების რეიტინგში, ლაბორატორიების რაოდენობის მიხედვით მე-11 ადგილზეა და წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიც არის შვეიცარია, პორტუგალია, პოლონეთი, იაპონია, ჩინეთი და სხვა. აღსანიშნავია, რომ 2015-2018 წწ. ბიზნეს ინკუბატორის პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა 6-მა სტარტაპმა. სტარტაპ საქართველოს პროგრამის ფარგლებში 20 სტარტაპი 100 000 ლარით დაფინანსდა. პროექტის „დაიწყე ბიზნესი ფაბლაბთან ერთად“ ფარგლებში 50-მდე წარმატებული სტარტაპი დაიბადა. (ტექნოპარკი საქართველო, 2017)

2016 წლის 28 მარტს საქართველოს მთავრობასა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის ხელი მოეწერა 5 წლიან (2016-2021 წელი) სასესხო ხელშეკრულებას საქართველოსათვის 40 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის შესახებ ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტის განხორციელების მიზნით. GENIE პროექტის მთავარი მიზანია საქართველოში ფირმებისა და ფიზიკური პირების ინოვაციური საქმიანობის გაზრდა და ციფრულ ეკონომიკაში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა. აღნიშნულის მისაღწევად დაგეგმილია ინოვაციების რეგიონული და სათემო ცენტრების ფორმირება, სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და მცირე ბიზნესისათვის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მეწარმეებისათვის ციფრული და ელექტრონული წიგნიერების უნარების და შესაძლებლობების განვითარება, ფართოზოლოვან ინტერნეტში ჩართვისა და მისი გამოყენების მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მაღალტექნოლოგიური და ინოვაციური სტარტაპებისათვის დაფინანსებასთან წვდომის უზრუნველყოფა. (საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო)

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში ფართოზოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას; ასევე, ევროპასა და აზიას შორის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ინფრასტრუქტურის შექმნას; შავ ზღვაში და კასპიის ზღვაში წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო მაგისტრალის მშენებლობას, რაც ევროპასა და აზიას შორის ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრის, ფასების და ხარისხის გაუმჯობესების და კატასტროფების წინააღმდეგ ბრძოლის, ციფრულ კონტენტზე გამარტივებული დაშვების მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) შესრულების საშუალებას იძლევა.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლიდან მიმდინარეობს „ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM)“ პროექტი, რომლის მიზანია ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნებს შორის ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის პროცესის ხელშეწყობა, პროექტის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით შექმნილია EU4Digital: „ციფრული უნარების (eSkills)“, „ICT ინოვაციების (ICTinnovation)“, „ელექტრონული იდენტიფიკაციის, სანდო მომსახურებების, საინფორმაციო და კიბერ უსაფრთხოების (Trust&Secure), ელექტრონული ვაჭრობის (eTrade), ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოების (Telecom) და ელექტრონული ჯანდაცვის (eHealth) ქსელები. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მთავარი: მიმდინარე პროექტები)

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნისა და სრულყოფის, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის მიზნით, USAID-ის „მმართველობა განვითარებისთვის (G4G)“ პროექტის დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს კანონის პროექტზე „ელექტრონული კომერციის შესახებ,“ ასევე, საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ ცვლილებების შესახებ. 2018 წლიდან ამოქმედდება საქართველოს კანონი "ფოსტის შესახებ". მიღებული იქნა საქართველოს კანონი ,,ინოვაციების შესახებ", საქართველოს კანონი „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონი „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“ და ა. შ.

გრძელვადიან პერსპექტივაში ინოვაციური პროცესების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“.** სტრატეგიის ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა: კომპანიების მიერ მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერისა და პრაქტიკაში დანერგვის გაფართოება, მეცნიერებასა და ბიზნესს შორის კავშირის გაძლიერება, ინოვაციების დამაკმაყოფილებელი დონის მიღწევა, საბოლოოდ კი - ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე ორიენტაცია.

მიზნები ინოვაციისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის

მაჩვენებელი	**საბაზისო**	**2017 წ**	**2020 წ**
ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ინდექსი (KEI) (საქართველოს პოზიცია)	68	55	45
გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII) (საქართველოს პოზიცია)	73	65	60
ფაქტორების მთლიანი მწარმოებლურობა (TFP) (ყოველწლიური, %)	2,7	3,0	3,2
ინოვაციების შესაძლებლობის ინდექსი (ICI)	44	40	36
გლობალური ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდექსი (GItI)	65	58	50

წყარო: საქართველოს მთავრობა, სტრატეგია 2020

სტრატეგიის შესაბამისად, ინოვაციის მხარდასაჭერად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ტექნოპარკები, ბიზნესინკუბატორები, რეგიონული განვითარების სააგენტოები და საინოვაციო ცენტრები) განვითარებას და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადებას, კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფას უმაღლესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ლაბორატორიებისთვის, უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლისა და კვლევის პროცესების ინტეგრაციას. დაგეგმილია უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში კვლევითი საქმიანობის შედეგების მონიტორინგის ერთიანი სისტემის და შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების მოდელების ამოქმედება.

საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყანაში ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის მიუხედავად, 2017 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგში საქართველო 4 საფეხურით ჩამოქვეითდა და 127 ქვეყანას შორის 34.39 ქულით 68-ე პოზიცია დაიკავა. ექსპერტთა ნაწილი ამის მიზეზად ადამიანური კაპიტალის, ბიზნესის განვითარებისა და შემოქმედებითი წარმოების დაბალ დონეს ასახელებდა. (გიგუაშვილი, 2018)

2018 წლის ინოვაციის გლობალური ინდექსის კვლევაში საქართველო ცხრა პოზიციით დაწინაურდა და 35.05 ქულით 59-ე ადგილს იკავებს. საქართველოს 59-ე ადგილი განაპირობა სხვადასხვა კომპონენტების შემდეგი ქულებით შეფასებამ:



საქართველო ინოვაციების დანახარჯების (Innovation input) კუთხით 25,65 ქულით 62-ე ადგილზეა, ხოლო ინოვაციური პროდუქტის (Innovation output) მხრივ 44.44 ქულით 53-ე ადგილზე. დაბალი და საშუალო შემოსავლიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ჯგუფში 30 ქვეყანას შორის შედარებით კარგად გამოვიყურებით: ინოვაციების დანახარჯების მიხედვით პირველ ადგილზე ვართ, ხოლო ინოვაციური პროდუქტის მიხედვით - მე-7-ზე. საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება ადამიანური კაპიტალი და კვლევები, ცოდნა და ტექნოლოგიები, შემოქმედებითობა და ბიზნესის განვითარების დონე. (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2018)

დასკვნა.

ამრიგად, საქართველოში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ინოვაციური ეკონომიკის, ინოვაციების ინფრასტრუქტურის ფორმირების მიმართულებით, თუმცა, ქვეყნის შემდგომი ინოვაციურ-ტექნოლოგიური განვითარებისათვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია: ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან; ეროვნული მნიშვნელობის ინოვაციური პროექტების სახელმწიფო დაფინანსება; ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი გარემოს ჩამოსაყალიბებლად ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; ინოვაციური საწარმოებისათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება; სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტზე ორიენტირებული სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიური პროდუქტების გაჩენის, ელექტრონული სერვისების, ელექტრონული კომერციის განვითარების ხელშეწყობა; სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების, ასევე საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა; ინოვაციების ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება; კიბერ და საინფორმაციო უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ინოვაციური ეკონომიკის მასტიმულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზით უზრუნველყოფა.

ბიბლიოგრაფია:

გიგუაშვილი, გ. (2018). ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. *აბრეშუმის გზის მე-13 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მსოფლიოში და ახალი გამოწვევები“: შრომების კრებული.* თბილისი.

გობეჯიშვილი, ე. (2013). *საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის მიმართულებები: დისერტაცია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000648/disertacia-E.Gobejishvili.pdf

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). (2018 წლის 20 ივლისი). *2018 წლის ინოვაციის გლობალურ ინდექსში საქართველო 2017 წელთან შედარებით 9 პოზიციით დაწინაურდა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://idfi.ge/ge/pagel/p/our_history

სამადაშვილი, ა. (2009). *სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი.* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

საქართველოს ბანკი. (თ.გ.). *იდეიდან წარმატებამდე: ინოვაციის სახეობები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://businesshub.ge/ge/innovation/increase-rd/types-of-innovation

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (თ. გ.). *მთავარი: ხედვა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=25

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (თ. გ.). *მთავარი: მიმდინარე პროექტები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.economy.ge/?page=projects&s=18

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო. (თ. გ.). *ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის (GENIE) პროექტი.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://gita.gov.ge/geo/static/31/genie

საქართველოს მთავრობა. (თ.გ.). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: საქართველო 2020.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategiis_-_sakartvelo_2020.pdf

სოხაძე, კ. (2017). ტექნოპარკის განვითარების პერსპექტივები. *ახალი ეკონომისტი* (4), 13-16.

ტექნოპარკი საქართველო. (2017 წლის 26 დეკემბერი). *ინოვაციების სააგენტო სტარტაპების სწრაფი განვითარებისთვის.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.facebook.com/TechParkGeorgia/posts/1495045793936649

ფაბლაბ ტექნოპარკი. (თ.გ.). *რა არის ფაბლაბი?* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://fablab.gov.ge/geo/static/41/ra-aris-fablabi

ჭილაძე, გ. (2013). ინტელექტუალური საკუთრება და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება: სამართლებრივი და ეკონომიკური ასპექტები. *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, ნაწილი II*, გვ. 109-113. ქუთაისი.

ჯოლია, გ. (2013). ცოდნის ეკონომიკის კონცეპტუალური ასპექტები. *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული. ნაწილი II*, ქუთაისი.

commersant.ge. (2017 წლის 25 ივნისი). *მსოფლიოს ყველაზე დიდი ტექნოპარკები - როგორ იქმნებოდა ტექნოლოგიური ქალაქები სხვადასხვა ქვეყნებში.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://commersant.ge/ge/post/msoflios-yvelaze-didi-teqnoparkebi-rogor-iqmneboda-teqnologiuri-qalaqebi-sxvadasxva-qveynebshi

Innovations' Center. (2012 წლის 25 დეკემბერი). *რა არის ბიზნეს ინკუბატორი?* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://innovationscenter.wordpress.com/2012/12/25/

Giuli Giguashvili, Tamar Makasarashvili

Gori State Teaching University

PECULIARITIES OF INNOVATION INFRASTRUCTURE FORMATION IN GEORGIA

RESUME

A necessary condition for building an innovative economy is the creation and development of an appropriate infrastructure. Against the background of transition to new technologies in the world, access to modern technologies is still a problem in Georgia, the level of technological development and innovation is low. Despite the fact that by the beginning of 2018, there were already two Tech Parks, three innovations center, three innovations laboratory, twenty-two industrial laboratory; Many projects are implemented with the aim of improving innovation support infrastructure; We need to stimulate innovative activity from the state and private sector as a necessary condition for further development of the country; It's important developing and realizing the ecosystem model of national innovations considering world experience.

Keywords: Innovation infrastructure, Technopark, Fablab, Innovative laboratory, Business incubator.

მანია გოგიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ეკონომიკური თავისუფლების პრობლემები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, მონოპოლია, ხარისხი, ინდექსი, კორუფცია, სიმდიდრე, შემოსავალი.

შესავალი:

ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს და მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა. ეკონომიკურად თავისუფალ საზოგადოებაში ყოველ ადამიანს აქვს სრული უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ და თავისუფალი არჩევანის პირობებში, საკუთარ მიზნებს მიაღწიოს. სახელმწიფო მის საქმიანობასა და არჩევანში არ ერევა. რამდენად ასრულებს ამ პირობებს მსოფლიოს 180-მდე ქვეყანა და მათ შორის, საქართველო, ამას საერთაშორისო ფონდი Heritage 1995 წლიდან ყოველწლიურად იკვლევს. საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ყოველწლიურად იცვლება.
მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

ეკონომიკური თავისუფლება არის „ადამიანის უფლება შეეძლოს საკუთარი სიმდიდრის, შემოსავლების, დროისა და ძალღონის თავისუფლად განკარგვა“. ეკონომიკური თავისუფლება გამოდის როგორც ინდივიდის უმთავრესი მიზნის მიღწევის საშუალება. მას გააჩნია როგორც დამხმარე მნიშვნელობა, ისე დამოუკიდებელი ფასეულობა. (https:/www.vuzlit.net.ru) ეკონომიკური თავისუფლება არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ და პოლიტიკურ დებატებში. როგორც ზოგადად თავისუფლებასთან, არსებობს ასევე სხვადასხვა დეფინიციები, მაგრამ არა ეკონომიკური თავისუფლების საყოველთაოდ მიღებული კონცეპტი. ეკონომიკური თავისუფლების ძირითადი მიდგომა იწყება ლიბერტანიალური ტრადიციიდან, რომელიც ხაზს უსვამს თავისუფალი ბაზრისა და კერძო საკუთრების უაღრესად დიდ მნიშვნელობას. ამჟამად ეს ტერმინი უმეტესად დაკავშირებულია თავისუფალ ბაზართან და განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების თავისუფლებას ყოველგვარი არაეთიკური ქცევის წესების გარეშე. ის ეფუძნება კანონის წესებს, საკუთრების უფლებას და კონტრაქტის თავისუფლებას და ხასიათდება ბაზრის შიდა და გარე ფაქტორებით, საკუთრების უფლების დაცვით, ეკონომიკური ინიციატივის თავისუფლებით. (ხიზანიშვილი, 2012, გვ. 443-444)

ეკონომიკური თავისუფლება არის ადამიანის თავისუფლების ის ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების მატერიალურ დამოუკიდებლობასთან სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზებულ ჯგუფებთან მიმართებაში. პიროვნება ეკონომიკურად თავისუფალია თუ მას ძალუძს სრულად აკონტროლოს საკუთარი შრომა და საკუთრება. ეკონომიკური თავისუფლება დაკავშირებულია პოლიტიკურ თავისუფლებასთან და შეიძლება ითქვას, რომ იგი არის მისი აუცილებელი პირობაც. (Friedman, 1962, p. 17)

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი სპეციალურად შექმნილი რაოდენობრივი მაჩვენებელია, რომლის მეშვეობით დგინდება დასაკვირვებელი ერთეულის მდგომარეობა სკალაზე. იგი რაღაც რიცხვია და არ შეიცავს საკვლევი ობიექტის თვისებრივ განსაზღვრებებს, ანუ თვისებრივად ვერ ახასიათებს შესასწავლ ობიექტს. ინდექსი მხოლოდ გარკვეულწილად იძლევა თვისებრივი მახასიათებლის რაოდენობრივ განსაზღვრულობაზე დაყვანის საშუალებას და ხასიათდება ტერმინებით: მეტი, ნაკლები, უფრო ძლიერი, უფრო სუსტი. (ბლიაძე)

გლობალურ ინდექსებს ქმნიან მკვლევრები და საკვლევი ცენტრები, რათა ერთმანეთს შეადარონ მსოფლიოს ქვეყნები განსაზღვრული ნიშნების: ეკონომიკის განვითარების ხარისხის, კონკურენტუნარიანობის დონის, კეთილდღეობის მიხედვით და სხვ. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (Economic Freedom of the World) არის ეკონომიკური თავისუფლების საზომი, რომელიც

შედგენილია ამერიკის პოლიტიკის კვლევის წამყვანი ცენტრის Heritage Foundation-სა და ჟურნალ „The wall street Journal“-ის მიერ. აღნიშნული ინდექსი 1995 წლიდან დგინდება. “ეკონომიკური თავისუფლების” მსოფლიო რეიტინგს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ინვესტიციების შემდგომი მოზიდვის კუთხით.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ათ კრიტერიუმს ემყარება. ესენია: ბიზნესის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, სამთავრობო დანახარჯები, მონეტარული თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება, საკუთრების უფლებები, კორუფციისგან თავისუფლება, შრომის თავისუფლება.

Heritage Foundation შეფასებით, ქვეყნებს, რომლებიც ამ კრიტერიუმების დაჯამების შედეგად 80 და მეტ ქულას დააგროვებენ, „თავისუფალი ეკონომიკის“ სტატუსი ენიჭებათ. ქვეყნებს, რომლებიც დააგროვებენ 70-79,9 ქულას, ენიჭებათ „ძირითადად თავისუფალი“ ეკონომიკის სტატუსი. 60-დან 69,9 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში ქვეყნის ეკონომიკა „ზომიერად თავისუფალია“. თუ ქულების რაოდენობა 60–ზე ნაკლებია, ქვეყნის ეკონომიკას „ძირითადად არათავისუფალის“ სტატუსი აქვს, 50 ქულის ქვემოთ კი „დახურული“ ეკონომიკის სტატუსი მოქმედებს. ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველო „ზომიერად თავისუფალი ქვეყნების“ კატეგორიამდე ჩამოქვეითდა. (ბლიაძე)

იმისთვის, რომ ქვეყანა ეკონომიკურად თავისუფლად ჩაითვალოს, რამდენიმე ძირითად პირობას უნდა აკმაყოფილებდეს - თითოეული ინდივიდი საკუთარ არჩევანში უნდა იყოს თავისუფალი, უნდა ჰქონდეს ნებაყოფლობითი ურთიერთგაცვლის, კონკურენტულ გარემოში ჯანსაღი ფული, საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება და რეგულაციები. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ამ კომპონენტებს 0 - 10 შკალაზე ზომავს. რაც უფრო მაღალია ქულა, მით უფრო ეკონომიკურად თავისუფალია ქვეყანა. (კვანჭილაშვილი, 2012, გვ. 31)

საქართველოს რეიტინგი

- საქართველო 2017 წელს **მე-13** პოზიციაზეა *180 ქვეყანას* *შორის* **76 ქულით**
- 1996 წელს საქართველოს **123-ე** პოზიციაზე იმყოფებოდა
- 2017 წელს საქართველო რჩება **უმეტესად თავისუფალ ჯგუფში**

2017 წლის რეიტინგში ასახული ცვლილებები:

- რეიტინგს მიემატა შემდეგი **2 ახალი კომპონენტი:** სასამართლოს ეფექტიანობა და ფისკალური სიჯანსაღე
- მოდიფიცირება განიცადა კომპონენტმა კორუფციისგან თავისუფლება და შეიცვალა კომპონენტით **მთავრობის სამართლიანობა**
- რეიტინგის კომპონენტი ფისკალური თავისუფლება შეიცვალა კომპონენტით **გადასახადების ტვირთი**

საქართველოს რეიტინგი 1996 – 2017



საქართველოს რეიტინგი სხვა ქვეყნებთან შედარებით



წყარო: Economic Freedom of the World 2016. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ეკონომიკურ თავისუფლებას ორი საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაცია - Heritage Foundation და Fraser Institute ზომავს. ორივე მათგანი თანხმდება, რომ ეკონომიკური თავისუფლება მსოფლიოს მასშტაბით ბოლო 20 წლის მანძილზე პირველად 2008-2009 წლებში შემცირდა. (ეკონომიკური თავისუფლება და საქართველო, 2010, გვ. 20-21)

ამ ორი ორგანიზაციის კვლევის მეთოდი ერთმანეთისგან განსხვავდება.

- Heritage Foundation-ის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 10 ტიპის თავისუფლებას ცნობს: ბიზნესის, ვაჭრობის, მონეტარული, ფისკალური, საინვესტიციო, ფინანსური, შრომის თავისუფლება, კორუფციისგან თავისუფლება, საკუთრების უფლებების დაცვა და მთავრობის ზომა. თითოეული ფასდება 0 – 100 შკალით, სადაც 100 ქულა მაქსიმალურ თავისუფლებას ნიშნავს.

- Fraser Institute-ის კვლევა ეყრდნობა 42 სხვადასხვა საზომს და 5 კომპონენტს – მთავრობის ზომა; საკანონმდებლო სტრუქტურა და საკუთრების უფლების დაცულობა; ჯანსაღი ფულის მისაწვდომობა; საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება; კრედიტის, შრომის და ბიზნესის რეგულირება. კომპონენტები იზომება 1 – 10 შკალით, უფრო მაღალი ქულა მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას ნიშნავს. (ეკონომიკური თავისუფლება და საქართველო, 2010, გვ. 20-21)

ეკონომიკური თავისუფლების მსოფლიო ქსელმა ფრეიზერის ინსტიტუტის 2017 წლის მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში მსოფლიოს 159 ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლებია შეფასებული და ის 2015 წელს არსებულ მდგომარეობას ასახავს. ინსტიტუტის შეფასებით, საქართველო 158 ქვეყანას შორის ეკონომიკური თავისუფლებით მერვე ადგილს იკავებდა, რაც წინა წელთან შედარებით პოზიციების გაუარესებას წარმოადგენდა. 2016 წელს გამოქვეყნებულ ინდექსში, რომელიც 2014 წლის მაჩვენებელს ასახავდა, საქართველო მეშვიდე ადგილზე იყო. პოზიციის გაუარესება საქართველოს აბსოლუტური ქულის გაუარესებამ გამოიწვია, 2017 წლის ინდექსში საქართველომ 10 ბალიანი შეფასების სკალის მიხედვით 8.01 ქულა მიიღო, წინა ინდექსში კი მას 8.02 ქულა ჰქონდა. ამ წელს საქართველოს პოზიციების გაუარესება გამოწვეული იყო სასამართლოს დამოუკიდებლობის მიმართულებით საქართველოს პოზიციების გაუარესებასთან და ასევე მაღალი ინფლაციის მაჩვენებლებთან. 2016 წელს გამოქვეყნებულ ინდექსში, რომელიც 2014 წელს ასახავდა საქართველოს სასამართლო სისტემა შეფასებული იყო 6.61 ქულით, 2017 წელს კი ქართულმა სასამართლომ 6.57 ქულა დაიმსახურა. ეს კი ნიშნავს, რომ ფრეიზერის ინსტიტუტის შეფასებით საქართველოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა შემცირდა. (ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო მერვე ადგილზე ჩამოქვეითდა, 2017, გვ. 9)

თუმცა 2017 წელს ზოგიერთ კრიტერიუმში საქართველომ პოზიციები გაიუმჯობესა. მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობის კრიტერიუმში საქართველოს ქულა 8.66-ია, წინა წელს კი ის 8.64 ქულით იყო შეფასებული. ასევე ზრდა შეიმჩნევა რეგულაციების გამჭვირვალობის მიმართულებით, 2017 წელს რეგულაციური სისტემა 8.05 ქულითაა შეფასებული, 2016 წელს კი ის 7.99-ზე იყო.

Heritage Foundation-ის 2017 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველოს მსოფლიოს 186 ქვეყანას შორის 13-ე ადგილი უჭირავს. 2016 წელს გამოქვეყნებულ ინდექსთან შედარებით საქართველო 10 პოზიციით დაწინაურდა. ევროპის მასშტაბით კი საქართველო მეხუთე ყველაზე თავისუფალი ეკონომიკაა. საქართველოს მიერ მიღებული ქულა 76-ია, რაც 2016 წელს მიღებულ ქულას 3.4-ით აღემატება.

საქართველომ ინდექსში პოზიციები საკუთრების უფლების, შრომითი უფლებებისა და ბიზნესის თავისუფლების მიმართულებით გაიუმჯობესა. სამთავრობო ხარჯების, მონეტარული პოლიტიკისა და საგადასახადო დონის მიმართულებით კი საქართველოს პოზიცია გაუარესდა. ანგარიშის მიხედვით, ქვეყნები ოთხი ძირითადი კრიტერიუმით ფასდება. ესენია: კანონის უზენაესობა, მთავრობის სიდიდე, რეგულაციური ეფექტიანობა და საბაზრო თავისუფლება. ამ კრიტერიუმების მიხედვით საქართველოს შედეგები ასე გამოიყურება:

1. კანონის უზენაესობა:

საკუთრების უფლებები - 55.1 ქულა, ზრდა წინა წელთან 15.1 ქულა.

მთავრობის ინტეგრაცია (ერთიანობა) - 65 ქულა, ზრდა წინა წელთან 13 ქულა.

სასამართლო ეფექტიანობა - 66.5 ქულა, ქულა უცვლელია.

Heritage Foundation-ის ინფორმაციით, საკუთრების უფლებებში არსებული გაუმჯობესება დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ კონტრაქტების აღსრულების ხარისხის გაუმჯობესებასთან და ასევე სასამართლო რეფორმების განხორციელებასთან.

2. მთავრობის ზომა:

მთავრობის ხარჯები - 74.4 ქულა, კლება წინა წელთან 0.9 ქულა.

საგადასახადო ტვირთი - 87.3 ქულა, კლება წინა წელთან 0.3 ქულა.

ფისკალური სიჯანსაღე - 93.5 ქულა, ქულა უცვლელია.

მთავრობის ზომის მიმართულებით არსებული კლება მშპ-სთან მიმართებით მთავრობის ხარჯებს უკავშირდება, რაც გასულ წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 29.2%-ს შეადგენდა. საგადასახადო ტვირთის მიმართულებით კი ქულის გაუარესება სავარაუდოდ ზოგიერთი ტიპის გადასახადის ზრდას უკავშირდება.

3. რეგულაციების ეფექტურობა:

ბიზნესის თავისუფლება - 87.2 ქულა, ზრდა წინა წელთან 0.7 ქულა.

შრომის თავისუფლება - 75.9 ქულა, ზრდა წინა წელთან 0.2 ქულა.

მონეტარული თავისუფლება (სავალუტო თავისუფლება) - 78.2 ქულა, კლება წინა წელთან 2.7 ქულა.

ბიზნესის თავისუფლების კატეგორიაში საქართველოს წინსვლა განაპირობა ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურების სიმარტივემ, მუშახელის არასახელფასო ხარჯის დაბალმა დონემ, ბიზნესის სავალდებულო საწყისი კაპიტალის არარსებობამ და ბიზნესის რეგულირების ეფექტიანმა მექანიზმებმა. მონეტარული თავისუფლების მიმართულებით ქულის გაუარესება ლარის დევალვაციას და უცხოურ ვალუტაზე ეკონომიკის მაღალ დამოკიდებულებას უკავშირდება. კვლევის მიხედვით დადებითად არის შეფასებული ის გარემოება, რომ ქვეყანაში მინიმალური ხელფასის მოთხოვნები არაა.

4. საბაზრო თავისუფლება:

ვაჭრობის თავისუფლება - 88.6 ქულა, ქულა უცვლელია.

საინვესტიციო თავისუფლება - 80 ქულა, ქულა უცვლელია.

ფინანსური თავისუფლება - 60 ქულა, ქულა უცვლელია.

საბაზრო თავისუფლების კრიტერიუმში, მართალია, 2016 წელთან შედარებით ქულები უცვლელია, თუმცა ზოგიერთ კრიტერიუმში, მათ შორის ვაჭრობის თავისუფლების კრიტერუმში, საქართველოს პოზიციები გაუარესებულია. 2012 წელს ვაჭრობის თავისუფლებაში საქართველოს 89.1 ქულა ჰქონდა. მეოთხე წელია საქართველოს პოზიცია ამ მიმართულებით უარესდება.

Heritage Foundation-ის კვლევაში ნათქვამია, რომ საქართველოსთვის პრობლემად რჩება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობა, თუმცა ნათქვამია, რომ ქვეყანაში საკმაოდ ძლიერი და სტაბილური საბანკო სექტორია.

2017 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ მსოფლიო მასშტაბით 159 ქვეყანას შორის 4 კომპონენტში პირველი ადგილი დაიკავა. ეს კომპონენტებია: ზღვრული საგადასახადო განაკვეთი, უძრავი ქონების გაყიდვებზე საკანონმდებლო შეზღუდვები, უცხოურ ვალუტაში საბანკო ანგარიშის ფლობის თავისუფლება, შავ ბაზარზე გაცვლითი კურსები. საქართველომ პირველი პოზიცია დაიკავა ასევე 5 ქვეკომპონენტში, ესენია: ზღვრული საშემოსავლო გადასახადი, ზღვრული მოგების გადასახადი, ბანკების საკუთრების სტატუსი, საპროცენტო განაკვეთის კონტროლი და ლიცენზირება. (საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით მსოფლიოში მე-8 ადგილზეა)

„2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, მონაცვლე ადმინისტრაციებმა შეამცირეს წვრილმანი კორუფცია, შეამცირეს რეგულაციები, გაამარტივეს გადასახადები, გახსნეს ბაზრები და განავითარეს ტრანსპორტისა და ენერგეტიკის ინფრასტრუქტურა," ნათქვამია ანგარიშში. თუმცა, „უფრო სიღრმისეული და სწრაფი ინსტიტუციონალური რეფორმები, და სასამართლოს დამოუკიდებლობა და ეფექტურობა კვლავ რჩება მნიშვნელოვან საკითხებად დინამიური და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის." 2018 წელს საქართველო რჩება უმეტესად თავისუფალ ჯგუფში. საქართველოს საშუალო ქულა (76.2) 7.4 ქულით აღემატება ევროპის რეგიონის საშუალო ქულას (68.8), ხოლო მსოფლიოს საშუალო ქულას - 15.1 ქულით. (2018 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი)

ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს. ეკონომიკურ თავისუფლებაში რეალურად იგულისხმება, თუ რამდენად ერევა მთავრობა ბიზნესის საქმიანობაში, ქვეყნის ეკონომიკის რა წილი მოდის სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებაზე და რამდენად კარგი სამართლებრივი გარემოა კერძო საკუთრების დაცვისთვის. ცალკეული რადიკალური შემთხვევების გამოკლებით, დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ძალები ძირითადად თანხმდებიან იმაზე, რომ ეკონომიკური თავისუფლება ქვეყნისთვის კარგია. აღნიშნული ქვეყნები ეკონომიკური თავისუფლების მაღალ დონეს თავისუფლების შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმში მაღალი მაჩვენებლით აღწევენ. მაგალითად, ეკონომიკური თავისუფლების დონით დანია მსოფლიოში მე-12 ადგილზეა. ამ დროს დანიაში საკმაოდ მაღალი გადასახადებია. საგადასახადო ტვირთი ეკონომიკის მიმართ 50%-ია. ეს ნიშნავს, რომ დანიელები თავიანთი შემოსავლის 50%-ს გადასახადებში იხდიან. თუმცა ეკონომიკური თავისუფლების ისეთ კრიტერიუმებში, როგორიცაა კერძო საკუთრების დაცვა (პირველ ადგილზე მსოფლიოში), კორუფციის დაბალი დონე (პირველ ადგილზე მსოფლიოში), ინვესტირების თავისუფლება (მე-2 ადგილზე მსოფლიოში) და ბიზნესის რეგულაციებისგან თავისუფლება (მე-2 ადგილზე მსოფლიოში), დანია მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზეა. ეკონომიკური თავისუფლების ყველაზე

მაღალი დონე ჰონკონგსა და სინგაპურშია, ყველაზე დაბალი კი – ჩრდილოეთ კორეაში (178-ე ადგილი), კუბასა (177-ე ადგილი) და ვენესუელაში (176-ე ადგილი).

საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის საჭიროა ყოველი ადამიანის ისეთ პირობებში ჩაყენება, რომ მას შეეძლოს განახორციელოს თავისი ეს სწრაფვა. სახელმწიფო ხელისუფლებამ მხოლოდ უნდა გაათავისუფლოს ეს ინტერესი და ეს სწრაფვა იმ წინააღმდეგობებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან მის განხორციელებას. სახელმწიფომ ადამიანს უნდა მისცეს თავისი სამეურნეო ეგოიზმის განხორციელების სრული თავისუფლება და არ ჩაერიოს მისი განხორციელების გზებსა და ხერხებში, თვითონ კი უნდა შემოიფარგლოს მინიმალური ამოცანებით - დაიცვას კერძო მეწარმეობა.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის შედეგების გათვალისწინება რამდენიმე მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი:

1. ხშირ შემთხვევაში, ინვესტორები სწორედ ასეთი ტიპის ინდექსების შედეგების საფუძველზე იღებენ ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტიციების დაბანდების გადაწყვეტილებას;

2. ინდექსის მრავალწლიანი გამოცდილება აჩვენებს, რომ მაღალი ეკონომიკური თავისუფლების მქონე ქვეყნები, როგორც წესი, არიან უფრო დემოკრატიულები, ხოლო მათი მოსახლეობა - უფრო მდიდარი, ჯანმრთელი და განათლებული;

3. ინდექსის გაცხადებული მიზანია გამოავლინოს სისუსტეები სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში, რათა მათ შეძლონ სახელმწიფო რესურსების ყველაზე საჭირო მიმართულებებით მიმართვა;

4. მიუხედავად ზოგადი დადებითი მაჩვენებლისა, საქართველოსთვის კვლავ რჩება გამოწვევად ფინანსური სექტორის თავისუფლებისა და კანონის უზენაესობის დაბალი დონე, კონკრეტულად კი საკუთრების უფლების დაუცველობა, კორუფციის დონე და სასამართლო ხელისუფლების არასაკმარისი დამოუკიდებლობა;

5. შესაბამისად, ხელისუფლების მიერ ამ მიმართულებებით რეფორმების განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისთვის, არამედ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის განვითარებისთვის და შესაბამისად საქართველოს მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის;

6. საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი ხანგრძლივი დროით, როცა ეკონომიკური სისტემა ინდივიდის არჩევანს სცემს პატივს და მასში მთავრობის ჩარევა მინიმუმამდე არის დაყვანილი. ეკონომიკური თავისუფლების პირობებში ინდივიდებს მეტი შესაძლებლობა აქვთ საკუთარი ყოველდღიური ცხოვრება დამოუკიდებლად გააკონტროლონ. ამდენად, ეკონომიკური თავისუფლება ხელს უწყობს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასაც;

7. საქართველო ისედაც დაბალი ტექნოლოგიების ქვეყანაა, რის გამოც პროდუქციის წარმოება ჩვენ უფრო ძვირი გვიჯდება, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებს. ჩვენი აზრით, ყველა ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ჩვენთვის ანტიდემპინგური კანონის ამოქმედება უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვანია. იმპორტული პროდუქტის ნაწილობრივი ჩანაცვლებაც რომ მოვახერხოთ, ამისთვის ანტიდემპინგური კანონის ამოქმედებაა საჭირო. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანონი ძალიან დაეხმარება ადგილობრივ წარმოებას.

ბიბლიოგრაფია:

ბლიაძე, მ. (თ. გ.). *გლობალური ინდექსი - გლობალური სამყაროს საზომები.* მოძიებულია 2018 წლის 04 ივნისს ვებგვერდიდან: http://mastsavlebeli.ge/uploads/Indeqsebi.pdf

ეკონომიკური თავისუფლება და საქართველო. (2010). *ტაბულა* (26), 20-21.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო მერვე ადგილზე ჩამოქვეითდა. (2017 წლის 29 სექტემბერი). *ტაბულა*, 9.

კვანჭილაშვილი, ე. (2012). საქართველოში ეკონომიკური თავისუფლება უარესდება. *ტაბულა* (116), 31.

საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით მსოფლიოში მე-8 ადგილზეა. (თ. გ.). მოძიებულია 2018 წლის 04 ივნისს ვებგვერდიდან: https://commersant.ge/?view=post&id=132335&lang_id=ge

ხიზანიშვილი, ვ. (2012). ეკონომიკური თავისუფლება. *თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 5*, გვ. 443-444.

2018 ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. მოძიებულია 2018 წლის 04 ივნისს ვებგვერდიდან: http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/heritage_2018_geo.pdf

Friedman, M. (1962). The Relation Between Economic Freedom and Political Freedom. In *Capitalism and Freedom* (p. 17). University of Chicago Press.

Mania Gogidze
Gori State Teaching University

PROBLEMS OF ECONOMIC FREEDOM IN GEORGIA

RESUME

Economic freedom contributes to the development of the country's economy and depends on the well-being of the population of each country. In an economically free society, everyone has the right to pursue his or her own ends at his or her own discretion and under free choice. The state does not interfere in its activities and choices the extent to which these conditions are met by approximately 180 countries, including Georgia, has been monitored annually by the International Heritage Foundation since 1995. Georgia's economic freedom index is changing every year.

For the benefit of the public, every human being needs to be placed in such a position that he or she can fulfill this aspiration. The state government should only release this interest and this aspiration from the obstacles that hinder its implementation. A person should be given complete freedom to exercise his or her economic selfishness and not interfere in the ways and means of doing so, and should limit himself to minimal tasks - protecting private entrepreneurship.

Keywords: Competition, Monopoly, Quality, Index, Corruption, Wealth, Income.

მერაბ ვანიშვილი, ნინო ვანიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფისკალური დეცენტრალიზაციის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოს თვითმმართველ ქალაქებში

საკვანძო სიტყვები: ტრანსფერები, გრანტები, გადასახადები, მოსაკრებლები, სატრანსფერო პოლიტიკა.

შესავალი: საქართველოში ადგილობრივი ფინანსების სრულყოფის თვალსაზრისით ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რომლებიც სხვადასხვაგვარად აისახა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე და ფისკალურ დეცენტრალიზაციაზე. დეცენტრალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი სტიმული იყო 2004 წლის ოქტომბერში საქართველოს მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ რატიფიკაცია, რითაც ხელისუფლებამ ევროპის საბჭოს წინაშე აიღო მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის გატარების ვალდებულება.

2010 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საბიუჯეტო სისტემის ფორმირების პრინციპებს და არეგულირებს საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების პროექტების მომზადების, განხილვის, დამტკიცების, ბიუჯეტის შესრულების, ანგარიშგებისა და კონტროლის წესებს, აგრეთვე საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების საბიუჯეტო ურთიერთობებსა და პასუხისმგებლობას. (საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი 2009) გარდა ამისა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც სიახლეს წარმოადგენდა თვითმმართველობისათვის, იყო ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური გათანაბრების პრინციპის გათვალისწინება, რაც გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულით აისახა კანონში. (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2009 წლის 30 დეკემბერი)

2011 წელს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია, რომელშიც მოცემულია საბიუჯეტო პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის პროგრამული ბიუჯეტის

შედგენისა და ანგარიშგების პროცესთან დაკავშირებულ საკითხები. (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, 2011 წლის 08 ივლისი) აღნიშნული მეთოდოლოგია განახლდა 2015 წელს, სადაც უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები, რომლებიც რეკომენდაციას უწევენ უშუალოდ მხარჯავ დაწესებულებებს შეიმუშაონ პროგრამები და ქვეპროგრამები, მოამზადონ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები, განსაზღვრონ მოსალოდნელი შუალედური და საბოლოო შედეგები და შესრულების შეფასების ინდიკატორები მათი საშუალოვადიანი გეგმებიდან, სექტორული სტრატეგიებიდან და ხელმისაწვდომი რესურსებიდან გამომდინარე.

2014 წლის ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა, დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო სახსრების განკარგვა, სახაზინო ფინანსური ოპერაციებისა და საბანკო ტრანზაქციების წარმოება, მუნიციპალიტეტის „საკუთარ უფლებამოსილებას" განეკუთვნება. (საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2014)

2015 წლის 1 იანვრიდან ერთიან ელექტრონულ სისტემაში მოექცა ყველა დონის ბიუჯეტი და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტი სრულად როგორც დაგეგმვის, ისე აღსრულების ეტაპზე, გარდა საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა. (საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა) აღსანიშნავია, რომ მათი ჩართვა დაგეგმილი იყო 2018 წელს, თუმცა, 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად, პარლამენტში შეტანილ იქნა საბიუჯეტო კოდექსში საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების ხაზინის ერთიანი ანგარიშის არეალში ჩართვას 2019 წლიდან, რაც დამტკიცდა კიდეც.

2016 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავდა საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგია, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სხვადასხვა შემოთავაზებული კაპიტალური ინვესტიციები თანმიმდევრულად და დადგინდეს პროექტების პრიორიტეტულობა სტრატეგიული დაგეგმვისა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში, როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიკის, ისე დარგობრივი და რეგიონული მიმართულებებით. (საქართველოს მთავრობა, 2016 წლის 22 აპრილი) ამავე წელს მომზადდა კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და მთელი რიგი რეგულაციები საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში.

ფისკალური დეცენტრალიზაციის მიმართულებით გაწეული საკანონმდებლო საქმიანობისა და ჩატარებული კვლევების მიუხედავად, საჭიროა გადაიხედოს თეორიული პოზიციები და მოხდეს შეჯამება შედეგზე ორიენტირებული საბიუჯეტო დაგეგმვის ექვსწლიანი პრაქტიკული გამოცდილებისა თვითმმართველ ქალაქებში, გამოვლინდეს რიგი დაბრკოლებები, რათა მოხდეს პრობლემების შესწავლა, ანალიზი და კონკრეტული ღონისძიებების დასახვა ფისკალური დეცენტრალიზაციის შემდგომი განმტკიცების მიმართულებით. ეს მოითხოვს აღნიშნულ პრობლემაზე სამეცნიერო კვლევების გაგრძელებასა და გაღრმავებას.

ლიტერატურის მიმოხილვა: დეცენტრალიზაციის დაგეგმვის საკითხებს ეძღვნება უამრავი უცხოელი და ქართველი მეცნიერის შრომა. ჩვენ მიერ მიმოხილული ლიტერატურით შევეცადეთ პასუხი გაგვეცა კითხვებზე იმის შესახებ, თუ საიდან მომდინარეობს სტატიაში დასმული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ, რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული დასმული პრობლემის გადასაჭრელად, რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს და რა ნაკლოვანებების აღმოფხვრას ითვალისწინებს წინამდებარე ნაშრომი.

ჩვენი კვლევის მიზნიდან გამომდინარე, უცხოენოვან ლიტერატურულ წყაროებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ორი სახელმძღვანელო:

1. Janet M. Kelly., William C. Rivenbark „Performance Budgeting for State and Local Government", 2015. - p. 243, SECOND EDITION. – პროგრამული ბიუჯეტირება წარმოდგენილია, როგორც ბიუჯეტის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პროცესი, რომელიც ხაზს უსვამს პროგრამების მართვას და საშუალებას იძლევა დაფინანსების შესახებ მმართველობითი გადაწყვეტილებები დაეფუძნოს ეფექტიანობას და პროდუქტიულობას. ასევე, განხილულია პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვის როლი და შეფასების სისტემები, ტრადიციული და პროგრამული ბიუჯეტირების პროცესი, პროგრამული ბიუჯეტის შესაძლებლობები, წარმატების ელემენტები და ნაკლოვანებები, სტრატეგიული დაგეგმვა, მოქალაქეთა ჩართულობა პროგრამების შეფასებაში და საჯაროობა, პროგრამული ბიუჯეტირების საერთაშორისო გამოცდილება, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობა და სხვ.

2. Marc Robinson, „Performance-based Budgeting: manual“, CLEAR Training Materials“, 2007. - p. 151. – განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საბიუჯეტო პროცესის საფუძვლები, ხარჯების პრიორიტეტიზაცია და პროგრამული ბიუჯეტირება, კავშირი პროგრამულ საბიუჯეტო დაფინანსებასა და მოსალოდნელ შედეგებს შორის, პროგრამის განხორციელებისა და ხარჯების კონტროლი, პროგრამული ბიუჯეტის შეფასების სისტემები, საშუალოვადიანი დაგეგმვა და პროგრამული ბიუჯეტირება, საჯარო ფინანსების მართვა, ეფექტიანობის აუდიტი და ა. შ.

ქართულენოვანი ლიტერატურული წყაროებიდან, ჩვენი კვლევის ინტერესების გათვალისწინებით, განსაკუთრებით გამოირჩევა:

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებული მოქალაქის გზამკვლევი - „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი“, რომელშიც ასახულია შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები: საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, საბიუჯეტო პროცესი და ძირითადი პრინციპები, საჯარო ფინანსების რეფორმის აღწერა, ძირითადი ფისკალური წესები საქართველოში, ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულების დოკუმენტი (BDD), სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები.

– საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ 2015 წელს გამოცემული უკეთესი პრაქტიკის სახელმძღვანელო - „შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირება“, რომელშიც წარმოდგენილია შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების არსი, საერთაშორისო (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კორეა და სხვ. ქვეყნები) გამოცდილების მოკლე მიმოხილვა, რეფორმის პროცესში სხვადასხვა ქვეყნების მიერ გამოყენებული მოდელები და მეთოდები. ასევე, განხილულია საჯარო ორგანიზაციების სტრატეგიული დაგეგმვისა და შედეგების/ეფექტიანობის შეფასების სისტემა, პროგრამის შეფასების მეთოდები, მიდგომები და ა. შ.

– პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფის (PMCG) მიერ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროექტის ფარგლებში „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის: სახელმწიფო ხარჯების სამოქალაქო მონიტორინგი საქართველოში” 2015 წელს მომზადებული გზამკვლევი - „საბიუჯეტო პოლიტიკის ფორმირების პროცესი და ბიუჯეტის ხარჯების მონიტორინგი“, რომელშიც მოკლედ არის აღწერილი საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავების მექანიზმი და სახელმწიფო ფინანსების მართვის სისტემა; ახსნილია ბიუჯეტის შედგენის საბაზისო დოკუმენტი - ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი; განხილულია საბიუჯეტო სისტემა, საბიუჯეტო პროცესი და ბიუჯეტის ძირითადი პრინციპები, საბიუჯეტო პროცესის მონიტორინგი და პროგრამული ბიუჯეტის მონიტორინგი; მოცემულია განვითარებული ქვეყნების ბიუჯეტის პრინციპების საუკეთესო გამოცდილება.

– ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ 2012 წელს მომზადებული გზამკვლევი - „ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური მენეჯმენტი“, სადაც მოცემულია ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ფორმირების და ბიუჯეტის ხარჯვის, ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაციის გამოყენებისა და ადგილობრივი შესყიდვების განხორციელების წესები, ასევე საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების ძირითადი პრინციპები.

ჩვენი კვლევის მიზნის რეალიზაციისათვის ფასდაუდებელია ისეთი ქართული საკანონმდებლო აქტებისა და კანონქვემდებარე დოკუმენტების როლი, როგორიცაა: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი; ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე”, რომელიც 2015 წელს განახლდა და უფრო დეტალურად გაიწერა ახალი რეგულაციები; საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის №191 დადგენილება „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“.

მთლიანობაში, მაღალ შეფასებას ვაძლევთ რა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ მიღებულ მეცნიერულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ შედეგებს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო რეფორმის გასაუმჯობესებლად საჭიროა ახალი მეთოდების ძიების გაგრძელება, რომლებიც შესაძლებლად აქცევენ საბიუჯეტო ხარჯების განხორციელების შედეგიანობას და, შესაბამისად, ფისკალური დეცენტრალიზაციის განმტკიცებას.

საკვლევ თემასთან დაკავშირებული თეორიულ-მეთოდოლოგიური დებულებების აქტუალობამ და სადისკუსიო ხასიათმა, აგრეთვე მათმა მაღალმა პრაქტიკულმა მნიშვნელობამ განსაზღვრა მოცემული კვლევის შესატყვისი მეთოდოლოგიისა და ინფორმაციული ბაზის შერჩევა.

მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგია ემყარება ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპს, სისტემურ მიდგომას, შედარებით ანალიზს, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებს, სტატისტიკური და ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზის ხერხებს. კვლევის პროცესში გამოყენებულია დაჯგუფების, შედარებისა და ანალოგიის მეთოდები.

კვლევის ინფორმაციული ბაზა მრავალფეროვანია და მოიცავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სტრუქტურების საინფორმაციო-ანალიტიკურ მასალებს; ქართველი და უცხოელი ავტორების მონოგრაფიებსა და სამეცნიერო სტატიებში, სასწავლო ლიტერატურასა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ მონაცემებს; ინტერნეტის ქსელის, საინფორმაციო და სარეიტინგო სააგენტოების რესურსებს; ავტორთა მიერ დამოუკიდებლად ჩატარებული კვლევის შედეგებს.

კვლევის შედეგები: კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სახელმწიფო ხელისუფლების მცდელობის მიუხედავად, ვერ გახდა შესაძლებელი ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშების მექანიზმის სრულყოფა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა თვითმმართველ ერთეულებში საბიუჯეტო პროცესის ორგანიზაციას. შესაბამისად, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზირება.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო შემოსულობები არის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა: (1) შემოსავლები; (2) არაფინანსური აქტივების კლება; (3) ფინანსური აქტივების კლება; (4) ვალდებულების ზრდა.

შემოსულობების პროგნოზირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგადასახადო შემოსავლების, გათანაბრებითი ტრანსფერისა და ადგილობრივი მოსაკრებლების პროგნოზირებას. რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლების და გათანაბრებითი ტრანსფერის პროგნოზირებას, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს[1] (საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი 2009, მუხლი 77), ხოლო სხვა შემოსულობების დაგეგმვა მთლიანად დამოკიდებულია თვითმმართველ ერთეულის მიერ მის პროგნოზირებაზე, ძირითადად სტატისტიკური მონაცემების, საკანონმდებლო ცვლილებებისა და არსებული სიტუაციის გაანალიზების საფუძველზე.

შემოსავლის მიღების ერთ-ერთ წყაროს ასევე წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები. იქედან გამომდინარე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა საჯარო სამართლის იურიდიული პირია, მას არ ეკრძალება ეკონომიკური საქმიანობა. გარდა ამისა, ეკონომიკური საქმიანობის წარმოების საფუძველს ისიც აძლევს, რომ მას გააჩნია უფლებამოსილება ადგილობრივი სერვისების მიწოდებისათვის დააფუძნოს იურიდიული პირი. მაგალითად, თუ ადგილობრივი თვითმმართველობა შექმნის განათების ან დასუფთავების სერვისის მიმწოდებელ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მას შეუძლია მოემსახუროს მუნიციპალიტეტსაც და შეასრულოს კერძო დაკვეთები. წლის ბოლოს მიღებული მოგება კი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში უნდა ჩაირიცხოს, რადგანაც იგი არის აღნიშნული იურიდიული პირის დამფუძნებელი. ადგილობრივ თვითმმართველობას შეუძლია, ასევე, ჭარბი ფულადი სახსრები განათავსოს მომსახურე ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე, რომელსაც ბანკის მხრიდან დაერიცხება პროცენტი. აღნიშნული სახის შემოსავლებიც ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება და ჩაირიცხება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

შემოსავლების დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს გრანტის ან სესხის აღების შესაძლებლობა თვითმმართველი ერთეულებისათვის. თუმცა, ამ შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის თავისუფლება დამატებითი დაფინანსების წყაროების მოზიდვის შესაძლებლობების მხრივ შეზღუდულია. თვითმმართველ ერთეულს შეუძლია აიღოს სესხი მხოლოდ საქართველოს მთავრობისგან ან საქართველოს მთავრობის ნებართვით მხოლოდ კაპიტალური ინვესტიციების განსახორციელებლად კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ მისაღები დაგეგმილი საკუთარი შემოსავლების მობილიზების ტენდენციის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობას მიეცა უფლება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ტრანსფერის რესურსი გამოიყენოს მუნიციპალიტეტებისათვის მოკლევადიანი სესხის გასაცემად, მაგრამ ამ შემთხვევაში სესხით სარგებლობის ვადა არ უნდა სცილდებოდეს 2018 წლის 25 დეკემბერს.

[1] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონმდებლობით დაუშვებელია მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების დაგეგმვა მისთვის მიწოდებულ საპროგნოზო მაჩვენებლებზე მეტი ოდენობით, თუმცა კანონმდებლობა გამონაკლისსაც უშვებს, რაც გულისხმობს დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების გეგმის გაზრდის შესაძლებლობას მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის განხილვისას ასევე აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს გრანტის ან სესხის აღების შესაძლებლობა თვითმმართველი ერთეულებისათვის. თუმცა, ამ შემთხვევაში თვითმმართველი ერთეულის თავისუფლება დამატებითი დაფინანსების წყაროების მოზიდვის შესაძლებლობების მხრივ შეზღუდულია. თვითმმართველ ერთეულს შეუძლია აიღოს სესხი მხოლოდ საქართველოს მთავრობისგან ან საქართველოს მთავრობის ნებართვით მხოლოდ არაფინანსური აქტივების ზრდისათვის კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით. (საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, 2009, მუხლი 100)

გარდა ამისა, ბიუჯეტის შემოსულობების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს არაფინანსური აქტივების კლებიდან (პრივატიზების პროცესიდან) მიღებული სახსრები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 106-ე და 121-ე მუხლებით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების ბიუჯეტში გასათვალისწინებლად, საჭიროა მომდევნო წელს დაგეგმილი გასაყიდი ქონების მიახლოებითი საბაზრო ღირებულება და დროებით სარგებლობაში გასაცემი ქონებიდან მისაღები მიახლოებითი შემოსავლის მოცემულობა.

აღსანიშნავია, რომ გასული წლების მსგავსად, 2018 წელსაც თვითმმართველობებში დაგეგმილი არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობების დაახლოებით 90% თვითმმართველ ქალაქებზე, განსაკუთრებით კი თბილისსა და ბათუმზე მოდის **(ცხრილი 1).**

ცხრილი 1: არაფინანსური აქტივების კლება (ათასი ლარი)

თვითმმართველი ქალაქი	**არაფინანსური აქტივების კლება** 2017 წლის ფაქტი	**არაფინანსური აქტივების კლება** 2018 წლის გეგმა
თბილისი	66 194,9	50 000,0
ბათუმი	13 139,7	10 900,0
ქუთაისი	6 321,9	3 250,0
რუსთავი	1 573,3	800,0
ფოთი	184,8	400,0

საინტერესოდ მიგვაჩნია თვითმმართველი ქალაქების ფინანსების შედარება ბოლო 3 წლის განმავლობაში და იმის დადგენა, თუ ფინანსური რესურსების თვალსაზრისით, რა განსხვავებაა თვითმმართველ ქალაქებს შორის. მოქმედი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსავლები შედგება შემდეგი სამი კატეგორიისაგან: გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები. ამ მაჩვენებლების მიხედვით, თვითმმართველი ქალაქების მონაცემებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა **მე-2 ცხრილი.**

ცხრილი 2: თვითმმართველი ქალაქების 2018 წლის ბიუჯეტების გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები (ათასი ლარი)

თვითმმართველი ქალაქი	**გადასახადი**	**გრანტები**	**სხვა შემოსავლები**
თბილისი	250 000,0	389 906,0	170 779,7
ბათუმი	29 900,0	73 575,8	40 417,2
ქუთაისი	12 600,0	33 893,2	9 312,0
რუსთავი	13 600,0	24 437,5	5 344,6
ფოთი	10 500,0	5 952,7	3 460,2

თვითმმართველი ქალაქების მიერ მისაღები შემოსავლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2018 წელს, გასული წლების მსგავსად, ძირითადი შემოსავალი ქალაქ თბილისზე მოდის 75% (2015 წ. - 73%, 2016 წ. - 70%, 2017 წ. - 64%).

აღსანიშნავია ისიც, რომ 2018 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის გათანაბრებითი ტრანსფერის სახით სულ გათვალისწინებულია 705 080,0 ათასი ლარი, რაც 2017 წლის მონაცემებთან შედარებით 50 317,7 ათასი ლარით მეტია (8 %-იანი ზრდა), ხოლო 2016 წლის მონაცემებთან შედარებით 105 748,0 ათასი ლარით მეტია (18%-იანი ზრდა). ამასთან,

გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის უდიდესი ნაწილი 61% (427 840,4 ათასი ლარი) ნაწილდება 5 თვითმმართველ ქალაქზე, დარჩენილი 39% (277 239,6 ათასი ლარი) - დანარჩენ 64 მუნიციპალიტეტზე.

მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველი ქალაქებისათვის 2018 წელს გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა მთლიანობაში შემცირდა 3%-ით, მაინც შეინიშნება გათანაბრებითი ტრანსფერის ზრდა თვითმმართველ ქალაქებში, რაც გამოწვეულია გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ფორმულის ცვლილებითა და გამოანგარიშებული გათანაბრებითი ტრანსფერისა და საგადასახადო შემოსავლის ჯამური საპროგნოზო მაჩვენებლის 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე ნაკლებობით. (საქართველოს კანონი საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2017, მუხლი 16) შესაბამისად, გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობების ზრდა გვაქვს თვითმმართველ ქალაქებში.

განსხვავებულია გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა თვითმმართველ ქალაქებში. მაგალითად, 2017 წელს თვითმმართველ ქალაქებზე გადაცემული გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობაში ყველაზე დიდი წილი (75,4%) ქ. თბილისზე მოდის, 24,6% კი დანარჩენ თვითმმართველ ქალაქზე ნაწილდება. ყველაზე მცირე წილი - 2,4 % - თვითმმართველ ქალაქ რუსთავზე მოდის, ხოლო თვითმმართველ ქალაქ ფოთს საერთოდ არ მიუღია ტრანსფერი.

ბიუჯეტების შემოსავლების სტრუქტურის ანალიზი გვაძლევს ნათელ სურათს იმაზე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხი არ გაზრდილა. გრანტებს თვითმმართველი ქალაქების 2015-2018 წლების ბიუჯეტების შემოსულობის 30-60% უკავია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ადგილობრივი ბიუჯეტების სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებულების ხარისხზე მეტყველებს **(ნახაზი 1).**



ნახაზი 1: თვითმმართველი ქალაქების ბიჯეტების გრანტების მოცულობა და წილი მთლიან შემოსულობებში 2015-2018 წლების მიხედვით (ათასი ლარი)

განსხვავებულია გრანტების მოცულობა თვითმმართველ ქალაქებში. მაგალითად, 2017 წელს თვითმმართველ ქალაქებზე გაცემული გრანტების მოცულობაში ყველაზე დიდი წილი (63,9%) თბილისზე მოდის, 36,1% კი დანარჩენ თვითმმართველ ქალაქებზე ნაწილდება. ყველაზე მცირე წილი - 0,8% - თვითმმართველ ქალაქ ფოთზე მოდის **(ნახაზი 2).**



ნახაზი 2: თვითმმართველ ქალაქებზე 2017 წელს გაცემული გრანტები (წილი თვითმმართველ ქალაქებზე გაცემული გრანტის საერთო მოცულობაში)

მნიშვნელოვანი დისბალანსი შეინიშნება თვითმმართველი ქალაქების ერთ სულ მოსახლეზე გაცემული გრანტების მოცულობაში. ასე, მაგალითად, 2017 წელს მისი ყველაზე დიდი წილი ბათუმზე და თბილისზე მოდის, რაც, ძირითადად დიდი მოცულობის გათანაბრებითი, კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერის გადარიცხვის შედეგია. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს ფოთს. ეს ლოგიკურიცაა, რამდენადაც ფოთს მიღებული აქვს მხოლოდ მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერი, რომელიც გამოიყენება დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად და კონკრეტული მიზნობრიობით **(ნახაზი 3).**



ნახაზი 3: გრანტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს თვითმმართველ ქალაქებში 2017 წელს (ლარი)

მნიშვნელოვანი დისბალანსი შეინიშნება თვითმმართველი ქალაქების ერთ სულ მოსახლეზე გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობაშიც. 2018 წელს, ყველაზე დიდი წილი თბილისზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე წილი - ფოთზე **(ნახაზი 4).**



ნახაზი 4: გათანაბრებითი ტრანსფერის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე საქართველოს თვითმმართველ ქალაქებში 2018 წელს (ლარი)

მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი შემოსულობების დიდ ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გათანაბრებითი ტრანსფერი, მაინც მნიშვნელოვნად გვესახება საკუთარი შემოსავლების სხვა წყაროების (საგადასახადო შემოსავლები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) რეალისტურად დაგეგმვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თვითმმართველმა ერთეულებმა ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობების ზრდის მიზნით უნდა იმუშაონ ახალი სახის შემოსავლების შემოღებაზე, რაც დღევანდელ პირობებში სავსებით შესაძლებელია.

ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, თვითმმართველ ქალაქებში შემოსავლების ზრდისათვის შეთავაზებულია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

1. საკანონმდებლო სახის ინიციატივა, რომელიც შეეხება საქართველოს კანონებში - „მოსაკრებელების სისტემის საფუძვლების შესახებ“, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“ - მოსაკრებლების სახეების (ტაქსების და ტურისტული მოსაკრებლების) დამატებას, კერძოდ:

- ❑ ტაქსების მოსაკრებელი დაწესდეს პირველ ეტაპზე თვითმმართველი ქალაქების დონეზე, ხოლო შემდგომ - მუნიციპალიტეტებში. საჭიროა განისაზღვროს ტაქსების მოსაკრებელიდან მისაღები შემოსავალი თითოეულ მანქანაზე თვეში მინიმუმ 10 ლარი ან მაქსიმუმ 30 ლარი. თუ ვივარაუდებთ, დაახლოებით 10 000 მანქანას თვეში, რაც სავსებით რეალურია, წლიურად დამატებით მინიმუმ 1,2 მლნ ლარის და მაქსიმუმ 3,6 მლნ ლარის შემოსავლის მიღება იქნება შესაძლებელი.
- ❑ ტურისტული მოსაკრებელის დაწესება. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად 3,5 მლნ-მდე ტურისტი შემოდის (საქართველოში დაჰყო 24 საათი და მეტი). თუ ავიღებთ მინიმალურ ტარიფს 1 ლარს ერთ ტურისტზე (მიუხედავად დღეების რაოდენობისა), დამატებით 3,5 მლნ-მდე შემოსავალს გულისხმობს, ხოლო საშუალოდ 4 ლარის დაწესების შემთხვევაში დამატებით 14 მლნ ლარია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თვითმმართველობებს უფრო მეტად დააკმაყოფილონ საზოგადოებრივი საჭიროებები, განახორციელონ ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტები.

2. თვითმმართველი ქალაქების ნორმატიულ აქტებში ცვლილებები, რომელიც ეხება 100 000 ლარზე მეტი შემოსავლების მქონე ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის განაკვეთებს. დღეს არსებული კანონმდებლობით, თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები განსაზღვრავენ ქონების გადასახადის განაკვეთებს საგადასახადო კოდექსით დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში. თვითმმართველი ქალაქების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მიღებული შესაბამისი აქტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ქონების გადასახადის განაკვეთი დადგენილია 100 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირებისათვის 0,8 % (საგადასახადო კოდექსით კი მაქსიმალური განაკვეთი შეადგენს 1%-ს). თუ თვითმმართველი ქალაქების მიხედვით არსებულ განაკვეთს გავზრდით 0,2 %-ით (ფიზიკურ პირთა ქონება დაიბეგრება მაქსიმალური განაკვეთით 1%), დამატებითი შემოსავლების მიღებაც იქნება შესაძლებელი. ასე, მაგალითად, სახელმწიფო ხაზინის მონაცემებით, 2017 წელს თვითმმართველ ერთეულებში ფიზიკური პირების მიერ გადახდილმა ქონების გადასახადმა შეადგინა 45,8 მლნ ლარი (მათ შორის 5 თვითმმართველ ქალაქში 22,8 მლნ ლარი). თუ ვივარაუდებთ, რომ 100 000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირების მიერ გადახდილი თანხა საშუალოდ 20%-30% იქნება, ეს დამატებით 0,9 მლნ ლარიდან - 1,4 მლნ ლარამდე იქნება მხოლოდ თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაში, ხოლო მთლიანად მუნიციპალიტეტებისათვის მინიმუმ 1,8 მლნ ლარი და მაქსიმუმ 2,7 მლნ ლარის შემოსავალს მოიტანს, რაც თვითმმართველობების მიხედვით, ბუნებრივია, განსხვავებული იქნება.

3. მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციას. დღეს არსებული კანონმდებლობით, ფინანსთა მინისტრს აქვს მინიჭებული ერთპიროვნული უფლებამოსილება დაამტკიცოს გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქცია. ეს ნიშნავს, რომ ფინანსთა მინისტრს შეუძლია მის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის ფარგლებში, ფორმულაში გამოსაყენებელი სხვადასხვა კოეფიციენტების შემოღებითა და მათი მოცულობების ცვლილებით, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გათანაბრებითი ტრანსფერების მოცულობაზე. შესაბამისად, გათანაბრებითი ტრანსფერის სამართლიანი განაწილების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კვლავ რჩება მისი გაანგარიშების წესის შეზღუდული საკანონმდებლო რეგლამენტაცია.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ქვეყანაში ეფექტიანი სატრანსფერო პოლიტიკის გატარება უნდა წარმოადგენდეს, რამაც უნდა უზრუნველყოს ცალკეულ რეგიონებს შორის ფინანსური რესურსების სამართლიანი გადანაწილება, კონკურენცია და შეჯიბრებითობა.

გათანაბრებითი ტრანსფერის სამართლიან გაანგარიშებასთან ერთად, სერიოზულ პრობლემად რჩება სხვა შემოსავლების მობილიზებაც, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს, 2016 წელთან შედარებით სხვა შემოსავლები (საკანონმდებლო ცვლილების შედეგად) 48,3 მლნ ლარით (25%) გაიზარდა, 2016 წელს დაწყებული სხვა შემოსავლების კლების ტენდენცია არსებითად არ შეცვლილა. 2017 წელთან შედარებით, სხვა შემოსავლებმა 2018 წელს 6%-ით იკლო (13,6 მლნ ლარი). გამომდინარე აქედან, ადგილობრივმა მთავრობამ კარგად უნდა გაანალიზოს სხვა შემოსავლების შემცირების ტენდენციის გაგრძელების მიზეზები და დასახოს კონკრეტული გზები მათ გასაზრდელად.

დასკვნები: ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავებულია მითითებები თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვის კუთხით გასატარებელი ღონისძიებების სწორად და ეფექტიანად წარმართვისათვის. კერძოდ, გამოიკვეთა, რომ თვითმმართველი ქალაქების ბიუჯეტებისთვის მეტი ფინანსური რესურსის მოსაძიებლად აუცილებელია შემოსავლების დამატებითი წყაროების გაჩენა. სხვა ღონისძიებებთან ერთად, შეთავაზებულია ტურისტული და ტაქსების მოსაკრებლების დაწესება, რაც უზრუნველყოფს მათ წინაშე დასმული ამოცანების სრულყოფილად განხორციელებას.

დადგენილია, რომ სატრანსფერო პოლიტიკა, მიუხედავად განხორციელებული მთელი რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, მაინც ვერ იძლევა ტრანსფერისათვის დაკისრებული ძირითადი მიზნების ეფექტიანად მიღწევის საშუალებას. ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ეფექტიანი სატრანსფერო პოლიტიკის გატარება და ტრანსფერის განაწილებისას სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ცალკეულ რეგიონებს შორის ფინანსური რესურსების სამართლიანი გადანაწილება, კონკურენცია და შეჯიბრებითობა. ასევე, რეგულარულად უნდა გადაისინჯოს გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე ტრანსფერის გასაანგარიშებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გათანაბრების სამართლიანი სისტემის შექმნა.

დასაბუთებულია, რომ ბიუჯეტის დაგეგმვისას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ბიუჯეტში მობილიზებული ფინანსური რესურსების, ცალკეულ დარგებსა და სფეროებს შორის ოპტიმალური გადანაწილება წარმოადგენს, რაც მიზნად ისახავს შეზღუდული ფინანსური რესურსების მაქსიმალურად რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენებას. ამ მიმართულებით მიზანშეწონილია განხორციელდეს თვითმმართველი ერთეულების მიერ გარკვეული პრიორიტეტების განსაზღვრა და შემდგომ ამ პრიორიტეტების მიხედვით, საბიუჯეტო შემოსავლების განაწილება-გადანაწილება, რამდენადაც სწორი დაგეგმვა განაპირობებს არსებული პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენებას და რეალური შედეგების მიღწევას.

ბიბლიოგრაფია:

საქართველოს კანონი საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ 2017. მოძიებულია 2018 წლის 30 ივლისს ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3938064?publication=3

საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი 2009. მოძიებულია 2018 წლის 30 ივლისს ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=42

საქართველოს მთავრობა. (2016 წლის 22 აპრილი). *საქართველოს მთავრობის დადგენილება „საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“* (№191). მოძიებულია 2018 წლის 30 ივლისს ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3265745?publication=0

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 2014. მოძიებულია 2018 წლის 30 ივლისს ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა. მოძიებულია 2018 წლის 30 ივლისს ვებგვერდიდან: https://www.etreasury.ge

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2009 წლის 30 დეკემბერი). *საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“* (#904). მოძიებულია 2018 წლის 30 ივლისს ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/88390?publication=0

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2011 წლის 08 ივლისი). *საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება "პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე".* (#385) მოძიებულია 2018 წლის 30 ივლისს ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1400751?publication=0

Merab Vanishvili, Nino Vanishvili
Georgian Technical University

FISCAL DECENTRALIZATION CHALLENGES AND PERSPECTIVES IN THE SELF-GOVERNING CITIES OF GEORGIA

RESUME

In the article, based on the latest literary sources and factual data, there is an important issue of financial science and economic life, such as challenges and perspectives of fiscal decentralization in Georgian self-governing cities.

Based on the consideration of existing structure of budgetary revenues of self-governing cities, it is established that self-governing cities are dependent on financial affairs on the central government. It is underscored that self-governing cities should regularly work on the introduction of new types of revenue, which will significantly increase their budget revenues. This will, in turn, give local authorities the opportunity to implement important projects.

It is justified that one of the most important tasks of the state government is to implement effective transparency policy in the country, which should ensure fair distribution, competitiveness and competitiveness between separate regions.

Keywords: Transfers, Grants, Taxes, Fees, Transfer policy.

ნინო ლიპარტელიანი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ლურჯი ოკეანეები ქართულ ბიზნესში

საკვანძო სიტყვები: სტრატეგია, მენეჯმენტი, ფინანსები, კონკურენცია, ფასეულობა, ინოვაცია, სეგმენტი, ფოკუსირება.

შესავალი: კომპანიების უმეტესობის სტრატეგიას კონკურენცია წარმართავს. თუმცა ლურჯი ოკეანის სტრატეგიამ ცხადყო, რომ კონკურენციაზე ფოკუსირება კომპანიებს წითელი ოკეანის ტყვეობაში აქცევს. ამგვარი ხედვა სტრატეგიის ცენტრში კლიენტს კი არა, უშუალოდ კონკურენციას აყენებს. შედეგად კომპანიების ძირითადი დრო და ყურადღება მეტოქეთა ბენჩმარკინგსა თუ მათი სტრატეგიული სვლების საპასუხო სვლებზე იხარჯება და არა იმის გააზრებაზე, როგორ უზრუნველყოს ორგანიზაციამ ფასეულობის მკვეთრი ზრდა მყიდველისათვის, რაც სულაც არაა ერთი და იგივე. სტრატეგიის ძირითადი იდეის მიხედვით კომპანიამ ყურადღება მეტოქეობიდან ახალი საბაზრო სივრცის შექმნაზე უნდა

გადაიტანოს და ამგვარად, კონკურენცია არააქტუალური გახადოს. „ლურჯი ოკეანის სტრატეგია“ გვასწავლის: ყურადღებას ნუ აქცევთ კონკურენციას, განაახლეთ ფასეულობები და დაე თავად კონკურენტებმა იდარდონ თქვენზე. ახალი საბაზრო სივრცეები მუდმივად იქმნება და ადვილად იცვლება ადამიანთა წარმოსახვის მიხედვით. სტრატეგიული კრეატიულობა შეიძლება სისტემატურად წარმოიშვას, რომელიც ფასეულობის ინოვაციას წარმოშობს და ახალ საბაზრო სივრცეებს ქმნის.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

2005 წელს ორმა პროფესიონალმა, ჩან კიმმა, რომელიც სტრატეგიებისა და საერთაშორისო მენეჯმენტის პროფესორია საფრანგეთში, აქტიურად თანამშრომლობს ევროკომისიასთან, არის მსოფლიოში ერთ-ერთ ცნობილი ბიზნეს-კონსულტანტი და რენე მობორნმა, რომელიც სტრატეგიებისა და საერთაშორისო მენეჯმენტის სპეციალისტია, დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის წევრია, არის არაერთი სტატიის ავტორი საერთაშორისო კორპორაციების მენეჯმენტსა და კონკურენტუნარიანობაზე, მსოფლიო საზოგადოებას შესთავაზეს ბრწყინვალე სამეცნიერო ნაშრომი „ლურჯი ოკეანის სტრატეგია“, სადაც საუბარია იმაზე, თუ როგორ შევქმნათ მეტოქეობისაგან თავისუფალი საბაზრო სივრცე და როგორ გავხადოთ კონკურენცია არააქტუალური. „ლურჯი ოკეანის სტრატეგია“ მსოფლიოს 40 ენაზეა თარგმნილი. სტრატეგიის შემუშავებისას წიგნის ავტორებმა 15 წლის განმავლობაში შეისწავლეს 120 წლის განმავლობაში კომპანიების მიერ გამოყენებული 150 წარმატებული სტრატეგია 30 სხვადასხვა დარგში. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ისტორიულად მსოფლიო მასშტაბის კომპანიები აშშ-ში, ევროპასა და იაპონიაში იქმნებოდა, მაგრამ ეს მდგომარეობა წარმოუდგენელი სისწრაფით შეიცვალა. ბოლო 20 წლის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბის ჩინური კომპანიების რაოდენობა გაოცმაგდა, ინდურისა 8-ჯერ გაიზარდა, ლათინურ-ამერიკულისა 2-ჯერ. ამ კომპანიებმა კონკურენტულ ბაზარზე გადასარჩენად კრეატიულად აზროვნება და ფასეული ინოვაციების შექმნა შეძლეს.

„ლურჯი ოკეანის სტრატეგიას ერთადერთი მიზანი აქვს: საშუალება მისცეს ორგანიზაციას (დიდსაც და მცირესაც, ახალბედასაც და გამოცდილსაც), მაქსიმალური შესაძლებლობებით და მინიმალური რისკით დაძლიოს ლურჯი ოკეანის შექმნის თანმდევი სირთულეები. სტრატეგიულ აზროვნებაში ცენტრალური ადგილი კონკურენციას არ უნდა ეკავოს. კომპანიების უმეტესობის სტრატეგიას კონკურენცია წარმართავს. თუმცა ლურჯი ოკეანის სტრატეგიამ ცხადყო, რომ კონკურენციაზე ფოკუსირება კომპანიებს წითელი ოკეანის ტყვეობაში აქცევს. ამგვარი ხედვა სტრატეგიის ცენტრში კლიენტს კი არა, უშუალოდ კონკურენციას აყენებს. შედეგად კომპანიების ძირითადი დრო და ყურადღება მეტოქეთა ბენჩმარკინგსა თუ მათი სტრატეგიული სვლების საპასუხო სვლებზე იხარჯება და არა იმის გააზრებაზე, როგორ უზრუნველყოს ორგანიზაციამ ფასეულობის მკვეთრი ზრდა მყიდველისათვის, რაც სულაც არაა ერთი და იგივე. სტრატეგიის ძირითადი იდეის მიხედვით კომპანიამ ყურადღება მეტოქეობიდან ახალი საბაზრო სივრცის შექმნაზე უნდა გადაიტანოს და ამგვარად, კონკურენცია არააქტუალური გახადოს. „ლურჯი ოკეანის სტრატეგია“ გვასწავლის: ყურადღებას ნუ აქცევთ კონკურენციას, განაახლეთ ფასეულობები და დაე თავად კონკურენტებმა იდარდონ თქვენზე. ახალი საბაზრო სივრცეები მუდმივად იქმნება და ადვილად იცვლება ადამიანთა წარმოსახვის მიხედვით. სტრატეგიული კრეატიულობა შეიძლება სისტემატურად წარმოიშვას, რომელიც ფასეულობის ინოვაციას წარმოშობს და ახალ საბაზრო სივრცეებს ქმნის.“ (Chan Kim & Mauborgne, 2005, p. 9-12)

ავტორების აზრით წითელ ოკეანეებში ისეთი ცურვა უნდა იცოდე, რომ კონკურენტები ვერ გეწეოდნენ. წითელი ოკეანეები არასოდეს დაკარგავენ მნიშვნელობას და ყოველთვის საქმიანი ცხოვრების მოვლენად დარჩებიან. კომპანიებმა უნდა გააღწიონ კონკურენციის ჩარჩოებიდან, ახალი მოგებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობების მისაღებად მათ ლურჯი ოკეანეებიც უნდა შექმნან. „სამწუხაროდ ლურჯი ოკეანეების რუქები პრაქტიკულად არ არსებობს. უკანასკნელ წლებში შემუშავებული ყველა სტრატეგიული მიდგომა ძირითადად წითელ ოკეანეებში არსებულ, კონკურენციაზე ორიენტირებულ სტრატეგიებს ეფუძნებოდა. ამიტომ შესაბამისი ანალიტიკური ინსტრუმენტებისა და რისკების ეფექტიანი მართვის საგანგებოდ შემუშავებული პრინციპების გარეშე ლურჯი ოკეანეების შექმნა მენეჯერებისათვის მხოლოდ ოცნებად და უაღრესად სახიფათო სტრატეგიად რჩება.“ (Chan Kim & Mauborgne, 2005, p. 25)

ახალი ბაზრის შექმნა უდიდეს სარგებელს სთავაზობს კომპანიას. მართლაც, უფრო მაღალი მოგებისა და საბოლოოდ, მდგრადი ზრდის მიღწევასთან ერთად „ლურჯი ოკეანის სტრატეგია“ კომპანიას როგორც ჩვენთვის, ასევე კლიენტებისთვის მაღალი ღირებულებების შექმნის შესაძლებლობას მისცემს. ბაზარზე ღირებული ინოვაციის შესვლით კომპანია შეძლებს მომხმარებელს შესთავაზოს ერთდროულად დაბალხარჯიანი და განსხვავებული პროდუქტები, ასევე მომსახურება, რომელიც იმ დროისთვის

ბაზარზე ხელმისაწვდომ პროდუქტებთან და მომსახურებასთან შედარებით უპირატესი იქნება. ამგვარად, არ გვიწევს ტრადიციული არჩევანის გაკეთება თვითღირებულებასა და დიფერენციაციას შორის, რაც ჩვეულებრივ უწევთ კომპანიებს კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. „ის ასევე შესაძლებლობას მოგვცემს განვსაზღვროთ ახალი კლიენტის მოთხოვნა და არსებული ბაზრებიდან შემხვედრი კონკურენცია არარელევანტური გავხადოთ. თქვენი კომპანია შეძლებს საქმიანობა აწარმოოს ახალ ბაზარზე ლიდერის პოზიციით ისეთი ბიზნესმოდელის წყალობით, რომლის იმიტირებაც ჩვენს კონკურენტებს არ შეუძლიათ. დაბოლოს, ეს პოზიცია, ჩვენი ფასეული პროდუქტები და პროცესები ჩვენი კომპანიისთვის უზრუნველყოფს პოზიტიურ რეპუტაციას და სარგებელს მოგვიტანს.“ (საქართველოს ბანკი: ბიზნეს ჰაბი)

ავტორების აზრით ტერმინი „ლურჯი ოკეანე“ საკმაოდ ახალია, მაგრამ ასეთი ოკეანეები ყოველთვის არსებობდა. ისინი ძველი და ამჟამინდელი საქმიანი სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ. ისინი გვეუბნებიან, რომ გადავხედოთ ასოცი წლის წინანდელ მსოფლიოს და ჰკითხეთ საკუთარ თავს: ინდუსტრიის რამდენი დარგი არსებობს ამჟამად, რომელთა შესახებაც მაშინ არავინ არაფერი იცოდა. ფაქტია, რომ ინდუსტრიის დარგები გამუდმებით ვითარდება და ერთ ადგილას არასოდეს ჩერდება, მათი მუშაობა სულ უფრო უმჯობესდება, ბაზრები იზრდება, მოთამაშეები კი მოდიან და მიდიან. ისტორია არაორაზროვნად გვასწავლის, რომ ჩვენ გვაქვს ახალი დარგების შექმნისა თუ უკვე არსებული დარგების განახლების სრულიად შეუფასებელი შესაძლებლობები.

ნაშრომის გაცნობის შემდეგ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე მითითება სტრატეგიის სწორად დანერგვისათვის:

- „გამონახეთ ახალი ფასეულობის შექმნის შესაძლებლობა თქვენი კომპანიისთვის შეისწავლეთ თქვენი დარგის სპეციფიკა და გააანალიზეთ ძირითადი ფაქტორები, რომლებიც შესაძლებელია და უნდა დადგეს დარგის ამჟამად მოქმედ სტანდარტებზე მაღლა. შეასრულეთ იგივე სამუშაო ახალ დარგობრივ ფაქტორებთან ერთად. დაბოლოს, დააიდენტიფიცირეთ ის ფაქტორები, რომლებიც შეიძლება შესუსტდეს ან აღმოიფხვრას, რადგან მათი არსებობა განპირობებულია მხოლოდ დარგში არსებული კონკურენციით;
- გადახედეთ შესყიდვებსა და თქვენს მომხმარებლებთან გამოცდილების მთლიან პროცესს: ეს დაგეხმარებათ თქვენს სფეროს ახალი პერსპექტივით შეხედოთ და ამგვარად თქვენი ასპარეზის ფარგლები შეცვალოთ;
- იყავით ფოკუსირებული საერთო სურათზე: არ ჩაუღრმავდეთ თქვენი დარგის ანალიზს რიცხვებითა და სტატისტიკით. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ რის მიღწევასაც თქვენ ცდილობთ, მეტი არაფერია, რაც მეტად ფასეული პროდუქტების შეთავაზება მომხმარებლებისთვის, რასაც უფრო ეფექტიანი პროცესების საშუალებით შეძლებთ. იყავით ფოკუსირებული იმის განსაზღვრაზე, თუ რა სჭირდებათ და სურთ რეალურად თქვენს მომხმარებლებს და როგორ აპირებთ მათთვის აღნიშნულის მიწოდებას.“ (საქართველოს ბანკი: ბიზნეს ჰაბი)

„ლურჯი ოკეანეების“ შექმნის სფეროში გამარჯვებულებსა და ხელმოცარულებს შორის უმთავრესი განსხვავება სტრატეგიულ მიდგომაშია. წითელ ოკეანეებში ჩარჩენილი კომპანიები ტრადიციულ სტრატეგიას მისდევენ, ლამობენ კონკურენტების დამარცხებას და ამისათვის, დარგში დამკვიდრებული წესების თანახმად თავდაცვის მოხერხებული პოზიციის დაკავებას ცდილობენ. ლურჯი ოკეანეების შემქმნელები კი სულაც არ ცდილობენ კონკურენტებზე სწორებას. ამის ნაცვლად მათ თავიანთი ქმედებები სულ სხვა სტრატეგიულ ლოგიკად დაუქვემდებარეს, რომელსაც ფასეულობის ინოვაციას ვუწოდებთ. ფასეულობის ინოვაცია ლურჯი ოკეანის სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ მიდგომას ფასეულობის ინოვაციას იმიტომ ვუწოდებთ, რომ ჩვენ სრულიად არასაჭიროს ვხდით კონკურენციას და მყიდველისა და თავად კომპანიისათვის პროდუქტის ფასეულობის მკვეთრად გაზრდით ახალ, კონკურენციისაგან თავისუფალ საბაზრო სივრცეს ვპოულობთ.“ (Chan Kim & Mauborgne, 2005, pp. 33-34)

სწორედ „ლურჯი ოკეანის სტრატეგია“ იქცა იდეის რეალიზაციად საქართველოში სტარტაპების ხელშეწყობის პროგრამისათვის, ეს არის შესაძლებლობა, იქნება ეს სახელმწიფო პროგრამები თუ კერძო კომპანიების ინტერესები, დაეხმარონ და ხელი შეუწყონ ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას. შესაბამისად საქართველოში სტარტაპების მიმართ ინტერესი სულ უფრო და უფრო იზრდება, თუმცა საზოგადოების მეტად ინფორმირებისთვის საჭიროა ისეთი შეხვედრების ორგანიზება, სადაც დამწყებ სტარტაპერებსა და პროგრამით დაინტერესებულ პირებს ექნებათ საშუალება მიიღონ მეტი ინფორმაცია, გაიზიარონ წარმატებული სტარტაპერების გამოცდილება, გაიგონ, როგორ წამოიწყონ ან მეტად განავითარონ უკვე არსებული საკუთარი ბიზნესი. „პროექტი "ლურჯი ოკეანე" უკვე მესამე წელია აქტიურად უჭერს მხარს საქართველოში ბიზნესგანათლების ამაღლებას და ამისათვის ბიზნეს თემებით დაინტერესებულ ადამიანებს ბიზნესლიტერატურასთან ერთად სპეციალურ ღონისძიებებსაც სთავაზობს.“ („ლურჯი ოკეანე“ სტარტაპებისთვის - მათთვის, ვისაც ბიზნესის დაწყება სურს, 2017)

"ინოვაციური მართვის სისტემა", "ორგანიზაციული კულტურა, რომელიც ქმნის მოტივაციას," "თეთრი სპილო თუ მკვდარი ცხენი?! ანუ როგორ შევარჩიოთ ყველაზე სარგებლიანი პროექტი, სწორედ ეს თემები განიხილება ბიზნეს ვორქშოფზე "ლურჯი ოკეანე". ეს არის ინოვაციური პროექტი საქართველოში, რომელიც მენეჯერული ცოდნის გაძლიერებას ემსახურება, თუ როგორ მოახდინონ მათ პროექტების სწორად შერჩევა, თუ როგორ აკეთონ ორგანიზაციებმა ის საქმე, რომელიც რეალურად შედეგის მომტანია. (ბიზნეს ვორქშოფი „ლურჯი ოკეანე“, რომელიც კომპანიას წარმატებულს ხდის, 2017)

კომპანია Woody Eyeglasses შეძლო შეექმნა თავისი „ლურჯი ოკეანე“, რომელიც წარმოადგენს 2015 წლის ერთ-ერთ წარმატებულ სტარტ-აპს და ცდილობს, საქართველოს ბაზარზე შექმნას სათვალეების ახალი ხაზი, აწარმოოს ინოვაციური დიზაინის, ხის მასალისგან დამზადებული სათვალეები. პროექტის ინოვაციურობა მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერ მომხმარებელს სთავაზობენ შესაძლებლობას, საკუთარი დიზაინით ააწყოს სათვალის მოდელი, მისთვის სასურველი ხის მასალის, ლინზის ფერის და გრავირების საშუალებით. კომპანია იყენებს ინოვაციურ სტრატეგიას ბიზნეს საქმიანობაში. საქმიანობის დაწყებამდე კომპანიამ კარგად შეისწავლა არსებული ბაზარი. „კომპანიის მიზნობრივ სეგმენტს წარმოადგენდა მომხმარებელთა ორი ჯგუფი, რომლებიც დიფერენცირებულია ასაკისა და შემოსავლის მიხედვით. ესენია:

1) ახალგაზრდები (ასაკი 14-29 წელი) - ორივე სქესის მოსახლეობა, რომლებსაც შედარებით დაბალი შემოსავლები აქვთ, თუმცა, სიახლეებისათვის მუდმივად მზად არიან;

2) ზრდასრული მოსახლეობა (ასაკი: 30-55 წელი) - ორივე სქესის ადამიანები, რომელთაც შედარებით მაღალი შემოსავლები აქვთ, მაგრამ უპირატესობას ანიჭებენ დახვეწილ, კლასიკური დიზაინის სათვალეებს. ინდივიდუალური მომხმარებლების გარდა, კომპანია მუშაობს აგრეთვე სხვა სეგმენტზე და საკუთარ სათვალეებს ყიდის სხვა ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებზე.

კომპანიამ რაოდენობრივი კვლევის დროს, პირდაპირი და ელექტრონული გამოკითხვის შედეგად, ჯამში გამოკითხა 144 რესპონდენტი. მათ შორის გამოიყო შემდეგი ასაკობრივი ჯგუფები:

- 15-20 წლის ასაკის მოსახლეობა (1%);
- 21-25 წლის მოსახლეობა (59 %);
- 26-35 წლის მოსახლეობა (8%),
- 36-40 წლის მოსახლეობა (6%);
- 40 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობა (11%).
- გამოკითხულთა 66.3% მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო, ხოლო
- 33.7% - მამრობითი სქესის.

მარკეტინგული კვლევის ჩატარებისას საინტერესოა რესპონდენტების დაჯგუფება ეკონომიკური აქტიურობის მიხედვით. აღნიშნულის გათვალისწინებით, აღმოჩნდა, რომ გამოკითხული მოსახლეობის:

- 56% დაქირავებით დასაქმებულია,
- 7% - თვითდასაქმებული,
- 25% - უმუშევარი, ხოლო
- 12% უმუშევარია (სამუშაო ძალის გარეშე მყოფი).

მომხმარებელთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შესწავლისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი საშუალო შემოსავლების განსაზღვრა. გამოკითხულთა:

- 53%-მა აღნიშნა, რომ მათი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 1001-დან 3000 ლარამდე მერყეობს;
- 16.7%-ის შემოსავალი 3000 ლარზე მეტია. გამოკითხულთა
- 5.1%-მა 300 ლარამდე ყოველთვიური შემოსავალი დაასახელა, ხოლო გამოკითხულთა
- 7.5%-ს 301-დან 600 ლარამდე შემოსავალი გააჩნდა.“ (ქართველი სტუდენტების სტარტაპი WOODY და ხის სათვალეებით დაწყებული ბიზნესი, 2015)

მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოკითხულთა 80.4%-ის მოსაზრებით, ისინი სათვალეების ხშირი მომხმარებლები არიან და მათი უმრავლესობა სათვალის შეძენისას მისი დიზაინით ხელმძღვანელობს. თუმცა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ 90 რესპონდენტი უპირატესობას ანიჭებს სათვალის ორიგინალურობას. 98 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ სათვალეს, ძირითადად, თვითონ შეიძენს, ხოლო 46 რესპონდენტს მას ჩუქნიან. სახლში მიტანის სერვისით სარგებლობის სურვილი მომხმარებელთა მხოლოდ 26.3%-მა გამოთქვა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 3%-ს გააჩნდა ხის სათვალე, ხოლო დანარჩენი ასეთი საქონლის შეძენის სურვილს გამოთქვამდა. ამასთან, კითხვაზე, თუ სად ისურვებდნენ მაღაზიის გახსნას, მათი უმეტესობა აღნიშნავს, რომ ყველაზე სასურველი ადგილია ვაკე-საბურთალოს რაიონი. რაც შეეხება შესაძენად ოპტიმალური ფასის განსაზღვრას, ის გამოკითხვის შედეგებით 250-300 ლარს შეადგენს. „კვლევის შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე ხის სათვალეების მწარმოებელმა კომპანიამ Woody Eyeglasses-ს პროდუქციის ბაზარზე გატანისას

რისკების შესამცირებლად გაითვალისწინა ქვემოთ ჩამოთვლილი რეკომენდაციები, რომლებიც კომპანიის მარკეტინგულ სტრატეგიაში აისახა:

- შეემუშავებინა სათვალის ორიგინალური დიზაინი, რადგან მომხმარებელი ასეთ დროს უფრო მეტი თანხის გადასახდელად მზადაა. ამის შემდგომ სათვალეების მწარმოებელმა კომპანიამ შეიმუშავა ზემოთ მოყვანილი 3 ახალი ხაზი Nebula Glasses; Arcobaleno და სათვალეები ქართული ჩუქურთმით, რომელიც ბაზარზე გაიყიდება;
- გაეხსნა მაღაზია ვაკე-საბურთალოს რაიონში. ამიტომ, კომპანიამ კვლევის შემდგომ მოიძია საოფისე ფართი კეკელიძის ქუჩაზე, პირველი მაღაზიისათვის.
- პროდუქციის მაქსიმალური გასაყიდი ფასი უნდა ყოფილიყო 350 ლარი, ვინაიდან, კვლევამ დაადასტურა, რომ ქართველი მომხმარებელი ფასის მიმართ საკმაოდ მგრძნობიარეა.
- არ შეექმნათ ადგილზე მიტანის სერვისი კომპანიის შიგნით, რადგან გამოკითხულთა მხოლოდ 16.3% იყო თანახმა, ეს სერვისი გამოეყენებინათ. ამის ალტერნატივად გადაწყვიტეს გაეყიდათ საკუთარი პროდუქცია ელექტრონული მაღაზიების მეშვეობით.
- კომაპნიამ გამოიყენა სხვადასხვა არომატი სათვალის შეფუთვისას, რადგან არომატები ადამიანში სხვადასხვა შეგრძნებების და მოგონებების გახსენებას იწვევს.“ (ქართველი სტუდენტების სტარტაპი WOODY და ხის სათვალეებით დაწყებული ბიზნესი, 2015)

Woody Eyeglasses-მა საქართველოში არსებული კონსერვატიული მყიდველების კატეგორიასთან ურთიერთობისათვის გაითვალისწინა შემდეგი რეკომენცადიები: მოეხდინა პროდუქციის პაკეტირება, თანხის ეტაპობრივად გადახდის შესაძლებლობა მიეცა მომხმარებლითვის, სარეკლამო კამპანიებში გამოეყენებინა ტერმინი „სულ რაღაც“. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ სათვალეების მწარმოებელი კომპანია Woody Eyeglasses-მა, საკუთარი პროდუქცია ბაზარზე განათავსა ინოვაციურ სტრატეგიას მიხედვით. ამის შემდეგ კომპანიამ მონაწილეობა მიიღო თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ საახალწლო სოფელში, სადაც 7 დღის განმავლობაში იყიდებოდა მათი პროდუქცია. გარდა ამისა, ის გახდა პროექტ „დაიწყე ბიზნესი Fab lab ერთად გამარჯვებული. ბაზარზე გასვლის შემდგომ სათვალეების მწარმოებელმა კომპანიამ შეძლო, დაეძლია ყველა ის პოტენციური რისკი, რაც ბაზარზე პირველადი პოზიციონიების დროს არსებობს. ამჟამად ისინი წარმატებით ფუნქციონირებს და უახლოეს მომავალში დაგეგმილია ახალი, ხის მასალისგან დამზადებული აქსესუარების წარმოებასაც, რომელიც სათვალეებთან ერთად გაიყიდება.

მსოფლიო ბაზარზე წარმოუდგენელი კონკურენციაა, ყველანი ახალ ნიშებს ეძებენ, ახალ პროდუქტებს ქმნიან, მომხმარებლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს, სად ვართ ამ დროს ჩვენ? ვამაყობთ, რომ ვართ უძველესი მეღვინეობის ქვეყანა? კი ბატონო, გამოვიყენოთ ეს... ქვევრის ღვინის მიმართ დიდი მოლოდინები არსებობს, საერთაშორისო ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ იგი თანამედროვე ერთფეროვან ბაზარს გაამრავალფეროვნებს. უამრავი მეცნიერი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სწავლობს ქვევრს და მის უნიკალურობას. ქვეყნდება მათი კვლევების შედეგები, სადაც ისინი ქვევრის ღვინის საუკეთესო თვისებების შესახებ საუბრობენ. ეს ტენდენციები ჯერ კიდევ 2011 წელს ქვევრის I საერთაშორისო სიმპოზიუმზე გამოიკვეთა, რომელსაც ესწრებოდნენ ქვევრის თემით დაინტერესებული მეცნიერები, მარკეტოლოგები და დისტრიბუტორები. საინტერესოა ამ შეხვედრაზე კალიფორნიელი ღვინის ექსპერტის დარელ კორტის მიერ გამოთქმული მოსაზრება: „ქართველმა მეღვინემ უნდა უპასუხოს კითხვას: ქართული ხასიათის ღვინო უნდა შესთავაზოს სხვას, თუ იმიტირებულად ქართული, ასლირებული? მეღვინეობის ისტორია გვიჩვენებს, რომ თანამედროვე სამყაროში უფრო ბევრი ღვინოა, ვიდრე ოდესმე ყოფილა, მაგრამ უმრავლესობას ინდივიდუალურობა აღარ აქვს. ახლა ყველა ღვინოს ერთნაირი გემო აქვს. უნიკალური, განსხვავებული ღვინოების ადგილს ტექნოლოგიები იკავებს. იყო დრო, ვაზის ჯიში შარდონე საფრანგეთში მხოლოდ 2-3 ადგილას იზრდებოდა და მისი ღვინოც იშვიათი იყო. დღეს კი შარდონე თეთრი ღვინის საერთაშორისო სიმბოლო გახდა. ქართული ქვევრის ღვინოების განსხვავებულობა და ინდივიდუალობა არის ის მთავარი უპირატესობა, რითაც საქართველომ უნდა აწარმოოს გაყიდვის სტრატეგია.“ (ცქიტიშვილი, 2011)

დღეის მდგომარეობით, საქართველოში 60 ათას ჰექტარზეა ვენახი გაშენებული. ეს მხოლოდ იმ ფართობის ნახევარია, რაზეც 1980-იანების დასაწყისამდე იყო ვენახი გაშენებული (მათი დიდი ნაწილი გაიჩეხა გორბაჩოვის ანტი-ალკოჰოლური კამპანიის შედეგად); ამის მიუხედავად, საქართველო მეოთხეა (პორტუგალიის, ჩილეს, და იტალიის შემდეგ) სასოფლო-სამეურნეო მიწების წილით (8%), რომელიც გამოყენება ვაზის კულტივირებისათვის. ასე რომ, ექსპორტის კიდევ უფრო გაზრდა შესაძლებელია ვენახების იმ ტერიტორიაზე გაშენებით, სადაც ისინი გაიჩეხა.

იქნება თუ არა ქვევრის ღვინო ლურჯი ოკეანის სტრატეგია ღვინით მოვაჭრეთათვის მსოფლიოში, ეს ღვინის ეკონომიკის მომავლის კვლევის საკითხია. ზოგადად „უკანასკნელ წლებში, ღვინის ეკონომიკა კვლევის მნიშვნელოვანი სფერო გახდა.

ქვევრში დაყენებული ღვინო ნამდვილად იქცა ლურჯ ოკეანედ ამერიკელი მეღვინე გრეგ მურისათვის. „ამერიკულმა ვაშლის ღვინომ, 2016 წლის „ლევითიმ“, რომელსაც კომპანია „ქასლ ჰილ საიდერი“ საქართველოდან ჩატანილ ქვევრებში აყენებს, შეერთებულ შტატებში გამართულ ყოველწლიურ კონკურსზე გაიმარჯვა. ვირჯინიის შტატში მდებარე საწარმო პირველია ამერიკაში და მთელ მსოფლიოში, რომელმაც ვაშლის ღვინის, ე.წ. სიდრის დამზადება ქართულ ქვევრებში დაიწყო. „ლევითი“ ქართულად თავქარიანობას, არასერიოზულობას ნიშნავს. ვაშლის ღვინოში ალკოჰოლის შემცველობა დაახლოებით 8 პროცენტია. ერთი ბოთლი „ლევითი“ 22 დოლარი ღირს და ყველაზე ძვირი სიდრია „ქასლ ჰილ საიდერის“ მარანში. სიძვირის მიუხედავად, კომპანიას ის მაინც ყველაზე კარგად ეყიდება. გრეგ მურის, საწარმოს ოპერაციების დირექტორის თქმით, მარანში „ლევითის“ სულ ოცამდე ყუთი დარჩათ. “ლევითისთან” ერთად საპატიო ჯილდო მოიპოვა კომანიის მეორე სიდრმა “სერენდიფიდი”. კონკურსში, სახელწოდებით „ხარისხიანი საკვები პროდუქტის ჯილდო“, წელს 199 კომპანიის 2 ათასზე მეტი ნაწარმი იყო წარდგენილი. დაჯილდოების ცერემონია სან-ფრანცისკოში გაიმართა. კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მხოლოდ ამერიკაში ნაწარმოები პროდუქცია იღებს, უკვე მერვე წელია ტარდება და გამარჯვებულს 15 კატეგორიაში ავლენს. სიდრის გარდა, კონკურსი იმართება ყველის, ზეთის, ლუდის, შოკოლადის, ყავის, თაფლის, მწნილის და სხვა ადგილობრივი პროდუქციის კატეგორიებში. 13 წევრისგან შემდგარ ჟიურის ვაშლის ღვინისთვის მკაცრი სტანდარტები აქვს დაწესებული. 12 მთავარი პირობიდან მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლით: სიდრი რესურსების დაზოგვით, გარემოს მაქსიმალური დაცვით უნდა იყოს ნაწარმოები; არ უნდა ხდებოდეს სინთეტური მინარევების გამოყენება, მათ შორის: პესტიციდების, ჰერბიციდების, ფუნგიციდების და სასუქების; ვაშლის ღვინო არ უნდა შეიცავდეს საღებავებს, დამატებულ არომატებს, ან ხანგრძლივი შენახვისთვის გამიზნულ კონსერვანტებს; სიდრი უნდა იყოს დამზადებული მხოლოდ ადგილობრივი და სეზონური პროდუქტით; საწარმომ უნდა აჩვენოს, რომ ერთგულია მომწოდებლების და კლიენტების და მათ წლების განმავლობაში ინარჩუნებს. წელს კომპანია „ქასლ ჰილ საიდერმა“ კიდევ ერთი ჯილდო მოიპოვა – ვირჯინიის გუბერნატორის 2018 წლის ოქროს მედალი. ვირჯინიის შტატში ადგილობრივი მეწარმეების წასახალისებლად დაწესებულ ტრადიციას 36 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. ოქროს მედლის მოსაპოვებლად ჟიურის 100-ბალიანი სისტემა აქვს შემუშავებული. გამარჯვებულმა საწარმომ 90-ზე მეტი ქულა უნდა დააგროვოს. აღსანიშნავია, რომ წელს შტატის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა ჯილდო ვაშლის ღვინის საწარმომ მოიგო. „ქასლ ჰილ საიდერის“ საწარმო ვირჯინიის ჩრდილოეთით მდებარე ტომას უოლკერის ცნობილ მამულში მდებარეობს, რომელიც ამერიკის ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს შორის სახელდება. პროფესიით ექიმი, ტომას უოლკერი ამერიკის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამის და პრეზიდენტის, ტომას ჯეფერსონის გამზრდელი, მისი მამობილი იყო. „ამერიკის ხმა“ ქართული ქვევრების წარმომავლობის დასადგენად, ვაშლის ღვინის საწარმოს გასული წლის სექტემბერში ეწვია. აქვე შეგიძლიათ ნახოთ სატელევიზიო სიუჟეტი ქართულ ქვევრებში დამზადებული ამერიკული სიდრის შესახებ.“ (ქვარცხავა, 2018)

- „საქართველოში უნდა აღორძინდეს ქვევრის კეთების ხელოვნება, რადგან უქვევროდ ქვევრის ღვინო არ იარსებებს. ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტი კონცენტრაციაა საჭირო ვენახზე, ყურძნის ხარისხზე, რაც, თავის მხრივ, ერთი-ორად გაზრდის ქვევრის ღვინოების ხარისხს.“-„თრეველ ჩენელის“ ჟურნალისტი იზაბელ ლეჟერონი
- „მე ამერიკიდან ვარ. ეს არის დიდი ქვეყანა, სადაც ქვევრის ღვინო თავის გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს. ამერიკა ახლა მოწყურებულია ნატურალურ ღვინოებს, რომლებსაც ინდივიდუალური ღირსებები შენარჩუნებული აქვთ. დროა მთელი კაცობრიობა დაუბრუნდეს ღვინის დაყენების უძველეს ტრადიციებს, როგორიც საქართველოში არის შემონახული.“ - „ნიუ იორკ თაიმსის ჟურნალისტი ალისა ფეირინგი.“ (ცქიტიშვილი, 2011)

2017 წლის 15-18 სექტემბერს ქართული ქვევრის ღვინო წარმოდგენილი იყო იტალიის ქალაქ ბრაში Slow-Food-ის ფესტივალზე. ამ მოძრაობას XX საუკუნის 80-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი და მისი მიზანია ადგილობრივი ტრადიციების, ჯანსაღი საკვების და ცხოვრების ნელი ტემპის დაცვა. „ქართული მხარე ამ ფესტივალზე ქართული ღვინის იმპორტიორი კომპანიის Velier-ის მიწვევით იმყოფებოდა, ეს ის კომპანიაა, რომელმაც 10 წლის წინ იტალიაში ქართული ქვევრის ღვინის ექსპორტი დაიწყო. დეგუსტაცია გაიმართა რესტორნებში და პოლენცოს უნივერსიტეტში, სადაც ქართულმა ქვევრის ღვინომ დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.“ (ქართული ქვევრის ღვინო Slow Food 2017-ზე, 2017)

ასოციაცია "ქართული ღვინო"-ს ორგანიზებითა და "ღვინის ეროვნული სააგენტო"-ს მხარდაჭერით, 2018 წლის 3 და 4 მაისს, თბილისში ქვევრის ღვინის მეორე საერთაშორისო კონკურსი გაიმართა. კონკურსზე წარდგენილი იყო 70 დიდი და მცირე კომპანიის და საშუალო საოჯახო მარნის 200-მდე ღვინის ნიმუში, რომლებიც ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარმა ჟიურიმ შეაფასა.

ბიბლიოგრაფია:

ბიზნეს ვირქშოფი „ლურჯი ოკეანე“, რომელიც კომპანიას წარმატებულს ხდის. (2017 წლის 24 აპრილი). მოძიებულია 2018 წლის 05 მაისს ვებგვერდიდან: https://www.ambebi.ge/article/199081-biznes-vorkshopi-lurji-okeane-romelic-kompanias-carmatebuls-xdis/

ვარდიაშვილი, მ. (2011 წლის 29 მარტი). *ქართული ღვინო – ერთი ქოლგა და ბევრი პრობლემა.* მოძიებულია 2018 წლის 02 მაისს ვებგვერდიდან: http://vinoge.com/istoria/qarTuli-Rvino-erTi-qolga-da-bevri-problema

კობერიძე, ლ. (2016 წლის 4 ივლისი). *ტრადიციულ ბაზრებზეც კი პროგრესული მომხმარებელი ნაკლებად ირჩევს ქართულ ღვინოს.* მოძიებულია 2018 წლის 05 მაისს ვებგვერდიდან: https://commersant.ge/ge/post/levan-koberidze-tradiciul-bazrebzec-ki-progresuli-momxmarebeli-naklebad-irchevs-qartul-gvinos

„ლურჯი ოკეანე“ სტარტაპებისთვის - მათთვის, ვისაც ბიზნესის დაწყება სურს. (2017 წლის 13 დეკემბერი). მოძიებულია 2018 წლის 05 მაისს ვებგვერდიდან: https://www.ambebi.ge/article/218131-lurji-okeane-startapebistvis-mattvis-visac-biznesis-dacqeba-surs/

საქართველოს ბანკი: ბიზნეს ჰაბი. (თ. გ.). *ლურჯი ოკეანის სტრატეგია.* მოძიებულია 2018 წლის 05 მაისს ვებგვერდიდან: https://businesshub.ge/ge/innovation/increase-rd/blue-ocean-strategy

საქართველოში ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარული უცხოური ღვინოები. (2017 წლის 21 დეკემბერი). მოძიებულია 2018 წლის 05 მაისს ვებგვერდიდან: https://allwine.ge/ka/blog/romeli-ucxouri-rvinoebia-popularuli-saqartvelosi_1132/

ურუტაძე, ე. (2017 წლის ნოემბერი). *საქართველოს ღვინის ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.researchgate.net/publication/320921543_Marketing_Research_of_Consumer_Behavior_on_the_Georgian_Wine_Market

ფაცურია, ნ. (2014 წლის ივნისი). ProWein 2014: ქართული ღვინო საერთაშორისო ღვინის მთავარ პლატფორმაზე. *ღვინო: საქართველოს სომელიეთა ასოციაცია* (1), 8-12.

ქართველი სტუდენტების სტარტაპი WOODY და ხის სათვალეებით დაწყებული ბიზნესი. (2015 წლის 08 დეკემბერი). მოძიებულია 2018 წლის 08 ოქტომბერს ვებგვერდიდან: https://bm.ge/ka/article/qartveli-studentebis-startapi-woody-da-xis-satvaleebit-dawyebuli-biznesi-foto/325

ქართული ქვევრის ღვინო Slow Food 2017-ზე. (2017 წლის 19 სექტემბერი). მოძიებულია 2018 წლის 05 მაისს ვებგვერდიდან: http://www.vinoge.com/degustacia/qarTuli-qvevris-Rvino-Slow-Food-2017-ze

ქვარცხავა, მ. (2018 წლის 02 აპრილი). *ქვევრში დაყენებულმა ამერიკულმა სიდრმა პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა.* მოძიებულია 2018 წლის 05 მაისს ვებგვერდიდან: http://agronews.ge/qvevrshi-daqhenebulma-amerikulma-sidrma-prestizhuli-jildo-moipova/

ცქიტიშვილი, ა. (2011 წლის 14 ოქტომბერი). *ქვევრის ღვინო - ქართული მეღვინეობის მთავარი უპირატესობა.* მოძიებულია 2018 წლის 14 ივნისს ვებგვერდიდან: http://www.vinoge.com/mevenaxeoba/qvevris-Rvino-qarTuli-meRvineobis-mTavari-upiratesoba

წულაძე, ზ. (2017 წლის 04 იანვარი). *ქართული ღვინო ახალი ბაზრების ძიებაში.* მოძიებულია 2018 წლის 04 მაისს ვებგვერდიდან: https://www.amerikiskhma.com/a/georgian-wine-looks-for-new-sales-markets/3662884.html

ხარაიშვილი, ე. (2017). *ღვინის ბაზარი და მევენახეობა-მეღვინეობის დივერსიფიკაციის კონკურენტული მოდელები საქართველოში.* თბილისი: უნივერსალი.

GeoWel Research. (თ. გ.). *ქართული ღვინის ბიზნესი და პრობლემები მცირე მეწარმეებისათვის.* მოძიებულია 2018 წლის 05 მაისს ვებგვერდიდან: http://www.geowel.org/index.php?article_id=34&clang=1

Chan Kim, W., & Mauborgne, R. (2005). *Blu Ocean Strategy: How to Create Uncontested Maket Space and Make the Competition Irrelevant.* Boston, Massachusetts: Harvard Business School Press.

Nino Liparteliani
Gori State Teaching University

BLUE OCEANS IN GEORGIAN BUSINESS

RESUME

The theme of our study, "Blue Oceans in Georgian Business," is dedicated to the creation of various values and creative thinking in real business, which may be new or long forgotten antiquities. There is no doubt that there is strong competition in the market for homogeneous products, so different strategies are needed to create new companies, and one of these strategies is to create your own Blue Ocean. Our goal was to find out how various values are offered to consumers in the Georgian market, and to find the historically Georgian segment of viticulture and winemaking, which will be perceived as a special product for the whole world - this is a jug wine produced according to Georgian technology because of the history winemaking. This shows that in the modern world there are more wines than ever before, but most do not have more personality. Now all wines have the same taste. Technology takes the place of unique, different wines. The variety and personality of Georgian pitcher wines is one of the key benefits Georgia must consider in its sales strategy.

Keywords: Strategy, Management, Finance, Competition, Values, Innovation, Segment, Focus.

ლეილა მამულაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რისკების მართვა ბიზნესში და საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი

საკვანძო სიტყვები: რისკი, კონტროლი, კომპანია, კრიზისი, საფრთხე.

რისკების მართვა წარმოადგენს რისკების და მისი შედეგების თავიდან აცილების ან შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობას. რისკი არის იმ შედეგის დადგომის ალბათობა, რომელიც წარმოადგენს გადახრას მოსალოდნელი შედეგიდან და უარყოფითად მოქმედებს საწარმოს მიზნების მიღწევაზე. რისკი განისაზღვრება ისეთი მახასიათებლების კომბინაციით, როგორიცაა მოხდენის ალბათობა და გავლენა. მოხდენის ალბათობა არის კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობა, სადაც გასათვალისწინებელია შედეგის დადგომის სიხშირე, ხოლო გავლენა არის მიღებული ეფექტი კონკრეტული შედეგის დადგომის შემთხვევაში. მოხდენის ალბათობისა და გავლენის კომბინაცია განსაზღვრავს კონკრეტული რისკის მნიშვნელობის დონეს.

რისკების მართვა გულისხმობს სტრუქტურულ ერთეულებს შორის პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების მკაფიო გადანაწილებას. ზემდგომი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ფუნქციაა პასუხისმგებელ პირთა დანიშვნა რისკების მართვის ყველა დონეზე სპეციალური ღონისძიებების ჩასატარებლად. გადაწყვეტილებები უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს და არ უნდა არღვევდეს არსებული კანონმდებლობის პირობებს. ამავდროულად, შექმნილ სარისკო სიტუაციებში საჭიროა ღონისძიებების შემსრულებელთა შორის სათანადოდ განაწილდეს რისკების გამოვლენისა და კონტროლის ფუნქციები. რისკის მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც მიზნად ისახავს კომპანიის ხელმძღვანელთა საქმიანობის ეფექტურობის ზრდას, რომლის მეშვეობით შეუძლიათ შეარბილონ ან თავიდან აიცილონ საწარმოს წარმატებული საქმიანობის. ხელის შემშლელი პოტენციური პრობლემები. კომპანიის დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა კონკრეტული წარმოდგენის შექმნა შემდეგ საკითხებზე: საქმიანობის ძირითადი სახეობა, წარმოების ტექნოლოგია და რისკების ძირითადი სახეობები. რისკების თავიდან აცილება და დანაკარგების შემცირება ხელს უწყობს საწარმოს მდგრად განვითარებას. ესაა პროცესი, რომლის მიხედვითაც საწარმოს საქმიანობა მიმართულია და კოორდინირდება რისკების ეფექტური

მართვის შედეგად. რისკების მართვა წარმოადგენს დანაკარგების გამოვლენის პროცესს, რომელსაც ორგანიზაცია აწყდება ძირითადი საქმიანობის პროცესში და მათი ზემოქმედების ხარისხიდან გამომდინარე ირჩევს მეთოდს თითოეული სახის რისკის მართვისათვის.. რისკის მართვა წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რის შედეგადაც რისკების შეფასება და გაანალიზება ხდება მათი შედეგების შემცირების ან აღმოფხვრის მიზნით.

რისკში იგულისხმება ალბათობა იმისა, რომ ოპერაციის ფინანსური შედეგი განსხვავებული იქნება მოსალოდნელისაგან. არ არსებობს მეწარმეობა რისკის გარეშე. კონკრეტული მეწარმე საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში, დამოუკიდებლად განსაზღვრავს საკუთარი მუშაობის მეთოდებს, რომელსაც მიჰყავს სამეწარმეო რისკებამდე. არსებობს პირდაპირი კავშირი რისკის დონის დინამიკასა და შემოსავლებს შორის: რაც უფრო მაღალია კონკრეტული ოპერაციიდან საშუალო შემოსავალი, მით მეტია მასთან დაკავშირებული რისკი. დღეს, ბაზარზე საკმაოდ მაღალია რისკების საფრთხეების დონე პოტენციური მოგების დონესთან შედარებით. რაც უფრო მცირეა მოსალოდნელი შემოსავლების სავარაუდო განაწილების დიაპაზონი მის საშუალო მოცულობასთან შედარებით, მით უფრო მცირეა რისკი.

ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ეპოქაში, საკმაოდ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს რისკების მართვა, რომელიც საქართველოში მოქმედი კომპანიების წინაშეც დგას. გლობალიზაციის პროცესი ეკონომიკური რისკების წარმოშობის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. მართვაში რისკ-მენეჯმენტის საფუძვლების გამოყენება ხელს შეუწყობს კომპანიებში საკუთარი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, თუმცა არ შეამცირებს სხვადასხვა ტიპის რისკების წარმოქმნის ალბათობას.

საწარმოებში რისკ-მენეჯმენტის დანერგვა იძლევა შემდეგ შედეგებს:

- შესაძლო რისკების გამოვლენა საქმიანობის ყველა ეტაპზე;
- წარმოქმნილი რისკების პროგნოზირება, შედარება და ანალიზი;
- აუცილებელი მართვის სტრატეგიისა და რისკების მინიმუმამდე დაყვანის და აღმოფხვრის კომპლექსური გადაწყვეტილების მიღების შემუშავება;
- დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- მონიტორინგის განხორციელება სარისკო სიტუაციების მართვის სისტემაზე;
- მიღებული შედეგების ანალიზი და კონტროლი.

რისკ-მენეჯმენტის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს: კომპანიების ხელმძღვანელობის აზროვნების, ინტუიციის და სიტუაციის წინასწარმეტყველების აუცილებლობა, ორგანიზაციის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის გზების გამოვლენა და სწრაფად რეაგირების უნარი და ღონისძიებების არასასურველი განვითარების ალბათობის ხარისხის შემცირება. დღეისათვის მრავალ უცხოურ კომპანიაში საკმაოდ ფართოდ გამოიყენება რისკების მართვის კომპლექსური სისტემა, რადგან მსოფლიო კომპანიების მფლობელები დარწმუნდნენ, რომ პრაქტიკულად მართვის ძველი მეთოდები აღარ შეესაბამება თანამედროვე საბაზრო ურთიერთობებს და შესაბამისად ვეღარ უწყობენ ხელს ბიზნესის წარმატებით განვითარებას.

რისკის მართვა მრავალსაფეხურიანი პროცესია და შედგება სამი ეტაპისაგან: რისკის ანალიზი; რისკის მართვა; კონტროლი; რისკების უდიდესი ნაწილის მიმართ ხორციელდება ოთხი ძირითადი ტიპის კონტროლის ღონისძიება, რომელთა მიზანს წარმოადგენს წარმოშობილი რისკების მისაღებ დონეზე დაყვანა: პრევენციული კონტროლი; მაკორექტირებელი კონტროლი; მიმართული კონტროლი და აღმოჩენითი კონტროლი.

რისკების ეფექტურ მართვას რისკის იდენტიფიკაციისა და შეფასებისთვის სჭირდება საწარმოს სტრუქტურის მუდმივი გადახედვა და ანგარიშების მომზადება. ვინაიდან ორგანიზაციული გარემო მუდმივად იცვლება მისი შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, დაწესებულების სისტემაში დგება შესაბამისი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა. მონიტორინგის პროცესი უნდა იყოს დამადასტურებელი იმისა, რომ არსებობს საწარმოს საქმიანობის შესაბამისი საკონტროლო ღონისძიებები და არსებული პროცედურები ყველასთვის გასაგები და შესრულებადია.

რისკის მართვის დაგეგმვა და განხორციელება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- რისკების და მათი გავლენის განსაზღვრა ბიზნეს-პროცესებზე;
- რისკების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზის გამოყენება;
- რისკებზე რეაგირებასა და მათ რეალიზაციაზე საპასუხო გეგმების შემუშავება და განხორციელება;
- რისკებისა და მართვის პროცესებზე მონიტორინგის განხორციელება;
- ურთიერთკავშირი რისკების მართვასა და საწარმოს საქმიანობის შედეგებს შორის;
- რისკების მართვის საერთო პროცესის შეფასება.

განვიხილოთ საწარმოს საქმიანობაში გამოყენებული რისკების მართვის პოლიტიკა.

რისკების მართვის შემუშავებული მექანიზმი მიმართულ უნდა იყოს რისკების ეფექტური და უწყვეტი მართვისაკენ. ამგვარად, დროული, ზუსტი და უწყვეტი იდენტიფიცირება და რისკების შეფასება საკმაოდ მნიშვნელოვანია, ხოლო რისკების შესახებ ინფორმაციულად გამჭვირვალე ანგარიშგების შექმნა, დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება გარე და შიდა პირობებში ცვლილებების შესამცირებლად და თავიდან ასაცილებლად დადებით გავლენას მოახდენს მექანიზმზე. აღნიშნულმა მექანიზმმა, რომელშიც ჩართულია კონტრაგენტებთან და კონტრაქტორებთან ურთიერთობა, რისკების იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის ფუნქცია უნდა შეასრულოს. მის განსახორციელებლად საჭიროა გეგმის შედგენა, რომელიც განსაზღვრავს საქმიანობის კონკრეტულ სფეროებში შემუშავებულ სახელმძღვანელო დოკუმენტების კომპლექტს. აღნიშნული გეგმა დროის გარკვეულ ინტერვალში ადგენს რისკების მართვისათვის სახელმძღვანელო პრინციპებს და გავლენას არ ახდენს საწარმოს სხვა საქმიანობების განხორციელებაზე. იგი უფრო მეტად აძლიერებს რისკების მართვის სფეროში ხელმძღვანელობის ლიდერობას. რისკების მართვის პროცესი უნდა იყოს მოქნილი, ინოვაციური და მუშაობდეს ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების პირობების უზრუნველსაყოფად. რისკების მართვა გავლენას ახდენს რისკებზე შემდეგი გზით.

- რისკების გამოვლენა, რომელიც მოიცავს დეკრიმინალიზაციას, აქტიური რისკების განსაზღვრას (უწყვეტი შეფასება იმისა, თუ რა შეიძლება წავიდეს ცუდად), შესაძლებლობების გამოვლენას (ხელსაყრელი ან დროული შემთხვევების ალბათობის მუდმივი შეფასება), თითოეული რისკის წარმოშობის ალბათობის და გავლენის სიმძიმის შეფასებას, საწარმოში რისკების მნიშვნელოვანი ზეგავლენის შესამცირებლად მოქმედებების შესაბამისი მიმართულებების განსაზღვრას, ნებისმიერი რისკის ზემოქმედების ნეიტრალიზაციის, სამოქმედო გეგმების ან ნაბიჯების შემუშავებას, უწყვეტი დაკვირვების უზრუნველყოფას ისეთი რისკების წარმოშობაზე, რომელთა მოქმედებაც ამჟამად დადებითია, მაგრამ მოსალოდნელია მისი ცვლილება; საიმედო და დროული ინფორმაციის მოპოვებას და გავრცელებას; კომუნიკაციის ხელშეწყობას დაინტერესებულ მხარეებს შორის.

რისკების მართვის პროცესი უნდა განხორციელდეს მოქნილად, თითოეული რისკის წარმოშობის გარემოებების გათვალისწინებით. რისკების მართვის ძირითადი სტრატეგია მიზნად ისახავს სარისკო მოვლენების გამოვლენას როგორც ტექნიკურის, ისე არატექნიკურის და მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას, წარმოებაზე მათ მიერ მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენამდე, სერიოზული დანახარჯების გამოწვევის, პროდუქტის ხარისხის და მწარმოებლურობის შემცირების სახით.

დეტალურად განვიხილოთ ისეთი ფუნქციონალური ელემენტები, რომლებიც წარმოადგენენ რისკების მართვის პროცესის შემადგენელ ნაწილებს: იდენტიფიკაცია, ანალიზი, დაგეგმვა და რეაგირება, მონიტორინგი და მართვა.

იდენტიფიკაცია მოიცავს: მონაცემების განხილვას (მაგალითად, ათვისებული მოცულობა, კრიტიკული გზის ანალიზი, კომპლექსური გრაფიკის შედგენა, ბიუჯეტირება, ტენდენციის ანალიზი და ა.შ.); რისკების იდენტიფიცირების წარმოდგენილი ფორმების განხილვას; რისკების ჩატარებას და შეფასებას გონებრივი შტურმის მეშვეობით ინდივიდუალური ან ჯგუფური ექსპერტული შეფასებით. იდენტიფიცირებული რისკების დამოუკიდებელი შეფასება მოიცავს: ინსტრუმენტებისა და მეთოდების რისკების გამოვლენას, გამოყენებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების ანალიზს, რისკის განსაზღვრის ინტერვიუს მეთოდებს; ისტორიულ მონაცემებს; მიღებულ გაკვეთილებს; რისკების აღრიცხვას - საკონტროლო ჩამონათვალს; ექსპერტთა ინდივიდუალურ ან ჯგუფურ განხილვას; სტრუქტურის დეტალურ ანალიზს, რესურსების შესწავლას და გრაფიკის შედგენას.

- ანალიზი მოიცავს:

• ალბათობის შეფასების ჩატარება - თითოეულ რისკს მიეკუთვნება მაღალი, საშუალო და დაბალი წარმოშობის ალბათობა;

• რისკების კატეგორიების შექმნა - გამოვლენილი რისკები დაკავშირებული უნდა იყვნენ ერთ ან რამდენიმე სხდასხვა წარმოშობის რისკთან;

• რისკების გავლენის შეფასება - თითოეული რისკის გავლენის შეფასება რისკის გამოვლენილი კატეგორიის მიუხედავად;

• რისკის სიმძიმის განსაზღვრა - თითოეული რისკის ყველა კატეგორიაზე ალბათობის და ზემოქმედების დანიშვნა;

• ვადების განსაზღვრა, თუ როდის მოხდება რისკის გამოვლენა.

- დაგეგმვა და რეაგირება მოიცავს: რისკების პრიორიტეტებს; რისკების ანალიზს; რისკის წარმოშობაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნას; რისკების მართვის შესაბამისი სტრატეგიის განსაზღვრას; რისკებზე რეაგირების შესაბამისი გეგმის შედგენას.

- დაკვირვება და მართვა

• ანგარიშგების ფორმატების განსაზღვრა

- ყველა კლასის რისკის გამოვლენის სიხშირის და განხილვის ფორმის განსაზღვრა
- რისკების შეფასების ჩატარება
- რისკის ყოველთვიური ანგარიშის წარდგენა

სამწუხაროდ, საკმაოდ ფართოა: რისკის წარმოშობის შესაძლებლობა, ეს შეიძლება იყოს ცვლილებები საგადასახადო რეგულირებაში და სავალუტო კურსში. საჭიროა იმის განსაზღვრა, თუ რომელი რისკის წარმოშობაა მოსალოდნელი და რა შეიძლება გაკეთდეს. მეწარმეს, პირველ რიგში, პასუხი უნდა ჰქონდეს რისკების თავიდან აცილების ორგანიზაციული ღონისძიებების შესახებ კითხვაზე, მეორე მხრივ - ფლობდეს რისკებისგან თავის დაზღვევის საკუთარ პროგრამას. იმ შემთხვევაში, თუ საპასუხო ღონისძიებების ბიუჯეტი არის შეზღუდული, რისკის საპასუხო ღონისძიებების გეგმამ ზუსტად უნდა ასახოს ის პრიორიტეტები, რომელსაც დაეფუძნება რისკის საპასუხო ღონისძიებების გეგმა. მნიშვნელოვანია, რომ აუცილებლად უნდა განხორციელდეს შედარება საპასუხო ღონისძიების სრული ღირებულების და მის შედეგად მიღებული სარგებლის.

რაც შეეხება დაზღვევას, საქართველოში სადაზღვევო სისტემა საჭიროებს შემდგომ განვითარებას. სრულყოფილი სადაზღვევო სისტემის არსებობა მნიშვნელოვანია უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობებისას, რომლებიც მიჩვეული არიან დააზღვიონ ყველა ნაბიჯი. აღნიშნული საკითხის გულწრფელი განხილვა ბიზნეს-გეგმაში, დადებითად ახასიათებს მეწარმეს, და მეორე მხრივ ჩანს მზრუნველობა მისი მხრიდან იმ საშუალებებზე, რომელსაც ირებენ პარტნიორებისაგან. რისკ-მენეჯმენტი შედარებით უფრო განვითარებულია ერთობლივ საწარმოებში, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ უცხოელი პარტნიორების გამოცდილება. მიუხედავად ამისა, მსხვილ და ერთობლივ საწარმოებშიც რისკ-მენეჯმენტის სისტემა ეპიზოდურ და შეზღუდულ ხასიათს ატარებს. კომპანიათა უმრავლესობა რისკების იდენტიფიცირებისას არ განიხილავს ისეთ სტრატეგიულ რისკებს, როგორებიცაა: რეპუტაციის რისკი, ტექნოლოგიური ინოვაციების რისკი, სოციალური რისკები და სხვა. ამასთან, სტატისტიკურ მონაცემთა ბაზები ძირითადად მხოლოდ საფინანსო ორგანიზაციებს გააჩნიათ.

საზოგადოებასთან ურთიერთობას საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი უკავია რისკების მართვისას ბიზნესში. საზოგადოებასთან ურთიერთობის თვალსაზრისით კრიზისი ორგანიზაციაში - ისეთი ფაქტი და/ან მოვლენების იმგვარი განვითარებაა, რომელიც ხელს უშლის კომპანიის ნორმალურ ფუნქციონირებას და რომლის დროსაც საფრთხე ექმნება კომპანიის რეპუტაციას. კრიზისის დროს ორგანიზაციის პოზიცია ყოველთვის იყოფა ორად:_სამართლებრივად და სამართლიანად. კრიზისის განვითარების ხანგრძლივობიდან გამომდინარე მოვლენათა განვითარების შემდეგი სახის სავარაუდო სცენარები გამოიყოფა:_განვითარებადი კრიზისი; მოულოდნელი კრიზისი და მდგრადი კრიზისი.

კრიზისული სიტუაციის წარმოქმნის მიზეზებიდან და კრიზისის გავრცელების დინამიკაზე ზემოქმედი ფაქტორებიდან გამომდინარე, ნებისმიერ ორგანიზაციას შეუძლია წინასწარ ამოიცნოს ის საზოგადოებრივი წარმომავლობის კრიზისი, რომლის წინაშეც შესაძლოა შემდგომ აღმოჩნდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კრიზისის ამოცნობა, განეიტრალება ან შესუსტება წინასწარ შეიძლება დაიგეგმოს. კრიზისის სახით შეიძლება მოგვევლინოს ისეთი მოვლენა, რომელსაც ირიბი ან პირდაპირი კავშირი აქვს ორგანიზაციის საქმიანობასთან. მნიშვნელოვანია ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც განიხილავს კრიზისს სტრატეგიულად და მიმართულია არა მხოლოდ მის დაძლევაზე, არამედ მის პროფილაქტიკასა და პოსტკრიზისული ქმედებების განხორციელებაზე. ანტიკრიზისულ გეგმაში, ან ნებისმიერ სხვა დოკუმენტში კრიზისული სიტუაციების კლასიფიკაცია ხდება რეპუტაციული რისკებისა და საფრთხის დონის მიხედვით.

ბიზნესში PR კრიზისის მართვის მიზნებია: კრიზისის სწრაფად დასრულება; კრიზისით მიყენებული ზარალის მინიმიზაცია და კომპანიისადმი ნდობის აღდგენა. კრიზისის მართვის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია ის, რომ წინასწარ მზად უნდა იყოს კომპანიის შესახებ ზოგადი ინფორმაცია (საქმიანობა, პოზიციები ბაზარზე, ფინანსური მაჩვენებლები, პროდუქციის ნუსხა, ინფორმაცია ინვესტიციების, ხარისხის, საიმედოობის შესახებ).

კრიზისის მართვა PR-ში მოიცავს შემდეგ პროცესებს: ანტიკრიზისული ჯგუფის შექმნა, მისი ინფორმირება და ინსტრუქტაჟი; სიტუაციის შეფასება და ანალიზი; სტრატეგიის განსაზღვრა; სახიფათო ბიზნესის არგუმენტი; ბაზრიდან წასვლა (კომპანიის გაყიდვა, სახელის შეცვლა, სხვა სახელით გამოსვლა ბაზარზე და სხვა); სტრატეგია „მოგვეცით კიდევ ერთი შანსი“.

ბიზნესის განხორციელების წინ აუცილებელია სავარაუდო რისკ-ფაქტორებისა და შემაფერხებელი გარემოებების გამოვლენა, ან გათვალისწინება. მათ შეიძლება ეწოდოთ პროგნოზირებადი სირთულეები, საფრთხის ტესტირება, კონფლიქტური პოტენციალის განეიტრალება. პოტენციური პრობლემების პროგნოზირება შესაძლებელია უამრავი ფაქტორის გათვალისწინებით. კომპანიაში კრიზისის წარმოქმნის ძირითადი საფუძვლებია:

1. ორგანიზაციამ ახლახანს „გადაიტანა“ კრიზისი;

2. კომპანიის საქმიანობა ხელისუფლების მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება;
3. ორგანიზაცია განიცდის ფინანსურ პრობლემებს;
4. ორგანიზაციას ხელმძღვანელობს ცნობადი პიროვნება;
5. საწარმო ან დაწესებულება ეკუთვნის სახელმწიფოს;
6. ორგანიზაცია აქტიური ზრდის პროცესშია;
7. კომპანია ახლახანს შეიქმნა;
8. კომპანიაში არახელსაყრელი შიდა ვითარებაა.

კრიზისის მართვის დროს ტიპობრივი შეცდომაა პროფესიონალების იგნორირება და კრიზისის ერთპიროვნული მართვა კომპანიის ხელმძღვანელის მიერ; კრიზისის მართვის დროს ყურადღება უნდა მიექცეს კომუნიკაციას და კონსულტაციას. ეს არის მუდმივი პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას ყველა დაინტერესებული პირი უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციით, მოახდინოს გაზიარება და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს რისკის მართვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა რისკის ბუნება, ფორმა, მოხდენის ალბათობა, საპასუხო ღონისძიებები და ა.შ. კომუნიკაციის დროს ხდება შესაბამისი ინფორმაციის იდენტიფიცირება და შეგროვება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ შეუძლებელია შემოსავლის ზრდა რისკების ზრდის გარეშე და პირიქით რისკის შემცირება შემოსავლების შემცირების გარეშე. სამეწარმეო საქმიანობაში პრაქტიკულად შეუძლებელია მთლიანად რისკის თავიდან აცილება, მაგრამ შესაძლებელია მისი შემცირება. ყოველივე ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პროფესიონალურად და სწორად მოქმედებს თვით მეწარმე და როგორ სტრატეგიას ირჩევს რისკების საფრთხეების წარმოქმნის შესამცირებლად. რისკების ეფექტური მართვისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საწარმოებში რისკების მართვის განყოფილების შექმნა. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ძირითადი ვალდებულებები დაუკავშირდება პერსონალს, მომხმარებლებს და ხელს შეუწყობს რისკების მართვის სტრატეგიის წარმატებულ რეალიზაციას. დღეისათვის პრობლემაა ის, რომ რისკის ცნება, მისი შეფასება, პროგნოზირება და მისი მართვაც კი ჩვენი მეწარმეების უმეტესობისათვის ნაკლებადაა ცნობილი, თუმცა მათი ყოველდღიური საქმიანობა საფრთხის ქვეშ დგას სწორედ ისეთი სხვადასხვა სახის რისკების გამო, რომლის შემთხვევაშიც არცერთი უცხოელი მეწარმე არ განახორციელებდა ბიზნესს.

დიდი პროექტებისთვის საჭიროა რისკების წარმოშობის გულდასმით გათვლა ალბათობის თეორიის გამოყენებით. უმნიშვნელო პროექტებისთვის საკმარისია რისკების ანალიზი მხოლოდ წმინდა ექსპერტული მეთოდებით. მთავარია ბიზნეს-გეგმების ავტორებმა წინასწარ განჭვრიტონ ყველა იმ ტიპის რისკი, მათი წარმოშობის წყაროები და პერიოდი, რომელსაც შეიძლება შეეჯახონ. რისკების დადგენის შემდეგ აუცილებელია შემუშავებულ იქნას ღონისძიებები მათი შემცირებისათვის და დანაკარგების მინიმიზაციისათვის. რაც უფრო დიდი სამუშაოები გაიწევა აღნიშნული მიმართულებით, მით უფრო მაღალი იქნება პოტენციური პარტნიორებისა და ინვესტორების ნდობა. მათ კი არ ენდობიან, რომელებიც ოპტიმისტურად ამტკიცებენ, რომ მათი ბიზნესი დაუმარცხებელია, არამედ მათ ვინც წინასწარ განჭვრეტს პრობლემებს და შეუძლიათ რთული სიტუაციებიდან გამოსავალი გზების დასახვაც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რისკის მართვა საწარმოო საქმიანობის სიცოცხლისუნარიანობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად არის ციკლური და უწყვეტი პროცესი, რომელიც კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს ძირითად საქმიანობას. მიზანშეწონილია ამის გაკეთება მონიტორინგის, კონტროლის, კონსულტაციების და ყველა სახის რისკის გამოვლენის და მისი გავლენების შესუსტების გზით. რისკების შეფასებას მივყავართ საწარმოს სტაბილურ განვითარებამდე. რისკების მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს ბიზნესის სტაბილური განვითარების შენარჩუნებისათვის.

ბიბლიოგრაფია:

ბიზნეს-რისკების შეფასება და მართვა. (2013 წლის 30 ოქტომბერი). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.facebook.com/168996046624217/posts/180656725458149/

სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელო. (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: www.mes.gov.ge/uploads/riskis-marTvis-saxelmZRvanelos-proeqti.doc

უიქსი, ი. ლ., სილვი, ჯ., ჰოლიფილდი, ს. ა., ლეისი, ს., & სონი, ა. ბ. (2006). *მედიამენეჯმენტი.* თბილისი: დიოგენე.

Economics.Studio. (б.д.). *Оценка рисков*. Получено из https://economics.studio/biznes-planirovanie/otsenka-riskov-71706.html

Блэк, С. (1990). *Паблик рилейшнз. Что это такое?* Москва.

Викентьев, И. Л. (2001). *Приемы рекламы и Public relations.*
Вуйма, А. (2005). *Черный PR. Защита и нападение в бизнесе и не только.* Петербург: БХВ-Петербург.
Горкина, М., Мамонтов, А., & Манн, И. (2005). *PR на 100%.* Москва.
Киселева, И. А., & Симонович, Н. Е. (2017). Оценка Рисков в Бизнесе: Предпринимательские Риски. *Financial Analytics: Science and Experience, 10*(3), 244-257. Получено из https://cyberleninka.ru/article/n/otsenka-riskov-v-biznese-predprinimatelskie-riski
Киселева, И. А., Симонович, Н. Е., Егорова, Г. Н., & Шаповалов, Ю. А. (2017). Методы оценки и управления предпринимательскими рисками. *Вестник ВГУИТ, 79* (2), 314-319. Получено из https://cyberleninka.ru/article/n/metody-otsenki-i-upravleniya-predprinimatelskimi-riskami
Рыгаловский, Д. М. (2016). Управление рисками на предприятии: методический и организационный аспекты. *Современные технологии управления, 12* (72). Получено из https://sovman.ru/article/7203/
Чумиков, А. Н. (2001). *Связи с общественностью.* Москва.

Leila Mamulashvili
Gori State Teaching University

BOARD OF RISK IN BUSINESS AND PUBLIC RELATIONS
RESUME

Risk management is a combination of risks and measures necessary to prevent or reduce its results.

An increase in income cannot be increased without risk and, conversely, a reduction in risk without a decrease in income. Doing business is almost impossible to avoid risk, but it can be reduced. t all depends on how professionally and correctly the entrepreneur works, and what strategy he chooses to reduce the risk of risk. The main thing is that the authors of business plans foresee the risk of all types, their sources of origin and the period that may fail. After identifying risks, it is necessary to develop measures to reduce them and minimize losses. Currently, the problem is that the concept of risk, its assessment, forecasting and its management are not known to most of our entrepreneurs, but their daily activities are under threat due to various risks in which no foreign entrepreneur has been involved in business.

Keywords: Risk, Control, Company, Crisis, Danger.

თამარ ნადირაძე, ნათია ილურიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

უცხოური ინვესტიციები და მათი სამართლებრივი რეგულირება

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საინვესტიციო მულტიპლიკატორი, საინვესტიციო გარემო, კორელაცია.

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და შემდგომ, მისგან გამოწვეულ ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია მისი სახელმწიფო-სამართლებრივი რეგულირება რამაც, უნდა უზრუნველყოს მისგან მაქსიმალურად ეფექტიანი შედეგების მიღება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ინვესტიციების როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით უზრუნველყოფა. სახელმწიფოსათვის ინვესტიციების განთავსებას მაშინ აქვს ეფექტი, თუკი ქვეყანაში შექმნილია ბიზნესის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა და სადაც სახელმწიფო ქმნის ინვესტიციების განთავსების ოპტიმალურ გარემოს, შედეგად კი, ზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს, ქმნის ახალ სამუშაო

ადგილებს, იზრდება საექსპორტო ტვირთბრუნვა და სხვა. ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირება ყოვლად წარმოუდგენელია ინვესტიციების გარეშე. ინვესტიციები[1] უზრუნველყოფენ კვლავწარმოების უწყვეტობას და მონაწილეობენ სახელმწიფოს ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საქმეში. საქართველოს განვითარების თანამედროვე მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო გარემო ჯერ კიდევ შედარებით ნაკლებად მიმზიდველია, როგორც გარეშე ასევე ადგილობრივი ინვესტორებისთვის, ხოლო ინვესტიციების მოცულობა შედარებით მცირეა საინვესტიციო პოტენციალთან შედარებით. საქართველოში უცხოური ინვესტიციები ძირითადად შემოდის ისეთ სექტორებში, საიდანაც მერე დივიდენდების სახით უკან გადის. საქართველოს სჭირდება ინვესტიციები ეკონომიკის რეალურ სექტორში, რომელიც ქმნის დოვლათს და სამუშაო ადგილებს. უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და ა.შ. საქართველოს დღეს განსაკუთრებით სჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რაც განაპირობებს ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და ა.შ.

დაზუსტებული მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2017 წელს 1888.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 20.6 პროცენტით აღემატება 2016 წლის მონაცემებს. ხოლო წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წლის II კვარტალში 389.2 მლნ. აშშ დოლარია, რის საფუძველზეც ვამბობთ, რომ მისი მაჩვენებელი გაზრდილია. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, საყურადღებოა, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კორელაცია[2] საქართველოს შემთხვევაში არ ფიქსირდება. მაგალითად, ბოლო სამ წელიწადს, 2014-16 წლებში, როდესაც საქართველოში სამწლიან პერიოდში ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, ჩვენი ეკონომიკური ზრდა მაინც დაბალი იყო (3,4%).

უცხოური ინვესტიციების შემოსვლა და საერთაშორისო ხასიათის გარიგებების სიხშირე საქართველოში იურისტების მიმართ ახალ მოთხოვნებს ადგენს. ეს უკანასკნელი პირველ რიგში ვლინდება ბიზნეს სამართლის სფეროში, რომლის ფარგლებში წარმატებული საქმიანობა ადგილობრივ სამართლის ცოდნასთან ერთად უნდა მოიცავდეს საერთაშორისო სამართლებრივი კულტურასა და პრაქტიკასთან სიახლოვეს. საქართველოს კანონმდებლობით „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე და მთლიანად, უპირობოდ არის დაცული". წარმატებული საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი რეგულირების სამართლებრივი საფუძვლების განვითარება იმ მიმართულებით, რომ, ჯერ ერთი, სრულყოფილი იქნეს უკვე მოქმედი კანონმდებლობა ინვესტიციების ხელშეწყობის შესახებ, და მეორე, შესაძლებელი გახდეს ამ კანონმდებლობის საერთაშორისო დონეზე ამოქმედება, სხვა ქვეყნებთან ისეთი ხელშეკრულებების გაფორმება, რომლებიც წაახალისებენ ინვესტორებს და უზრუნველყოფენ ინვესტიციების ურთიერთ სავალდებულო დაცვას. საქართველოში ინვესტიციების საფინანსო-საკრედიტო რეგულირება მჭიდრო კავშირშია ქვეყნის საინვესტიციო გარემოს, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებასთან, ვინაიდან საინვესტიციო ხასიათის ფინანსური გადაწყვეტილებები პირდაპირაა დამოკიდებული მთელი რიგი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების მოწესრიგებასთან. საინვესტიციო გარემო[3] მოიცავს ყველა იმ ფაქტორს, რომლებიც მხედველობაში მიიღება ინვესტორების მიერ კაპიტალდაბანდებების განხორციელებამდე და

---

[1] ინვესტიცია (ლათ. Investire - შემოსვა) ეწოდება კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების და სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. *წყარო:* Delta Capital. ვებგვერდი: http://delta-capital.ge/news/id=5

[2] კორელაცია - ორ ან მეტ ცვლადს შორის კავშირი, რომლის დროსაც ერთი ცვლადის მნიშვნელობის სისტემატურ ზრდას თან სდევს მეორის მნიშვნელობის სისტემატური ზრდა ან კლება. ასეთი სტატისტიკური კავშირი ტრადიციულად გამოიყენება ერთი ცვლადის მეტ–ნაკლებად მოსალოდნელი მნიშვნელობის სავარაუდოდ იმ პირობებში, როცა მეორე ცვლადის მნიშვნელობა ცნობილია. *წყარო:* საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. ვებგვერდი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4873

[3] საინვესტიციო გარემო (კლიმატი) - როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-სამართლებრივი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული, გეოპოლიტიკურ-ეკოლოგიური და სხვა ურთიერთობების ფართო სისტემას. იგი ფორმირდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესების და მოვლენების ზეგავლენით მართვის მაკრო, მეზო და მიკროდონეზე და ხელს უწყობს (ან ხელს უშლის) მყარი ინვესტიციური მოტივების წარმოშობას. *წყარო:* Delta Capital. ვებგვერდი: http://delta-capital.ge/news/id=63

რომლებიც საბოლოო ჯამში აისახება ისეთ კომპლექსურ მაჩვენებელში როგორიცაა საინვესტიციო რისკი. საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის ხელშემწყობ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოდ ის, რომ საქართველო ტერიტორიულად დსთ-ის ბაზრებთან უშუალოდ ახლოს იმყოფება, რაც ბიზნესმენებს ხარჯების შემცირებასთან ერთად სხვა მრავალ პრივილეგიას აძლევს. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად მეტად მნიშვნელოვანია ორმხრივი საინვესტიციო შეთანხმების რიცხვის გაზრდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებელ ხელშეკრულებებს, ვინაიდან უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო ერთი მხრივ, უკავშირდება იმ ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობას, სადაც განხორციელდა ინვესტიცია, ხოლო მეორე მხრივ – იმ ქვეყნისას, რომლის რეზიდენტიცაა ინვესტორი. აღნიშნული გარემოება კი იწვევს ორმაგ დაბეგვრას იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა დადებული ქვეყნებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო ორმაგი დაბეგვრა კი მეტად უარყოფით გავლენას ახდენს კაპიტალის მოძრაობაზე და შესაბამისად ინვესტიციების განხორციელებაზე. ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ინვესტიციების განხორციელებას არის კორუფციასთან ერთად ბიუროკრატია, რომელიც სერიოზულ ბარიერს უქმნის ყოველ ინვესტორს.

საქართველოს საინვესტიციო გარემოს ნაკლოვანებას წარმოადგენს ასევე ე.წ. დამატებითი ხარჯების მაღალი დონე, მხედველობაში გვაქვს: კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, ელექტროენერგიის შეფერხებით მიწოდება და აქედან გამომდინარე, მეწარმეების დამატებითი ხარჯების ზრდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. უცხოელი მეწარმეები ერთხმად აცხადებენ, რომ ყველაზე მეტ პრობლემებს ისინი საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობისას აწყდებიან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყანაში არასრულყოფილი საბანკო სისტემის არსებობა. იგულისხმება ის ფაქტი, რომ მაღალი საპროცენტო განაკვეთებია სესხებზე და ბანკები ძირითადად მოკლევადიან კრედიტებს გასცემენ.

როგორც ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, საქართველოში მოღვაწე არაერთი ინვესტორი ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული ინვესტიციის მოცულობას ზრდის არამწარმოებლური ხარჯების გადიდების ხარჯზე (თავისი ოჯახის წევრების მივლინებები, ოჯახის დამხმარე პერსონალის შენახვა, ძაღლების მოვლა საქართველოში, მათი გამოსეირნება და სხვა), რაც საინვესტიციო საქმიანობაში კურიოზებად უნდა შეფასდეს. ამასთან, კანონში უნდა მითითებული იქნეს, რომ ინვესტიციების ამ და სხვა გზებით გაზრდის შემთხვევაში მან გავლენა არ უნდა მოახდინოს პროდუქციის ფასის ზრდისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუარესებაზე. ასევე საინტერესოა ინვესტიციის სახელმწიფო რეგისტრაციის წესი. საქმე იმაშია, რომ ცვლილებების შეტანამდე ინვესტორი ვალდებული იყო ინვესტიციის დაწყებიდან 60 დღის განმავლობაში, ეკონიმიკის სამინისტროში რეგისტრაციაში გაეტარებინა 100 ათასი აშშ-ის დოლარის (ან მისი ეკვივალენტის) და მეტი ღირებულების ინვესტიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ეკრძალებოდა საინვესტიციო საქმიანობა. კარგია, რომ ინვესტიციის მოცულობის ზღვრული სიდიდე გაუქმდა. მართლაც, თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისეთი დაბალი დონის მქონე ქვეყნებისათვის (განსაკუთრებით რეგიონულ ჭრილში), როგორიც საქართველოა, ინვესტიციის ზღვრული სიდიდის დაწესება, ისიც 100 ათასი ლარის მოცულობით გაუმართლებელი იყო, მაგრამ, ამასთან, უნდა მოხდეს ინვესტიციების მკაცრი აღრიცხვა, რაც რეგისტრაციიდან იწყება. ეს განსაკუთრებით აუცილებელია ინვესტიციების ეფექტიანობის, მათი მიზანმიმართული გამოყენების შეფასებისათვის. უფრო მეტიც, კანონი უნდა მოითხოვდეს, რომ ინვესტორი ვალდებულია დაემორჩილოს ქვეყანაში სტატისტიკური აღრიცხვისა და ანალიზის მიღებულ მეთოდებს, რათა შეიქმნას აღრიცხვის ერთიანი სისტემა. ამასთან ინვესტორი უნდა ახდენდეს ინვესტიციების შედეგად მიღებული ეფექტის რაოდენობრივი და შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშებისა და სტატისტიკის შესაბამის ორგანოებში წარდგენას (ღიაობის პრინციპი). იგი ვალდებული უნდა იყოს პერიოდულად (მაგალითად, წელიწადში ერთხელ) ეკონომიკის სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია დამატებით განხორციელებული ინვესტიციების ოდენობის შესახებ. ამ ინფორმაციაში უნდა ჩანდეს, თუ რამ გამოიწვია ინვესტიციის პირვანდელი დაგეგმილი თანხის გაზრდა. იგი დაკავშირებულია საინვესტიციო საქმიანობის ცალკეული მიმართულების (ძირითადი ფონდების ამოქმედება; ინვესტიციები ძირითად კაპიტალში; სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები) განსახორციელებლად, თუ საჭიროა ფინანსური სახსრების გაზრდის აუცილებლობასა თუ სხვა ნაკლებ მნიშვნელოვანი სამუშაოების შესრულებასთან.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მუდმივად იმუშაოს მიზნობრივ საინვესტიციო ჯგუფებთან, რათა ქვეყანა აღმოჩნდეს საერთაშორისო ინვესტორების ინტერესთა არეალში. გასათვალისწინებელია რეგიონული საინვესტიციო და საგადასახასო კანონმდებლობის უქონლობა. რეგიონებს აკრძალული არ უნდა ჰქონდეთ, თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნილებებიდან, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, დაამუშაონ საგასახადო სისტემის რეგიონული ვარიანტი, ინვესტიციების რეგულირების რეგიონული კანონი და სხვა. ამასთან, ისინი თავიანთი არსით არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ცენტრალური კანონების მოთხოვნებს და აგებული უნდა იყვნენ საერთო სახელმწიფო ინტერესების

პრიორიტეტულობის პრინციპზე. უნდა შეივსოს რეგიონულ სამართლებრივ ბაზაში დღეს არსებული ვაკუუმი, შეიქმნას განსაკუთრებული რეგიონული (ადგილობრივი) სამართალი. ინვესტიციების ხელშეწყობის პირობების გაფართოებისა და მათი დაცვის გაძლიერების ღონისძიებების დამუშავებისას საქართველოს კანომდებლობა კიდევ უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. ამასთან, გათვალისწინებული იქნეს საქართველოს, მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი დონე და ის ამოცანები, ის ორიენტირები, რომელსაც გვინდა რომ მივაღწიოთ, რათა გავხდეთ მოწინავე, მაღალგანვითარებული ქვეყნების დარი ქვეყანა. სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო პროცესი საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელოვანია, შესაბამისად, ყველა რეფორმის შესახებ, რასაც ხელისუფლება დაგეგმავს ინფორმირებული და ჩართული უნდა იყოს ყველა ის მხარე, ვისაც ცვლილებები შეეხება; სასურველია, ბიზნესგარემოსთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული საკითხების რეფორმირების პროცესი ძალიან ხარგრძლივი არ იყოს, რათა სამიზნე ჯგუფებმა ადვილად დაძლიონ გარდამავალი პერიოდი და დროულად მოახდინონ ახალ რეალობასთან ადაპტაცია; ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ისეთი კანონების მიღებისგან, რომლებიც ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს გაუმართლებელ შეზღუდვებს უწესებს და მათ განვითარებას აფერხებს; ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი რეგულაციების მიღებისგან, რომლებიც კონკრეტულ ბაზრებზე ზღუდავს კონკურენციას და უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ცალკეულ კომპანიებს.

საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა უნდა გახდეს და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილად იქცეს. როგორც ვხედავთ, საქართველოში არსებული ეკონომიკის საერთო დონიდან გამომდინარე, საინვესტიციო პროცესების მთავარი ინიციატორი სწორედ სახელმწიფო უნდა იყოს. ქვეყნის ეკონომიკაში ცალკეული პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ სექტორების აღორძინებისათვის გადადგმული ნაბიჯები იქნება ის უმთავრესი სტიმული, რომელიც შექმნის ქვეყანაში სტაბილური განვითარების დაწყების პრეცედენტს. ეკონომიკის საბაზრო პირობებში ფუნქციონირებისათვის მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ასევე საინვესტიციო ფონდების, სალიზინგო და სადაზღვევო კომპანიების და სხვადასხვა სახის ბირჟების შექმნისა და განვითარების სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების შემუშავება, რომელიც ჩვენი აზრით: ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსების მოზიდვას და აქედან გამომდინარე, უფრო მრავალფეროვანს გახდის ინვესტიციების განხორციელების ფორმებს; გააუმჯობესებს ინვესტიციების განაწილებისა და საინვესტიციო ობიექტების შერჩევის პროცედურას, მათი განხორციელების მულტიპლიკატორული[1] ეფექტის მიღწევას და ბოლოს, ახალი საფინანსო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით აუცილებელია სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების და სადაზღვევო კომპანიების შექმნის სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკითხების გადაწყვეტის პროცესის დაჩქარება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ინვესტიციებია. ისეთი მცირე განვითარებადი ქვეყნისთვის კი, როგორიც საქართველოა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რადგანაც შიდა ინვესტიციები, როგორც წესი, დეფიციტურია.

[1] საინვესტიციო მულტიპლიკატორი - კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს კაპიტალდაბანდებების ერთობლივ შემოსავალზე ზემოქმედებას. *წყარო:* საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. *სამოქალაქო განათლების ლექსიკონი.* ვებგვერდი: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=20267

სქემა N1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://www.geostat.ge

სქემა N2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://www.geostat.ge

ბიბლიოგრაფია:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ვებგვერდი: https://www.bsu.edu.ge
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო. ვებგვერდი: https://transparency.ge/
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდი: http://www.economy.ge
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ვებგვერდი: nplg.gov.ge
საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ვებგვერდი: matsne.gov.ge
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ვებგვერდი: http://www.geostat.ge
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ვებგვერდი: http://gtu.ge
Delta Capital. ვებგვერდი: http://delta-capital.ge/
Forbes Georgia. ვებგვერდი: http://forbes.ge

Tamar Nadiradze, Natia Iluridze
Gori State Teaching University

FOREIGN INVESTMENTS AND THEIR LEGAL REGULATION

RESUME

Attracting foreign investments and its state-legal regulation provide the best possible effect from it. In this regard, it is important to ensure investments in both national and international law. The investment in the state has an effect if the state support system of business development is created in the country and where the state creates an optimal environment for investment.

Foreign investments and the frequency of international transactions establishes new requirements for lawyers in Georgia. The latter is primarily revealed in the sphere of business law, in which the successful work should be accompanied by knowledge of local law in close proximity to international legal culture and practice.

Always remember that one of the main reasons for economic development of any country is investments. For a small developing country like Georgia, it is especially important to attract foreign direct investment, as internal investments are usually deficient.

Keywords: Foreign direct investments, Investment multiplier, Investment environment, Correlation.

ნანა ნადირაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საგარეო სავაჭრო პოლიტიკა საქართველოს უახლოეს მეზობელ სახელმწიფოებთან

საკვანძო სიტყვები: უსაფრთხოება, ემბარგო, ბოიკოტი, ინვესტიციები, ნოუ-ჰაუ, ლიცენზიები, საგარეო ვაჭრობა,

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის კრიტერიუმებად შეიძლება მივიღოთ: ქვეყნის საგარეო ვაჭრობაზე დამოკიდებულების შედარებითი მაჩვენებლები; კერძოდ: ა) საგარეო სავაჭრო ბრუნვის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ). ბ) იმპორტის მოცულობის შეფარდება საქონელბრუნვის საერთო მოცულობასთან. მიჩნეულია, რომ რაც უფრო ნაკლებია მშპ-სთან მიმართებაში საგარეო ვაჭრობის პროცენტული მოცულობა, მით უფრო ძლიერია ქვეყნის თავდაცვითი ეკონომიკა, რამდენადაც ამ შემთხვევაში სახელმწიფო უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე და სხვა ქვეყნების ისეთ ეკონომიკურ ქმედებებზე მის წინააღმდეგ, როგორიც არის ემბარგო, ბოიკოტი, სავაჭრო ბარიერები და ა.შ. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ეს მაჩვენებელი იძლევა საშუალებას ეროვნულ მეურნეობაზე ამგვარი უარყოფითი ზემოქმედების ხარისხის დასადგენად, თუმცა უფრო სრულყოფილი ანალიზისთვის მიზანშეწონილია ასახული და ჩართული იქნეს მასში, აგრეთვე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მთელი ერთობლიობა - ინვესტიციები, ნოუ-ჰაუ, ლიცენზიები და სხვა.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

„თავისუფალი ვაჭრობა წარმოადგენს სავაჭრო პოლიტიკის საუკეთესო ფორმას, იგი ყოველთვის ითვლებოდა კონკურენციის დაცვის საუკეთესო იარაღად. მიუხედავად, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, მთავრობებს მაინც რჩებათ საკმაოდ მძლავრი ბერკეტები კონკურენციის შეზღუდვისათვის. ასეთი ინსტრუმენტებია: იმპორტის რაოდენობრივი

შეზღუდვა; ანტი-დემპინგური პოლიტიკა; სახელმწიფო სუბსიდიები; შესყიდვის პრეფერენციული სისტემები და სტანდარტების განსაზღვრა.“ (ღაღანიძე)

საქართველოს გააჩნია მეგობრული ურთიერთობა თურქეთსა და აზერბაიჯანთან, და ამავდროულად მონაწილეობს რამდენიმე სატრანსპორტო პროექტში, რომლებიც სომხეთის გვერდის ავლით ხორციელდება (ამათგან ერთ-ერთი უკანასკნელია ახლახან ამოქმედებული ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა); საქართველო არსებითად მრავალეთნიკური ქვეყანაა, და ეთნიკური სომხები აქ რიცხვით მეორე უმცირესობას წარმოადგენს (დაახლოებით 4.5%, მაშინ როცა აზერბაიჯანელებია - 6.3%);

„ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ასევე დაიშალა მის ბაზაზე ახლად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ ქვეყნებში ტრადიციული სავაჭრო ურთიერთობები. ამან ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე მეტად მტკივნეული გავლენა მოახდინა. ვაჭრობაში ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას თან ახლდა ურთულესი პრობლემები. სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელმა სახელმწიფოებმა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) სხვადასხვა განვითარების ვექტორები აირჩიეს, კერძოდ საქართველომ დაგვიანებით, მაგრამ დააფიქსირა ევროკავშირისაკენ სწრაფვა, სომხეთმა საპირისპიროდ აირჩია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და შემდგომ ევრაზიული საბაჟო კავშირი, ხოლო აზერბაიჯანმა არ დააფიქსირა თავისი პრიორიტეტები. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანს ორი სხვა სახელმწიფოსაგან განსხვავებით აქვს აბსოლუტური კონკურენტული უპირატესობა ისეთ უმნიშვნელოვანეს ენერგეტიკულ პროდუქტზე, როგორიცაა ნავთობი.“ (ღაღანიძე)

სავაჭრო ბალანსის დინამიკა არ იძლევა ცალსახა პასუხს ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე. კერძოდ, საქართველოში სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო იზრდება, რაც განპირობებულია ექსპორტში საიმპორტო მდგენელის მაღალი წილით; სომხეთში შეინიშნება საგარეო სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოს შემცირების ტენდენცია; აზერბაიჯანში კი, საგარეო ვაჭრობის ბალანსი მთლიანად იმეორებს ნავთობპროდუქტების ექსპორტის ტრენდს, მისი ზრდისას დადებითი ბალანსი იზრდება, ხოლო კლებისას მცირდება.

საქართველოს უახლოეს მეზობელ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთანამშრომლობის ფორმატში სახეზეა ორი ცალსახად გამოკვეთილი ტენდენცია: საქართველოში იზრდება ევროკავშირის წილი და მცირდება დსთ-ს წილი, ხოლო სომხეთში ეს ტენდენცია პირიქითაა. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე ტენდენცია შეესაბამება ამ სახელმწიფოების მიერ აღიარებულ განვითარების პრიორიტეტებს, რაც სავსებით ლოგიკურია. აზერბაიჯანის შემთხვევაში კი, ექსპორტის გეოგრაფია განპირობებულია ნავთობპროდუქტების ექსპორტის გეოგრაფიით. ამდენად ჩვენი ვარაუდი საქართველოსა და სომხეთთან მიმართებაში, რომ მოხდა არსებული საექსპორტო პროდუქტების გადანაწილება და არა ახალი საექსპორტო პროდუქტების შექმნა, სავსებით სანდოა. ამავდროულად არსებული საექსპორტო პროდუქტების რეორიენტაცია ატარებს საპირისპირო მიმართულებებს, საქართველოს შემთხვევაში დსთ-დან ევროკავშირისაკენ, ხოლო სომხეთის შემთხვევაში პირიქით, ევროკავშირიდან დსთ-კენ. ამდენად საქართველოსა და სომხეთის განვითარების ვექტორების დადასტურებამ მოახდინა საექსპორტო პროდუქციის გადანაწილება, თუმცა რჩება გარკვეული შესაძლებლობები ახალი ინვესტიციების ხარჯზე შეიქმნას ახალი საექსპორტო პროდუქტები. საქართველოს შემთხვევაში ცხადია ინვესტიციების მოზიდვა უნდა განხორციელდეს ევროკავშირიდან, ხოლო სომხეთის შემთხვევაში დსთ სივრციდან. ასევე უნდა შევეხოთ ნაფტას მიმართულებას, ცხადია, რომ აქ შედარებით უკეთესი მდგომარეობა აქვს სომხეთს, თუმცა ევრაზიული საბაჟო კავშირისაკენ სწრაფვა არ შეიძლება დადებითად აისახოს ამ მიმართულებაზე. საქართველოს შემთხვევაში, რომლისთვისაც ჩრდილო ამერიკა ყოველთვის მნიშვნელოვანი საექსპორტო ბაზარი იყო, უნდა ველოდოთ ექსპორტის მოცულობის ზრდას. ამის გათვალისწინებით სავსებით გასაგებია საქართველოს მთავრობის სურვილი მიაღწიოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას აშშ-თან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც მოხდება არსებული საექსპორტო პროდუქტების გადანაწილება, ხოლო ახალი საექსპორტო პროდუქტების შესაქმნელად აუცილებელი იქნება ახალი ინვესტიციები.

„საგარეო ვაჭრობის ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ასევე განვიხილოთ ვაჭრობის ხელშეწყობის ინდექსის მნიშვნელობა. ეს ინდექსი შეიმუშავა მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა. ვაჭრობის ხელშეწყობის ქვეშ განიხილება ნებისმიერი ქმედება, რომელიც ვაჭრობის ტრანზაქციულ ხარჯებს ამცირებს და ხელს უწყობს სტანდარტული ეფექტიანობის ზრდას. 2000-იანი წლების დასაწყისში, ცხადი გახდა, რომ სხვადასხვა არასატარიფო ბარიერები, უფრო მეტად მოქმედებენ საგარეო ვაჭრობაზე, ვიდრე ტარიფები. ამდენად შემუშავებული იქნა ვაჭრობის ხელშეწყობის ინდექსი. ინდექსი მოიცავს 4 სუბინდექსს, რომლებიც აერთიანებენ 7 სვეტს. ჯამში განიხილება 57 მაჩვენებელი.“ (ღაღანიძე)

სომხეთი. სომხეთს არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი და არც საერთო საზღვარი მის უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორთან - რუსეთთან; ხოლო საქართველო, თავის მხრივ, შავი ზღვის მიმდებარე ქვეყანაა და სწორედ ის იმყოფება სომხეთსა და რუსეთს შორის. სომხურ-ქართული ურთიერთობები

ხასიათდება გარკვეული ასიმეტრიითა და პრიორიტეტების განსხვავებულობით. ასე, სომხეთისთვის საქართველო, უპირველეს ყოვლისა, განიხილება, როგორც უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო ქვეყანა, რომელიც მას გარე სამყაროსთან აკავშირებს, რაკი სომხეთის სატვირთო გადაზიდვების თითქმის 75% სწორედ მასზე გადის. საქართველო სომხების ერთ-ერთი პოპულარული სამგზავრო მიმართულებაა, სადაც ისინი მიემგზავრებიან ნათესავების მოსანახულებლად, ანკი შავი ზღვის პირას დასასვენებლად. ამავდროულად, საქართველო ჩართულია ალტერნატიული სატრანსპორტო დერეფნების მშენებლობაში, რაც სომხეთის მონაწილეობას არ გულისხმობს. სომხეთი მეტად დაინტერესებულია, რომ აღდგეს აფხაზეთის გავლით რუსეთთან დამაკავშირებელი სტრატეგიული მნიშვნელობის რკინიგზა, რაც თბილისისთვის ნაკლებად მიმზიდველი პერსპექტივაა. სომხეთს აშინებს ქართულ-რუსული ახალი დაძაბულობის შესაძლებლობა, რაც საფრთხეს შეუქმნიდა სომხურ ტრანზიტს, მათ შორის რუსეთისგან კრიტიკული გაზსადენის შეუფერხებელ მოქმედებას, და იგი ასევე შეშფოთებულია საქართველოს აზერბაიჯანთან და თურქეთთან მჭიდრო თანამშრომლობის გამო. ქართული პერსპექტივა ხშირად განსხვავდება. „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის ეკონომიკურად მეტად მომგებიანია სომხეთიდან მასზე გამავალი ტრანზიტი, თბილისი სერიოზულად აღიქვამს რუსეთის შესაძლო ქმედებებთან დაკავშირებულ საფრთხეს, რაც უკავშირდება საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში შეუთანხმებელ ტრანზიტს რუსეთსა და სომხეთს შორის, ამასთან დაკავშირებულ სავარაუდო სამხედრო ქმედებებსა და საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევას. რაკი რუსეთი განიხილება, როგორც საქართველოს უშიშროების უდიდესი მუქარის წყარო, შესაბამისად თბილისი შეშფოთებულია სომხეთში რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობითა და სომხეთის უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ОДКБ) წევრობით, რასაც ამძიმებს ერევნის შეზღუდული უნარი გაუწიოს წინააღმდეგობა რუსეთის ძლიერ ზეწოლას. სომხეთისა და საქართველოს ხელისუფლებებმა გამოიჩინეს საკმარისი მდგრადობა შესაბამისი გამოწვევების მიმართ, ურყევად ახორციელებენ რა თანამშრომლობისა და კეთილგანწყობილი ურთიერთობის პოლიტიკას.“ (ჭანტურია, 2014, გვ. 4-7)

სომხეთსა და საქართველოს მონაწილეობა სხვადასხვა ეკონომიკურ ჯგუფებში თუმცა გარკვეულ შეშფოთებას იწვევს, იგი სულ უფრო მეტად აღიქმება, როგორც ახალი შესაძლებლობა, რომლის აზრიანი გამოყენების შემთხვევაში ორივე ქვეყნის საქმიან წრეებს შეეძლებათ ითანამშრომლონ ორ ვეება ბაზარზე გასასვლელად. ასეთმა მიდგომამ სავარაუდოა გამოიწვიოს არა მარტო ორმხრივი ვაჭრობის გაზრდა, არამედ მას მოყვება საინვესტიციო ნაკადების ზრდაც და ერთობლივი საწარმოების გამრავლებაც. ინოვაციური მიდგომები, როგორიცაა სპეციალიზებული ეკონომიკური ზონების შექმნა, საერთაშორისო ტურიზმის სფეროში თანამშრომლობა და საზღვრისპირა ვაჭრობის განვითარება, ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოქალაქეების დაახლოებას, ერთმანეთის მიმართ ინტერესისა და ინფორმირებულობის გაზრდას და ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას. შეინიშნება კიდევ ერთი დადებითი ტენდენცია - ორი ქვეყნის რეგიონებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარება, რის კარგი მაგალითიცაა აჭარასა და სომხურ ლორს შორის დადებული შეთანხმება. ასევე შეინიშნება მცდელობა, რომ შეიქმნას ქვეყნების ახალი ეკონომიკური კოალიციები როგორც სომხეთის, ისე საქართველოს მონაწილეობით.

აზერბაიჯანი.

აზერბაიჯანი-საქართველოს ურთიერთობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ ორი ქვეყნისათვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. მათი მონაწილეობით განხორციელებული პროექტები ემსახურება არა მარტო ამ ორი ქვეყნის ინტერესს, არამედ გლობალურ ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ განხორციელებულ სატრანსპორტო პროექტებს აქვთ გლობალური მნიშვნელობა, როგორც შორეული აღმოსავლეთისა და ევროპის ყველაზე დასავლური წერტილების დამაკავშირებელ ტრანსნაციონალურ პროექტებს. 2016 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით აზერბაიჯანი საქართველოს უმთავრესი ინვესტორია. 2016 წლის იანვარ-ივნისში ინვესტიციების ოდენობა აზერბაიჯანიდან, წინა წელთან შედარებით 30%-ით გაიზარდა, 282,5 მლნ აშშ $ შეადგინა და 34%-იანი წილით კვლავ პირველ ადგილს ინარჩუნებს საქართველოში უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს შორის. ასევე 2016 წლის იანვარ-სექტემბრის თვის მონაცემებით, ვიზიტორების ოდენობა აზრბაიჯანიდან, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 11%-ით და შეადგინა 1 170 301 ვიზიტორი. აღნიშნულ პერიოდში, ვიზიტორების შემოსვლების მიხედვით, ძირითად ათეულში აზერბაიჯანი I ადგილზე იმყოფება 24%-იანი წილით.

ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი სავაჭრო ბრუნვის მიუხედავად, პოტენციალი ძალიან დიდია და მას აუცილებლად ესაჭიროება განვითარება. მინისტრების შეხვედრაზე ასევე ყურადღება გამახვილდა ორმხრივ ვაჭრობაზე 2017 წელს აზერბაიჯანი საქართველოსთვის სიდიდით მეოთხე პარტნიორი გახდა. რაც შეეხება ექსპორტს, ამ მაჩვენებლის ზრდამ 2017 წელს წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 78 პროცენტი შეადგინა. ორმხრივი ურთიერთობების გარდა, მხარეებმა პრიორიტეტულად დააყენეს

თანამშრომლობა მრავალმხრივ და რეგიონალურ ფორმატებში. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა პროექტებზე, რომლებიც საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის ჩართულობით ხორციელდება. „საქართველოსა და აზერბაიჯანის მონაწილეობით რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტები ხორციელდება: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, ტაპ-ისა და ტანაპ-ის პროექტები. აზერბაიჯანში ფუნქციობს 150-ზე მეტი ქართული კომპანია და დაახლოებით 300 აზერბაიჯანული კომპანიაა საქართველოში. მათ მიერ საქართველოში 7700-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა. საქართველოსთან სავაჭრო ურთიერთობის თვალსაზრისით აზერბაიჯანს უკავია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი. ასევე აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი სოციალური პროექტების მხარდამჭერია საქართველოში.“ (ჭითანავა, 2014, გვ. 5-11)

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობა ძირითადად იმეორებს მსოფლიო ვაჭრობაში მიმდინარე ტენდენციებს. ასოცირების შეთანხმებამ ევროკავშირთან ცხადია მოახდინა სერიოზული გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე, ისევე როგორც ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაწევრიანებამ სომხეთზე, ხოლო აზერბაიჯანის შემთხვევაში ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ნავთობპროდუქტების ფასების კლებამ მსოფლიო ბაზარზე. ცალსახად გამოხატულია ტენდენცია, როდესაც საექსპორტო ბაზრებში მცირდება დსთ წილი, იზრდება ევროკავშირის წილი და პირიქით. ამდენად ხდება გარკვეული ჩანაცვლება საექსპორტო ბაზრებში და არა ახალი საექსპორტო პროდუქტების ფორმირება, წამყვანი საექსპორტო პროდუქტების ჯგუფები სამივე სახელმწიფოში სტაბილურია. ვაჭრობის ინტენსივობის ანალიზის მიხედვით იკვეთება, რომ საქართველოსათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ევროკავშირის ბაზარი, სომხეთისათვის დსთ, ხოლო აზერბაიჯანმა უნდა განავითაროს ახალი საექსპორტო პროდუქტები, ან შექმნას უფრო მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქცია ნავთობის ბაზაზე. „საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ორმხრივი ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის მნიშვნელოვნად გაძლიერდა. განხორციელდა მნიშვნელოვანი ენერგო და სატრანსპორტო პროექტები, რამაც ეკონომიკური განვითარების საშუალება მისცა საქართველოს. თურქეთი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის სტაბილურობა და უსაფრთხოება. 2007 წლიდან თურქულმა კომპანიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მათ აქვთ თავისუფალი ვაჭრობა.“ (ჭანტურია, 2014, გვ. 4-7)

სქემაზე (იხ. სქემა 1) გამოსახულია თურქეთთან სავაჭრო ბრუნვა და თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის წილი საქართველოს მთლიან ვაჭრობაში.

სქემა 1.

თურქეთთან სავაჭრო ბრუნვა და თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის წილი საქართველოს მთლიან ვაჭრობაში



წყარო: http://factcheck.ge/article/thurqethi-saqarthvelos-erth-erthi-umskhvilesi-savatchro-partnioria-da-es-urthierthobebi-kidev-uphro-ghrmavdeba/ (გადამოწმებულია 3.06.2018)

თურქეთის რესპუბლიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას. საქართველოს თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის წილი საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 16%-ს შეადგენს, რითაც დასტურდება სავაჭრო ურთიერთობების მოცულობის ზრდის ტენდენცია. 2017 წლის 4 თვის მონაცემებით, საქართველოდან თურქეთში პროდუქციის ექსპორტმა 76 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 19%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის თურქეთი მე-3 ადგილზეა. საქსტატის მონაცემებით, თურქეთის რესპუბლიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. „საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფქვილი და ხორცი, თევზი, ელექტროენერგია და წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან (ე.წ. „არმატურა"). ხოლო, თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციები, სამკურნალო საშუალებები, მილები და მილაკები შავი ლითონებისაგან, იზოლირებული კაბელები და მავთულები, სანიტარულ-ჰიგიენური ნაწარმი და სხვა. რაც შეეხება საქართველოს თურქეთთან ვაჭრობის წილს მთლიან ვაჭრობაში, ის 2010-2017 წლების განმავლობაში 12.7%-სა და 17.2%-ს შორის მერყეობდა – 17.2%-ს 2014 წელს მიაღწია და 2016 წლისთვის 12.7%-მდე შემცირდა. მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის მაჩვენებლებით, საქართველოს თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის წილი მთლიან ვაჭრობაში 14.6%-ს შეადგენს. მინისტრის მიერ ნახსენები 16%-ანი წილი მხოლოდ 2010-2011 წლებში ფიქსირდება." (ნათელაური & თაფლაძე, 2014, გვ. 271-286)

სქემა 2.

საქართველოს ექსპორტი თურქეთში და ექსპორტის მოცულობის ზრდის ტემპი



წყარო: http://factcheck.ge/article/thurqethi-saqarthvelos-erth-erthi-umskhvilesi-savatchro-partnioria-da-es-urthierthobebi-kidev-uphro-ghrmavdeba/ (გადამოწმებულია 3.06.2018)

2016 წელთან შედარებით საქართველოდან თურქეთში ექსპორტის მაჩვენებელი 19%-ით არის გაზრდილი, თუმცა სტაბილური ზრდა უკანასკნელ წლებში ექსპორტის თვალსაზრისით არ ფიქსირდება. პირიქით, 2015 და 2016 წლებში 22%-იანი და 7%-იანი კლება შეინიშნება. ანუ, მიმდინარე წლის მაჩვენებელი 18.75%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2017 წლის 4 თვის მონაცემებით, საქართველოდან თურქეთში პროდუქციის ექსპორტმა მართლაც 76 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2016 წლის იანვარ-აპრილის მაჩვენებელი კი 64 მლნ აშშ დოლარი იყო, პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის მონაცემებით, ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები არიან: რუსეთი (125 მილიონი აშშ დოლარი), ჩინეთი (78 მილიონი აშშ დოლარი) და თურქეთი (76 მილიონი აშშ დოლარი).

სქემაზე (იხ. სქემა 2) გამოსახულია საქართველოს ექსპორტი თურქეთში და ექსპორტის მოცულობის ზრდის ტემპი.

თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარტნიორია ინვესტიციების სფეროში. მინისტრის ინფორმაციით, 2015 წლის მონაცემებით, თურქეთიდან შემოსული ინვესტიციების რაოდენობამ 73 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 15%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო 2016 წლის წინასწარი მონაცემებით, ინვესტიციების მოცულობამ 272 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 275%-ით (4-ჯერ) აღემატება გასული წლის მაჩვენებელს და საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების საერთო მუცულობის 17%-ს შეადგენს.

საქართველო-თურქეთს შორის ბოლო წლებში დინამიკურად ვითარდება თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. საქართველოში თურქეთის მხრიდან განხორციელებული ინვესტიციების მეშვეობით შენდება ახალი ჰიდროელექტროსადგურები და გადაცემის ხაზები. თურქეთის მხრიდან ხორციელდება ინვესტიციები სხვადასხვა სფეროში და აქედან გამომდინარე, თურქეთი გადაიქცა მსხვილ ინვესტორ ქვეყნად და 2016 წლის საქსტატის მონაცემების მიხედვით თურქეთი, აზეირბაიჯანის შემდეგ მეორე მსხვილ ინვესტორ ქვეყანას წარმოადგენს. აგრეთვე მნიშვნელოვანია ქვეყნების თანამშრომლობა გაზისა და ნავთობის ევროპის ტრანსპორტირების სფეროში. ორი უსხვილესი პროექტი ხორციელდება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“ (BTC) ნავთობსადენი, რომლის სრული ექსპლუატაცია 2006 წელს მოხდა, საქართველოსთვის, როგორც შემოსავლების მხრივ მომგებიან პროექტს არ წარმოადგენს, როგორც ტრანზიტორი ქვეყანა წელიწადში 50 მილიონს იღებს, თუმცა ენერგოუსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენს. “შაჰ-დენიზი“ გაზსადენი, საბადოს დამუშავებაზე კონტრაქტი 1996 წლის ივნისში გაფორმდა და 2013 წლის 17 დეკემბერს მოეწერა ხელი და დაიწყო შაჰ-დენიზის პროექტის მეორე ფაზის განხორციელება. „ეს პროექტი განსხვავებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ პროექტისგან, მომგებიანია როგორც ეკონომიკის, ასევე ენერგოუსაფრთხოების კუთხით. ამ პროექტის მეშვეობით საქართველოში 2 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება, რაც შექმნის დამატებით სამუშაო ადგილებს. აგრეთვე 2019 წლიდან საქართველო დამატებით მიიღებს დაახლოებით 1 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ გაზს შეღავათიან ფასად. საქართველოსა და თურქეთის მეგობრული ურთიერთობა დადებითად აისახება ტურიზმზეც. თურქეთი ვიზიტორთა რაოდენობის მიხედვით მესამე ქვეყანაა.“ (აბესაძე, 2013, გვ. 103-105)

2018 წლის თებერვლის თვეში საქართველო-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა. საქართველო და თურქეთი თავისუფალი ვაჭრობის არსებული შეთანხმების გაფართოებაზე შეთანხმდნენ. შეთანხმების ფარგლებში, ქართულ ლიმონზე, კივიზე, ყურძენზე, ჩირზე, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებსა და წვენებზე, საკვებ ინგრედიენტებზე დაწესებული კვოტები გაუქმდა. გარდა ამისა, კვოტები გაიზარდა ისეთ პროდუქციაზე, როგორიცაა თაფლი, რომელზეც თურქეთში მოთხოვნა საკმაოდ დიდია. კვოტები აგრეთვე გაიზარდა ცოცხალ ცხვარზე და თხაზე, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე. მოლაპარაკების შედეგების შესაბამისად, ქართულ ბიზნესს მიეცემა შესაძლებლობა, 20 პროცენტით გაზარდოს ექსპორტი თურქეთის რესპუბლიკაში.

ორ ქვეყანას შორის არსებობს ექსპორტ-იმპორტის გაზრდისა და თავისუფალი ვაჭრობის გაფართოების საშუალება ხელშეკრულების ფარგლებში, ვაჭრობის შემდგომ ლიბერალიზაციის კუთხით. სწორედ ამ მიზნით დაფუძნდა ეკონომიკური და ვაჭრობის კომისია (JETCO). ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იმისთვის, რომ ორ მეზობელ ქვეყანას შორის კიდევ უფრო მაღალ დონეზე განვითარდეს ეკონომიკური თანამშრომლობა და დაჩქარდეს თავისუფალი ვაჭრობის გაფართოების პროცესი, რომელიც საქონლით ვაჭრობის შემდგომ ლიბერალიზაციას და ასევე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციის დამატებას ითვალისწინებს.

ბიბლიოგრაფია:

აბესაძე, ე. (2013). ექსპორტ-იმპორტირებული საქონელი ქართულ ბაზარზე. *ბიზნეს-ინჟინერინგი* (3), 103-105.

აბსანძე, თ. (2015 წლის იანვარი). საქართველოს ექსპორტი შემცირდა. *Forbes Georgia*, 30-31.

გოგოლიშვილი, ი. (2015). ევროკავშირი და საქართველო: ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებები დაზღვევის სფეროში. *საქართველოს ევროპული გზა* (4), 46-48.

ეკონომიკური ქრონიკა. (2015 წლის მარტი). *გადასახადები: დამატება #1* (1), 5-9.

ექსპორტის განვითარების ასოციაცია. (2017). *ქართული დაფნა და მისი საექსპორტო პოტენციალი.* მოძიებულია 2018 წლის 03 ივნისს ვებგვერდიდან: https://eda.org.ge/media/1001523/2017/12/07/5a3fa0403f8ae8da955732dd6e791cf9.pdf

ვაჭრობის ხელშეწყობის ცენტრი. (2011-2012). *ექსპორტ-იმპორტი: გზამკვლევი.* მოძიებულია 2018 წლის 03 ივნისს ვებგვერდიდან: http://bbi.ge/uploads/Import%20and%20Export.pdf

ნათელაური, ი., & თაფლაძე, თ. (2014). საქართველოს ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილების ასპექტები. *პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, VII*, 271-286.

პაპავა, ვ. (2015). *საქართველოს ეკონომიკა: რეფორმები და ფსევდორეფორმები.* თბილისი: ინტელექტი.

საგარეო ვაჭრობა: ექსპორტი საქართველოდან თითქმის მესამედით გაიზარდა. (2018 წლის 16 იანვარი). მოძიებულია 2018 წლის 03 ივნისს ვებგვერდიდან: https://sputnik-georgia.com/economy/20180116/238915819/sagareo-vaWroba-eqsporti-saqarTvelodan-TiTqmis-mesamediT-gaizarda.html

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2017). *საქართველოს საგარეო ვაჭრობა: 2017 წლის იანვარ-სექტემბერი.* მოძიებულია 2018 წლის 03 ივნისს ვებგვერდიდან: http://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/trade_turnover_2017_9_month_final.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2017ა). მოძიებულია 2018 წლის 03 ივნისს ვებგვერდიდან: http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade_04_2017-GEO-with%20cover.pdf

საქართველოს სტატსიტიკის ეროვნული სამსახური. (2017ბ). მოძიებულია 2018 წლის 03 ივნისს ვებგვერდიდან: http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade_03_2017-GEO-with%20cover.pdf

ტაბატაძე, ლ. (2013). სავაჭრო ბალანსი - ექსპორტისა და იმპორტის ტენდენციები და საპროგნოზო მაჩვენებლები. *გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული* (3), 83-84.

ღაღანიძე, გ. (თ. გ.). *საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის შედეგები.* მოძიებულია 2018 წლის 03 ივნისს ვებგვერდიდან: http://competition25.ge/public/uploads/media/gaganidzeGiorgi.pdf

ცერცვაძე, ა. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ფინანსური კაპიტალის შემოდინების უმნიშვნელოვანესი წყარო საქართველოში. *ახალი ეკონომისტი* (2), 44-46.

ჭანტურია, მ. (2014). საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა და პერსპექტივა. *თსუ სტუდენტური მეცნიერება* (2), 4-7.

ჭითანავა, ნ. (2014). საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. *მოამბე* (20), 5-11.

Japan Fact Sheet. (თ. გ.). *ვაჭრობა და ინვესტიციები: გადანაცვლება ჰორიზონტალური ვაჭრობისკენ.* მოძიებულია 2018 წლის 03 ივნისს ვებგვერდიდან: https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Trade%20and%20investment.pdf

Nana Nadiradze

Gori State Teaching University

FOREIGN TRADE POLICY WITH GEORGIA'S NEAREST NEIGHBORING COUNTRIES

RESUME

Free trade is the best form of trade policy; it has always been considered the best tool for protecting competition.

Georgia has friendly relations with Turkey and Azerbaijan, while also participating in several transit projects that Is being implemented passing by Armenia (one of which is the recently launched Baku-Tbilisi-Kars railway); Georgia is essentially a multi-ethnic country, and ethnic Armenians are presented as the second-largest minority here (about 4.5%, while Azerbaijanis - 6.3%);

In the format of economic cooperation with Georgia's nearest neighbor countries, there are two clearly identified trends: the share of the EU in Georgia is increasing and the share of CIS is decreasing, whereas in Armenia the trend is the opposite. In the case of Azerbaijan, the geography of export depends on the geography of exports of petroleum products. Thus, our assumption with regard to Georgia and Armenia that happened the redistribution of existing export products, rather than the creation of new export products, is quite reliable.

There is an opportunity for the two countries to increase export-import and expand free trade within the framework of the agreement to further liberalize trade. That’s why , the Economic and Trade Commission (JETCO) has been set up. This is another step forward to further enhance economic cooperation between the two neighboring countries and accelerate the process of free trade, Which considers for further liberalization of trade in goods and the addition of trade liberalization of services.

Keywords: Security, Embargo, Boycott, Investments, Know-how, Licenses, Foreign trade.

ნინო ორჯონიკიძე, მანანა ჯაფიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კონკურენციული პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში

საკვანძო სიტყვები: კონკურენცია, მონოპოლია, ხარისხი, ბარიერი, მობილურობა, ლიკვიდაცია.

შესავალი:

კონკურენციული პოლიტიკის შემუშავება და გატარება თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომელიც ახასიათებს არა მარტო იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც უკვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა აქვთ, არამედ მათაც (მათ შორის საქართველოს), რომლებიც დღეისათვის აშენებენ ასეთ ეკონომიკას. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება აუცილებელია იმის გამო, რომ მონოპოლიების მიერ კონკურენციის შეზღუდვის შედეგად საზოგადოება განიცდის ეკონომიკურ და სოციალურ დანაკარგებს, ფერხდება საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესი. ეს დანაკარგები გამოიხატება მომხმარებლის მიერ მოხმარებულ საქონელზე მაღალი (მონოპოლისტური) ფასების გადახდით; მონოპოლისტების მიერ საქონელზე მაღალი ფასების შენარჩუნების მიზნით, ზოგიერთი სახის პროდუქციის გამოშვების შეზღუდვით ან შეჩერებით, ამავე მიზნებისთვის ზოგიერთი სახის საქონლის იმპორტის შეჩერებით ან შეზღუდვით; მცირე საწარმოების ხელოვნურად გაკოტრებით, რაც იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებასა და საზოგადოების სოციალური ფონის გაუარესებას.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კონკურენციის პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს. მის სწორ წარმართვაზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარება. საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ლიბერალიზებულ ინფრასტრუქტურულ სექტორებში (ტელეკომუნიკაციის, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდების და სხვა დარგებში). მონოპოლიური რეგულირების პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელი პირობაა საქართველოს ზოგად კონკურენციულ კანონში, ანტიმონოპოლიური საქმიანობისა და ანტიკონკურენტული ქმედებების ამკრძალავი დებულებების შეტანა. ევროგაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების 82-ე მუხლში ასახული მოთხოვნების თანახმადაც: „აკრძალულია ერთი ან მეტი ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება საერთო ბაზარზე ან მის მნიშვნელოვან ნაწილზე როგორც შეუსაბამო საერთო ბაზართან, თუ მას შეუძლია იმოქმედოს საერთო ბაზარზე“.

მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად კვალიფიცირდება ისეთი ქმედებები, როგორიც არის:

ა) პირდაპირ ან არაპირდაპირ არასამართლიანი გასაყიდი ან შესაძენი ფასების ან ვაჭრობის სხვა რომელიმე არასამართლიანი პირობის დაწესება;

ბ) მომხმარებლის საზიანოდ წარმოების, ბაზრების ან ტექნიკური განვითარების შეზღუდვა;

გ) სავაჭრო პარტნიორებთან არათანაბარი პირობების გამოყენება ერთგვაროვანი გარიგებების შემთხვევაში, რითაც მათ აყენებს არათანაბარ პირობებში კონკურენციის თვალსაზრისით;

დ) ხელშეკრულების წინაპირობად მეორე მხარისათვის ისეთი ვალდებულებების დაკისრება, რომელიც თავისი ბუნებით ან კომერციული დანიშნულებით არ უკავშირდება ხელშეკრულების საგანს. (ლაფაჩი & კუტივაძე, 2015, გვ. 46)

გასათვალისწინებელია, რომ კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“, რიგი ხარვეზების მიუხედავად, ითვალისწინებდა ანალოგიური შინაარსის დებულებებს, თუმცა სერიოზული პრობლემა იყო მეორადი კანონმდებლობა, მონოპოლიური მდგომარეობის განსაზღვრის კრიტერიუმები, აღსრულების პრაქტიკა და სხვა.

ექსპერტების აზრით, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისათვის საფრთხის შემცველია არა მხოლოდ ზედმეტი რეგულირება, არამედ რეგულირების უსაზღვრო ლიბერალიზაციაც (რასაც ადგილი

ჰქონდა საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ და რამაც სხვა დადებით თუ საკამათო შედეგებთან ერთად გამოიწვია არა კონკურენციული სამართლის ნორმებისა და მათი აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესება, არამედ მათი ფაქტობრივი გაუქმება). ასეთი მიდგომის ლოგიკური შედეგია მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ საშუალებებთან დაშვების გართულება ან შეზღუდული დაშვება, ისევე როგორც ბაზრებზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ფირმების არაკონკურენტული ქმედებები.

„არსებული მდგომარეობის შეფასება გვიჩვენებს, რომ დომინანტ კომპანიას, თუ იგი ქსელის ან მნიშვნელოვანი დამხმარე საშუალებების მფლობელია, საშუალება აქვს, რომ გააკონტროლოს სიტუაცია და გავლენა მოახდინოს ფასწარმოქმნის პროცესებზე, შესწევს უნარი:

- შეზღუდოს ქსელი ან შეამციროს მომწოდებელთა რაოდენობა;
- შეზღუდოს მომწოდებელთა კონკურენტუნარიანობა;
- შეამციროს მეტოქეობის სტიმულები პროვაიდერებს შორის.“ (ლორთქიფანიძე, 2014, გვ. 45-56)

მონოპოლიური ქცევის კონტროლის დღეს არსებული მექანიზმები არ უზრუნველყოფს:

ა) ბაზარზე შესასვლელი დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრას, შესვლისა და დამკვიდრების ხარჯების შემცირებას, რაც განაპირობებს ბაზრის მონაწილე ეკონომიკური აგენტების ამ შემთხვევაში მომსახურების მომწოდებელთა რაოდენობის ზრდას.

ბ) ბაზრის მონაწილეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას (პირიქით, მონოპოლიური ქმედებების, რომელიც არ წარმოადგენს საკანონმდებლო რეაგირების საგანს, ხშირად იწვევს დაუსაბუთებელი ხარჯების ზრდასა და ეკონომიკური სუბიექტების არათანაბარ პირობებში ჩაყენებას);

გ) ეკონომიკურ აგენტებს შორის კეთილსინდისიერი მეტოქეობის სტიმულების გაძლიერებას (პირიქით, გარკვეული ფირმებისათვის შექმნილი უპირატესობების, მომხმარებელთა შეზღუდული მობილობის (ძირითადად გამოწვეულია დომინანტის მხრიდან შემზღუდავი პირობებითა და მომწოდებლის შეცვლასთან დაკავშირებული სირთულეებით) და სხვა მიზეზების გამო.

„ყოველივე დასახელებული უარყოფითად აისახება პროდუქტის/მომსახურების ასორტიმენტზე, ხარისხსა და სარეალიზაციო ფასზე. ამდენად, საქართველოში სასაქონლო ბაზრების მონოპოლიზების ტენდენციების გაძლიერება მნიშვნელოვანწილად შედეგია შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების გაუქმების, ადმინისტრაციული უმოქმედობისა და არაეფექტიანობის, რაც ნათელს ხდის პრობლემის აქტუალობას და წარმოშობს ახალი საკანონმდებლო ინიციატივების ჩამოყალიბების აუცილებლობას; კერძოდ: დომინირებული ქცევის სახელმწიფო კონტროლის მექანიზმების სრულყოფას ევროგაერთიანების პრინციპების შესაბამისად და ამ მიზნით საქართველოს კონკურენციულ კანონმდებლობაში ევროგაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების 82-ე მუხლის ანალოგიური დებულებების დანერგვას. შესაბამისი დებულებები დადებით გავლენას მოახდენს როგორც ბაზრის განვითარებაზე, ასევე მომხმარებლის კეთილდღეობაზე (გაზრდილი არჩევანი, გაუმჯობესებული ხარისხი და შემცირებული ფასი). გასათვალისწინებელია ის, რომ დარგობრივი რეგულირების მექანიზმების გამოყენება უფრო მეტ დანახარჯებთან ასოცირდება (თუნდაც რეგულირების გადასახადის სახით), ვიდრე იგივე პრობლემის მონიტორინგი კონკურენციული კანონმდებლობის ფარგლებში, მით უფრო ბაზრის კონკურენციულ სეგმენტებზე.“

საქართველო ისწრაფვის ევროგაერთიანების სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ, არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, სხვა არაერთი ორმხრივი, რეგიონალური, მრავალმხრივი შეთანხმებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის (რომლებიც უზრუნველყოფენ თანამშრომლობას საერთაშორისო კონკურენციის სფეროში) მონაწილე სრულუფლებიანი წევრის ან დამკვირვებლის სტატუსით. ყოველივე ზემოაღნიშნული, დღის წესრიგში აყენებს საქართველოში კონკურენციული პოლიტიკის გაჯანსაღების აუცილებლობას და შესაბამისად ზრუნვას მისი ისეთი ელემენტების უზრუნველყოფაზე, როგორიცაა:

- კონკურენციის ცხადი და პროგნოზირებადი წესების არსებობა;
- მათ დაცვაზე ეფექტური სახელმწიფო ზედამხედველობა;
- აღსრულების სანდო და გამჭვირვალე პრაქტიკა.

კონკურენციული პოლიტიკის განმტკიცება ყველა ქვეყანაში განიხილება რეფორმების საკვანძო მიმართულებად, აღნიშნულზე მიუთითებს როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა ამ მიმართულებით, ასევე საზღვარგარეთის 100-ზე მეტი ქვეყნის კონკურენციული რეჟიმები და მათი განმტკიცების მიზნით გადადგმული ნაბიჯები.

„დღეისათვის ანტიმონოპოლიური რეგულირების სისტემა საქართველოში მხოლოდ ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებებით და ერთი დარგის ჩარჩოთი შემოიფარგლება. მიუხედავად იმისა, რომ კანონი საკმაოდ კარგად ფორმულირებულ დებულებებს შეიცავს და არეგულირებს საბაზრო ძალაუფლების მქონე პირთა ქცევის ნორმებს. დანახარჯების გათვალისწინებით ამ ინტერვენციებს ეფექტურს ვერ ვუწოდებდით, რადგანაც

ეფექტიანობა მარეგულირებელი ინტერვენციებისა, პირველ რიგში კომპანიებისათვის ბაზარზე შესასვლელი ბარიერების აღმოფხვრის, ახალი შემსვლელებისათვის ბაზარზე დამკვიდრების ხარჯების შემცირებაში გამოიხატება, რაც შესაბამისად აისახება სამომხმარებლო ფასებზე.“ (გრიგოლია, 2014, გვ. 162-166)

რეკომენდებულია, რომ მთავრობებმა უზრუნველყონ კონკურენციის კანონების მოქმედების არეალისა და ეფექტურობის ზრდა. ექსპერტების აზრით, ანტიკონკურენციული ქმედებების ეკონომიკური ეფექტის გათვალისწინებით მიზანშეწონილად ითვლება, რომ ანალოგიურ დარღვევებზე (რომელიც კონკურენციული სამართლის კლასიკური შემთხვევებია) რეაგირება განხორციელდეს ზოგადი კონკურენციული სამართლის ფარგლებშიც და არა მხოლოდ დარგობრივი რეგულირების ჭრილში, საჭიროების შემთხვევაში კი ამ ორი რეგულატორის მჭიდრო და კონსტრუქციული თანამშრომლობით. ასეთ შემთხვევებში კონკურენცია და დარგობრივი რეგულირება ურთიერთშემავსებლის და არა ურთიერთჩანაცვლებადის როლში განიხილება.

საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს კონკურენციული პოლიტიკა არ შეესაბამება ქვეყნის მიერ აღიარებული რეფორმების კურსს და სწრაფვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ. დღეისათვის ქვეყანას არ გააჩნია კონკურენციის პროცესების დამცავი ერთიანი საკანონმდებლო ბაზა, შესაბამისი ინსტიტუტი და აღსრულების სანდო პრაქტიკა. საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკა კონკურენციისა და მომხმარებელთა დაცვის სფეროში არ ითვალისწინებს კონკურენციისა და მომხმარებლის პრობლემებს საქართველოში და მათი გადაჭრის მექანიზმებს კონკურენციული კანონმდებლობის ფარგლებში; არ შეესაბამება ქვეყნის საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს და საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ბიზნესის შემზღუდავი პრაქტიკის სახელმწიფო კონტროლის (მათ შორის მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციისა და ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა და გაეროს) წესებსა და პრინციპებს, რომლებიც სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღონ, სრულყონ და ეფექტურად განახორციელონ შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, დააფუძნონ კანონმდებლობა კონკურენციის შემზღუდავი ქმედებების აღკვეთისა და ეფექტური რეგულირების პრინციპებზე, უზრუნველყონ არადისკრიმინაციული მიდგომა ყველა საწარმოსადმი, სრულყონ კანონის იძულებითი აღსრულების ღონისძიებები;

ასეთ ვითარებაში, არსებობს სერიოზული საფრთხე, რომ კონკურენციული პოლიტიკის გაჯანსაღების გარეშე საქართველოს ბაზარი შესაძლოა განვითარდეს კლანური პრინციპით და გადაიქცეს უკვე დამკვიდრებული ძალების ანტიკონკურენტული ქმედებების ასპარეზად.

„პრობლემის აქტუალობაზე მიუთითებს ანტიმონოპოლიური რეგულირების სფეროში კანონის აღსრულების როგორც ქართული, ასევე უცხოური პრაქტიკა და საქართველოს სასაქონლო ბაზრებზე შექმნილი მდგომარეობა, რაც ბაზრების მონოპოლიზაციის ტენდენციებსა და მომხმარებელთა უფლებების იგნორირების ფართო მასშტაბებში გამოიხატება. მარეგულირებელი რეჟიმის ლიბერალიზაციის ტემპებისა და მასშტაბების, ასევე დარგობრივი რეგულირების არასათანადო ეფექტურობის ფონზე ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია „სოციალურად მგრძნობიარე სფეროებში“, როგორიცაა ტრანსპორტი, კომუნიკაციები, წყალმომარაგება, ენერგორესურსების მიწოდება და სხვა. მით უმეტეს რომ კონკურენციის შესახებ ქვეყნის კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს შესაბამის ამკრძალავ და პრევენციულ ნორმებს.“ (პავლიაშვილი & ჯანგულაშვილი, 2014, გვ. 12-20)

სამართლებრივი და ინსტიტუციური ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს კონკურენციული კანონმდებლობა საჭიროებს სერიოზულ გადამუშავებასა და სრულყოფას ევროგაერთიანების კონკურენციული სამართლის ნორმების და მისი ახალი წევრების და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე ჩვენი აქტიური მხარდამჭერი ქვეყნების (ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, პოლონეთის და სხვა) უახლესი გამოცდილების გათვალისწინებით.

„ჯანსაღი კონკურენცია ასევე სახელმწიფოს ინტერესებშიც შედის, იმის გარდა, რომ კონკურენცია ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარებას, ფასის კლებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაზრდას, რაშიც თავად ორგანიზაციები იღებენ მონაწილეობას, ჯანსაღი და ძლიერი კონკურენცია ასევე დიდ როლს თამაშობს სახელმწიფოს მშპ-ის (მთლიანი შიდა პროდუქტის) სტაბილურობაში. მონოპოლიის შემთხვევაში, მონოპოლისტ კომპანიას მშპ-ის მნიშვნელოვანი წილი უჭირავს ამა თუ იმ დარგში, ამიტომ ხშირად სახელმწიფო ვალდებულია მშპ-ის დონის შესანარჩუნებლად გარკვეულ დათმობებზე წავიდეს, ხელი შეუწყოს გარკვეულწილად კომპანიას განვითარებაში, რათა არ მოხდეს ამ კომპანიის გაკოტრება, რათა მშპ-ის არ მიადგეს მნიშვნელოვანი ზიანი. ამიტომ რაც უფრო მძაფრია კონკურენცია, მით უფრო მცირეა ამა თუ იმ კომპანიის ხვედრითი წილი მშპ-ში. შესაბამისად, ერთი კომპანიის გაკოტრებით მის წილს მთლიანად იკავებს ან იყოფენ სხვა კონკურენტი კომპანიები და მშპ-ს მნიშვნელოვანი ზიანი არ ადგება. სწორედ ეს და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებია იმის

საწინდარი, რომ სახელმწიფო ყველანაირად უნდა ცდილობდეს შექმნას ბიზნესის წარმოებისთვის კარგი გარემო, მოიზიდოს ინვესტორები, შექმნას თავისუფალი ბაზარი და კონკურენტული გარემო.“ (ჭიაბერაშვილი, 2011)

კონკურენციის სააგენტოს საქმიანობა საქართველოში. „კონკურენციის როლსა და მნიშვნელობას განამტკიცებს ქვეყნის უზენაესი კანონი - კონსტიტუცია, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. ნიშანდობლივია, რომ 2017 წელს საქართველოში კონკურენციის პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული რეალიზაციის 25 წელი შესრულდა. 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქვეყანამ პირველი ნორმატიული აქტი მიიღო კონკურენციის სფეროს რეგულირებასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, საქართველოს კონკურენციის სააგენტო, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თავისი დაფუძნებიდან ჯერ მხოლოდ 3 წელს ითვლის. კონკურენციის სააგენტო საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საზოგადოების წინაშეა ანგარიშვალდებული. სააგენტოს ძირითად ამოცანას კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენტული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა წარმოადგენს.“ (საქართველოს კონკურენციის სააგენტო, 2018, გვ. 3)

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფო სტრუქტურების აქტიური მონაწილეობის შედეგად ამოქმედდა კონკურენციის სააგენტო და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდა მისი დებულება. კონკურენციის სააგენტო არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული თავმჯდომარე. კონკურენციის სააგენტო ანგარიშვალდებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საზოგადოების წინაშე. სააგენტოს მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა. კონკურენციის სააგენტო 4 სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან შედგება: კონკურენციის დეპარტამენტი; ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტი; სამართლებრივი და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფის დეპარტამენტი; ადმინისტრაციული დეპარტამენტი. ახალგაზრდა კონკურენციის სააგენტომ მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაო განახორციელა: მოიკვლია საქონლისა და მომსახურების 20-მდე ბაზარზე არსებული მდგომარეობა, განახორციელა 6 ბაზრის მონიტორინგი, გაიცა 60-ზე მეტი რეკომენდაცია, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ისე ეკონომიკური აგენტების მიმართ.

„კონკურენციის სააგენტოს მიერ დასრულებულ მოკვლევებს შორისაა ხორბლის ფქვილის ბაზარზე განხორციელებული მოკვლევა, კერძოდ: 2016 წლის 25 იანვარს დასრულდა მოკვლევა საქართველოს ხორბლისა და პურპროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია „გლობალაგროს“ წევრების მიერ „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის 9 კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და შეთანხმებული ქმედება) სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. მოკვლევის პროცესში დამუშავდა სახელმწიფო სტრუქტურებიდან და ეკონომიკური აგენტებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია (ხორბლის/ფქვილის იმპორტი, ადგილობრივი წარმოება, რეალიზაცია, ფასების შედარება და ა.შ.), დეტალურად გაანალიზდა „გლობალაგროს“ მიერ წარმოდგენილი ასოციაციის წესდება. სააგენტოს გადაწყვეტილებით 2013 წლის შემდგომ ხორბლის ფქვილის ბაზრის გახსნილობა, ბაზარზე ახალი, ძლიერი კომპანიების შემოსავლა, სარეალიზაციო ფასების კუთხით აქტიური მეტოქეობა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ამ ბაზარზე არის კონკურენტული გარემო და არ არსებობს მტკიცებულებები „გლობალაგროს“ წევრ კომპანიებს შორის კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანმხებების არსებობის დასადასტურებლად.“ (ფეტელავა & გოგიაშვილი, 2013, გვ. 462-468)

2016 წლის 28 მარტს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა მოკვლევა, რომელიც მიმდინარეობდა შპს „დუთი ფრი ჯორჯიას“ საჩივრის საფუძველზე სს „თბილისის თამბაქოს“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტზე. საჩივარი ეხებოდა მოპასუხე სს „თბილისის თამბაქოს“ მხრიდან თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების მფლობელი კომპანიების მიმართ არათანასწორი მოპყრობის სავარაუდო ფაქტს და პროდუქციის მიწოდებაზე ექსკლუზიური ხელშეკრულების გაფორმების საკითხს. ინფორმაციის გამოთხოვისა და მონაცემთა ანალიზის, ახსნა-განმარტების სხდომების გამართვისა და საერთაშორისო პრაქტიკის დამუშავების გარდა, ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტის ჩანაცვლებადობის დადგენის მიზნით მოკვლევის ჯგუფის მიერ ჩატარდა ე.წ. Duty Free პუნქტების მომხმარებელთა გამოკითხვა, რის საფუძველზეც მოკვლევის ჯგუფმა მიიჩნია, რომ სიგარეტი „პირველი“ და ზოგადად ქართული წარმოების ფილტრიანი სიგარეტი არ ქმნის ცალკე ბაზარს და

შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულ იქნა ფილტრიანი სიგარეტის ბაზარი. როგორც გაირკვა სს „თბილისის თამბაქოს“ წილი შესაბამის გეოგრაფიულ ბაზარზე მნიშვნელოვნად ჩამორჩება დომინირებული მდგომარეობის არსებობის დასადასტურებლად საჭირო მაჩვენებელს და დადგინდა, რომ განსახილველი ქმედების დროს და არც შემდგომ სს „თბილისის თამბაქოს“ არ გააჩნდა დომინირებული მდგომარეობა, ამიტომ შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას და, რომ კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

„სამედიცინო მომსახურების სფეროში არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტის შესახებ 2016 წლის 14 სექტემბერს სააგენტომ მიიღო შეტყობინება, „ს. ვირსალაძის სახ. სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ შესახებ. საკითხი შეეხებოდა შპს „სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტის მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11 მუხლის (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) სავარაუდო დარღვევის ფაქტს, არასწორი ცნობების გავრცელებას მომჩივანის მისამართისა და კოლექტივის ცვლილების შესახებ. ასევე ადგილი ჰქონდა კვლევითი ინსტიტუტის ლოგოს გამოყენებას, როგორც საქპატენტში რეგისტრაციამდე, ისე რეგისტრაციის შემდეგ. მითითება კეთდებოდა პარაზიტოლოგიის ინსტიტურის მიერ 90 წლიანი ტრადიციის გაგრძელებაზე, მაშინ როდესაც ინსტიტუტი შეიქმნა 2015 წელს. ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლიობა მომხმარებელს უქმნიდა არასწორ წარმოდგენას მომჩივანი კომპანიის საქმიანობის შესახებ. მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს განესაზღვრა ვალდებულება, რომ უზრუნველეყო კანონდარღვევის აღმოფხვრა. მოპასუხე სამედიცინო ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ შეასრულა სააგენტოს გადაწყვეტილება.“ (გრიგოლია, 2014, გვ. 162-166)

რაც შეეხება მიმდინარე მოკვლევებს, 2016 წლის ივნისში კონკურენციის სააგენტოს მიერ დაწყებულია მოკვლევა სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მოთხოვნათა შესაძლო დარღვევის ფაქტის შესახებ, რომელიც მიმდინარეობს 14 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი საჩივრის საფუძველზე.

შპს „აიტექნიკის“ საჩივრის საფუძველზე 2016 წლის სექტემბერში კონკურენციის სააგენტომ დაიწყო მოკვლევა შპს „ელფ სითის“, შპს „აიპლუსის“ და შპს „აისტაილის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და შპს „აიპლუსის“ მიერ კანონის 11 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

2016 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ განიხილა 3 შეტყობინება მოსალოდნელი კონცენტრაციის შესახებ და 1 განცხადება სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის თაობაზე.

2017 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტოში, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში, სულ აღირიცხა 1107 შემოსული და 1712 გასული წერილი; განხორციელდა 504 შიდა კორესპონდენცია და გამოცემულ იქნა 364 ბრძანება. ამავე წელს, სააგენტო ახორციელებდა 6 საქონლის/მომსახურების ბაზრის მოკვლევას, რომელთაგან 5 დასრულდა 2017 წელს; სააგენტომ გასცა 10 რეკომენდაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტების მიმართ, შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით; საანგარიშო პერიოდში, სააგენტოში მიმდინარეობდა საქონლის/მომსახურების 5 ბაზრის მონიტორინგი; 2017 წლის განმავლობაში, კონკურენციის სააგენტომ განიხილა მოსალოდნელი კონცენტრაციის 2 შეტყობინება და 1 განცხადება სახელმწიფო დახმარების თაობაზე; სააგენტოში წარმოდგენილი 3 განცხადება/საჩივარი, კანონმდებლობით დადგენილი ფორმის დაუცველობისა და ხარვეზის შეუვსებლობის საფუძვლით, განუხილველად იქნა დატოვებული.

2017 წელს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ დაასრულა 5 საქონლის/მომსახურების ბაზრის მოკვლევა. ხსენებული 5 მოკვლევიდან, 1 დაწყებულ იქნა სააგენტოს ინიციატივით, ხოლო 4 - სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე.

ფოთის პორტის საქმეზე განხორციელებული მოკვლევა.

„სს ,,კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ (შემდეგში - ფოთის პორტი) მიერ ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის (დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) სავარაუდო დარღვევის თაობაზე მოკვლევა დაწყებულ იქნა ფოთში მოქმედი 14 სატერმინალო კომპანიის ერთობლივი საჩივრის საფუძველზე. მოგვიანებით, მომჩივანთა მოთხოვნა გაიზიარა და სააგენტოს დამატებითი ინფორმაცია წარმოუდგინა ექვსმა საზღვაო ხაზმაც. საჩივარი შეეხებოდა ფოთის პორტის მიერ გამოცემულ, 2016 წლის პირველი ივლისიდან ასამოქმედებელ ბრძანებას, რომელიც გულისხმობდა ფოთის პორტის მხრიდან საზღვაო ტვირთის (კონტეინერის) გემიდან სატრანსპორტო საშუალებაში გადმოტვირთვის, პორტის კუთვნილ ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისა და აღნიშნულ ტერიტორიაზე დასაწყობების მომსახურებებზე ერთიანი, ინტეგრირებული ტარიფის დაწესებას. სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2016 წლის 24 ივნისის დროებითი

განჩინებით, მოკვლევის დასრულებამდე შეაჩერა ფოთის პორტის ხსენებული ბრძანების ამოქმედება.“ (საქართველოს კონკურენციის სააგენტო, 2017) მოკვლევის პროცესში, სააგენტომ გამოითხოვა ყველა საჭირო ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებისა და შესაბამისი ეკონომიკური აგენტებისგან; განხორციელდა ახსნა-განმარტებების მიღება მომჩივანი სატერმინალო კომპანიების, ფოთის პორტის, საზღვაო ხაზებისა და გადამზიდავი სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენლებისგან; სათანადო კონსულტაციები მიღებული იქნა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან; ასევე, სიტუაციის ადგილზე გაცნობის მიზნით, მოკვლევის ჯგუფის წევრები მივლენილ იქნენ ფოთის პორტსა და სატერმინალო კომპანიებში. საქმის გარემოებების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, სააგენტომ მიიჩნია, რომ ფოთის პორტის მხრიდან დაგეგმილი „ახალი სქემის“ ამოქმედებით შეიზღუდებოდა ნავსადგურიდან გარე ტერმინალებში კონტეინერების სატრანსპორტო გადაზიდვისა და სატერმინალო მომსახურების ბაზრები ისეთი ფორმით, რომელიც საზიანო იქნებოდა მომხმარებლის ინტერესებისათვის. სააგენტომ იმსჯელა შეზღუდვის გამართლების საკითხებზეც, უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების ასპექტში, თუმცა მიიჩნია, რომ ხსენებული ფორმით კონკურენციის შეზღუდვის ობიექტური გამამართლებელი გარემოებები სახეზე არ იყო. ამდენად, სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 21 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების შესაბამისად, დადგინდა, რომ დაგეგმილი სახით კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემის ამოქმედება გამოიწვევდა ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ და ,,დ“ ქვეპუნქტების დარღვევას. თუმცა, განხილულ შემთხვევაში, არ დადასტურდა ფოთის პორტის მხრიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტი, ვინაიდან კონკურენციის საწინააღმდეგოდ მიჩნეული კონტეინერების გადამუშავების ახალი სქემის ამოქმედება არ მომხდარა. ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების, ასევე, ფოთის პორტის უსაფრთხოებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ფოთის პორტს, საზღვაო ხაზებსა და ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიას სააგენტომ შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინა.

კონცენტრაცია.

2017 წლის 6 ოქტომბრის ბრძანებით, კონკურენციის სააგენტომ დაამტკიცა გადაწყვეტილება „ცემენტ ინვესტ ბი ვის” მიერ „ჰაიდელბერგ ცემენტ სენტრალ იუროფ ისთ ჰოლდინგის“ წილთა შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკრეტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ. მიღებული დოკუმენტაციისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, შესაბამის დაწესებულებათა წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად, სააგენტოს მიერ განისაზღვრა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობა და მათი წილობრივი მონაცემები. კომპანიათა წლიური ბრუნვის მიხედვით, გამოთვლილ იქნა კონცენტრაციის დონე შესაბამის ბაზარზე. სააგენტომ გამოითხოვა საჭირო ინფორმაცია, როგორც კონცენტრაციის მონაწილე მხარეებისაგან, ასევე იმ ეკონომიკური აგენტებისაგან, რომლებიც საქმიანობდნენ ცემენტის სასაქონლო ბაზარზე. მიღებული მასალების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მოსალოდნელი კონცენტრაციის განხორციელების შედეგად, შესაბამის ბაზარზე არ შეიცვლებოდა კონცენტრაციის დონე და კონცენტრაცია არ შეზღუდავდა ეფექტიან კონკურენციას. ამდენად, სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტის“ კონცენტრაცია.

2017 წლის 4 დეკემბერს საქართველოს კონკურენციის სააგენტომ თანხმობა გასცა შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტის“ კონცენტრაციაზე, რაც გულისხმობდა შპს „ალტას“ მიერ შპს „მეტრომარტის“ 50% წილის შეძენას. სააგენტოს გადაწყვეტილება დაეფუძნა მიღებული დოკუმენტაციის ანალიზის, საერთაშორისო პრაქტიკის დამუშავებისა და შესაბამის ბაზარზე არსებული ვითარების შესწავლის შედეგებს. შპს „ალტასა“ და შპს „მეტრომარტის“ კონცენტრაციის წინასწარ შეტყობინებაში ელექტრო საქონლის სასაქონლო ბაზარი დაყოფილი იყო „თეთრი“ და „შავი“ ტექნიკის სახით და შესაბამისად, წარმოდგენილ იქნა ფაქტობრივი ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ამ სახის საქონლის იმპორტს. სააგენტომ, შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაადგინა ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილები და კონცენტრაციის დონე, რომელიც გამოითვალა საცალო და საბითუმო სფეროს კომპანიათა წლიური ერთობლივი შემოსავლების მიხედვით. საბოლოოდ დადგინდა, რომ შესაბამის ბაზარზე კონცენტრაციის დონე მნიშვნელოვნად არ იცვლება და კონცენტრაცია არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას. ამდენად, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ და გასცა შესაბამისი თანხმობა.

ბიბლიოგრაფია:

გოგიაშვილი, შ., & ფეტელავა, ს. (2013 წლის დეკემბერი). ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა კონკურენციული სამართლის დარღვევისათვის. *ეკონომისტი* (6), 25-34.

გრიგოლია, ნ. (2014). კონკურენციული პოლიტიკა და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. *სეუ და მეცნიერება - SEU and Science* (1), 162-166.

იობაშვილი, თ. (2014). ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ამოქმედდა. *აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები.* (9 (177)), 25-28.

კვირკვაია, მ. (2013). ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული სახელმძღვანელო. *ახალი ეკონომისტი* (4), 86.

ლაფაჩი, ქ., & კუტივაძე, ნ. (2015). *კონკურენციის მარეგულირებელი ინსტიტუციური ჩარჩო საქართველოში.* მომზადებულია ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს მიერ. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://eugbc.net/wp-content/uploads/2015/04/Publication-on-Competition-Geo.pdf

ლექვინაძე, ი. (2014 წლის თებერვალი). როგორი უნდა იყოს ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა. *Forbes Georgia* (27), 20-23.

ლორთქიფანიძე, რ. (2014 წლის ნოემბერი-დეკემბერი). რაციონალური ანტიმონოპოლიური პოლიტიკა - ადამიანთა ცხოვრების საუკეთესო ხარისხისათვის. *ეკონომიკა და ბიზნესი* (6), 45-56.

პავლიაშვილი, ს., & ჯანგულაშვილი, ლ. (2014). საქართველოს ანტიმონოპოლიური საქმიანობის გენეზისი, პრობლემები და პერსპექტივიები. *მეცნიერება და ცხოვრება* (N2(10)), 12-20.

საქართველოს კონკურენციის სააგენტო. (2018). *2017 წლის ანგარიში.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://competition.ge/images/upload/ანგარიში%202017.pdf

საქართველოს კონკურენციის სააგენტო. (2017). *2016 წლის ანგარიში.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://competition.ge/images/upload/წლიური%20ანგარიში.pdf

საქართველოს კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ 1996. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/31462?publication=3

ფეტელავა, ს. (2009). ანტიმონოპოლიური პოლიტიკის არსი და ამოცანები. *ახალი ეკონომისტი* (2), 10-14.

ფეტელავა, ს., & გოგიაშვილი, შ. (2014 წლის ოქტომბერი-ნოემბერი). ანტიმონოპოლიური და დარგობრივი რეგულირების ასპექტები. *ეკონომისტი* (5), 22-32.

ფეტელავა, ს., & გოგიაშვილი, შ. (2013). *ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკა.* (მ. ჩავლეიშვილი, რედ.) თბილისი: ახალი საქართველო.

ჭიაბერაშვილი, დ. (2011). კონკურენცია და მისი როლი თანამედროვე ბიზნესში. *ბიზნესი და მენეჯმენტი* (1(28)). მოძიებულია ვებგვერდიდან: http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=4&mas=1167

Nino Orjonikidze, Manana Japiashvili

Gori State Teaching University

COMPETITIVE POLICY AND ANTIMONOPOLY REGULATION IN GEORGIA

RESUME

Competitive policy-making and implementation is one of the important functions of the modern state that characterizes not only those that already have a socially oriented market economy but also those (including Georgia) that are currently building such an economy. Antitrust policy is necessary because, as a result of the restriction of competition by monopolies, society suffers economic and social losses, and the process of developing a market economy is delayed. These losses are reflected in higher (monopolistic) prices for consumer goods; Monopolists for maintaining high prices for goods by restricting or stopping the release of certain types of products, or suspending or restricting the import of certain goods for the same purposes; Artificially bankrupt small businesses, which leads to job cuts and deteriorating social backgrounds.

Keywords: Competition, Monopoly, Quality, Barrier, Mobility, Liquidation.

ნათია ჟოჟუაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ეკონომიკის ციფროვიზაციის პლატფორმა და მისი როლი თანამედროვე მსოფლიოში

საკვანძო სიტყვები: ციფრული, ტექნოლოგიური განვითარება, კრიპტო, ბიტკოინი.

შესავალი

ციფრული საუკუნე, რომელიც გასული საუკუნის შუა წლებში დაიწყო, საფუძვლად დაედო „მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას'', რომელიც კლასიკური წარმოების ციფრულ ტექნოლოგიებთან შერწყმას გულისხმობს. დღეს ციფრული ტექნოლოგიები ხელს უწყობს ბიზნესის და საზოგადოების სწრაფ გარდაქმნას, წარმოადგენს ეკონომიკის ინტეგრალურ ნაწილს. პირველი ინდუსტრიული რევოლუციის დროს ორთქლისა და წყლის ძალამ წარმოების მექანიზირების საშუალება მისცა საზოგადოებას. მეორე რევოლუციამ ელექტროენერგიის წყალობით, მასიური წარმოება მოიტანა. მესამე ინდუსტრიული რევოლუციის დროს ელექტრონიკამ და ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა წარმოების ავტომატიზირება მოახდინეს. ახლა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის დრო დგება, რომელიც ტექნოლოგიების განვითარებით ხასიათდება და რომელიც შლის საზღვრებს ფიზიკურ, ციფრულ და ბიოლოგიურ სფეროებს შორის. ეკონომიკის ციფროვიზაციის პლატფორმა დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის მომავალ როლს და ადგილს თანამედროვე მსოფლიოში. ციფრული ეკონომიკა კაცობრიობის ტექნოლოგიური და შემეცნებითი ევოლუცია და მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ხდება. კაცობრიობა შედის ციფრულ ერაში და ალბათ უახლოეს მომავალში ხელოვნური ინტელექტი განსაზღვრავს დიდწილად კაცობრიობის მომავალს. საკითხის გლობალური კონტექსტიდან გამომდინარე, დღეს ეკონომიკის განვითარების მთავარ სტრატეგიად უნდა იქცეს ქვეყნის დაჩქარებული ინტეგრირება გლობალურ ტექნოლოგიურ ტენდენციებში.

კრიპტოგრაფია გამოიყენება 1990 წლიდან. პირველად დევიდ ჩომი (David Chaum) ქმნის სისტემას DigiCash, ხოლო 90-იანი წლების ბოლოს პროგრამისტმა ვეი დაიმ (Wei Dai) დაწერა კრიპტოსავალუტო პროგრამა. აქვე აღვნიშნავთ ნიკ ზაბოს (Nick Szabo). ეს ორი გვარი ყოველთვის მოიხსენიება ციფრული ვალუტის ისტორიაში. ბიტკოინი არის 1998 წელს შექმნილი PayPal ონლაინ სისტემის გაგრძელება. ამ სისტემაში ტრანზაქციებს მინიმალური ღირებულება აქვთ. Google-ს დირექტორთა საბჭოს თავჯდომარემ, ერიკ ემერსონ შმიდტმა (Schmidt) და ამავე კომპანიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ჯარედ ქოენმა (Jared Cohen) 2013 წელს გამოსცეს წიგნი: „ახალი ციფრული ეპოქა" (The new digital age: reshaping the future of people, nations and business)., სადაც საუბარია კიბერვალუტის საყოველთაო ხელმისაწვდომობასა და კიბერრისკებზე. შმიდტმა და ქოენმა ამ წიგნის გამოცემამდე ჟურნალ Foreign Affairs-ში (Novemb./Decemb. 2010, pp. 75-85) ერთობლივ წერილში იმსჯელეს ინტერნეტის გავრცელებასა და ახალ კომპიუტერულ საფრთხეებზე. ვირტუალური ვალუტის იდეა არსებობდა ამერიკელი ფანტასტიკოსის, ნილ თაუნ სტივენსონის რომანში „კრიპტონომიკონი" (Neal Town Stephenson. Cryptonomicon, 1999), რომელმაც 2000 წელს მიიღო ლოკუსის პრემია (The Locus Poll).

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან და 90–იანი წლებიდან ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობის მკვეთრ ზრდასთან ერთად ჩნდება ციფრული ვალუტები, რომელთა მეშვეობითაც ვირტუალურ საზოგადოებაში საქონლისა და მომსახურების გაცვლაა შესაძლებელი. **ბლოკჩეინი**, რომელიც წარმოადგენს ტექნოლოგიას ელექტრონული ფულის – **Bitcoin**-ის მიღმა თანდათან ხდება მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის სიმბოლო. ბლოკჩეინის ტექნოლოგია დაფუძნებულია შუამავლების გაქრობის იდეაზე, რაც ცხადია **Uber**-ის, **Airbnb**-ის და **TaskRabbit**-ის ცენტრალიზებული ბიზნეს მოდელების მქონე ინტერნეტ პლატფორმებს მნიშვნელოვნად შეცვლის. ბიტკოინის ინფრასტრუქტურას სჭირდება სამი რამ: გაცვლა (ბირჟა), რათა მოხდეს სხვა ვალუტების ღირებულების გადადინება ციფრულ ვალუტაში, გადახდების წარმოება, რაც თავის მხრივ ზრდის ბიტკოინისადმი ნდობას და ბიტკოინის საფულეები. მსოფლიოს უმსხვილესი საინვესტიციო ბანკები და კორპორაციები დაინტერესებულნი არიან ბლოკჩეინის ტექნოლოგიით. ძირითადი მიზეზი კი ამ ტექნოლოგიის მიერ ტრანზაქციების ხარჯის რადიკალურად შემცირების პერსპექტივაა. სწორედ ამიტომ 2015 წლიდან დაიწყო კონსორციუმი, რომელსაც უძღვება კომპანია **R3** და მისი მიზანია ბლოკჩეინის ტექნოლოგიის გამოყენების კვლევა/განვითარება. ამ კონსორციუმს უკვე შეუერთდა წამყვანი კორპორაციები,

როგორებიცაა: **Goldman Sachs, JP. Morgan, UBS, Credit Suisse, Barclays, BBVA, Bank of America, Citi Group, Deutsche Bank, HSBC, Morgan Stanley, Societe Generale, Wells Fargo** და სხვა. არსებობს კრიპტოლოგიური გამოკვლევების საერთაშორისო ასოციაცია **(International Association for Cryptologic Research),** რომლის საიტია: **http://www.iacr.org**. მას აქვს თავისი ჟურნალი **Journal of Cryptology (www.iacr.org/jofc/)**, რაც იმის დასტურია, რომ ელექტრონულ ვალუტას აქვს პერსპექტივა და ამის შესწავლას ეძღვნება მრავალი შეხვედრა, რაც ამ ასოციაციის საიტზეა განთავსებული. უნდა აღინიშნოს, რომ უკვე 2000 წლიდან ევროკავშირი იწყებს „ელექტრონული ფულის ინსტიტუტების ბიზნესის“ ზედამხედველობას, თუმცა, ახალი ტიპის ვირტუალური ვალუტის ე.წ კრიპტოგრაფიული ვალუტის (როგორიცაა, bitcoin) გაჩენამ 2009 წელს და მისი პოპულარობის ზრდამ ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა საბანკო სისტემები.

ბიტკოინი ციფრული ვალუტის სახეობაა, რომელიც ელექტრონულად იქმნება და ელექტრონულად ინახება. ტრადიციული ვალუტებისგან განსხვავებით, რომლებსაც ბეჭდავენ (მაგ.: დოლარი, ევრო), ბიტკოინს აწარმოებენ ფიზიკური პირები ან კომპანიები სპეციალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, რომლებიც, თავის მხრივ, მათემატიკური ამოცანების/ალგორითმების ამოსახსნელად შეიქმნა. 2009 წელს, როდესაც ეკონომიკური კრიზისი დასავლეთში პიკს აღწევდა, კომპიუტერული პროგრამების დეველოპერმა სატოში ნაკამოტომ (Satoshi Nakamoto) (მიიჩნევა, რომ ეს ან ფსევდონიმია, ან პროგრამისტთა ჯგუფის სახელი) გამოიგონა ბიტკოინი. ეს არის მათემატიკურ ალგორითმებზე დაფუძნებული ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემა. მთავარ მიზანს წარმოადგენდა ისეთი ვალუტის შექმნა, რომელიც იქნებოდა აბსოლუტურად დამოუკიდებელი ნებისმიერი ცენტრალური მარეგულირებელი ინსტიტუტისგან, ელექტრონულად გაგზავნადი, წამიერი სისწრაფის ტრანზაქციებით და ძალიან დაბალი საკომისიო მოსაკრებლით. ბიტკოინით, მსგავსად ტრადიციული ვალუტებისა (დოლარი, ევრო, იენი და ა.შ.) შესაძლებელია სხვადასხვა პროდუქტის თუ სერვისის ელექტრონულად შესყიდვა. თუმცა განსხვავებით ჩვეულებრივი ვალუტებისგან ბიტკოინი გამოირჩევა დეცენტრალიზებით. ბიტკოინის ქსელის გაკონტროლება არცერთ ინსტიტუციას არ შეუძლია. აღნიშნული მახასიათებელი ბიტკოინის მომხმარებლებს მნიშვნელოვნად უმარტივებს ტრანზაქციების პროცესს, რადგან აბსოლუტურად დამოუკიდებელს ხდის მას მსხვილი ბანკებისგან. ბიტკოინი არ ეფუძნება ოქროს. ბიტკოინი ეფუძნება მათემატიკას. ბოლო პერიოდში - (2017-2018 წწ) ვერცერთი აქტივი ვერ შეედრება კრიპტოვალუტას. სულ მცირე, 12 თვეში მათი საერთო კაპიტალიზაცია გაიზარდა 18 მილიარდიდან - 835 მილიარდამდე და ეს მოხდა ძალიან სწრაფად. დღეისათვის არსებობს 1500-მდე სხვადასხვა ციფრული ვალუტა. ამ მოვლენას ჰყავს როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. უორენ ბაფეტი მიიჩნევს, რომ ეს არაა ვალუტა და გადახდის საშუალება და მას ვერ ხედავს მიმოქცევაში უახლოესი 10-20 წლის განმავლობაში. ნობელიანტმა ეკონომისტმა (2008), პოლ კრუგმანმა ასევე ნეგატიურად შეაფასა ბიტკოინი. პროგნოზისტმა ნურიელ რუბინიმ (Roubini) აღნიშნა, რომ ბიტკოინი სულაც არ არის ვალუტა და ის წარმოადგენს ფინანსურ პირამიდას. Bundesbank-ის (გერმანიის ფედერალური ბანკის) პრეზიდენტმა, იენს ვაიდმანმა (Jens Weidmann) ბიტკოინისადმი ინტერესი სპეკულაციური მოტივით ახსნა.

ბიტკოინის ბირჟებზე – Kraken, BTC.com, Cryptsy უკვე საკმაოდ დიდი კაპიტალი გაჩნდა. განვიხილოთ სხვადასხვა ქვეყნების მიდგომები ვირტუალური ვალუტის რეგულირების თვალსაზრისით. ევროპის ცენტრალური ბანკი - 2013 წლის დეკემბერში EBA-მ გადაწყვიტა გამოეცა გაფრთხილება ვირტუალური ვალუტის (მათ შორის Bitcoin) მომხმარებლებისთვის. ამ გაფრთხილებაში ხაზი გასმულია იმ შესაძლო რისკებზე, რომელიც ემუქრება მომხმარებელს ვირტუალური ვალუტის ყიდვისას, შენახვისას ან ვირტუალურ ვალუტით ვაჭრობისას. გერმანიის ფინანსთა ფედერალურმა სამინსტრომ აღიარა ბიტკოინი და უწოდებს ბიტკოინს როგორც “აღრიცხვის ერთეულს“ (units of account) და „კერძო ფულს“. აშშ წარმოადგენს ბიტკოინების ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბაზარს. 2013 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, ეს იყო პირველი ქვეყანა, რომლის სასამართლომაც გარკვეული განმარტებები გააკეთა ვირტუალურ ვალუტასთან დაკავშირებით. მოსამართლის განაჩენით, „ბიტკოინი შესაძლებელია გამოყენებული იყოს როგორც ფული. მისი საშუალებით შესაძლებელია საქონლის ან მომსახურების შეძენა. ის შესაძლებელია ასევე გადაცვლილი იქნას ჩვეულებრივ ფულზე. 2009 წლის ივნისში ჩინეთის ვაჭრობის სამინისტრომ კულტურის სამინისტროსთან ერთად გამოსცა პირველი ოფიციალური ნორმა, რომელიც არეგულირებს ვირტუალური ვალუტის გამოყენებას. ამ ნორმის მიხედვით, ვირტუალური ვალუტით, რომლის გადაცვლა რეალურ ფულზე შესაძლებელია განსაზღვრული კურსით, დასაშვებია მხოლოდ ამ ვალუტის გამომშვების ვირტუალური საქონლისა ან მომსახურების შეძენა. ასევე, ამავე ნორმით აიკრძალა ვირტუალური ვალუტით აზარტული თამაშები და არასრულწლოვანებისთვის ვირტუალური ვალუტის მიყიდვა (Ministry of Commerce of People’s Republic of China, 2009). **ჩინური უმსხვილესი ბიტკოინ-ბირჟა არის Huobi.** ევროპული ქვეყნებისა და აშშ-გან განსხვავებით ტაილანდის ცენტრალურმა ბანკმა

გამოაცხადა ბიტკოინი არალეგალურად. ინფორმაცია გავრცელდა ტაილანდში არსებული კომპანიიდან, რომელსაც აქვს ბიტკოინების სავაჭრო პლატფორმა. აღნიშნულმა კომპანიამ ტაილანდის ცენტრალურ ბანკში გამართულ შეხვედრაზე მიიღო მითითება, რომ ბიტკოინი არ არის ლეგალური, რის გამოც აღნიშნულმა კომპანიამ შეაჩერა საქმიანობა. თუმცა, სხვა მსგავსი კომპანიები განაგრძობდნენ საქმიანობას ტაილანდში. მოგვიანებით "Bitcoin Co"-მ ცენტრალური ბანკიდან მიიღო წერილი, რომ მას შეუძლია აღადგინოს საქმიანობა, თუმცა ბიტკოინის სამართლებრივი სტატუსი კვლავ გაურკვეველი რჩება. 2014 წლის 3 ოქტომბერს რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცვლილებების კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც რუსეთის ტერიტორიაზე იკრძალება ოპერაციები ფულადი სუროგატების (რომელიც მოიცავს ვირტუალურ ვალუტასაც) საშუალებით. ამავე კანონპროექტით ფულადი სუროგატების გამოშვება, მათი გამოშვების მიზნით პროგრამული უზრუნველყოფების შექმნა და გავრცელება, ფულადი სუროგატების საშუალებით ოპერაციების განხორციელება, გამიზნულად ინფორმაციის გავრცელება, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სუროგატების შექმნას ან ოპერაციებს მათი საშუალებით, ექვემდებარება ფულად დაჯარიმებას. თუმცა 2016 წელს **მოსკოვში გაიხსნა ახალი კრიპტოსავალუტო ბირჟა Exmoney. ელექტრონულ ბირჟებზე ივაჭრება ბიტკოინი და უკვე დაიწყო მისი გამოყენება გადახდის საშუალებად.** ბითკოინი გახდა ოფიციალური გადახდის მეთოდი იაპონიაში, მაგრამ არა ვალუტა.

ქვეყნების ეკონომიკის ციფროვიზაციის დონეების შესადარებლად, უმსხვილესი ესპანური საბანკო-საფინანსო ჯგუფის BBVA მიერ 2017 წელს ჩატარდა კვლევა. აღნიშნული კვლევის მიხედვით, შეფასებულია ციფროვიზაციის ინდექსი (DiGiX) 100 ქვეყნის მაგალითზე. DiGiX აფასებს ფაქტორებს, აგენტების ქცევასა და ინსტიტუტებს, რომლებიც საშუალებას მისცემს ქვეყანას სრულად გამოიყენოს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICTs) გაზრდილი კონკურენტუნარიანობისა და კეთილდღეობისათვის. რეალურად ეს არის 100 ქვეყნის ციფრული ინდექსი. **DiGiX** ინდექსი გამოითვლება ექვსი კომპონენტის გარშემო: ინფრასტრუქტურა (3G და მეტი სიმძლავრის დაფარვის ინტერნეტი, გამტარინარიანობა (ბაიტი/წმ), უსაფრთხო ინტერნეტ სერვერები, მომხმარებელთა მიერ ინტერნეტის გამოყენება (შინამეურნეობების მიერ ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენება), საწარმოების მიერ ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენება (ბიზნეს-ურთიერთობებში და მომხმარებელთა ურთიერთობისას), ხარჯები (ფიქსირებული ინტერნეტის და სატელეფონო), რეგულირება (კანონები, რომლებიც ეხება საინფორმაციო ტექნოლოგიებს, პროგრამული დაცულობის დონე, სასამართლო დამოუკიდებლობა, სამართლებრივი სისტემის ეფექტურობა დავის მოგვარებაში და ციფროვიზაციის კონტექსტი (ელექტრონული მთავრობის დონე, მთავრობის ონლაინ სერვისის ინდექსი). მაქსიმალური ქულა არის 1, ხოლო მინიმალური - 0. არსებობს მეორე, ციფრული ეკონომიკისა და სოციალური ინდექსი **(DESI),** რომელიც ევროკომისიის მიერ შემუშავებული ინდექსია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის, რომელიც აჩვენებს ევროპის სახელმწიფოების შესაბამის მაჩვენებლებს ციფრული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობაში.

DiGiX 2016 წლის ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ანუ მაქსიმალური მაჩვენებელი ჰქონდა ლუქსემბურგს - 1, ხოლო მინიმალური ალჟირს - 0. მეორე ადგილზე დიდი ბრიტანეთია - 0.97, შემდეგ მოდის ჰონგ-კონგი (0.95), ამერიკის შეერთებული შტატები (მე-4 ადგილი, 0.92) და ნიდერლანდები (მე-5 ადგილი, 0.90). 0.90-0.70-ის ფარგლებში 15-ზე მეტი ქვეყანაა (იაპონია, სინგაპური, ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ისლანდია, ახალი ზელანდია, გერმანია, სამხრეთ კორეა, საფრანგთი და ა.შ). ეს მაჩვენებელი საშუალებას იძლევა შევადაროთ ქვეყნების ტექნოლოგიური დონე ერთმანეთთან. საქართველო აღნიშნულ რეიტინგში 0.40 ქულით 62-ე ადგილს იკავებს და გადის საშუალო დონის 0.50-0.40 ქულიან ქვეყნებში. რეგიონში ჩვენზე მაღალი მაჩვენებელი აქვს თურქეთს - 0.50 ქულა, ყაზახეთს - 0.47, რუსეთის ფედერაციას - 0.45, აზერბაიჯანს - 0.44 და რუმინეთს - 0.43. ჩვენი დონის მაჩვენებელი აქვს სომხეთს და გაცილებით დაბალი მოლდოვას - 0.33 და უკრაინას - 0.22. სამაგიეროდ, ჩვენ ვუსწრებთ ევროკავშირის ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ბულგარეთი - 0.33, სერბეთი - 0.31 და ალბანეთი - 0.26.

საქართველოში არსებული საკანონმდებლო, ტექნოლოგიური თუ ადამიანური ბარიერი, როგორც მენტალური, ისე განათლების დონის თვალსაზრისით, აფერხებს ციფრული ეკონომიკის პრინციპების დანერგვის შესაძლებლობებს. საერთაშორისო გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, ციფრული ეკონომიკა ქვეყნის მშპ-ის ზრდის ყველაზე სწრაფ და ეფექტიან გზას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა ყველა შესაძლო სექტორში მოხდეს. ეკონომიკური ზრდა სხვაგვარად შეუძლებელი გახდება. ბარიერები, რომლებიც ამ მიმართულებით არსებობს, აერთიანებს განათლებაში გასატარებელ რეფორმას, ციფრული სამეწარმეო კულტურის არარსებობასა და რიგ რეგულაციებს, რომელთა მოგვარება სახელმწიფოს აქტიური ჩართულობითაა შესაძლებელი. ეკონომიკის ციფროვიზაციის მომხრეების აზრით ბლოკჩეინ ტექნოლოგიებს აქვთ უდიდესი მომავალი, რაც

უზრუნველყოფს სამთავრობო და კერძო ხარჯების შემცირებას, წლიურად ყველა ტიპის საპროცესინგო ხარჯების შემცირებას 1-1.5 მილიარდ ლარამდე. მშპ-ის ზრდის უზრუნველყოფას დაახლოებით 10%-ით, ბლოკჩეინ ტექნოლოგიებით თავისუფლად არის შესაძლებელი უახლოეს მომავალში, საგადასახადო სისტემის ერთიან პლატფორმაზე გადასვლა, ბლოკჩეინ ტექნოლოგიური ეკოსისტემა ასევე მოიცავს ჯანდაცვას, განათლებას, ტურიზმს; კერძო სამეწარმეო ტრანსაქციებს ყოველგვარი ფინანსური შუამავლობის გარეშე. საერთაშორისო კვლევებით დადასტურებულია, რომ ქვეყნები, რომლებიც ციფროვიზაციის მოწინავე სტადიაზე არიან, იღებენ 20%-ით მეტ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე ციფროვიზაციის დასაწყის გზაზე მყოფი ქვეყნები. ციფროვიზაცია ეკონომიკური სტიმულირებისა და დასაქმების მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სოციალური მედია, მობილური ვებ-სერვისები, კომპიუტერული ქლაუდ-სისტემები და სხვა თანამედროვე ტექნოლოგიები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბიზნესის მართვის იმ ფორმებს, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში ინერგება. ბოლო რამდენიმე წელიწადში 500,000-ზე მეტი სამუშაო ადგილი ამერიკის შეერთებულ შტატებში, მარტო მობილური აპლიკაციების ინდუსტრიაში შეიქმნა. საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ ინტერნეტთან ხელმისაწვდომობა ბოლო 20 წელიწადში გაიზარდა 4%-დან 40 %-მდე. კომპანიებს რომლებსაც აქვს ბიზნესის უზრუნველყოფის ძლიერი სისტემა და ამავდროულად ახალ ტექნოლოგიებში ახორციელებს კაპიტალდაბანდებებს, კონკურენტუნარიანობა 35%-დან 74%-მდე იზრდება. აღსანიშნავია, რომ ევროპის მასშტაბით, 2020 წელს, ციფრულ ეკონომიკაში იმუშავებს დამატებით 5 მილიონი ადამიანი; 2020 წელს 50 მილიარდი უკაბელო მოწყობილობა დაუკავშირდება ერთმანეთს, ეს კი 15-ჯერ გაზრდის გადაცემული ინფორმაციის მოცულობას.

ევროკომისიის დაკვეთით ჩატარებული კვლევების თანახმად, მცირე ბიზნესის ზრდის ტემპი საშუალოდ 3-ჯერ მაღალია, თუ ორგანიზაცია ციფრული ტექნოლოგიებით ხელმძღვანელობს. მცირე ან საშუალო ზომის კომპანია, რომელსაც სურს გაყიდვების სტიმულირება ან ზოგადად, კომპანიის პოზიციონირება, დღეს სულ უფრო იხრება ტრადიციული, ძვირად ღირებული მედიასაშუალებებიდან სოციალური მედიისაკენ და ამ გზით მისწვდეს იმ აუდიტორიას, ვისთანაც სურს კომუნიკაცია; ანუ დახარჯოს მინიმალური რესურსი და უწყვეტ რეჟიმში აკონტროლოს მომხმარებლის აზრი მისი კომპანიის შესახებ. სოციალური მედია ზოგავს თანხებს, იკავებს ფართო აუდიტორიას, ახდენს სწორ პოზიციონირებას და მარკეტინგული კვლევის ერთგვარ ალტერნატივასაც კი წარმოადგენს. კომპანიებმა, რომელთაც გააქტიურეს სოცმედია-პლატფორმა, 20-22%-ით გაზარდეს გაყიდვები.

უნდა აღინიშნოს საქართველოში 2015-2016 წლებში ტექნოპარკის გახსნა და სახელმწიფო პროგრამა „სტარტაპ საქართველო". საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ტექნოლოგიური პარკი იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას, ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის გაზრდა და მათი განვითარება უზრუნველყოს, საქართველოში დაფუძნდეს უცხოური მაღალტექნოლოგიური კომპანიების წარმომადგენლობები და დამატებით მოზიდულ იქნეს უცხოური ინვესტიციები. ტექნოლოგიური პარკი დამწყებ და პატარა კომპანიებს შესთავაზებს ისეთ რესურსებს, რომლებიც მათთვის აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი იყო. ტექნოპარკთან ერთად, ძალზე მნიშვნელოვანია ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველოც", რომელიც სს „საპარტნიორო ფონდის" მიერ დაფუძნდა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს დამწყები ბიზნესის (სტარტაპების) განვითარებას საქართველოში. პროექტში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ვისაც სიახლეზე ორიენტირებული და პერსპექტიული ბიზნესწინადადება აქვს და მისი განხორციელებისთვის საწყისი დაფინანსება სჭირდება. მას აქვს როგორც ინოვაციური, ასევე მაღალტექნოლოგიური კომპონენტი (ხელოვნური ინტელექტი, ნანო ტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, რობოტიკა და ა.შ). კომპანია Bitfury საქართველოში 100-მილიონდოლარიანი ინვესტიციით შემოვიდა. ბიტკოინ-მაინინგის ბაზრის ლიდერი კომპანია Bitfury საქართველოში 2014 წლიდან მოღვაწეობს. პირველი პროექტი საქართველოს თანაინვესტირების ფონდთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა. მაინინგს ფული, ძირითადად, ელექტროენერგიისთვის სჭირდება, რადგან კომპიუტერებს სწრაფი და მძლავრი პროცესორები და გაგრილების სისტემა სჭირდებათ. თუ ბიტკოინის საბოლოო ღირებულება ხარჯზე მაღალია, მაშინ ბიტკოინ-მაინინგი მომგებიანია. საქართველო ამ მიმართულებით მიმზიდველია, რადგან აქვს იაფი ელექტროენერგია და ღია მარეგულირებელი გარემო. ჩინეთის და ამერიკის შემდეგ, საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზეა მაინერთა, ანუ ვირტუალური ფულის გამომმუშავებელთა რაოდენობით. სწორედ ამიტომ, საქართველო მსოფლიო დონეზე მოექცა ყურადღების ცენტრში. საქართველოში გაიმართა მაინინგის მსოფლიო სამიტი (20-23 სექტემბერი, 2018), სადაც აღინიშნა, რომ უახლოეს წლებში ბლქოჩეინ ტექნოლოგიების გამოყენება 50-ჯერ გაიზრდება, რაც ცხადია კრპიტო ინდუსტრიის მნიშვნელოვან განვითარებას ნიშნავს. საქართველოში ციფრული ეკონომიკის ასოციაციაც (DEAG) დაფუძნდა.

DEAG-ს მკვეთრად განსაზღვრული მიზნები და ამოცანები აქვს, რაც ციფრული ბიზნესკულტურის განვითარებას, ბიზნესგარემოს სტიმულირებასა და მხარდაჭერას; საინვესტიციო პლატფორმის მომზადებას, კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობას, სხვადასხვა სისტემების ბლოკჩეინ ტექნოლოგიებთან ინტეგრაციას და ამ მიზნით, სახელმწიფო ან/და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობას, ციფრული აქტივებისა და ციფრული ელექტრონული ვალუტების გადახდის საშუალებად დანერგვას, კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებასა და სხვა ინოვაციური პროექტების წარდგენას გულისხმობს. ბიზნესს ფინანსების მოსაძიებლად მრავალი ალტერნატიული შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს, საქართველოში კი მხოლოდ საბანკო სექტორია დომინანტი. ბლოკჩეინ ტექნოლოგიების განვითარება შესაძლებლობას იძლევა, სრულიად ახალი თამაშის წესები დამკვიდრდეს ფინანსურ სექტორში, რაც რეალურ საფუძველს ჩაუყრის ქვეყნის ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას. საქართველოს ციფრული ეკონომიკის ასოციაცია იმ გუნდის მეშვეობით, რომელსაც ის აერთიანებს, ქვეყნისთვის მრავალი სასარგებლო პროექტის განხორციელებას შეძლებს.

ქართული კრიპტოვალუტა "ოქროს საწმისი". **Golden Fleece Token-ი** განთავსებულია საერთაშორისო ფირმა Waves-ის პლატფორმაზე, რომელიც სხვადასხვა კომპანიას Blockchain ტექნოლოგიის გამოყენებისა და ახალი კრიპტოვალუტის შექმნის საშუალებას აძლევს. ასეთი გახლავთ ორი ძირითადი ფირმა: "ეთერიუმი" და Waves-ი. Waves-ი იმის გამო ავირჩიეთ, რომ მომხმარებლისთვის შედარებით მარტივია, მას აქვს ინტეგრირებული გაცვლითი პლატფორმა, სადაც შეგიძლიათ დოლარი ან ევრო ჩარიცხოთ და ქართული კრიპტოვალუტა ან ბიტკოინი იყიდოთ. Waves პლატფორმას აქვს ვებსაიტი, www.waveswallet.io, ასევე აქვს მობილური აპლიკაცია, რომელიც მომხმარებელს შეუძლია გადმოწეროს და ამით მარტივად ისარგებლოს. Waves-ზე ჯერჯერობით ხუთი ძირითადი ვალუტაა განთავსებული: დოლარი, ევრო, ბიტკოინი, ეთერიუმი და თვითონ Waves-ის ვალუტა. ამ ხუთი ვალუტის ჩარიცხვის შემდეგ ქართული კრიპტოვალუტის ყიდვას შეძლებთ. რადგან ინვესტორების დიდი ნაწილი "ეთერიუმის" პლატფორმას იყენებს, 50 მილიონი Golden Fleece Waves-ის პლატფორმაზე გაიყიდება, ხოლო 20 მილიონი - "ეთერიუმის" პლატფორმაზე. დანარჩენი 30 მილიონი შეინახება და მომდევნო წელს გაიყიდება. თვითონ მომხმარებელი უნდა იყოს გათვითცნობიერებული და იცოდეს, თუ რაში აბანდებს ფულს, რა ბიზნესმოდელი აქვს კომპანიას და რა მოლოდინები უნდა ჰქონდეს ამ ინვესტიციასთან დაკავშირებით. ამისათვის მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პოტენციურ ინვესტორებს. ნებისმიერი მომხმარებელი პოტენციური ინვესტორია, არა აქვს მნიშვნელობა, 10 დოლარს ჩადებს თუ 10 მილიონ დოლარს, ყოველი მყიდველი კომპანიის თანამოწილე გახდება.

უნდა აღინიშნოს **BABB** (budding blockchain-based bank)-ის საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოში პირველი ბლოკჩეინზე დაფუძნებული ბანკის მოდელს მიკროეკონომიკის მხარდასაჭერად. მისი მისიაა მომხმარებელს მისცეს პრაქტიკულად იგივე შესაძლებლობა, რაც აქვს ბანკებს, მაგალითად განახორციელონ ტრანსაქციები, გასცენ სესხები და დააბანდონ ფული აქტივებში. ბლოკჩეინის ერა აძლევს კომპანიებს და ინდივიდებს შესაძლებლობას გადააფასონ ფინანსური სერვისები და შექმნან უფრო სანდო, მოქნილ და ინკლუზიურ სივრცეზე დაფუძნებული პლატფორმა. მიუხედავად იმისა, რომ ამ რევოლუციურ ტექნოლოგიაზე ჯერ კიდევ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაა, უკვე ნათელია, რომ ციფრულ საბანკო მომსახურებას და ზოგადად ციფრულ სამყაროს მომავალზე უზარმაზარი გავლენა ექნება.

დასკვნა - ციფრული პროცესები განაპირობებს სახელმწიფოების ტრასფორმაციას, რაც მსოფლიოს ყველა ქვეყანას წვდება, მოაქვს დიდი ცვლილებები როგორც საჯარო სფეროსთვის, ისე ყველა ინდუსტრიისათვის: ორგანიზაციისათვის, პროცესისათვის და ხალხისთვის. ეკონომიკის ციფროვიზაცია ჩვენი დროის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ციფრული გარემოსა და ციფრული ინფრასტრუქტურის ფორმირებაში მნიშვნელოვან მოთამაშეს წარმოადგენს: მთავრობა, პოლიტიკური გარემო, მარეგულირებელი ორგანოები, მობილური ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ პროვაიდერები, არასამთავრობო ორგანოები, სტანდარტიზაციის უწყებები, სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები. ასევე, ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა: World Wide Web Consortium (W3C), the Internet Corporation for Assigned Names and Numbers (ICANN) , the International Telecommunication Union (ITU), United Nations (UN) და სხვა. აღნიშნული მონაწილეები პასუხისმგებელია ელექტრონული მთავრობის სისტემის, ფიქსირებული და მობილური ქსელების, მონაცემთა ცენტრების, მოწყობილობებისა და ქსელური აპარატურის, პლატფორმებისა და პროტოკოლების გამართულ ფუნქციონირებაზე. დღევანდელ გლობალურ ეკონომიკაში ბლოკჩეინმა და ბიტკოინმა საკმაოდ დიდი ყურადღება მიიპყრო, თუმცა ტექნოლოგიის სიახლის და გამოუცდელობის გამო ჯერ კიდევ ნელ ტემპში ხდება მისი მიღება. თუმცა, როგორც ტექნოლოგიების ისტორია გვაჩვენებს, ადამიანები ახალი ტექნოლოგიის გავლენას და ღირებულებას გადამეტებულად აღვიქვამთ მოკლე პერიოდში და ვერ აფასებს მათ მასშტაბურ ეფექტს გრძელ პერიოდში. „მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუცია" გარკვეულ საფრთხესაც შეიცავს. „ევრონიუსის" ერთ-

ერთი კვლევის თანახმად, მაღალტექნოლოგიური განვითარება და რობოტების დასაქმება მილიონობით ადამიანს სამსახურის გარეშე დატოვებით ემუქრება. ძალიან სწრაფად ხომ არ იზრდება ამ ცვლილებების რაოდენობა? აქვთ თუ არა ამ რევოლუციის შემქმნელებს დაგეგმილი სოციალური ცვლილებები? გათვალისწინებული აქვთ თუ არა უსაფრთხოება? მსოფლიოში ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების ფონზე, საშუალო ფენას მხარდაჭერა სჭირდება, რადგან „მეოთხე ინდუსტრიულ რევოლუციას“ დიდი პოტენციალი აქვს, უფრო მეტი დარტყმა მიაყენოს საშუალო კლასს. კრიპტოვალუტის გავრცელება იმას ნიშნავს, რომ ირღვევა უძველესი დროიდან მომდინარე სახელმწიფოს მონოპოლია ფულის მოჭრაზე. ეკონომიკის კლასიკური პარადიგმა, იქნება ეს ლიბერალიზმი თუ სოციალიზმი, ვერ ახსნის კრიპტოვალუტის ფორკების (განშტოებების) გაჩენას და მათ მიერ სულ უფრო დიდი სეგმენტის დაკავებას საფინანსო ბაზარზე. ამ ფულადი სუროგატის ახსნას ახალი ეკონომიკური პარადიგმა ესაჭიროება. საქართველოს კი ამ მხრივ სჭირდება ბლოკჩეინზე დამყარებული სისტემური უზრუნველყოფა, რომელიც ახალ დონეზე განავითარებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორს, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, უზრუნველყოფს დანახარჯების მასიურ შემცირებას, რაც ასევე მნიშვნელოვნად შეამცირებს საბანკო სექტორის მონოპოლიურ წნეხს მოსახლეობაზე და განავითარებს დემოკრატიას მომდევნო ათწლეულის განმავლობაში.

ბიბლიოგრაფია:

აბულაძე, რ. (2015). *საქართველოს ელექტრონული მთავრობის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია: მონოგრაფია.* თბილისი: უნივერსალი.

აბულაძე, რ., & წოწკოლაური, ფ. (2016). *ელექტრონული ბიზნესი.* თბილისი: უნივერსალი.

ბანკები და ფინანსები. (2018 წლის 20 აგვისტო). *„ეკონომიკის ციფროვიზაციის პლათფორმა, დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს როლს და ადგილს თანამედროვე მსოფლიოში".* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://bfm.ge/ekonomikis-cifrovizaciis-platforma-didwilad-gansazghvravs-chvens-rols-da-adgils-tanamedrove-msoflioshi/

ბიზნესპრესნიუსი. (2016 წლის 21 იანვარი). *„მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია“ - დავოსში აზრი ორად გაიყო.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.bpn.ge/article/19231-meotxe-industriuli-revolucia-davosshi-azri-orad-gaiqo/

გვასალია, გ. (2014). კრიპტოვალუტა და მისი მომავალი მსოფლიო ეკონომიკაში. *აუდიტი. აღრიცხვა. ფინანსები* (3 (171)), 50-54.

სიჭინავა, ქ. (2017). ელექტრონული მმართველობის გავლენა ელექტრონული კომერციის განვითარებაზე. *ახალი ეკონომისტი* (2), 65-68.

ჭიპაშვილი, ს. (2017 წლის 15 აგვისტო). *Golden Fleece Token - პირველი ქართული კრიპტოვალუტა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://forbes.ge/news/2683/pirveli-qarTuli-kriptovaluta

3 криптовалюты с самой высокой скоростью транзакций. (03 январь 2018 г.). Получено из http://ethpost.ru/3-kriptovaluty-s-samoi-vysokoi-skorostu-tranzakcii-2.html

World Economic Forum. (2014, April). *Delivering Digital Infrastructure: Advancing the Internet Economy.* Retrieved from http://www3.weforum.org/docs/WEF_TC_DeliveringDigitalInfrastructure_InternetEconomy_Report_2014.pdf

Natia Zhozhuashvili

Gori State Teaching University

DIGITALIZATION PLATFORM OF THE ECONOMY AND ITS ROLE IN THE MODERN WORLD

RESUME

The digital age, which began in the middle of the last century, was based on the "Fourth Industrial Revolution", which combines classical production with digital technologies. Today, digital technology promotes rapid transformation of business and society, is an integral part of the economy. During the first industrial revolution, steam and water power enabled the mechanism of production. The second revolution brought massive production, thanks to electricity. During the third Industrial Revolution, electronics and information technologies have automated production. Now is the time of the Fourth Industrial Revolution, characterized by technological development and removes boundaries between

physical, digital and biological fields. The digitalization platform of economics largely defines the country's future role and place in the modern world. Digital economy is the technological and cognitive evolution of mankind and the most important part of the Fourth Industrial Revolution. Humanity is included in the digital era and perhaps in the near future artificial intelligence determines the future of humanity. Due to the global context of the issue, today the main strategic strategy for economic development should be the accelerated integration of the country into global technological trends.

Keywords: Digital, Technological development, Crypto, Bitcoin.

მაკა სოსანიძე, ნანული ქოქაშვილი, ლალი ოსაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საქართველოს და თურქეთის ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები

საკვანძო სიტყვები: საქართველო-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობა, ინდუსტრიული რეფორმები, ექსპორტ-იმპორტი, ზრდის ტემპი, სატრანზიტო პოტენციალი, ტურისტული პოტენციალი.

შესავალი

საქართველოსათვის მნიშვნელოვანია რეგიონის ქვეყნებთან ურთიერთობების განვითარება და განმტკიცება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ურთიერთინტერესებზე დამყარებული პოლიტიკური თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებას, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში ურთიერთობების გაღრმავებას.

საქართველო-თურქეთს შორის თანამშრომლობა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და წარმატებით ვითარდება როგორც პოლიტიკურ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში. ორი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმით, პირადობის მოწმობების საფუძველზე. თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ თურქეთის ეკონომიკა საკმაოდ ჩამორჩენილი იყო, მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული. თუმცა დღეს თურქეთი უახლესი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება. თურქეთი ასევე შედის N-11-ში (Next Eleven). ესაა აზიური ქვეყნების ჯგუფი მზარდი ეკონომიკებით, რომელთაც უკვე შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მსოფლიო ეკონომიკის დინამიკაზე. თურქეთის მთავრობას დასახული აქვს მსოფლიოს წამყვან ეკონომიკათა ოცეულში მოხვედრა. მიმოვიხილოთ თურქეთისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მდგომარეობა და ძირითადი მიმართულებები.

2017 წლის მიწურულს თურქეთის სტატისტიკურმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა მონაცემები, რომელთა მიხედვით ქვეყნის ეკონომიკა 2017 წლის მესამე კვარტალში გაიზარდა 11,1 %-ით გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ეს მაჩვენებელი არის ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპი 2017 წლის მესამე კვარტალში G20-ის ქვეყნებს შორის. ასეთი ზრდა განაპირობა მშენებლობის ბუმმა, სერვისის სფერომ და ექსპორტის ინტენსიურმა ზრდამ. თურქეთს აქვს ძლიერი სატრანზიტო პოტენციალი, რის სრულად გამოყენებასაც ცდილობს ქვეყნის მთავრობა. დიდი თანხებია გამოყოფილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და საზღვაო პორტების განვითარებისათვის. შენდება მსოფლიოში ყველაზე დიდი აეროპორტი.

მრავალი წლის მანძილზე თურქეთის ეკონომიკაში აგრარული სექტორი დომინირებდა. ბოლო წლებში კი თურქეთის სამრეწველო სექტორმა განვითარების დიდი ტემპები აჩვენა. ამას ხელი შეუწყო უცხოურმა ინვესტიციებმა და კარგად გააზრებულმა ინდუსტრიულმა რეფორმებმა. ყველაზე განვითარებული მსუბუქი მრეწველობაა. ტექსტილის წარმოება და ექსპორტი თურქეთის ეკონომიკას

დიდ შემოსავალს აძლევს. თურქეთი მსოფლიოში მეექვსე ადგილზეა ტექტილისა და მზა ტანსაცმლის ექსპორტით. ევროპაში ტექსტილის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი სწორედ თურქეთია.

თურქეთი მეტალურგიული პროდუქციის წამყვანი მწარმოებელია მსოფლიოში. იგი ევროპაში მეექვსე ადგილს იკავებს მანქანათმშენებლობასა და დანადგარების წარმოებაში. ავითარებს საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოებას მსოფლიოს ცნობილი ბრენდების ლიცენზიებით. ქვეყანა აწარმოებს მსუბუქ ავტომობილებს, ავტობუსებს. ავეჯის წარმოება მეშვიდე ადგილზეა თურქეთის გადამამუშავებელ მრეწველობაში. აქ დამზადებული ავეჯი მსოფლიოს 177 ქვეყანაში გადის საექსპორტოდ. თურქული ავეჯი კონკურენციას უწევს გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ ავეჯს. განვითარებულია ქიმიური ინდუსტრია. წელიწადში იწარმოება 3 მლნ ტონა პლასტმასა და სხვა ნავთობქიმიური პროდუქტები. როგორც შიდა მოხმარებისათვის, ასევე საექსპორტოდ მზადდება სარეცხი ფხვნილები, სოდა, საპონი, საღებავები. განვითარებულია გემთმშენებლობა. თურქეთის გემთსაშენებში ამზადებენ ნავთობის ტანკერებს, თევზსაჭერ გემებს, კონტეინერმზიდებს, სამხედრო ხომალდებს და იახტებს. თურქეთი მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა მეგაიახტების და ლუქსის კლასის იახტების წარმოებით. სწრაფად ვითარდება მომსახურების სფერო. ესაა კომუნიკაციური, საბანკო, სამედიცინო სფეროები.

საფინანსო ბაზარი თურქეთის ეკონომიკის სუსტი მხარეა. მუდმივად დგას ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემა. დიდი დამოკიდებულება უცხოურ ინვესტიციებზე ქვეყნის ეკონომიკის ასევე სუსტი მხარეა. ინვესტორთა მოზიდვის მიზნით ქვეყნის მთავრობა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებას აგრძელებს და შიდა ბაზარსაც უფრო ხსნის უცხოელი ინვესტორებისათვის. ბოლო დრომდე სწორედ ინვესტიციების მეშვეობით ხდებოდა მიმდინარე საგადასახადო ბალანსის უარყოფითი სალდოს კომპენსირება.

შესაძლებელია დავაკვირდეთ თუ როგორ ვითარდებოდა ტურიზმი საქართველოს უახლოეს სამეზობლოში, თურქეთში, რომელიც დღეს ტურიზმის განვითარების ტემპებით მსოფლიო ლიდერია, თუმცა ამ სფეროზე ეკონომიკის მხოლოდ 5% მოდის. 2017 წელს ქვეყანა მოინახულა 32 მლნ-მა ტურისტმა. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქეთში ჯერ წარმოება განვითარდა და მხოლოდ ამის შემდეგ ტურიზმი. თურქეთში ადგილობრივად იწარმოება ინფრასტრუქტურისთვის საჭირო მასალები, რომ არაფერი ვთქვათ საკვებზე. ამიტომ ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა მინიმუმ სამჯერ იაფი ჯდება. თუმცა, თავის დროზე ამ ქვეყანას, ტურიზმის განვითარების მხრივ, ძალიან ბევრი პრობლემა ჰქონდა. 1985 წელს გამოიცა დეკრეტი ტურიზმის განვითარების შესახებ. შეიქმნა ტურიზმის სამინისტრო, რომელიც საკმაოდ დიდი უფლებებით აღიჭურვა. მათ შორის მას მიენიჭა მიწის განკარგვის უფლება ტურისტულ და საკურორტო ცენტრებში – ისეთ პერსპექტიულ ადგილებში, სადაც ტურიზმის განვითარების დიდი შანსი არსებობდა.

სახელმწიფომ თავად იკისრა ზოგადი ინფრასტრუქტურის შექმნა – გზები, კომუნიკაციები, წყალი, დენი, კანალიზაცია. ყოველივე ამის შემდეგ ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა კერძო ინვესტიციებით დაიწყო. ამ შემთხვევაშიც იყო რამდენიმე ხელშემწყობი ფაქტორი, რომელიც ინვესტორებს იზიდავდა: ტურიზმის სამინისტრო მიწებს სიმბოლურ ფასად ყიდდა; საგადასახადო კოდექსში შეიტანეს ცვლილებები; მშენებლობა განთავისუფლდა დღგ-ისგან, რამაც მშენებლობა 20%-ით გააიაფა. საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლდა სასტუმრო მოწყობილობების შემოტანა (ჭურჭელი, თეთრეული და სხვა); ობიექტები ექსპლუატაციაში შესვლისთანავე არ იხდიდნენ მოგების გადასახადს. დაწესებული იყო დრო, რომლის განმავლობაშიც ის თანდათან იზრდებოდა, ანუ 100% აღწევდა მხოლოდ მაშინ, როცა ესა თუ ის ობიექტი მყარი განვითარების დონეს მიაღწევდა, ხოლო თუ მოგებული ფულის რეინვესტიცია ხდებოდა, ის არ იბეგრებოდა. პარალელურად, თურქეთში დაიწყო ტურიზმის სასწავლო ცენტრების შექმნა, რომლებიც ძირითადად დაბალი და საშუალო რანგის სპეციალისტების მომზადებაზე იყო ორიენტირებული. თურქეთში მომსახურების მრავალფეროვნებამ, მაღალმა ხარისხმა და შედარებით დაბალმა ფასებმა განაპირობა ბოლო წლების ტურისტული ბუმი და სულ უფრო მზარდი რაოდენობა ტურისტების, რომლებიც პოსტ–საბჭოთა ქვეყნებიდან (მათ შორის საქართველოდანაც) არიან და მათი სახით მრავალი ტურისტი მოიპოვა თურქეთმა, ვინაიდან შესთავაზა ის, რისი შეთავაზებაც საქართველომ ვერ შეძლო.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკას, მთლიანობაში ქვეყნის მაკროგარემო სტაბილურია. ბიუჯეტის დეფიციტი 3%-ს მცირედით აჭარბებს; ლარის გაცვლითი კურსი სტაბილურად ახალ ნიშნულზეა შეჩერებული და მისი შემდგომი სტაბილიზაციის მიზნით ნაბიჯები იდგმება; ინფლაცია აღემატება მიზნობრივ მაჩვენებელს, თუმცა მაინც ადეკვატურ დონეზეა. დასაქმების სტრუქტურა და ექსპორტის ბაზის სიმწირე კვლავ რჩება მთავარ გამოწვევებად. ამავდროულად, შესამჩნევად გაზრდილია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების ტემპი და მოცულობები სახელმწიფო ბიუჯეტიდან; დაწყებულია რამდენიმე მსხვილი საერთაშორისო საინვესტიციო პროექტი (ანაკლიის პორტი, ბაქო-ყარსის რკინიგზა და სხვა) და გატარებული საგადასახადო რეფორმის შედეგად მოსალოდნელია შიდა

ინვესტიციების წახალისება, თუმცა აღნიშნული ფაქტორების გავლენა მიმდინარე წლის ბოლოდან და განსაკუთრებით მომდევნო წელს (წლებში) აისახება.

ეკონომიკის ზრდაზე გავლენის სიძლიერის მიხედვით ერთ-ერთი მთავარი დარგი ვაჭრობაა, რომელსაც საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შედეგების მიხედვით, 2018 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 5 985, 9 მლნ აშშ დოლარია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 24,3 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 1 593,6 მლნ. აშშ დოლარია, იმპორტი 4 392,3 მლნ. აშშ დოლარი. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2018 წლის იანვარ-ივნისში 2 798,7 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46,8 პროცენტი შეადგინა.

ექსპორტის ზრდა ტრადიციული საექსპორტო კატეგორიების – სოფლის მეურნეობისა და მეტალების გაზრდილი გაყიდვების შედეგია, დადებითი დინამიკაა ინვესტიციების მიმართულებით. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წლის I კვარტალში 279.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 32.9 პროცენტით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ უცვლელი შიდა ფაქტორების პირობებში საინვესტიციო ნაკადების შემდგომი ზრდაა მოსალოდნელი, რაც დაკავშირებულია მსოფლიო ეკონომიკის ზრდის დადებით ტენდენციასთან.

საგრძნობი მატება ფიქსირდება ტურიზმის კუთხით. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოში 2018 წლის ივნისში ვიზიტორების რაოდენობა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 14.2%-ით, 607 000-მდე გაიზარდა, ტურისტების რაოდენობა კი - 20.7%-ით, 400 000-მდე.

ქართულ ტურიზმზე საუბრისას ყველაზე პრობლემური საკითხი, როგორც აღვნიშნეთ, ფასებია, რომლებიც ადგილობრივი დამსვენებლებისთვის საკმაოდ მაღალია. ისევ თურქეთის მაგალითი ავიღოთ – დასვენების როგორი პირობები აქვს იქ ადგილობრივ მოსახლეობას? საინტერესოა, რომ თურქეთის მოქალაქეებს უფასო დასვენების შესაძლებლობას ქვეყანაში არსებული დაზღვევის და შრომითი უფლებების დაცვის სისტემა აძლევს. საქართველოს კურორტებზე დასვენება ბევრად ძვირია, ვიდრე გაცილებით მაღალი ტურისტული მომსახურების მიღება მაგალითად თურქეთის ან ესპანეთის ხმელთაშუაზღვის სანაპიროებზე. ამიტომაც, რომ მცირედი შესაძლებლობის გაჩენის შემთხვევაშიც კი, ტურისტი დასვენებას საზღვარგარეთის კურორტებზე ამჯობინებს.

საქართველოში ტურიზმის განვითარების ორიენტირად ხშირად მეზობელი თურქეთის გამოცდილებას ასახელებენ. გასულ საუკუნეში საკმაოდ ჩამორჩენილი ქვეყანა – თურქეთი დღეს რამდენიმე მიმართულებით მნიშვნელოვნად არის წინ წასული.

უნდა აღინიშნოს, რომ ორ ქვეყანას შორის მიმდინარეობს ინტენსიური თანამშრომლობა მრავალ სფეროში. საქართველოსა და თურქეთს თანამშრომლობის წარმატებული გამოცდილება და მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვთ მსხვილ სატრანსპორტო-ენერგეტიკულ პროექტებში. არ შეიძლება არ აღინიშნოს ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი.

თურქეთის რესპუბლიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას. საქართველოს თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის წილი საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 16%-ს შეადგენს, რითაც დასტურდება სავაჭრო ურთიერთობების მოცულობის ზრდის ტენდენცია. საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფქვილი და ხორცი, თევზი, ელექტროენერგია და წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან. ხოლო, თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციები, სამკურნალო საშუალებები, მილები და მილაკები შავი ლითონებისაგან, იზოლირებული კაბელები და მავთულები, სანიტარულ-ჰიგიენური ნაწარმი და სხვა.

2017 წლის 4 თვის მონაცემებით, საქართველოდან თურქეთში პროდუქციის ექსპორტმა 76 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 19%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის თურქეთი მე-3 ადგილზეა“. თურქი ინვესტორების მხრიდან საქართველოს ეკონომიკისადმი ინტერესი იზრდება. ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გემთმშენებლობა, ტექსტილის წარმოება - ეს მცირე ჩამონათვალია იმ მიმართულებებისა, რომელთა განვითარებითაც თურქი ბიზნესმენები საქართველოში დაინტერესდნენ.

დღეს ჩვენი სახელმწიფო აქტიურად არის ჩართული ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში (გზები, ენერგოსისტემა, წყალმომარაგება), რაც აუცილებელი წინაპირობაა ტურიზმის განვითარებისათვის, გარდა ამისა სახელმწიფოს შეუძლია ფინანსური ზემოქმედების მოხდენა, კერძოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბანკო სექტორის საშუალებით დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი ბიზნეს სესხების გაცემის გააქტიურება მიზნობრივი ბიზნეს პროექტებისთვის, საგადასახადო შეღავათების

დაწესება ტურიზმის სფეროში მოღვაწე ბიზნესის საწყის ეტაპზე, გარანტიები უცხოური ინვესტიციების ან სესხების მოზიდვის შემთხვევაში, სტაბილური და მიმზიდველი საინვესტიციო გარემო.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ დროა საქართველომ შეისწავლოს და გაითვალისწინოს ის გარემოებები და მიზეზები, რამაც რამდენიმე ათწლეულის წინ საკმაოდ ჩამორჩენილი თურქეთის ეკონომიკის წინსვლა და მნიშვნელოვანი განვითარება განაპირობა.

ბიბლიოგრაფია:

საქართველოს მთავრობა. (თ. გ.). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: საქართველო 2020.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategiis_-_sakartvelo_2020.pdf

Арчвадзе, И. (2014). О некоторых аспектах турецко-грузинских экономических отношений. *21-й ВЕК, 2* (31), 51-69. Получено из https://cyberleninka.ru/article/v/o-nekotoryh-aspektah-gruzino-turetskih-ekonomicheskih-otnosheniy

Аршакян, Г. М. (2015). Основные направления турецко-грузинских отношений в контексте региональной политики Турции в начале XXI в. *Проблемы национальной стратегии, 6* (33), 122-143.

Научное Общество Кавказоведов (НОК). (б.д.). Получено из http://www.kavkazoved.info/news/2013/02/07/gruzino-tureckie-otnoshenia-realii-i-pehttps://www.radiotavisupleba.ge/a/2174469.htmlrspektivy-iv.html

Maka Sosanidze, Nanuli Kokashvili, Lali Osadze

Gori State Teaching University

THE MAIN DIRECTIONS OF ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA AND TURKEY

RESUME

It is important for Georgia to develop and strengthen relations with the countries of the region, which will contribute to the improvement of political cooperation based on the interests of the region. Cooperation between Georgia and Turkey is strategic in nature and is successfully developing in political, economic, cultural and humanitarian areas.

Not so long ago, the Turkish economy was far behind, the industry was underdeveloped. Today, Turkey belongs to the last industrialized countries.

In recent years, the industrial sector in Turkey has shown high growth rates. This was facilitated by foreign investment and good industrial reform. The most developed light industry. Textiles and exports make the Turkish economy a great source of income. The financial market is the weak side of the Turkish economy. There is always the problem of budget deficit, widespread dependence on foreign investment is also a weak economy of the country.

Today, Turkey is a world leader in the development of tourism, Turkey itself produces materials for infrastructure, food. Therefore, the construction of tourism infrastructure is at least three times cheaper.

As for the Georgian economy, the macroeconomic stability in the country is stable. Inflation exceeds target level. Export growth is the result of increased sales of traditional export categories - agriculture and metals, a positive trend in the direction of investment. A significant increase is observed in terms of tourism.

The experience of Turkey in the development of tourism is often considered a reference point for Georgia. In the past century, the country is quite backward - Turkey has come a long way in several directions.

In recent years, the Republic of Turkey has been one of the largest trading partners of Georgia.

In conclusion, we would like to note that the time has come for Georgia to study and take into account the circumstances and reasons that led to the development of the Turkish economy and significant development a decade ago.

***Keywords**:* Georgia-Turkey economic relations, Industrial reforms, Export-Import, Growth rate, Transit potential, Tourism potential.

ლალი სრესელი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შრომის ბაზრის რეგიონული თავისებურებების გავლენა დასაქმების ხარისხზე

საკვანძო სიტყვები: დასაქმება, შრომის ბაზარი, სამუშაო ძალა, უმუშევრობა.

შესავალი - დასაქმება მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური კატეგორიაა. იგი არსებით როლს ასრულებს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში, თითოეულ ადამიანში პროფესიული შესაძლებლობების ფორმირებასა და განვითარებაში.

დასაქმების მაღალი დონის მიღწევა სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ეკონომიკის განვითარება ხასიათდება იმით, თუ რამდენად ეფექტურადაა გამოყენებული არსებული რესურსები, განსაკუთრებით სამუშაო ძალა.

ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულმა ძვრებმა, საკუთრების სხვადასხვა ფორმების არსებობის შედეგად წარმოშობილმა ახალი ხასიათის შრომითმა ურთიერთობებმა, მეტად გაამწვავა შრომითი რესურსების დასაქმების პრობლემა, სწორედ დასაქმების არსებულ მდგომარეობაში იჩენს თავს ყველაზე მწვავედ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემები და სოციალური წინააღმდეგობები.

ქვეყნის ეკონომიკის გარდაქმნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უმუშევრობის მინიმუმამდე დაყვანაზე, შრომითი რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე, შრომის ბაზრის თანამედროვე ცივილიზებული ფორმით ჩამოყალიბებაზე. „დასაქმების სტრუქტურა, მისი ეფექტურობა (მწარმოებლურობა) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარების დინამიკაზე. თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ცენტრალური მაკროეკონომიკური პრობლემის, უმუშევრობის დაძლევა, მისი უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების თავიდან აცილება შეუძლებელია უმუშევრობის თავისებურებების და გამომწვევი მიზეზების დონისა და დინამიკის სიღრმისეული ანალიზისა და შეფასების გარეშე. (Буланова, 2007, стр. 187)

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა და შესაბამისად დასაქმების სფეროში შექმნილი პრობლემები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმით, რომ საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა ქვეყნისთვის - მეოცე საუკუნის 90-იან წლების პირველ ნახევარში სამოქალაქო დაპირისპირება, საომარი მოქმედებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ენერგო და სატრანსპორტო ბლოკადა, უკიდურესად დაძაბული კრიმინოგენული გარემო, ძველი, ტრადიციული კავშირებისა და მომწოდებელთა დაკარგვა, მათი შემცვლელი ახალი მომწოდებლებისა და კავშირების არარსებობა, სამუშაო ძალის მიგრაციის მაღალი მაჩვენებლები იმ ნეგატიური ფაქტორების ჩამონათვალია, რომლებსაც დამოუკიდებლობის პირველ წლებში უპრეცედენტო ეკონომიკური ვარდნა, ჰიპერინფლაცია და უმუშევრობის კატასტროფული ზრდა მოჰყვა. ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა, რომელთა ეტაპობრივმა განხორციელებამ ვითარება საგრძნობლად გააუმჯობესა, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მოგვცა, განსაკუთრებით, უმუშევრობისა და სიღარიბის დონის შემცირების კუთხით. დღემდე არსებულ სტრატეგიულ და საპროგრამო დოკუმენტებში გაცხადებული მიზნები, რომლებიც სიღარიბისა და უმუშევრობის მნიშვნელოვან შემცირებას უკავშირდებოდა, კვლავ მიუღწეველია.

თემის აქტუალობა - დღეს საქართველოში ტოტალური უმუშევრობა და სიღარიბეა, დასაქმება მოსახლეობის უმთავრესი პრობლემაა. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. პრობლემა განსაკუთრებით იკვეთება ცალკეული რეგიონებისა და ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით.

როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ქართლის რეგიონში, დასაქმების სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობა საჭიროებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომის ბაზრის ფუნქციონირების და ფორმირების რეგიონალურ თავისებურებებს.

გლობალიზაციის პროცესით და საზოგადოების ინფორმაციზაციით განპირობებული მეურნეობრიობის ახალი პირობები, განსაკუთრებულ მოთხოვნებს აყენებს სამუშაო ძალის ხარისხისადმი, გადამზადებისა და კვალიფიკაციის დონის მიმართ. ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ რეგიონის კვლევა, რომელიც ხასიათდება მთელი რიგი სპეციალობების

კვალიფიციური კადრების ნაკლებობით, რომლებიც როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის ეკონომიკის განვითარებისათვის პრიორიტეტულია.

ყველა ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას შიდა ქართლის რეგიონის წინაშე, რეგიონის, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა პოლიტიკური არასტაბილურობის ნეგატიური შედეგები. ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპებია, წინა წლებთან შედარებით ინვესტიციების მოცულობა შემცირებულია, შესაბამისად რეგიონში შრომის ბაზარზე ჩამოყალიბდა კრიზისული მდგომარეობა: სახეზეა საერთო წარმოების დაცემა, რომლის შედეგიცაა დასაქმების შემცირება და უმუშევრობის დონის ზრდა, რაც უდავოდ გავლენას ახდენს ეკონომიკის მდგომარეობაზე და მთლიანად სოციალურ სფეროზე.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამდე საქართველოში მოსახლეობის დასაქმების რეგულირება ხორციელდებოდა სახელმწიფოსა და საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობის საფუძველზე, ეკონომიკური ცვლილებების შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების სახელმწიფო მართვა საბაზრო შრომითმა ურთიერთობებმა შეცვალა, რომელიც შრომის ბაზრის საშუალებით მოსახლეობის დასაქმების თვითრეგულირებად მექანიზმს ემყარება.

დასაქმების დონე მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქვეყნის რეგიონებს შორის. დღეისათვის დასაქმების დონე შედარებით დაბალია იმ რეგიონებში, სადაც ადრე ფართოდ იყო წარმოდგენილი მომპოვებელი და გადამმუშავებელი მრეწველობა, აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგები.

შიდა ქართლის რეგიონს საქართველოს ტერიტორიის 9.2% უკავია (მისი ტერიტორიის ფართობი - 6 200 კვ.კმ-ია, ამჟამად საქართველოს იურისდიქცია 4 200 კვ.კმ-ზე ვრცელდება), და ქვეყნის მოსახლეობის 7% ცხოვრობს. იგი საქართველოს მნიშვნელოვანი რეგიონია ეკონომიკური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით, შესაბამისად საყურადღებოა ის პრობლემები, რომლითაც ხასიათდება რეგიონის არსებული ეკონომიკის სტრუქტურა და მისი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რეგიონში წარმოიშვა რიგი ეკონომიკური და სოციალური სირთულეები. საკავშირო მნიშვნელობის გიგანტური საწარმოების გაჩერებამ რომლებიც ქართლის რეგიონში არსებობდა (გორის ბამბეულის კომბინატი, აგარის შაქრის ქარხანა, კასპის ცემენტის ქარხანა და ა.შ.) მნიშვნელოვნად გაზარდა რეგიონში უმუშევრობის მაჩვენებელი. მარტო ქალაქი გორი (გასული საუკუნის 70-80-იანი წლები) იყო მაღალგანვითარებული სამრეწველო ქალაქი, წარმატებით ფუნქციონირებადი გიგანტი ბამბეულის კომბინატი 7000-ზე მეტი დასაქმებული ადამიანით, უდიდესი საკონსერვო კომბინატი 500 მილიონ პირობითი ქილა კონსერვის წარმოებაზე, საკავშირო მნიშვნელობის ზუსტი ხელსაწყოების ქარხანა თავისი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტით, შპალსაჭეენთი ქარხანა, ორი გიგანტი მე-3-ე და მე-9-ე სამშენებლო ტრესტი. პედაგოგიური ინსტიტუტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, 2 ტექნიკუმი, 3 საავადმყოფო, 13 საშუალო სკოლა და ა.შ. ასე რომ 60 ათასი კაცით დასახლებული ქალაქისათვის უმუშევრობა კი არ იყო პრობლემა, პირიქით დიდი მოთხოვნა იყო სპეციალისტებსა და კვალიფიციურ მუშახელზე.

ადრინდელმა სამრეწველო კავშირების მოშლამ, სახალხო მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გაუარესებამ, ცენტრალური ხელმძღვანელობისა და რეგულირების აწყობილი მექანიზმის მოშლამ გამოიწვია წარმოების მნიშვნელოვანი დაქვეითება და უმუშევრობის ზრდა.

1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა პერიოდში არსებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებისა და ამ მხარეში წარმოქმნილი ეთნიკურ-პოლიტიკური კონფლიქტების შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ დაკარგა ფაქტობრივი კონტროლი შიდა ქართლში შემავალი ტერიტორიების ერთ ნაწილზე. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ კი დაახლოებით 1,400 კმ² ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მიერ. შიდა ქართლის რეგიონში შემავალი 9 ადმინისტრაციულ–ტერიტორიული ერთეულიდან საქართველოს ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს 4 მუნიციპალიტეტი, რომლებიც მოიცავს 372 დასახლებულ პუნქტს, მათ შორის 4 ქალაქს (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური), 2 დაბას (სურამი, აგარა) და 366 სოფელს.

ოკუპაცია უარყოფითად აისახება რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივებზე, კერძოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეუღწევადობის, კონფლიქტისპირა ტერიტორიებზე უსაფრთხოების სირთულეებისა და ეკონომიკური აქტივობის უკიდურესი შეზღუდულობის გამო.

საქართველოში სულ 250,658 დევნილია, რომელთაგან 14,298 შიდა ქართლში ცხოვრობს, რაც ქვეყანაში დევნილთა 5.7% და რეგიონის მოსახლეობის 4.5%-ს შეადგენს. დევნილთა უდიდესი ნაწილი (თითქმის 70%) გორის მუნიციპალიტეტში და საკუთრივ ქალაქ გორში ცხოვრობს. დევნილთა სოციალურ ეკონომიკური ინტეგრაცია რეგიონის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას წარმოადგენს.

2008 წლის აგვისტოს ომამდეც შიდა ქართლი ითვლებოდა ერთ-ერთ უღარიბეს რეგიონად. ომმა მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა, ომის შედეგად მიყენებული ფიზიკური ზარალის აღმოფხვრა

შედარებით სწრაფად მოხდა, თუმცა ომმა მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია შიდა ქართლს. რეგიონს დაემატა 6 600 ახალი იძულებით გადაადგილებული პირი, ბევრისთვის შემცირდა ვაჭრობის შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი პრობლემებია ბიზნესის განვითარებისთვის.

რეგიონის წილი მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოებული დამატებული ღირებულების 5%-საც ვერ აღწევს. 2014 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 1,485,2 მლნ.ლარს, შესაბამისად 2015 წელს - 1,592,0 , ხოლო 2016 წელს -1,812,7 მლნ. ლარს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი უკანასკნელ წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება იგი საგრძნობლად ნაკლებია რეგიონის წილზე ქვეყნის მოსახლეობასა და ფართობში. ეს რეგიონის შედარებით ეკონომიკურ სისუსტეზე და ეკონომიკის ზრდაში არსებულ პრობლემებზე მეტყველებს. ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში სიღარიბის დონე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2014 წელს შეადგენდა 23,5%-ს, 2015 წელს 21,6%, 2016 წელს 22,0%-ს, 2017 წელს 21,9%-ს. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

რეგიონის მშპ-ის სტრუქტურა სოფლის მეურნეობის და მრეწველობის პროდუქციის დაახლოებით თანაბარი წილებით (დაახლოებით 20%) ხასიათდება, რასაც უტოლდება სახელმწიფო მმართველობის სექტორი. გამოკვეთილად აგრარული პროფილის მქონე მხარისათვის მშპ-ის ამგვარი შემადგენლობა სოფლის მეურნეობის დაბალპროდუქტიულობაზე მიგვანიშნებს.

ეკონომიკის დაბალგანვითარებულობას თან ახლავს უმუშევრობის და არასრული დასაქმების საკმაოდ მაღალი დონე. დასაქმებულთა რიცხვში დიდი ხვედრითი წილი უჭირავს თვითდასაქმებულებს (30,6%) - ეს არის ძირითადად სოფლის მოსახლეობა, რომელიც წვრილ გლეხურ (საოჯახო) მეურნეობაში დასაქმებულად ითვლება.

შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობა 300,000 კაცს აღემატება, რომელთაგან თითქმის ნახევარი (46 %) გორის მუნიციპალიტეტის მკვიდრია. დანარჩენ სამ მუნიციპალიტეტში კი მოსახლეობა თითქმის თანაბრად არის განაწილებული: ხაშურში მოსახლეობის 20 %, ხოლო ქარელსა და კასპში - 17 % ცხოვრობს. შიდა ქართლის რეგიონი უპირატესად რურალურია (სასოფლოა) და მისი ურბანიზაციის დონე 40%-საც ვერ აღწევს. ასეთი მაჩვენებელი არაინდუსტრიული, განვითარებადი რეგიონებისათვისაა დამახასიათებელი. (შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021, 2013, გვ. 5)

მიგრაციული ნაკადები წლიურად არ აღემატებოდა რეგიონის მოსახლეობის 0.5%-ს. გამონაკლისს წარმოადგენს 2010 წლისათვის აღრიცხული 10,000-ზე მეტი მიგრანტი (რეგიონის მოსახლეობის 3.5%), რომელთა უმეტესობა, 6,000-ზე მეტი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად ცხინვალის (ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“) ტერიტორიიდან დევნილთა ხარჯზე შეიქმნა.

შიდა ქართლის რეგიონში შრომითი რესურსი (სამუშაო ძალა) 2017 წლის მონაცემებით 140,3 ათ. ას კაცს შეადგენს, რაც მთლიანი მოსახლეობის თითქმის 46%-ია, აქედან დასაქმებულია 122.2 ათასი კაცი, ანუ მთელი მოსახლეობის საერთო ოდენობის 41,8 %. დასაქმებულთა რიცხვში დიდი ხვედრითი წილი უჭირავს თვითდასაქმებულებს 30,6 % - ეს არის ძირითადად სოფლის მოსახლეობა, რომელიც წვრილ გლეხურ (საოჯახო) მეურნეობაშია დასაქმებული. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

შიდა ქართლის მხარის ეკონომიკური აქტივობა ძირითადად შემდეგი დარგების საფუძველზე ხდება: სოფლის მეურნეობა (აგროწარმოება), მრეწველობა, ტურიზმი ვაჭრობა (კომერცია), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, მშენებლობა (გზების და სხვა ინფრასტრუქტურის ჩათვლით).

შიდა ქართლის რეგიონში მრეწველობა არ გამოირჩევა განვითარების მაღალი დონით - არც დარგების მრავალფეროვნებით, არც დასაქმებულთა რაოდენობით და არც პროდუქციის გამოშვების მოცულობით. მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა ბოლო წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

- 2013 წელი - 4019 ათ. კაცი;
- 2014 წელი - 5004 ათ.კაცი;
- 2015 წელი - 4644 ათ.კაცი;
- 2016 წელი - 4460 ათ.კაცი. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

შიდა ქართლის მხარეში მრეწველობა ძირითადად მცირე და საშუალო საწარმოების სახით არის წარმოდგენილი. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა და დაქირავებულთა დინამიკა 2006-2008 წლებში კლებადი ხასიათისაა, 2009 წლიდან კი მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება, ბოლო წლებში კი გარკვეული მერყეობით ხასიათდება.

მრეწველობა, რომელიც ვერ გამოირჩევა განსაკუთრებული სიმძლავრეებითა და სექტორული/დარგობრივი მრავალფეროვნებით, ძირითადად კვების მრეწველობითაა წარმოდგენილი.

ბოლო წლებში კვების და სასმელების წარმოების სექტორი არის მნიშვნელოვანი დამსაქმებელი, რაც დაკავშირებულია ადგილობრივ სიფლის მეურნეობის წარმოებასთან.

ყველა სხვა სექტორთან შედარებით, კვების და სასმელების წარმოება ყველაზე მეტად არის წარმოდგენილი როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. შიდა ქართლზე მოდის საქართველოს

ვაშლის წარმოების 65% და ვაშლისგან წარმოებული პროდუქტების ექსპორტის 25%. (ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2011 წლის ნოემბერი)

იზრდება დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურებაც, მრეწველობაში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება ბოლო წლების განმავლობაში ასე გამოიყურება: 2013 წელი - 558,5 ლარი, 2014 წელი - 588,0, 2015 წელი -647,3 ლარი, 2016 წელი - 660,9 ლარი, მაგრამ მისი არსებული დონე ჯერ კიდევ არასაკმარისად უნდა ჩაითვალოს. არასაკმარისია ინვესტიციების შემოდინების მასშტაბებიც. შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით მხოლოდ კახეთის რეგიონი ჩამორჩება ქართლის რეგიონს. 2016 წელს შიდა ქართლის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შემოსულია 3,535,0 მლ.აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია, ხოლო 2017 წელს - 8,449,8 მლნ აშშ დოლარი.

დასაქმების მხრივ გარკვეული ზრდა აღინიშნება მშენებლობის სექტორში.შიდა ქართლის რეგიონში მშენებლობის სფეროში ომამდელ და კრიზისამდელ მზარდ მაჩვენებლებს ომის შემდგომი კლება ცვლის, ხოლო 2011 წლიდან სექტორში კვლავ ზრდის ტენდენცია ფიქსირდება. 2013 წელს შიდა ქართლის რეგიონში მშენებლობის სექტორში დასაქმებული იყო 1486 კაცი, 2014 წელს - 1681, 2015 წელს - 2253, ხოლო 2016 წელს - 2146 კაცი.

ვაჭრობის სფეროში კატასტროფულად დაბალია საშუალო თვიური ანაზღაურება (200 -ლარამდე) მიუხედავად ამისა ვაჭრობაში დასაქმებულთა რიცხვი ბოლო წლებში უმნიშვნელოდ, მაგრამ ზრდის ტენდენციით ხასიათდება:

- 2013 წელი -3264 კაცი;
- 2014 წელი -3508 კაცი;
- 2015 წელი -4318 კაცი;
- 2016 წელი - 5188 კაცი. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური)

შიდა ქართლის რეგიონში მომსხურების სფეროს მდგომარეობა ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, რაც პირდაპირ აისახება რეგიონში ზოგადად ტურიზმისა და რეკრეაციის განვითარების დაბალ დონეზე. შიდა ქართლში არსებულ სასტუმროებსა და რესტორნებში დასაქმეულთა რაოდენობა 2013 წელს 441 კაცი იყო. 2014-2015 წლებში დასაქმებულთთა რაოდენობა იზრდება და შესაბამისად 535 – 797 კაცს შეადგენს, 2016 წელს კი ეს მაჩვენებელი საგრძნობლად დაეცა და 498 კაცი შეადგინა. ამ სფეროში შრომის ანაზღაურება ძალიან დაბალია, ვაჭრობის სფეროსთან შედარებითაც კი. გარკვეული ცვალებადობით ხასიათდება ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დასაქმებულთა რაოდენობა, თუ 2013-2014 წლებში დასაქმებულთა ზრდა ფიქსირდება, შესაბამისად 376 – 506 კაცი, 2015-2016 წლებში დასაქმებულთა მნიშვნელოვანი კლებაა, შესაბამისად 824-489 კაცი.

პრობლემებით ხასიათდება რეგიონის აგროწარმოება**.** სოფლის მეურნეობას ძირითადად ნატურალური ხასიათი აქვს და ამ დარგში დასაქმებულთა უმეტესობა ვერ ახერხებს ბაზარზე შეღწევას თავისი პროდუქციის სიმცირის, სიძვირის და დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო. შიდა ქართლში აღრიცხული 73 ათასამდე მეურნეობათა 99% წვრილმიწიანია (1 ჰა-ზე ნაკლები) და ოჯახური ტიპისაა, რომელთა კომერციული წარმოების პოტენციალი ძალიან დაბალია. მათ ხელმისაწვდომობას კრედიტებსა და პროდუქციის დაზღვევაზე ისიც ზღუდავს, რომ მცირემიწიან მეურნეობათა ნაკვეთების დიდი ნაწილი არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და შესაბამიად მესაკუთრეთა უფლებები არ არის სრულყოფილად აღიარებული.

სოფლის მეურნეობის დაბალპროდუქტიულობისა და დაბალკომერციულობის მიზეზია ფერმერთა შორის კოოპერირების არარსებობა, აგრობიზნესის წარმოების შესახებ ცოდნის დაბალი დონე, ტექნიკური და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, სასაწყობე მეურნეობების სიმცირე და ა.შ. ამ დარგის ძირითადი მიზანი უახლოეს პერსპექტივაში უნდა გახდეს ადგილობრივი ბაზრის მაქსიმალურად ათვისება იმპორტის ჩანაცვლების გზით და საექსპორტო ბაზრებში შეღწევის და დამკვიდრების მცდელობა. (სრესელი, 2012)

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია რეგიონის მოსახლეობის 81%, რომელიც რეგიონის მშპ-ის მხოლოდ 19%-ს ქმნის, რაც კატასტროფულად დაბალ პროდუქტიულობაზე მიუთითებს.

სოფლის მეურნეობის სექტორში მოსახლეობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი იმის მიმანიშნებელია, რომ მოსახლეობას უწევს თვითდასაქმებისა და თვითგადარჩენის მიზნით სოფლის მეურნეობით დაკავდეს, რაც სამწუხაროდ, ჯერ შორსაა სოფლის მეურნეობის, როგორც ეკონომიკის მომგებიანი დარგის ჩამოყალიბებისგან. (სრესელი, 2012)

ბიზნესის განვითარება, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს დასაქმების პრობლემის გადაჭრისას, შიდა ქართლის რეგიონში რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას აწყდება: ეს არის ბიზნეს გარემო, ბაზრების ხელმისაწვდომობა, ფინანსების ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიების გამოყენება, ადამიანური რესურსი.

რეგიონში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების დიდი ნაწილი ინდივიდუალური ან მცირე მეწარმეა, ასევე ნაწილი უმოქმედოა. საწარმოთაგან ზოგიერთი გაჩერებულია ან სეზონურად მუშაობს. უმთავრეს პრობლემას დანადგარების სიძველე და ინვესტიციების სიმწირე წარმოადგენს.

რეგიონში წარმოდგენილი ბიზნესის/საწარმოთა უდიდესი ნაწილი მეტად მცირე ზომისაა. რეგისტრირებულ 1700-მდე საწარმოდან (2011 წ.) 56% ინდივიდუალური მეწარმეა და 40%-შპს. უმეტესი მათგანი (41%) ვაჭრობასა და კვების პროდუქტების მრეწველობაში საქმიანობს. მეტად მცირეა სოფლის მეურნეობის პროფილის რეგისტრირებულ საწარმოთა წილი (მხოლოდ 5%).

არასათანადოდაა განვითარებული ტურისტულ-რეკრეაციული ბიზნესი, მიუხედავად ამ დარგის პრიორიტეტულად დეკლარირებისა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ. (შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021, 2013, გვ. 24)

ბიზნესის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორთაგან აღსანიშნავია კვალიფიციური შრომითი რესურსების სიმცირე. ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემების წინაშე დგანან სექტორები, სადაც დასაქმების პოტენციალი არსებობს. არის პროფესიები, რომლებზედაც რეგიონში დიდი დეფიციტია. მაგ. შიდა ქართლში არ მზადდება ისეთი მოთხოვნადი სპეციალობის კადრები, როგორიცაა მცხობელი, მზარეული, მიმტანი, კონდიტერი, სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი, ზოოტექნიკოსი, სანერგე მეურნეობის სპეციალისტი და სხვა. (სრესელი, 2017)

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ტექნოლოგიური პროგრესის გამო სწრაფ ცვლილებებთან ერთად იზრდება ახლებური და მრავალფეროვანი უნარ-ჩვევების და ცოდნის მუშაკებზე მოთხოვნა, ამიტომ შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით უნდა მოხდეს მეწარმეებისა და განათლების სისტემის ინტეგრაცია. სასწავლო პროგრამები მეწარმეებზე მიმართული უნდა იყოს. სამუშაოს მსურველს ხშირად ის უნარ-ჩვევები არ აქვს, რაც მეწარმეს სჭირდება. ასევე პროფესიული კადრების მომზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს რეგიონში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის სპეციფიკა.

ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი, არსებული გამოწვევების და პრობლემების გადაჭრის თანმიმდევრული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ხელს შეუწყობს ბიზნესის შემდგომ განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უმუშევრობის შემცირებას და შრომითი პოტენციალის რაციონალურად გამოყენებას. რეგიონში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება დადებითად აისახება სამეწარმეო საქმიანობაზე, რაც მნიშვნელოვან როლს ითამაშებს დასაქმების პრობლემის მოგვარებაში. ბაზრის პირობებში სახელმწიფომ უნდა შექმნას პირობები, რომლებიც თითოეულ ადამიანს გარანტირებულად მისცემს მუშაობის შესაძლებლობას, ადამიანს კი აქვს უფლება აირჩიოს ადგილი და სახე შრომითი საქმიანობისა, და თავად მიიღოს გადაწყვეტილება მასში მონაწილეობაზე. დღეს მოქმედი შრომის კოდექსით გათვალისწინებულია, რომ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს ნებისმიერი, კანონთან თანხმობაში მყოფი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, თვისუფლად აირჩიოს სამუშაოს ადგილი და შრომით საქმიანობის სახე. „შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით“. (საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი 2010, მუხლი 2.2)

მეწარმეობა და ინტეგრირებული ინფრასტრუქტურა, როგორც დასაქმების წყარო, ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივად არის მიჩნეული, ამიტომ ბიზნესის განვითარება ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტიანი გზაა დასაქმების დონის ასამაღლებლად, მათ შორის ისეთი საკითხების მოგვარება, როგორიცაა მცირე მეწარმეობისთვის შესაბამისი საკადრო პოტენციალის ფორმირება. ადგილობრივმა შესაბამისმა უწყებებმა უნდა იზრუნონ იმ შეზღუდვების აღმოფხვრაზე, რაც ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას რეგიონში, რათა უფრო სწრაფად განვითარდეს ადგილობრივი წარმოება და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები. „ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობას, როგორც ბიზნეს-გარემოს სრულყოფის, ისე შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების გზით. ეს უკანასკნელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობაა. (საქართველოს მთავრობა, 2013 წლის 2 აგვისტო)

ბიბლიოგრაფია:

ბანკები და ფინანსები. (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: http://bfm.ge/society%20/2661-jobs.html

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. (2011 წლის ნოემბერი). *დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.osgf.ge/files/publications/2011/EPRC_Georgian_Economic_Outlook_II,_Nov_2011_GEO.pdf

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ვებგვერდი: http://www.mes.gov.ge

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.economy.ge/?category=48&lang=geo&dn=10343

საქართველოს მთავრობა. (2013 წლის 2 აგვისტო). *საქართველოს მთავრობის დადგენილება "საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ"* (#199). თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1981264?publication=0

საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი 2010. (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=12

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ვებგვერდი: www.geostat.ge

სრესელი, ლ. (2012). დასაქმების პოტენციალი შიდა ქართლის რეგიონში. *სუხიშვილისლის სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „თანამედროვეობის მეცნიერული საკითხები“.* თბილისი: უნივერსალი.

სრესელი, ლ. (2014). პროფესიული განათლების როლი სტრუქტურული უმუშევრობის დაძლევაში. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია „განათლების თანამედროვე გამოწვევები“* (გვ. 108-112). ირიდა.

სრესელი, ლ. (2017). მცირე მეწარმეობის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლის აგროსექტორში. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეცხრე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „განათლების მენეჯმენტი: მიმდინარე გამოწვევები და განვითარები პერსპექტივები“* (გვ. 271-277). თბილისი: სამშობლო.

შიდა ქართლის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021. (2013). თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/shida_kartlis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis_0.pdf

International Organization for Migration: Mission to Georgia. ვებგვერდი: iom.ge

The Economist. ვებგვერდი: https://www.economist.com/

Буланова, В. С. (2007). *Рынок труда.* М: Экзамен.

Lali Sreseli

Gori State Teaching University

THE IMPACT OF LABOR MARKET REGIONAL PECULIARITIES ON THE QUALITY OF EMPLOYMENT

RESUME

Today in Georgia employment is the main problem for the population.In the field of employment is difficult situation,as a Country and in the Shida Khartli.It needs particular attention to function of labor market.

The work deals with the problems and chalengers of the region,where economic activity of shida Khartli is implemented.

Business development is one of the most effective ways to increase employmentels levels.

Improvement of the Business environment in the region has positively effects the entrepreneurial activities, and it will play an important role in resolving the problems of employment.

Keywords: Employ, Labor market, Work force, Unemployment.

გიორგი ყაზიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

საცალო სავაჭრო საწარმოთა მომსახურების ფორმები და თანამედროვე ფორმატები

საკვანძო სიტყვები: საცალო ვაჭრობა, საწარმო, მომსახურება, მაღაზია.

მომსახურების სექტორის ეკონომიკაში ვაჭრობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. აქედან გამომდინარე, საცალო ვაჭრობა, როგორც ვაჭრობის შემადგენელი ნაწილი, მომსახურების სფეროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

საცალო ვაჭრობა საქონელმოძრაობის დამამთავრებელი ეტაპია, რომლის მეშვეობითაც საქონელი მის უშუალო მომხმარებელს მიეყიდება ინდივიდუალური და კოლექტიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საცალო ვაჭრობის რგოლის გავლით საქონელი წყვეტს მოძრაობას მიმოქცევის არხებში და მოხმარების სფეროში გადადის. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში საცალო ვაჭრობის მაღაზიები ყველა კომერციული საწარმოს მეოთხედზე მეტს შეადგენს. (თეთრუაშვილი, თეთრუაშვილი, & თეთრუაშვილი, 2008, გვ. 22)

გამომდინარე იქიდან, რომ საცალო ვაჭრობაში საქმე მზა საქონელს ეხება, რომელიც უშუალოდ რეალიზდება საბოლოო მომხმარებელზე, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ საქონელზე, არამედ მისი შეთავაზებისა და გასაღების მომსახურებაზე. თანამედროვე პირობებში აუცილებელია არა მხოლოდ მყიდველთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მათთვის შესაბამისი საქონლის შეთავაზება, არამედ საჭიროა ეს პროცესი გახდეს მომხმარებლებისთვის მაქსიმალურად მოხერხებული და კომფორტული. სავაჭრო მომსახურება წარმოადგენს საცალო ვაჭრობის სპეციფიკურ პროდუქტს, რომლის ხარისხიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კიდეც კომპანიის წარმატებასა თუ წარუმატებლობას.

საცალო სავაჭრო საწარმოებში სავაჭრო მომსახურების ფორმა მოიცავს სავაჭრო-ტექნოლოგიური პროცესების ისეთ თავისებურებებს, როგორებიცაა:

- საქონლის გაყიდვის მეთოდები;
- დამატებითი მომსახურებები;
- გაყიდვის პერსონალური მეთოდები.

საცალო სავაჭრო მაღაზიებში საქონლის გაყიდვის მეთოდების მიხედვით განასხვავებენ:

- მომხმარებელთა ინდივიდუალურ მომსახურებას ან საქონლის გაყიდვას დახლის მეშვეობით (ტრადიციული მეთოდი);
- საქონლის რეალიზაცია ნიმუშებისა და კატალოგების მიხედვით;
- საქონლის რეალიზაცია წინასწარი შეკვეთების მიხედვით;
- თვითმომსახურება.

ინდივიდუალური მომსახურებით საქონლის გაყიდვისას ყველა ძირითადი ოპერაცია (მყიდველთან შეხვედრა, მისი სურვილების გამოვლენა, მისთვის საქონლის შეთავაზება და ჩვენება, დახმარება და კონსულტაცია, შეფუთვა და სხვ.) ხორციელდება გამყიდველის მონაწილეობით.

მაღაზიებში ტრადიციული მეთოდის გამოყენება ამცირებს მოსახლეობის მომსახურების დონეს, ზრდის საქონლის შეძენაზე გაწეული დროის დანახარჯებს, ზღუდავს საქონლის შერჩევაში მყიდველის დამოუკიდებლობას. აღნიშნული მეთოდის გამოყენება ეფექტურია მხოლოდ ისეთი საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, რომელიც გამყიდველთა უშუალო მონაწილეობას მოითხოვს.

ნიმუშების მიხედვით საქონლის გაყიდვა ითვალისწინებს სავაჭრო დარბაზში ნიმუშების გამოლაგებას და მყიდველთათვის მათ დამოუკიდებლად გაცნობას. საქონლის შერჩევისა და შეძენის შემდეგ გამყიდველი მყიდველს გადასცემს ნიმუშის შესაბამის საქონელს. ნიმუშებს უნდა ჰქონდეს მიმაგრებული მკაფიოდ გაფორმებული იარლიყები, სადაც მითითებული უნდა იყოს საქონლის დასახელება, არტიკული, სორტი, დამამზადებლის სახელწოდება, ფასი, აგრეთვე, საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მიეთითოს ძირითადი ტექნიკური მახასიათებლებიც. აუცილებლობის შემთხვევაში გამყიდველებმა შეიძლება კონსულტაცია გაუწიონ მყიდველებს. როგორც წესი, ეს მეთოდი გამოიყენება ტექნიკურად რთული და მსხვილგაბარიტიანი საქონლის გაყიდვისას.

აღნიშნული მეთოდის ნაირსახეობას წარმოადგენს საქონლის გაყიდვა კატალოგებით, რომელიც მოიცავს მათ აღწერით ფოტოსურათებს.

წინასწარი შეკვეთით გაყიდვა მოსახერხებელია მყიდველებისთვის დროის ეკონომიის თვალსაზრისით. წინასწარი შეკვეთით ყიდიან რთული ასორტიმენტის უპირატესად სასურსათო, აგრეთვე არასასურსათო საქონელს. შეკვეთები მიიღება მაღაზიებში, სამუშაო ადგილზე ან სახლში. წინასწარ შეკვეთილი საქონელი შეიძლება მიწოდებულ იქნეს სახლში ან გადაეცეს მყიდველს მაღაზიაში.

სრული თვითმომსახურებით საქონლის გაყიდვა წარმოადგენს საქონლის გაყიდვის ერთ-ერთ ყველაზე მოსახერხებელ მეთოდს მყიდველებისათვის. თვითმომსახურების მაღაზიებში მომუშავეთა ფუნქციები ძირითადად შემოიფარგლება მყიდველთათვის კონსულტაციის გაწევით, საქონლის გადმოწყობითა და მათი დაცვის კონტროლით, ანგარიშსწორების ოპერაციების შესრულებით. შერჩეულ საქონელს მომხმარებელი ათავსებს საინვენტარო კალათაში და წარადგენს სალაროსთან ანგარიშსწორებისათვის. საზღვარგარეთისა და საქართველოს მთელ რიგ მარკეტებში თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვისას გამოიყენება შტრიხული კოდირების ტექნოლოგია, რაც შეძენილი პროდუქციის უფრო სწრაფად დაანგარიშების საშუალებას იძლევა.

საქონლის გაყიდვის მეთოდების მსგავსად დამატებითი მომსახურებები წარმოადგენს საქონლის გაყიდვის კიდევ ერთ შემადგენელ ფორმას. დამატებით მომსახურებებს დიდი მნიშვნელობა აქვს საცალო სავაჭრო საწარმოს ვაჭრობის კულტურისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების, დადებითი იმიჯის შექმნის თვალსაზრისით.

გაყიდვების პერსონალური მეთოდები დაკავშირებულია სახლში მყიდველთა ინდივიდუალურ მომსახურებასთან. მას მიეკუთვნება პირდაპირი გაყიდვები სავაჭრო აგენტების, ტელემაღაზიებისა და კომპიუტერული ქსელის (ინტერნეტი, ელექტრონული მაღაზია) დახმარებით.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში საცალო ვაჭრობის საწარმოების გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მათი ორგანიზაცია სავაჭრო ქსელების სახით. სავაჭრო ქსელი წარმოადგენს ორ ან მეტ სავაჭრო წერტილს, რომლებიც ერთობლივად კონტროლდება. მათი მასშტაბი უზრუნველყოფს დიდი რაოდენობის საქონლის დაბალ ფასში შეძენას და სტიმულირებაზე ეკონომიას. (Парамонова & Красюк, 2013, стр. 14-16)

მაშასადამე, საცალო სავაჭრო საწარმოების მიერ წარმოდგენილი მომსახურების მეთოდები მეტად მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია. აღნიშნული მეთოდების ეფექტურად და სწორად შერჩევა და გამოყენება, მათი თავისებურებების, დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება მნიშვნელოვნად განაპირობებს თავად საწარმოს მომავალ ფუნქციონირებას. საცალო ვაჭრობა საქონელმიმოქცევის დაჩქარებასა და მომხმარებელთა სავაჭრო მომსახურებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს.

მარკეტინგის კომპლექსში საცალო სავაჭრო ქსელის როლის უკეთ შესწავლისათვის აუცილებელია მისი კლასიფიკაცია. საცალო ვაჭრობის საწარმოების კლასიფიკაციაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ დაყოფას ფორმატების (ტიპების) მიხედვით. საცალო სავაჭრო საწარმოს ფორმატი წარმოადგენს მახასიათებლების ნაკრებს, რომელიც ნიშანდობლივია ამა თუ იმ სახის მაღაზიისათვის. ასეთ მახასიათებლებს წარმოადგენს:

- სავაჭრო დარბაზის ფართობი;
- სასაქონლო პოზიციების რაოდენობა;
- მყიდველთა მომსახურების დონე;
- საქონლის განთავსების ტექნოლოგია.

არსებობს საცალო სავაჭრო საწარმოების შემდეგი თანამედროვე ფორმატები (ტიპები): სპეციალიზირებული საცალო სავაჭრო საწარმოები; უნივერმაღი; უნივერსამი (სუპერმარკეტი); ჰიპერმარკეტი; გასტრონომი; მინიმარკეტი; მაღაზია-საწყობი; საკომისიო მაღაზიები; სავაჭრო სახლები; საფირმო საცალო სავაჭრო საწარმოები; მაღაზია-სალონი; საცალო სავაჭრო საწარმო „ბუტიკის“ ტიპის; საცალო სავაჭრო საწარმო „მეორადი“ (Second-hand Shop) საცალო სავაჭრო საწარმო „Cash & Carry“; ფასდაკლების საცალო სავაჭრო საწარმოები (დისქაუნთერი, დისკონტ-მაღაზიები) და სხვ.

განვიხილოთ თითოეული ფორმატი (ტიპი).

ბაზრის განვითარებამ და მომხმარებლების მხრიდან საუკეთესო არჩევანის გაკეთების ძიებამ, სპეციალიზირებული და ვიწროსპეციალიზირებული საცალო სავაჭრო საწარმოების სწრაფი განვითარება გამოიწვია, რომლებიც მომხმარებლებს სთავაზობენ ვიწრო ასორტიმენტის საქონელს. ასეთებია მაგალითად, სპორტული ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, რადიო და ფოტოაპარატურის, ავეჯის, წიგნების, ყვავილების მაღაზიები და ა.შ. ვიწროსპეციალიზებულ საცალო სავაჭრო საწარმოებს შეზღუდული ასორტიმენტით მიეკუთვნება მამაკაცის ან ქალის ტანსაცმლის მაღაზიები, მამაკაცის პერანგებით ან ქალის კაბებით მოვაჭრე მაღაზიები.

საქართველოს საცალო ვაჭრობის ბაზარზე სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტების ტიპები სულ უფრო ვითარდება. საქართველოში მოქმედ სპეციალიზებულ საცალო სავაჭრო საწარმოებს მიეკუთვნება „ვრანგლერი“, „ადიდასი“, „ემბავუდ ჯორჯია“, „ფლაუერს.ჯი“, „ბიბლუსი“ და სხვ.

საცალო სავაჭრო საწარმო - უნივერმაღი წარმოადგენს მსხვილ საცალო სავაჭრო საწარმოს და ახორციელებს სასურსათო და/ან სამრეწველო საქონლით ფართო ასორტიმენტით ვაჭრობას, იგი ფართოდ იყო გავრცელებული ახლო წარსულში, პოსტსაბჭოთა სივრცეში. თუმცა საქართველოში, კერძოდ თბილისში, ფუნქციონირებენ სავაჭრო ცენტრები („თბილისი მოლი“, „თბილისი ცენტრალი“, „ლილო სითი“, „ქარვასლა“ და სხვ).

უნივერსამი (თვითმომსახურების უნივერსალური მაღაზია, სუპერმარკეტი) ფართო პროფილის უნივერსალური საცალო სავაჭრო საწარმოა, რომელიც სასურსათო და არასასურსათო საქონლით ვაჭრობს, თუმცა ასორტიმენტის დიდი ნაწილი სასურსათო საქონელზე მოდის. (ეკონომიკური ლექსიკონი, 2001, გვ. 553) ჩვეულებრივი საცალო სავაჭრო საწარმოსგან განსხვავებით უნივერსამში საქონელთა უმრავლესობა განთავსებულია ვიტრინებზე ღია მიწვდომისათვის, რათა მყიდველმა თავად აირჩიოს მისთვის საჭირო პროდუქტი. უნივერსამში საქონელი იყიდება თვითმომსახურების მეთოდით. „უნივერსამის“ სახელწოდებით მხოლოდ ერთი სავაჭრო ობიექტია - „თემქის უნივერსამი“. თუმცა საქართველოში თვითმომსახურების მეთოდით მომუშავე არაერთი ჰიპერმარკეტი თუ სუპერმარკეტი შეიძლება დავასახელოთ. მაგალითად, „სმარტი“, „კარფური“, „გუდვილი“ და სხვ.

ჰიპერმარკეტი საცალო ვაჭრობის საწარმოა, რომელიც ახორციელებს უნივერსალური ასორტიმენტის სასურსათო და არასასურსათო საქონლის რეალიზაციას უპირატესად თვითმომსახურების ფორმით, 5000მ^2-დან სავაჭრო ფართით. ჰიპერმარკეტი აერთიანებს სუპერმარკეტებს, ფასდაკლებისა და სასაწყობო საცალო მოვაჭრეებს. საქართველოში საცალო სავაჭრო ბაზარზე ამჟამად მოქმედი ორი ყველაზე ცნობილი ჰიპერმარკეტი შეგვიძლია დავასახელოთ – „გუდვილი“ და „კარფური“.

გასტრონომი ახორციელებს გასტრონომიული პროდუქტებით (კვების პროდუქტებით) ვაჭრობას. იგი ძირითადად გავრცელებული იყო საბჭოურ პერიოდში. საქართველოში „გასტრონომის“ სახელწოდებით ამჟამად არ ფუნქციონირებს არცერთი საცალო სავაჭრო საწარმო. თუმცა მრავლადაა სწრაფი კვების ობიექტები. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ სწრაფი კვების რესტორების უმსხვილესი ქსელი მსოფლიოში „მაკდონალდსი“.

მინიმარკეტი უნივერსალური საცალო სავაჭრო საწარმოა მცირე სავაჭრო ფართობით. მინიმარკეტი სუპერმარკეტისაგან უპირველეს ყოვლისა განსხვავდება სავაჭრო დარბაზის ზომებით. ამიტომ ასეთი მაღაზიები იფარგლებიან იმ პროდუქტის ასორტიმენტით, რომელიც სარგებლობენ გაზრდილი მოთხოვნით. მინიმარკეტები ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოს ვაჭრობის ბაზარზე, განსაკუთრებით პერიფერიულ უბნებსა და დასახლებებში.

მაღაზია-საწყობების მიზანია დიდი მოცულობის საქონლის გაყიდვა დაბალ ფასებში. ასეთი ვაჭრობის ყველაზე გავრცელებული სახეა ავეჯის მაღაზია-საწყობები. თბილისში არაერთი საწყობია, ძირითადად ავეჯისა და ავეჯის აქსესუარების, ტანსაცმლის და სხვ.

საკომისიო მაღაზია წარმოადგენს საცალო ვაჭრობის საწარმოს, რომელიც ახორციელებს ორგანიზაციებისაგან ან ცალკეული პირებისაგან მიღებული საქონლის გაყიდვას საკომისიო საწყისებზე. საქართველოში „საკომისიო მაღაზიის“ სახელწოდებით არაერთი საცალო სავაჭრო საწარმო არსებობდა გასული საუკუნის 90-იან წლებში.

სავაჭრო სახლი საცალო სავაჭრო საწარმოა, რომელსაც გააჩნია ფართობი 1000მ^2-დან და ახორციელებს ფართო ასორტიმენტის სასურსათო და არასასურსათო საქონლით ვაჭრობას და დამატებით მომსახურებას უწევს მომხმარებლებს. მაგალითად, აღნიშნული სახელწოდებით ცნობილია სავაჭრო სახლი გოლეთიანი.

საფირმო მაღაზია წარმოადგენს საცალო ვაჭრობის საწარმოს, რომელიც ვაჭრობს ერთი მწარმოებლის ანდა ერთი ან მონათესავე სავაჭრო მარკის საქონლით. აღნიშნული ტიპის სავაჭრო საწარმოებს მიეკუთვნება სპორტული მაღაზია „ადისასი“, კომპანია „კულას“ საფირმო მაღაზია და სხვ.

მაღაზია-სალონი წარმოადგენს დიდ სპეციალიზებულ მაღაზიას.

„ბუტიკის“ ტიპის მაღაზია პატარა მაღაზიაა, სადაც მოდური საფირმო სამოსი და ნაირგვარი აქსესუარები იყიდება. აღნიშნული ტიპის საცალო სავაჭრო საწარმოების რაოდენობა საქართველოში თანდათანობით იზრდება. ქ. თბილისში დღეისათვის „ბუტიკის“ ტიპის არაერთი საცალო სავაჭრო საწარმოა წარმოდგენილი.

„მეორადი“ მაღაზია (Second-hand Shop) წარმოადგენს საცალო ვაჭრობის მაღაზიას, რომელიც ყიდის ისეთ საქონელს, რომელიც არ არის ახალი. არსებობს აღნიშნული მაღაზიების სხვადასხვა სახეები, რომლებიც ძირითადად სპეციალიზებულნი არიან კონკრეტული ტიპის საქონელზე. საწარმოების აღნიშნული ტიპი (განსაკუთრებით მეორადი ტანსაცმლის მაღაზიები) საქართველოში გასული საუკუნის 90-

იანი წლებიდან განვითარდა ქვეყანაში შექმნილ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფონზე. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სიღარიბეში ცხოვრობს, ამიტომ იძულებულნი არიან მეორადი, უკვე გამოყენებული ტანსაცმელი შეიძინონ. საქართველოს საცალო ვაჭრობის ბაზარზე მეორადი ტანსაცმლის გარდა წარმოდგენილია აგრეთვე მეორადი ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა, ავტომობილები და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში მყოფი საქართველოს მოსახლეობა სულ უფრო აქტიურად იყენებს ამ ტიპის საცალო სავაჭრო საწარმოების მომსახურებას მთლიანი ქვეყნის მასშტაბით. დაახლოებით 25 წლის წინ საქართველოში ჰუმანიტარული სახით შემოსული ევროპული, მეორადი ტანსაცმელი ადგილობრივ ბაზარზე შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ იქცა. მეორადი ტანსაცმლის მაღაზიების რაოდენობა სწრაფად გაიზარდა როგორც დედაქალაქში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში. მოსახლეობა მძიმე მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გამო იძულებულია შედარებით დაბალ ფასად შეიძინოს მეორადი ტანსაცმელი. სწორედ ქვეყნის ეკონომიკურმა მდგომარეობამ და მოსახლეობის ცხოვრების დაბალმა დონემ განაპირობა მნიშვნელოვანწილად მეორადი საქონლის ბაზრის განვითარება საქართველოში, მათ შორის ქ. გორში. ქ. თბილისში მდებარე მეორადი მაღაზიების უმეტესობა გასაყიდ პროდუქციას მეორადი საქონლის საწყობებში ყიდულობს. ერთ-ერთი ასეთი საწყობია, მაგალითად, ისანში მდებარე „სკიპი“. (მეორადი საწყობი ტანსაცმელი ფეხსაცმელი, 2017)

წვრილბითუმი და ბითუმად მყიდველებზე ორიენტირებულ საცალო სავაჭრო საწარმოებს წარმოადგენენ თვითმომსახურების საცალო სავაჭრო საწარმოები, მაგალითად - „Cash&Carry“, რომელიც მყიდველებს შესაძლებლობას აძლევს შეიძინონ სხვადასხვა საქონელი საცალოდ და წვრილ ბითუმად. საქართველოში აღნიშნული ტიპის საცალო სავაჭრო საწარმოა „ჯიბე ქეშ & ქერი“.

ფასდაკლების საცალო სავაჭრო საწარმოები (დისქაუნთერი, დისკონტ-მაღაზიები) წარმოადგენენ საცალო სავაჭრო საწარმოებს, სადაც იყიდება ფართო ასორტიმენტის საუკეთესო საქონელი საბითუმო ფასებით და, შესაბამისად, აქვს მცირე მოგების მარჟა, მაგრამ მაღალი საქონელბრუნვა. საქართველოში საცალო ვაჭრობის ბაზარზე აღნიშნული ტიპის სავაჭრო საწარმოებიც არის წარმოდგენილი, მათ შორის ონლაინ სივრცეშიც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ქ. გორში ე.წ. „საბითუმო“ მაღაზია-საწყობები. ფუნქციონირებს აგრეთვე ფასწარმოქმნის ინტერნეტ მაღაზიები, მაგალითად, წიგნების ინტერნეტ-მაღაზია http://www.readersland.ge, სადაც ყველა წიგნი ფასდაკლებით იყიდება.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში საკუთრების ფორმების მიხედვით, საცალო სავაჭრო ქსელის შემდეგი ძირითადი სახეებია წარმოდგენილი: 1. დამოუკიდებელი სავაჭრო საწარმო; 2. კორპორაციული ქსელი; 3. საცალოდ მოვაჭრე კოოპერატივი; 4. მომხმარებელთა კოოპერატივი; 5. ფრანშაიზინგული ორგანიზაცია; 6. საცალო კონგლომერატი.

დამოუკიდებელი სავაჭრო საწარმო საკუთრების ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში. ამ შემთხვევაში მომხმარებლებს ემსახურება ერთი დამოუკიდებელი საცალო სავაჭრო საწარმო, რომლის მფლობელიც, ძირითადად, თვითონ ასრულებს სავაჭრო ოპერაციებს. საქართველოს კანონმდებლობით დამოუკიდებელი მოვაჭრე შეიძლება იყოს განსაზღვრული მეწარმე სუბიექტი (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ 1994). საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ მე-11 მუხლის თანახმად, საწარმოს ურთიერთობები სავაჭრო წარმომადგენელთან, დამოუკიდებელ მოვაჭრესთან და კომისიონერთან რეგულირდება მათთან დადებული ხელშეკრულებით.

კორპორაციული ქსელის შემთხვევაში ორი ან მეტი სავაჭრო დაწესებულება ერთიანი კონტროლის ქვეშ იმყოფება, რომლებიც ყიდიან ანალოგიური ასორტიმენტის საქონელს, გააჩნიათ საქონლის შესყიდვის და გასაღების ერთიანი სისტემა. ხშირად კორპორაციულ ქსელში შემავალ საცალო სავაჭრო საწარმოებს აქვთ ერთნაირი არქიტექტურული გაფორმება. კორპორაციულ სავაჭრო ქსელს დამოუკიდებელ სავაჭრო საწარმოსთან შედარებით მეტი შესაძლებლობები გააჩნია საქონელბრუნვის მოცულობისა და შემოსავლების გაზრდის თვალსაზრისით, რის შესაძლებლობასაც მას აძლევს დიდი რაოდენობის საქონლის შესყიდვის, საქონელზე მაქსიმალური დათმობების მიღების, სატრანსპორტო ხარჯების შემცირების, კვალიფიციური მენეჯერების დაქირავების, თანამედროვე ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბების და სხვა შესაძლებლობები. კორპორაციული ქსელის ყოველი ობიექტი საერთო მფლობელობისა და კონტროლის პირობებში სარგებლობს გარკვეული დამოუკიდებლობით, რაც მკვეთრად აფართოებს ადგილობრივი ბაზრის თავისებურებების გათვალისწინების და კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობებს.

საცალოდ მოვაჭრეთა კოოპერატივი საცალოდ მოვაჭრე საწარმოების დამოუკიდებელი გაერთიანებაა, რომელიც საქონელს ბითუმად შეისყიდის და შეუძლია საქონლის წარმოებაც. ამ გაერთიანების წევრები თავიანთი საქონლის დიდ ნაწილს ყიდულობენ კოოპერატივის მეშვეობით. ისინი ერთობლივად ახორციელებენ სარეკლამო საქმიანობასაც. კოოპერატივის მიერ მიღებული მოგება მის წევრებს შორის ნაწილდება შესყიდვის მოცულობის შესაბამისად.

სამომხმარებლო კოოპერატივი იქმნება მაშინ, როცა მოქალაქეები ფიქრობენ, რომ მათ ვაჭრობის მუშაკები სათანადოდ არ ემსახურებიან ან საქონელზე ძალიან მაღალი ფასებია დაწესებული. სამომხმარებლო კოოპერატივი წარმოადგენს მოქალაქეთა ფულადი შენატანების საფუძველზე შექმნილ გაერთიანებას, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს მათ მიერ არჩეული გამგეობა. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ კოოპერატივს განსაზღვრავს როგორც მეწარმე სუბიექტს, რომელიც იურიდიული პირია. კანონის მე-60 მუხლის 60.1 ქვემუხლის თანახმად: „კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. კოოპერატივებს მიეკუთვნება: ნედლეულის მომპოვებელი, სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის, მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით გამყიდველი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან რეწვისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შემძენა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების, სასოფლო-საკრედიტო, მრავალდარგობრივი სამომხმარებლო კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება კანონებით „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, 1994)

საქართველოს კანონის „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“ თანახმად, სამომხმარებლო კოოპერატივი ფიზიკურ და იურიდიულ პირთა გაერთიანებაა, რომელიც ნებაყოფლობით იქმნება ერთობლივი საქმიანობისათვის საპაიო შენატანების გაერთიანებით, ურთიერთდახმარების პრინციპებზე წევრთა მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, მატერიალური და ფინანსური რესურსების მიზიდვისა და ეფექტიანი გამოყენების მიზნით. (მუხლი 1. ბ). (საქართველოს კანონი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ, 1997)

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით იზრდება სასოფლო-სამეურნეო (ფერმერული) კოოპერატივების როლი და მნიშვნელობა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, ამჟამად 1206 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია, რომელიც რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: კახეთი - 132; ქვემო ქართლი - 150; მცხეთა-მთიანეთი - 72; შიდა ქართლი - 88; სამეგრელო- ზემო სვანეთი - 100; გურია - 46; აჭარა - 100; სამცხე-ჯავახეთი - 228; იმერეთი - 127; რაჭა-ლეჩხუმი - 106; თბილისი - 57. (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო) რაც შეეხება სამომხმარებლო კოოპერატივს, საქართველოში მოქმედებს სამგორის სამომხმარებლო კოოპერატივი.

ფრანშაიზინგული (ფრენშაიზინგული) ორგანიზაცია ხელშეკრულების საფუძველზე პრივილეგიების მფლობელი და მიმღები ორგანიზაციების გაერთიანებაა. პრივილეგიების მფლობელები შეიძლება იყვნენ მწარმოებლები, ბითუმად მოვაჭრე ან მომსახურების სფეროს ორგანიზაციები, მიმღებნი კი საშუალო და წვრილი მეწარმეები. ფრანჩაიზი (ფრენშაიზინგი) სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემაა, რომლის საფუძველზეც მსხვილი და ავტორიტეტული ფირმა განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს მცირე საწარმოს (ფირმას), რაც გამოხატულებას პოულობს საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის დროს საკუთარი სავაჭრო მარკის სარგებლობაში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 607-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ „ფრენშაიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალ-დებულებათა შესრულების გზით ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას.“ (საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997) საქართველოში მოქმედი რამდენიმე ფრენშაიზინგული კომპანიიდან შეიძლება გამოვყოთ „კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“, „მაკდონალდსი“, „კარფური“.

თავისუფალი ფირმების კორპორაციაა საცალო კონგლომერატი, რომელიც საცალო ვაჭრობის არაერთგვაროვან საწარმოებს აერთიანებს ერთიან მფლობელობაში მართვის ფუნქციების ნაწილობრივი ინტეგრაციით. საქართველოში კონგლომერატის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ კომპანია „სილქ როუდ გრუფი“, „ვისოლ ჯგუფი“.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საცალო სავაჭრო საწარმოთა თანამედროვე ფორმატებისა და მომსახურების ფორმების განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული თავად ბიზნესის განვითარებაზე. საგულისხმოა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბიზნეს რეგისტრში საქმიანობის სახეების მიხედვით სწორედ ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო

ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი ლიდერობს. მისი წილი 19,1%-ს შეადგენს, რითაც მნიშვნელოვნად აღემატება საქმიანობის სხვა სახეებს. (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1.

ბიზნეს რეგისტრი საქმიანობის სახეების მიხედვით

(1 სექტემბერი 2018)

საქმიანობის სახე	სუბიექტთა რაოდენობა	აქტიური	%
სულ	709729	184660	100
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	6738	1584	0.9
თევზჭერა, მეთევზეობა	381	111	0.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	1482	696	0.2
დამამუშავებელი მრეწველობა	30815	12532	4.3
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	475	134	0.1
მშენებლობა	17399	7223	2.5
ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	135326	61246	19.1
სასტუმროები და რესტორნები	13793	6357	1.9
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	19303	9494	2.7
საფინანსო საქმიანობა	4255	2126	0.6
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	27249	14377	3.8
სახელმწიფო მმართველობა	1843	429	0.3
განათლება	6758	4353	1.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	5652	3064	0.8
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	19637	5548	2.8
საქმიანობა უცნობია	418623	55386	58.9

წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=469&lang=geo

საკუთრების ფორმების მიხედვით 2018 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით სულ დარეგისტრირებული იყო 709729 სუბიექტი, მათგან 97,4%-ს კერძო პირები შეადგენდნენ. საკუთრების სუბიექტების მთლიან რაოდენობაში სახელმწიფოს ხვედრითი წილი მხოლოდ 0,9 %-ს შეადგენს. (იხ. ცხრილი 2)

ცხრილი 2.

ბიზნეს რეგისტრი საკუთრების ფორმების მიხედვით

(1 სექტემბერი 2018)

საკუთრების ფორმა	სუბიექტთა რაოდენობა	აქტიური	%
სულ	709729	184660	100
კერძო პირები*	691402	177675	97.4
კერძო პირი-საქართველოს მოქალაქე	657393	169040	92.6
უცხოელი კერძო პირი	34009	8635	4.8
კერძო შერეული**	7626	2762	1.1
სახელმწიფო***	6131	2876	0.9
მუნიციპალიტეტი	1833	623	0.3
საკუთრების სხვა ტიპი	2737	724	0.3

წყარო: http://geostat.ge/?action=page&p_id=235&lang=geo

ჩვენ მიერ განხილული სავაჭრო საწარმოების ფორმატებიდან საქართველოში საცალო ვაჭრობის ბაზარზე თითქმის ყველა ფორმაა წარმოდგენილი. სტატისტიკური მონაცემებით, მათგან დიდი ნაწილი მეწარმე ფიზიკური პირია (ინდივიდუალური საწარმო). დასაქმების თვალსაზრისითაც ვაჭრობის სფერო პირველ ადგილზეა. აქედან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცალო სავაჭრო საწარმოთა მომსახურების ფორმებისა და თანამედროვე ფორმატების შესწავლა.

ბიბლიოგრაფია:

ეკონომიკური ლექსიკონი. (2001). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თეთრუაშვილი, მ., თეთრუაშვილი, ზ., & თეთრუაშვილი, ი. (2008). *საკუთარი ბიზნესი: როგორ ვიმოქმედოთ ბაზარზე, დამხმარე სახელმძღვანელო.* (ნაწილი მესამე). გორი: შქსუ-თან არსებული კომპ. ცენტრი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://novatori.files.wordpress.com/2011/02/sakutari20biznesi20iii20nacili.pdf

მეორადი საწყობი ტანსაცმელი ფეხსაცმელი. (2017 წლის 11 მაისი). მოძიებულია 2018 წლის 28 სექტემბერს ვებგვერდიდან: https://ka-ge.facebook.com/meoradiskipi/posts/მეორადი-საწყობი-თბილისშიskipi-isani-ექსკლუზიური-მომწოდებელი-ავსრტრალიიდან-krem-a/1652416621465860/

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. (თ. გ.). *კოოპერატივები.* მოძიებულია 2018 წლის 27 სექტემბერს ვებ-გვერდიდან: http://acda.gov.ge/index.php/geo/static/118

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ 1994. მოძიებულია 2018 წლის 28 სექტემბერს ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=63

საქართველოს კანონი სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ 1997. მოძიებულია 2018 წლის 27 სექტემბერს ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/document/view/29902?publication=0

საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1997. მოძიებულია 2018 წლის 27 სექტემბერს ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=102

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ვებგვერდი: http://geostat.ge/.

Парамонова, Т. Н., & Красюк, И. Н. (2013). *Конкурентоспособность предприятия розничной торговли. учебное пособие,.* Москва: КНОРУС.

* კერძო პირი - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი კერძო პირის საკუთრებაშია.

** კერძო შერეული - ეკონომიკური სუბიექტის საწესდებო კაპიტალში საქართველოს მოქალაქისა და უცხოელი კერძო პირის წილობრივი მონაწილეობა.

*** სახელმწიფო - ეკონომიკური სუბიექტი, რომლის საწესდებო კაპიტალის 50 პროცენტზე მეტი სახელმწიფო საკუთრებაშია.

Giorgi Kazishvili
Gori State Teaching University

SERVICE FORMS AND MODERN FORMATS OF RETAIL TRADE ENTERPRISES

RESUME

Today service, as a kind of commodity market, plays an important role in the development of the national economy. Nowadays, the service has emerged in the sector as a national and world economy, which identifies and promotes the country's competitiveness.

Retail trade, which is the final stage of commodity circulation has a number of service features. The main feature is the fact that its production matches its distribution in time and space. By passing the retailing part the commodity ceases its curculation in the area. It is sold directly to the customer to meet indivudual or collective demands and moves to the field of consumption. That is why the retail trade in services and its marketing needs special approaches.

At present, almost every type, shape and size of retail trade enterprises exist in the retail trade. Gradually, modern forms of retail trade are being established. Accordingly, the retail trade and the service sector have increased and improved dramatically. The service types have become more diverse.

Particular importance is given to the division of formats (types) in Retail Trade Classification. This format is a set of characteristics of the retail businesses, which are characteristic of certain types of commercial enterprise. Such features are: sales area, the quantity of commodity items, customer service and technology for housing the goods.

The main features of the trade services in retail trade enterprises are reviewed and analyzed in the paper, the modern types of retail trade enterprises such as specialized retail trade enterprises, department store, supermarket, hypermarket, grocery store, mini-market, shop, warehouse, retail trade enterprises commission, trading houses, industrial specialty retail, shop, type "boutique" shop, Second-hand Shop, the store "Cash & Carry", the discount retail trade enterprises etc. The relevant statistical data is given.

Keywords: Retail trade, Enterprise, Service, Shop.

კარლო ცერცვაძე, დავით ბიძინაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მიგრაციის პროცესი. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, მიგრაციის ფაქტორები, მიგრაციის პროცესი, მათემატიკური მოდელი, დასაქმება, დემოგრაფიული პოლიტიკა.

შესავალი და მიზანი: მიგრაციის საკითხი მთელი მსოფლიოსთვის აქტუალურ თემასა და პრობლემას წარმოადგენს. საყოველთაო მიგრაციის ძირითად მიზეზებად შეიძლება ჩავთვალოთ: ეკონომიკური, პროფესიული, პოლიტიკური, რელიგიური, ეთნიკური და სხვ. ეს თანაბრად ეხება როგორც შიდა, ისე გარე მიგრაციებს. გაცილებით დიდი პრობლემაა საერთაშორისო მიგრაციები, რომელიც ძალიან გახშირდა და გამწვავდა. ევროპაში შემომსვლელ მიგრანტთა ნაკადი ევროპელი ლიდერებისთვის დიდი თავსატეხი გახდა. დღეს ევროპა რთულ ვითარებაშია: ერთი მხრივ, ჰუმანიზმის იდეა, როგორც ევროპული ღირებულება, მეორე მხრივ კი უსაფრთხოების საკითხი. კრიზისი უმწვავეს ფაზაშია შესული და მოითხოვს სწრაფ რეაგირებას სახელმწიფოთა მხრიდან. ჩვენი მიზანია არსებული მონაცემების საფუძველზე ავაგოთ ისეთი მათემატიკური მოდელი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა ძირითადი მიზეზი, რომლებიც მოქმედებს მიგრაციის პროცესზე; გაკეთდეს ანალიზი, თუ როგორ გავლენას მოახდენს ამა თუ იმ მიზეზის ცვლილება მიგრაციის პროცესზე, რაც დაგვეხმარება ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოებასა და დახვეწაში.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომის კვლევის დროს გამოყენებულია მეცნიერული აბსტრაქციის, ანალიზის, სინთეზის, სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების, თავმოყრის და დაჯგუფების მეთოდები.

<u>შინაარსი:</u> მიგრაცია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გადაადგილებაა ერთი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა ადგილზე გარკვეული პერიოდით ან მუდმივად. მიგრაცია, როგორც პროცესი შეიძლება განვიხილოთ როგორც ქვეყნის შიგნით (სოფლიდან ქალაქში, ერთი რეგიონიდან მეორეში) ან ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში. მიგრაცია რთული სოციალური- ეკონომიკური პროცესია, იგი დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე. მიგრაციის გამომწვევი მიზეზები სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაა. ესენი შეიძლება იყოს: ეკონომიური, პროფესიული, პოლიტიკური, რელიგიური, ეთნო კონფლიქტები და სხვა.

ბოლო პერიოდის განმავლობაში მთელ მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა მიგრაცია, რაც ძირითადად გამოწვეულია ქვეყნების საზღვრების მოშლით. ადამიანებს საშუალება ეძლევათ ისწავლონ და იმუშაონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. დასაქმების ბაზარი, ისევე როგორც განათლების ბაზარი, გლობალური გახდა და ადამიანებს აღარ უწევთ არჩევანის გაკეთება მხოლოდ საკუთარ სამშობლოში არსებული შრომის ან განათლების ბაზრის პირობების გათვალისწინებით. სამამულო განათლების სისტემას და დამსაქმებლებს კი უწევთ კონკურენცია გაუწიონ დანარჩენ მსოფლიოს, რათა მოიპოვონ საუკეთესო კადრები და მიაღწიონ მწარმოებლურობის უფრო მაღალ დონეს. თუმცა ერთი საკითხია დამსაქმებლების და დასაქმებულების ბენეფიტები და, მეორეა, რამდენად სასარგებლოა მიგრაცია ქვეყნის განვითარებისთვის.

ამ დროისთვის მსოფლიოში დაახლოებით 232 მილიონი საერთაშორისო მიგრანტია, ხოლო 740 მილიონი - შიდა მიგრანტი. საერთაშორისო მიგრანტების 50% მსოფლიოს 10 ყველაზე ურბანულად განვითარებულ ქვეყანაზე მოდის. ესენია: ავსტრალია, კანადა, აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საუდის არაბეთი და გაერთიანებული არაბეთის საემიროები.

მიგრაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად მიჩნეულია უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების სურვილი. ანაზღაურება კი არის ფასი, რომელსაც ადამიანის უნარებში იხდიან და რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. ადამიანები კი ამჯობინებენ წასვლას იმ ქვეყნებში, სადაც უნარებზე ფასი მაღალია. განვიხილოთ უნარების ბაზარი, სადაც ფასი მოთხოვნა-მიწოდებით რეგულირდება, განსხვავებულ ქვეყნებში კი განსხვავებული წონასწორული ფასი გვაქვს. ახლა დავუშვათ, რომ წარმოშობის ქვეყანაში წონასწორული ფასი დაბალია, რის გამოც მაღალი უნარების მქონე პიროვნებები ისეთ ქვეყანაში წასვლას ამჯობინებენ, სადაც მათი უნარების შესაბამისი ფასი უფრო მაღალია. შესაბამისად, წარმოშობის ქვეყანაში წარმოიქმნება უნარების დეფიციტი (მცირდება მაღალი უნარების მიწოდება), რაც ფასს უფრო დაბალი უნარების მქონე პიროვნებებისთვის მაღლა წევს. დაბალი უნარების მქონე პიროვნებების მწარმოებლურობა კი დაბალია, რის გამოც ფერხდება ეკონომიკური ზრდა. შესაბამისად, ქვეყნისთვის სავალალოა, როდესაც მას მაღალ უნარიანი მოქალაქეები ტოვებენ.

გარდა მაღალ უნარიანი მოსახლეობის მიგრაციისა, მნიშვნელოვანია ასევე სტუდენტების მიგრაციაც, რომლებიც სწორედ უნარების ასამაღლებლად ტოვებენ ქვეყანას. ერთი მხრივ განვითარებადი ქვეყნისთვის დადებითი მოვლენაა ის, რომ მის მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება ეზიარონ განვითარებული ქვეყნების ტექნოლოგიას, მიიღონ ცოდნა, რის დანერგვას და გაზიარებასაც საკუთარ ქვეყანაში შეძლებენ, მაგრამ, მეორე მხრივ, არის კი ეს ყოველივე ასე? სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევაში პასუხი უარყოფითია. მიუხედავად იმისა, რომ მიგრაციულ საკითხებთან მიმართებაში ძალიან მწირია სტატისტიკური მონაცემები, პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზღვარგარეთ კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი იშვიათად ბრუნდება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, რისი მიზეზიც კვლავაც უნარების ფასთა სხვაობა და ამ უნარების გამოყენების შესაძლებლობაა. ხშირ შემთხვევაში განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ნაკლებ რესურსს უთმობენ კვლევასა და განვითარებას, რაც პირიქით, საკმაოდ პრიორიტეტულია მაღალ განვითარებულ ქვეყნებში, რაც მაღალი უნარების მქონე პირებს საკუთარი უნარების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას აძლევთ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიგრაციის პროცესი არის შემთხვევითი. შემთხვევითობა გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით. ემიგრანტთა გარკვეული ნაწილი არალეგალურად ხვდება სხვა ქვეყანაში (საზღვრის უკანონო გადაკეთა; ტურისტული მოგზაურობა და სხვა)

თუ ჩვენი ქვეყნის ოფიციალურ სტატისტიკას გადავხედავთ, მხოლოდ 2014-2015 სასწავლო წელს ქვეყნიდან უცხოეთში სასწავლებლად 434 სტუდენტი წავიდა (არაოფიციალური სტატისტიკით ეს ციფრი კიდევ უფრო მაღალია). საზღვარგარეთ წასული მოსახლეობის 63%-ის ასაკი 35 წელზე ნაკლებია, ხოლო 2008 წელს CRRC-ისა და ISET-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ქართველ მიგრანტთა 35%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება. აღნიშნულის ნაწილობრივ მაინც თავიდან ასაცილებლად ჩამოყალიბდა ინიციატივა, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სტუდენტების საზღვარგარეთ გაგზავნას მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი უკან დაბრუნდებიან. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ვალდებული იქნება მათ 6 თვის განმავლობაში შესთავაზოს ოპტიმალური სამუშაო ადგილი,

სადაც სულ ცოტა, 3 წლის განმავლობაში იმუშავებენ. თუმცა, სტუდენტთა დიდი ნაწილის საზღვარგარეთ სწავლას მასპინძელი ქვეყნები/უნივერსიტეტები აფინანსებენ და არა მათივე სახელმწიფო. შესაბამისად ისინი არც ვალდებულნი არიან, რომ ქვეყანაში დაბრუნდნენ და აღნიშნული ინიციატივაც ბოლომდე ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება მიმზიდველი სამუშაო გარემო, რაც თავად გაუჩენს ემიგრანტებს უკან დაბრუნების სურვილს. საქართველოს მოსახლეობა 2002 წელთან შედარებით 15%-ით ანუ 657 731 ადამიანით ნაკლებია, ამ შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ემიგრაციაა. საქსტატის ცნობით, 2002 წლის შემდეგ საქართველოს ტერიტორია სულ 88.5 ათასმა ადამიანმა დატოვა, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს. ემიგრაციის შესახებ მონაცემები საქსტატმა გამოაქვეყნა. აღწერის შედეგებით, ემიგრანტთა რაოდენობამ შეადგინა 88.5 ათასი ადამიანი, მათი 44.4% მამაკაცია, 54.6% კი ქალია. საქართველოს ეკონომიკა ამ ადამიანთა მიერ უკან გამოგზავნილ ფულად გზავნილებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული.

ქვეყნების მიხედვით კი მიგრაცია ასე გამოიყურება:

რუსეთის ფედერაცია - 21.7%

საბერძნეთი - 15.9%

თურქეთი - 11.2%

იტალია - 10.9%

გერმანია - 7.1%

აშშ - 5.7%

ესპანეთი - 4.1%

საფრანგეთი - 3.7%

უკრაინა - 3.7%

აღწერის შედეგებით გამოიკვეთა, რომ რუსეთში, საფრანგეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში ემიგრირებულთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ, ქალების უმეტესობა კი ემიგრირებულია: საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში, გერმანიაში, აშშ-სა და ესპანეთში.

განსხვავებულია ის სამუშაოები, რომლებსაც ემიგრანტები უცხოეთში ასრულებენ.

უცხოეთში ემიგრირებული მოსახლეობა საქართველოში ყოველთვიურად დაახლოებით $100 მილიონს აგზავნის. ყოველთვიურად საქართველოში ყველაზე მეტი მოცულობის ფულადი გზავნილი რუსეთის ფედერაციიდან შემოდის. გზავნილების მიხედვით 2016 წლის მარტში უმსხვილესი დონორი ქვეყნების სია ასე გამოიყურება:

რუსეთი - $30 მილიონი

აშშ - $10 მილიონი

საბერძნეთი - $9.9 მილიონი

იტალია - $9.8 მილიონი

თურქეთი - $7.4 მილიონი

შიდა მიგრაციების ყველაზე გავრცელებული სახეა მიგრაცია „სოფელი-ქალაქი“. განვითარებულ ქვეყნებში უკვე დაიწყო ეს პროცესი: მოსახლეობის მიგრაცია ქალაქიდან სოფელში. განსხვავებული ვითარებაა განვითარებად ქვეყნებში, სადაც სოფლიდან ქალაქში მიგრაციამ დიდ მასშტაბებს მიაღწია. ასეთი სახის მიგრაცია იწვევს შიმშილის საფრთხეს და ამიტომ ყოველწლიურად ათეულობით მილიონი ადამიანი ცდილობს ქალაქში ჩავიდეს. სწორედ ეს უღარიბესი მასა ავსებს ქალაქს უმუშევართა და კრიმინალთა რიგებს, რაც უკიდურესად ამძაფრებს ქალაქის პრობლემებს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროკავშირი დიდი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა ლტოლვილთა კრიზისის კუთხით. მიგრანტთა ტალღამ, რომელმაც აგვისტოში თავის პიკს მიაღწია, მთელ ევროპას გადაუარა და ადამიანთა ყველა მასა, პოლიტიკოსები, ეკონომისტები და სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები, ჩართო ამ საკითხის დებატებში. ევროპაში შემომსვლელ მიგრანტთა ნაკადი აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ევროპელი ლიდერებისთვის დიდი გამოწვევა გახდა. დღეს ევროპა დილემის წინაშეა: ერთი მხრივ, ჰუმანიზმის იდეა, როგორც ევროპული ღირებულება, მეორე მხრივ კი, უსაფრთხოების საკითხი. კრიზისი უმწვავეს ფაზაშია შესული და მოითხოვს სწრაფ რეაგირებას სახელმწიფოთა მხრიდან.

მართლაც, გაცილებით დიდი პრობლემაა საერთაშორისო მიგრაციები, რომელიც ძალიან გახშირდა და გამწვავდა. 2015 წლის პირველ 9 თვეში ევროკავშირის სასაზღვრო უწყების „ფრონტექსის“ მონაცემებით ევროპის სახელმწიფოებში 710 ათას მიგრანტზე მეტი ჩავიდა, რამაც უკიდურესად დაძაბა სასაზღვრო ქვეყნების მდგომარეობა. რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ იტალია, მალტა და საბერძნეთი, რის გამოც ისინი იძულებულები არიან დაარღვიონ დუბლინის რეგულაცია, რაც მთელ რიგ პრობლემებს იწვევს ევროპაში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით საბერძნეთის საზღვრებს

ყოველ კვირას ადგება 9000 მიგრანტი, რაც მიმდინარე კრიზისულ პერიოდში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

2015 წელს გაიმართა ევროკავშირის საგანგებო სამიტი ბრიუსელში, სადაც მიმდინარეობდა დებატები ამ საკითხთან დაკავშირებით. ევროკავშირის სამიტამდე შედგა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამი სახელმწიფოს, ბულგარეთის რუმინეთისა და სერბეთის (პირველი ორი სახელმწიფო კავშირის წევრია, სერბეთი – კანდიდატი) პრემიერ-მინისტრების შეხვედრა. ამ შეხვედრის შემდეგ ბულგარეთის პრემიერმა განაცხადა, რომ ბალკანეთის ქვეყნები არ აპირებენ ბუფერული ზონის როლის შესრულებას და მზად არიან მიგრანტებისთვის ჩაკეტონ საკუთარი საზღვრები, თუ ამას გააკეთებენ გერმანია და ავსტრია. უნგრეთს უკვე ჩაკეტილი აქვს საზღვარი სერბეთთან და ხორვატიასთან, რის გამოც ლტოლვოლებს ავსტრიისა და გერმანისკენ მიმავალი გზა გაუგრძელდათ. ამან დამატებითი პრობლემები შექმნა სერბეთში, ხორვატიაში, სლოვენიასა და რუმინეთში. ჩატარდა ევროკავშირის საგანგებო სამიტი, რომლის მოწვევის ინიციატორიც იყო ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერი. მას დაესწრო კავშირის წევრი 10 სახელმწიფოს პირველი პირი. სამიტზე გადაწყდა ლტოლვილების მიმღები ცენტრების გაფართოვება და ახლების აგება. უფრო კონკრეტულად ამ ცენტრებში კიდევ 100 ათასი ადამიანის დაბინავების პირობების შექმნა. ამ პროექტისთვის თანხებს გამოყოფს ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და ევროსაბჭოს განვითარების ბანკი. ლტოლვილთა მიღების ცენტრები გაიხსნება სხვადასხვა ქვეყნებში, უმთავრესად ბალკანეთში. საბერძნეთში, რადგან ეს ქვეყანა გეოგრაფიულად აზიიდან წამოსული ლტოლვილებისთვის ევროპის მთავარი ჭიშკარია, უნდა გაიხსნას რამდენიმე დამატებითი ცენტრი, რომელიც 30 ათას ადამიანს დაიტევს. კიდევ 20 ათასი კაცის განთავსების ადგილს შექმნის გაეროს ლტოლვილთა კომიტეტი. გაერო აიღებს პასუხისმგებლობას აგრეთვე ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვადახვა ქვეყანაში მიმღები ცენტრების გახსნაზე, რომლებიც მთლიანობაში 50 ათას ადამიანს დაიტევენ. სწორედ ბალკანეთის ქვეყნებზე გადის გზა, რომლის საშუალებითაც ლტოლვილებს სურთ გერმანიასა და სკანდინავიის სახელმწიფოებში მოხვედრა. ბალკანეთის პატარა სახელმწიფოების რესურსები კი ლტოლვილთა მიღების თვალსაზრისით უკვე თითქმის ამოწურულია. ბალკანეთის გარდა სირიელმა ლტოლვილებმა უკვე დაიწყეს ნორვეგიაში გადასვლა რუსეთის მხრიდანაც.

მიგრანტთათვის სასურველი ქვეყნებია გერმანია და შვდეთი (გერმანიაში მათ აძლევენ 231 ევროს, ხოლო შვედეთში 271 ევროს). გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის სიტყვებით ეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ტესტია, რომლის ჩაბარებაც უწევს ევროპას. ჟან-კლოდ იუნკერმა მოუწოდა ყველა ქვეყანას აქტიური მონაწილეობა მიღოს მიგრანტების რეგისტრაციაში და ეს პროცესი უბრალოდ არ გადაულოცოს მეზობელ სახელმწიფოებს (ამ საქმეში მათავარი შეუთანხმებლობა ხორვატიასა და სლოვენიას შორის არის). ასევე სასაზღვრო ქვეყნებში ეს დიდი პრობლემაა. მაგალითად იტალია აღარ არეგისტრირებს ლტოლვილებსა და მიგრანტებს და პირიქით, ის ხელს უწყობს მათ ჩრდილოეთისკენ მოძრაობას, რადგან იტალიაში ფიზიკურად აღარ არის ადგილი მიგრანტთათვის. ხშირია შემთხვევები, როდესაც იტალიის პოლიცია მიგრანტებს ტოვებს რკინიგზის სადგურებში ან ქალაქის მთავარ მოედნებზე. ჟან-კლოდ იუნკერის აზრით, აუცილებელია ლტოლვილები უზრუნველყონ ღამის გასათევი შენობებით. „დაუშვებელია, რომ თანამედროვე ევროპაში ადამიანებს სიცივეში მინდორში ეძინოთ“ – განაცხადა მან.

აგვისტოს თვეში, ლიბიის სანაპიროსთან მიგრანტებით სავსე ნავი ჩაიძირა; დაიღუპა შვიდი ადამიანი. „როიტერის“ თანახმად, იანვრიდან მოყოლებული, ხმელთაშუა ზღვაში 2500 მიგრანტი დაიღუპა, რომლებიც აფრიკაში, სირიაში და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში არსებულ ურთულესი ვითარებიდან თავის დაღწევას ცდილობდნენ. ამასთან დაკავშირებით, ევროპაში არსებული კრიზისის ხელშეწყობაში ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ „შენგენის ხელშეკრულებაც“ დაადანაშაულა და მოითხოვა ევროკავშირმა გაამკაცროს თავისუფლად გადაადგილებისთან დაკავშირებული წესები. შენგენის კანონში შესწორებების შეტანას ემხრობა ზოგიერთი ევროპული მთავრობა, თუმცა ევროპის კომისიის განცხადებით, წესების შეცვლის აუცილებლობა არ არსებობს. იტალიის პრემიერის აზრით, “დაღუპულ მიგრანტთა რაოდენობის ზრდა აიძულებს ევროკავშირს ებრძოლოს ამ პრობლემას… ამას დასჭირდება თვეები, თუმცა ჩვენ გვექნება თავშესაფრის ძებნასთან დაკავშირებული ერთიანი ევროპული პოლიტიკა.“

მიგრაციამ მთელი რიგი პრობლემები გამოიწვია არა მარტო მიმღებ, არამედ გამცემ ქვეყნებში.

გავლენა ქვეყნებზე, საიდანაც მიემგზავრებიან:

1. სამუშაო ასაკის მოსახლეობის გადინება. (15-65 წწ.);
2. სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის დარღვევა;
3. ასაკოვანი მოსახლეობის ზრდა საერთო რაოდენობაში და სხვ.

ქვეყნებს შიგნით მიმდინარეობს მთელი რიგი დაძაბულობები ადგილობრივ მოსახლეობასა და მიგრანტებს შორის, როგორებიცაა რასიზმი და სხვა ეთნიკური დაძაბულობები. ამ პრობლემასთან დაკავშირებით კვიპროსის მაგალითი თვალსაჩინოა. კვიპროსის ხელისუფლება აცხადებს, რომ ქვეყანა მიიღებს მხოლოდ ქრისტიანებს და არა მუსლიმებს, იგივე ვითარებაა სლოვაკეთშიც. მიგრანტებს ასევე ექმნებათ პრობლემები მკვიდრ მოსახლეობასთან, რაც გამოიხატება კულტურულ შეუთავსებლობაში და ინტეგრაციის სირთულეში. მათთვის კიდევ ერთი მეტად ხშირი პრობლემაა ენობრივი ბარიერები. დღესდღეობით რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ ევროპის ქვეყნები. ამ ქვეყნებში იმატა კრიმინალმა და ტერორიზმის სახეებმა. ბოლო დროს განვითარებულმა ტერაქტებმა საფრანგეთში დიდ საშიშროებაში ჩააგდო მთელი რიგი ქვეყნები. სწორედ ამიტომ 2015 წლის ნოემბერში ჩატარდა ვალეტას სამიტი, სადაც ევროპის ლიდერი ქვეყნების წარმომადგენლებმა იმსჯელეს ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ამ სამიტზე გადაწყდა რომ ევროკავშირი გაუგზავნიდა თურქეთს და აფრიკას 1,800000 ევროს, რათა მათ აღარ გამოეშვათ მიგრანტთა დიდი ნაკადი ევროპისკენ და შეექმნათ მათთვის კარგი პირობები საცხოვრებლად.

ევროკავშირმა დააწესა კვოტების სისტემა. კვოტების შემოღების წინააღმდეგნი იყვნენ უნგრეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, ფინეთი და სლოვაკეთი, თუმცა ხმათა უმრავლესობით ევროკავშირმა შემოიღო ეს სისტემა. ამჟამად მიმდინარეობს ქვეყნებში აღრიცხვები და უახლოეს მომავალში დადგინდება, თუ რომელ ქვეყანაში რამდენი მიგრანტი შევა.

პრობლემები: 1. რასობრივი; 2. კულტურული; 3. რელიგიური; 4. ენობრივი ბარიერი; 5. განათლება (სხვა); 6. კვალიფიკაციის დაბალი დონე და ცხოვრების განსხვავებული სტილი და ტრადიციები; 7. კონკურენტული სამუშაო ძალა; 8. ქსენოფობია; 9. რასიზმი; 10. მაწანწალები; 11. კრიმინალები; 12. უსახლკაროები; 13. დაავადებები; 14. ნოსტალგია. ეს პრობლემები ამერიკაშიც კი დაიწყო. იმიგრაცია ნაკლებად პრობლემური გამოდგა სპარსეთის უბის ქვეყნებისათვის (ადვილია კულტურული ადაპტაცია, ენობრივი ბარიერი და რელიგიური ერთობა).

მიგრაცია პრობლემაა ასევე არა მარტო მიმღები, არამედ გამცემი ქვეყნებისთვის. 1. ირღვევა ასაკობრივი სტრუქტურა (მიგრაციაში ახალგაზრდები მიდიან); 2. შობადობა იკლებს; 3. მუშახელის ნაკლებობა; 4. კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობა; 5. თანხები, რაც სახელმწიფომ დახარჯა თავის მოქალაქეზე (ანუ ინვესტიციები) იკარგება; 6. პიროვნული ოჯახის რღვევა, ნოსტალგია.

გარე მიგრაციის შესახებ ინფორმაციის მრავალი წყარო შეიძლება იყოს გამოყენებული: 1. მოსახლეობის რეგისტრები; 2. უცხოელთა რეგისტრები; 3. ქვეყანაში ცხოვრების უფლება; 4. ვიზები; 5. უფლება მუშაობაზე; 6. ოფიციალური ჩანაწერები მიგრანტი სამუშაო ძალის შესახებ; 7. თავშესაფარის მაძიებელთა შუამდგომლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; 8. სახელმწიფო საზღვრის მონაცემები; 9. მოსახლეობის აღწერები; 10. შინამეურნეობათა გამოკვლევები და სხვა.

ზემოთ მოტანილი ყველა სისტემა შეიძლება ძირითადად 4 ჯგუფად იქნას კლასიფიცირებული. კერძოდ:

1. ადმინისტრაციული რეგისტრები;
2. სხვა ადმინისტრაციული წყაროები;
3. მონაცემთა მოპოვება საზღვარზე;
4. შინამეურნობათა გამოკვლევების შესაბამისი შედეგები.

ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ მათ.

1. ადმინისტრაციული რეგისტრების კატეგორიაში შედის მოსახლეობის რეგისტრები, უცხოელთა რეგისტრები და სხვა სახის სიები, რომლებიც შეიცავენ მონაცემებს კონკრეტულ პირთა ჯგუფების შესახებ, მაგალითად, იმ პირთა სიები, რომლებმაც მიმართეს თავშესაფრის მისაღებად.

გარე მიგრაციის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მიღების თვალსაზრისით ის რეგისტრებია გამოსადეგი, რომლებშიც ფიქსირდება ჩვეულებრივ საცხოვრებელი ქვეყნის ცვლილება.

2. სხვა ადმინისტრაციული წყაროების მეშვეობით, მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ, როგორც წესი, მიიღება იმ ადმინისტრაციული პროცედურების გატარებისას, რომლებიც მოწოდებული არიან აკონტროლონ გარე მიგრაცია. ამიტომ ადმინისტრაციული წყაროები ჩვეულებრივ მხოლოდ გარე მიგრანტების კონკრეტული კონტინგენტის შესახებ იძლევიან ინფორმაციას. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემები მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების უფლების შესახებ მხოლოდ უცხოელებს ეხება. ასევე, ინფორმაცია დეპორტაციის შესახებ მიიღება მხოლოდ უკანონო მიგრანტებზე.

3. მონაცემთა მოპოვება საზღვარზე ტრადიციულად ითვლება გარე მიგრაციის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროდ. სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვება საზღვარზე შეიძლება მიმდინარეობდეს ადმინისტრაციული ან სტატისტიკური კრიტერიუმების საფუძველზე.

სტატისტიკური კრიტერიუმების გამოყენება მოითხოვს იმ მონაცემთა რეგისტრაციას, რომლებიც ყოველთვის არ მიიღება დოკუმენტური მასალით და რომელთა შეგროვებაც გასული და შემოსული მგზავრების მიერ სტანდარტული ფორმების შევსებით ხდება.

საზღვარზე შეგროვებულ სტატისტიკურ მონაცემებს ის უპირატესობა გააჩნიათ, რომ ისინი მაღალი სიზუსტით ასახავენ ადამიანთა ფაქტობრივ მოძრაობას და ამდენად გარე მიგრაციის შესახებ სასარგებლო ინფორმაცია შეიძლება მოგვცეს.

4. შინამეურნეობათა გამოკვლევების შესაბამისი შედეგები, გარე მიგრაციის შესახებ, შეიძლება მოპოვებულ იქნას როგორც უშუალოდ შინამეურნეობათა გამოკვლევების, ისე მოსახლეობის აღწერების საფუძველზე.

როგორც წესი, ასეთი სახის გამოკვლევები (და აღწერები) არ იძლევიან სანდო სტატისტიკურ მონაცემებს გარე მიგრაციული ნაკადების შესახებ. თავისი ხასიათიდან გამომდინარე აღნიშნული გამოკვლევები არ მოიცავენ იმ პირთა გადაადგილებას, რომლებმაც დატოვეს ქვეყანა გამოკვლევამდე.

მიუხედავად ამისა მოსახლეობის ზოგიერთი აღწერისას (პროგრამიდან გამომდინარე) ყველა აღწერილი პირისაგან გროვდებოდა ინფორმაცია, აღწერამდე ერთი ან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათი საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ეს კი იმ გარე მიგრანტების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც ჩამოვიდნენ განსახილველი პერიოდის მანძილზე და აღწერისას (გამოკვლევისას) იმყოფებოდნენ ქვეყანაში.

გარე მიგრაციის გაზომვისას წარმოიქმნება სირთულე - როგორ დავადგინოთ ხანგრძლივი, თუ მცირე პერიოდით იცვლის მიგრანტი ქვეყანას, რომელშიც ის ჩვეულებრივ ცხოვრობს. პასუხი მოცემულ შეკითხვაზე ხანგრძლივობის შესახებ მიიღება მხოლოდ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც მიგრანტი თვითონ იძლევა და რომელიც, როგორც წესი, პირობით ხასიათს ატარებს.

ყოველივე ზემოთ მოტანილი მიზნად ისახავს აგრეთვე იმ ინსტრუმენტარის შემუშავებას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება მიგრაციის კვლევა.

ჩვენი მიზანია არსებული მონაცემების საფუძველზე ავაგოთ ისეთი მოდელი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა ძირითადი მიზეზი, რომლებიც მოქმედებს მიგრაციის პროცესზე; გაკეთდეს ანალიზი თუ როგორ გავლენს მოახდენს ამა თუ იმ მიზეზის ცვლილება მიგრაციის პროცესზე.

შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები:

i – მიგრაციის გამომწვევი მიზეზი;

k - მიგრაციის გამომწვევი მიზეზების რაოდენობა;

$i = 1;2;\ldots;k$.

T – მიგრაციის პროცესის შესასწავლი პერიოდი (1990-2017 წწ);

Δt - ბიჯი, რომლითაც დაყოფილია შესასწავლი პერიოდი.

n – ბიჯების რაოდენობა $\frac{T}{\Delta t} = n$

t – ქვეპერიოდის ნომერი $t = 1; 2;\ldots n$

$X_i(t)$ – i-ური მიზეზით გამოწვეული ემიგრანტთა რაოდენობა t ქვეპერიოდში.

$X_i(T)\varphi$ – i-ური მიზეზით გამოწვეული ემიგრანტთა რაოდენობა განსახილველ T პერიოდში.

ადვილი მისახვედრია, რომ

$$X_i(T) = \sum_{t=1}^{n} x_i(t)$$

სადაც $x(t)$ ემიგრანტთა საერთო რაოდენობაა t ქვეპერიოდში. ცხადია,

$$X_i(t) = \sum_{t=1}^{k} x_i(t)$$

$x(T)$ ემიგრანტთა საერთო რაოდენობაა განსახილველ T პერიოდში.

ადვილი მისახვედრია, რომ

$$X_i(T) = \sum_{t=1}^{n} x(t)$$

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ქვეპერიოდისათვის მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა გავლენა აქვს. იმისათვის, რომ დავახასიათოთ თითოეული მიზეზის გავლენა ქვეპერიოდისათვის, შემოვიღოთ ე.წ. წონის ცნება. i-ური მიზეზის წონა t-ქვეპერიოდისათვის აღვნიშნოთ $a_i(t)$-თი.

$$a_i(t) = \frac{x_i(t)}{x(t)}$$

ადვილი მისახვედრია, რომ ,,წონა“ მერყეობს ნულსა და ერთს შორის $0 \le a_i(t) \le 1$

აქვე შევნიშნოთ, რომ

$$\sum_{t=1}^{k} a_i(t) = 1$$

სრულიად ანალოგიურად განვსაზღვრავთ i-ური მიზეზების ,,წონას“ მთელ განსახილველ პერიოდში, კერძოდ

$$a_i(T) = \frac{x_i(T)}{x(T)}$$

აქაც $0 \leq a_i(T) \leq 1$;

$$\sum_{t=1}^{k} a_i(T) = 1$$

მიმდევრობა $a_i(t)$ *(t = 1; 2;…n)* გვიჩვენებს რომ თუ როგორ იცვლება *i*-ური მიზეზის ,,გავლენა“ განსახილველ T პერიოდში. თუ $a_i(t)$ ზრდადია რომელიმე ინტერვალში T პერიოდის შიგნით, დავასკვნით, რომ i-ური მიზეზების ,,გავლენა“ იზრდება. შესაბამისად იქ, სადაც $a_i(t)$ მიმდევრობა კლებადია *t*-ს მიმართ, მიზეზის ,,გავლენა“ კლებულობს.

თავისი ბუნებიდან გამომდინარე, $X_i(t)$ და $x(t)$ წარმოადგენს შემთხვევით პროცესებს. იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ამოცანის გადაწყვეტას დავისახავთ მიზნად, ეს იქნება უცნობი პარამეტრის შეფასება, თუ პროგნოზირების ამოცანა, არსებული მონაცემებით და ამ პროცესის სტაციონარულობის დაშვებით გადაწყვეტადია.

<u>შედეგები და გამოყენება:</u> ბოლო წლებში საქართველოს ჩართულობა გლობალურ მიგრაციულ პროცესებში საგრძნობლად გაიზარდა. სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება მიგრაციის როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ და დემოგრაფიულ ჭრილში. მიგრაციის ეფექტიანი მართვა ქვეყნის უსაფრთხოების და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა, იგი ასევე წარმოადგენს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მიგრაციის პოტენციალის გამოყენებას. სწორედ ამიტომ, მიგრაციის პოლიტიკის სწორი დაგეგმვა და მისი მართვის ეფექტიანობის მუდმივი გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

ცალკე გამოყოფასა და განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებას საჭიროებს ევროკავშირში არალეგალური მიგრაციის სირთულეები და საფრთხეები, რომლებიც მწვავედ იჩენენ თავს ყოველი უკანონო მიგრანტის წინაშე. შესაბამისი საბუთების არ ქონის გამო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში რთულია სამსახურის მოძებნა, საცხოვრებელი ბინის დაქირავება, განათლების მიღება, ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა და ბევრი სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროების არარსებობა. დანაშაულის გამოაშკარავების შემთხვევაში კი დიდია ალბათობა იმისა, რომ უკანონო მიგრანტს აეკრძალოს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შესვლა.

ამჟამად, დინამიურად ვითარდება თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სხვა ქვეყნებთან ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოების, არალეგალური მიგრაციის და ტრანსნაციონალური და ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის კუთხით. თანამედროვე გამოწვევებისა და საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტიანად შესრულების მიზნით, ქმედითი ღონისძიებები ხორციელდება არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის არსებული სისტემის გასაუმჯობესებლად. მიგრაციული პროცესების ეფექტიანად მართვის და პოლიტიკის შემუშავების პროცესში ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობის მიზნით, ინერგება მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემა.

<u>დასკვნა.</u> წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არალეგალური მიგრაციის მაპროვოცირებელი ფაქტორი სხვადასხვა სახელმწიფოსათვის მოსახლეობის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომიდინარე განსხვავებულია. საქართველოს შემთხვევაში არალეგალური მიგრაცია განპირობებულია ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლის დაბალი დონით, როდესაც შესაძლებელია დასაქმებულის საშუალო ანაზღაურება დადგენილ საარსებო მინიმუმზე უფრო დაბალი აღმოჩნდეს, ბუნებრივია, შიმშილისაგან თავის ხსნის საშუალებად ხშირად უკანონო მიგრაცია გვევლინება. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, რადგან ევროპის სახელმწიფოები თავიანთი ეკონომიკური პოტენციალით წარმატებულ ქვეყნებად მიიჩნევიან, კულტურული შეთავსებადობის

მაღალი პროცენტული მაჩვენებლების გათვალისწინებითაც ევროპაში უკანონო მიგრაცია პოტენციური არალეგალი ემიგრანტისათვის უფრო მიმზიდველად ჟღერს.

საქართველოში, თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში მიგრაციის პოლიტიკის ეფექტიანი დაგეგმვის, კოორდინაციისა და განხორციელებისათვის აუცილებელია სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში რიგი გადაუდებელი ღონისძიების გატარება, პირველ რიგში კი შრომის ბაზრის რეგულირებისა და დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის კარდინალური ცვლილება. კერძოდ, აუცილებელია შრომის ბაზრის ცივილიზებული ინფრასტრუქტურის ფორმირება და განვითარება, მისი ძირითადი ელემენტების (მიწოდება-მოთხოვნის) სისტემატური კვლევა და შრომის ბაზრის მოთხოვნაზე ორიენტირებული პროფესიული და უმაღლესი განათლების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

ბიბლიოგრაფია:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. (2014). *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები: შრომების კრებული.* თბილისი.

მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი. (2017). *მიგრაციის სახელმძღვანელო* (I გამ.). თბილისი.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2015). *საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://migration.commission.ge/files/saqartvelos_2016-2020_ww._migraciis_strategia.pdf

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. (2017). *საქართველოს 2017 წლის მიგრაციის პროფილი.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://migration.commission.ge/files/migraciis_profili_2017_a4_new_1.pdf

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2018). *დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2017: სტატისტიკური პუბლიკაცია.* თბილისი.

ცერცვაძე, კ. (2006). მიგრაციის პროცესის მათემატიკური მოდელის შესახებ. *გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული* (3).

წულაძე, გ., & სულაბერიძე, ა. (2015). *დემოგრაფიის საფუძვლები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი.

Karlo Tsertsvadze, Davit Bidzinashvili

Gori State Teaching University

MIGRATION PROCESS. SOCIO-ECONOMIC PROBLEMS

RESUME

The issue of migration is a topical issue and problem for the whole world. The main reasons for universal migration can be considered as: economic, professional, political, religious, ethnic and others. It equally deals with both internal and external migrations. International migration is much bigger problem, as it has become very rapid and aggravated. The flow of migrants in Europe became a great problem for European leaders. Today Europe is in a difficult situation: on the one hand, the idea of humanism as an European value and on the other hand a security issue. The crisis is in the fierce phase and requires a quick response from the states. Our goal is to build a mathematical model based on existing data, which will cover all the major reasons that affect the migration process; Analysis of how to effect a change in the migration process will help to enhance and improve the legal migration capabilities.

Keywords: Migration, Migration Factors, Migration Process, Mathematical Model, Employment, Demographic Policy.

დავით ჭიოტაშვილი, ხალიანა ჩიტაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მასობრივი ტურიზმის და ეკონომიკური განვითარების პროექტების გავლენა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე - წარმატებული ფინანსური რეზულტატი, თუ პრობლემა

საკვანძო სიტყვები: მასობრივი ტურიზმი, დაცული ტერიტორიები, ფინანსური რეზულტატი, ეკონომიკური განვითარების პროექტები.

შესავალი

საქართველოს მოსახლეობისათვის კომფორტული გარემოს უზრუნველყოფისა და ტურიზმის განვითარების მყარ საფუძველს, დაცული ტერიტორიების სისტემების განვითარება და ტერიტორიული გაფართოება წარმოადგენს, მაგრამ ამავე დროს ყურადსაღებია მასობრივი ტურიზმი და ეკონომიკური განვითარების პროექტები, როგორც დაცული ტერიტორიების თამდევი საკითხები.

წარმოგიდგენთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს და გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ იმ პრობლემებზე, რომლებიც საქართველოს (და არა მარტო საქართველოს) დაცული ტერიტორიების წინაშე პირველ რიგში დგას.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებს გააჩნია დიდი პოტენციალი, საკუთარი წვლილი შეიტანოს საქართველოში ტურიზმის განვითარებაში და ქვეყნისთვის ფინანსური შემოსავლების ფორმირების კუთხით, მაგრამ ყოველთვის პრობლემად რჩება უმნიშვნელოვანესი საკითხები:

- უნდა იქცეს, თუ არა დაცული ტერიტორიები მასობრივი ტურიზმის კერად?
- რა საფრთხეების შემცველია მასობრივი ტურიზმი და რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ამ შემთხვევაში დაცული ტერიტორიები?
- როგორ შევინარჩუნოთ დაცული ტერიტორიები, მათი თვითმყოფადი და თითქმის ხელშეუხებელი ბუნებრივი სიმდიდრე და ტურიზმის ზრდა ერთდროულად?
- ზღუდავს თუ არა, ეკონომიკური განვითარების პროექტები და ბიზნესის განვითარება ფინანსური შემოსავლების ზრდის კუთხით დაცულ ტერიტორიებს?

საქართველოს დაცული ტერიტორიები წარმოადგენს უნიკალურ ადგილებს, სადაც ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ ეზიარონ უძველეს კულტურას და დატკბნენ ველური, თითქმის ხელშეუხებელი ბუნების სანახაობებით. საქართველოს დაცული ტერიტორიები ცნობილია თავისი საინტერესო ბუნებრივი და კულტურული ფასეულობებით, მაღალმთიანი ქედებითა და წყალუხვი მდინარეებით, ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით და უნიკალური ენდემური ჯიშებით. გარდა ბუნებრივი სიმდიდრეებისა, საქართველოს დაცულ ტერიტორიებს გააჩნია უნიკალური კულტურული ფასეულობები, რომელთა ილუსტრირებასაც ახდენს დღემდე შემორჩენილი უძველესი ნაგებობები, სახლები, ციხე-კოშკები და აკლდამები, ყოველწლიური სახალხო დღესასწაულები, სადაც ხდება უძველესი სახალხო რეწვის ნიმუშების გამოფენა და უნიკალური სამზარეულო, რომელიც სოფლის მეურნეობის უძველეს ტრადიციებზეა დაფუძნებული. აღნიშნულ საკითხებს „CNN Travel"-მა მიუძღვნა სპეციალური რუბრიკა: ცხრა მიზეზი, თუ რატომ უნდა მოვინახულოთ საქართველო ახლავე. (Walker, 2016)

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რატომაც გვინდა თქვენი ყურადღება მივაპყროთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებს, ესა არის მათი უნიკალურობა, რომელიც გამოიხატება იმით, რომ აქ ერთდროულად თავმოყრილია როგორც ისტორიულ-კულტურული, ისე ბუნებრივი ფასეულობები. თუ ადრე დაცულ ტერიტორიებს ჰქონდა მხოლოდ ისტორიული და საყოფაცხოვრებო მნიშვნელობა, დღეს ის უკვე წარმოადგენს ტურიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილებს როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიო მასშტაბით. შედეგები უკვე სახეზეა. მაგალითისათვის თუშეთის დაცული ტერიტორიების ტურისტულ პოტენციალზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 2011 წელს იგი "Yahoo travel"-ის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიოს საუკეთესო უცნობი ადგილების ტოპ-ათეულში მე-3 ადგილზე მოხვდა (https://www.yahoo.com/travel/10-best-places-youve-never-045945682.html). ხოლო "CNN"-ის მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიოს საუკეთესო უცნობი ადგილების (რომელზეც ჯერ თითქმის არაფერია ცნობილი საერთაშორისო მასშტაბით) ტოპ-ათეულში, მე-5 ადგილი დაიკავა. (12 best places you've never heard of, 2011)

2015 წლის 28 სექტემბერს, ევროპის საბჭოს დემოკრატიული ინიციატივების დეპარტამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ელადიო ფერნანდეს-გალიანომ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ოფიციალურად გადასცა ევროპული დიპლომი. აღსანიშნავია, რომ ევროპული დიპლომი ევროპის მასშტაბით მხოლოდ 73 დაცულ ტერიტორიას აქვს მინიჭებული. აღნიშნული ჯილდოს გადაცემა კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს დაცული ტერიტორიების ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო დონეზე.

2016 წლის 11 მარტს, WWF-ის ორგანიზებით გაიმართა „ცენტრალური კავკასიონისთვის", როგორც მსოფლიო ბუნების მემკვიდრეობის სიაში შეტანის კანდიდატისთვის, ჩატარებული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგების განხილვა. მომზადდა შესაბამისი ანგარიში და მიმდინარეობს სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვა მისი მსოფლიო ბუნების მემკვიდრეობის სიაში შეტანისათვის.

მეთოდოლოგია

ნაშრომი მოიცავს საქართველოს დაცული ტერიტორიების, მასობრივი ტურიზმის და ფინანსურად მომგებიანი ეკონომიკური განვითარების პროექტების შესაბამისობას, ურთიერთდამოკიდებულებას და მათ ურთიერთგავლენას.

კვლევაში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მიდგომები არსებული რეალობის დასადგენად. იგი ეფუძნება: სტატისტიკურ მასალებს, სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციებიდან, არასამთავრობო უწყებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებულ მონაცემებს; სამთავრობო, არასამთავრობო და გარემოსდაცვითი უწყებების მოტივაციას და ქმედებებს არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს; ასევე ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებს, სადაც სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა და გამოკითხვაში მონაწილეობდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე სხვადასხვა ასაკის და თითქმის ყველა სოციალური ფენის საქართველოს მოსახლეობა, მათ შორის გარემოსდამცველები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. (800-მდე ადამიანი). გამოყენებულია ვერბალური ინტერვიუები საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. დასკვნა და რეკომენდაციები ემყარება არსებული და მიღებული მონაცემების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს არსებული მდგომარეობის შესახებ და საერთაშორისო გამოცდილებას.

საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმოხილვა:

IUCN-ის (ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი) საერთაშორისო კრიტერიუმების მიხედვით, საქართველოში სულ 68 სხვადასხვა კატეგორიის დაცული ტერიტორია არსებობს, მათ შორის:14 სახელმწიფო ნაკრძალი,10 ეროვნული პარკი,18 აღკვეთილი, 24 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტი. ამჟამად, დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი შეადგენს 520,811 ათას ჰექტარს. აქედან დაცული ტერიტორიების 75% ტყითაა დაფარული. ეს ტერიტორიები საქართველოს მთლიანი ფართობის 8,6%-ს შეადგენს, მაშინ, როცა ევროპის დაცულ ტერიტორიებს საშუალოდ ქვეყნის 18% უკავია. კონკრეტული მითითება, ქვეყნის ტერიტორიის რა ნაწილს უნდა იცავდეს სახელმწიფო, ცხადია არ არსებობს, ეს თითოეული ქვეყნის ბუნებრივ პოტენციალზეა დამოკიდებული. თუმცა ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის, სახეობათა კონსერვაციის ცენტრის აზრით (WWF), საქართველოს 8.6%-ით გაუჭირდება შეინარჩუნოს თავისი როლი მსოფლიოში, როგორც ბუნებით მდიდარმა ქვეყანამ. საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვალდებულება აქვს 2020 წლამდე ტერიტორიის 19% მაინც გამოაცხადოს დაცულ ტერიტორიად. თუმცა, დაცული ტერიტორიების ფართობის გაზრდის პროცესში არსებობს მთელი რიგი პრობლემები: ერთი მხრივ, მწირი სახელმწიფო დაფინანსება, მეორე მხრივ კი, ტყის მასივების (რომელებიც პოტენციურ დაცულ ტერიტორიად მოიაზრება) ერთი ნაწილი იჯარით არის გადაცემული ინვესტორებისთვის, ხოლო მეორე ნაწილი ტერიტორიების მიმართ კი კომერციული, ან საზოგადოებრივი ინტერესები არსებობს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პირველ ეტაპზე დიდი პრობლემების წინაშე დადგა დაცული ტერიტორიები, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით. ყურადღება არ ექცეოდა მთლიანად ეკოსისტემას და არ გამოიყენებოდა კომპლექსური მიდგომა დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში. არასწორად იყო იდენტიფიცირებული ნაკრძალების ჩამოყალიბების მიზნები, ამასთანავე არ არსებობდა დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებული სამართლებრივი ბაზა. 1990 წლიდან საქართველოში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო დაცული ტერიტორიების თანამედროვე სისტემის დაგეგმვა და ჩამოყალიბება, 1990-1991 წლებში დამუშავდა დამოუკიდებელი საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პირველი სქემა, ხოლო 1996 წლიდან დაიწყო დაცული ტერიტორიებისათვის საჭირო სამართლებრივი ბაზის ფორმირება და შექმნა, რომელიც ემყარებოდა ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) რეკომენდაციებს.

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში კი განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა დაცულ ტერიტორიებს. აღნიშნულმა ყურადღებამ დაცული ტერიტორიების მიმართ გამოიწვია, ერთი მხრივ, დადებითი ფაქტორების მთელი ჯაჭვი და მეორე მხრივ კი თანმდევი პრობლემები.

დადებითი ფაქტორებიდან აღსანიშნავია ის, რომ შედარებით განვითარდა ინფრასტრუქტურა; გაიზარდა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა; მცირე, წვრილი და მიკრო ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა; დასაქმდა მეტი ადამიანი; ადამიანების ჩართულობამ რეკორდულ ზღვარს მიაღწია, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ჩართულობა; გაიზარდა ტურისტული შემოსავლები და ასევე სახელმწიფოს ფინანსური კუთხით შემოსავლები; უფრო დიდი ყურადღება მიექცა დაცული ტერიტორიების ეკოლოგიურ მდგომარეობას, ბიომრავალფეროვნებას, წყლის დაცვას, ფლორასა და ფაუნას; მიმდინარეობს სამეცნიერო კვლევები; უფრო ცნობადი და მიმზიდველი გახდა საქართველო და მისი დაცული ტერიტორიები, რასაც მოწმობს სხვა ქვეყნების მთავრობის მხარდაჭერები, საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორი ორგანიზაციების, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების, ფონდების და სააგენტოების დიდი დაინტერესება და ჩართულობა. ასევე აღსანიშნავია, საქართველოს დაცულ ტერიტორიებთან დამეგობრებული, ევროპასა და აშშ-ში არსებული დაცული ტერიტორიების დიდი დაინტერესება, ხელშეწყობა და გამოცდილების გაზიარება.

სტატისტიკური მონაცემები და შედეგები.

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აღსანიშნავია ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა, რომლებმაც საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე იმოგზაურეს. ზრდა საგრძნობია, თუმცა საქართველოს დაცული ტერიტორიების პოტენციალიდან გამომდინარე, მოკრძალებული. საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ვიზიტორების რაოდენობა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2007-2018 წლებში ასე გამოიყურება:

სქემა 1. ვიზიტორების სტატისტიკა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2007-2018 წწ.



აღსანიშნავია უცხო ქვეყნის ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორების რაოდენობა, რომელიც 2017 წლის სტატისტიკური შედეგებით თვეების მიხედვით ასე გამოიყურება:

სქემა 2. უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორების რაოდენობა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2017 წ.



2017 წლის მონაცემებით, საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობამ (954 397 ვიზიტორი) 2016 წლის მონაცემებთან შედარებით (734 874 ვიზიტორი) 30%-ით მოიმატა. ვიზიტორთა შორის 57% ქართველია (541 634 ვიზიტორი), ხოლო 43% უცხოელი (412 763 ვიზიტორი).

უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა ხუთეული, რომელთაც საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე იმოგზაურეს, 2017 წელს ასე გადანაწილდა: პირველ ადგილზეა რუსეთის მოქალაქე ვიზიტორები, მეორეზე - ისრაელი, მესამეზე - პოლონეთი, მეოთხეზე - უკრაინა და მეხუთე ადგილზეა გერმანია.

სქემა 3. უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა ხუთეული 2017 წელი.



უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა ხუთეული, რომელთაც საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე იმოგზაურეს, 2018 წლის 16 სექტემბრის მდგომარეობით ასე გადანაწილდა: პირველ ადგილზეა რუსეთის მოქალაქე ვიზიტორები, მეორეზე - ისრაელი, მესამეზე - გერმანია, მეოთხეზე - პოლონეთი და მეხუთე ადგილზეა უკრაინა.

სქემა 4. უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა ხუთეული 2018 წელი.



საერთაშორისო ურთიერთობები და მხარდაჭერა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე (საერთაშორისო პროექტები, დონორები და პარტნიორები)

საქართველოს დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შემდგომი შენარჩუნებისათვის, ასევე დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარებისა და ფინანსურად მომგებიანი ეკონომიკური პროექტების განვითარების კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორი ორგანიზაციების, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების, ფონდების და სააგენტოების დახმარებას, ჩართულობას და მათი დიდი გამოცდილების გაზიარებას. უკვე, თითქმის ორი ათეული წელია, საქართველოში წარმატებით ხორციელდება სხვადასხვა სახის საერთაშორისო პროექტები.

ჯერ კიდევ 2002 წელს მსოფლიო ბანკმა, GEF-ს მხარდაჭერით დაიწყო ,,საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი". პროექტის მიზანი იყო საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრადი, დაცული ტერიტორიების შექმნის მეშვეობით და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის კურსის გატარებით ამ დაცული ტერიტორიების დამაკავშირებელ სამეურნეო ლანდშაფტებში.

როგორც მდიდარი ბიომრავალფეროვნების ქვეყანა, საქართველო განსაკუთრებული რისკის ქვეშაა, როდესაც საქმე ეხება თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდებით მიღებული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში ინტროდუქციას. 2003 წლიდან საქართველოში მიმდინარეობს UNEP/GEF-ის პროექტი „ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის განვითარება", რომლის მიზანია საქართველოში ბიომრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმის პრინციპებისა და მოთხოვნების შესაბამისი ბიოუსაფრთხოების ეროვნული სისტემის პროექტის შექმნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის ჩართულობა და დიდი დოზით მხარდაჭერა აღნიშნულ საკითხებში. საქართველო ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით მდიდარი ქვეყანაა, ამიტომ მისი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა ევროკავშირის ერთ–ერთი უმთავრესი ამოცანაა. ევროკავშირი საქართველოს ეხმარება როგორც კონკრეტული გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაში, ასევე, გარემოსდაცვითი პოლიტიკის და საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებაში უჭერს მხარს. საქართველოში მიმდინარე და სამომავლო, რეგიონული და ნაციონალური პროექტებისთვის გამოყოფილი თანხები დაახლოებით 35 მილიონ ევროს შეადგენს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები გარემოს დაცვის ყველა ძირითად სფეროს შეეხება, ესენია: კლიმატის ცვლილება, ნარჩენების მართვა, ჰაერის, ბუნების და წყლის დაცვა და ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილება. საქმიანობის გარკვეული ნაწილი მიმართულია გარემოს საკითხებში

ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოების წახალისებისკენ იმისთვის, რომ მოხდეს გარემოსდაცვით საქმიანობებში მათი უფრო აქტიურად ჩაბმა. აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართული ადამიანების რაოდენობამ 2015 წლის მდგომარეობით თითქმის 106 ათასს ადამიანს მიაღწია, რაც წინა წლებთან შედარებით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია და საკმაოდ შთამბეჭდავი შედეგია.

გვინდა აღვნიშნოთ ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) როლი და კავკასიის ოფისის ინიციატივით განხორციელებული ქმედებების შესახებ, რომელთა მიზანია კავკასიის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისათვის პრიორიტეტული ტერიტორიების გამოვლენა. WWF-ის კავკასიის ოფისის მიერ დაცული ტერიტორიების დაგეგმვის საკითხი განიხილება ეკორეგიონულ ჭრილში. უკვე იდენტიფიცირებულია კონსერვაციისათვის პრიორიტეტული ტერიტორიები და დერეფნები. ასევე, ის საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, რომლებიც უკვე დიდი ხანია ახორციელებენ საქართველოს დაცული ტერიტორიების მხარდაჭერასა და ხელშეწყობას ბევრი პრობლემური საკითხის გადაწყვეტის მიმართულებით: ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირი (IUCN), გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP); გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); გარემოს დაცვის გლობალური ფონდი (GEF); კავკასიის ბუნების ფონდი (CNF); ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა დეპარტამენტი (USDOI); გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტრო (BMZ); გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW); გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ); ჩეხეთის განვითარების ასოციაცია (CzDA).

საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და გაზიარება ის მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ძალიან ბევრ შეკითხვაზე იძლევა პასუხებს, მიუხედავად მათი სხვადასხვა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა.

დისკუსია:

თავად ქვეყნის შიგნით, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებს შორის მიმდინარეობს მწვავე დისკუსიები დაცული ტერიტორიების, მასობრივი ტურიზმის და ეკონომიკური განვითარების პროექტების შესაბამისობის პრობლემის შესახებ.

ყველაფერი კეთდება და ყველა პროექტი ემსახურება ტურისტების მასიურად მოზიდვას საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, რაც, თავის მხრივ, ქვეყნისთვის ფინანსური შემოსავლების ზრდის პირდაპირპროპორციულია, თუმცა მასობრივ ტურიზმს შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეებზე. ზემოქმედება ბუნებრივ რესურსებზე, რაც შეიძლება ბუნებრივი რესურსების გადახარჯვაში გამოიხატოს, ფიზიკური ზემოქმედება, ქიმიური ზემოქმედება, არასწორი რეკრეაციულ აქტივობები, ვიზუალური დაბინძურება, წყლის და ჰაერის დაბინძურება, რაც შეიძლება დაავადებების და ეპიდემიების გავრცელების მიზეზიც გახდეს.

ვიზიტორების ჭარბმა რაოდენობამ შეიძლება ბიოლოგიური და ლანდშტაფტური მრავალფეროვნების დეგრადაცია გამოიწვიოს. მასობრივი ტურიზმის გავითარებით დაცულმა ტერიტორიებმა შეიძლება დაკარგოს დღეს არსებული ხიბლი და მიმზიდველობა და პრობლემები შეუქმნას ბუნების ბიომრავალფეროვნებას. ამავე დროს აღსანიშნავია, ისიც, რომ მასობრივი ტურიზმის შემთხვევაში არსებული ტურისტული რესურსების პოტენციალი იკლებს და მისი სიცოცხლისუნარიანობა შედარებით ხანმოკლე ხდება, რაც, საბოლოო ჯამში, ეკოლოგიური უსაფრთხოების, არსებული მემკვიდრეობის დაცვისა და ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნების პრობლემის წინაშე აყენებს ქვეყანას.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ უარყოფითი ზემოქმედების ცოდნა, რაც მასობრივი ტურიზმისათვის არის დამახასიათებელი და რაც, შესაძლოა, მასობრივი ტურიზმის განვითარებას მოჰყვეს, ასევე შესაბამისი ქმედებები და კონკრეტული გზების მოძიება, რათა მისი თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა იყოს შესაძლებელი.

მსოფლიო ბანკის მდგრადი განვითარების პროგრამების ხელმძღვანელი სამხრეთ კავკასიაში, ბატონი აჰმედ ეივეიდა საქართველოში ტურიზმის განვითარების შესახებ ამბობს, რომ მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა. „ჩვენ არ გვინდა, საქართველო გადავაქციოთ მასობრივი ტურიზმის ადგილად, რომელიც ზიანს მიაყენებს როგორც საქართველოს ბუნებას, ასევე, კულტურულ ძეგლებს, კულტურულ მემკვიდრეობას. მთავარია ხარისხი, თუ რამდენს დახარჯავენ ვიზიტორები. მთავარია, რომ ჩვენ მეტი ვიზიტორი მივიღოთ უფრო მაღალმხარჯველი ქვეყნებიდან. ამიტომ ნუ დაპანიკდებით, როდესაც მცირდება ჩამომსვლელთა რაოდენობა“, - განაცხადა აჰმედ ეივეიდამ. პარალელურად, საქართველოს მთავრობამ 2015-2025 წლების ტურიზმის ახალი სტრატეგია წარადგინა, რომელიც მსოფლიო ბანკის ექსპერტის დახმარებით მომზადდა და რომელშიც აქცენტი არა ტურისტების რაოდენობაზე, არამედ მათ ფინანსურ შესაძლებლობებზეა გამახვილებული.

მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობა - გზები, ხიდები, სასტუმროები და სხვა მშენებლობები და ნაგებობები. გარდა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელებული პროექტებისა, სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი შემოსავლებით, დონორი ორგანიზაციების და სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების და ფონდების მეშვეობით მიმდინარეობს 3 მილიონამდე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. აღსანიშნავია ქვეყნის მთავრობის დაპირება, რომ ის დახარჯავს ათობით მილიონს ინფრასტრუქტურულ პროექტებში. გამართული ინფრასტრუქტურული და კომუნიკაციური სისტემები დიდი დადებითი ფაქტორია და ხელს უწყობს ტურისტების შემოდინებას ქვეყანაში, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, შემოსავლების ზრდას, მაგრამ, მეორე მხრივ, იწვევს ლანდშაფტის რღვევას, აზიანებს ბუნებას და მის მრავალფეროვნებას, გარკვეულწილად ხიბლს უკარგავს ექსტრემალურ ტურიზმს.

თუ გადავხედავთ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის პარალელურად გაზრდილია ტურისტული სერვისებიდან მიღებული ფინანსური შემოსავლების რაოდენობაც. 2015 წელს შემოსავლების 20%-იანი ზრდა დაფიქსირდა და 1 589 756 ლარი შეადგინა.

სქემა 5. ტურისტული სერვისებიდან მიღებული ფინანსური შემოსავლები წლების მიხდვით 2007-2015 წწ



2016 წლის განმავლობაში ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 2 313 697 ლარი, 2017 წლის განმავლობაში კი, ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 4 482 891 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 94%-ით არის გაზრდილი.

სქემა 6. ტურისტული სერვისებიდან მიღებული ფინანსური შემოსავლები წლების მიხდვით 2016-2017 წწ



მართალია წლების მიხედვით და განსაკუთრებით ბოლო წელს დაცულ ტერიტორიებზე ფინანსური მაჩვენებლების ზრდა ფიქსირდება, მაგრამ თუ გადავხედავთ დაცულ ტერიტორიებიდან ტურისტულ შემოსავლებს, კარგად ჩანს, რომ უკუგების მაჩვენებლები საკმაოდ მცირეა ინფრასტრუქტურისთვის დახარჯულ თანხებთან შედარებით. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ, თუ რა გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება მიადგეს დაცულ ტერიტორიებს დაუფიქრებელი და არათანმიმდევრული ნაბიჯებით, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ და გამოსავლის ძებნაზე ვიფიქროთ. სახელმწიფომ უნდა დაიცვას მისი ბუნებრივი სიმდიდრე და განვითარებულ მსოფლიოსაც აჩვენოს, რომ ეს მისთვის პრიორიტეტულია, რადგან ისეთი ეროვნული პარკებიც კი, როგორებიცაა აფრიკის ყველაზე ცნობილი ეროვნული პარკები, ვერ ფარავენ საკუთარ ხარჯებს სახელმწიფოს და დონორი ორგანიზაციების დახმარების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ აფრიკის ეროვნულ პარკებს იმდენი ტურისტი სტუმრობს, რა რაოდენობაც საქართველოს დაცული ტერიტორიებს ალბათ ახლო პერსპექტივაში არ ეყოლება.

ხშირია შემთხვევები, როდესაც დაცული ტერიტორიები მცირდება, რასაც გარემოსდამცველები ძირითადად ფინანსურად მომგებიან ეკონომიკური განვითარების პროექტებს უკავშირებენ. ამასაც თავისი ახსნა აქვს:

საქართველო ძალიან მდიდარი ქვეყანაა თავისი ჰიდრორესურსებით და ამ კუთხით ჩვენს ქვეყანას საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის თვალსაზრისით. საქართველოს ხელისუფლების და კონკრეტულად ენერგეტიკის სამინისტროს ძირითად მიზანს წარმოადგენს სწორედ ასეთი მაღალი პოტენციალის ათვისებაზე მუშაობა, აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული ჰესების მშენებლობა სწორედ დაცული ტერიტორიების ფარგლებში, ან მათ მიმდებარედ მიმდინარეობს.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ჰესების გარემოზე ზემოქმედების საკითხია (ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, ზემოქმედება ფლორაზე და ფაუნაზე და ა.შ.). გარემოს დამცველი ორგანიზაციები მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებიან ახალი გენერაციის ობიექტების მშენებლობას, თუმცა პრაგმატული თვალსაზრისიდან და რეალობიდან გამომდინე გარდაუვალია ახალი პროექტების განხორციელება. აქვე აღსანიშნავია, რომ ჰესების გარემოზე ზემოქმედების დეტალური შესწავლა და მისი საჯარო განხილვები საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება და ფაქტიურად შეუძლებელია აღნიშნული შესწავლის გარეშე სამშენებლო სამუშაოების წამოწყება.

„ვერავინ შეუშლის ხელს ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტების განხორციელებას" – აცხადებს საქართველოს მთავრობა და ეს გასაგებიცაა, რადგან ქვეყნისთვის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა საქართველოსთვის პრიორიტეტულ, უმნიშვნელოვანეს და პერსპექტიულ საკითხად განიხილება. ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა ეროვნული უსაფრთხოების ტოლფასი და სასიცოცხლო ინტერესის მატარებელია. საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდა დადებით გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე, ასევე მის მოქალაქეთა კეთილდღეობაზე, რადგან ქვეყნას აქვს პოტენციალი გახდეს ელექტრო ენერგიის ექსპორტიორი და დამატებითი ფინანსური შემოსავლები მოუტანოს ქვეყანას, მაგრამ რის ფასად და რა უარყოფითი შედეგების მომტანი შეიძლება გახდეს აღნიშნული პროექტები, ამას დიდწილად მომავალი გვიჩვენებს, თუმცა უაროფითი შედეგები უკვე სახეზეა. ამის ნათელი მაგალითია „დარიალჰესის" მშენებლობა, რომელიც 2012 წელს დაიწყო. მისი საინვესტიციო მოცულობა 123 მილიონ დოლარს შეადგენს და მასში ჩართულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი „EBARD", რომელმაც სესხის სახით გამოყო 80 მილ. დოლარი. აღნიშნული ჰესის მშენებლობისთვის გამოყენებულია დარიალის უღელტეხილის ფარგლებში არსებული მდინარე თერგის ხეობა და საქართველოს ერთ-ერთი დაცული ტერიტორიისთვის, კერძოდ ყაზბეგის ნაციონალური პარკისთვის, ჩამორთმეულია სამი ტერიტორია მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ბიოლოგების და გეოლოგების საიმედო დასკვნები იმის შესახებ, რომ „დარიალჰესის" მშენებლობის ზემოქმედება, შემარბილებელი ღონისძიებების სრულფასოვანი გატარების შემთხვევაში, გარემოზე და კანონით დაცულ სახეობებზე უარყოფითი ზემოქმედება შემცირდებოდა არ გამოიწვევდა რეგიონის ბიომრავალფეროვნებაში შეუქცევად ცვლილებებს.

აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ გასულ 2015 წელს მოხდა ეკოლოგიური ჯაჭვის დარღვევა, დევდორაკის ხეობაში მყინვარის დნობა, რამაც თავისთავად გამოიწვია 2 დიდი მეწყერი, შეიწირა რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე და მილიონობით ფინანსური ზარალი მიადგა ქვეყნის ეკონომიკას. აღსანიშნავია ისიც, რომ ანალოგიური სიტუაცია დღესაც გრძელდება. დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ჰესის მშენებლობამ გამოიწვია, თუმცა გარემოსდაცვითი ორგანიზაციები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ამ აზრს.

აღნიშნული კარგი მაგალითია იმისა, თუ რა პრობლემის წინაშე ვდგავართ. ცხადია, ჩვენ არ ვართ ენერგეტიკის და ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის, ინფრასტრუქტურული და სხვა ფინანსურად მომგებიანი ეკონომიკური პროექტების განვითარების წინააღმდეგი, თუმცა უნდა დაისახოს თანმიმდევრული და ლოგიკური კონკრეტული სტრატეგია და გარემოსადმი შემარბილებელი ღონისძიებების მთელი კომპლექსი, რაც ბუნების დაცვის და ეკონომიკური განვითარების პროექტების შედარებით ჰარმონიულ შერწყმას უზრუნველყოფს.

დაცული ტერიტორიების ნორმალური ფუნქციონირებისთვის არანაკლებ ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება და არასაკმარისი ინფორმირებულობა დაცული ტერიტორიების არსის და მათი სარგებლიანობის შესახებ. შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს დაცული ტერიტორიების მიმართ აქვს ანტაგონისტური დამოკიდებულება. განსაკუთრებით მწვავდება სიტუაცია, როდესაც დაცული ტერიტორია იწყებს გაფართოებას და შესაბამისად იზღუდება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. არასაკმარისად ეფექტურია ქმედებები საზოგადოების ინფორმირების, ცნობიერების ამაღლებისა და მონაწილეობის მიმართულებით, რის გამოც ხშირია კონფლიქტები დაცულ ტერიტორიებსა და მათ მიმდებარედ მცხოვრებთა შორის. აქვე აღსანიშნავია ის, რომ მთის რეგიონის მოსახლეობას საკუთარი უძველესი ტრადიციების შესაბამისად ჩამოყალიბებული მრწამსი და შეხედულებები აქვს კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში, რაც კიდევ უფრო ართულებს გარკვეული პროექტების განვითარებასა და ინოვაციების დანერგვას რიგ რეგიონებში.

ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული საკანონმდებლო შეზღუდვებით და ინფრასტრუქტურული პროექტების განუვითარებლობით, კიდევ ერთი და ახლა უკვე სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე დგება ქვეყანა: ადგილობრივი მოსახლეობა ტოვებს თავის საცხოვრებლებს და სხვაგან მიდის საცხოვრებლად. ამიტომ საჭიროა სახელმწიფომ დაცულ ტერიტორიებთან ერთად პარალელურ რეჟიმში იზრუნოს ადგილობრივი მოსახლეობის ალტერნატიული რესურსებით უზრუნველყოფაზე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, რასაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსი.

სოციოლოგიური გამოკითხვა და შედეგი:

რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა მარტივი სოციოლოგიური გამოკითხვა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა და გამოკითხვაში მონაწილეობდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე სხვადასხვა ასაკის და სოციალური ფენის და აკადემიური წრეების წარმომადგენლები (800-მდე ადამიანი).

გამოკითხვაში სადაც დასმული იყო ერთი შეკითხვა: რას ანიჭებთ უპირატესობას და რომელი მიგაჩნიათ პრიორიტეტულად? სამი სავარაუდო პასუხით: 1 - დაცული ტერიტორიების, როგორც ხელშეუხებელი ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნება; 2 - მასობრივი ტურიზმის განვითარება და ეკონომიკური განვითარების პროექტები დაცული ტერიტორიებზე; 3 - მიჭირს პასუხის გაცემა.

მიღებული შედეგები ასე გადანაწილდა:

1. დაცული ტერიტორიების, როგორც ხელშეუხებელი ბუნებრივი სიმდიდრის შენარჩუნება - 21%;
2. მასობრივი ტურიზმის განვითარება და ეკონომიკური განვითარების პროექტები დაცული ტერიტორიებზე - 19%;
3. მიჭირს პასუხის გაცემა - 38%.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვაში ჩვენ მიერ სპეციალურად არ იყო შეტანილი მეოთხე სავარაუდო პასუხად პირველი და მეორე პასუხი ერთად, გამოკითხულთა თითქმის 22%-მა თავად მიაწერა მეოთხე პასუხად ორივე პასუხი ერთად.

აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საზოგადოების უმეტეს ნაწილს უჭირს პასუხის გაცემა ამ საკითხთან დაკავშირებით და ურჩევნიათ დაცული ტერიტორიების შენარჩუნებაც, ტურიზმის განვითარებაც და ეკონომიკური განვითარების პროექტები ერთად, რაც საკმაოდ რთულად მისაღწევია.

დასკვნა და რეკომენდაცია:

საქართველოს ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნებისათვის, ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის, ქვეყნის ფინანსური შემოსავლების ზრდის და ტურიზმის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და მყარ გარანტს რა თქმა უნდა დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება და ტერიტორიული გაფართოება წარმოადგენს.

დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის მდგრადი განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუმცა აუცილებელია იმ ოქროს შუალედის პოვნა, როდესაც ტურიზმი ისეთ დონეზე იქნება განვითარებული, რომ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება მინიმუმამდე იყოს დაყვანილი და როგორც

ქვეყანას, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას არა თუ უარყოფითი შედეგი, არამედ ფინანსური შემოსავალი მოუტანოს.

მუდმივი ოპონირება, დაცული ტერიტორიები და მათი პირველყოფილი სახით შენარჩუნება, თუ მასობრივი ტურიზმი და ეკონომიკური განვითარების პროექტები, ჩატეტილ წრეში სიარულს გავს, რომელიც გამოსავალი ნამდვილად არ არის.

კონკრეტული აქცენტის გაკეთება რომელიმეზე - დაცული ტერიტორიების სრულფასოვნად შენარჩუნება და დაცვა, თუ მასობრივი ტურიზმი და ეკონომიკური განვითარების პროექტების განვითარება დაცულ ტერიტორიებზე, ჩვენი აზრით შეცდომა იქნება. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კონკრეტული, თანმიმდევრული და სისტემური სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რაც ბუნების დაცვის, მასობრივი ტურიზმის და ეკონომიკური განვითარების პროექტების შედარებით ჰარმონიულ შეწყმას უზრუნველყოფს. ეს კი საბოლოო ჯამში, როგორც ბუნების დაცვისთვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის და ფინანსური შემოსავლების ზრდის კუთხით გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება.

ბიბლიოგრაფია:

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). ვებგვერდი: https://www.usaid.gov/.

დაცული ტერიტორიების სააგენტო. ვებგვერდი: http://apa.gov.ge/ge/.

საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. ვებგვერდი: http://moe.gov.ge/.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდი: http://www.economy.ge/.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო. ვებგვერდი: http://www.energy.gov.ge/.

10 Best Places You've Never Heard Of. (n.d.). Retrieved from https://www.yahoo.com/lifestyle/10-best-places-youve-never-045945682.html

12 best places you've never heard of. (2011, December 6). Retrieved from http://edition.cnn.com/travel/article/12-best-places-bt/index.html

Global Code of Ethics for Tourism. (n.d.). Retrieved from http://ethics.unwto.org/en/content/global-code-ethics-tourism

The World Bank. (n.d.). *World Bank sustainable development programs in the South Caucasus*. Retrieved from https://www.worldbank.org

Walker, J. (2016, May 17). *9 reasons to visit Georgia now*. Retrieved from http://edition.cnn.com/travel/article/reasons-to-visit-georgia/index.html

Davit Tchiotashvili, Khaliana Chitadze

Gori State Teaching University

IMPACT OF MASS TOURISM AND ECONOMIC DEVELOPMENT PROJECTS IN GEORGIA'S PROTRCTED AREAS - A SUCCESSFUL ECONOMIC AND FINANCIAL RESULT OR A PROBLEM

RESUME

One of the most essential and solid guarantees for the development of biological and landscape variety of Georgia, economic security and preservation of economic potential of natural resources, natural heritage, increase of the financial income of the country and tourism development, is the development of the system of protected territories and territorial expansion.

The sustainable development of tourism in the protected area is one of the most important issues, though, it is necessary to find the golden mean, where the development of tourism reaches the stage and the negative influence on the environment is reduced to a minimum, and when both, the country and the local population have the financial income and not the negative result.

Constant dilemma: protected areas or conservation of their original form, mass tourism and economic development projects, it looks like a vicious circle, there is no way out.

To emphasize one of the activities: the perfect maintenance of the protected areas or the development of mass tourism and economic development projects will be a mistake from our side. To work on consistent, specific and systematic strategy and tactics is of vital importance, it will result in a relatively harmonious blending of nature protection, mass tourism, and economic development projects. As a result, it will be a giant leap both for the protection of the nature, the country`s economic development, and from the point of view of financial growth.

Keywords: Mass tourism; Protected territories; Financial results; Economic development projects.

თეა ხორგუაშვილი, თამარ მაკასარაშვილი, ლია ნადირაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ნათია ხორგუაშვილი
ევროპის უნივერსიტეტი

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის

საკვანძო სიტყვები: სადეპოზიტო სერტიფიკატები, რეფინანსირება, დაკრედიტება.

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც პირდაპირ აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. გონივრულად გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად შესაძლებელია გრძელვადიანი ფინანსური სტაბილურობის მიღწევა. ფულად–საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს საერთო სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილს და უნდა უზრუნველყოფდეს მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევას.

მონეტარული პოლიტიკა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ელემენტს. აქედან გამომდინარე მონეტარული პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რაც გულისხმობსა ფასების სტაბილურობას, წარმოების მოცულობის რეალურ ზრდას, ინფლაციის დონის განსაზღვრას და ა.შ.

ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ცენტრალური ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო და მონეტარული პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკა თავისთავად მოიცავს მთლიან ეკონომიკურ პოლიტიკას და განისაზღვრება მთავრობის პრიორიტეტებით, ურთიერთდამოკიდებულება მკაცრად არის განსაზღვრული ცენტრალურ ბანკსა და მთავრობას შორის.

მეთოდოლოგია

საქართველოში მონეტარული პოლიტიკის გატარებაზე, მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებაზე და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების განსაზღვრაზე უფლებამოსილია საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელიც ქვეყნის ცენტრალური ბანკია. დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი გამოიყენებს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებს შემდეგ:

- სადეპოზიტო სერტიფიკატები;
- ერთდღიანი დეპოზიტები;
- ერთდღიანი სესხები;
- რეფინანსირების სესხები;
- ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი;
- დღის შიდა სესხი;
- ბოლო ინსტანციის სესხი;
- მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად შეიმუშავებს და პარლამენტს წარუდგენს დასამტკიცებლად „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს“. მონეტარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში განსაზღვრულია ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი და მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებსაც ეროვნული ბანკი მიმართავს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებისას. მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთებს განსაზღვრავს საქართველოს ეროვნულ ბანკში მოქმედი მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი. დღეისათვის მოქმედებს მონეტარული პოლიტიკის შემდეგი განაკვეთები:

	ვადიანობა	განაკვეთი (%)
რეფინანსირების სესხი	7 დღე	განისაზღვრება აუქციონით (მინიმალური 7.0 %)
ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტი	28 დღე	განისაზღვრება აუქციონით (მინიმალური 7.0 %)
ერთდღიანი დეპოზიტები	1 დღე	(7.0-1.0) %
ერთდღიანი სესხები	1 დღე	(7.0+1.0) %
სადეპოზიტო სერტიფიკატები	3 თვე	განისაზღვრება აუქციონით
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	1/2/5/10 წელი	განისაზღვრება აუქციონით
	ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის	**უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისთვის**
სარეზერვო მოთხოვნა*	5.0%	25.0%

შედეგები და დისკუსია

რეფინანსირების განაკვეთი, იგივე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია და წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების საბაზისო მაჩვენებელს. მონეტარული პოლიტიკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებაზე გადაწყვეტილება მიიღება მიმდინარე და მოსალოდნელი პროცესებისა და ფინასური ბაზრების ანალიზის შედეგად.

დიაგრამა 1.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



როგორც მოცემულ დიაგრამაზე ჩანს საქართველოს ეროვნული ბანკი საშუალოვადიანი რყევების პერსპექტივაში მიმართავს რეფინანსირების განაკვეთის ცვლილებას. 2008 წლის ცნობილი ეკონომიკრი მოვლენების დროს საკმაოდ მკაცრი იყო მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და 10% აღწევდა, 2011 წლიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა მონეტარული პოლიტიკის შერბილება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და 2013-2014 წლებში რეფინანსირების განაკვეთი 4 %-მდე დაწია. რეფინანსირების განაკეთის შემცირებამ საშუალება მისცა კომერციულ ბანკებს ეროვნული ბანკიდან მიეღო დაბალპროცენტიანი სესხები და შესაბამისად კომერციული ბანკებმა დაიწყეს სესხების გაცემა ლარში.

დიაგრამა 2.



რეფინანსირების განაკვეთის დაბალი საპროცენტო განაკვეთი გახდა მიზეზი ვალუტის კურსის გაუფასურების და სამომხმარებლო პროდუქციაზე ფასების ზრდის. აქედან გამომდინარე 2015 წლიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება და რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის ზრდა, რამაც 2015 წლის ბოლოსთვის 8%-ს მიაღწია, ხოლო 2016-2017 წლებში მოხდა რეფინანსირების განაკვეთის უმნიშვნელო ცვლილებები და 2018 წლამდე შენარჩუნებულია 7% ფარგლებში. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ბოლო პერიოდის ოქმებში ხშირად აღინიშნება, რომ თუ არ განხორციელდა ცვლილებები ფუნდამენტურ ფაქტორებში, მხოლოდ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება გავლენას ვერ მოახდენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე.

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ცვლილება ეკონომიკაში გარკვეული დროის შემდეგ აისახება, შესაბამისად განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი და მისი ანალიზი ინფლაციის მიზნობრივ დონესთან.

დიაგრამა 3.



თუ განვიხილავთ საბაზო ინფლაციის დინამიკას, დავინახავთ, რომ ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებები ემყარება საბაზო ინფლაციის მაჩვენებლებს და ინფლაციის ზრდასთან ერთად იზრდება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, შესაბამისად ძვირდება ეროვნული ბანკის სესხები და მცირდება ერთობლივი მოთხოვნა ქვეყანაში. საპირისპირო შემთხვევში, როდესაც ერთობლივი მოთხოვნა ქვეყანაში მცირდება, ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი დაბალია ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელზე, ეროვნული ბანკი მიმართავს ექპანსიურ მონეტარულ პოლიტიკას - მიმართავს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას. აღნიშნული, თავის მხრივ, იწვევს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, რაც დადებითად აისახება როგორც ქვეყნის ეკონომიკაზე, ასევე მოსახლეობის საარსებო გარემოზე.

დაბალი საპროცენტო განაკვეთები წინაპირობაა კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტებისთვის. ამ დროს ხელმისაწვდომი ხდება ეფექტური პროექტების განხორციელება. ხოლო საპროცენტო განაკვეთების ზრდა ხელს უშლის ეკონომიკის დაკრედიტებას.

დიაგრამა 4.



2009 წლიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის თარგეთირების რეჟიმზე გადასვლა დაიწყო, რაც ითვალისწინებს ინფლაციის სასურველი და მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ განსაზღვრას და პოლიტიკის ისეთი პრიორიტეტების დასახვას და ამასთანავე იმ ინსტრუმენტების გამოყენებას, რითაც შესაძლებელი იქნება საშუალოვადიან პერიოდში სასურველი მიზნის მიღწევა. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის დასახვა შესაძლებლობას აძლევს ეროვნულ ბანკს გამჭვირვალედ დასახოს საკუთრი მიზნები და მონეტარული პოლიტიკის მიმართულებები განსაზღვროს სწორად. ეროვნული ბანკი ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს განსაზღვრავს ყოველ წელს მომდევნო სამწლიანი პერიოდისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფულად ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი რყევები არ ყოფილა, 2017 წელს კომერციული ბანკების მიერ მაინც გაიზარდა კონომიკის დაკრედიტება, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს 2015 წელს საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიება ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის შესახებ, რომლის მიხედვითაც 2015-2016 წლებში მოხდა ბიუჯეტიდან კომერციული ბანკების დაკრედიტება ეკონომიკის დაკრედიტების მიზნით.

დიაგრამა 5.



დასკვნა

აღსანიშნავია, რომ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გავლენას ახდენს არა მარტო ეკონომიკის დაკრედიტებზე, არამედ პირდაპირ აისახება ფიზიკური და იურიდიული პირების დაკრედიტებაზე. რეფინანსირების განაკვეთის ზრდით იზრდება ბანკში იმ პირების საპროცენტო განაკვეთები, რომლებსაც სესხი მიბმული აქვს რეფინანსირების სესხზე. 2014-2015 წლებში დაბალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში საზოგადოებას მიეცა იმის საშუალება, აეღოთ იპოთეკური სესხები შედარებით დაბალ საპროცენტო განაკვეთებში. კომერციული ბანკების უმეტესობა რეფინანსირების სესხებს იღებდა, როგორც წესი, ეროვნულ ვალუტაში, ხოლო გასცემდა უცხოურ ვალუტაში. ამან გარკვეულწილად გამოიწვია დოლარიზაციის მაჩვენებლის ზრდა, რაც უარყოფითად აისახა ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე. 2014 წლისთვის დოლიარიზაციის მაჩვენებელმა 60%-ს მიაღწია. 2016 წლიდან ეროვნულმა ბანკმა გაამკაცრა რეფინანსირების განაკვეთი, ხოლო 2017 წელს მთავრობამ განახორციელა დოლარიზაციის შემცირების კიდევ ერთი ღონისძიება, რაც სესხების გალარებაში გამოიხატებოდა. გალარებაც განხორციელდა ისევ რეფინანსირებაზე მიბმულ საპროცენტო განაკვეთებში და გამოვიდა, რომ ფიზიკურ პირებს სესხი, რომელიც ჰქონდათ უცხოურ ვალუტაში, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით შესთავაზეს სესხის გალარება მაღალი და რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული პროცენტით. აღნიშნული ღონისძიება საქართველოს მთავრობამ ეროვნულ ბანკთან ერთად განახორციელა ერთჯერადად, როგორც სოციალური პროექტი, თუმცა ვთვლით, მოსახლეობისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითი ეფექტი არ აქვს. ლარიზაციის ღონისძიებების ფარგლებში ეროვნულ ბანკს ბაზელ III–ის რეკომენდაციის თანახმად სურს შემოიღოს ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი, სადაც უპირატესობის მინიჭება ეროვნულ ვალუტაზე მოხდება. აუცილებელი პირობაა ეროვნულ ბანკს გააჩნდეს ლიკვიდური აქტივები, რათა მოკლევადიანი დეპოზიტები გრძელვადიან სესხებად გადააქციოს. ამისათვის კი იგეგმება გირაოს ბაზის გაფართოვება.

მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ღია ბაზრის ოპერაციები, როდესაც ეროვნული ბანკი არაპირდაპირი გზით, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვით გავლენას ახდენს საპროცენტო განაკვეთებზე მოკლევადიან პერსპექტივაში. მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის ზრდისათვის აუცილებელია ფულადი ბაზრის განვითარება. ამ საქმეში აუცილებელია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობის და ვადიანობის ზრდა. აუცილებელია ეროვნულმა ბანკმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგას საოპერაციო რისკების შესასუსტებლად. ეროვნულმა ბანკმა ბლუმბერგის სისტემაში შექმნა სავაჭრო პლატფორმა, სადაც ფასიანი ქაღალდების ყიდვა–გაყიდვა და ანგარიშსწორება ხდება ავტომატურად და, შედეგად, საოპერაციო და ტრანზაქციული რისკები ნულამდეა დაყვანილი.

მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების ეფექტურობა აისახება მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმებში, რომლის მეშვეობით ყველა ცვლილება აისახება ეკონომიკაზე. მოცემულ დიაგრამაზე აღნიშნულია მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გადაცემის ყველა ელემენტი და მათი გავლენა ეკონომიკაზე.

დიაგრამა 6.



როგორც მოგვეხსენება, ფინანსური სფერო ცვალებადია და მრავალ შიდა და გარე ფაქტორზეა დამოკიდებული და განსაზღვრული პროგნოზების დაცვა საკმაოდ რთულია, მით უმეტეს, როცა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები ყოველთვის ეფექტური არ არის მაღალი დოლარიზაციის პირობებში. მიუხედავად ეროვნული ბანკის არაერთი მცდელობისა და მონეტარული პოლიტიკის არაერთი ინსტრუმენტის გამოყენებისა, ლარის კურსი ვარდნას მაინც განაგრძობს, რაც პირველ რიგში ქვეყნის სოციალურ გარემოზე აისახება მძიმედ. კურსის გრძელვადიანი სტაბილურობა ფუნდამენტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რასაც განაპირობებს ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, გაზრდილი საგარეო ვაჭრობის დეფიციტი, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებები და ა. შ.

ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის პირობებში. პირველად ბაზრებზე სახელმწიფო ობლიგაციებზე მოთხოვნა მაღალია, რადგან ის მაღალი ლიკვიდურობით ხასიათდება. მეორად ბაზრებზე კი მარტივადაა შესაძლებელი მათი რეპო ოპერაციებში გამოყენება, რითაც შესაძლებელია მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდა.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეფასების მაჩვენებლები სწორად იყოს დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებასთან ისე, რომ ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები ხელს უწყობდნენ მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

ბიბლიოგრაფია:

ბაიაშვილი, თ. (2015). მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმი. *ეკონომიკა და საბანკო საქმე, 3* (1), 9-17. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.nbg.gov.ge/uploads/journal/2015/2.pdf

ბლუაშვილი, ა. (2013). *მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმები საქართველოში: ბოლო დროინდელი დინამიკა.*

ელიავა, ლ. (2013). *საბანკო კრიზისების პროგნოზირება.* თბილისი.

თვალჭრელიძე, ა., სილაგაძე, ა., ქეშელაშვილი, გ., & გეგია, დ. (2011). საკრედიტო სექტორი. *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა.* თბილისი: ნეკერი. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.nplg.gov.ge/gsdl//cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1---0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.2&d=HASH611428d35ab6e96ac30284.8.2.1&gt=1

საქართველოს ეროვნული ბანკი. (თ. გ.). *მონეტარული პოლიტიკის ფორმულირება.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=537

საქართველოს ეროვნული ბანკი. (თ. გ.). *საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციებისა და გირაოს მართვის დებულება.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/monetarypolicy/2014/mo_regulation_08_04_14_geo.pdf

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ვებგვერდი: https://www.matsne.gov.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (თ. გ.). *ფასები, ინფლაცია.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=124&lang=geo

Brunnermeier, M., & Sannikov, Y. (2012). Redistributive Monetary Policy. *Economic Policy Symposium - Jackson Hole*, Federal Reserve Bank of Kansas City. (pp. 331-384).

Maslov, A. (2012). Inflationary Handicap of The Monetary Transmission Mechanism: Evidence From Russia. *Journal of Economic Regulation, 3* (4), 109-124. Retrieved from http://hjournal.ru/pdf/JER_3.4_2012/JER%203.4-11.pdf

Tea Khorguashvili, Tamar Makasarashvili, Lia Nadiradze
Gori State Teaching University
Natia Khorguashvili
European University

IMPORTANT INSTRUMENTS OF MONETARY POLICY TRANSFER FOR EFFECTIVE FUNCTIONING OF THE ECONOMY OF COUNTRY

RESUME

Monetary credit and monetary policy implemented by the central bank is an important basis for the financial stability and economic growth of the country. The National Bank of Georgia annually elaborates and presents to the Parliament for approval "the main directions of monetary credit and monetary policy ". In the main directions of monetary policy, the targeted rating of inflation and the main instruments of monetary policy are defined, which the National Bank appeals in the implementation of monetary policy. While there are no significant fluctuations in interest rates on the money markets in Georgia, in 2017 crediting of the economy still increased by the commercial banks, however, the event carried out by Georgia on the provision with long-term resource of the economy should be mentioned here, according to which in 2015-2016 with the purpose of economy crediting from the budget was made crediting of commercial banks. The National Bank has created a trading platform in the Bloomberg system, where purchase and sale of securities and payment is done automatically and the operational and transaction risks are down to zero.

The effective use of monetary policy instruments is reflected in the mechanism of monetary policy transfer, through which all changes are reflected in the economy. As we know, the financial sphere is variable and depends on many internal and external factors and preservation of predictions is difficult, especially when instruments of monetary policy are not always effective in high dollarization terms.

Despite the number of attempts of the National Bank and the use of many monetary policy instruments, the lari rate continues to decline, which is primarily reflected in social environment of the country. Improvement of the situation in the country can be improved in the conditions of the developed securities market. It is important that the evaluation ratings of monetary credit policy of Georgia should be correctly linked to the socio-economic development of the country, so that the main indicators of the effectiveness contributed to the macroeconomic stability.

Keywords: Certificates of deposit, Refinancing, Lending.

ნუგზარ აბრამიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კეთილისა და ბოროტის ცნობადობის ხის მეტაფორის საზრისისათვის

საკვანძო სიტყვები: ბიბლია, ცოდვით დაცემა, შემეცნების ხე, მეტაფორა, თავისუფლება.

ბიბლია იმ იშვიათ ქმნილებებს განეკუთვნება, რომლებიც ამოუწურავი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევიან. ყოველი ბიბლიური იდეა თუ ამბავი სიმბოლოა, მეტაფორაა, რომლებიც თავის უკან ფარავენ საზრისთა უფსკრულებს.

კეთილისა და ბოროტის ცნობადობის ხის ნაყოფის ამბავს ბიბლიის მე-2 და მე-3 თავებში ვხვდებით.

„აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში მის დასამუშავებლად და დასაცავად.

გააფრთხილა უფალმა ღმერთმა ადამი, უთხრა: ყველა ხის ნაყოფი გეჭმევა ამ ბაღში. მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან, როგორც კი შეჭამ, მოკვდებით....

...გველი ყველაზე ცბიერი იყო ველურ ცხოველთა შორის, რომლებიც უფალმა გააჩინა. უთხრა გველმა დედაკაცს: მართლა გითხრათ ღმერთმა, ბაღის არცერთი ხის ნაყოფი არ შეჭამოთო? მიუგო დედაკაცმა გველს: რაც კი ბაღშია, ყველა ხის ნაყოფი გვეჭმევა, ოღონდ შუაგულ ბაღში რომ ხე დგას, იმის ნაყოფს ნუ შეჭამთ, გვითხრა ღმერთმა; არ გაეკაროთ, თორემ მოკვდებითო...

...უთხრა გველმა დედაკაცს: არ მოკვდებით, მაგრამ იცის ღმერთმა, რომ როგორც კი შეჭამთ, თვალი აგეხილებათ და შეიქმნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი.

როცა დაინახა დედაკაცმა, რომ კარგი იყო საჭმელად ის ხე, რომ თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო, მოწყვიტა ნაყოფი და შეჭამა. მისცა თავის კაცს და კაცმაც შეჭამა. აეხილათ თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშვლები იყვნენ...“. (დაბადება, თავი 2-3)

ბიბლიური ტრადიცია ამ ამბავში ხედავს ადამიანის უმძიმეს ცოდვითდაცემას, ღვთიური ნებისა და პირველი ღვთიური მცნების დარღვევას ადამიანის მიერ. ეს იყო ადამიანის ამბოხი ღვთის ნების წინააღმდეგ, რომელმაც უმძიმესი შედეგები მოიტანა: ადამიანში იმძლავრა ბოროტებამ, დაირღვა ჰარმონია ადამიანებს შორის, ადამიანსა და ბუნებას შორის, ადამიანი გახდა მოკვდავი.

ბიბლიაში ადამიანის ცოდვითდაცემის საზრისი იდუმალების ბურუსშია გახვეული. ბიბლიაში ზოგადად ბატონობს აზრი ადამიანის ცოდვილიანობაზე. ენოქის (აპოკრიფულ) I წიგნში ადამიანის ცოდვითდაცემა დაკავშირებულია ანგელოზთა და ღვთისშვილთა ცოდვითდაცემასთან, რომლებმაც აცდუნეს ადამიანები და ასწავლეს მათ მაგია (დაბადება, თ. მე-6.). მე-3 ეზდრაში და ბარუხის (აპოკრიფულ) აპოკალიფსში, რომელიც ძვ. წ. აღ. I საუკუნეშია დაწერილი, ადამიანის სავალალო ხვედრი სრულიად გარკვეულად დაკავშირებულია ადამის ცოდვითდაცემასთან.

პავლე მოციქული უფრო ამწვავებს და აღრმავებს ცოდვითდაცემის ძველაღთქმისეულ იდეას. პავლესთან ადამიანის ბუნება ტრაგიკულად წინააღმდეგობრივია, რომელიც ირწევა სიკეთესა და ბოროტებას შორის, და, რომ ადამია სათავე ადამიანის ცოდვილიანობის. „ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად და ცოდვის მიერ სიკვდილი..., ერთის შეცოდებისგან ყველა კაცის თავზე მოიწია სასჯელი... ერთი კაცის ურჩობით მრავალი გახდა ცოდვილი“ (რომ., თ. მე-5. 12-18-19).

ადამიანმა აირჩია ხორციელი სიცოცხლით ცხოვრება და იქცა ხორციელ ვნებათა მონად, ცოდვაზე მიყიდულად. ამის შემდეგ სჯულის კანონი დაუწესდა ადამიანს, მაგრამ ადამიანში მბორგავმა ცოდვამ საბაბი მიიღო სჯულის მცნებისგან და ადამიანს ჩაუნერგა ყველა სურვილი: ვინაიდან რჯულის გარეშე ცოდვა მკვდარია. როდესაც მოიწია მცნება ცოდვა გაცოცხლდა და სასიცოცხლოდ მოცემული მცნება სასიკვდილოდ იქცა. „და უკვე აღარ ვიცი რას ვაკეთებ: იმიტომ, რომ იმას კი არ ვაკეთებ, რაც მსურს, არამედ იმას, რაც მძულს. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არ მსურს, მაშასადამე ვეთანხმები რჯულს, როგორც კეთილს. და აწ მე კი არ ვაკეთებ ამას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში. რადგან ვიცი,

რომ არ მკვიდრობს ჩემში, ესე იგი ჩემს ხორცში კეთილი; ვინაიდან არის ჩემში კეთილის ნდომა, მაგრამ არ ვიცი, როგორ აღვასრულო იგი. რადგან კეთილს კი არ ვაკეთებ, რომელიც მსურს, არამედ ბოროტს, რომელიც არ მსურს. ხოლო თუ იმას ვაკეთებ, რაც არ მსურს, მე კი არ ვაკეთებ მას, არამედ ცოდვა, რომელიც ჩემშია". (პავლე, რომ. თ. მე-7. 5-8.)

იოანე მოციქულთან ბოროტი ნება, თავდაპირველად სულიერ არსებათა შორის დაიბადა „პირველად სცოდა ეშმაკმა" (იოანე, 3-8.).

იოანეს გამოცხადებაში ეშმაკი, რომელიც გამრყვნელია ბუნებისა და ადამიანისა, დაბადების მე-3 წიგნის გველთან და დრაკონთანაა გაიგივებული. დრაკონი ძველ აღთქმაში ქაოსისა და ნგრევის ძალთა სიმბოლოა. ის არის ქმნილება, რომელიც აღსდგა ღმერთის წინააღმდეგ და რომელიც იქნება დამხობილი ჟამთა დასასრულს. „იმ დღეს დასჯის უფალი სასტიკი, დიდი და ძლიერი მახვილით ლევიათანს, გველს მოსრიალეს". (ისაია, 27-1) ანდა, „ზეცით ჩამომავალმა ანგელოზმა შეიპყრო ურჩხული გველი დასაბამისა, რომელიც არის ეშმაკი და სატანა და შეკრა იგი ათასი წლით (იოანე. გამოცხ., 20:2-3).

როგორც კეთილისა და ბოროტის ცნობადობის ხის ნაყოფისა და ადამიანის პირველი ცოდვითდაცემის ამბის, ისე საერთოდ ბიბლიური ტექსტის გაგების საკითხში წმინდა წერილებში, ეგზეგეტიკოს ინტერპრეტატორთა და ბიბლიის მკვლევართა შორის გამოიკვეთა სამი თვალსაზრისი: პირველი ესაა ანტიოქიის სკოლიდან მომდინარე, რომელიც მიიჩნევს, რომ „დაბადების" წიგნის მესამე თავი გაგებულ უნდა იქნეს პირდაპირი მნიშვნელობით. (წმ. იოანე ოქროპირი, თეოდორიტე კირენელი, თეოდორიტე მოფსუელი), მეორე - ესაა ალეგორიული ინტერპრეტაცია, რომელიც უარყოფს მოხსენიებულ თავში გადმოცემული ამბის ნამდვილობას და მასში ხედავს ადამიანის მარადიული ცოდვილიანობის იგავური ენით გადმოცემას. თვალსაზრისი სათავეს იღებს ფილონ ალექსანდრიელთან და ვითარდება წმიდა მამათა ნააზრევში (ორიგენე, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი, ამბროსი მედიოლანელი, ავგუსტინე). მესამეა - ისტორიულ სიმბოლური განმარტება, რომელიც ბიბლიური ტექსტის ინტერპრეტაციისას იყენებს სიმბოლოთა სისტემას. ამ განმარტების მიხედვით დაბადების წიგნის მესამე თავში სიმბოლურად, მეტაფორულადაა გადმოცემული სულის ტრაგიკული ამბავი, ადამიანის თვითნებობა და ღვთის ნების წინააღმდეგ ამბოხი, რომ გველის სიმბოლო შემთხვევით არაა შერჩეული. ძველი აღთქმის ეკლესიისთვის მთავარ მაცდუნებლად ითვლებოდა სქესისა და ნაყოფიერების წარმართული კულტი, რომლის სიმბოლო და ემბლემა იყო გველი.

კეთილისა და ბოროტის ცნობადობის ხის სიმბოლოსთან დაკავშირებით ერთნი თვლიან, რომ ადამს სურდა პრაქტიკულად გაეგო, გამოეცადა თუ რა არის ბოროტება. სხვანი ამ სიმბოლოში ხედავენ ადამიანის მცდელობას, ღმერთის გარეშე და დამოუკიდებლად დაადგინოს ეთიკის ნორმები, რამდენადაც სიტყვა „შემეცნება", „შეცნობა" ძველ აღთქმაში ნიშნავს ფლობას, დაუფლებას: „შეიცნო ადამმა ევა, თავისი დედაკაცი, დაორსულდა ევა და შვა კაენი" (დაბ.4-1), ხოლო სიტყვათა შეთანხმება „კეთილი და ბოროტი" შეიძლება გავიგოთ, როგორც „ამქვეყნად ყოველივე", კეთილისა და ბოროტის ცნობადობის ხის მეტაფორა გაგებულია, როგორც მთელს სამყაროზე ბატონობის სიმბოლო, ოღონდ ისეთი ბატონობისა, რომელიც ხორციელდება ღვთის ნებისგან დამოუკიდებლად, რომლის წყარო არის არა ღვთის ნება, არამედ ნება ადამიანისა, ასე უნდა გავიგოთ „გველის" დანაპირები, გახდები, როგორც ღმერთი, მცოდნე კეთილისა და ბოროტისა.

ეგზეგეტიკოსთა უმეტესობა ადამის სახეში ხედავს კონკრეტულ ადამიანს, პირველს ადამიანთა შორის, ხოლო ცოდვის გავრცელებას საერთოდ ადამიანზე და მის მემკვიდრეობითობას იაზრებენ გენეტიკური მნიშვნელობით. თუმცა გრიგოლ ნოსელთან და სხვა ღვთისმეტყველ მამათა ნაწერებში ადამი გაგებულია ზოგად პიროვნებად. ადამის ცოდვა ეკუთვნის მთელ მის მოდგმას, როგორც სულიერ-სხეულებრივ ზეპიროვნებას, რომელიც მრავალჰიპოსტასიანია თავის არსებობაში.

გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვებით, „აკრძალული ხილის დანაშაულებრივი შეჭმით დაეცა მთლიანი ადამი". პელაგიანელები ადამის ცოდვითდაცემაში ხედავენ პირველი ადამიანის პირად ცოდვას, ხოლო მისი მოდგმა ცოდვილია იმდენად, რამდენადაც სცოდავს თავისი ნებით.

ღმერთის მიერ ადამიანის და მის ფეხქვეშ მიწის დაწყევლა გაგებულია, როგორც ადამიანის ცოდვითდაცემის გამო ნაკლოვანების შემოსვლა სამყაროში. როგორც პავლე გვასწავლის „ცოდვითდაცემამ მოიყოლა სიკვდილი" (რომ. 5:12), მაგრამ ბიბლიის მიერ გველზე მითითება, როგორც ბოროტების საწყისზე იმის თქმის საფუძველი გახდა, რომ ნაკლოვანება, ბოროტება და სიკვდილი ადამიანამდელია, რომ ადამიანი შემდეგ იქნა ჩათრეული უკვე არსებულ ბოროტებაში.

სამყარო, წერს ბერდიაევი, იერარქიული ორგანიზმია, რომელშიც ყოველი ნაწილი ორგანულ მთლიანობაშია და თუ რამე ხდება იერარქიის მწვერვალზე, ეს აისახება ქვედა საფეხურზეც. სიბნელემ პირველად მოიცვა სულიერი იერარქიის უმაღლესი წერტილი, თავისუფალმა ნებამ პირველად იქ გასცა უარყოფითი პასუხი ღმერთის ნებას, ღმერთის თავისი სხვის სიყვარულისას. ქმნილება პირველად იქ დადგა თვითგანმტკიცებისა და თვითჩაკეტილობის გზას, განხეთქილებისა და სიძულვილის გზას.

სხვანაირად, თითქოს წმინდა წერილი იძლევა საფუძველს ვილაპარაკოთ ცოდვითდაცემის ორ ეტაპზე: კოსმიურზე, რომელმაც მიგვიყვანა ღვთიური გზიდან ნაწილობრივ გადახრამდე და ანთროპოლოგიურზე, რომლითაც ადამიანი ჩაიძირა ღვთისგმობის უფსკრულში.

ცოდვითდაცემის ორივე ფაზა თავის პირობად გულისხმობს თავისუფლებას.

იტალიური რენესანსის დიდი მოღვაწის, პიკო დელა მირანდოლას თქმით, ღმერთი ასე მიმართავს მის მიერ შექმნილ ადამიანს: „არ გაძლევ, ჰოი ადამ, არც საკუთარ ადგილს, არც გარკვეულ სახეს, არც განსაკუთრებულ მოვალეობას, რათა შენი ადგილიც, სახეცა და მოვალეობაც იქონიო საკუთარი სურვილის, შენივე ნებისა და შენივე გადაწყვეტილების შესატყვისად. სხვა ქმნილებათა სახეები განსაზღვრულია ჩვენს მიერ დადგენილ კანონთა ფარგლებში. შენ კი რაიმე საზღვრებით შეუზღუდავი თვითონ განსაზღვრავ შენს სახეს საკუთარი გადაწყვეტილებით, რომელსაც მოგანდობ. მე გაყენებ სამყაროს ცენტრში, რათა იქიდან უფრო მოხერხებული იყოს შენთვის ხედვა ყველაფრისა, რაც კი არის სამყაროში. მე შენ არ შემიქმნიხარ არც ციურად, არც მიწიერად, არც მოკვდავად, არც უკვდავად, რათა თვითონ შენ, თავისუფალმა და ღირსეულმა ოსტატმა, ისე ჩამოაყალიბო შენი სახე, როგორადაც აირჩევ თავს, შენ შეგიძლია იქცე დაბალ, უგონო არსებად, მაგრამ შეგიძლია საკუთარი სულის ძალისხმევით გარდაიქმნე უზენაეს ღვთიურ არსებადაც“.

პლატონის და არისტოტელეს ღმერთისგან განსხვავებით ბიბლიური ღმერთი პიროვნული ღმერთია, რომელსაც ისევე უყვარს, იტანჯება, სცდება და ნანობს, როგორც ადამიანი. ესაა ცოცხალი ღმეთი, რომელიც ეძებს ადამიანს. ცოდვით დაცემის შემდეგ სამოთხის ბაღის ხეებს შორის დამალულ ადამს დაეძებს ღმერთი: „ადამ შვილო სადა ხარ“. ღმერთი ეძებს ადამიანს არა როგორც ფიზიკურ არსებას, არამედ არსებას, რომელიც მას სჭირდება შინაგანად, ეძებს მის გულს. თითქოს ღმერთის ძახილში ჟღერს მოწოდება ... „ადამ, შვილო მომიძღვენ შენი გული“. გული კი, ამ შემთხვევაში, არის ადამიანის ნება. ადამიანის ნება კი შეიძლება მიმართული იყოს ან ღმერთისაკენ, აბსოლუტისკენ, ან საკუთარი თავისკენ. ან ღმერთი მიგვაჩნდეს უმაღლეს ღირებულებად და ამით იყოს განსაზღვრული ჩვენი ცხოვრების საზრისი, ან საკუთარი თავი დავსახოთ უმაღლეს ღირებულებად. ჩვენს გულს, ჩვენს ნებას შეუძლია ან მთელი სამყარო მიიჩნიოს საშუალებად (ღმერთის ჩათვლით), ხოლო მიზნად საკუთარი კეთილდღეობა. ან, პირიქით, საკუთარი თავი დასახოს საშუალებად, ხოლო მიზნად სამყარო, მისი სრულქმნილება, მშვენიერება, სიკეთე..., როცა ჩვენი ნებელობა აბსოლუტს, ღმერთს დააყენებს ღირებულებათა იერარქიაში უმაღლეს ღირებულებად, ეს იმას ნიშნავს, რომ უმაღლეს მიზნად მიგიჩნევია სრულქმნილება, სიკეთე, მშვენიერება, ჭეშმარიტება, სამართლიანობა, ხოლო საკუთარი თავი საშუალებად ამ მიზნის მიღწევის გზაზე.

კეთილისა და ბოროტის ცნობადობის ხის ნაყოფის მეტაფორით ფარდა ეხდება ისეთ მარადიულ პრობლემას, როგორიცაა ბოროტების სათავის საკითხი.

ღმერთი სიკეთეა. არა აქვს მნიშვნელობა პიროვნულ ღმერთთან გვაქვს საქმე თუ არაპიროვნულთან. შემთხვევით არ უწოდებს პლატონი ღვთაებრივ უპიროვნო პირველსაწყისს აბსოლუტურ სიკეთეს. მაგრამ თუ ყოვლისშემოქმედი ღმერთი სიკეთეა, მაშინ მის მიერ შექმნილი სამყაროც სიკეთის განსახიერება უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში სამყაროს განმსჭვალავს ბოროტება, ჩვენ მას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით.

ბიბლიის გარე კულტურულ ტრადიციებში ბოროტების სათავის საკითხი გაურკვეველია. მაგალითად ინდურ ადვაიტა ვედანტაში სამყარო ილუზორულია და ბოროტებაა, როცა ამ ილუზიას რეალობად მიიჩნევ. არსებობს აბსოლუტური ღვთაებრივი საწყისი და სამყარო მისი ილუზორული ემანაციაა.

ზოროასტრიზმის მიხედვით მშვენიერ სამყაროში ბოროტება გარედანაა შემოჭრილი ბოროტი სულის ანგრი მანიუს სახით. მან გათიშა და დაარღვია სამყარო და ადამიანი მსხვერპლია ამ გარედან მოსული ბოროტებისა. დაახლოებით იგივეს ვხვდებით ძველ შუამდინარულ და ეგვიპტურ ტრადიციებში.

პირველი ბიბლიაა, რომელიც სრული გარკვეულობით გვიხსნის როგორც ბოროტების წარმოშობის საკითხს, ისე მისი დაძლევის გზას.

ბიბლიამ თქვა პირველად გარკვეულად, რომ ბოროტების წყარო და მიზეზი ადამიანია. ეს არის ყველაზე საკრალური და ამავე დროს ყველაზე საშინელი ცოდნა, რასაც ბიბლია გააცხადებს. ადამიანმა თავისი ნებით, თავისუფლად გააკეთა არჩევანი ბოროტისა. ბოროტების თაურწყარო ისაა, რომ ადამიანმა მოინდომა თვითონ ყოფილიყო როგორც ღმერთი. როცა გველი აცდუნებს ევას, ეუბნება: „თქვენ გახდებით, როგორც ღმერთი მცოდნენი კეთილისა და ბოროტისა“.

ბოროტების არსი იმაშია, რომ ადამიანი მოინდომებს ღმერთად ყოფნას. არა ღვთის ხატად და მსგავსად ყოფნას, არამედ სწორედ ღმერთად ყოფნას ღმერთის გარეთ და ღმერთის გარეშე. ადამიანმა ღმერთის ნაცვლად აირჩია თავისი თავი, ღვთის მსახურების ნაცვლად საკუთარი თავისადმი მსახურება. ღვთის სიყვარული ჩაანაცვლა საკუთარი თავის სიყვარულმა. ღმერთი კი დატოვა, როგორც საკუთარი

თავის კეთილდღეობის საშუალება. ამით გაწყდა ღმერთთან ჭეშმარიტი კავშირი, რელიგიური მიმართება ჩაანაცვლა მაგიამ.

სიტყვა რელიგია ლათინურია და ნიშნავს დარღვეული კავშირის აღდგენას, ძლიერი ნებელობითი ინტენციით განმსჭვალული კავშირის აღდგენას ღმერთთან, კავშირისა, რომელიც ოდესღაც დაირღვა. ესაა კავშირის აღდგენა ცასა და მიწას შორის. მიწა ეს ჩვენი არსების სხეულებრივი მხარის სიმბოლოა, ხოლო ცა მიუწდომელი სასურველის - სიმბოლო.

რელიგიურ მიმართებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მე ვარსებობ ღმერთისთვის, როცა ვესწრაფვი ღმერთს, სრულქმნილებას, ღმერთში ყოფნას, ხოლო მაგიურია მიმართება, როცა მიზანი ჩემი კარგად ყოფნა, ჯანმრთელობა, კეთილდღეობაა და ღმერთს მივმართავ, როგორც ჩემი კეთილდღეობის საშუალებას. აქაა სათავე ბოროტებისა. როცა ადამიანი იწყებს ცხოვრებას თავისი თავისთვის და ივიწყებს ღმერთს, ის მტრულად განეწყობა ყველაფრისადმი, რაც მის გარეთაა. მტრულად განეწყობა ღმერთის მიმართ, თუ ღმერთი არ უსრულებს სურვილს, მტრულად განეწყობა სხვა ადამიანის მიმართ, თუ ის არ აკეთებს რამეს მის სასარგებლოდ.

ბიბლიას რეფრენად გასდევს ადამიანის ნაკლოვანების, არასრულფასოვნების იდეა. ადამიანი მიწის მტვერია, მატლი და ა.შ. ადამიანსა და ღმერთს შორის გადაულახავი უფსკრულია და თუ ბიბლიას თვალს გავადევნებთ, იქ ვერ ვნახავთ სრულყოფილ პერსონაჟს. ყველანი ნაკლოვანნი არიან. თვით ყველაზე დიდი პიროვნება მოსე, მასაც კი არ დართო ღმერთმა უფლება აღთქმულ მიწაზე შესვლისა მის ნაკლოვანებათა გამო. ან მეფე დავითი, რომელმაც საშინლად შესცოდა ბერსაბეს გამო. და ასეა ყველა, ბიბლიაში ვერ ნახავთ უნაკლო გმირს. არადა ბიბლიის მიხედვით ღმერთი ადამიანს ჰქმნის თავის ხატად და მსგავსად. ადამიანი ღვთაებრივი არსებაა, მაგრამ მან დაკარგა ღვთაებრივობა ადამის ცოდვით დაცემის გამო. ადამმა ჩაიდინა უდიდესი ცოდვა ღმერთის წინაშე, დაარღვია ღვთის ერთადერთი მცნება, მაგრამ თუ ადამიანი დაიცავს თორას მიცვას, მას შეუძლია გადალახოს ეს ცოდვილი მდგომარეობა. სხვა საკითხია, რომ ვერ ნახავ ისეთ ადამიანს, რომელიც დაიცავს ყველა მცნებას, მაგამ, პრინციპში ეს შესაძლებელია. ძველ აღთქმას მთლიანად განმსჭვალავს მესიის მოლოდინი, ესაა მოლოდინი კაცისა, რომელიც სრულყოფილად აღასრულებს ყველა მცნებას და გაამართლებს ადამიანებს ღვთის წინაშე. დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში წერია: „ვიხილე ღუბლებზე მომავალი ძე კაცისა, რომელიც წარდგენილ იქნა უზენაესის წინაშე, მიეცა მას ხელმწიფება, დიდება და მეფობა, რათა ყველა ხალხი, ტომი და ენანი მას ემსახურონ. მისი ხელმწიფება საუკუნო ხელწიფებაა და ბოლო არ ექნება მას.“ (დანიელი,თავი მე-7).

ძველი აღთქმის მიხედვით კაცის ძე, მესიად მოსული, ადამიანია, ჩვეულებრივი ადამიანი. ქრისტიანობაში კაცის ძემ ღვთაებრივი შინაარსი შეიძინა, ეს ქრისტეა, ძე ღვთისა, მესია. ეს წყალგამყოფია ქრისტიანობასა და იუდაიზმს შორის. არც ერთ ადამიანს არ შეუძლია აღასრულოს კანონი მთლიანად და სრულყოფილად იმის გამო, რომ ადამიანის ბუნება უკიდურესად დაცემულია. ღვთის წყევლა თავს დატეხილი ადამსა და ევაზე ტრანსლირდება ადამის მთელ მოდგმაზე ის ამბავი, რომ ადამიანში ჩაქრა ღვთაებრივი სხივი. ეს არის შედეგი არა ღვთიური წყევლისა და სასჯელისა, არამედ შედეგია იმისა, რომ ადამიანი იქცა ეგოისტ არსებად, მან მოინდომა ეცხოვრა თავისი თავისთვის და ამან ჩააქრო მასში ეს ღვთაებრივი სხივი. გაწყდა კავშირი ღმერთსა, როგორც ენერგიის წყაროსა და ადამიანს, როგორც ღვთიური სხივის მატარებელ არსებას შორის. ადამიანი იქცა მოკვდავ არსებად. მოკვდავობა ღვთიური სასჯელი კი არაა, არამედ ადამიანის ქცევის ლოგიკური შედეგი.

ადამიანის ცოდვით დაცემამ მოიტანა სიკვდილი და კანონის სრულყოფილად აღსრულება, იუდაიზმში აჩენს პერსპექტივას და მესიის მოსვლის მოლოდინი პირდაპირ უკავშირდება ამას. ადამიანები რაც უფრო სრულყოფილად შეასრულებენ სჯულის კანონს, მეტი შანსია მესიის მოსვლისა.

სამოთხიდან განდევნილი ადამიანისთვის სიკვდილი ხდება ერთადერთი გზა და საშუალება ღმერთის წიაღში კვლავ დაბრუნებისა. სიკვდილი ხდება, ამავე დროს, პირობა იფიქრო მარადისობაზე, საშუალება, რომ შეცვალო შენი გონი, რომ დაბრუნდე ღმერთთან. რომ შეგეძლოს თქმა, მზად ვარ მოვკვდე, ოღონდ დამაბრუნე შენში.

კაენის მიერ აბელის მოკვლის შემდეგ სიკვდილი, როგორც მარადისობაში დაბრუნების საშუალება იქცევა მარადიულ სიკვდილად. შემდეგ ადამიანები გაირყვნენ, რასაც მოჰყვა სოდომი და გომორი და წარღვნა. წარღვნით ღმერთი შეეცადა ადამიანის სულიერ სელექციას ნოეს სახით, მაგრამ უშედეგოდ. როცა აბრაამისგან შეეცდება ღმერთი წარმოქმნას ახალი ხალხი, სასტიკ გამოცდას უტარებს მას. ღმერთი აბრაამისგან ითხოვს, რომ მან მსხვერპლად შესწიროს მხოლოდშობილი ისაკი მორიას მთაზე. პირველი შვილის მსხვერპლად შეწირვა იმ დროის ქანაანში არ ყოფილა უცხო და მიუღებელი წესი. შვილის მსხვერპლად შეწირვა ითვლებოდა სრულ მსხვერპლშეწირვად. რომელიმე ცხოველის, ცხვრის ან ხარის მსხვერპლადშეწირვა არასრული მსხვერპლშეწირვა იყო.

აბრაამმა იცის, რომ ღმერთი კეთილია და შეუძლებელია მან აბრაამისგან მსხვერპლად მოითხოვოს ერთადერთი შვილი. აბრაამს შეიძლება ეფიქრა, რომ ღმერთის სახელით მის ცთუნებას ცდილობდა რომელიღაც ბოროტი სული, მაგრამ არაამი მორჩილად თანხმდება ღმერთის თხოვნას. აღსანიშნავია ის ამბავიც, რომ მოირას მთა მამრეს მუხიდან სამი დღის სავალზეა. ღმერთს რომ აბრაამისთვის ეთხოვა აქვე, ამ წამს შემომწირეო, აბრაამს შეიძლება ცხელ გულზე მიეღო გადაწყვეტილება, შემდეგ კი ენანა.

არა, აბრაამმა სამი დღე უნდა იფიქროს და მთელი არსებით, რწმენის სისრულით გაიმეტოს უსაყვარლესი არსება, რომელიც თავს ურჩევნია, ღმერთისთვის. აბრაამი იმითაა პირნათელი ღმერთის წინაშე, რომ მისთვის ღმერთია უმაღლესი ღირებულება ვიდრე თავისი თავი და შესაბამისად, უსაყვარლესი შვილი, მაგრამ ცოდვით დაცემის კვალი მაინც თან სდევს აბრაამის შთამომავლობასაც.

ახალი ხალხის წარმოქმნის მცდელობა, რომელიც იქნება კოლექტიური ადამი, რომელიც შეცვლის თავის ეგოისტურ ბუნებას და დაუბრუნდება ღმერთის წიაღს, წარუმატებლად მთავრდება. და ჩვენ ვხედავთ როგორ ცვლილებას განიცდის წინასწარმეტყველთა ხმა პირველი წინასწარმეტყველებიდან ისაიამდე და შემდეგ. თუ პირველი, გამოსვლის ეპოქის წინასწარმეტყველნი ლაპარაკობენ მთლიან ხალხზე, ისაია ლაპარაკობს ხალხის ნაწილზე. მხოლოდ მცირე ნაწილი გადარჩება და ეს ნაწილიც იმიტომ კი არ გადარჩება, რომ იმსახურებს, არამედ იმიტომ, რომ ღმერთი გადაარჩენს მათ. და აქ, ისაიასთან იბადება ის ახალი იდეა, რომელსაც, მოგვიანებით, მოიხსენიებენ სინერგიის სახელით. ორი ენერგიის, ორი ნების შეერთება, ღმერთისა და ადამიანის. ღმერთი ხალხის მცირე ნაწილს უტოვებს გადარჩენის და ხსნის შანსს. მაგრამ ადამიანმა, რომელიც თავისუფალია, შეიძლება უარი თქვას, ისევ და ისევ, თავისუფალი არჩევანით, ხსნაზე. როგორც ვლ. ლოსკი ამბობს, „ადამიანის შექმნით ღმერთი მიდის უდიდეს რისკზე. ადამიანს, რომელიც ღმერთის ნების დამოუკიდებელია, შეუძლია მიიღოს თავისუფალი გადაწყვეტილება და ღმერთს არ შეუძლია ჩაერიოს მის არჩევანში, შეცვალოს ის.

თუ ადამიანის ბუნება განუკურნებლადაა დაზიანებული, მაშინ სადაა გამოსავალი?

იუდაიზმში ეს ამბავი მკაცრად და ნათლადაა გამოთქმული: მოვა მესია, სრულყოფილად აღასრულებს კანონს და აღადგენს ღმერთთან დაბრუნების შანსს. მაგრამ რა დაემართება ადამიანის თავისუფალ ნებას, ხომ შეიძლება თავისუფალი ნების ადამიანებმა არ მიიღონ მესია და აქ ქრისტიანობა იტყვის სრულიად ახალ სიტყვას: მესია კანონის სრულად შესრულებით კი არ მოიტანს ხსნას, არამედ აღადგენს ადამიანის დაზიანებულ ბუნებას, რომელიც ვერ აღადგინეს ვერც ნოემ, ვერც აბრაამმა და ვერც მოსემ.

ქრისტიანული მესია არის ცოდვითდაცემით დაზიანებული ადამიანის ბუნების აღმდგენი. ის, რა თქმა უნდა კანონის აღმსრულებელიცაა, მაგრამ მთავარი ადამიანის ბუნების შეცვლაა და იმ ბუნებაში აღდგენა, რომელიც მას ცოდვითდაცემამდე ჰქონდა, ისეთად, როგორიც დანიელმა ნახა თავის ხილვაში „ძე კაცისა ღრუბლებზე მომავალი...“, მაგრამ ქრისტიანობაშიც მესიასთან ზიარება, მესიაში შესვლა, ანუ დაცემამდელი ბუნების აღდგენა მხოლოდ თავისუფალი ნებით, თავისუფალი არჩევანით უნდა მოხდეს.

მესიის მიერ ადამიანის დაცემული ბუნების აღდგენა მექანიკურად კი არ ვრცელდება ყველა ადამიანზე, - ჩვენ ამ აღდგენილ ბუნებას შეიძლება ვეზიაროთ თავისუფალი ნებით. ადამიანი თუ მოინდომებს შესძლებს კიდეც.

ცოდვითდაცემის მეტაფორის სახით საქმე გვაქვს მარადიულ პარადიგმასთან, რაც მარადიულად ემართება ადამიანს.

თავისუფლება, რომლითაც ღმერთი ასაჩუქრებს ადამიანს ყველა ადამიანურ სათნოებათა, ღირებულებათა საფუძველია. თავისუფლება ის ნიდაგია, რომელზეც ხარობს ყველაფერი ადამიანური. თუ თავისუფლება არ არის, არც სხვა ღირებულებები არიან. მაგრამ თუ ადამიანი თავისი თავისუფლებით მთლიანად მიწიერი ინტერესებით იქნება ორიენტირებული, უსაზღრო ეგოიზმის სიხარბის, გაუმაძღრობის, შურის ჭაობში ეფლობა. ადამიანისთვის აღარაფერი რჩება ღვთაებრივი და იდუმალებით მოცული. ღმერთს მოწყვეტილი შემეცნება, როცა ის ყოველგვარ სამანს გადალახავს ღვთისგან გვაშორებს, ღმერთის წინააღმდეგ გვამბოხებს და ღმერთს გვამხობინებს. ღვთიურ შემეცნებას ანაცვლებს ეშმაკეული შემეცნება. თავაწყვეტილ რაციონალიზმს აუცილებელ შედეგად მოსდევს უღმერთობა.

ბიბლიოგრაფია:

ბიბლია. (1989). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა.
საფრანსკი, რ. (2015). *ბოროტება ანუ თავისუფლების დრამა.* თბილისი.
ხასაია, ზ. (2017). *ფილოსოფია ადამიანის შესახებ.* თბილისი.

Nugzar Abramishvili
Gori State Teaching University

FOR THE NOTION OF METAPHOR OF THE TREE OF THE KNOWLEDGE OF GOOD AND EVIL

RESUME

Metaphor of the Tree of the Knowledge of Good and Evil carries the notion that the wish of the human being to be omniscient, can result in evil consequences. Limitations imposed by the God indicates their boundaries. They have no right to know everything or do anything. The human being should have the knowledge to the extent that is sufficient for them.

Keywords: Bible, Fall into sin, Tree of knowledge, Metaphor, Freedom.

ივანე ბალახაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ელექტრონული ხელშეკრულების დადება

საკვანძო სიტყვები: ელექტრონული ხელშეკრულება, ელექტრონული კომერცია, საგარეო-ეკონომიკური გარიგება, ფუნქციონალური ეკვივალენტი.

XXI საუკუნის დამდეგს თანამედროვე მსოფლიო გლობალიზაციის გარდაუვალი პროცესის თანხლებით ვითარდება. გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე არაერთი დისკუსია გამართულა, ერთი კი უდავოა, რომ ამ მოვლენამ წაშალა საზღვრები, დააახლოვა სხვადასხვა სახელმწიფოთა ხალხები და უფრო ინტენსიური გახადა მათ შორის ურთიერთობა. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წყალობით შეიქმნა მსოფლიოს ერთიანი ეკონომიკური სივრცე. ასეთ პირობებში შეუძლებელი გახდა იზოლაციურ რეჟიმში განვითარება, არსებული რეალობის გაცნობიერებამ განაპირობა ის, რომ მჭიდრო კონტაქტები დამყარდა სხვადასხვა სახელმწიფოთა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის, სამართლებრივ ურთიერთობებში შემოვიდა უცხო ელემენტი, ნაციონალური სამართალი კი არ აღმოჩნდა საკმარისი ახლადაღმოცენებული ურთიერთობების დასარეგულირებლად, ამან გამოიწვია საერთაშორისო კერძო სამართლის განვითარება და დახვეწა.

საერთაშორისო კერძო სამართალში, ისევე როგორც ნაციონალურ კერძო სამართალში, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გარიგებებთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, *გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.* ცალმხრივი გარიგების მაგალითია მინდობილობა და ანდერძი. ცალმხრივ გარიგებებში საკმარისია ერთი პირის მიერ ნების გამოვლენა იმისათვის, რომ დადგეს იურიდიული შედეგი, კერძოდ წარმოიშვას, შეიცვალოს ან შეწყდეს სამართლებრივი ურთიერთობა. ორმხრივი გარიგება იგივე ხელშეკრულებაა, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ორმხრივი გარიგების დროს შესაბამისად აუცილებელია ორი პირის მიერ ნების გამოვლენა იურიდიული შედეგის დასადგომად. მაშასადამე ყველა ხელშეკრულება გარიგებაა, მაგრამ ყველა გარიგება ხელშეკრულება არ არის. მრავალმხრივი გარიგების მაგალითია კერძო სამართლის (როგორც კომერციული, ისე არაკომერციული) იურიდიული პირის წესდება. როგორც ზემოთ აღნიშნული დეფინიციიდან გამომდინარეობს, გარიგება მხოლოდ ისეთი ნების გამოვლენაა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ე.ი. ასეთი ნების გამოვლენა წარმოადგენს იურიდიულ ფაქტს.

რა განსხვავება ახასიათებს გარიგებებს საერთაშორისო კერძო სამართალში? ასეთ გარიგებებში შემოდის უცხო ელემენტი. უცხო ელემენტის განსაზღვრით იკვეთება გარიგებათა ის წრე, რომელიც საერთაშორისო კერძო სამართლის რეგულირების სფეროს განეკუთვნება. ჩვეულებრივ უცხო ელემენტის სამ ჯგუფს გამოყოფენ:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ***სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები,*** სამართლებრივი ურთიერთობა საერთაშორისო ხასიათისაა, თუ მის მხარეებს წარმოადგენენ სხვადასხვა სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირები. ფიზიკური და იურიდიული პირების ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის მიკუთვნების საკითხი არ არის ერთმნიშვნელოვნად გარკვეული და ცალკე მსჯელობის საგანს წარმოადგენს, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი;

უცხოური ელემენტების მეორე ჯგუფში შედის ***სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტები***: სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი თანამედროვე სამართლის თეორიაში განიხილება, როგორც უშუალოდ სამართლებრივი ურთიერთობა. უფრო სწორი იქნებოდა თუ უცხოური ელემენტის მეორე ჯგუფს გამოვყოფდით სამართლებრივი ურთიერთობის საგნის მიხედვით, მაგ.: გარიგება იდება ერთი და იმავე სახელმწიფოს სუბიექტებს შორის, იურიდიული ფაქტი დგება იმავე სახელმწიფოში, მაგრამ ხელშეკრულების საგანი მდებარეობს სხვა სახელმწიფოში;

უცხოური ელემენტის მესამე ჯგუფში შედის ***იურიდიული ფაქტები***, რომელთა შედეგადაც წარმოიშობა, იცვლება ან წყდება სამართლებრივი ურთიერთობა, შესაძლოა სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები მიეკუთვნებოდნენ ერთ სახელმწიფოს, მაგრამ იურიდიულ ფაქტს ადგილი ჰქონდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. (Дмитриева, 2004, стр. 12)

შესაძლოა საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობაში რამდენიმე უცხო ელემენტი არსებობდეს, მაგ.: სუბიექტები მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა სახელმწიფოებს, საგანი მდებარეობდეს სხვა სახელმწიფოში, იურიდიული ფაქტი დადგეს სულ სხვა სახელმწიფოში.

ტერმინმა „საგარეო-ეკონომიკური გარიგება“ ასახვა ვერ პოვა საკანონმდებლო აქტებში (მათ შორის ვერც საქართველოს კანონმდებლობაში), ამ ტერმინის პრობლემა გადატანილ იქნა დოქტრინაში. უკრაინა იმ უმცირესთაგანია, რომლის ნორმატიულ აქტშიც აისახა საგარეო-ეკონომიკური გარიგების დეფინიცია, კერძოდ: უკრაინის 1991 წლის 16 აპრილის კანონში № 960-XII „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“ მოცემულია შემდეგი განსაზღვრება: *საგარეო-ეკონომიკური გარიგება (კონტრაქტი) არის ორ ან მეტ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილე სუბიექტსა და მათ უცხოელ კონტრაჰენტს შორის მატერიალურად გაფორმებული შეთანხმება, რომელიც მიმართულია საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში მათი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტისაკენ.* ეს განსაზღვრება არ განმარტავს უცხოელი კონტრაჰენტის ცნებას, ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს სრულყოფილად.

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართალში ასევე ფართოდ გამოიყენება ტერმინები: „საერთაშორისო კომერციული გარიგება“ ან „საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულება“. რაც შეეხება განსხვავებას საგარეო-ეკონომიკურ გარიგებასა და საერთაშორისო კომერციულ გარიგებას შორის, პრაქტიკულად ისინი თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენება საერთაშორისო კერძო სამართლის სახელმძღვანელოებში. (ლილუაშვილი, 2001, გვ. 74)

რუსი მეცნიერი ანუფრიევა ტერმინთან დაკავშირებით გვთავაზობს ოპტიმალურ გამოსავალს და ყველაზე მისაღებად მიიჩნევს ტერმინს „საერთაშორისო ხასიათის გარიგება“ (Ануфриева, 2002, стр. 196), რომლის ფარგლებშიც შეიძლება შევიდეს: „საგარეო-სავაჭრო გარიგება“, „საგარეო-ეკონომიკური გარიგება“, „საერთაშორისო კომერციული გარიგება“, „საერთაშორისო არაკომერციული გარიგება“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან საერთაშორისო გარიგება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: ***საერთაშორისო გარიგება არის უცხოური ელემენტით დატვირთული ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.***

საერთაშორისო კომერციული გარიგებების რეგულირება სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება, ამ ნიშნების უმრავლესობა ან საერთოდ არ არსებობს შიდაეკონომიკურ გარიგებებში, ან უმნიშვნელო ფუნქციას ასრულებს:

პირველ რიგში, საერთაშორისო კომერციული გარიგებების რეგულირებისას ადგილი აქვს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების, საერთაშორისო და ნაციონალური სამართლის კოლიზიას, თავისებურებას წარმოადგენს ასევე არასახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმების გავრცელება, რომელშიც შედის პრაქტიკაში დამკვიდრებული საერთაშორისო ვაჭრობის ჩვეულებები, სასამართლო და საარბიტრაჟო პრეცედენტები.

საერთაშორისო კომერციული ელ. კომერცი წარმოადგენს საკმაოდ რთულ სისტემას, რომელიც შედგება თავისი ბუნებით განსხვავებული ელემენტებისაგან, მათ შორის შედის: საერთაშორისო

საჯარო სამართლის ნორმები, ნაციონალური პირველ რიგში საერთაშორისო კერძო სამართლებრივი ნორმები, არასახელმწიფოებრივი რეგულირების მეთოდები. (Дмитриева, 2004, стр. 368) საერთაშორისო სამართალი არეგულირებს რა სახელმწიფოებს შორის ეკონომიკურ სფეროს, დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო კომერციული გარიგებების რეგლამენტაციისას. საერთაშორისო სამართლის როლი საგარეო-ეკონომიკური გარიგებების რეგულირებისას ხორციელდება ორი მიმართულებით: პირველი – საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების, მისი სამართლებრივი რეჟიმების სამართლებრივი საფუძვლების დაწესება და მეორე – მატერიალურ-სამართლებრივი და კოლიზიური ნორმების უნიფიკაცია.

საგარეო-ეკონომიკურ გარიგებების სფეროში წილობრივად ყველაზე დიდი მაჩვენებელი ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მოდის, ამ სახის ხელშეკრულების განსაკუთრებული ადგილი განპირობებულია ჯერ ერთი იმით, რომ იგი ყველაზე მეტადაა გავრცელებული და მეორე, ყველა სხვა საერთაშორისო კერძო სამართლებრივი გარიგება ასე თუ ისე დაკავშირებულია ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ან მის სახესხვაობას წარმოადგენს (მაგ: ხელშეკრულება მომსახურების გაწევის შესახებ). გარდა ამისა, სამართლის უნიფიკაციამ ამ სფეროში მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს. შესაძლებელია ნასყიდობის უნიფიცირებული ნორმების გამოყენება სხვა საერთაშორისო კომერციული გარიგებებთან მიმართებაშიც. ნასყიდობის ხელშეკრულებების შემდეგ დიდი წილობრივი მაჩვენებელი აქვს საერთაშორისო გადაზიდვის, იჯარის, ნარდობის ხელშეკრულებებს, ასევე სხვადასხვა მომსახურების გაწევა (ექსპედიტორული, დისპეტჩერული, კონსალტინგური, მარკეტინგული), სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების შესრულების შეკვეთები, დაზღვევა (ძირითადად საქონლის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული), კონსიგნაციური, საკომისიო ვაჭრობა და ა.შ. (Ануфриева, 2002, стр. 191)

მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორი ფორმით უნდა დაიდოს საერთაშორისო ხასიათის გარიგება, ზეპირი თუ წერილობითი. ვენის კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, აუცილებელი არ არის, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებული ან დამტკიცებული იყოს წერილობითი ფორმით ან ექვემდებარებოდეს სხვა მოთხოვნას ფორმასთან დაკავშირებით. იგი შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერი საშუალებით მოწმეთა ჩვენებების ჩათვლით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის აღნიშნულ დებულებასთან, რადგან ხელშეკრულების ორივე ფორმას ითვალისწინებს, განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობისგან. ამასთან კონვენციის ნორმების დისპოზიციური ხასიათისა და კომპრომისის მიღწევის მექანიზმის საშუალებით, სახელმწიფოებს, რომელთა ნაციონალურ კანონმდებლობაშიც მოქმედებს ხელშეკრულების წერილობითი ფორმის იმპერატიული მოთხოვნა, შეუძლიათ გააკეთონ დათქმა ვენის კონვენციის მე-12 მუხლის გამოუყენებლობაზე. (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1980, მუხლი 96) ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება არგენტინა, ბელორუსია, უნგრეთი, ჩინეთი, კუბა, ლიტვა, მონღოლეთი, რუსეთი, უკრაინა, ჩილე, ესტონეთი.

ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ერთი შემთხვევა:

რუსულ სავაჭრო საწარმოსა (მყიდველსა) და სხვა სახელმწიფოში დარეგისტრირებულ საწარმოს შორის 1996 წლის ივლისში დადებულ იქნა საქონლის მიწოდების ხელშეკრულება. ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ საქონლის მიწოდება განხორციელდებოდა **CIF**-ის პირობებით (**Incoterms 90**–ის რედაქციით). **CIF**-ის პირობებით გამყიდველს ეკისრება ფრახტის და დაზღვევის ხარჯები. ფაქტიურად გადაზიდვა განხორციელდა **FOB**-ის პირობებით, რომლის თანახმადაც გამყიდველს არ ეკისრება დაზღვევის ვალდებულება.

ტრანსპორტირებისას ტვირთი დაზიანდა. მყიდველმა (რუსულმა საწარმომ) მიიღო რა გამოუსადეგარი საქონელი, მიიჩნია ეს გამყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევად, რადგან მან ცალმხრივად შეცვალა ხელშეკრულების პირობები.

უცხოური საწარმო ამტკიცებდა, რომ ხელშეკრულების პირობების შეცვლა მოხდა ორმხრივად, მხარეთა შეთანხმებით ტელეფონის საშუალებით.

სასამართლომ აღნიშნული საქმის განხილვისას გამოიყენა გაეროს (ვენის) 1980 წლის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ, ამასთან გაითვალისწინა ის მომენტი, რომ რუსეთს დათქმა ჰქონდა გაკეთებული კონვენციის მე-12 მუხლთან დაკავშირებით. კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, ტელეგრაფის და ტელეტაიპის შეტყობინება მიეკუთვნება წერილობით ფორმას, სატელეფონო შეტყობინება კი ვერანაირად ვერ განიხილება წერილობით ფორმად. სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეთა მიერ ხელშეკრულების შეცვლა უნდა მომხდარიყო წერილობითი ფორმით და ზეპირი ფორმით ხელშეკრულების პირობების შეცვლა (სატელეფონო შეტყობინება) არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. (Обзор судебно-арбитражной практики разрешения споров по делам с участием иностранных лиц, 1998)

საერთაშორისო გარიგებებისთვის წერილობითი ფორმა რეკომენდირებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სახელმწიფოთა მოდელური სამოქალაქო კოდექსით. 1216-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საგარეო-სავაჭრო გარიგება, რომლის ერთ მხარეს მაინც წარმოადგენს შესაბამისი სახელმწიფოს იურიდიული პირი ან მოქალაქე, *ფორმდება, ხელშეკრულების დადების ადგილის მიუხედავად, წერილობითი ფორმით.*

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კერძო სამართალში ადრინდელი პერიოდიდან დამკვიდრდა წესი, რომლის მიხედვითაც გარიგების ფორმა (ან უფრო ფართოდ – ნებისმიერი სამოქალაქო-სამართლებრივი აქტი) ექვემდებარება გარიგების დადების ადგილის სამართალს – **locus regit format actus,** იმის გამო, რომ გარიგების დადების ადგილი შეიძლება სრულიად შემთხვევითი იყოს, XIX საუკუნეში ფორმულირებულ იქნა ახალი წესი, რომლის მიხედვითაც გარიგების ფორმა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, რომელიც არეგულირებს თვითონ ხელშეკრულებას – **lex causae**. მით უმეტეს რომ გარიგების ფორმის სპეციფიკა დამოკიდებულია გარიგების შინაარსის სპეციფიკაზე. დღესდღეობით **lex causae**-ს გამოყენებამ ფართო გავრცელება ჰპოვა, თუმცა გარიგების დადების ადგილის კანონი მაინც გამოიყენება ალტერნატიული საბაბის სახით.[1] უმეტეს შემთხვევაში ორივე კოლიზიურ ფორმულას თანაბარი ძალა გააჩნია და მხარეს გააჩნია ალტერნატივის შესაძლებლობა აირჩიოს ერთ-ერთი მათგანი. საქართველოს კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ 29-ე მუხლის პირველი ნაწილშიც იძლევა ალტერნატიული არჩევანის საშუალებას.

გარიგების ფორმის საკითხთან სპეციფიკური მიდგომა გააჩნია რუსეთს. რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 1209-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: *გარიგების ფორმა ექვემდებარება მისი დადების ადგილის სამართალს. თუმცა გარიგება, რომელიც დადებულია საზღვარგარეთ, არ შეიძლება ცნობილ იქნას არანამდვილად ხელშეკრულების ფორმის დაუცველობის გამო, თუ დაცულია რუსეთის ფედერაციის სამართლის მოთხოვნები.* ამ დებულების არსებობით წარმოიშობა დამატებითი (სუბსიდიალური) კოლიზიური პრინციპი. იმავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, იმპერატიულად არის დაწესებული, რომ საგარეო-ეკონომიკური გარიგება მისი დადების ადგილის მიუხედავად ექვემდებარება რუსეთის სამართალს, თუ გარიგების ერთ-ერთი მხარე არის რუსეთის იურიდიული ან ფიზიკური პირი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იურიდიული ან ფიზიკური პირის მიკუთვნება რუსეთის სახელმწიფოსათვის ფართოდ განიხილება, გამოდის, რომ რუსეთი იმპერატიულად მოითხოვს თავისი სამართლის მოთხოვნების დაცვას. დმიტრიევა ამ პრინციპს გამართლებულად თვლის იმ მოტივით, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში ეხება რუსეთის ბაზრის ინტერესებს და მნიშვნელოვანია დაცული იქნეს რუსეთის სამართლის მოთხოვნები. (Дмитриева, 2004, стр. 395) საკუთარ სამართალზე მითითება რუსეთში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან დამკვიდრდა და რუსეთს უჭირს მისთვის ამ მეტად ხელსაყრელი, მაგრამ თანამედროვეობისათვის შეუფერებელი და დისკრიმინაციული დებულების უარყოფა.

მართალია აშშ-შიც ხელშეკრულების ფორმის მიმართ გამოიყენება ხელშეკრულების დადების ადგილის სამართალი, მაგრამ თუ აშშ-ს ქაოტურ სასამართლო პრაქტიკას გადავხედავთ დავინახავთ, რომ აშშ-ს სასამართლოები ხშირად უგულებელყოფენ ამ პრინციპს, თუ ხელშეკრულების ფორმა დაცულია რომელიმე უცხო სახელმწიფოს სამართლის მიხედვით.

გარიგების ფორმასთან აღსანიშნავია ასევე უძრავ ნივთებთან დაკავშირებულია გარიგების ფორმის საკითხი. ამ საკითხში ერთსულოვანია ყველა ქვეყნის კანონმდებლობა და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ასეთი გარიგებების ფორმას უქვემდებარებს უძრავი ქონების ადგილსამყოფელის კანონს (**lex rei sitae**). ასევე საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი შეიცავს იმპერატიულ მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც *გარიგებათა მიმართ, რომელთა საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება, მიუხედავად ხელშეკრულების დადების ადგილისა და ამ ადგილას მოქმედი სამართლისა, გამოიყენება იმ ქვეყნის სამართლის იმპერატიული ნორმები გარიგების ფორმის შესახებ, სადაც არის მიწის ნაკვეთი.*

---

[1] შვეიცარიული კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, მუხლი 124.5.1: „ხელშეკრულება დადებულად ითვლება შესაბამისი ფორმით, თუ იგი შეესაბამება ხელშეკრულებასთან გამოსაყენებელი სამართლის ან ხელშეკრულების დადების ადგილის სამართლის მოთხოვნებს“.
ანალოგიურად არის საკითხი გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალ კანონში (მუხლი 11) და პოლონეთის კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ (მუხლი 12).

ეს კოლიზიური პრინციპი უდავოდ გამართლებულია, რადგან ნებისმიერი სახელმწიფო უძრავ ნივთები განსხვავებულ რეჟიმში ექცევა და იმპერატიულად არის განსაზღვრული უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან გადასვლასთან დაკავშირებული გარიგების დადების წესი.

ფორმის საკითხთან დაკავშირებით არსებობს თეორია, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების ფორმა ექვემდებარება იმ ქვეყნის სამართალს, სადაც უნდა შესრულდეს ეს ხელშეკრულება (**lex loci solutionis).**

ხელშეკრულების ფორმის საკითხის გადაწყვეტისას წარმოიშობა კიდევ ერთი პრობლემა. ხშირად ხელშეკრულება იდება არათანმყოფ პირებს შორის. ამ დროს ერთმანეთს არ ემთხვევა ოფერტის და აქცეპტის ადგილი, ამიტომ მართებული იქნებოდა ოფერტის და აქცეპტის მიმართ გამოყენებულიყო იმ ქვეყნების სამართალი, სადაც ისინი ცალ-ცალკე განხორციელდა. (Лунц, 2002, стр. 489)

ხელშეკრულების ნამდვილობის კიდევ ერთი პირობაა ხელშეკრულების მხარეთა ქმედუნარიანობა. პირის ქმედუნარიანობის განსაზღვრისას სახელმწიფოთა უმრავლესობის კანონმდებლობა მიუთითებს პირის პირად კანონზე ***(Lex personalis-Lex nationalis, Lex domicilii).***

თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მახასიათებელი არის ინფორმაციული საზოგადოება, ინფორმაციული საზოგადოების შექმნაზე კი დიდ გავლენას ახდენს მასობრივი კომპიუტერიზაცია, მისი საშუალებით იქმნება განტოტილი საინფორმაციო სისტემა. ასეთ პირობებში ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენას ახდენს ინფორმაციის მიმოსვლის თანამედროვე ელექტრონული ქსელის, იგივე ინტერნეტის დანერგვა ცხოვრებაში. ინტერნეტი აშშ-ს ხელისუფლების დაკვეთით ამერიკელი მეცნიერების ხანგრძლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა და უკვე 90-იანი წლების დასაწყისში, კერძოდ 1993 წელს შემოიჭრა საქმიან სამყაროში და საზოგადოების ახალ პროგრესს ჩაუყარა საფუძველი. თავად სიტყვა „ინტერნეტი“ ორი ინგლისური სიტყვის: ***International*** (საერთაშორისო) და ***Network***-ის (ქსელი) შემოკლებებისგან, ***Inter*** და ***Net***-ისგან შემდგარ სიტყვას წარმოადგენს, რომელიც შეუცვლელად გავრცელდა მთელ ცივილიზებულ სამყაროში.

დღესდღეობით ასეთი პოპულარული და ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მომცველი ინტერნეტი წარმოადგენს 1958 წელს აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ***ARPA***[1] პროექტის მემკვიდრეს, რომელიც 70-იანი წლების შუა პერიოდში არპანეტის სახელით იყო ცნობილი. მოცემული ქსელი გარკვეული დროის ფარგლებში მხოლოდ ჩრდ. ამერიკის კონტინენტისთვის იყო ხელმისაწვდომი და აშშ-ს თავდაცვის ინტერესებს ემსახურებოდა. არპანეტი შეცვალა საერთაშორისო მასშტაბის ქსელმა ინტერნეტის სახით.

ინტერნეტის ქსელში ნებისმიერს შეუძლია მოათავსოს მისთვის სასურველი ინფორმაცია, ამასთანავე ინფორმაციას შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი ხასიათი: კომერციული, ტექნიკური, სამეცნიერო და ა.შ. დღესდღეობით ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია გარიგების დადებაც.

იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო სამართლის მოქმედების სფერო ძალიან ფართოა, წარმოუდგენელია მისი სრული რეგულირება ინტერნეტით, მაგ: ინტერნეტით ვერ მოწესრიგდება საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლებრივი ურთიერთობები, ხოლო რაც შეეხება ვალდებულებით, ინტელექტუალური საკუთრების და საბანკო სამართლებრივ ურთიერთობებს, თანამედროვე მსოფლიოში მათი რეგულირება ინტერნეტის გარეშე წარმოუდგენელია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქონებრივი, იგივე კომერციული ხასიათის ურთიერთობათა რეგულირება ინტერნეტით. ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა საქმიან ურთიერთობებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთი ეკონომიკური და სამართლებრივი მოვლენების წარმოშობა, როგორიცაა და „ელექტრონული კომერცია (ვაჭრობა)“ ***(E-commerce, E-trade)*** და „ელექტრონული ხელშეკრულება“ ***(Electronic contract).***

ელექტრონული კომერციის ზუსტი დეფინიცია არ არის მოცემული ოფიციალურ ნორმატიულ აქტებში, მაგრამ იურიდიული მნიშვნელობით მისი განსაზღვრა შეიძლება შემდეგნაირად: ელექტრონული კომერცია არის ელექტრონული ფორმით გარიგების დადება, პირველ ყოვლისა, სამეწარმეო სფეროში როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ბაზარზე. ელექტრონული კომერცია გარდა კონტრაჰენტებს შორის ელექტრონული ურთიერთობისა, მოიცავს ჩვეულებრივი ბიზნესისათვის დამახასიათებელ პროცესებს, მაგრამ მისი სპეციფიკა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს გარიგების დადება, კერძოდ ოფერტის და აქცეპტის გაკეთება, ხდება ელექტრონული ფორმით.

---

[1] **ARPA** არის განვითარებული ძიების პროექტების უწყების აბრევიატურა, ის მოგვიანებით შეიცვალა **DAPRA**-თი. D - Defence თავდაცვას ნიშნავს, ამით ხაზი გაესვა არპანეტის თავდაცვით ფუნქციას.

თუმცა შეიძლება ელექტრონული ფორმით დაიდოს გარიგება შიდასახელმწიფოებრივ დონეზეც, მაგრამ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ელექტრონული ხელშეკრულების აბსოლუტური უმრავლესობა საერთაშორისო ხასიათისაა.

ელექტრონული გარიგების დადებისას წარმოიშობა სამი ურთიერთდაკავშირებული პრობლემა: ელექტრონული ფორმის დოკუმენტების ნამდვილობა; ელექტრონული დოკუმენტის ხელმისაწვდომობა; ელექტრონულ დოკუმენტზე ხელმოწერათა ავთენტიკურობა. (Дмитриева, 2004)

1984 წლიდან გაერო-ს კომისია მუშაობს აღნიშნულ პრობლემებზე. ნაციონალური სამართლის სისტემის ფარგლებში ელ. კომერციის მექანიზმის შექმნის ხელშეწყობის მიზნით ***UNCITRAL***-მა შეიმუშავა მოდელური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 16 დეკემბერს და დამტკიცებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) გენერალური ასამბლეის რეზოლუციით /51/628 1997 წლის 30 იანვარს და ასევე მოდელური კანონი „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“, მიღებული 2001 წლის 5 ივლისს. ეს კანონიც დამტკიცებულია გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით და რეკომენდებულია შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ინკორპორირებისთვის.

1996 წლის მოდელური კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ რეალურად წყვეტს მხოლოდ ელექტრონული ინფორმაციის სამართლებრივი რეჟიმის საკითხს და ადგენს ელექტრონული დოკუმენტების ნამდვილობას. კანონი ძირითადად მიმართულია მონაცემთა გადაცემის იურიდიული რეგულირებისაკენ. ინგლისურ ტექსტში იგი აღინიშნება ტერმინით ***EDI (Electronic data interchange)***. კანონი არ არეგულირებს ელ. ვაჭრობის მონაწილეთა შორის ურთიერთობებს. ***UNCITRAL***-ის მოდელური კანონი ეფუძნება ე. წ. ***ფუნქციონალურ ეკვივალენტს***. ეს ნიშნავს, რომ თუ ნაციონალური კანონმდებლობის თანახმად გარიგების დადების და შესრულების პროცესში ქმედებები უნდა აისახოს წერილობითი ფორმით ან წერილობითი დოკუმენტის გამოყენებით, ეს მოთხოვნა ითვლება შესრულებულად, თუ მითითებული ქმედებები ხორციელდება ერთი ან რამდენიმე ელ. შეტყობინების საშუალებით კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

კანონი ნებისმიერ სტაბილურ, განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში შენახვად ელექტრონულ დოკუმენტს უთანაბრებს ტრადიციულ წერილობით დოკუმენტს, თუ იგი დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: თუ არსებობს იმის მყარი გარანტია, რომ ინფორმაცია მისი გადაცემის მომენტიდან არ იქნება შეცვლილი; აუცილებლობის შემთხვევაში თუ შესაძლებელია ინფორმაციის დემონსტრირება.

E-Commerce-ის ზოგადი დებულებების საფუძველზე, ელექტრონულ-ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური და იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფოც. ინფორმაციის მიმოსვლის თანამედროვე ელექტრონულ ქსელში, ისევე როგორც ჩვეულებრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხელშეკრულების მხარეები ოფერენტად და აქცეპტანტად იწოდებიან. ელექტრონული კომერციული ურთიერთობების სუბიექტის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ შეუძლებელია კონტრაჰენტის ადგილსამყოფლის დადგენა. უნსიტრალის კანონმა ეს მომენტიც გაითვალისწინა და დაადგინა, რომ ელექტრონული ინფორმაციის გადაცემისას გამგზავნის ადგილად ითვლება გამგზავნის კომერციული საწარმოს ადგილსამყოფელი, მიმღების ადგილად ადრესატის კომერციული საწარმოს ადგილსამყოფელი. (United Nations, 1999, st.15)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარიგება ინტერნეტში იდება ელექტრონულ ფორმით. განიხილება თუ არა ელექტრონული ფორმა ხელშეკრულების წერილობით ფორმად საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით? საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, *თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ.* ინტერნეტის საშუალებით დადებული ხელშეკრულება წერილობით ხელშეკრულებად განიხილება, რადგან იმავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, *ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა.* ასე რომ, ელექტრონული ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი - ***ფუნქციონალური ეკვივალენტი*** ფაქტობრივად აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობის მიერ, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ეს საკითხი ერთმნიშვნელოვნად ასახულიყო. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ინტერნეტში ხელშეკრულება მხოლოდ მარტივი წერილობითი სახის არის, სანოტარო ფორმა არ არსებობს.

ინტერნეტი ასევე ხელშეკრულების სხვა ფორმასაც ითვალისწინებს, კერძოდ, ვიდეო და აუდიო ელექტრონულს. ამ დროს პრაქტიკულად ხელშეკრულების დადება ხდება არა წერილობითი, არამედ ზეპირი ფორმით.

მნიშვნელოვანია ელექტრონული ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრა. აქ აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მაღაზიის მიერ საქონლის შემოთავაზება არ არის ოფერტი, რადგან სსკ 329-ე მუხლის II პუნქტის მიხედვით, *წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული.* შესაბამისად მაღაზიის ვიტრინაში საქონლის გამოფენა არის მოწვევა ოფერტზე და არა ოფერტი. ელ. მაღაზიაც ჩვეულებრივი მაღაზიის მსგავსია მხოლოდ ვირტუალურ სამყაროში. მყიდველის შეკვეთაა ოფერტი, ხოლო ელ. მაღაზიის მხრიდან შეკვეთის დადასტურება არის აქცეპტი. მაგრამ თუ ოფერტი კეთდება კონკრეტული პირის მიმართ, მისი მხრიდან დადასტურება არის აქცეპტი და შესაბამისად გარიგების დადების მომენტიც ეს ითვლება.

ელექტრონული კომერციის სამართლებრივი რეგლამენტაცია 1998 წლიდან იწყება ევროპის კავშირში, როცა ბრიუსელში ევროპარლამენტის კომისიამ წარმოადგინა დირექტივა, რომელსაც ინტერნეტში გარიგების დადებისას იურიდიული ხარვეზები უნდა აღმოეფხვრა. ცენტრალური საკითხი, რომელიც განხილულ იქნა მოცემულ სამართლებრივ აქტში, იყო ელექტრონული სახელშეკრულებო სამართლის დანერგვა და პრაქტიკული გამოყენება. ევროკავშირის გადაწყვეტილების საფუძველზე, წევრი ქვეყნები ვალდებულნი იყვნენ არაუგვიანეს 2002 წლის 1 იანვრისა მოეხდინათ დირექტივის ნორმების იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში. ევროპის მოწინავე ქვეყნებმა (მაგ: გერმანიამ, ავსტრიამ) უკვე მოახდინეს ამ კანონის ადაპტაცია და საკუთარი კანონშემოქმედებითი საქმიანობის საფუძველზე მიიღეს სათანადო სამართლებრივი აქტები. იმ სახელმწიფოებში, სადაც შესაბამისი კანონები მიღებული არ არის, ელექტრონული ხელშეკრულებების რეგულირება ვალდებულებით სამართლით ხდება. ამ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც.

როგორც ვხედავთ ევროკავშირი გახდა ელექტრონული ვაჭრობის გლობალური კანონმდებლობის შექმნის ინიციატორი. მათი ინიციატივის ძირითადი მიზანი იყო ერთიანი ბაზრის შემაფერხებელი ბარიერების გადალახვა და ელ. ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირება. ევროპის პარლამენტის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი დირექტივებია:

- ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ, 2000/31 8.06.2000.
- ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს დირექტივა ელექტრონული ხელმოწერების შესახებ, 1999/93. 13.12.1999. ევროკავშირის განკარგულებით ელექტრონულ ციფრულ ხელმოწერებს ძალა აქვთ ევროკავშირის ქვეყნებში 2001 წლის 19 იანვრიდან, ამ ნაბიჯით გაიოლდება ელექტრონული საშუალებებით კომერციული საქმიანობა.
- ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს დირექტივა ელექტრონული ხელშეკრულების მხარეების დაცვის შესახებ, 97/7 20.05.1997.

აშშ-მა უკვე დაიწყო ელ. კომერციის კანონმდებლობაზე ზრუნვა. 2000 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა აშშ-ს კანონი ელექტრონული ხელმოწერების შესახებ და მას შემდეგ ინტერნეტით ხელმოწერილ კონტრაქტებს იგივე ძალა აქვს, როგორც ქაღალდზე გაფორმებულს. დღესდღეობით საქართველოში არსებულ რეალობაში არ დგას დღის წესრიგში ელექტრონული კომერციის სამართლებრივი რეგლამენტაციის საკითხი, მაგრამ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს მის დარეგულირებას და საქართველოც იმისათვის, რომ შეუფერხებლად აწარმოოს საქმიანი ურთიერთობები სხვა სახელმწიფოს კერძო სამართლის სუბიექტებთან, უნდა მიიღოს მხედველობაში მსოფლიოში მიმდინარე პროცესები და მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობის ადაპტაცია საერთაშორისო მოთხოვნებთან.

ბიბლიოგრაფია:

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. (1980). *კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ.* ვენა.

ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს დირექტივა ელექტრონულ კომერციის შესახებ. (2000). (2000/31).

ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს დირექტივა ელექტრონული ხელმოწერების შესახებ. (1999). (1999/93).

ევროპის პარლამენტის და ევროპის საბჭოს დირექტივა ელექტრონული ხელშეკრულების მხარეების დაცვის შესახებ. (1997). (97/7).

ლილუაშვილი, თ. (2001). *საერთაშორისო კერძო სამართალი.* თბილისი: ჯისიაი.

ნიუ-იორკის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისას სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ. (1974).

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ 1994. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=63

საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ 1998. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/93712?publication=3

საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1997. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/document/view/31702?publication=103

საქართველოს კონსტიტუცია 1995. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35

ჩიქვანაია, თ. (2000). *საერთაშორისო კერძო სამართალი.* თბილისი.

ცვაიგერტი, კ., & კოტცი, ჰ. (2000). *შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში* (ტ. I). (თ. ნინიძე, რედ.) თბილისი: ჯისიაი.

ჰაგის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ. (1988).

ჰაგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის სტატუტი. (1955).

Del Duca, L. F., Guttman, E., & Squillante, A. M. (1993). *Sales Under the Uniform Commercial Code and the Convention on International Sale of Goods* (Vol. 2). Cincinnati, Ohio: Anderson Publishing Co.

United Nations. (1999). *UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment 1996: with additional article 5 bis as adopted in 1998.* New York. Retrieved from https://www.uncitral.org/pdf/english/texts/electcom/05-89450_Ebook.pdf

University of Queensland. (1996). *International Trade and Business Law* (Vol. II).

Ануфриева, Р. (2002). *Международное частное право: Особенная часть* (Т. 2). Москва: БЕК.

Богуславский, М. М. (2002). *Международное частное право.* Москва.

Вилкова, Н. Г. (2002). *Договорное право в международном обороте.* Москва: Стасус.

Дмитриева, Г. К. (Ред.). (2004). *Международное частное право* (изд. 2). Москва: Проспект.

Звеков, В. П. (1999). *Международное частное право: Курс лекций.* Москва.

Кордеро Мосс, Д. (1996). *Автономия воли в практике международного коммерческого арбитража.* (А. А. Рубанов, Ред.) Москва.

Лунц, А. А. (2002). *Курс Международного частного права.* Москва: Спарк.

Обзор судебно-арбитражной практики разрешения споров по делам с участием иностранных лиц, №29 (ВАС РФ Февраля 16, 1998). №4.

Федосеева, Г. (1999). *Международное частное право.* Москва.

Фолсом, Р. Х., Гордон, М. У., & Спаногл, Д. А. (1996). *Международные сделки.* Москва.

Ivane Balakhashvili
Gori State Teaching University

CONCLUDE ELECTRONIC CONTRACT
RESUME

The transaction is made electronically on the Internet, though the Georgian law does not treat the electronic form as a written contract, which creates problems for the parties to enter into an electronic contract with EU and US entities.

In the current reality in Georgia, the issue of legal regulation of e-commerce is not on the agenda, But most developed countries in the world find it necessary to regulate it, and Georgia needs to take account of ongoing processes in the world and adapt Georgia's legislation to international requirements in order to operate smoothly with other state private law entities.

Keywords: Electronic contract, E-commerce, Foreign economic transaction, Functional equivalent.

გიორგი ბაღათურია, ლევან წიქარიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების ეფექტიანობის ასპექტები საჯარო სამსახურში გორის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

საკვანძო სიტყვები: გადაწყვეტილებების მიღება, კვლევა, ადგილობრივი თვითმმართველობა, გამოკითხვა.

შესავალი: გადაწყვეტილება უნივერსალური ფენომენია, რომელიც მოიცავს ინდივიდების, ჯგუფების, ასევე ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ცხოვრებას. გადაწყვეტილებების მიღება თითოეულ ჩვენთაგანს მთელი ცხოვრების მანძილზე უხდება. გადაწყვეტილების მიღება პიროვნული, ოჯახური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ცხოვრების თანმდევი პროცესია. შესაძლოა, სწორედ ამიტომ გადაწყვეტილების მიღება რთული საკითხია, რადგან საქმე გვაქვს სიტუაციის ანალიზის პრობლემასთან, რომელიც აერთიანებს მეცნიერებისა და კაცობრიობის მრავალ ისეთ განსხვავებულ მიმართულებას, როგორიცაა: ეკონომიკა, პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია და ა.შ.

ზოგადად, გადაწყვეტილების მიღებისას, მეცნიერები იკვლევენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს მრავალ დონეზე: ინდივიდუალური არჩევანით დაწყებული და ჯგუფური, ორგანიზაციული და სოციალური არჩევანით დამთავრებული. საინტერესოა არა ის, თუ როგორ "წყვეტენ პრობლემებს" გადაწყვეტილების მიმღებები, არამედ ის, თუ როგორ ახდენენ ისინი ასეთი პრობლემების იდენტიფიცირებას და რას სწავლობენ თავიანთი მოქმედებების შედეგებიდან.

გადაწყვეტილებები მიუთითებენ ჩვენს ქცევაზე, მათი ხარისხი გავლენას ახდენს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე და ვერავინ ვერ აიცილებს თავიდან გადაწყვეტილების მიღებას. გადაწყვეტილება შეიძლება განისაზღვროს როგორც არჩევანი სხვადასხვა ალტერნატივებს შორის, რომლის შესრულება კონკრეტულ დროშია შესაძლებელი. გადაწყვეტილება, ასევე, შეიძლება იყოს გარკვეული მოქმედებისაგან თავის არიდების საშუალება. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიუთითებს გარკვეულ არჩევანზე, რომელიც პრობლემის გადაჭრის ალტერნატივებს უნდა გვთავაზობდეს.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევა ჩავატარეთ გორის მუნიციპალიტეტში, კვლევის ფორმატიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში ჩატარდა ინტერვიუ გორში მოქმედ ექვს აქტიურ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელთან და წარმომადგენელთან, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის ხელმძღვანელთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პირველ პირებთან (გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და გორის მერი).

ასევე ჩვენ მიერ შედგენილ იქნა სტრუქტურირებული კითხვარი მოსახლეობის გამოკითხვისთვის, რომელიც დამუშავდა „გუგლდრაივის“ საშუალებით. კითხვარი წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი #1). რაოდენობრივი კვლევისას გამოყენებულია პირისპირი ინტერვიუს მეთოდი. ინტერვიუები ჩატარდა სხვადასხვა ასაკის, სქესის, სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლების და სტუდენტების ჩართულობით. კითხვარი შედგენილია დახურული და ღია ფორმატის კითხვების მეშვეობით. გამოკითხვაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი და დაცული იყო რესპონდენტთა ანონიმურობა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს–ინჟინერინგის ფაკულტეტის საჯარო მმართველობისა და ბიზნესში ელექტრონული ტექნოლოგიების დეპარტამენტი

სადოქტორო პროგრამა: საჯარო მმართველობა

კითხვარი N 3

კითხვარი არის ანონიმური ხოლო გამოკითხულთა შედეგები გამოყენებული იქნება სადოქტორო კვლევის ფარგლებში.
წინასწარ გიხდით მადლობას დათმობილი დროისთვის.

1	თქვენი ასაკი?	A	18-25	B	25-35	C	35-45	D	45-55	E	55-60	F	60-დან ზევით.
2	სქესი	A	მდედრობითი	B	მმამრობითი								
3	ხართ თუ არა დასაქმებული?	A	კი	B	არა	Sხვა.							
4	რამდენად გაქვთ კონტაქტი გამგეობასთან/მერიასთან?	A	კვირაში ერთხელ	B	თვეში ერთხელ	C	წელიწადში ერთხელ	D	საერთოდ არ მივმართავ				
5	იცით თუ არა ვინ არის გორის მინიციპალიტეტის მერი?	A	კი	B	არა								
6	იცით თუ არა ვინ არის გორის მინიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე?	A	კი	B	არა								
7	იცით თუ არა ვინ არის გორის მინიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი თქვენს დასახლებაში?	A	კი	B	არა								
8	მიგიმართავთ თუ არა გამგეობისთვის წერილობით?					A	კი	B	არა				
9	ივსება კი პასუხის შემთხვევაში მიიღეთ თუ არა დროული პასუხი შესაბამის წერილზე? (10 სამუშაო დღე)					A	კი	B	არა				
10	მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა საკრებულოს სხდომებში?					A	კი	B	არა				
11	გამოგითქვამთ თუ არა თქვენი პოზიცია რომელიმე სხდომაზე?					A	კი	B	არა				
12	გაითვალისწინეს თუ არა თქვენი ან სხვა მოქალაქის აზრი სხდომაზე?					A	კი	B	არა				
13	მონაწილეობს თუ არა თქვენი მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემების მოწესრიგებაში?					A	კი	B	არა	C	არვიცი		
14	აქვს თუ არა მაჟორიტარ დეპუტატს ბიურო თქვენს რაიონულ ცენტრში?					A	კი	B	არა	C	არვიცი		
15	გაქვთ თუ არა ინტერნეტთან წვდომა?					A	კი	B	არა				
16	მობილური ინტერნეტით სარგებლობთ თუ კომპიუტერით ?					A	მობილურით	B	კომპიუტერით				
17	რა ფორმით ამყარებთ კომუნიკაციას გამგეობასთან?	A	ადგილზე მისვლით	B	ელექტრონულად	C	მობილურით	Sხვა.					
18	რამდენად ხშირად ხვდებიან გამგეობის წარმომადგენლები მოსახლეობას?	A	კვირაში ერთხელ	B	თვეში ერთხელ	C	წელიწადში ერთხელ	C	არვიცი				
19	რომელია ის საკითხები, რომელიც ყველაზე აქტუალურად განიხილება ამ შეხვედრებზე?	A	სოციალური			B	ინფრასტრუქტურული	Sხვა.					
20	რამდენად ითვალისწინებს გამგეობა მოსახლეობის აზრს?	A	ითვალისწინებს			B	არ ითვალისწინებს	Sხვა.					
21	იყო თუ არა ისეთი თხოვნა /მოთხოვნა რომელსაც რეაგირება არ მოჰყოლია ან პირიქით?												
22	რამდენად კმაყოფილი ხართ გამგეობის თანამშრომლების მომსახურებით? შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით.	A	ძალიან ცუდი-1	B	ცუდი-2	C	საშუალო-3	D	კარგი-4	E	ძალიან კარგი-5		
23	როგორ ფიქრობთ რამდენად მიზანმიმართულად იხარჯება გამგეობის ბიუჯეტი? შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით?	A	ძალიან ცუდი-1	B	ცუდი-2	C	საშუალო-3	D	კარგი-4	E	ძალიან კარგი-5		
24	თქვენი ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეაფასეთ 5 ბალიანი სისტემით	A	ძალიან ცუდი-1	B	ცუდი-2	C	საშუალო-3	D	კარგი-4	E	ძალიან კარგი-5		
25	იყენებთ თუ არა გორის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდს ინფორმაციის მისაღებად ?	A	კი	B	არა	კი პასუხის შემთხვევაში ჩაწერეთ საიტის მისამართი www.							
26	იყენებთ თუ არა მერიის ელექტრონულ ვებ-გვერდით ინფორმაციის გაგზავნის სერვისს?	A	კი	B	არა								
27	ელექტრონულ ვებ-გვერდით გაგზავნილ მიმართვას, მოჰყვა თუ არა რეაგირება?	A	კი	B	არა	Sხვა.							
28	გქონიათ თუ არა კონკრეტული მწვავე პრობლემა, რომელიც მოუგვარებია გამგეობას/ მერიას?	A	კი	B	არა	Sხვა.							
29	გაქვთ თუ არა რაიმე სპეციფიური მოთხოვნა/თხოვნა გამგეობასთან/მერიასთან?	გთხოვთ დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრება.											
30	ატარებს თუ არა გამგეობა მსგავსი ტიპის გამოკითხვებს?	გთხოვთ დააფიქსიროთ თქვენი მოსაზრება.											
მიუთითეთ ადგილმდებარეობა (ქალაქი, სოფელი) ----------													

რესპონდენტების რაოდენობა განისაზღვრა რეპრეზენტატიული შერჩევის მეთოდით - ქ. გორის და მისი რაიონის სოფლებში მცხოვრები სრულწლოვანი და ქმედუნარიანი მოქალაქეები. კვლევის პირველ ეტაპზე გამოკითხულია სულ 814 რესპონდენტი (ქალაქში - 299, სოფელში 515). კვლევა მიმდინარეობდა 2018 წლის 01 მაისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

კვლევის მიზნები და ამოცანები: ჩვენი მიზანი იყო გორისა და მისი რაიონის მოსახლეობის შეხედულებების კვლევა, რათა გამოგვევლინა ის საკითხები, რაც აწუხებს მოსახლეობას. ასევე გამოკვეთილიყო მართვის კუთხით არსებული პრობლემები და გამოწვევები.

ასევე შედარებულიყო ქალაქში და სოფლად მაცხოვრებელ მოქალაქეებზე რა გავლენას ახდენს ადგილობრივი თვითმართველობის მუშაობა და რამდენად აგვარებს მათ პრობლემებს.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა შემდეგი:

☑ მოქალაქეთა აქტიურობა ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის მიმართ;

☑ მოსახლეობის ნდობა და დამოკიდებულება ადგილობრივ ხელისუფლებისადმი;

☑ ხელმძღვანელი პირების ცნობადობა მოსახლეობაში (საკრებულოს თავმჯდომარე, მერი, მერის წარმომადგენლები);

☑ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ მოსახლეობაში ინფორმაციის ფლობა;

☑ მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ (იგულისხმება, როგორც პირველი პირები, ასევე მომსახურე პერსონალი და სხვა);

☑ მოსახლეობის დამოკიდებულება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ელექტრონული სერვისების მიმართ;

☑ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ საზოგადოების აქტიურობა-განვითარების ხელშეწყობა;

☑ მოსახლეობის აზრის კვლევა და მისი ფორმები.

ინტერვიუ ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფების ფორმატით გორში აქტიურად მომუშავე ექვს არასამთავრობო ორგანიზაციასთან: კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (გორის ოფისი), EECMD გორის დემოკრატიის სკოლა, გორის საინფორმაციო ცენტრი. თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ეს ორგანიზაციები პირდაპირ ან ირიბად არიან დაკავშირებული ადგილობრივ თვითმართველობასთან. დეტალური გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის პრობლემები, მიღწევები და გამოწვევები.

ჩაღრმავებული ინტერვიუ გავაკეთეთ აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ პირებთან - გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, გორის მერთან და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის კლინიკის ხელმძღვანელთან, რადგანაც დიდი გამოცდილება აქვს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლების და სწავლა-სწავლების მიმართულებით. ინტერვიუ მოიცავდა შემდეგ კითხვებს:

➢ როგორ უნდა ხდებოდეს ადგილობრივ თვითმმართველობაში ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება;

➢ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების და მონიტორინგის პრაქტიკული მაგალითები.

ძირითადი საკითხები, რაც გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, არის კანონის აღსრულების პრობლემები, სისტემური პრობლემები, არაკვალიფიცირებული კადრების პრობლემა, მოქალაქეთა ნაკლები ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობაში, სასამართლო გადაწყვეტილებების არაჯეროვანი აღსრულება და სხვა.

კვლევის შედეგები: კვლევის პირველი ეტაპის განხორციელების პროცესში ნათლად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წამყვანი პირები სრულფასოვან ინფორმაციას არ ფლობენ მოსახლეობაში არსებული განწყობების, დამოკიდებულებების და იმ დაკვეთების შესახებ. მოსახლეობა არ ერთვება თვითმმართველობის განხორციელებაში, რადგან არ აქვთ მოლოდინი, რომ მათი ქმედება შედეგს გამოიღებს. მეორე მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობა მზადაა მოსახლეობის ჩართვით დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა პროექტები. შესაბამისად საჭიროა მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის არსებობდეს კომუნიკაციის უფრო მჭიდრო მექანიზმები.

ბ) არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა შემდეგი - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მზად არიან მათთან ნებისმიერ თანამშრომლობაზე, მაგრამ თვითონ ნაკლებად ავლენენ კონკრეტული საკითხების მოგვარების ინიციატივებს, რომ არა მათი ჩართულობა, ძალიან ბევრი საკითხი „უხილავი ფარდის“ უკან დარჩებოდა. ასევე აღსანიშნავია კვალიფიცირებული პერსონალის ნაკლებობა და სისტემური პრობლემები, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის თვითმმართველობას იყოს დეცენტრალიზებული.

გ) სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას უფრო მეტად უჭირს კომუნიკაცია ადგილობრივ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან, შესაბამისად მთელი რიგი პრობლემები არ გვარდება და ჭიანურდება დროში გარდა იშვიათი გამონაკლისებისა.

დ) ასევე არ არსებობს სრულფასოვანი უკუკავშირი მუნიციპალიტეტსა და მოსახლეობას შორის. არ არის ჩამოყალიბებული შეფასების მკაფიო კრიტერიუმები, რითაც შეფასდება საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატების, მერის წარმომადგენლების და სხვა საჯარო მოხელეების საქმიანობა. უმეტესად მათი საქმიანობა უშუალო კავშირშია მოსახლეობისგან ინფორმაციის მოპოვებაზე არსებული პრობლემების შესახებ და ვალდებულნი არიან მოსახლეობას მიაწოდონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული პროექტების და სიახლეების შესახებ.

ე) ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირების, მაჟორიტარების და მერის წარმომადგენლების ცნობადობა მოსახლეობაში არის დაბალი განსაკუთრებით სოფლად, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ კომუნიკაცია მოსახლეობასა და თვითმმართველობას შორის არ არის სრულყოფილი.

ვ) მერიის ახლადშექმნილი ვებგვერდი ინფორმატიულია, მაგრამ გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცის მისი არსებობის შესახებ ან საერთოდ არ იყენებს ინფორმაციის მისაღებად.

ზ) მოსახლეობის წერილობით მიმართვებზე არ არის პასუხები დროულად გაცემული და გარკვეულწილად ირღვევა პროცედურული ვადებიც.

თ) მიუხედავად საკრებულოს მხრიდან ღია პოლიტიკისა, საკრებულოს სხდომებში მოსახლეობა არ იღებს მონაწილეობას, სოფლის კრებები ფაქტიურად არ მუშაობს და უფუნქციოდაა დარჩენილი.

ი) გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს ინტერნეტთან წვდომა, რაც წესით ხელსაყრელ პირობებს უნდა ქმნიდეს ინფორმაციის მიწოდების კუთხით მოსახლეობაში, მაგრამ კომუნიკაციის ეს არხები სათანადოდ არ არის გამოყენებული მუნიციპალიტეტის მიერ.

კ) გამოკითხულთა უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია რამდენად ხშირად და რა ლოკაციებზე ხდება მუნიციპალიტეტის წამომადგენლების შეხვედრები და რა საკითხები განიხილება. ასევე კითხვაზე - ითვალისწინებს თუ არა მოსახლეობის აზრს საკრებულო/მერია, გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ არ ითვალისწინებს.

ლ) საკრებულოს/მერიის თანამშრომლების მომსახურება ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის შეფასებული, რაც არ არის სახარბიელო, რადგან ადგილობრივი თვითმართველობა თავისი ყველა რგოლით იქმნება იმისათვის, რომ ხალხს ემსახუროს და არა იმიტომ, რომ ვალი მოიხადოს მათ წინაშე.

მ) მერიის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შეფასებისას უმრავლესობა თვლის, რომ არის დამაკმაყოფილებელი. მაგრამ პროცენტულად ძალიან ახლოსაა უკმაყოფილო რესპონდენტების რიცხვთან.

ნ) რა ტიპის თხოვნა/მოთხოვნა აქვს მოსახლეობას ამ კითხვაზე, ქალაქში მცხოვრებ რესპონდენტებში გამოიკვეთა შემდეგი: სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხების გადაწყვეტა, ბიუჯეტის ხალხის ინტერესების გათვალისწინებით დაგეგმვა და სხვა. სოფლად მცხოვრებ რესპონდენტებში - ძირითადად ნეგატიური დამოკიდებულება იკვეთება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი, სოციალური და ინფრასტრუქტურული საკითხების მოუწესრიგებლობა, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოსახლეობის ჩაურთველობა და სხვა.

ო) კითხვაზე ატარებს თუ არა მსგავსი ტიპის გამოკითხვებს მუნიპალიტეტი პასუხი არის - გამოკითხვა ტარდება ძალზე იშვიათად და თუ ტარდება, ეს უკავშირდება წინა საარჩევნო პერიოდს.

პ) გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, მერს აქვთ მზაობა ნებისმიერი ფორმატით ითანამშრომლონ მოსახლეობასთან და არასამთავრობო სექტორთან, რათა უფრო მეტი სარგებლი მიიღოს მოსახლეობამ. მეორე მხრივ, მოსახლეობისგანაც საჭიროა მეტი მონდომება და აქტიურობა საკუთარი ინიციატივებით მუნიციპალიტეტის ჩართულობით საკუთარი პრობლემების მოსაგვარებლად.

დასკვნა: ადგილობრივი თვითმართველობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსახლეობის მიერ არჩეული პირველი პირები ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური თანამშრომლობით აყალიბებენ მომავალი თანამშრომლობის სტრატეგიულ გეგმებს.

განვლილი წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის ჩინოვნიკები ერიდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად გეგმებისა და პროექტების განხილვას, ვინაიდან თვლიდნენ, რომ მოქალაქეებს არა აქვთ მოსმენისა და რაციონალური კამათის კულტურა, რის გამოც შეუძლებელია ნაყოფიერი თანამშრომლობა მათთან.

რეალურად კი საზოგადოების დაკვეთა და მოლოდინია, რომ მათი ჩართულობით მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირპროპორციული იყოს მუნიციპალიტეტის ეფექტური საქმიანობისა. თვითმმართველობის განმახორციელებელმა რიგითმა თუ პირველმა პირებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ მიზნები და პროექტები, რომლებსაც ისინი განახორციელებენ, არის ადგილობრივი მოსახლეობის მომავალი განვითარების საწინდარი და ამიტომ გასათვალისწინებელია მოსახლეობის ერთობლივი ხედვა.

მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს სხვადასხვა ტიპის გამოკითხვებით, შეხვედრებით და სხვა კომუნიკაციის არხებით მოსახლეობის მოლოდინების იდენტიფიცირება და შემდგომ მათი მოგვარება. ასევე მოსახლეობა უნდა ჩაერთოს პროექტების დაგეგმის, განხორციელების და მონიტორინგის პროცესში. შესამაბისად ასეთი მექანიზმების დანერგვა უზრუნველყოფს მოსახლეობის კმაყოფილების ამაღლებას, ჩართულობის ხარისხის გაზრდას, რაც გამოიწვევს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურობის ზრდას.

საჯარო მოსამსახურეებმა თავისი საქმიანობა უნდა გააიგივონ მსახურებასთან და ამ შეგნებით საქმის კეთება არის რეალური ძალა, რომელიც მაპროვოცირებელი იქნება იმასა, რომ გაკეთდეს მეტი მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, მიღებული იყოს სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებები და არ ხდებოდეს კონკრეტული ჩინოვნიკების ინტერესების გათვალისწინება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს მოსახლეობა, მათ შორის საჯარო სამსახურში მომუშავე პირები დაარწმუნოს, რომ სახელმწიფო იწყება კონკრეტული პიროვნებიდან, სახლიდან, მუნიციპალიტეტიდან, რადგან სახელმწიფო სტრუქტურებთან შეხება უმეტესწილად მოქალაქეს ზუსტად ადგილობრივი ხელისუფლების განხორციელების პირობებში უწევს. შესაბამისად იმის შეგრძნება, რომ მან ადგილზე გადაწყვეტილებების მიღებაში უნდა მიიღოს მონაწილეობა, რომელიც შეცვლის მის გარშემო მყოფ რეალობას, მას უვითარებს სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი მეტ ნდობას. შესაბამისად, მისი მიდგომა მთელი რიგი საკითხებისადმი იქნება სახელმწიფოებრივი განცდით განმსჭვალული.

აქტიური მოქალაქე და მსახურებაზე ორიენტირებული საჯარო მოხელე ქმნიან იმ რეალურ ალიანსს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის კეთილდღეობა როგორც ადგილობრივ, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ბიბლიოგრაფია:

ბაღათურია, გ. (2009). *სტრატეგიული დაგეგმვა (მეთოდოლოგიური საფუძვლები).* თბილისი: სტუ.

დოღონაძე, შ., & ბაღათურია, ო. (2009). *სახელმწიფო მართვის თანამედროვე პრობლემები.* თბილისი: ცის ნამი.

დოღონაძე, შ., & იაშვილი, გ. (2013). *საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - „ელექტრონული მთავრობა“.* თბილისი: ცის ნამი.

ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ". (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: www.matsne.gov.ge

ზარნაძე, ნ., & ნარმანია, დ. (2009). *საზოგადოებრივი ადმინისტრირების საფუძვლები და საზოგადოებრივი ადმინისტრირება საქართველოში: დამხმარე სახელმძღვანელო.* თბილისი.

ზენაიშვილი, ა. (2014). *ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის კომენტარები.* თბილისი: საუნჯე.

მექვაბიძე, რ., ახალაია, ნ., ჯავახიშვილი, ნ., მაცაბერიძე, მ., პოტულსკი, ჯ., & მოდრჟევსკი, ა. (2012). *სასწავლო მოდული: გადაწყვეტილების მიღების ტექნოლოგია პრაქტიკაში სოციალური პოლიტიკის ანალიზისათვის.* თბილისი: უნივერსალი.

საქართველოს მუნიციპალიტეტების ერთიანი ეროვნული შეფასება“ ანგარიში. (2017). მოძიებულია ვებგვერდიდან: www.lsgindex.org

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 2014. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=41

Giorgi Baghaturia, Levan Tsikaridze

Georgian Technical University

ASPECTS OF THE EFFECTIVENESS OF DECISION-MAKING MECHANISMS IN THE PUBLIC SERVICE ON THE EXAMPLE OF THE MUNICIPALITY OF GORI

RESUME

The article provides results of the survey conducted in Gori municipality and the conclusion about the attitude of the population to the local government and what is the government doing for it, that local self-governments works effectively to make more benefits to the population of the municipality.

It also describes how the decisions taken on the welfare of the population in the self-governance,how is the population's negligence on the current processes, how are the interests of the population on implementation of local self-government and how intensity involved the population in its work

Article title: Aspects of the effectiveness of decision-making mechanisms in the public service on the example of the municipality of Gori.

Keywords: Decision making, Research, Local government, Survey.

მანანა გაგოშიძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნატალია ბიწაძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაქს ვებერი და რელიგიური ფაქტორი

საკვანძო სიტყვები: კაპიტალიზმი, პროტესტანტები, დამსაქმებელი, შესაძლებლობა, ქრისტიანები.

მ. ვებერმა კაპიტალიზმის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა რელიგიურ ფაქტორს. მაქს ვებერის წიგნი „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ ეკონომიკური ინტერესების გამოხატულებაა. ვებერის აზრით, რელიგია გახდა საფუძველი თანამედროვე კაპიტალიზმის წარმოშობის. ვებერის ყურადღების ცენტრშია პროტესტანტიზმი. კალვინისტურმა დოქტრინამ განაპირობა მორწმუნეებში აღძრულიყო სურვილი მოეხდინათ თავიანთი ღვთითრჩეულობა აქტიური კომერციული საქმიანობითა და მიწიერ სიამოვნებათა დაგროვებაში მონაწილეობით. ასე რომ, პროტესტანტიზმა მიგვიყვანა შრომითი ეთიკის წარმოშობამდე. ამასთანავე, პროტესტანტიზმი თავის მრევლს ავალდებულებდა ზნეობრივ ქცევებს არა მხოლოდ ოჯახში, არამედ საზოგადოებაში, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ურთიერთნდობაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირებაში.

ვებერისეული შეხედულებები შეიძლება ითქვას თანამედროვე ეკონომისტების უმრავლესობის სერიოზულ კრიტიკას იწვევს, ისინი ეკონომიკური ზრდის კულტუროლოგიურ ახსნას არ თვლიან სერიოზულად. შეიძლება ითქვას კულტურა ამა თუ იმ საზოგადოების წარმატების მხოლოდ ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია, მაგრამ „პრორესტანტული ეთიკა“ აყენებს უფრო ფუნდამენტურ საკითხებს თანამედროვე საზოგადოებაში რელიგიის როლის შესახებ.

ვებერის მიხედვით, საზოგადოებრივი ფასეულობები ყალიბდება არა რაციონალური გზებით, არამედ ყველა დიდი მსოფლიო რელიგიების შთამაგონებელი საწყისი შემოქმედებითი იმპულსებით. მის წყაროდ იქცა მოვლენა, რომელიც მან „ქარიზმატულ ძალაუფლებად“ მონათლა - ამ ბერძნული სიტვის თავდაპირველი მნიშვნელობით - „ღვთის რჩეულად“. თანამედროვე ეპოქაში შეინიშნება „მკვდარი რელიგიური რწმენის აჩრდილი“, ვებერის აზრით, ეს განსაკუთრებით აშშ-ს ეხება, სადაც „რელიგიური და ეთიკური აზრებისაგან დაცლილი სიმდიდრეზე გამოდევნება უფრო და უფრო უკავშირდება წმინდა მიწიერ მისწრაფებებს“. (ვებერი, 2004) კითხვა იმის შესახებ, რომ თანამედროვე მსოფლიოს ვებერიანული სურათი რამდენად აქტუალურია დღეისათვის, „პროტესტანტული ეთიკის“ გამოცემიდან ამდენი დროის შემდეგ უფრო დაწვრილებით ანალიზს საჭიროებს. მისი ვარაუდი ბევრ რამეში გამართლდა, რომ რაციონალური კაპიტალიზმი ვრცელდება მთელ პლანეტაზე და იზრდება მატერიალური კეთილდღეობა, მაგრამ უდავოა, რომ რელიგიური მისწრაფებებიც ვერ გააქრეს, ამის გამოვლინებაა მეომარი ისლამი, ევანგელისტური პროტესტანტიზმის აღმაფრენა, მართლმადიდებლობის აღზევება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში და ა.შ.- ყველაფერი ეს საშუალებას იძლევა ვთქვათ, რომ სეკულარიზაცია და რაციონალიზმი საეჭვოა ჩავთვალოთ თანამედროვეობის შეუცვლელ „ბებიაქალად“. (ვებერი, 2004)

ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ თანამედროვე მსოფლიოს ვებერიანული სურათი, სადაც მოქმედებენ „უსულგულო სპეციალისტები“, უფრო მეტად თანამედროვე ევროპას შეეფერება, ვიდრე ამერიკას. ამჟამინდელი ევროპა - მშვიდობიანი, აყვავებული კონტინეტია, რომელიც რაციონალურად იმართება ევროკავშირის მიერ და არის აბსოლუტურად საერო. ევროპელები უწინდებურად იყენებენ ისეთ ცნებებს, როგორიცაა „ადამიანთა უფლებები“ და „ადამიანური ღირსებები“, რომლებიც მათ ცივილიზაციაში ქრისტიანული ფასეულობებიდან მოდის, მაგრამ ცოტას თუ შეუძლია გარკვევით ახსნას, თუ რატომ სწამთ ამ პრინციპებისა დღემდე. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკასთან შედარებით ევროპაში უფრო მეტი საფუძველია საიმისოდ, რომ ვთქვათ - მის ქუჩებში დადის „აჩრდილი მკვდარი რელიგიური რწმენისა“. ასე რომ, ვებერის „პროტესტანტულმა ეთიკამ“ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თანამედროვე ეპოქაში კულტურული ფასეულობების როლის შესახებ დისკუსიის სტიმულირების თვალსაზრისით. ვებერის მიდგომა ეწინააღმდება მარქსისტულს. მარქსი და მარქსისტები ამტკიცებდნენ, რომ საქმე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურის უსამართლობაშია, ამასთან ეკონომიკური განმსაზღვრელია. ისინი გვთავაზობენ ამ სტრუქტურების ანალიზს, მათ მხილებას და შემდეგ „გონივრულ“ გარდაქმნას ანუ „სამყაროს შეცვლას“. (ცეცხლაძე, 2010)

განსხვავებულია ვებერის მიდგომაც. მისი აზრით არსებული სტრუქტურები უეჭველად უნდა დარჩნენ, თუმცა ისინი ზოგჯერ უსამართლოა და ნამდვილად უნდა შეიცვალოს, მაგრამ არა სამყაროს „შეცვლის“ გზით, რადგან რჩება ადრინდელი კულტურა - ის შრომითი გარემო, რომელშიც წარმოიქმნენ და რომელშიც არსებობენ ეს სტრუქტურები. როგორც წესი, კულტურა ჯიუტი გარდუვალობით აღადგენს ძველ უსამართლო სტრუქტურებს და ზოგჯერ, უარესი სახითაც. ცხოვრება უნდა გაუმჯობესდეს და ეს შესაძლებელია, მაგრამ ამისთვის უნდა გვესმოდეს ღვთის ხმა და უნდა მივყვეთ მას, ვებერის აზრით პროტესტანტებმა ისმინეს ღვთის ხმა, დაიწყეს ცხოვრება ამ ხმისადმი მორჩილებით, რამაც ისინი ცხოვრების დონის გაუმჯობესებამდე მიიყვანა. გაჩნდა პროტესტანტული ეთიკა, ამან გამოიწვია „კაპიტალიზმის სული“ და თავად კაპიტალიზმიც, და სწორედ კაპიტალიზმის წყალობით შეძლო კაცობრიობამ რაციონალურად მოეწყო შრომა, მან მოგვცა მნიშვნელოვანი დადებითი შედეგი, ხოლო მიწიერ სიკეთეთა განაწილება უფრო სამართლიანად ხდებოდა, რამაც ცხოვრების დონის ამაღლებამდე მიგვიყვანა, ეს კი არ არის უმნიშვნელო. (ვებერი, 2004)

ამჟამად ბევრს წერენ იაპონიის, ჩინეთის, სამხრეთ კორეის ეკონომიკურ წარმატებებზე. ანალიტიკოსები ყოველივე ამას ხსნიან ამ ქვეყნების ხალხისათვის დამახასიათებელი შრომისმოყვარეობით, კეთილსინდისიერებითა და პატიოსნებით. ესენი რომ მათი ღირსებებია, უდავოა, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ეს თვისებები მათთვის დამახასიათებელი იყო ადრეც, მთელი ათასწლეულების განმავლობაშიც, მაგრამ ამან ვერ დაიცვა ისინი შიმშილისა და სიღატაკისგან. მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების პრინციპების დანერგვამ გახადა შესაძლებელი ის შთამბეჭდავი წარმატებები, რაც ბევრ ევროპულ ქვეყანასაც კი შურს. სინამდვილეში, რასაც ვებერი პროტესტანტულ ეთიკას უწოდებს, მართლმადიდებლებისთვისაცაა დამახასიათებელი. მართლმადიდებლურ ქვეყნებში იყვნენ და არიან ადამიანები, რომელთა სიტყვა და საქმე ერთია, იყვნენ და არიან პატიოსანი მეწარმეები, რომლებმაც უზარმაზარი წვლილი შეიტანეს თავიანთი ქვეყნების ფეხზე დაყენებასა და აყვავებაში. პროტესტანტული ეთიკა დიდი ხანია აღარ წარმოადგენს მხოლოდ პროტესტანტული ქვეყნების საკუთრებას, მაგრამ რადგან ეს ეკონომიკური წყობა სწორედ პროტესტანტულ გარემოში გაჩნდა, მისი სრული წარმატება მართლმადიდებლურ ქვეყნებში დაეჭვებას იწვევს ზოგიერთ ეკონომისტში.

ჩვენთან კაპიტალიზმი ხშირად გაიგივებულია მოგებისადმი თავაშვებულ გამოდევნებასთან, რის გამოც მეწარმეებისთვის დასაშვებია ყველაფერი. გავრცელებულია აზრი, რომ პატიოსანი კაპიტალისტი არ არსებობს ან ძალზე ცოტაა. მაგრამ, ვებერს არასოდეს არ გაუიგივებია კაპიტალიზმი მოგებაზე გამოდევნებასთან, საერთოდ არ თვლიდა ამას კაპიტალიზმის წარმოშობის მთავარ სტიმულად. უფრო პირიქით იყო. „მისწრაფებას მოგებისადმი, ფულადი გამორჩენისადმი არაფერი საერთო არ აქვს კაპიტალიზმთან. ეს მისწრაფება შეინიშნებოდა და შეინიშნება ოფიციანტებში, ექიმებში, მეეტლეებში, მხატვრებში, მზარეულებში, მექრთამე-ჩინოვნიკებში, ჯარისკაცებში, ყაჩაღებში, ჯვაროსნებში, აზარტულ მოთამაშეებსა და ღატაკებში - მთელი სერიოზულობით შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავისებურად all sorts and conditions of men ყველა დროისათვის და ყველა ქვეყნისათვის... (ვებერი, 2004)

მოგებისადმი თავშეუკავებელი მისწრაფება არანაირად არ არის გაიგივებული კაპიტალიზმთან, და, მით უმეტეს, მის „სულთან“. კაპიტალიზმი შეიძლება ითქვას ამ ირაციონალური მისწრაფების ალაგმვაა“. (ვებერი, 2004)

გარდა ამისა, მაქს ვებერი ამტკიცებს: „ყოვლისმომცველი აბსოლუტური ურცხვობა და ანგარება ფულის შოვნის საქმეში დამახასიათებელი იყო სწორედ იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც თავიანთი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური განვითარებით ჩამორჩენილები იყვნენ დასავლეთ ევროპის მასშტაბით“. (ვებერი, 2004) ფულის შოვნაში თავხედობა და ურცხვობა დღევანდელობის ერთ-ერთი, შეიძლება ითქვას ზღვარგადასული და მორალთან შეუთავსებელი, ქმედება გახდა, რომელსაც ერთ სახელს ვერ დაარქმევ.

კაპიტალიზმი ვებერის მიხედვით, სწორედ ეთიკური შეზღუდვებიდან, უმკაცრესი მორალური წესებიდან აღმოცენდა, რომელსაც იცავდნენ პროტესტანტები - როგორც დამქირავებლები და არა „ყველაფერი დასაშვებიდან“. ი. პოდბერეზსკის აზრით, პროტესტანტების დიდი დამსახურებაა ის, რომ საფუძვლიანად შეცვალეს ადამიანის დამოკიდებულება შრომისადმი. ღმერთმა ადამს, ვის გამოც „დაიწყევლა მიწა“, უთხრა „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა“. (ბიბლია, 1989) ასე იქნება სამყაროს დასასრულამდე, მაგრამ მარადიულ ცხოვრებაში კი ყველაფერი სხვანაირად იქნება. ოლივერ კრომველი ამბობდა, რომ ქრისტიანს მხოლოდ ორი რამის უნდა ეშინოდეს - ცოდვისა და სიზარმაცის. აქ დედამიწაზე ჩვენ გვევალება პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომა - ასეთი შრომა ღვთისგანაა კურთხეული. (ცეცხლაძე, 2010) ზოგიართი ამას მხოლოდ სიტყვიერად ეთანხმება და ნაკლებად მისდევს მას. ერთ-ერთმა მართლმადიდებელმა ჩაატარა გამოკითხვა, გამოსაკითხებს უნდა აერჩიათ სამიდან ერთი წინადადება. „პროტესტანტული“ – **„შრომა ზნეობრივი აუცილებლობაა, გულითადი და კეთილსინდისიერი შრომა დაჯილდოებული იქნება წარმატებებითა და კეთილდღეობით“**,

„მართლმადიდებლური“ - **„შრომა მძიმე ტვირთია, რომელიც უნდა ზიდო, რათა მოიპოვო არსებობის საშუალება, ზედმეტი შრომა სიხარბეზე მეტყველებს“**; „სეკულარული“ – **„შრომა ფულის შოვნის წყაროა, უნდა ეძებო ისეთი სამუშაო, სადაც შეძლებ ბევრი ფულის მიღებას ნაკლები დაძაბულობით“**. (ვებერი, 2004) გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე „პროტესტანტული“ პოზიცია აირჩია 55%-მა, „მართმადიდებლური“ – 15%-მა, ხოლო „სეკულარული“ კი - 32%-მა. გამოდის რომ ჭარბობს პროტესტანტული განწყობა, მაგრამ მკვლევრები აღნიშნავენ, რომ შრომისადმი დამოკიდებულება უკმარია, ძალზე ცოტაა კეთილსინდისიერი, ზომიერი, მუდმივი შრომის პრაქტიკა, ნაკლებია შეგნება იმისა, რომ არ არსებობს დამამცირებელი შრომა. (ცეცხლაძე, 2010) ეს და სხვა მსგავსი ვითარებები მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყნისთვისაა დღეს დამახასიათებელი. ადრეულ პერიოდში შრომა აუცილებლად „გმირული“ უნდა ყოფილიყო, შრომაში გარკვეული ისტერიული ხასიათები ვლინდებოდა, ადამიანები შეიძლება ასე ითქვას წელებზე ფეხს იდგამდნენ, გასახსენებლად კმარა თუნდაც გასული საუკუნის 30-იანი წლების „ჰეროიკული შრომა“, გეგმების „რეკორდულად მოკლე დროში“ „1000%-ით“ გადაჭარბება და ა. შ., ერთი სიტყვით შრომა იყო დიდებისა და გმირობის საქმე და არა ყოველდღიური საქმიანობა. აქედან გვყავდა ყოვლისშემძლე „შრომის გმირები“, „დამკვრელები“, „სტახანოველები“ და ა.შ. ბოლოს და ბოლოს მივიღეთ ის, რომ ფსიქოზური და ჰაიჰარად შრომა დღესაც რჩება თავსატეხად და ეს ჩანს არა მარტო საქმის ცოდნაში, არამედ მისდამი მიდგომებშიც. ის, რომ დღეს პატიოსანი შრომის არავის სჯერა, რეალობაა. ადამიანებს ეპარებათ ეჭვი იმაში, რომ უკეთესი მერმისი შესაძლებელია, რომ ღირს იშრომო მისთვის. მაგრამ ყველამ იცის, რომ აქ, დედამიწაზე, შრომა სავალდებულოა, როგორც პავლე მოციქულმა თქვა: „ვისაც შრომა არ სურს, ის ნუღარც ჭამს“ (2 თესლიკ. 3-10); შემდგომში ეს აზრი ვიცით თუ როგორ გამოიყენეს ბოლშევიკებმა. მაქს ვებერის წიგნი „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ მარქსიზმის სერიოზულ ალტერნატივად იქცა. აქ ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო. ვებერის თანახმად ქრისტიანობას შეუძლია იყოს არა მხოლოდ კომპენსატორული საშუალება ცხოვრებისეული წარუმატებლობისას, არა პასიური მჭვრეტელი, არამედ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების მამოტივირებელი ფაქტორი. ვებერს ეკუთვნის იდეა: სწორედ ქრისტიანობამ მისცა შესაძლებლობა გაჩენილიყო თანამედროვე კაპიტალიზმი, რომელმაც საწყისი მისცა საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებას, რისკენაც მიისწრაფვის დღეს მთელი მსოფლიოს მოსახლეობა.

დღეს ბევრი მოაზროვნე თვლის, რომ რწმენა მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლმხედველობასთან, რომელიც მთელი ცხოვრების სტილს განსაზღვრავს. როგორიცაა რწმენა, ისეთივეა ცხოვრება. მართლმადიდებელ ღვთისმსახურს იღუმენ ბენიამინს მიაჩნია, რომ ყველაზე განვითარებული ქვეყნები პროტესტანტულია, ნაკლებად განვითარებული - კათოლიკური, უფრო ნაკლებად განვითარებული - მართლმადიდებლური.

ვებერის თანახმად, დასავლეთში მოხდა ტრადიციულის ბიბლიურ ეთიკასთან საოცარი შეთავსება, პრობლემის რაციონალურად გადაჭრის კულტურასთან ერთად გააჩინა საერთო კეთილდღეობის ფორმირებისაკენ მიმართული სოციალური ქმედება. დასავლურ კულტურაში უმთავრესი იყო ორი თავისებურება: ერთი, პიროვნების განსხვავებული პერსოფიცირებული გაგება (საიდანაც იღებს სათავეს ადამიანთა უფლებები) და მეორე, რაციონალურობის განსხვავებული ტიპი (უფრო უნივერსალური), სწორედ ამ სასიკეთო შეხამებამ შექმნა ცნობილი პროტესტანტული ეთიკა. რუსი იღუმენის აზრით, შედარებით რთული ვითარებაა მართლმადიდებლებთან. ის წერს, რომ არ გაგვაჩნის რაციონალური მეთოდოლოგია, ღვთისმეტყველების ფაკულტეტები მართლმადიდებლური ქვეყნების უნივერსიტეტებში თითქმის არ არსებობს, არ გვაქვს სოციალური მოქმედების (ვებერის სიტყვებია) კონცეფცია, ერთი სიტყვით ბიბლიური ფასეულობები ჰაერშია გამოკიდებული, და ერთი რამ გვყოფნის მხოლოდ, პირადი ასკეტიზმი, რომელიც საერო შრომასთან არანაირად არ არის დაკავშირებული. მართლმადიდებლურ მონასტერში შრომითი ეთიკა ხშირად ტოლს არ უდებს პროტესტანტულს, მაგრამ მთელი პრობლემა იმაშია, რომ საერო საქმიანობა არ არის გაგებული, როგორც ღვთისგან მოწოდება.

მოსახლეობის ათეიზაცია ჯერ კიდევ მაღალ დონეზეა. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელსაც შეუძლია თავისი მზერა აღაპყროს ცისკენ, იგი შექმნილია ღვთის ხატად და მსგავსად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი დაჯილდოებულია თავისუფალი ნებით, გონიერებით, სიკეთისადმი მისწრაფებით, ადამიანი პასუხისმგებელია თავის ქმნილზე. თუკი ადამიანი ამას ასე გაითავისებს, ის შექმნის შრომით ეთიკასაც და უკეთესად მოაწყობს თავის გარემომცველ სამყაროს.

ბიბლიოგრაფია:

ბიბლია. (1989). თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა.
ვებერი, მ. (2004). *რჩეული ნაწერები რელიგიის სოციოლოგიის შესახებ.* თბილისი.
ცეცხლაძე, მ. (2010). *რელიგია და ეკონომიკა.* ბათუმი.
Вебер, М. (1972). *Протестантская этика.* Москва.

Manana Gagoshidze
Sokhumi State University
Natalia Bitsadze
Iakob Gogebashvili Telavi State University

MAX WEBER AND RELIGIOUS FACTOR

RESUME

By the Veber, Capitalism was born from Moral orders, which were protected by the Protestants. They protect it like employer. It is a huge deserve of Protestants that, they have changed human's opinion about labor. The Christians gave an opportunity of birth capitalism, which was a basic of entire prosperity. This entire prosperity is a thing of strong desire for the world nowadays.

Keywords: Capitalism, Protestants, Employer, Opportunity, Christians.

დავით გეფერიძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

„უდისციპლინო მგზავრების“ აქტუალური პრობლემის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების ასპექტები

საკვანძო სიტყვები: უდისციპლინო მგზავრი, იურისდიქციული ხარვეზი, გამოყენების სფერო, მართლსაწინააღმდეგო ქმედებების იურიდიული კლასიფიკაცია, საჰაერო ხომალდის მეთაურის იმუნიტეტი, სამოქალაქო საჰაერო ხომალდი.

უდისციპლინო მგზავრების მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთის პრობლემა დღეს არ წარმოშობილა. საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის (იკაო) მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ხდება მგზავრების არაადეკვატური ქმედებების შემთხვევების მდგრადი ზრდა სამოქალაქო საჰაერო ხომალდების ბორტზე. (Международная организация гражданской авиации (ИКАО), 2012)

„საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს კონვენციის მე-17 დანართის თანახმად (Международная организация гражданской авиации, 2011) „უდისციპლინო“ ან „წესრიგის დამრღვევი“ მგზავრების ცნების ქვეშ იგულისხმებიან მგზავრები, რომლებიც არ იცავენ საჰაერო ხომალდების ბორტზე ქცევის წესებს და რომლებიც არ ასრულებენ ეკიპაჟის წევრების მითითებებს და ამით არღვევენ საჰაერო ხომალდების ბორტზე წესრიგსა და დისციპლინას.

ასეთი ქმედებების შედეგად შეიძლება წარმოიშვას ფრენის შესრულების, იმ პირების სიცოცხლისათვის უსაფრთხოებისადმი საშიშროება, რომლებიც იმყოფებიან საჰაერო ხომალდის ბორტზე, გახდეს ფრენის გეგმის დარღვევის, დაუგეგმავი დაფრენის დაუსაბუთებელი ხარჯების მიზეზი და ა. შ.

ბოლო ხანებში ასეთი ინციდენტების უპრეცედენტო ზრდა სრულებით გასაგებად იწვევს მსოფლიო საავიაციო თანამეგობრობის შეშფოთებას.

„საჰაერო ხომალდში ჩადენილ დანაშაულთა და ზოგიერთი სხვა მოქმედების შესახებ“ ტოკიოს 1963 წლის 14 სექტემბრის საერთაშორისო კონვენციის (Организация Объединенных Наций, 1963) თავდაპირველ მიზანს წარმოადგენდა საჰაერო ხომალდის გატაცების შემთხვევაში ქმედებების სამართლებრივი რეგლამენტირება. შემდგომში ტოკიოს კონვენციის გამოყენების პრაქტიკამ აჩვენა მისი ცალკეული დებულებების გამოყენების შესაძლებლობა არა მხოლოდ საჰაერო ხომალდების ბორტზე დანაშაულებთან მიმართებაში, არამედ სხვა სამართალდარღვევათა მიმართაც, რომლებიც ცალკეული სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობით განეკუთვნება უფრო დაბალ დონეს.

ამრიგად, იმის მხედველობაში მიღებით, რომ ცალკეული სახელმწიფოების ეროვნული კანონები ითვალისწინებენ იურისდიქციის ნორმების გამოყენების სხვადასხვა სცენარებს უდისციპლინო მგზავრების მიმართ, ტოკიოს კონვენციის ავტორების მისწრაფება, მიაღწიონ გარკვეულ ერთგვაროვნობას ამ სფეროში, უნდა იქნას აღიარებული როგორც გასაგები და დროული.

თუმცა, როგორც აჩვენა შემდგომში სამართლის გამოყენების პრაქტიკამ, სამართლებრივი რეგულირების გარეშე დარჩა მთელი რიგი დებულებები, რომელთაც პრინციპული მნიშვნელობა გააჩნიათ. სწორედ ამიტომ 1986 წლის 3 ივნისს 148–ე სესიის მე–6 სხდომაზე იკაო–ს საბჭომ გადაწყვიტა შეეტანა იურიდიული კომიტეტის მუშაობის საერთო პროგრამაში საკითხი: „აქტები ან სამართალდარღვევები, რომლებიც იწვევენ საერთაშორისო საავიაციო თანამეგობრობის შეშფოთებას, მაგრამ არ ხვდებიან არსებული საჰაერო სამართლის დოკუმენტების მოქმედების ქვეშ“. (Международная организация гражданской авиации, 2013)

ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობის თაობაზე საერთაშორისო საჰაერო სამართალში ინციდენტების რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, რომლებიც დაკავშირებულია უდისციპლინო მგზავრებთან, არაერთხელ იქნა გამოთქმული ასევე საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის მიერ.

იურიდიულმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას და 2009 წლის სექტემბერში იურიდიული კომიტეტის 34–ე სესიის მსვლელობისას მიღებული იქნა გადაწყვეტილება ამ პრობლემის ირგვლივ სამუშაო ჯგუფის დაფუძნების თაობაზე. (Международная организация гражданской авиации, 2009)

იმის მხედველობაში მიღებით, რომ საერთაშორისო საჰაერო სამართლის წყაროს მოცემულ თემატიკაზე წარმოადგენს 1963 წლის ტოკიოს კონვენცია, საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა შემდგომი ძალისხმევა მიმართულ იქნა კონვენციის მოთხოვნების მოქმედ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა, სამართლის გამოყენების პროცედურების ჰარმონიზაცია, საჰაერო ხომალდის მეთაურის უფლებამოსილებების მკაფიოდ განსაზღვრა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთის ნაწილში და ა.შ.

ორგანიზაციულად ეს განმტკიცებული იყო იკაოს იურიდიული კომიტეტის სპეციალური ქვეკომიტეტის შექმნით ტოკიოს კონვენციის განსახილველად განსაკუთრებული აქცენტით უდისციპლინო მგზავრებთან მიმართებაში.

ტოკიოს კონვენციის სამართლებრივად გამოყენების პრაქტიკის განხილვისას აღნიშნული იქნა იურისდიქციული საკითხების გადახედვის ან კორექტირების აუცილებლობა. იკაო–ს პრაქტიკულად ყველა ფორუმზე მუდმივად განიხილება ეს იურისდიქციული ხარვეზი და გამოითქმება შესაბამისი რეკომენდაციები.

საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელი იურისდიქციის არარსებობა (კონვენცია იურისდიქციას ანიჭებს საჰაერო ხომალდის რეგისტრაციის სახელმწიფოს) აძლევს მრავალ მგზავრს (პირებს), რომლებიც არღვევენ წესებს (საჰაერო ხომალდის ბორტზე ქცევის წესებს) შესაძლებლობას თავი აარიდონ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ირღვევა ფრენის გეგმა, ხდება დაუგეგმავ აეროდრომზე დაფრენა და ა. შ.

იკაო–ს მიერ შემუშავებულ საინსტრუქციო მასალაში სამართლებრივი ასპექტების თაობაზე უდისციპლინო და წესების დამრღვევი მგზავრების პრობლემასთან მიმართებაში კონკრეტულ მაგალითზე საკმაოდ ნათლად არის ასახული ეს სამართლებრივი ხარვეზი, რომელიც დაკავშირებულია ტოკიოს კონვენციასთან.

2000 წელს ტაილანდის ავიაკომპანიის თვითმფრინავი გამოფრინდა ტაილანდის საერთაშორისო აეროპორტიდან და მიემართებოდა იაპონურ აეროპორტ ოსაკაში. მგზავრობის დროს, მგზავრმა მონღოლეთიდან ორჯერ მოუკიდა სიგარეტს ბიზნეს კლასის სალონის ტუალეტში. როდესაც ტაილანდის ავიახაზების ბორტგამყოლმა მოითხოვა ბორტზე სიგარეტის მოწევის შეწყვეტა, მას მიაყენეს შეურაცხყოფა და მოექცა ფიზიკური თავდასხმის ქვეშ. ინციდენტის შედეგად ბორტგამყოლმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები. დანიშნულების აეროპორტ ოსაკაში საჰაერო ხომალდის ჩაფრენის შემდეგ რეისის კაპიტანმა მოსთხოვა სამართალდამცველებს უდისციპლინო მგზავრის დაკავება. ფიზიკური გარემოებების შეფასების შემდეგ პოლიცია მივიდა დასკვნამდე, რომ მას არა აქვს უფლება მისცეს პასუხისგებაში დანაშაულებისათვის, რომლებიც იქნა ჩადენილი: ა) საჰაერო ხომალდის ბორტზე, რომელიც რეგისტრირებულია სხვა სახელმწიფოში იაპონიის გარდა (ტაილანდში); ბ) იაპონიის ტერიტორიის გარეთ (ანუ სადღაც ღია ზღვის თავზე); გ) სამართალდამრღვევის მიმართ, რომელიც არ არის იაპონიის მოქალაქე. იმის მხედველობაში მიღებით, რომ იაპონიის სამართლებრივი სისტემა არ ავრცელებს იაპონიის იურისდიქციას ასეთი აქტების განხილვაზე, აეროპორტის პოლიციამ გაათავისუფლა მონღოლი მგზავრი სასამართლო განხილვის ან ჯარიმის დადების გარეშე. მონღოლი

მგზავრი დარჩა თავისუფალი აბსოლუტური დაუსჯელობის პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ მან სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენა კონკრეტული რეისის უსაფრთხოება.

იმის გათვალისწინებით, რომ რეგისტრაციის სახელმწიფო ყოველთვის არ ემთხვევა ექსპლუატანტ სახელმწიფოს და სხვადასხვა მიდგომებია სხვადასხვა სახელმწიფოებში „იურიდიული პასუხისმგებლობის“ ცნების მიმართ, აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა ტოკიოს კონვენციაში იმ სახელმწიფოსათვის იურისდიქციის მინიჭების გზით, რომლის სამოქალაქო საჰაერო ხომალდიც გახდა იძულებული დაფრენილიყო უდისციპლინო მგზავრის გადმოსასმელად.

თვითონ იდეა დაფრენის სახელმწიფოსათვის იურისდიქციის მინიჭებისა არახალია. მოქმედ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს ამ სფეროში, შეიძლება მივაკუთვნოთ უკანონო აქტებთან ბრძოლის კონვენცია, რომელიც მიმართულია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ. (Организация Объединенных Наций, 1971)

ასეთი მიდგომის ერთ-ერთ უკანასკნელ შეფასებას შეიცავს საჰაერო სამართლის საერთაშორისო კონფერენციის მასალები (მონრეალი, 2014 წლის 26 მარტი – 4 აპრილი (Doc 10034). (Международная организация гражданской авиации, 2014)

აღნიშნულია, რომ „...ექსპლუატანტ სახელმწიფოს ჩართვა და დაფრენის სახელმწიფოს იურისდიქციის განხორციელება დაეხმარება უდისციპლინო ქცევის რაოდენობის ზრდის ტენდენციის შემცირებას საჰაერო ხომალდის ბორტზე... ძალზე სასურველია მოცემული იურისდიქციების შექმნა... დარჩა იმ საკითხის გადაწყვეტა, იქნება თუ არა ასეთი იურისდიქციები სავალდებულო თუ ფაკულტატური““.

სახელმწიფოების იურისდიქციის პრობლემების გარდა იკაო და საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაცია (იატა) აფიქსირებენ როგორც მინიმუმ ორ პრობლემას, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია უახლოეს მომავალში. ეს საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო აქტების მკაფიო კლასიფიკაციის არარსებობასთან და ტოკიოს კონვენციის გამოყენების სფეროს საკითხი.

სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას, საჰაერო ხომალდი ხვდება სხვადასხვა კონვენციების ნორმებისა და კანონქვემდებარე აქტების მოქმედების ქვეშ. ესა თუ ის ქმედებები ან უმოქმედობანი, რომლებიც ითვლებიან სამართალდარღვევებად ერთ ქვეყანაში, სხვა ქვეყანაში ასეთებად არ განიხილებიან.

ტოკიოს 1963 წლის კონვენციის ძირითადი აქტი ითვალისწინებს მის გამოყენებას შემდეგთან მიმართებაში:

1) სისხლის სამართლის დანაშაულებთან;

2) აქტებთან, რომლებიც „მიუხედავად იმისა, წარმოადგენენ თუ არა დანაშაულებს ან არა, შეიძლება შეუქმნან ან უქმნიან საფრთხეს საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებას ან მასზე მყოფი პირების და ქონების, ან აქტების მიმართ, რომლებიც უქმნიან საფრთხეს ბორტზე აუცილებელი წესრიგის და დისციპლინის დაცვას“. (Организация Объединенных Наций, 1963)

ტოკიოს კონვენციის გამოყენების პრაქტიკამ აჩვენა, რომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს ზოგადი სახით იმ სამართალდარღვევების ერთგვაროვანი ჩამონათვალი, რომელთა ჩადენასაც უნდა მოყვეს სისხლის სამართლებრივი დევნა.

იკაოს იურიდიული კომიტეტის საკვლევმა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია სამართალდარღვევების ჩამონათვალის შემუშავება (რაიმე კრიტერიუმების მიხედვით), რომელიც საბოლოო ჯამში განხილულია როგორც ორიენტირები (რეკომენდაციები) იკაო–ს წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობების შემუშავებისას, რომელიც უზრუნველყოფს დამრღვევების მიმართ სასამართლო დევნის შესაძლებლობას და მათ მიმართ შესაბამისი სანქციების გამოყენებას.

ჩვენი შეხედულებით, იკაო–ს მიერ შემუშავებული ტიპური სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც ეხება ზოგიერთ სამართალდარღვევას, წარმოადგენს ინტერესს სამართალდარღვევების ცალკეულ კატეგორიებად დაყოფის თვალთახედვით ფრენის კეთილსასურველი შედეგზე სახიფათო ზემოქმედების დონისა და შემდგომში სხვადასხვა სახელმწიფოს ეროვნულ კანონმდებლობებში შესაძლო ჩართვის მხრივ. (გეფერიძე, 2006)

ასე, სამართალდარღვევების პირველ კატეგორიაში შედის სამართალდარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია ეკიპაჟის წევრებზე ფიზიკურ ან მორალურ ზემოქმედებასთან. ეკიპაჟის წევრები – წარმოადგენენ ზემოქმედების ყველაზე მოწყვლად ობიექტებს, რადგანაც სწორედ მათ აკისრიათ პასუხისმგებლობა არა მხოლოდ შესაბამისი წესრიგის დამყარებაზე საჰაერო ხომალდის ბორტზე, არამედ შესასრულებელი ფრენის უსაფრთხოებაზე.

სწორედ ამიტომ ასეთ სამართალდარღვევებს განეკუთვნება:

1. „თავდასხმა, დაშინება ან მუქარა, ფიზიკური ან სიტყვიერი, ეკიპაჟის წევრების მიმართ, თუ ასეთი ქმედებების შედეგად იქმნება წინაღობები ეკიპაჟის წევრების მიერ თავისი მოვალეობების შესრულებისათვის ან მცირდება ეკიპაჟის წევრების შესაძლებლობა შეასრულოს ეს მოვალეობები";

2. „უარის თქმა საჰაერო ხომალდის მეთაურის ან ეკიპაჟის წევრის კანონიერი მოთხოვნების შესრულებაზე, რომელიც გაკეთებულია საჰაერო ხომალდის სახელით, საჰაერო ხომალდის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ან ბორტზე მყოფი ნებისმიერი პირის ან საკუთრების ან ბორტზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვის მიზნით".

სამართალდარღვევების შემდეგ ჯგუფს წარმოადგენს თავდასხმები და სხვა აქტები, რომლებიც ასევე უქმნიან საფრთხეს უსაფრთხოებას (ცირკულარი 288-LE/1 ICAO - საინსტრუქციო მასალები ფრენის უდისციპლინო და წესრიგის დამრღვევი მგზავრების პრობლემის სამართლებრივი ასპექტების შესახებ) (Международная организация гражданской авиации, 2002), მაგრამ არ არიან მიმართული კონკრეტულად ეკიპაჟის წევრების წინააღმდეგ.

მათ შეიძლება განეკუთვნებოდეს:

- ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკური ძალადობის გამოყენებასთან რომელიმე პირის წინააღმდეგ, რომელიც იმყოფება ბორტზე;
- თავდასხმები, დაშინება და მუქარები სხვა პირებთან მიმართებაში, ქონებისათვის წინასწარი განზრახვით დაზიანებების ან განადგურების მიყენება;
- სპირტიანი სასმელების ან ნარკოტიკული საშუალებების მიღება და ა. შ.

სხვა სამართალდარღვევების რიცხვს, რომლებიც ჩადენილია სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ბორტზე, ცირკულარი 288-LE/1 IKAO, კერძოდ, აკუთვნებს:

- მოწევა ტუალეტებში ან სხვა ადგილებში, რომელმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებას;
- კვამლის აღმომჩენი მოწყობილობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა საშუალებების დაზიანება, რომლებიც დაყენებულია საჰაერო ხომალდის ბორტზე;
- პორტატული ელექტრონული მოწყობილობის გამოყენება, თუ ასეთი გამოყენება აკრძალულია და სხვ.

რასაკვირველია, იკაო-ს მიერ შეთავაზებული სამართალდარღვევების დაყოფა ატარებს სავსებით პირობით ხასიათს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სამართალდარღვევების ფრენის უსაფრთხო დასრულებაზე ზემოქმედების დონეების მიხედვით დაყოფის მართლზომიერება იმსახურებს ყურადღებას.

რასაკვირველია, ეს მიდგომა შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნას ეროვნული კანონმდებლობის ფორმირებისას სხვადასხვა ქვეყნის მიერ.

მართლსაწინააღმდეგო აქტების იურიდიული კლასიფიკაციის პრობლემების გარდა, საკმაოდ სერიოზულ საკითხად რჩება მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების საკითხი სამოქალაქო საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ექსპლუატაციის კონკრეტულ ეტაპებზე.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ უდისციპლინო მგზავრის მართლსაწინააღმდეგო ქმედებები შეიძლება წარმოიშვას ტრაპზე, სამოქალაქო ხომალდის სალონში კარების დაკეტვამდე, სალონში კარების დაკეტვის შემდეგ, მოხვევებისას, ფრენის ნებისმიერ ეტაპზე, გაჩერების ადგილზე კარების დაკეტვამდე და ა. შ.

წარმოიშობა კითხვა: საჰაერო ხომალდის მეთაურს რომელ ეტაპზე აქვს უფლება განახორციელოს თავისი უფლებამოსილებები მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღსაკვეთად.

მთელ რიგ კონვენციებში, დაწყებული ტოკიოს კონვენციით, ეს დროითი ჩარჩოები სხვადასხვაგვარად განისაზღვრება და განსხვავებულად განისაზღვრება „ფრენის" ცნება.

ჩვენი თვალთახედვით, „ფრენის" ცნების ყველაზე რაციონალური განსაზღვრება ჩამოყალიბებულია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მიმართ უკანონო აქტებთან ბრძოლის კონვენციაში (პეკინის კონვენცია). (გეფერიძე, 2016) საჰაერო ხომალდი ითვლება ფრენაში მყოფად „ნებისმიერ დროს მისი ყველა გარეთა კარის დაკეტვის მომენტიდან ჩატვირთვის შემდეგ ნებისმიერი ასეთი კარის გაღების მომენტამდე გადმოსატვირთად; იძულებითი დაფრენის შემთხვევაში მიღებულია, რომ ფრენა მიმდინარეობს მანამდე, სანამ კომპეტენტური ხელისუფლები არ აიღებენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას საჰაერო ხომალდზე და იმ პირებსა და ქონებაზე, რომლებიც არიან ბორტზე"

იმ საკითხების განხილვისას, რომლებიც დაკავშირებული არიან უდისციპლინო მგზავრებთან საჰაერო სამართლის საერთაშორისო კონფერენციაზე (მონრეალი, 2014 წლის 26 მარტი) წარმოიშვა წინადადებები ტოკიოს კონვენციის მე-6 და მე-10 მუხლების ფორმულირებების ცვლილებების აუცილებლობის შესახებ საჰაერო ხომალდის მეთაურის იმუნიტეტთან მიმართებაში. ასეთი სახის წინადადებები უფრო ადრეც წარმოიშობოდა.

ტოკიოს კონვენციის მიღებამდე არ არსებობდა საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდნენ საჰაერო ხომალდის მეთაურის სისრულეს და მოვალეობებს აუცილებელი ზომების მისაღებად მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღსაკვეთად სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ბორტზე.

ტოკიოს კონვენციის მე-6 მუხლის არსებული რედაქციით ანიჭებს საჰაერო ხომალდის მეთაურს უფლებას გამოიყენოს „გონივრული ზომები, რომელიც აუცილებელია წესრიგის აღდგენისათვის საჰაერო ხომალდის ბორტზე, როდესაც მას გააჩნია გონივრული საფუძვლები იმისათვის, რომ რომელიღაც პირმა ჩაიდინა ან აპირებს ჩაიდინოს სისხლის სამართლის დანაშაული ან აქტი, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას უსაფრთხოებას“.

ეკიპაჟის მოქმედების მსგავს ახსნას გააჩნია ძალზე ბუნდოვანი ხასიათი და მოითხოვს სერიოზულ განხილვას.

ამ მომენტისათვის, იმის განსაზღვრისათვის, თუ იყო ჩადენილი ან თუ იქნება ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებები, საჰაერო ხომალდის მეთაური ვალდებულია შეუსაბამოს ეს ქმედებები რეგისტრაციის სახელმწიფოს შესაბამის კანონებს, სხვაგვარად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ადრე, უდისციპლინო მგზავრმა შესაძლებელია თავი აარიდოს პასუხისმგებლობას.

ვარაუდი იმისა, რომ საჰაერო ხომალდის მეთაური უნდა ეყრდნობოდეს გონივრულ აზრს, უსუსურია. ზოგჯერ ნებისმიერი მგზავრს შეუძლია, დაეყრდნობა რა სიტუაციის მისებურ გაგებას, მიიღოს მისი გაგებით აუცილებელი ზომები.

და აქ ძალზე მნიშვნელოვანია ერთიანობის პრინციპი, რომელიც დამტკიცებულია კონვენციის წევრთა უმეტესობის მიერ, რომლის თანახმადაც ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების გარდა საჰაერო ხომალდის მეთაურს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს დახმარება სხვა მგზავრების მხრიდან; ბ) გადმოსვას ნებისმიერი პირი ნებისმიერ სახელმწიფოში იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ის ტოკიოს კონვენციის მხარე; გ) გადასცეს მონაწილე სახელმწიფოს ხელისუფლებას ნებისმიერი პირი, რომელმაც ჩაიდინა ან აპირებს ჩაიდინოს დანაშაული რეგისტრაციის სახელმწიფოს ეროვნული კანონების თანახმად.

კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია შემზღუდავ ზომებთან საჰაერო ხომალდის ბორტზე, რომლებიც მიღებულ იქნა მეთაურის ან ეკიპაჟის წევრების მიერ, და რომელიც იწვევს აზრთა სხვადასხვაობას ტოკიოს კონვენციის მართლზომიერი გამოყენების პროცესში.

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების საკმაოდ დიდი რაოდენობა გამოთქვამს აზრს შეტანილ იქნას ცვლილებები ტოკიოს კონვენციის მე-10 მუხლში. ეს მუხლი ფაქტიურად ათავისუფლებს საჰაერო ხომალდის მეთაურს და სხვა პირებს, რომელთაც გამოიყენებს დაცვის ზომები, ნებისმიერი პასუხისმგებლობისაგან უდისციპლინო მგზავრისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, რომლის მიმართაც იყო გამოყენებული პრევენციული ზომები. ეს ვალდებულება მოიცავს საკუთარ თავში სისხლის სამართლის, მატერიალური და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას

მე-10 მუხლი ადგენს, რომ „ქმედებებისათვის, რომლებიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, საჰაერო ხომალდის მეთაურს, ეკიპაჟის ნებისმიერ სხვა წევრს, ნებისმიერ მგზავრს, მფლობელს ან ექსპლუატანტს არ ეკისრება პასუხისმგებლობა არცერთი სასამართლო განხილვის დროს პირთან მოპყრობასთან მიმართებაში, რომლის მიმართაც იქნა გამოყენებული ასეთი ქმედებები“.

ასეთმა კარტ-ბლანშმა, რომელიც ეძლევა საჰაერო ხომალდის მეთაურს, შეიძლება პრაქტიკაში გამოიწვიოს ძალზე მკაცრი მიდგომა უდისციპლინო მგზავრის მიმართ.

მიუხედავად ამისა, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო საჰაერო სამართლის ყველა კონფერენციაზე, აღიარებს რა ეკიპაჟის სამართლებრივი დაცვის გაძლიერების აუცილებლობას უდისციპლინო მგზავრთან ურთიერთობისას, არ თვლის აუცილებლად შეცვალოს ტოკიოს კონვენციის მე-6 და მე-10 მუხლების ფორმულირება საჰაერო ხომალდის მეთაურის იმუნიტეტთან მიმართებაში.

სტატიაში განხილული პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ფრენების უსაფრთხოებასთან უდისციპლინო მგზავრის ქმედების მიზეზით, მხოლოდ მცირე ნაწილია საკითხებისა, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ გადაწყვეტას.

სწორედ ამიტომ, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციები, უპირველეს ყოვლისა კი იკაო და იატა, დიდ ყურადღებას უთმობენ მქონე ყველა საერთაშორისო აქტის შესაბამისობაში მოყვანას გამოყენებით პრაქტიკასთან და დროის მოთხოვნებთან.

ბიბლიოგრაფია:

გეფერიძე, დ. (2006). სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციები საქართველოს კანონმდებლობაში. *ადამიანი და კონსტიტუცია* (2), 116-121.

გეფერიძე, დ. (2016). 2010 წლის საჰაერო სამართლის პეკინის საერთაშორისო კონფერენციაზე განსაზღვრული სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის აქტებთან ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების თანამედროვე ტენდენციები. *დიპლომატია და სამართალი* (1), 24-33.

Международная организация гражданской авиации. (Июнь 2002 г.). *Инструктивный материал по правовым аспектам проблемы недисциплинированных и нарушающих порядок пассажиров.* Получено из http://www.aviadocs.net/icaodocs/Cir/288_ru.pdf

Международная организация гражданской авиации (ИКАО). (9–17 сентября 2009 г.). *Юридический Комитет - 34-я Сессия: Проект доклада о работе юридического комитета в ходе его 34-й сессии.* Монреаль. Получено из https://www.icao.int/secretariat/legal/LC34_Docs/LC34_wp5-4_ru.pdf

Международная организация гражданской авиации. (Март 2011 г.). *Приложение 17 к Конвенции о международной гражданской авиации: Безопасность: Защита международной гражданской авиации от актов незаконного вмешательства.* Получено из http://www.6pl.ru/asmap/Annexes//an17_cons_ru.pdf

Международная организация гражданской авиации. (22–25 мая 2012 г.). *Специальный Подкомитет Юридического Комитета по Модернизации Токийской Конвенции, Включая Проблему Недисциплинированных Пассажиров.* Монреаль. Получено из https://www.refworld.org.ru/pdfid/5630e1cb4.pdf

Международная организация гражданской авиации (ИКАО). (24 сентября – 4 октября 2013 г.). *Ассамблея Тридцать Восьмая Сессия: Исполнительный Комитет: Доклад и Протоколы.* Монреаль. Получено из https://www.icao.int/Meetings/a38/Documents/10024_ru.pdf

Международная организация гражданской авиации (ИКАО). (4 апреля 2014 г.). *Протокол, изменяющий Конвенцию о преступлениях и некоторых других актах, совершаемых на борту воздушных судов.* Монреаль. Получено из https://www.icao.int/secretariat/legal/Docs/Final%20Act%202014.pdf

Организация Объединенных Наций. (14 сентября 1963 г.). *Конвенция о преступлениях и некоторых других актах, совершаемых на борту воздушных судов. Токио.* Получено из https://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/crimes_aboard.shtml

Организация Объединенных Наций. (23 сентября 1971 г.). *Конвенция о борьбе с незаконными актами, направленными против безопасности гражданской авиации.* Монреаль. Получено из https://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/aviation_security.shtml

David Geperidze

Gori State Teaching University

INTERNATIONAL LEGAL REGULATION ASPECTS OF THE ACTUAL PROBLEM OF "UNDISCIPLINED TRAVELERS"

RESUME

In the article there are discussed some aspects of the problem, related to the behavior of the undisciplined travelers on the public aircraft board. in the research conducted by the international civil aviation organization there is represented that in the field of civil aviation occurs continuous increase of the incidents of inadequate actions of travelers. In the article there is given the analyze of active international legal base. There are given conventions of Chicago, Tokyo and Pekin as the type of basic sources. On the base of analysis of the used international practice of law and of the normative legal base, there are determined three basic directions of development of the current legislation. Problems discussed in the article, which are related to the flying safety and which are caused by the behavior of undisciplined travelers are only small parts of the issue that should be solved immediately. Accordingly, international organizations of civil aviation, mainly "Ki Ikao" and "Iata" pay much attention to this issue and try to match all the international acts to the applied practice and to the time requirements.

***Keywords**:* Undisciplined traveler, Jurisdictional error, Applied sphere, Legal classification of unlawful actions, Immunity of a chief of an aircraft, Civil aircraft.

ნოდარ დარსანია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლიტიკა როგორც პრაგმატული აზროვნება

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური პრაგმატიზმი, პოლიტიკური პროცესი, პოლიტიკური სუბიექტები, პოლიტიკური სივრცე.

თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო იზრდება პოლიტიკის, როგორც განსაკუთრებული მოვლენის ფენომენის გაცნობიერების არეალი, ასევე მისი როგორც პრაგმატული აზროვნების შეცნობის სიღრმისეული სივრცითი მასშტაბები. ამიტომ დღეს წარმოუდგენელია ადამიანის ცხოვრება და აქტიური საქმიანობა პოლიტიკის გარეშე. პოლიტიკა ადამიანის არსებობა–მოღვაწეობის განმსაზღვრელია. აქედან გამომდინარე, საზოგადოების გარდაქმნა სოციალ–ეკონომიკურსა და კულტურულ–პოლიტიკურ სფეროში და მისი შემდგომი განვითარება პოლიტიკის მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს, რომლის განხორციელება შემეცნებისა და პრაგმატული აზროვნების ნიადაგზეა მხოლოდ შესაძლებელი.

დამოკიდებულება პოლიტიკისადმი როგორც პრაგმატული აზროვნებისადმი გულისხმობს სუბიექტური ფაქტორების, ობიექტურ გარემოებათა და კანონზომიერებათა მთელი რიგი კომპლექსისადმი მისი მიმართების გათვალისწინებას. ასევე – საზოგადოების ოპტიმალურ ფუნქციონირება–განვითარებას, სოციალური ჯგუფების, ინდივიდების ურთიერთობას ობიექტურ პროცესებზე მათი შეგნებული მოქმედების გზით. ასევე გულისხმობს პოლიტიკის მიზანს, მოღვაწეობას და, აგრეთვე, პოლიტიკური მიზნის მიღწევის ხერხებსა და საშუალებებს, ხოლო პოლიტიკის მიზანს უშუალოდ არსებულ პირობებში წარმოადგენს ოპტიმალური, სტაბილური მდგომარეობისა და დინამიური წონასწორობის დამკვიდრება-უზრუნველყოფა როგორც მოცემული ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. ამის შესაბამისად, პოლიტიკისა და პოლიტიკური საქმიანობის მოღვაწეობის სწორად წარმართვის ერთ–ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად გვევლინება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შორის დინამიური წონასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი, ადამიანის პოტენციალის ოპტიმალური განვითარების მიზნით. ამასთან დაკავშირებით პოლიტიკის განსაკუთრებულ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური პროცესების ცოდნა–გააზრება და გათვალისწინება, მათი გამოყენება პრაქტიკულ მოღვაწეობაში. პოლიტიკა უბრალოდ კი არაა დაკავშირებული პრაქტიკასთან, არამედ პრაქტიკა შეადგენს პოლიტიკის ორგანულ, განუყოფელ ნაწილს. პოლიტიკური პრაქტიკა თუ პრაქტიკული პოლიტიკა ერთი და იგივე ცნებებია.

უმნიშვნელოვანეს პირობას, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკის შიგნით და მის მიღმა მოქმედი ობიექტური გარემოების ასახვას, წარმოადგენს ისტორიული ფაქტორების შესწავლა, მისი გაკვეთილებისადმი ყურადღების მიპყრობა, პოლიტიკური მოღვაწეობის სფეროში რიგი მრავალმხრივი ფაქტორების განსაკუთრებულად და სრულად ასახვის გამოხატვისადმი სწრაფვა, რომლებიც მათზე ზემოქმედებენ. პოლიტიკაში ობიექტური მომენტის არსებობა და მისი დამოკიდებულება წარსულის მოვლენებზე ქმნის პოლიტიკური პროცესების წინასწარ განჭვრეტისა ან თვითმოდელირების შესაძლებლობას. თუმცა ამის გაკეთება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული დროის ალბათობით, რადგან პოლიტიკის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს კანონს წარმოადგენს არა მარტო არსებული ვითარების გათვალისწინება, არამედ შესაძლებელი შედეგების წინასწარ განჭვრეტა. შორსმჭვრეტელობა, გამჭრიახობა, მოქნილობა, მომავლის შესაძლო შედეგების, მოვლენათა მსვლელობის განჭვრეტა–პროგნოზირება, ესაა მიზანი, არსი, მიმართულება პოლიტიკისა და ერთ–ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი პოლიტიკის როგორც პრაგმატული აზროვნებისა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სრულყოფილი პოლიტიკური მოდელის შექმნის არაერთი მცდელობისა, პოლიტიკური მოვლენების ახსნა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განჭვრეტა მეტად რთულია. შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერული ანალიტიკური ანალიზისა და პოლიტიკური გონებამახვილობის გარეშე თითქმის შეუძლებელია. ეს იმით არის განპირობებული, რომ პოლიტიკის სამყაროს გააჩნია თავისი იმპლიციტური სტრუქტურები, რომელიც ისე განაპირობებს პოლიტიკურ აქტივობას, რომ ხშირად არ ხდება მათი გააზრება. რასაკვირველია ამ სტრუქტურების გაშუქება ლოგიკურ განსჯას, რეალობაზე კონცენტრირებულ მეცნიერულ მსჯელობას მოითხოვს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკა საკმაოდ რთული,

კომპლექსური და მრავალმხრივი სფეროა. პოლიტიკის თავისებურებას, როგორც მოღვაწეობისა და სოციალური ურთიერთობების ფორმას, მივყავართ პოლიტიკის როგორც პრაგმატული აზროვნების აღიარებამდე, რომლის არსი პოლიტიკის სპეციფიკის, ასევე მის სუბიექტურ, ისე ობიექტურ ფაქტორებსა და გარემოებებზე დამოკიდებულების ხედვის უნარში გამოიხატება. ის ვერავითარ კონკრეტულ ლოგიკაში ვერ თავსდება და იწვევს პოლიტიკაში დაკავებული ადამიანებისგან მუდმივ მზადყოფნას ახალ ვითარებებსა და სიტუაციებთან მიმართებაში, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს მათგან თავიანთი მოღვაწეობისადმი უაღრესად შემოქმედებით მიდგომას.

ამდენად, აქ არ შეიძლება წარსულის გამოცდილების მნიშვნელობის, პოლიტიკური ქცევის, ჩამოყალიბებული სქემების, პრობლემათა გადაწყვეტის ჩვეულებრივი წესების აბსოლუტიზირება. პოლიტიკის ეს თავისებურება შესაძლებლობას იძლევა მასში ჩართული იყოს ადამიანური ინტუიციები, მოიცავდეს ემოციების მთელ გამას და მორალური ნორმების ფართო სპექტრს კულტურის სტერეოტიპების გათვალისწინებით. ამიტომ პოლიტიკაში აუცილებელია მოქმედება სწრაფად და გააზრებულად. აქ არ არსებობს ჰიპოთეზების, საკითხების გადამოწმების საშუალებები და შესაძლებლობა. თუ პრობლემა დადგენილია და მიზანი დასახული, მოქმედება აუცილებელია. შესაბამისად, მიუხედავად ყველაფრისა, სასურველი შედეგიც გარდაუვალია.

ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა ასახავს მასში მონაწილე ადამიანების თავისებურებებს, კულტურულ–ემოციონალურ გარემოს, რომელშიც ისინი ჩამოყალიბდნენ თავიანთი აზროვნებით, ქცევით, მოქმედებით, ტრადიციებით. თანამედროვე პოლიტიკა არის ადამიანის, პოლიტიკური სუბიექტებისა და სოციუმის თეორიული და პრაგმატული პოლიტიკური მოღვაწეობა, პოლიტიკური სისტემის გარკვეული მოდელის დამკვიდრების, სახელმწიფოებრივ, კონსტიტუციური წესრიგის განმტკიცების, პოლიტიკური ხელისუფლებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ რაციონალურად საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის პროცესი... პოლიტიკა არის ადამიანთა ინტერესებისა და მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, საზოგადოების განვითარებისა და მისი ეტაპობრივი მოდერნიზაციის განმსაზღვრელი ფაქტორი (აბესაძე, 2004, გვ. 6). მაგრამ, თუ პოლიტიკის პირობები და მიმართულებები მრავალეროვანნი არიან, მაშინ არანაკლებ მრავალგვარი უნდა იყოს ის საშუალებები, რომლებიც პოლიტიკაში გამოიყენება. მათი შერჩევა და გამოყენების მომენტი წარმოადგენს პოლიტიკის არა მარტო როგორც ხელოვნების, არამედ პრაგმატული აზროვნების უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი რეალიზაციის რაციონალურობის უმაღლესი ხარისხის დონეს, რასაკვირველია, განსაზღვრულ დროსა და გარკვეულ პოლიტიკურ სივრცეში.

პოლიტიკური სივრცე პოლიტიკური პროცესის კონკრეტიზაციის აუცილებელი ატრიბუტია, რამდენადაც პოლიტიკა თავისი შინაარსით დროსა და სივრცეში ფუნქციონირებადი პროცესია. პოლიტიკის შინაარსი და სტრუქტურა ყოველთვის ერთნაირი არ არის და დამოკიდებულია პოლიტიკური სისტემის მოდელზე. (აბესაძე, 2016, გვ. 6)

პოლიტიკაში, შეიძლება ითქვას, ჩვენ საქმე გვაქვს რეალობის ელემენტთა განსაკუთრებულ მდგომარეობასა და მათ მუდმივ ცვლილება–დენადობასთან. აკი მისი უმნიშვნელოვანესი კომპონენტები, გადაწყვეტილებები, პროცესები, მოქმედებები, ურთიერთობები, მოვლენები ისეთებია, რომლებიც არასოდეს არ რჩებიან პირველადი უცვლელი ფორმით, მცირე დროის განმავლობაშიც კი. მუდმივად ცვალებადი გარემოებანი ყოველთვის მოითხოვენ ახალ ძალისხმევას, ახალ გადაწყვეტილებებსა და ახალ საშუალებებს მათი ცხოვრებაში გატარების მიზნით. აქედან გამომდინარე, ყველაზე ნაკლები ორი მნიშვნელოვანი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ: უპირველესი დეტერმინაცია პოლიტიკისა არის პროცესი, როცა პოლიტიკური ურთიერთობებისა ან მოქმედებების გაშლის მსვლელობისას გამოჩნდებიან ახალი გარემოებანი და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ შედეგებზე, თანაც ხშირად გადამწყვეტი ფორმით. თვით იმ პოლიტიკური შედეგის მიერ წარმოშობილ ახალ გარემოებათა და მომენტთა გათვალისწინება ხდის პოლიტიკას პრაგმატული აზროვნების ასპექტად, მოქმედების სფეროდ, რომელიც ორიენტირებულია შემოქმედებაზე, უშუალოდ მოქმედებაზე, მათ შორის, შემთხვევით გარემოებათა და ურთიერთდამოკიდებულებების ასპარეზზე. ამიტომ, თუ ვიმსჯელებთ, ზოგიერთი პოლიტიკოსის, სახელმწიფო მოღვაწის ნათქვამით, მათ შორის, შემთხვევით გარემოებათა გამო „პოლიტიკაში არ შეიძლება გეგმის შედგენა წინასწარ, ხანგრძლივ დროზე გათვლით და შემდგომ მის ფარგლებში ბრმად მოქმედება“. (ბრეგვაძე, 2010, გვ. 31) ამ სიტყვების ავტორად მიიჩნევენ ოტო ბისმარკს მე–19 საუკუნის გამოჩენილ პოლიტიკოსსა და დიპლომატს.

მეორე მხრივ, დამოკიდებულება პოლიტიკის ფაქტებისადმი არა როგორც ერთობ გაყინული მარადმოცემული მდგომარეობისადმი, სინამდვილისა, არამედ როგორც პროგრესისადმი, რომლებიც მუდმივ ქმნადობის ჩამოყალიბების ვითარებაში იმყოფებიან, ქმნის წარმატებული მომენტისა, პრაგმატული აზროვნებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ადამიანის შერჩევისა და მის

პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის აუცილებელ პირობებს. ნიკოლო მაკიაველის მოსაზრებით, ადამიანები ერთი და იმავე კანონების თანახმად, იბადებიან, ცხოვრობენ და კვდებიან. მისი აზრით, ვინც დააკვირდება წარსულსა და აწინდელ მოვლენებს ადვილად შეამჩნევს, რომ „ყველა სახელმწიფოში და ყველა ხალხში მბრძანებლობდნენ და მბრძანებლობენ ერთი და იგივე სურვილები და მისწრაფებები“, ამიტომ – განაგრძობს იგი, – „ყველაფერი ერთნაირად ხდება და ამქვეყნად ყველგან და ყოველთვის იმდენად და იმდენივე იყო სიკეთე, რამდენიც ბოროტება, მხოლოდ ეგაა, რომ ეს სიკეთე და ბოროტება სხვადასხვაგვარად მიეწოდებოდა სხვადასხვა ქვეყანაში“. (ბრეგვაძე, 2010, გვ. 30) ამგვარად, ნიკოლო მაკიაველის აზრით, ისტორია სხვა არა არის რა, თუ არა ამქვეყნად ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ ძალთა გადაადგილება-გადანაცვლება. მასალა, რომლისგანაც იქმნება საზოგადოებრივი ცხოვრება, ყოველთვის ერთი და იგივეა და თუ ამ ერთგვაროვანი მასალით წყდება სინამდვილე, სხვადასხვა დროში სხვადასხვა შედეგს გვაძლევს. ეს აისახება მხოლოდ იმით, რომ მის წიაღში შეიძლება პოლიტიკურ კომბინაციათა სხვადასხვაობა. (ბრეგვაძე, 2010, გვ. 31)

პოლიტიკური პრაგმატული აზროვნება, ისევე როგორც პრაგმატული აზროვნება, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის, მისი ბუნების, მისი გონების, მისი საარსებო მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის ნაირგვარ საშუალებათა ცოდნას ემყარება. (ბრეგვაძე, 2010, გვ. 31)

ამდენად, თანამედროვე პოლიტიკა არის პოლიტიკური სუბიექტებისა და სოციუმის თეორიული და პრაგმატული მოღვაწეობა; ღწვა პოლიტიკური სისტემის გარკვეული მოდელის დამკვიდრების, სახელმწიფოებრივ–კონსტიტუციური პოლიტიკური წესრიგის დამყარების, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წესრიგის განმტკიცებისათვის, პოლიტიკური ხელისუფლებისა და მისი ინსტიტუტების მიერ რაციონალურად საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის პროცესი საერთაშორისო მასშტაბით; ამასთან, – ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ინტერესების შეხამებისა და ეროვნულ–სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების დაცვის ძირითადი ფაქტორი. რამდენადაც პოლიტიკური დრო განსაზღვრავს ადამიანთა და პოლიტიკურ სუბიექტთა კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებს, ის პრაგმატულად გამოისახება და პრაგმატიზირდება გარკვეულ პოლიტიკურ სივრცეში. პოლიტიკური სივრცე კი პოლიტიკური პროცესის კონკრეტიზაციის აუცილებელი ატრიბუტია. (აბესაძე, 2004, გვ. 6)

საერთოდ, პოლიტიკა ესაა, საბოლოო ანგარიშით, გარკვეული სოციალური სუბიექტების ქცევის კულტურა, რომლის დედაარსი მდგომარეობს შემდეგში – მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური სარგებლობის მიღწევის უზრუნველყოფა. სწორედ ეს წარმოადგენს პოლიტიკის ერთ–ერთ კანონთაგანს. ამიტომ პოლიტიკურ პროცესებში ღირებულებათა პრიორიტეტების განსაზღვრა და სარგებლიანობის მიღწევა პრაგმატიზმის პრინციპების გამოყენებით განისაზღვრება. პრაგმატიზმი ესაა მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც პრაგმატული შედეგის მიღებაზეა ორიენტირებული. (თეზელიშვილი, 2007, გვ. 653) უმეტესწილად პრაგმატულ აზროვნებასა და პოლიტიკურ ხელოვნებაზე დამყარებული პოლიტიკა უაღრესად რთულ გეოპოლიტიკურ სივრცესა და ერთგვარად უწყვეტ პოლიტიკურ ცვლილებათა ხანაშიც გათვლილ შედეგებსა და რეალურ წარმატებებს აღწევდა.

ამრიგად, პოლიტიკური პრაგმატიზმი თანამედროვე პოლიტიკაში პოლიტიკური ტრანზიციისა და სახელმწიფოებრივი თვითდამკვიდრების ღირებულებითი პრიორიტეტების განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა, რამაც უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური პროცესების მართვის კულტურულ–ინტერნაციონალური მოდერნიზაცია და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა. (აბესაძე, 2016, გვ. 367)

რადგან პოლიტიკა არსებითად საზოგადოების წყობა ან მისი ორგანიზების წესია, მაშინ გასაგები ხდება, რომ ის განსაკუთრებული სისტემაა, რომელიც ასევე განსაზღვრავს მიმართულებას და ხელისუფლების რეალიზაციის წესს პიროვნებათა ურთიერთქმედებების ხერხებით მოცემულ საზოგადოებაში. უფრო სწორად, პოლიტიკა პოლიტიკური ერთობებისა და მათ შორის მიმდინარე პროცესია, რომლის არსი გვიჩვენებს, როგორ განიხილება საერო ფასეულობანი, რომელიც გაბატონებულ ხასიათს იძენს; როგორ თანამშრომლობენ და იბრძვიან ხელისუფლებისათვის სხვადასხვა პოლიტიკური ძალები (ინდივიდები, ინტერესთა ჯგუფები, ნაციონალური და ადგილობრივი მთავრობები, ერები) თავიანთი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფუნდამენტური ინტერესების დაცვის მიზნით; როგორ წარიმართება მსჯელობანი სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ და როგორ მოქმედებს ხელისუფლება ქვეყნისათვის მწვავე პრობლემების გადასაწყვეტად. (რიმერი, 2008, გვ. 6) პოლიტიკა პირველი მნიშვნელობით შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა გზებით: იმათი პოლიტიკა, ვისაც ხელში უპყრია ხელისუფლება და მას ახორციელებს; იმათი პოლიტიკა, ვინც ხელისუფლებას არ ფლობს და სურს მისი დაუფლება; პიროვნებებისა და ჯგუფების პოლიტიკა, რომლებიც თავისი მიზნების მიღწევას ესწრაფვიან და საკუთარ მეთოდებს იყენებენ; და ბოლოს, პოლიტიკა, რომელიც ესწრაფვის თავად წყობის შეცვლას. ეს ყოველივე სხვა არაფერია, თუ არა ვიწრო სამოქმედო პროგრამები ან ისეთი, რომელიც თავად მის ყოფნა-არყოფნას უკავშირდება. (პოლიტიკა და პოლიტიკური მეცნიერებები, 2010, გვ. 60-61)

პოლიტიკა მზარდი პოლიტიზაციის საუკუნეში გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. ბევრი რამ ისეთი, რაც წარსულში არ მიეკუთვნებოდა პოლიტიკას, ან უშუალოდ არ იყო მასთან დაკავშირებული, დღეს აღიქმება როგორც პოლიტიკური საკითხი. მთელი რიგი გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ადრე ან სულ არ იყო საჭირო ან ავტომატურად გამომუშავებული ჩვევით, ან კიდევ კერძო პირების მიერ იყო მიღებული, დღეს პოლიტიკური ორგანოების ფუნქციაში შემოდის და პოლიტიკური პროცესების ნაწილს შეადგენს... პოლიტიკა გულისხმობს საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. (დოიჩი, 2008, გვ. 5) მაგრამ, ამასთანავე, ჩვენ, საზოგადოებაც, ვახდენთ ზემოქმედებას პოლიტიკაზე. რამდენადაც პოლიტიკურ მოვლენებზე ზემოქმედება, მათი კონტროლირება საზოგადოების აუცილებელ ფუნქციას წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ პოლიტიკურ მოვლენებზე ზემოქმედება, მათი კონტროლირება საწყის ეტაპზე ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მისი სიმწიფის პერიოდში.

ამავდროულად, საყურადღებოა ის რეალობაც, რომ პოლიტიკური სისტემის ფარგლებში არსებობს პოლიტიკური ელიტა, რომელიც ფლობს ხელისუფლებას; მასები, რომელნიც ნდობას უცხადებენ ხელისუფლებას. არის ბევრი ჯგუფი, რომელიც არ შედის ელიტის შემადგენლობაში, მაგრამ მიისწრაფიან მიიტაცონ ხელისუფლება. როგორც წესი, ელიტის მოქმედება ორგანიზებულობის შედარებით მაღალი დონით ხასიათდება, რადგანაც ეს წარმოადგენს მათი ჰეგემონიის ერთ-ერთ დასაყრდენს. ელიტებისა და მათი მომხრეების ორგანიზებული მოქმედება მათ მიერ შემუშავებულ სტრატეგიასა და გამოყენებულ ტაქტიკაში ვლინდება, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს სამი ისეთი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებელ ცოდნას, როგორიცაა 1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების მიმდინარე და ფუნდამენტური მიზნების, მისი საერთო იერარქიისა და პრიორიტეტულობის, საზოგადოების წინაშე მდგარი შესაბამისი ამოცანების განსაზღვრას; 2. ასევე მიზნებისა და ამოცანების მიღწევისა და განხორციელების საშუალებებისა და მეთოდების განსაზღვრა–გარკვევას. 3. სრული პრინციპულობით განხილვა იმ საკითხებისა, რომელიც მომწიფებული პრობლემების დაყენებისა და გადაწყვეტის ორგანიზაციულ–პოლიტიკური უზრუნველყოფას განეკუთვნება. ამ პრობლემატიკაში უდიდესი როლი ენიჭება პოლიტიკურ პროგნოზებს, პროგნოსტიკასა და პრაგმატულ აზროვნებას, პრაგმატიკას მთლიანად. ეს იქიდან გამომდინარე, რომ იგი საერთოდ პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილია. სტრატეგია, ესაა მეტ-ნაკლებად მკაფიო პოლიტიკური გეგმები, რომელიც ემყარება ზუსტ და შორს მიმავალ პროგნოზებს, ხოლო ტაქტიკა არის სხვადასხვა სახის ოპერაციები, რომლებიც სრულდება სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. საერთოდ, კაცობრიობის ისტორიის მთელ მანძილზე პოლიტიკის აზრი, შინაარსი, სტრუქტურა და ფუნქციები იცვლებოდა იმისდა მიხედვით, თუ რა ძირითად მოთხოვნებს აყენებდა მის წინაშე საზოგადოების განვითარების გარკვეული პერიოდი. აქედან პოლიტიკური პრაგმატიზმი სამ ძირითად პარადიგმაზე უნდა აიგოს: პირველი, ესაა შემოქმედებითი პარადიგმა, რომელიც ითვალისწინებს პრობლემების კონცეპტუალურ შესწავლასა და გარკვეული კონცეფციებისა და თეორიების ჩამოყალიბებას; მეორე, ესაა ემპირიულ-სიტუაციური პარადიგმა, რომელიც პოლიტიკური პროცესის ღრმა კონკრეტულ ანალიტიკურ ანალიზს მოითხოვს და ითვალისწინებს პოლიტიკის ფუნქციონალური სარგებლიანობის შესაძლებლობებს; მესამე – გახლავთ ორგანიზებადი პარადიგმა, რომელიც ღრმა ანალიტიკური გააზრების საფუძველზე უნდა ითვალისწინებდეს მოსალოდნელ შედეგებს და ემყარებოდეს გარკვეულ სცენარებს, მოვლენებსა და კონცეფციებს. (აბესაძე, 2016, გვ. 367-368)

ამრიგად, პრაგმატული აზროვნება თავისი შინაარსით ნიშნავს კონკრეტულ ვითარებაში ისეთი ტაქტიკური გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების შესრულებას, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკურ შედეგებზე, მის წარმატებულობებსა და სარგებლიანობაზე გათვლილი და ორიენტირებულია. იგი პოლიტიკური მოღვაწეობის უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს და, რაც მნიშვნელოვანია, განსაკუთრებულ პოლიტიკურ–კულტურულ და ინტელექტუალურ დონეს მოითხოვს.

ამავდროულად, ნებისმიერი პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს ის აუცილებელი ნიშან–თვისება, რასაც პოლიტიკაში მოქნილობასა და აზროვნების კონკრეტულობას ვუწოდებთ, რომელიც ვლინდება და მკაფიოდ დაკავშირებულია პრინციპულობასთან.

ამგვარად, პრაგმატულობა პოლიტიკაში გულისხმობს ამ ფენომენის მეტად მრავალმხრივი და წინააღმდეგობრივი თვისებების თანაშეწყობა–შეხამების უზრუნველყოფას მეტად რთულ და მძიმე საქმიანობაში. ჩვენ მუდმივად ვიმყოფებით ისეთი რეალობის წინაშე, როდესაც პოლიტიკაში მიმდინარეობს პროცესები, რომლებიც ექვემდებარებიან მხოლოდ და მხოლოდ ბუნებრივი და ტექნიკური კანონზომიერებების მოქმედებას, მაგრამ ისინიც მოქმედებენ პოლიტიკური სუბიექტის, ადამიანური ნება–სურვილისა და ენერგიის უშუალო მონაწილეობის პირობებში.

ბიბლიოგრაფია:
აბესაძე, გ. (2004). თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების საგანი. *პოლიტოლოგია.*
აბესაძე, გ. (2016). *პოლიტიკური კულტურა.* თბილისი.
ბრეგვაძე, ბ. (2010). *ნიკოლო მაკიაველი, მთავარი.* თბილისი.
დოიჩი, კ. (2008). *პოლიტიკა და პოლიტიკური ფსონები.* თბილისი.
თეზელიშვილი, ს. (2007). *უცხო სიტყვათა ლექსიკონი.* თბილისი.
პოლიტიკა და პოლიტიკური მეცნიერებები (ნაწ. II). (2010).
რიმერი, ნ. (2008). *პოლიტიკური მეცნიერება; ამოცანები, სფეროები, პრობლემები.* თბილისი.

Nodar Darsania
Sokhumi State University

POLITICS AS PRAGMATICAL THINKING
RESUME

Political pragmatism in modern politics became determining factor of priorities of political transition and governmental self-determinating value. This provided cultural international modernization of political process management and protection of government interests.

Modern policy is theoretical and pragmatic thinking-creating of political subjects and society. It establishes a definite model of political system, creates a stable state-constitutional and state-political order. It works to arrange rationally political system through political power of the society and its institutions for the international scale.; Its aim is to combine national and general interests and determine the basic factor of national-state security. As the political period of time determines the specific political interests of human and political subjects, it is pragmatically expressed and pragmatized in specific political space. And the political space is the necessary attribute of political process concretization.

***Keywords*:** Political pragmatism, Political process, Political subjects, Political space.

მაკა დოლიძე
საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტი

ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციული ომი, აგვისტოს ომი, პრესა, ინფორმაციული შეტევა, ინფორმაციული დაცვა.

ინფორმაციული ომი თანამედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური და პოპულარული ტერმინია. ეს არის შეიარაღებული ძალების და სხვა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებები და ოპერაციები, რომლებიც მიმართულია მოწინააღმდეგეზე ინფორმაციული უპირატესობის მოპოვების და მისთვის მატერიალური და იდეოლოგიური ზიანის მიყენების მიზნით. ინფორმაციული ომი არ არის მთავარი მიზანი, მთავარია ზემოქმედება მოახდინოს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებზე და გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ინფორმაციული ომის დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ინფორმაციულ შეტევასა და ინფორმაციულ დაცვას. განვიხილოთ რა არის თითოეული მათგანი და ინფორმაციის გავრცელების რა მექანიზმებს იყენებს.

ინფორმაციული შეტევა არის:

- დესტაბილიზაციის გაძლიერება;
- უარყოფითი ინფორმაციის გავრცელება;
- ნეგატიური არხების და წყაროების შემოდინება.

აგვისტოს ომის დროს როგორც საქართველო, ასევე რუსეთი ერთმანეთის წინააღმდეგ უარყოფით ინფორმაციებს ავრცელებდნენ. საინფორმაციო საშუალებები ნეგატიურ წყაროებზე დაყრდნობით ომის გაჩაღებაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ. ქართული მედია ომის დაწყებას რუსეთს აბრალებდა, რუსული კი სულ სხვა ვერსიას ავრცელებდა. ერთ მხარეს მეორეზე პრეტენზიათა მთელი ნუსხა ჰქონდა შემუშავებული და ორივე ამტკიცებდა, რომ მისი არგუმენტები ჭეშმარიტია, არადა ორივე მხარე უამრავ ყალბ და გაზვიადებულ განცხადებებს აკეთებდა. მათ შორის იყო მოსახლეობის მსხვერპლთა რაოდენობა, რომლებიც შემდგომში არ დადასტურდა. ორივე მხარემ ჯეროვნად არ შეაფასა დაღუპულ სამოქალაქო პირთა რეალური რიცხვი. „რუსები ერიდებიან იმის გამჟღავნებას, რომ მათ აგრესიას ამხელა ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა. ქართველებისთვის კი ომს გაცილებით მეტი ხარჯი აღმოაჩნდა, ვიდრე ისინი ვარაუდობდნენ“ – წერდა ფილიპა რანერი. (Runner, 2008)

ინფორმაციული დაცვა არის:

- სტაბილიზაციის გაძლიერება;
- ყურადღების გადატანა პოზიტიურ ინფორმაციაზე;
- ფაქტების გამოაშკარავება უარყოფითი სახით.

ომს იგებს ის, ვისაც მეტი ინფორმაციული ბაზა აქვს. ამ შემთხვევაში ომი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. აქ საუბარია იდეოლოგიურ დაპირისპირებაზე. საზოგადოება შეიძლება ცრუ ინფორმაციის მიწოდებითაც დააბნიო. და სწორედ ამიტომ იყო რომ ოსური გაზეთი ყოველნაირად ცდილობდა საქართველო მტრის ხატად წარმოეჩინა. საყურადღებოა ოსი პუბლიცისტის თვალთახედვა, როდესაც იგი აგვისტოს მოვლენებსა და ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვებს შორის პარალელს ავლებს და აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის ტრაგედიამ მსოფლიოში აქამდე არსებული ყველა მოვლენა ჩაახშო. ამით პუბლიცისტს იმის თქმა უნდა, რომ რაც სამხრეთ ოსეთში მოხდა, ეს ვანდალური ქმედება იყო და ყველაფერში დამნაშავე საკაშვილის ფაშისტური რეჟიმი იყო. მაგრამ კარგი იქნებოდა აღენიშნა, რატომ და რა მიზეზით მოხდა ეს ფაქტი. მაგრამ ამ ფაქტების ანალიზისაგან იგი თავს იკავებს და მხოლოდ ცალმხრივი ბრალდებებით იფარგლება. ოსი პუბლიცისტი აქვე აღნიშნავს, ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს იყო უპრეცედენტო სასტიკი სამხედრო აგრესია, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ოსი ხალხის გენოციდი და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს რამდენიმე ფაქტი და არგუმენტი. (Джиоты, 2008)

როგორც ვხედავთ, საუკეთესო გზა ზეგავლენის მოსახდენად არის მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდება, რაც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია. ის უნდა მოვათავსოთ ყალბ რეალობაში, ისე, თითქოს რაც ხდება, ყველაფერი ბუნებრივია. სწორედ მოქმედების ამ ტაქტიკას მიმართავდა ოსი პუბლიცისტი. აკრიტიკებდა რა ქართულ მხარეს და ამკობდა მათ სხვადასხვა ეპითეტებით „ფაშისტური რეჟიმი”, „დამნაშავე მთავრობა” და სხვ. არაფერს ამბობდა რუსებზე, თითქოს მათ ამ ომის გაჩაღებაში არავითარი წვლილი არ მიუძღოდათ. არადა ომი რუსეთმა რომ დაიწყო, ამას დასავლეთის თითქმის ყველა საინფორმაციო საშუალება აღიარებს და იზიარებს მოვლენათა განვითარების ქართულ ვერსიას. ამ ფაქტს თვით პუტინიც კარგად გრძნობდა და აღშფოთებას გამოხატავდა ამის გამო. „გასულ კვირას პრემიერ-მინისტრმა პუტინმა გაოცება ვერ დამალა იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთი ასე ერთსულოვნად იზიარებს მოვლენათა განვითარების ქართულ ვერსიას“ – წერდა გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი”. (Chivers, 2008)

ამერიკული პრესის ფურცლებზე საუბარია რუსეთის აგრესიის შესახებ. ობიექტურად არის გაშუქებული რუსების ქმედება და სისასტიკე. ამ ქმედებათა მიზანი საზოგადოების დაშინება იყო. იძულება - მორალური და სულიერი ძალების გასატეხად. იგი მიმართული იყო იქითკენ, რომ საზოგადოებას უარი ეთქვა ომის გაგრძელებაზე. აქ ხდებოდა წინააღმდეგობის გაწევის სურვილისა და ნების გატეხვა, თანახმად ომის ერთ-ერთი პრინციპისა.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ აქ არაფერი ახალი არ იყო. ერთი მოწინააღმდეგე იყენებდა ტერორს მეორის ნების გასატეხად, ანუ ომში გასამარჯვებლად. ეს უბრალო თამაში მომაკვდინებელ ომში გადაიზარდა. „ეს ომი საქართველოსთვის უბედურება იყო. რუსეთმა ომის შემდეგ პატარა ქვეყნის ოკუპირება მოახდინა.“ (Kravitz, 2008) - ვკითხულობთ „ვაშინგტონ პოსტში“.

როგორც ვხედავთ, ჟურნალისტები სამართლიანად და ობიექტურად ასახავდნენ მოვლენებს და განუმეორებელ როლს და ფუნქციას ასრულებდნენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.

მედია-კრიზისის დაგროვილი მუხტი შემდგომში გადადის პოლიტიკურ, სამხედრო და ეკონომიურ სფეროში, რაც ხდის მას საკმაოდ გავლენიან ზემოქმედების ძალად.

რაც უფრო მეტ შეცდომას დაუშვებს მოწინააღმდეგე, მით მეტი გამარჯვების საშუალება გვეძლევა.

მედია-კრიზისს აქტიურად გამოჰყავს სცენაზე ახალი სახეები, ან ძველი სახეები ახალი ტექსტებით. სწორედ ასეთი ძველი სახე იყო პუტინი, რომელიც გაოცებას ვერ მალავდა იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთი ასე ერთსულოვნად იზიარებდა მოვლენათა განვითარების ქართულ ვერსიას.

საზღვარგარეთის მედია ყველაფერში პუტინს ადანაშაულებდა. მათ სწამდათ, რომ ეს იყო ნავთობისათვის ომი, რადგანაც საქართველოს ტერიტორიაზე გადის ენერგომატარებლის ორი მნიშვნელოვანი სადენი. ეს პუტინს ხელს უშლიდა გაეკონტროლებინა დასავლეთ ევროპისათვის საწვავის მიწოდება.

ამერიკელი ჟურნალისტის წერილში „რუსეთმა და ისრაელმა ბრძოლის მოგების მიუხედავად მტრების დამხობა ვერ შეძლეს“ საინტერესოდაა წარმოჩენილი ორი სახელმწიფო რუსეთი და ისრაელი, რომლებიც ომს აწარმოებდნენ მეზობელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ვინ გაიმარჯვა ამ ომში, ჟურნალისტისათვის გაუგებარია. „გაიმარჯვა თუ დამარცხდა რუსეთი საქართველოსთან ხუთდღიან ომში, და მოიგო თუ წააგო ისრაელმა სამკვირიანი ომი ღაზასთან?“ - კითხულობს დევიდ კრავიტზი და აქვე პასუხობს „შეიძლება ვამტკიცოთ, რომ რუსეთმაც და ისრაელმაც გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებში მარცხი განიცადეს, რადგან პროდასავლური პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კვლავ საქართველოს მმართველია, ისევე როგორც ღაზას სექტორის სათავეში რჩება ირანის მიერ მხარდაჭერილი ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა. (Sieff, 2009)

როგორც ვხედავთ საინფორმაციო ომის დროს საზოგადოებას მიეწოდება ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც ანადგურებს სისტემას. ამ შემთხვევაში ინფორმაცია არა მარტო ინფორმირების საშუალებაა, არამედ მანიპულირებისაც.

აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, ინფორმაციის გავრცელების თითოეული მექანიზმი ყველა საშუალების მეშვეობით უნდა კონტროლდებოდეს, რადგან მან ზიანი არ მიაყენოს როგორც თითოეული პიროვნების მორალურ თუ ფიზიკურ მხარეს, ასევე მთელი ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას.

ბიბლიოგრაფია:

Chivers, C. J. (2008, September 10). Georgia Offers Fresh Evidence on War's Start. *New York Times*.

Kravitz, D. (2008, August 11). Georgia may have sparked war with Russia. *Washington Post*.

Runner, P. (2008, October 15). *Vandalised EU flag tells story of Georgia conflict*. Retrieved from Euobserver: https://euobserver.com/foreign/26936

Sieff, M. (2009, January 22). Russia, Israel failed to topple enemies despite winning battles. *UPI*.

Джиоты, А. (23 августа 2008 г.). Бойцы Вспоминали Минувшие Дни… . *Южная Осетия*.

Maka Dolidze

David Aghmashenebeli University of Georgia

INFORMATION SHARING MECHANISMS

RESUME

Information war is one of the most popular and current terms of modernity. In the process of information war special attention is attached to information attack and information protection. Let's discuss each of them and the mechanisms of information sharing each of them uses.

Information attack is:

- Enhancement of destabilization;
- Dissemination of negative information;
- Inflow of negative channels and sources.

Information protection is:

- Enhancement of stabilization;
- Turning attention to positive information;
- Disclosure of facts in the negative form.

The war can be won by those, which have more information base. In such case we should not understand the war in its direct meaning. The talk here is about ideological controversy.

The society can be confused with delivering the false information.

In the process of information war the society is supplied with such information, which destroys the system. In this case the information is not only the means of information, but of manupulation as well.

Proceeding from this we can conclude that each mechanism of information sharing should be monitored through all means not to allow it damage both moral or physical side of each person and home and foreign policy of the entire country as well.

Keywords: Information war, August war, Press, Information attack, Information protection.

კლარა ელჩიბეგაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მცირედი სჯა ზურაბ კაკაბაძის წიგნზე „ფილოსოფია და ცხოვრება“

საკვანძო სიტყვები: ექსისტენციალური კრიზისი, პრობლემა, ფენიმენოლოგია, შეფასება, უნივერსალიზაცია, თვისობრიობა.

შესავალი

ზურაბ კაკაბაძე აზროვნების სიღრმით და ლაკონიური სტილით გვესაუბრება ფილოსოფიის ურთულეს საკითხებზე, საინტერესო პრობლემების განხილვისას, ფილოსოფოსების გარდა, ეხება მწერლებისა და ხელოვნების წარმომადგენელთა თვალსაზრისებს. კოტე ბაქრაძის გამორჩეული მოწაფე მასწავლებელს აზროვნების ფართო ჰორიზონტით ჩამოგავს. ადამიანის ცხოვრება, ზურა კაკაბაძის აზრით, უნდა იყოს თავისუფალი, შემოქმედებითი აქტიური. პოზიტივიზმი კი სამყაროსადმი ბუნების მეცნიერული უფრო კი, ფიზიკალისტური მიდგომის უნივერსალიზაციით გვაიძულებს ადამიანი სავსებით გარეგანი ფაქტორებით განსაზღრულად ჩავთვალოთ. ეს კი, ფაქტობრივად, უარყოფს ადამიანის თავისუფლებას. ამ პოზიციას მივყევართ სამომხმარებლო, ფიზიოლოგიურ ინტერესთა ბატონობამდე, ე.წ. კომფორტის კულტამდე, რაც ტექნიკის ფეტიშიზმს წარმოშობს.

მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

ზურაბ კაკაბაძე (1926-1982) თანამედროვე დასავლეთის კულტურისა და ფილოსოფიის სიღრმისეული პრობლემების თვალსაჩინო მკვლევარია. კვლევის ძირითადი საგანია ადამიანის პრობლემა. ფილოსოფიურმა შრომებმა, ესეებმა და წერილებმა მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა. ასეთია მონოგრაფიები - „ექსისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია“ (1966), „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“ (1970), „ხელოვნების ფენომენი'' (1980). რაც შეეხება ნაშრომს „ფილოსოფია და ცხოვრება“, რომელიც 2012 წელს ბათუმში გამოსცა გამომცემლობამ, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი'', აღგვიწერს ცხოვრების თუ რაოდენ ღრმა ფენებს ეხება ფილოსოფია, როგორც წესი, ეპოქის სააზროვნო ვითარების კრიტიკული გააზრება და შეფასებაა. ზურაბ კაკაბაძე აზროვნების სიღრმით და ლაკონიური სტილით გვესაუბრება ფილოსოფიის ურთულეს საკითხებზე, საინტერესო პრობლემების განხილვისას, ფილოსოფოსების გარდა, ეხება მწერლებისა და ხელოვნების წარმომადგენელთა თვალსაზრისებს. კოტე ბაქრაძის გამორჩეული მოწაფე მასწავლებელს აზროვნების ფართო ჰორიზონტით ჩამოგავს. „ადამიანის ცხოვრება, ზურა კაკაბაძის აზრით, უნდა იყოს თავისუფალი, შემოქმედებითი აქტიური. პოზიტივიზმი კი სამყაროსადმი ბუნების მეცნიერული უფრო კი, ფიზიკალისტური მიდგომის უნივერსალიზაციით გვაიძულებს ადამიანი სავსებით გარეგანი ფაქტორებით განსაზღრულად ჩავთვალოთ. ეს კი, ფაქტობრივად, უარყოფს ადამიანის თავისუფლებას. ამ პოზიციას მივყევართ სამომხმარებლო,

ფიზიოლოგიურ ინტერესთა ბატონობამდე, ე.წ. კომფორტის კულტამდე, რაც ტექნიკის ფეტიშიზმს წარმოშობს. პოზიტივისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლაში ზ. კაკაბაძე ჰუსერლში საიმედო მოკავშირეს ხედავს". (მახარაძე, 2013, გვ. 13-16, 308)

ფილოსოფია სვამს და შეძლებისდაგვარად წყვეტს საკითხს, რომელიც ადამიანის ცხოვრებას თავის უღრმესსა და უმნიშვნელოვანეს ფენაში ეხება. ზურაბ კაკაბაძე თავის ნაშრომში, „ფილოსოფია და ცხოვრება", განიხილავს შვეიცარიელი მწერლის, მაქს ფრიშის რომანს "Homo Faber," („ადამიანი მწარმოებელი"; რომანის გმირის, ინჟინერი კაცის ცხოვრების წესი სამყაროსადმი ტექნიცისტურ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა, იგი ყოველივეს განიხილავდა, როგორც მხოლოდღა რაოდენობრივ ერთეულს, როგორც გამოსათვლელსა და გამოსაანგარიშებელ ვითარებას; ყურადღების გარეშე რჩებოდა სიცოცხლე, როგორც განცდა და განცდის ღირსი ფორმა და თვისებრიობა, რომელიც ყოველგვარ ანგარიშს აღემატება. სიყვარულისა და მეგობრობის ღირსი ქალი ჰყავდა, მაგრამ ადვილად შეელია, რადგან „ანგარიშში" ჩასაგებად სულ ერთი იყო, ამ ქალთან იმეგობრებდა თუ სხვასთან; ქალიშვილი ჰყავდა და არც დაინტერესებულა. არც შეუტყვია, რომ ჰყავს, რადგანაც „ანგარიშში" ამით არაფრი შეიცვლებოდა. ბოლოს, უნებურად სისხლის ამრევი ურთიერთობა დაამყარა საკუთარ ქალიშვილთან, რომელიც მერე მის თვალწინ დაიღუპა. როცა შეიტყო, რომ იგი მისი შვილი ყოფილა, როცა ბოლოს თვითონ განუკურნებელი სენი აღმოაჩნდა და სიკვდილის წინაშე დადგა, მაშინვე მიხვდა, რომ ხელიდან გაუშვა ცხოვრება, რომ პრინციპულად ყალბი ყოფილა მისი ცხოვრების გზა. ეს იჟინერი ეპოქალური ტიპია, ცხოვრების ტექნიცისტური წესით. ზურაბ კაკაბაძეს მიაჩნია, რომ „ცხოვრება სამყაროში ორიენტირების, გზის გაგნებას გულისხმობს და მოითხოვს; ხოლო სამყაროში ორიენტირება და გზის გაგნება იმის საფუძველზეა შესაძლებელი, რომ ჩვენ წინასწარ ვითვალისწინებთ გარემომცველ არსებულთა რაობას და მაშასადამე, საქციელს; ეს წინასწარი გათვალისწინება კი, თავის მხრივ, იმას ეყრდნობა, რომ გარემომცველი არსებულები, მიუხედავად სხვადასხვაობისა და ცვალებადობისა, ერთსა და იგივე, საერთო და ზოგად, უცვლელ რაობასა და საქციელს ამჟღავნებენ და ამგვარად, რაღაც გარკვეულ წესებსა და წესრიგს ექვემდებარებიან. მოკლედ, ცხოვრება იმდენადაა შესაძლებელი, რამდენადაც სამყაროში გარკვეულ წესრიგს ვხედავთ. თუკი სამყარო მოკლებულია გარკვეულ წესრიგს ანდა, თუკი მოკლებული არაა, მაგრამ ჩვენ ვერა ვხედავთ მას და მაშასადამე, უწესრიგოდ ვიქცევით, მაშინ ცხოვრება რადიკალურად ფერხდება და, ბოლოს, შეუძლებელი ხდება''. (კაკაბაძე, 2012, გვ. 29)

სოკრატესა და პლატონის ფილოსოფოსობის ღირსებას სამყაროული წესრიგის ძიება წარმოადგენდა. ჩვენ, როგორც სხეული, სივრცესა და დროში განსაზღრულ ადგილს ვიკავებთ, აქ და ახლა. პლატონის აზრით ერთეული და ცვალებადი საგანი „ბაძავს" ზოგად რაობას, „მონაწილეობს" მასში და ასე ამჟღავნებს და გვიჩვენებს მას.

ერთეული და ცვალებად, სხეულებრივი არსებული, ზოგადსა და უცვლელს რაობას რომ „ბაძავს", ეს იმას ნიშნავს, რომ უმისოდ ყოფიერება აკლია და ამიტომაც ვერ ძლებს; რამდენადაც მხოლოდ „მიბაძვა და მსგავსებაა რასაც ბაძავს და ემსგავსება. „იდეა „ნამდვილი არსებული, დედანი და პირველსახეა. ხოლო ერთეული, ცვალებადი და წარმავალი. „იდეათა თეორიის" დაზუსტება სცადა პლატონის მოწაფემ არისტოტელემ. მისი აზრით იდეა ფორმაა მასალას ანუ მატერიას, სხეულს საჭიროებს. ხოლო რომ საჭიროებს, მას საამისოდ ძალაც გააჩნია. იგი აქტი და აქტიურობაა. პლატონის „იდეათა თეორია" არისტოტელს „რედაქციით გადაეცა შუა საუკუნეებს, განსაკუთრებით თომა აქვინელის ფილოსოფიაში თავისებურ დასრულებას მიაღწია. ეს დასრულება იმაში გამოიხატა, რომ აბსოლუტურ გონებას მატერიის არა მხოლოდ გაფორმების, არამედ აგრეთვე ქმნის ძალა მიენიჭა.

თომა აქვინელის ფილოსოფიაში აბსოლუტური გონება ქმნის მატერიას როგორც მასალას და აფორმებს მის მიერ იმთავით, მარადიულად, ერთხელ და სამუდამოდ. ეს ქვეყანა, რეალური სამყარო, ამგვარად, როგორც ფორმის, ასევე მატერიის მხრივ ღვთის ქმნილებაა. „პირველითაგან იყო სიტყუაი", სხვაგვარად, იმთავით იყო და არის ღვთაებრივი პროექტი იმის თაობაზე, თუ რა და როგორ იყოს, და აქედან, ამის მიხედვით წარმოსდგა ქვეყნიერება. ამ მარადიულსა და იდეალურ პროექტს ექვემდებარება ყოველივე რეალურად არსებული. მისგან გადახვევა და გადადგომა არსებობის კლებასა და დაკარგვას მოასწავებს. ღვთის წინასწარ მოფიქრებულია წესრიგის მიხედვით ქვეყნის შექმნა.

„ადამიანის ღვთაებრივი დანიშნულება იმაში გამოიხატება, რომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს, დაბოლოს, ადამიანთა გვარისა და მოდგმის არსებობის ინტერესებს ექვემდებარება და ემსახურება; მეორე მხრივ, მისი დანიშნულება ისაა, რომ სულიერებისა და გონიერების მხრივ მასზე აღემატებული ადამიანს დაექვემდებაროს, დაემორჩილოს და მოემსახუროს. ეს უკანასკნელი ამქვეყნად ღვთის „მოადგილედ", ანუ ღვთაებრივი წესრიგის „მწყემსად" და „მცველადაა" დანიშნული. მას მთელი საზოგადოება თუ საზოგადოების ნაწილი აბარია და როცა ნაკლებად სულიერი და გონიერი მისი მოყვასი იმდენად უგონო და ბრმა აღმოჩნდება, რომ თავის ადგილს ვერ აგნებს და ამდენად, საზოგადოებისა და მისადმი მორჩილებასა და მსახურებაზე უარს ამბობს, იგი სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით დაეხმარება მას

და თავის ადგილზე დააყენებს“. (კაკაბაძე, 2012, გვ. 36) ზურაბ კაკაბაძე განიხილავს რა პლატონის ფილოსოფიას, აღნიშნავს, რომ მისი (პლატონის) აზრით რამდენად „კეთილი თვისებების მქონე და მაშასადამე, სადაცაა დანიშნული ადამიანი, ეს მისი დაბადების შემდეგ, მისი საქციელის მიხედვით კი არ ირკვევა და წყდება, არამედ წინასწარ, დაბადებისთანავე ანუ მემკვიდრეობის მიხედვითაა გარკვეული და გადაწყვეტილი;

რაც უფრო გონიერია ადამიანი, მით უფრო შესწევს უნარი ჩაწვდეს ღვთაებრივ წესრიგს. რამდენადაც ღვთაებრივ ქესრიგში საკუთვრივ ყოფიერება გამოიხატება. ამდენად საკუთარი სხეულის, სხეულებრივ იმპულსების დამორჩილება და შეზღუდვა, „მოთოკვა“ ადამიანისათვის ყოფიერების მიღწევის საწინდარია. ღვთის წინაშე ვალმოხდილი, სხეულს განეშორება და სხეულისაგან განთავისუფლებული და გაწმენდილი გონიერი სულის სახით ღმერთს, როგორც აბსოლუტურ გონებას დაუბრუნდება. ასეთია პლატონის მიერ წამოწყებული და თომა აკვინელის ფილოსოფიაში დასრულებული გადაწყვეტილება, ყოფიერების საკითხის თაობაზე.

ახალი დროის ფილოსოფიამ ეჭვი შეიტანა იმაში, რომ სამყაროს რაობა, სამყაროული წესრიგი, ღვთაებრივი, აბსოლუტური გონებიდან წარმოსდგება. კანტის მიხედვით სამყაროული წესრიგი ადამიანის გონებიდან წარმოსდგება, ხოლო გონება შეზღუდულია და განსაზღრული, აქ და ახლა მყოფი გონება, ფაქტობრივი და ცვალებადი. კანტმა ვერ გაბედა ამგვარი შედეგის თავის თავზე აღება და ნაწილობრივ უკან დაიხია. გამოდიოდა, რომ სამყაროს რაობას, სამყაროულ წესრიგს და შესატყვის იდეალს ადამიანი აყალიბებს, „აკონსტიტუირებს“, მაგრამ არა როგორც ემპირიული, აქ და ახლა მყოფი, ფაქტობრივი, ცვალებადი და ისტორიული, არამედ ზეემპირიული, „ტრანსცენდენტალური“ სუბიექტი, რომელიც მარად უცვლელი, აუცილებელი ფორმებითა და წესებით ოპერირებს. კანტის ეს „უკანდახევა“ კიდევ უფრო გარღმავდა გერმანულ კლასიკურ იდეალიზმში. ჰეგელის მიხედვით, რეალური სამყარო აბსოლუტურ გონს, როგორც ამ სამყარომდე და მისგან დამოუკიდებლად, აქ და ახლა მყოფი, ფაქტობრივი და ისტორიული ადამიანების გარეშე იმთავით და მარადიულად „პროექტირებულ“ იდეალურ წესრიგს ექვემდებარება. „პირველთაგან იყო სიტყვაი“, ანუ მარადიული და იდეალური, ღვთაებრივი წესრიგი, როგორც პროექტი, ხოლო რეალური სამყარო თავისი მოძრაობითა და ცვალებადობით მხოლოდ მისი მიბაძვაა. ჰეგელის მიხედვით, აზროვნება, ცოდნა თვითმიზანის, ხოლო „არსებობისათვის ბრძოლა“ - სამისო საშუალება.

ზურაბ კაკაბაძის თვალსაწიერით კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნივთების შეძენისა და მოხმარების პროცესი გაცვლის რთული პროცესებითაა გაშუალებული, რიც გამოც ნივთის საცვლელი ღირებულება მის სახმარ ღირებულებას ჩქმალავს, რაზედაც წერდა მარქსი თავის „კაპიტალში“. საქონლის „ფეტიშური ხასიათის“ გამო ნივთებს იძენს არა იმდენად, რამდენადაც საჭიროებენ, არამედ იმდენად, რამდენადაც „საქონელია“ და „ქონება“. თავგანწირვით იბრძვიან ნივთების შესაძენად. ჰიპერტონიისა და ინფარქტის საფრთხის ქვეშ ძილსა და მოსვენებას კარგავენ.

ადამიანი საყოველთაო სანიმუშო სტანდარტების მიხედვით რომ ცხოვრობს და ყალიბდება, სხვათაგან განურჩეველ, სტანდარტულ სახეს იღებს და სწორედ ამიტომ ვერ ახერხებს სხვათა ცნობიერებაში შეღწევას და ასე საკუთარი არსებობის დადასტურებას, გაფართოებასა და გაძლიერებას - იგი საკუთარ თავში იკეტება და იხშობა. უფრო მეტიც, საბოლოო ანგარიშით, მას თვითონვე უჭირს სხვათაგან თავის გარჩევა. საკუთარ ცნობიერებაშიც ვერ იკიდებს ფეხს და იკარგება, ხოლო ადამიანისთვის სრულიად აუტანელია თავის დაკარგვის განცდა. ზურაბ კაკაბაძე წინა პლანზე წევს „ეკოლოგიურ კრიზისს“. მას მიაჩნია, რომ ინდუსტრიული პროცესების შედეგად ბუნება მეტისმეტ გარდაქმნას და ბოლოს, გადაგვარებას განიცდის ისე, რომ მასში თანდათანობით ისპობა სიცოცხლის ელემენტარული პირობები. იგი ხაზს უსვავს იმ საკითხს, რომ დღეს მსოფლიოში მთელი ცივილიზებული სამყარო ამ საკითხზე ალაპარაკდა, ბუნების დაცვის სასარგებლო მოძრაობა აღიძრა, რომ ბუნების დაცვა ინდუსტრიული პროცესების კონტროლირებას და გონივრულად წარმართვას გულისხმობს.

ზურაბ კაკაბაძის აზრით, ბუნება არაა ადამიანის ნების უბრალო ობიექტი და, მით უფრო, მეორე ადამიანი არაა ასეთი, იგი განუმეორებელი ინდივიდუალურობაა. იგი ჩვენი ვიწრო და ნაკლული არსებობის გაფართოებაა, შევსება და გაგრძელებაა. იგი უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სიყვარულის, სიმპათიის და თანაგრძნობის ძვირფასი არსებაა.

ბიბლიოგრაფია:

კაკაბაძე, ზ. (2012). *ფილოსოფია და ცხოვრება.* ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კაკაბაძე, ზ. (1972). *წერილები.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

მახარაძე, მ. (რედ.). (2013). *ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია* (ტ. 4). თბილისი: უნივერსალი.

Klara Elchibegashvili
Gori State Teaching University

A LITTLE BIT ABOUT ZURAB KAKABADZE'S BOOK "PHILOSOPHY AND LIFE"

RESUME

According to Kakabadze's point of view the process of obtaining and consuming things is full of a variety of changes. As a result the real value of an item is concealed by its consuming value. Marx wrote in his "Capital": due to "fetishism character of things" people obtain them as they represent properly rather than they are necessary, so people desperately fight to obtain them. Being restless and sleepless people are constantly under the stress and threat of hypertension and infarction. Considering (analyzing) Platon's philosophy Kakabadze marks: a person's kind and positive qualities are determined not so much for his birth and behavior as for his heredity, that is before his birth.

Keywords: Existential crisis, Problem, Phenomenology, Assessment, Universalization, Qualitative.

თინათინ ზაქარაშვილი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

დეზინფორმაციის კომუნიკაციური რისკ ფაქტორები

საკვანძო სიტყვები: დეზინფორმაცია, მედია, ნაკადები, სანდოობა, ინფორმაციული სივრცე.

ინფორმაციულ საუკუნედ აღიარებული 21–ე ასწლეული, არა ზოგადად ინფორმაციის, არამედ ყალბი ინფორმაციის სიჭარბითაც გამოირჩევა. თანამედროვე საზოგადოება მედია საშუალებების სიმრავლის და ინფორმაციის მოპოვება–დამუშავების, შენახვის, გავრცელებისა და მიღების ტექნოლოგიების ინტენსიური განვითარების პირობებში ფუნქციონირებს. მედია სივრცე ინფორმაციულადაც მრავალფეროვანია.

ახალმა ტექნოლოგიებმა და საკომუნიკაციო არხების სიმრავლემ გაამარტივა ნებისმიერი შინაარსის ინფორმაციის მიღება–მოპოვება. აქტიურად მონაწილეობს ინფორმაციულ პროცესებში თავად აუდიტორიაც.

ინფორმაციული ნაკადების სიმრავლემ და ინტერნეტ მედიის განვითარებამ ინფორმაციის სიჭარბე გამოიწვია. არსებულ ინფორმაციულ გარემოში შეიქმნა სარწმუნო, ხარისხიანი და ზუსტი ინფორმაციის არჩევის პრობლემა. ვინაიდან ინფორმაციული სივრცე ღია და გამჭვირვალე სისტემაა, მუდმივად ფართოვდება, რაც ადამიანის მიერვე ხორციელდება, და ნებისმიერი ინფორმაციის არსებობას უზრუნველყოფს. ამდენად, მასში ინტეგრირებული ფორმით და ერთდროულად ვრცელდება როგორც რეალობის ადეკვატურად ამსახველი, ასევე დამახინჯებული და ყალბი – „ფეიკ" ინფორმაციები.

სტატიაში განვიხილავთ მედიასივრცეში ყალბი ინფორმაციის გავრცელებით გამოწვეულ რისკებს და მათი სიმრავლის განმაპირობებელ ფაქტორებს. არსებულ ინფორმაციულ გარემოში საზოგადოებას მრავალნაკადად და უსწრაფესად მიეწოდება სხვადასხვა შინაარსის ცნობები, ამდენად რთულდება სარწმუნო, სანდო, სინამდვილის ამსახველი ინფორმაციის გამოვლენა.

ნებისმიერი ამბავი ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანებზე, უქმნის გარკვეულ წარმოდგენას და, შესაძლოა, სხვადასხვა მოვლენებიც განაპირობოს მათ ცხოვრებაში. ხშირ შემთხვევაში ეს ზემოქმედება ძნელად შესამჩნევია, ჩვენ არ ვინტერესდებით, სარწმუნოა თუ არა ინფორმაცია, რომელმაც გარკვეული ქმედებებისკენ, აზრისკენ გვიბიძგა. ყოველი ქმედება ურთიერთკავშირშია ინფორმაციასთან. დღევანდელობის უმთავრესი პრობლემა უსარგებლო ინფორმაციის, გამონაგონის სიჭარბეში მდგომარეობს. საზოგადოება შეპყრობილია ინფორმაციის მიღებით. არც თუ იშვიათად, რეალობას მოკლებული, გადაუმოწმებელი ინფორმაციით ხდება მკითხველის, მსმენელის, მაყურებლის თუ მომხმარებლის დაინტერესება. ინტერნეტ სივრცე, რომელიც

მასობრიობით, ხელმისაწვდომობით, ოპერატიულობითა და ინფორმაციული სიჭრელით გამოირჩევა, დღევანდელობის განუყოფელ ნაწილად იქცა. უამრავი ინტერნეტგვერდი არა ინფორმაციის სანდოობასა და სარგებლიანობაზე, არამედ მარკეტინგულ გარიგებებზეა ორიენტირებული და ცდილობს გამონაგონი სენსაციებით მიიზიდოს აუდიტორია. „ინფორმაციულმა აფეთქებამ", მედია არხების სიმრავლემ სანდო ინფორმაციის არსებობას საფრთხე შეუქმნა. ინფორმაციის სიჭარბე აბნევს თანამედროვე საზოგადოებას.

შეტყობინების სანდოობას, როგორც ინფორმაციის სარწმუნოობა, ისე მისი შეგროვების მეთოდების ადეკვატურობა განაპირობებს. უზუსტობას, ხშირ შემთხვევაში, ამბის ყალბი სახით განზრახ გაშუქება იწვევს. გამონაკლის შემთხვევებში, არასანდო ინფორმაცია „სანდო" ინფორმაციად გარდაიქმნება – ეს მაშინ, როდესაც შეტყობინების მიღების დროს უკვე ცნობილია მისი არასანდოობის ხარისხი. ისიც ხაზგასასმელია, რომ მასალაში რაც უფრო მეტია პირველეული წყარო, მით უფრო საიმედო და სარწმუნოა იგი. ინფორმაციის სიჭრელის პირობებში, ადამიანები ხშირად ვერ ვპოულობთ ჩვენთვის ნამდვილად სასარგებლო, უტყუარ ინფორმაციას. სანდოა ინფორმაცია, რომელიც სრულად და სწორად ასახავს რაიმე მოვლენას, ფაქტს, პროცესს. სანდოობა ნიშნავს ფაქტის „დაუმახინჯებლად" გაშუქებას, არსებითი გრამატიკული, თუ იდეური, შინაარსობრივი შეცდომების გარეშე, რაც, საბოლოოდ, ინფორმაციის სახეცვლილებას გამოიწვევს.

საზოგადოება სანდო ინფორმაციის გაგებას მედიისაგან ელის, რაც ლოგიკურია. მედია „რეალისტური" უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ადამიანი თავისებურად აღიქვამს ინფორმაციას და შეტყობინების ხარისხზე გარკვეული დამაბრკოლებელი ფაქტორებიც ზემოქმედებს, ფაქტი, ანუ ის, რაც სინამდვილეში მოხდა, უცვლელი რჩება. მოქალაქეები დამოკიდებულნი არიან მოვლენათა შესახებ სწორ და სანდო ანგარიშზე, რადგან ჟურნალისტიკა სოციალურ კონტექსტში არსებობს. აუდიტორიას შეუძლია ადეკვატურად შეაფასოს ინფორმაცია, ადვილად დაინახოს სიმართლე, თუ წყარო ავტორიტეტულია და არგუმენტები წარმოჩენილია გამჭვირვალედ, გადამოწმებულია. მასმედიამ თავი უნდა შეიკავოს ჭორებისა და ცილისწამებისგან. საზოგადოებაში იზრდება სიმართლისადმი მოთხოვნილება, რადგან საგრძნობლად მოიმატა ცრუ, დამახინჯებული ინფორმაციის რაოდენობამ. თუმცა, 21-ე საუკუნეში, ინფორმაციული არხების სიმრავლის პირობებში, შეუძლებელია დეზინფორმაციის თავიდან აცილება. თუნდაც იმიტომაც, რომ ინტერნეტ ტექნოლოგიების ეპოქაში ყველა მსურველს შეუძლია მოირგოს „ჟურნალისტის მანტია" – თავადაც შექმნას და გაავრცელოს ნებისმიერი შინაარსის ინფორმაცია.

დეზინფორმაცია, ონლაინ განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, არის „ყალბი ცნობების გავრცელება გაზეთის, რადიოს და სხვ. საშუალებით ვისიმე შესაცდენად". (უცხო სიტყვათა ლექსიკონი)

დეზინფომაცია, ანუ „ფეიკ ნიუსი" მიზანმიმართულად შექმნილი ყალბი შეტყობინებაა – ტყუილი, რომელიც კონკრეტული ჯგუფის, ან კონკრეტული ინდივიდის ინტერესებს ემსახურება.

დეზინფორმაციას უწოდებენ ინფორმაციით მანიპულირების პროცესსაც, რომელიც მიზნად ისახავს აუდიტორიის შეცდომაში შეყვანას, ცრუ შთაბეჭდილების შექმნის მცდელობას არასრულყოფილი, ან გაუფასურებული ინფორმაციით, დამახინჯებული კონტექსტით. ამდენად, დეზინფორმაცია ადამიანის საქმიანობის შედეგია, უბიძგებს მას გარკვეული ქმედებებისკენ.

დეზინფორმაციის მიზანია:

- „კონკრეტული პირის ან გარკვეული ჯგუფის შეცდომაში შეყვანა (მათ შორის მთელი ერის);
- მანიპულირება (მთელი ჯგუფის ან ერთი ადამიანის ქცევებით);
- საზოგადოებრივი აზრის შექმნა რაღაც პრობლემის ან ობიექტის მიმართ". (Википедия)

აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა იგივეა, რაც „პირდაპირი მოტყუება", ცრუ ინფორმაციის მოწოდება.

ყალბი ინფორმაცია – „ფეიკი" (Fake News) პროპაგანდის შემადგენელი ნაწილია. თუმცა, თუ დეზინფორმაციის ზოგიერთ მაგალითს განვიხილავთ ვნახავთ, რომ ამ ტიპის ინფორმაცია შეიძლება სიმართლის ელემენტებსაც შეიცავდეს. სწორედ ამიტომ იყენებენ მას პროპაგანდის ინსტრუმენტად.

სხვადასხვა სახის ყალბი ამბავი არსებობს:

- „ამბავი, რომელსაც განზრახ შევყავართ შეცდომაში;
- ხუმრობა, რომელიც რეალობად აღიქვეს;
- ახალ ამბავში სელექციურად შერჩეული ინფორმაცია;
- ამბავი, რომელშიც რთულია სიმართლის დადგენა;
- ცრუ ამბავი, რომელიც ცუდი განზრახვით არ ვრცელდება და რაიმეს ან ვინმეს პოპულარიზაციას ემსახურება". (გურგენაშვილი, 2017)

მაგალითად, „შეცდომაში განზრახ შემყვან" ინფორმაციად შეგვიძლია დავასახელოთ შეტყობინება, რომელიც გვამცნობს, რომ 2016 წლის მარტიდან ევროკავშირის ქვეყნებში ბავშვის მონათვლა აიკრძალებოდა. ეს ამბავი ძირითადად სოციალურ ქსელებსა და საინფორმაციო საიტებზე გავრცელდა

2016 წლის იანვარში. როდესაც გაირკვა, რომ შეტყობინება ყალბი იყო, ბევრმა წაშალა საკუთარი გვერდიდან. newpress-მა მეორე დღესვე აღნიშნა, რომ ეს იყო განზრახ ტირაჟირებული სიცრუე და ანტიდასავლური პროპაგანდა. ვინაიდან აღნიშნული ინფორმაცია უტყუარ ფაქტად ინტერნეტ მედიასაშუალებებმა გაავრცელეს, აუდიტორიამ ფაქტ-მეტრს სთხოვა გადაემოწმებინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ის რეალობას. MediaCity.ge- გამოქვეყნებულ ამ ინფორმაციას დაახლოებით 5 000 გაზიარება ჰქონდა და იუწყებოდა, რომ „ნათლობა არღვევს ევროპული კონვენციის მე-16 მუხლს". (ქეცბაია, 2016) თუმცა გადამოწმდა და დადგინდა, რომ აღნიშნული მუხლი შეზღუდვებს ეხებოდა უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე და არანაირი კავშირი არ აქვს ნათლობის აკრძალვასთან. გადამოწმდა იტალიური წყაროებიც და აღნიშნული ინფორმაცია ვერცერთი დოკუმენტით ვერ დადასტურდა. ფაქტ-მეტრის კვლევის შედეგად ნათელი გახდა ამ ინფორმაციის სიყალბე. (ქეცბაია, 2016) განხილული პუბლიკაცია ევროპული ლიბერალური პოლიტიკის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებას გამოხატავდა. ანტიევროპული მოწოდებები ჭარბობდა მის კომენტარებშიც. მასალაში ფაქტობრივი უზუსტობებიც დაფიქსირდა.

ქსელში არცთუ იშვიათად შეეხვდებით უტყუარ ინფორმაციად გასაღებულ „ფეიკ–„ხუმრობებს". მაგალითად, ბაკურ სვანიძის პორტალზე გამოქვეყნდა შემდეგი შინაარსის ტექსტი: „ჯეჯელავა: „გალაკტიონი არაკომპეტენური იყო, მან ზუსტად იცოდა, რომ მთვარე მთაწმინდისაა?" (ბაკურ სვანიძის ინტერნეტ-TV) სინამდვილეში, ალექსანდრე ჯეჯელავას ასეთი მოსაზრება არ გამოუთქვამს. პუბლიკაციის ავტორი სარკაზმით საუბრობს წარმოდგენილ ფრაზებზე და წერს, რომ დროა ზღაპრებიდან სერიოზულ ნაწარმოებებზეც გადავიდეს. (ბაკურ სვანიძის ინტერნეტ-TV) ეს ტექსტი უამრავმა საიტმა გაავრცელა და არც კი მიაქცია ყურადღება იმას, რომ ინფორმაცია განთავსებული იყო bstv.ge.-ს „ბლეფ-ნიუსის" კატეგორიაში.

„ახალ ამბავში სელექციურად შერჩეულ ინფორმაცია"–ს უწოდებენ პირველწყაროს მიერ გაშუქებული შეტყობინების გადაკეთებას ავტორის დაუკითხავად, ტექსტიდან ფრაზების ამოღებას კონტექსტის გაუთვალისწინებლად, აუდიო ჩანაწერების შემოკლებას და სახეცვლილი ფორმით გავრცელებას.

რაც შეეხება არა ბოროტი განზრახვით გავრცელებულ ამბებს, ისინი რაიმეს ან ვინმეს პოპულარიზაციის მიზნით შუქდება. მაგალითად, ტურიზმის, სპორტის, კულტურის.

ინტერნეტი ყველასთვის ხელმისაწვდომ საჯარო ინფორმაციულ სივრცეს წარმოადგენს. ხშირად, ისეთი სიანფორმაციო ვებგვერდებიც იქმნება, რომლებიც, პირველ რიგში, ხელმომწერების, ვიზიტორების რაოდენობით და არა სანდო, „ხარისხიანი" ინფორმააციის გაშუქებით ინტერესდებიან. ისინი ძირითადად სენსაციებს, გამოგონილ ამბებს, „ჭორებს" აქვეყნებენ, ამახინჯებენ ფაქტებს და ავრცელებენ დეზინფორმაციას. ჭორების, არასანდო ინფორმაციის სიჭარბე ინფორმაციულ კონფლიქტებს წარმოშობს.

მაგალითად, შვილისა და ქმრის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის საქმეს მოვიყვანთ, რომელსაც ნაფიცი მსაჯულები 2016 წლის 10 ივნისიდან განიხილავდნენ. მედია ცდილობდა ბრალდებულის პირადი ცხოვრების დეტალების გაშუქებას. პუბლიკაციების სათაურები ჭორებს დაემსგავსა: „მაგდა საყვარელთან ერთად რამდენიმე დღეში გაპარვას აპირებდაო", – რას ამბობს პაპიძის დედამთილი მკვლელობის ღამეზე?! (კვირის პალიტრა, 2016) „ლანა ხმამაღლა ამბობდა, ჩემ დას საყვარელი ჰყოლიაო", – მაგდა პაპიძის მეზობლების ჩვენებების სკანდალური დეტალები". (ხურცილავა, 2016)

მედიამ და საზოგადოებამ მკვლელობაში ეჭვმიტანილის ოჯახის წევრებთან პირადი ურთიერთობების განხილვა დაიწყო და მკვლელობის საქმის გაშუქება ჭორაობას დაემსგავსა, რადგან ამბავმა დაკარგა ინფორმაციული ღირებულება.

ჭორები ცნობილი ადამიანების გარდაცვალების შესახებ ძირითადად ონლაინ მედიაში ვრცელდება. მაგალითად, 2014 წლის ნოემბერში „კომედი შოუს" მსახიობის ნიკა არაბიძის გარდაცვალების შესახებ შეგვატყობინეს. ეს გადაუმოწმებელი ინფორმაცია სხვადასხვა ფეისბუქ–გვერდებზე გამოქვეყნდა. ტრადიციულმა მედიამ გადამოწმებისთანავე აცნობა საზოგადოებას სიმართლე. ონლაინ–ნეკროლოგებიც წაიშალა ფეისბუქ გვერდებიდან.

ამბავი ცნობილი კინოვარსკვლავის, სილვესტერ სტალონეს გარდაცვალების შესახებ ჯერ უცხოურ მედიაში და სოციალურ ქსელებში, შემდეგ კი ქართულ ინტერნეტ მედიაში გავრცელდა. ეს ჭორი მსახიობის შესახებ Facebook-ზე 18 თებერვალს გამოჩნდა და მას 22 000 000 გაზიარება აქვს. (ცაბულა) ინფორმაციის გამზიარებელთა რიცხვი ცხადყოფს, რომ მედიაჭორები საზოგადოების ინტერესს იწვევს.

ინტერნეტის მასობრიობამ და ხელმისაწვდომობამ „ინფორმაციული ბუმი" გამოწვია - ქაოსი, რომელშიც ძნელდება სანდო და ობიექტური ცნობების გარჩევა. „ინფორმაციული აფეთქება" გლობალური მასშტაბით ინფორმაციის რაოდენობის და მოცულობის სწრაფ ზრდას გულისხმობს –

ინფორმაცია წამებში გროვდება, ჭარბ ინფორმაციაში ორიენტირებაც რთულდება. ინფორმაციით ტვინის გადატვირთვა შემეცნებითი ფუნქციის დაქვეითებას იწვევს. წარმოიქნება ინფორმაციულ-ტექნოლოგიური დამოკიდებულებაც. ადამიანის დაინტერესებას ინტერნეტ საიტები დამაინტრიგებელი ჭორებით, ენობრივად „დაბინძურებული“ ტექსტებით ახერხებენ, პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწევიან, ცდილობენ სხვა კუთხით დაანახონ ადამიანს რეალობა.

არსებობს შემეცნებითი და საძიებო საიტები, მაგალითად, ვიკიპედია, სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია ინფორმაციის განთავსება. ასეთ ვებგვერდებზე ლაფსუსებსა და ხარვეზებს საკითხის კარგად მცოდნენი თუ შეამჩნევენ. თუმცა სანდოობის დასამოწმებლად წყაროებსაც უთითებენ, დამატებითი ინფორმაციისთვის კი მიმაგრებულია ფოტოები, ბმულები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ საიტებზე ინფორმაცია ხშირად იცვლება: თუ შეცდომას შეამჩნევთ შესაძლოა, შესწორებული ან სულაც, ამოღებული დაგხვდეთ ის ინფორმაცია მომდევნო ჯერზე.

დამახინჯებული, ან ყალბი ამბების გავრცელებას და მათდამი ინტერესს ინფორმაციული სივრცის უკონტროლობა განაპირობებს და მასალის ისე „შეფუთვა“, რომ რეალობას წააგავდეს..

2017 წლის 18 დეკემბერს facebook-ში გვერდ „Change Your View”–ზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომელიც გვაუწყებდა თბილისში, ორთაჭალაში მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის დანგრევის შესახებ. შეტყობინებას ფოტოსურათიც ერთვოდა. არც ტელევიზიებს, არც რადიოარხებს, არც ინტერნეტ მედიას ამავე შინაარსის ინფორმაცია 18 დეკემბერს არ გაუშუქებიათ.

ნგრევის ამსახველი ფოტოს Google-ის საძიებო სისტემაში ჩაგდების შემთხვევაში, გაიგებთ, რომ მოცემულ სურათზე ჩინეთში, შანხაის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე 13–სართულიანი დანგრეული კორპუსი არის გამოსახული. შენობა 2009 წელის ივნისში მოსწყდა საძირკველს და შემთხვევას ერთი მუშა ემსხვერპლა. უამრავი ფოტოდან შეგვიძლია გადავიდეთ ბმულებზე, რომლებიც ერთსა და იმავე ინფორმაციას გვატყობინებს. (წიწიკაშვილი, 2017) მაგალითის საფუძველზე დავასკვენით, რომ ფოტოს გადამოწმების შემდეგ მარტივად დადგინდა ფეისბუქ–გვერდის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიყალბე. სავარაუდოდ, დეზინფორმაცია გავრცელდა იმ მიზნით, რომ მრავალი ნახვა, კომენტარი და გაზიარება ჰქონოდა პოსტს.

ონლაინ მედიასაშუალების „თბილისი 24“-ის მიერ გამოქვეყნებულ ყალბ პუბლიკაციაში „ამერიკა რუსეთის ბირთვულ უპირატესობას აღიარებს“ ვკითხულობთ: „ამერიკულ მედიაში ქვეყნის ბირთვული დოქტრინის ღია ვერსია გამოჩნდა. დოქტრინაში რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის ახალი ტიპის შექმნასა და რაკეტაჩამომგდებზეა საუბარი. - რუსეთს აქვს მნიშვნელოვანი უპირატესობა აშშ-სა და მის მოკავშირეებზე ბირთვული იარაღისა და არალეგალური ბირთვული ძალების წარმოებაში“, - ნათქვამია დოქტრინაში“. (საინფორმაციო სააგენტო - თბილისი 24, 2013)

ამ პუბლიკაციის სანდოობის გადამოწმება საკმაოდ რთულია, რადგან სხვა ქართულ ვებგვერდებზე არ გვხვდება ინფორმაცია 2017 წელს ბირთვული იარაღის შეფასების შესახებ. ამიტომაც საჭიროა გავეცნოთ, 2018 წლის თებერვალში გამოქვეყნებულ „2017 წლის იარაღის შეფასების და ბირთვული მდგომარეობის მიმოხილვის დოკუმენტს“, რომელიც, რა თქმა უნდა, ინგლისურ ენაზეა და ამდენად, ყველა ვერ შეძლებს მის მოძებნას. ასეთ ვითარებაში, მხოლოდ ამ დოკუმენტის გაცნობა გვეხმარება პუბლიკაციის სანდოობის დადგენაში. დოკუმენტში არ წერია, რომ ამერიკა რუსეთის ბირთვულ უპირატესობას აღიარებს. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ „თბილისი 24“-მა გააყალბა აღნიშნული ინფორმაცია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არის მსოფლიოში ყველაზე დიდი ბირთვული არსენალის მქონე სახელმწიფო.

როგორც ინტერნეტ მედიაში გამოქვეყნებული, ჩვენ მიერ განხილული მაგალითებიდან ჩანს, გლობალურ ქსელში:

- არ იზღუდება შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური ინფორმაცია;
- ინფორმაციის გამავრცელებლების უმეტესობა მიკერძოებული, პოლიტიზირებულია;
- წინა პლანზე ისინი არა ინფორმირებას, არამედ ფინანსურ მოგებას, მარკეტინგულ გათვლებს აყენებენ;
- უხარისხო, არასანდო ინფორმაციის წყაროების სიმრავლე სანდო ინფორმაციის გამოვლენას აძნელებს;

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საკმაოდ ბევრი ადამიანი ინტერნეტს მიიჩნევს ახალი ამბებისა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების გამავრცელებელ სანდო წყაროდ, რასაც სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებენ, თუნდაც ის, რომ დროის დეფიციტის გამო ვერ უყურებენ ტელევიზორს, სანდო საინფორმაციო გამოშვებებს. ხშირად ავტორიტეტული პრესის ინტერნეტსაიტების უმეტესობაც ფასიანია, თუმცა შესაძლებელია უფასო უცხოური სანდო სატელევიზიო არხების ნახვა.

ბოლო 30 წლის განმავლობაში მსოფლიოში იმაზე მეტი ინფორმაცია იქნა თურმე წარმოებული, ვიდრე გასული 5000 წლის მანძილზე. ამერიკელ მეცნიერთა კვლევები უჩვენებს, რომ ელექტრონულ-

ინფორმაციულ სივრცეში მსოფლიოში ყოველდღე 20 მილიონი სიტყვა იწერება. ამ ინფორმაციის მცირე ნაწილი შეიძლება იყოს რეალურად საჭირო, სანდო, გამოსადეგი, უმეტესობა კი უსარგებლო უფროა და მათ „ინფორმაციულ ნარჩენებს“ უწოდებენ.

ჩვენ მიერ გაანალიზებული ინტერნეტმედიაში გავრცელებული დეზინფორმაციების საფუძველზე, თვალსაჩინოებისთვის ის კონკრეტული საინფორმაციო სააგენტოები გამოვყავით, რომლებიც, სავარაუდოდ, სხვებთან შედარებით უფრო ხშირად ავრცელებენ მცდარ ინფორმაციას. ყურადღება მივაქციოთ ინტერნეტ გამოცემა „საქართველოსა და მსოფლიოზე“, რომელიც 2009 წელს დაარსდა და ანტიდასავლური პროპაგანდით გამოირჩევა.

„ქრისტიან მშობლებს შვილებს ართმევენ“, – 2018 წლის 6 მარტს მედიასაშუალება „საქართველო და მსოფლიომ“ გაავრცელა პუბლიკაცია ასეთი სკანდალური სათაურით.

მასში ვკითხულობთ, რომ „კანადის ონტარიოს პროვინციის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც შეიძლება შვილები წაართვან იმ მშობლებს, რომლებიც აკრიტიკებენ არატრადიციულ ქორწინებას და გენდერულ იდეოლოგიას“. ამ ინფორმაციას ორი ათასამდე გაზიარება აქვს. სხვა ქართულ და, მით უმეტეს, უცხოურ ვებგვერდებზე, ამგვარი ინფორმაცია არ მოიძებნა და, შესაბამისად, ინფორმაციის სანდოობა საეჭვო გახდა. ინტერნეტგამოცემა კანადის პროვინცია ონტარიოში მიღებულ კანონქვემდებარე აქტს, Bill 89-ს ეყრდნობა, რომელშიც არ არსებობს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ ქრისტიან მშობლებს შესაძლოა წაართვან შვილები. მეტიც, საერთოდ არ არის ნახსენები სიტყვა ქრისტიანი. (გურგენაშვილი, 2018)

„საქართველო და მსოფლიოს“ მიერ გამოქვეყნებულმა კიდევ ერთმა ინფორმაციამ მიიქცია ყურადრება. „ლუკ კოფი: საქართველო ნატოს წევრობისთვის ოკუპირებულ ტერიტორიებსაც დათმობს“, – გვატყობინებს სათაური. პუბლიკაციაში საუბარია ვაშინგტონის Heritage Foundation-ის საგარეო ექსპერტის ლუკ კოფის სტატიაზე, რომელშიც იგი საქართველოს ნატოში გაწევრიანების პრესპექტივებს განიხილავს. ინფორმაციის ბოლოს მითითებულია ლუკ კოფის პუბლიკაციის ლინკი. თუმცა, ლინკს თუ გავხსნით წავიკითხავთ, რომ კაფი არ წერს, რომ საქართველომ ნატოს წევრობისთვის ოკუპირებული ტერიტორიები უნდა დათმოს. საუბარია იმაზე, რომ ქვეყნის ნატოში გაწევრიანება მხოლოდ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში შეიძლება მოხდეს. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ მედიასაშუალებამ ინფორმაცია „დაამახინჯა“ და გააყალბა. ინტერნეტგამოცემამ კი მიუთითა წყარო, მაგრამ, ვინაიდან ინგლისურ ენაზეა, მას მკითხველთა უმეტესობა ვერ გადაამოწმებდა. წყაროს მითითება, ამ შემთხვევაში, აუდიტორიას სანდოობის განცდას უქმნის.

სოციალური მედიით ადამიანები ძირითადად პირად შეხედულებებს აფიქსირებენ და ავრცელებენ ინფორმაციას, რომელიც მეგობრისგან ან ნაცნობიგან, აზრის ლიდერისგან გაიგეს. თუმცა პუბლიკაციებსაც აზიარებენ ონლაინ მედიიდან, სხვადასხვა საინფორმაციო საიტებიდან, ტრადიციული მედიის ვებგვერდებიდან.

სოციალური მედია არის სივრცე, სადაც არ იზღუდება აზრის დაფიქსირების, ინფორმაციის განთავსების შესაძლობლობა და არ კონტროლდება ინფორმაციის სანდოობა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის დეზინფორმაციისა და ჭორებისთვის.

როდესაც საზოგადოება სათანადო გადამოწმების გარეშე აზიარებს ამა თუ იმ ამბებს, გაუაზრებლად უწყობს ხელს უსარგებლო და ყალბი ინფორმაციის ტირაჟირებას.

სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია საეჭვოა, თუ:

- სათაურები სენსაციურია, შოკისმომგვრელი და დაუჯერებელი;
- არ არის მითითებული პირველწყაროები;
- გვერდი, საიდანაც ინფორმაცია ვრცელდება, ახალი შექმნილია.

შედარებით ნაკლებად ვრცელდება დეზინფორმაცია ტრადიციულ მედიაში, რადგან ის რეპუტაციას უფრთხილდება და ცდილობს შეინარჩუნოს აუდიტორია ინტერნეტის ეპოქაში.

ტელევიზია, რადიო და ჟურნალ-გაზეთები კვლავაც ინარჩუნებენ კონტროლს აუდიტორიის დღის წესრიგზე. თავად განსაზღვრავენ, რა და როგორ გააშუქონ, ამიტომაც შეუძლიათ აუდიტორია ისეთ „ინფორმაციულ ვაკუუმში“ მოქცევა, რომელშიც ადამიანის ქვეცნობიერი თავად შექმნის დეზინფორმაციას.

ძნელად შესამჩნევია, თუ როგორ ახდენს უსარგებლო ინფორმაცია ზემოქმედებას ადამიანებზე, როგორ ილექება მათ ქვეცნობიერში. საზოგადოებას ესმის, რომ ინფორმაციულ სივრცეში უამრავი ყალბი და დამახინჯებული შეტყობინებაა, თუმცა ვერ ირიდებს თავიდან. ინტერნეტით „შეპყრობილი“ მოქალაქენი თავადვე ხდებიან დეზინფორმაციის ხელშემწყობნი. ყოველი ადამიანი, რომელიც ავრცელებს სენსაციურ, გადაუმოწმებელ ინფორმაციას, უნებლიედ ხდება სიცრუის გამავრცელებლის

თანამზრახველი. ინფორმაციის სიმრავლე საზოგადოების დაბნეულობას, „ფსიქოლოგიურ დაღლას“ იწვევს. თუმცა ეგუება ამ „ინფორმაციულ ქაოსს“.

ჭარბი ინფორმაციით „გადაღლილი“ ადამიანი ინფორმაციულ ვაკუუმში ექცევა, ის ეცნობა მხოლოდ იმ მედიიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც რაღაც ნიშნით გამოარჩია. შედეგად კი, გაუცნობიერებლად ხდება დეზინფორმაციის პოტენციური „მსხვერპლი“.

ბიბლიოგრაფია:

ბაკურ სვანიძის ინტერნეტ-TV. (თ. გ.). მოძიებულია ვებგვერდიდან: http://bstv.ge/read/1132

გურგენაშვილი, ი. (2017 წლის 15 მაისი). *რა არის ყალბი ახალი ამბავი (Fake News).* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://factcheck.ge/ka/story/28452-ra-aris-qhalbi-akhali-ambavi-fake-news

გურგენაშვილი, ი. (2018 წლის 10 მარტი). *ქრისტიან მშობლებს შვილებს ართმევენ.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://factcheck.ge/ka/story/34699-qristian-mshoblebs-shvilebs-arthmeven

კვირის პალიტრა. (2016 წლის 02 მარტი). *„მაგდა საყვარელთან ერთად რამდენიმე დღეში გაპარვას აპირებდაო“ - რას ამბობს პაპიძის დედამთილი მკვლელობის ღამეზე?!* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.kvirispalitra.ge/justice/28689-qmagda-sayvarelthan-erthad-ramdenime-dgheshi-%20gaparvas-apirebdaoq-ras-ambobs-papidzis-dedamthili-mkvlelobis-ghameze.html

საინფორმაციო სააგენტო - თბილისი 24. (2013 წლის 18 იანვარი). *ამერიკა რუსეთის ბირთვულ უპირატესობას აღიარებს.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://tb24.ge/msoflio/item/4220-ამერიკა-რუსეთის-ბირთვულ-უპირატესობას-აღიარებს.html

ტაბულა. (თ. გ.). *სილვესტერ სტალონე: ცოცხალი ვარ და კარგად ვარ.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.tabula.ge/ge/story/129942-silvester-stalone-cocxali-var-da-kargad-var

უცხო სიტყვათა ლექსიკონი. (თ. გ.). *დეზინფორმაცია.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=9954

ქეცბაია, თ. (2016 წლის 01 თებერვალი). *2016 წლის მარტიდან ევროკავშირის ქვეყნებში ბავშვის მონათვლა იკრძალება.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://factcheck.ge/ka/story/20962-2016-tslis-martidan-evrokavshiris-qveqhnebshi-bavshvis-monathvla-ikrdzaleba

წიწიკაშვილი, მ. (2017 წლის 19 დეკემბერი). *სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია თბილისში საცხოვრებელი კორპუსის ნგრევის შესახებ, ყალბია.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://factcheck.ge/ka/story/33539-sotsialur-qselshi-gavrtselebuli-inphormatsia-thbilisshi-satskhovrebeli-korpusis-ngrevis-shesakheb-qhalbia

ხურცილავა, თ. (2016 წლის 16 ივნისი). *"ლანა ხმამაღლა ამბობდა, ჩემ დას საყვარელი ჰყოლიაო" - მაგდა პაპიძის მეზობლების ჩვენებების სკანდალური დეტალები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.kvirispalitra.ge/justice/30231-qlana-khmamaghla-ambobda-chem-das-sayvareli-hyoliaoq-magda-papidzis-mezoblebis-chvenebebis-skandaluri-detalebi.html

Википедия. (б.д.). *Дезинформация*. Получено из https://ru.wikipedia.org/wiki/Дезинформация

Tinatin Zakarashvili

National University of Georgia

COMMUNICATION RISK-FACTORS OF MISINFORMATION

RESUME

XXI century is recognized as the omformation century not only of information in general, but it is also distinguished by the abundance of false information. Modern society functions in conditions of abundance of media resources, of intensive development of technologies for obtaining-processing, storage, distribution and getting of information. Media space is informationally diverse.

New technologies and abundance of communication channels simplified the ways to receive-to obtain the the information of any context. The audience itself intensively participates in the information processes.

Abundance of information flows and internet-media development caused an enormous amount of information. In the existing information space appeared the problem of selecting the reliable and high-quality information. As the infoprmation space is an open and transparent system, it permanently widens that is realized by a human being, and proovides existence of any information. Therefore, information adequately expressing the reality as well as distorted and false – “fake” information simultaneously is spread in it in an integrated form.

Person, “tired” of multiplicty of information, turns out to be in the information vacuum; he gets familiarized only with the information spread by the media, which he selected by some feature. And in result, he unconsciously fells potential “victim” to misinformation.

Keywords: Misinformation, Media, Flows, Reliability, Information space.

ანა იმნაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

კულტურათაშორისი კომუნიკაციის მთავარი კომპონენტები

საკვანძო სიტყვები: კულტურათაშორისი კომუნიკაცია, კომპონენტი, კომუნიკაციის დონე, დროის კონტექსტი.

როგორც ინდივიდი ჩვეულებრივ ვერ იარსებებს სხვა ადამიანებისგან იზოლირებულად, ასევე ვერანაირი კულტურა ვერ ფუნქციონირებს სრულად იზოლირებული სხვა ერების კულტურული მიღწევებისაგან. მათი ცხოვრებისეული საქმიანობის პროცესში ისინი იძულებულნი არიან მუდმივად მიმართონ თავიანთ წარსულს ან სხვა კულტურების გამოცდილებას. ამჟამად მსოფლიოში პრაქტიკულად არ არსებობს კულტურული საზოგადოებები მთლიანად იზოლირებული მსოფლიოში, გარდა პლანეტის ყველაზე იზოლირებულ კუთხეებში დაკარგული პატარა ადგილობრივი ტომებისა. დღეს, ბუნებრივი მდგომარეობაა, როდესაც ნებისმიერი ადამიანი ღიაა სხვისი კულტურული გამოცდილების აღქმისკენ და ამავე დროს, ისინი მზად არიან საკუთარი ხალხის კულტურა გაუზიარონ სხვა ხალხებს. სხვა ხალხების კულტურებს და მიმართებას უწოდეს „კულტურათა ურთიერთკავშირი“ ან „კულტურათაშორისი კომუნიკაცია“. როგორც წესი, ეს ცნებები განიხილება როგორც სინონიმი, თუმცა მათ აქვთ გარკვეული სპეციფიკა.

კონცეფციების მნიშვნელოვნება და თავისებურება „კულტურათა ურთიერთმოქმედება“ და „კულტურათშორისი კომუნიკაცია“

როდესაც კულტურათა ურთიერთმოქმედებაზე ვსაუბრობთ, საუბარია ადამიანთა დიდ ჯგუფებს შორის (კონტაქტებსა და სუბკულტურებზე) კონტაქტებზე. თანამედროვე პირობებში, კულტურული კავშირების განვითარება ხდება ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში - ტურიზმი, სპორტი, პირადი კონტაქტები და ა.შ. გარდა ამისა, ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიოში მომხდარმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია ხალხთა ფართომასშტაბიანი მიგრაცია, მათი გადასახლება. ამ პროცესების შედეგად უფრო და უფრო მეტი ადამიანი გადალახავს იმ კულტურულ ბარიერებს, რომლებიც მათ ადრე იზიარებდა. ისინი იძულებულნი არიან გაეცნონ უცხო კულტურებს, შეუერთდნენ მათ. მაშასადამე, კულტურათა რეალური ურთიერთქმედება ხორციელდება ზუსტად ინდივიდებს შორის კონტაქტების საშუალებით. სინამდვილეში, ისინი წარმოადგენენ კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესს.

„კულტურათაშორისი (კულტურათაშორისი, კულტურათაშორისი ურთიერთობა) კონცეფცია“ ან „კულტურათაშორისი ურთიერთქმედება“ კონცეფცია მეცნიერულ ტირაჟში შემოიტანა გ. ტრეგერმა და ე. ჰოლმა თავიანთ ნაშრომში „კულტურა და კომუნიკაცია. ანალიზის მოდელი“ (1954), რომელმაც იგი განსაზღვრა, როგორც იდეალური მიზანი, რომლისკენაც ადამიანი უნდა მიისწრაფოდეს მაქსიმალურად და ეფექტურად მოერგოს მის გარშემო არსებულ სამყაროს. კულტურათაშორისი კომუნიკაცია ყოველთვის არის ინტერპერსონალური კომუნიკაცია სპეციალურ კონტექსტში, როდესაც ერთი მონაწილე აღმოაჩენს სხვის კულტურულ განსხვავებას. ასეთი კომუნიკაცია იწვევს უამრავ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია მოლოდინებისა და ცრურწმენების სხვაობასთან, რაც საერთოა თითოეული ადამიანისთვის და, ბუნებრივია, განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში. კულტურათაშორისი განსხვავებების ნიშნები შეიძლება იქნას განმარტებული, როგორც სხვაობა ვერბალურ და არავერბალურ კოდებს შორის კომუნიკაციის კონკრეტულ კონტექსტში. უფრო მეტიც, კულტურულ კონტაქტში თითოეულ მონაწილეს აქვს საკუთარი წესების სისტემა, რომელიც ფუნქციონირებს ისე, რომ გაგზავნილი და მიღებული შეტყობინებების კოდირება და გაშიფვრა შესაძლებელია. ინტერპრეტაციის პროცესზე ასევე მოქმედებს ასაკი, სქესი, პროფესია, კომუნიკანტების სოციალური სტატუსი, მათი ტოლერანტობა, პირადი გამოცდილება.

ინტერკულტურული კომუნიკაციის ფორმები

კულტურათაშორისი კომუნიკაციის რამდენიმე ძირითადი ფორმა არსებობს - პირდაპირი, ირიბი და არაპირდაპირი.

უშუალო კომუნიკაციის დროს, ინფორმაცია უშუალოდ გამგზავნის მისამართით ხდება. მისი მისამართით გაგზავნა და მისი განხორციელება შესაძლებელია ზეპირად ან წერილობით. უფრო მეტიც, ყველაზე მეტი ეფექტი მიიღწევა ზეპირი მეტყველების გზით, აერთიანებს ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს.

არაპირდაპირი კომუნიკაციის დროს, რომელიც ძირითადად ცალმხრივია, ინფორმაციის წყაროებია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, რადიო შეტყობინებები, სატელევიზიო გადაცემები, გაზეთებში და ჟურნალებში პუბლიკაციები და ა.შ.

კომუნიკაციის არაპირდაპირი და პირდაპირი ფორმები გამოირჩევა შუალედური კავშირის არსებობით ან არყოფნით, რომელიც მოქმედებს როგორც კომუნიკანტებს შორის შუამავალი. პირს, ტექნიკურ ინსტრუმენტს, შეუძლია შეასრულოს შუამავლის როლი. ტექნიკური საშუალებებით შუამავლობით კომუნიკაცია შეიძლება დარჩეს პირდაპირი (სატელეფონო საუბარი, ელ. ფოსტით მიმოწერა), მაგრამ არავერბალური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა გამორიცხულია.

კულტურათაშორისი კომუნიკაციით, ჩვეულებრივია კომუნიკაციის შინაგანი და გარეგანი კონტექსტი.

ფონური ცოდნის, ღირებულებითი დამოკიდებულებების, კულტურული იდენტურობის და ინდივიდუალური მახასიათებლების ერთობლიობა მოქმედებს როგორც შიდა კონტექსტი. ამ კონტექსტს შეიძლება მივაკუთვნოთ ის განწყობა, რომლითაც კომუნიკაბელური კომუნიკაცია შედის კომუნიკაციაში და რაც ქმნის კომუნიკაციის ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს.

კომუნიკაციის გარეგანი კონტექსტია კომუნიკაციის დრო, ფარგლები და პირობები. კულტურათაშორისი კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანი გარემოებაა კომუნიკაციის ადგილი, რომელიც განსაზღვრავს კომუნიკაციის პროცესის ფონს. ასე რომ, კომუნიკაბელური ადამიანი, რომელიც იმყოფება მის ტერიტორიაზე, თავს უფრო კომფორტულად და უკეთესად გრძნობს საკუთარი კულტურის სივრცეში, ვიდრე უცხოელი. კომუნიკაციის ბუნება სამუშაო ადგილზე და სახლში განსხვავდება ყოველდღიური კულტურის გაღრმავების ხარისხით და პიროვნების ფაქტორების გავლენის შედეგად.

დროის კონტექსტი არის ქრონოლოგიური პერიოდი, რომელშიც ხდება კომუნიკაციური სიტუაცია. დროის სხვადასხვა პერიოდში კომუნიკაციის მონაწილეებსა და პარტნიორებს შორის ურთიერთობა სხვადასხვა გზით ვითარდება. კომუნიკაციები ქრონოლოგიურად ხორციელდება: ერთდროულად, რომლებიც ხდება პირადი კონტაქტების საშუალებით, ტელეფონით, ინტერნეტით და ყველა სხვა კომუნიკაციური სიტუაციით.

კულტურათაშორისი კომუნიკაცია მიკრო და მაკრო დონეზე

ახლა ჩვენს პლანეტაზე არის უზარმაზარი ტერიტორიები, რომლებიც სტრუქტურულად და ორგანულად ერთიან სისტემაში არიან გაერთიანებული თავიანთი კულტურული ტრადიციებით. მაგალითად, შეგვიძლია ვისაუბროთ ამერიკულ კულტურაზე, ლათინოამერიკულ, აფრიკულ, ევროპულ, აზიურ და ა.შ. ეს კულტურები გამოირჩევიან კონტინენტურ ნიადაგზე და, მათი მასშტაბის გამო, მაკროკულტურებს უწოდებენ. მაკროკულტურების შიგნით გვხვდება როგორც სუბკულტურული განსხვავებები, ასევე საერთო თვისებები, რაც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ ამგვარი მაკროკულტურების არსებობაზე, და გავითვალისწინოთ შესაბამისი რეგიონების მოსახლეობა, როგორც იმავე კულტურის წარმომადგენლები. მაკროკულტურებს შორის არსებობს გლობალური განსხვავებები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ კომუნიკაციაზე ერთმანეთთან. ამ შემთხვევაში, კულტურათაშორისი კომუნიკაცია ხორციელდება ჰორიზონტალურ სიბრტყეში მისი მონაწილეთა სტატუსის მიუხედავად.

ამავე დროს, მრავალი ადამიანი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ნაწილია, რომლებიც ხასიათდება მათი კულტურული მახასიათებლებით. სტრუქტურულად, ეს არის მიკროკულტურები (სუბკულტურები), როგორც მაკროკულტურის ნაწილი. თითოეულ მიკროკულტურას ერთდროულად მსგავსებისა და განსხვავების თვისებები აქვს თავისი „დედობრივი“ კულტურის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სუბკულტურები ერთსა და იმავე საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და ფენის კულტურაა; სუბკულტურებს შორის კავშირი მიედინება ამ საზოგადოებაში და ვერტიკალურია.

ამრიგად, კულტურათა ურთიერთქმედება შეიძლება ჩაითვალოს მაკრო და მიკრო დონეზე.

კულტურათაშორისი კომუნიკაცია მიკრო დონეზე

კულტურათაშორისი კომუნიკაცია მიკრო დონეზე ხორციელდება რამდენიმე ფორმით.

კონტრ კულტურული კომუნიკაცია ხდება „დედათა“ კულტურის წარმომადგენლებსა და იმ ელემენტებსა და ჯგუფებს შორის, რომლებიც არ ეთანხმებიან „დედათა“ კულტურის გაბატონებულ ღირებულებებსა და იდეალებს; კონტრკულტურული ჯგუფები უტოვებენ დომინანტური კულტურის ღირებულებებს და ამყარებენ საკუთარ ნორმებსა და წესებს.

სოციალურ კლასებსა და ჯგუფებს შორის კომუნიკაცია ემყარება სოციალურ ჯგუფებსა და საზოგადოების კლასებს შორის არსებულ განსხვავებებს. მსოფლიოში არ არსებობს სოციალურად

ერთგვაროვანი საზოგადოებები. ადამიანებს შორის განსხვავებები წარმოიქმნება მათი წარმოშობის, განათლების, პროფესიის, სოციალური სტატუსის და ა.შ. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ელიტა და მოსახლეობის უმრავლესობა, მდიდარი და ღარიბი, აქვთ საპირისპირო შეხედულებები, ადათ-წესები, ტრადიციები და ა.შ., მიუხედავად იმისა, რომ ყველა ამ ადამიანს ეკუთვნის ერთი და იგივე კულტურა, ასეთი განსხვავებები მათ ჰყოფს ქვეკულტურებად და გავლენას ახდენს მათ შორის კომუნიკაციაზე.

ურბანული და სოფლის მოსახლეობას შორის კომუნიკაცია ემყარება ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ განსხვავებებს ცხოვრების სტილში და ტემპში, ზოგადი განათლების დონის, ინტერპერსონალური ურთიერთობების სხვა ტიპისა და სხვადასხვა „ცხოვრებისეული ფილოსოფიის“ მიხედვით.

კომუნიკაცია ბიზნეს კულტურაში გამომდინარეობს იქიდან, რომ თითოეულ ორგანიზაციას (კომპანიას) გააჩნია არაერთი კონკრეტული ჩვეულება და წესები, რომლებიც დაკავშირებულია კორპორატიულ კულტურასთან, და როდესაც სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლები დაუკავშირდნენ ერთმანეთს, შეიძლება გაუგებრობა აღმოჩნდეს.

ინტერეთნიკური კომუნიკაცია - კომუნიკაცია სხვადასხვა ხალხს (ეთნიკური ჯგუფები) წარმომადგენლებს შორის, მიკრო დონეზე შეიძლება ჩაითვალოს კომუნიკაცია, თუ ეს პირები ერთიანი სახელმწიფოს ნაწილია. სხვა შემთხვევაში, ეს უკვე კულტურათა მაკრო დონის ურთიერთმიმართებაა.

კულტურათაშორისი კომუნიკაცია მაკრო დონეზე

კულტურული ურთიერთობები არის ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის კომუნიკაციის მუდმივი და აუცილებელი კომპონენტი, რის შედეგადაც იქმნება ღირებულებები, ნორმები, ცოდნა, იქმნება, შენარჩუნებულია და გროვდება და მდიდრდება სხვადასხვა კულტურები.

ხალხთა შორის ნორმალური ურთიერთობის დარღვევა წყვეტს ან ხელს უშლის კულტურულ კონტაქტებს, თუმცა ამ პირობებშიც კი მათ მხარდაჭერა აქვთ, ყველა ბარიერსა და საზღვარს გადალახავს და ელოდება ხელსაყრელ მომენტს სრული კომუნიკაციისთვის. ზოგი საზოგადოება დიდი ხნის განმავლობაში ვითარდებოდა თითქმის მთლიანად იზოლაციურად, გარე კონტაქტების გარეშე, რამაც გამოიწვია გახანგრძლივება სტაგნაცია, ჩამორჩენილობა და საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვა. აქედან გამომდინარე, გარე გავლენისკენ ღიაობა, ურთიერთქმედება მნიშვნელოვანი პირობებია ნებისმიერი კულტურის წარმატებული განვითარებისათვის.

კულტურათაშორისი კომუნიკაციების შედეგები.

ნებისმიერი სხვა ტიპის კომუნიკაციის მსგავსად, კულტურულ კომუნიკაციას ყველა დონეზე აქვს საკუთარი მიზნები, რომელთა განხორციელება განსაზღვრავს კომუნიკაციის ეფექტურობას (ან არაეფექტურობას). აქ მნიშვნელოვან როლს ასრულებს „კულტურათაშორისი კომპეტენციის“ კონცეფცია, რომელიც, როგორც წესი, ასოცირდება კომუნიკაციური კომპეტენციის კონცეფციასთან, რომელიც განსაზღვრულია როგორც ინტერპერსონალური გამოცდილებით ჩამოყალიბებული დონე.

1980-იანი წლების შუა პერიოდისთვის დასავლეთის კულტურულ კვლევებში შეიქმნა მოსაზრება, რომლის თანახმად, კულტურათაშორისი კომპეტენციის მიღწევა შესაძლებელია კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში მიღებული ცოდნის ოსტატობით:

- სპეციფიკური, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც ინფორმაცია კონკრეტული კულტურის შესახებ, ტრადიციული ასპექტებით;
- ზოგადი, რომელიც მოიცავს კომუნიკაციის ისეთ უნარებს, როგორიცაა ტოლერანტობა, თანაგრძნობის მოსმენა, ზოგადი კულტურული უნივერსალების ცოდნა.

კულტურათაშორისი კომპეტენციის შემადგენელი ელემენტებია:

- აფექტური - თანაგრძნობა და შემწყნარებლობა, რომლებიც არ შემოიფარგლება განსხვავებული კულტურის ნდობით, მაგრამ ქმნის საფუძველს ეფექტური კულტურათაშორისი ურთიერთქმედებისთვის;
- შემეცნებითი - სპეციფიკური ცოდნა, რომელიც ემსახურება სხვა კულტურის წარმომადგენელთა კომუნიკაციური ქცევის ადეკვატურ ინტერპრეტაციას, გაუგებრობის თავიდან აცილებას და საკუთარი კომუნიკაციური ქცევის შეცვლას ინტერაქტიულ პროცესში;
- საპროცესო - სტრატეგიები, რომლებიც სპეციალურად გამოიყენება კულტურათაშორისი კონტაქტების სიტუაციებში. არსებობს სტრატეგიები, რომლებიც მიზნად ისახავს ურთიერთქმედების წარმატებულ კურსს, მეტყველების მოქმედების სტიმულირებას, საერთო კულტურული ელემენტების ძებნას, გაუგებრობის სიგნალების გაგებას და იდენტიფიცირებას, კონტაქტების გამოყენებას და ა.შ., და სტრატეგიები, რომლებიც მიზნად ისახავს პარტნიორის კულტურული თვითმყოფადობის შესახებ ცოდნის შევსებას.

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ მაღალი კულტურული კომპეტენციის მისაღწევად ყველაზე წარმატებული სტრატეგია არის ინტეგრაცია - საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება

სხვა ხალხთა კულტურის დაუფლებისას. გერმანელი კულტურული ექსპერტის გ. აურენჰაიმერის აზრით, კულტურათაშორისი კომპეტენციის სწავლება უნდა დაიწყოს მიმართული ინტერპერსპექტივით და კრიტიკული თვითარეკვლით. საწყის ეტაპზე უნდა აღინიშნოს ხალხს შორის განსხვავებების ამოცნობის სურვილი, რაც შემდგომში გადაიქცევა კულტურათაშორისი ურთიერთგაგებისა და დიალოგის უნარში.

ბიბლიოგრაფია:

კულტურათაშორისი კომუნიკაციები. (2010). (ი. ძაგანია, რედ.) *12.*

სუმბაძე, ნ., & მახარაძე, თ. (2010). *ინტერპერსონალური კომუნიკაცია.* თბილისი.

Hall, E. T., & Trager, G. L. (1954). Culture and communication: A model and an analysis. *Explorations 3, 3*, 137-149.

Lustig, M. W., & Koester, J. (2010). *Intercultural competence : interpersonal communication across cultures.* Boston: Allyn & Bacon.

Ana Imnadze

Gori State Teaching University

THE MAIN COMPONENTS OF INTERCULTURAL COMMUNICATION

RESUME

When we talk about interactions between cultures, we are talking about contacts between large groups of people (contacts and subcultures). In modern times, cultural links are developing in different areas of human life - tourism, sports, personal contacts, etc. In addition, the social, political and economic changes that have taken place in the world in recent years have led to large-scale migration of people, their exile. As a result of these processes, more and more people overcame the cultural barriers they had previously shared. They are forced to learn about foreign cultures and join them. Therefore, the actual interaction of cultures is done through precise contacts between individuals. In fact, they represent the process of intercultural communication.

Keywords: Intercultural communication, Component, Level of communication, Time context.

ბესიკ კაიშაური, ნინო შავდათუაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თვითმენეჯმენტი საჯარო მართვაში

საკვანძო სიტყვები: თვითმენეჯმენტი, საჯარო მართვა, თვითგანვითარება, ეფექტურობის ამაღლება, დროის მართვა, თვითორგანიზაცია, მიზნის დასახვა, დაგეგმვა, თვითკონტროლი, სტრესების მართვა.

შესავალი

დღევანდელი საქართველოს საჯარო სამსახურის საკადრო სისტემაში აშკარად შეინიშნება საჯარო სამსახურის მოხელეებისა და მმართველების მხრიდან ნაკლებობა იმ უნარებისა, რომელიც განაპირობებენ ეფექტურ მართვასა და საქმიანობას.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საჯარო სამსახურის მმართველთა უმეტესობა არ ან ვერ მართავს საკუთარ თავს, რაც მნიშვნელოვნად ხელს უშლის მისი მმართველობითი საქმიანობის ეფექტურობას.

თუ გავითვალისწინებთ იმ უდიდეს პასუხისმგებლობას, რომელიც საჯარო სამსახურის მოხელეებსა და მით უფრო, - მმართველებს ეკისრებათ, ადვილად გასაგებია, როგორ ზარალდება

საზოგადოება და სახელმწიფო, რომელიც თავისი მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე აგებს პასუხს და ვერ ახერხებს ამას, თავისივე მოხელეებისა და მმართველების უხარისხო მუშაობის გამო.

სწორედ ამიტომ ორგანიზაციის წარმატებულობაში მრავალ ფაქტორებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება ადამიანური ფაქტორი.

„მენეჯმენტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების დღევანდელ ეტაპზე ნებისმიერი ორგაიზაციის ეფექტიანი საქმიანობისთვის ადამიანის ფაქტორმა განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა“. (გურგენიძე, 2005, გვ. 11)

ადამიანის ფაქტორის გააქტიურება გულისხმობს:

1. საზოგადოების გააქტიურებას, რომ მეტი სიხშირით და აქტიურობით ხდებოდეს სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის პროცესებში მათი ჩართულობა და თანამონაწილეობა;

2. ხელმძღვანელთა ორგანიზაციულობის ამაღლებას, რაც ნიშნავს საკუთარი თავის და დროის ეფექტურად მართვის უნარების გამომუშავებას;

3. საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებას.

ადამიანის ფაქტორის გააქტიურების სამივე შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს თვითმენეჯმენტის პრაქტიკული გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის:

1. საზოგადოების წევრების სოციალურ გააქტიურებას, მათში ლიდერული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც ეფექტურსა და პროდუქტულს გახდის სახელმწიფოსა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით ურთიერთობებს;

2. ორგანიზებულობისა და სიტუაციის ფლობის უნარების გაზრდით ნებისმიერი ხელმძღვანელი უფრო ეფექტურად შეასრულებს თავის მმართველობით ფუნქციებს;

3. საჯარო მოსამსახურეებში თვითგანვითარების სულისკვეთების დანერგვით გაიზრდება მათი კვალიფიციურობა და პოტენციალი, ხოლო ხელმძღვანელებს ბევრად გაუადვილდებათ ასეთი მოტივირებული პერსონალის მართვა.

ასე რომ, თვითმენეჯმენტი მრავალმხრივ და ყველასთვის სასარგებლო ცოდნა-უნარებს იძლევა, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უპირატეს ინტერესს წარმოადგენს საჯარო სამსახურის ხელმძღვანელებისთვის თვითმენეჯმენტის გამოყენების პერსპექტიული სიკეთეების ანალიზი. (აქვე უნდა ითქვას, რომ ევროპის, ამერიკის, რუსეთის და უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში დიდი ხანია დანერგილია თვითმენეჯმენტი, როგორც სასწავო საგანი და სასურველი ქნებოდა ეს გამოცდილება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსაც გაეთვალისწინებინა და დაენერგათ.)

თვითმენეჯმენტის ცნება, მიზნები და ფაზები

ტერმინი „თვითმენეჯმენტი“ შემოღებულ იქნა გერმანელი მეცნიერის, პროფესორ ლოტარ ზაივერტის მიერ. მისი განმარტებით:

„თვითმენეჯმენტი წარმოდგენს ყოველდღიურ პრაქტიკაში მუშაობის გამოცდილი მეთოდების მიზანმიმართულ და თანამიმდევრულ გამოყენებას, რომ ოპტიმალურად და აზრიანად იქნეს გამოყენებული საკუთარი დრო“. (Зайверт, 2017)

თავის წიგნში „თქვენი დრო - თქვენს ხელშია“ ლოტარ ზაივერტი აღნიშნავს, რომ „მენეჯერთა უმეტესობა ამჯობინებს სწორედ გააკეთოს საქმეები, ნაცვლად იმისა, რომ გააკეთოს სწორი საქმეები“.

ბუნებრივია, სწორი საქმის სწორად და ეფექტურად გაკეთება დიდად არის დამოკიდებული ხელმძღვანელის და შრომითი კოლექტივის თითოეული წევრის პიროვნულ თვისებებსა და პროფესიული უნარევის ამაღლებაზე.

„თანამედროვე სამყაროში წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად მართავს პიროვნება სხვებს, არამედ მნიშვნელოვანია ადამიანის უნარი - მართოს საკუთრი თავი და მოახდინოს საკუთარი შრომის რაციონალური ორგანიზება“. (Шолаганова, 2012, стр. 7)

ჩვენი მოსაზრებით არც ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელს არ უნდა ჰქონდეს უფლება სხვათა მართვისა, სანამ არ შეიძენს საკუთრი თავის მართვის უნარს, რასაც ემსახურება პიროვნული თვითგანვითარების და კონკრეტულად თვითმენეჯმენტის კურსი.

ყველა მენეჯერს შეუძლია და არის კიდეც ყოველთვის რაღაცა საქმით დაკავებული, მაგრამ ეს საქმიანობა რომ იყოს შედეგიანი, ეფექტური და ეფექტიანი, საჭიროებს დროის მართვისა და მთელი რიგი სხვა უნარების განვითარებას, რასაც მოიცავს „თვითმენეჯმენტი“, რომლის მიზანია მაქსიმალურად გამოვიყენოთ საკუთარი შესაძლებლობები, მოვახდინოთ თვითგამორკვევა და ვმართოთ ჩვენი პირადი ცხოვრება, ასევე ის წინააღმდეგობები, რომლებიც გვხვდება სამსახურებრივი საქმიანობისას.

„თანამედროვე ხელმძღვანელი აღიქმება, როგორც ეფექტური, ინოვაციური წინამძღოლი და ლიდერი, რომელიც უნდა ფლობდეს ფართო ხედვას; სისტემურ, არასტანდარტულ აზროვნებას და უნდა შეეძლოს როგორც პროგნოზირება, ასევე - გონივრულ რისკებზე წასვლაც“.

თვითმენეჯმენტის მეშვეობით ეუფლება რა თვითორგანიზაციას, იგი ეფექტურად ხელმძღვანელობს მართვის პროცესებს, როგორც დროში, ისე სივრცეში და ურთიერთობებში.

„თვითმენეჯმენტი ექვს ფაზას შეიცავს, ესენია:

1. მიზნის დასახვა: პირადი მიზნების ანალიზი და ფორმულირება;
2. დაგეგმვა: კონკრეტული გეგმებისა და საკუთარი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შემუშავება;
3. კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება;
4. ორგანიზება და რეალიზება: დღის განრიგის შედგენა და პირადი სამუშაო პროცესის ორგანიზება დასახული ამოცანების რეალიზების მიზნით;
5. კონტროლი: თვითკონტროლი და შედეგების კონტროლი (საჭიროების მიხედვით - მიზნების კორექტირება);
6. ინფორმაცია და კომუნიკაცია - ფაზა, რომელიც გარკვეულწილად ყველა ფუნქციისთვისაა დამახასიათებელი. როგორც კომუნიკაცია, ისე ინფორმაციის გაცვლა აუცილებელია თვითმენეჯმენტის ყველა ეტაპზე“. (გურგენიძე, 2005, გვ. 6)

თითოეული ფაზა მოცულობით ინფორმაციას შეიცავს, მაგრამ ჩვენ წარმოგიდგენთ მათ სტატიისთვის შესაფერისი შემოკლებული ფორმით.

მიზნის დასახვა

მიზნის დასახვა - ესაა ჩვენი ინტერესებისა და მოთხოვნილებების ზუსტი განსაზღვრა, მათი ზუსტი ფორმულირებებითა და ისეთ მოქმედებებზე (ქცევებზე) ორიენტაციით, რომლებიც სასურველ მიზნამდე მიგვიყვანს.

მიზანი საბოლოო შედეგებს ასახავს და არა იმ შედეგებს, რომელიც უნდა შესრულდეს, თუმცა მიზანი და ქმედება მჭიდრო ურთიერთკავშირშია, რადგან მიზანი ქმედების გარეშე მხოლოდ ოცნებაა, ხოლო ქმედება მიზნის გარეშე ქაოსის წინაპირობაა.

მიზნების გაცნობიერება მოტივირების წყაროა, ამ დროს მიზანი იძლევა ნათელ წარმოდგენას მოქმედების მიმართულებაზე; ბიძგი ეძლევა თვითორგანიზების პროცესებს, რა დროსაც მობილიზდება როგორც ცნობიერი, ისე ქვეცნობიერი ასპექტები.

თუ მიზანი პასუხობს კითხვას: „რა მინდა?“ და მიუთითებს კონკრეტულ „ბ“ წერტილზე, მიზანსწრაფვა - „ბ„ წერილისკენ მიმავალ პროცესს წარმოადგენს და პასუხობს კითხვაზე „როგორ?„

მიზნის განსაზღვრის დროს მენეჯერი აკეთებს სიტუაციურ ანალიზს; არკვევს რა პოტენციალს ფლობს მიზნის მისაღწევად; არკვევს თავის ძლიერ და სუსტ მხარეებს. (სუსტი მხარეების გარკვევისას მენეჯერი განერიდება გარკვეულ წამგებიან მოქმედებებს ან მიიღებს ზომებს მათ აღმოსაფხვრელად).

მიზნის განხორციელების ვადების დადგენა და სასურველი შედეგების ფორმულირება საბოლოო საფეხურია მიზნის დასახვის გზაზე.

ვინაიდან მიზნის მიღწევა ზრდის ჩვენს თავდაჯერებას და იძლევა ახალი გამარჯვებების სტიმულს, უნდა მოვერიდოთ ისეთი მიზნების დასახვას, რომელიც არარეალურია, ან მეტისმეტად დიდია, ასევე უნდა მოვერიდოთ მეტისმეტად ბევრი მიზნების დასახვას, რათა არ გავივსოთ შეუსრულებელი საქმეებით.

შეიძლება დავადგინოთ მოკლევადიანი მიზნებიც, რომლებიც მოემსახურებიან გლობალური მიზნების მიღწევას.

დაგეგმვა

იმისთვის, რომ ხელმძღვანელის საქმიანობა იყოს ნაყოფიერი, მას უნდა ჰქონდეს წლის კვარტლის, თვის, კვირისა და დღის გეგმა.

„გეგმა სამ რამეს უნდა მოიცავდეს: დროის გაანგარიშებას, ამოცანებსა და რესურსებს. დროის გაანგარიშება მიგითითებთ, როდის გინდათ მიაღწიოთ რამეს და შესაბამისად, როდის აპირებთ საქმის გაკეთებას.

ამოცანები გულისხმობს თქვენი მიზნების მიღწევისთვის საჭირო საქმიანობას.

რესურსები გულისხმობს სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ადამიანებს, მასალას აღჭურვილობას, აქტივებსა და ფულს“. (ქლეიტონი, 2015, გვ. 273)

დაგეგმვის დროს დროის რაციონალურად გამოყენება გულისხმობს ორიდან ერთს:

მიზნისთვის დადგენილი დრო გამოყენებული იქნეს ნაყოფიერი საქმიანობისთვის, ან დასახული მიზანი მიღწეულ იქნეს ნაკლებ დროში.

დაგეგმვა ნიშნავს დასახული მიზნის რეალიზაციას სტრუქტურირებულ დროში.

დაგეგმვაზე დახარჯული დრო ამცირებს მიზნის მიღწევის დროს.

დროის ზოგადი დაგეგმარების დროს ორიენტირება ხდება ხანგრძლივ (სტრატეგიულ) მიზნებზე, რომელიც, თვის მხრივ, იყოფა ოპერატიულ მიზნებად.

ორგანიზაციული გადაწყვეტილების მიღება

„ორგანიზაციის პირობებში შეიძლება გამოვყოთ გადაწყვეტილებების ორი დონე: ინდივიდუალური და ორგანიზაციული. თუ პირველ შემთხვევაში მმართველს თავად პროცესი, პროცესის ლოგიკა აინტერესებს, მეორე შემთხვევაში ინტერესი პროცესის გარშემო შესაბამისი გარემოსკენ იხრება“. (კაიშაური, 2016, გვ. 32)

მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადების პროცესში მენეჯერმა უპირველეს ყოვლისა უნდა გაარკვიოს პრობლემა, რისთვისაც იგი აგროვებს ინფორმაციას; აფასებს აქტუალობის ხარისხს და განსაზღვრავს, რა პირობებშია შესაძლებელი აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა.

პრობლემის განსაზღვრის შემდეგ ხდება გადაწყვეტილების გეგმის შედგენა, რა დროსაც მუშავდება გადაწყვეტილების ალტერნატიული ვარიანტები;

ხდება არსებულ რესურსებთან შესაბამისობის დადგენა და ალტერნატიული ვარიანტების შეფასება როგორც სოციალური, ისე ეკონომიური ეფექტიანობის თვალსაზრისით. ამას მოსდევს გადაწყვეტილების დეტალური გეგმის შემუშავება, რასაც მოსდევს ბოლო ეტაპი, კერძოდ: ხდება გადაწყვეტილების მიტანა კონკრეტულ შემსრულებამდე, შესაბამისი დასჯის ზომებისა და წახალისების გათვალისწინებით.

„გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში მიიღება:

1. ხელმღვანელის პიროვნული შეფასებები;
2. რისკის დონე;
3. დრო;
4. გარემოს ცვლილებები;
5. ინფორმაციულობა;
6. ქცევითი შეზღუდვები;
7. გადაწყვეტილების უარყოფითი შედეგები.

მმართველობითი გადაწყვეტილების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სიტუაციის ადეკვატურ აღწერას, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებისას“.

ორგანიზება და რეალიზება

მენეჯერმა ყველა საქმე უნდა დაყოს შემდეგი ნიშნებით:

- საქმეთა მნიშვნელოვნებით;
- შესრულების ხანგეძლივობით;
- მონაწილეთა რაოდენობით;
- ენერგიისა და სხვა რესურსების დანახარჯებით.

წარმატებული ხელმძღვანელი, ასწრებს რა ბევრ საქმეს, ყოველ კონკრეტულ დროში კონკრეტული საქმითაა დაკავებული.

ამოცანების კლასიფიცირების დროს მენეჯერმა შეიძლება ისარგებლოს ე.წ. ეიზენჰაუერის მატრიცით და საქმეები დაყოს ოთხ ჯგუფად:

1. მნიშვნელოვანი და სასწრაფო საქმეები, რომლებიც განაპირობებენ საქმიანობის ყოველდღიურ ოპერატიულობასა და მთავარ შედეგებს;
2. მნიშვნელოვანი და არასასწრაფო საქმეები, რომელთა შესრულების დრო ჯერ არ დამდგარა;
3. არამნიშვნელოვანი, მაგრამ სასწრაფო საქმეები, - უმჯობესია, ხელმძღვანელმა ასეთი საქმეების დელეგირება მოახდინოს;
4. არამნიშვნელოვანი და არასასწრაფო საქმეები - ესენია ე.წ. პარაზიტი საქმეები, რომელსაც უნდა მოერიდოს ხელმძღვანელი და არც სხვას დაავალოს მათი შესრულება.

ორგანიზაციის ეფექტურად განვითარებისათვის ყველაზე სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოს მნიშვნელოვანი და არასასწრაფო საქმეების წარმოებას.

კონტროლი

კონტროლი თვითმენეჯმენტის ბოლო ფუნქციაა, რომლის დროსაც სრულდება შემდეგი ამოცანები:

1. ხდება ფიზიკური მდგომარეობის განსაზღვრა, თუ რისი მიღწევა იქნა შესაძლებელი კონკრეტულ ეტაპზე;
2. ხდება დაგეგმილთან მიღწეულის შედარება, თუ რა შესრულდა, რამდენად და რა ხარისხით;
3. ხდება კორექტირება შესრულებულის მიხედვით და ახალი ამოცანების დასახვა.

კონტროლის რეგულირებას და ხანგრძლივობას განსაზღვრავს დასახული ამოცანებისა და მიზნების თავისებურებები.

განარჩევენ პროცესის კონტროლსა და შედეგის კონტროლს.

კონტროლის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელმა თვითკონტროლის სახით სისტემატურად უნდა დაუსვას კითხვები საკუთარ თავს:

1. ნამდვილად ვწყვეტ თუ არა დასახულ ამოცანას?
2. ვმოქმედებ თუ არა პრიორიტეტულობის პრინციპით?
3. დადგენილ დროში თავს ვართმევ თუ არა დაგეგმილ ამოცანებს?
4. ვახდენ თუ არა საქმის დელეგირებას და რამდენად ეფექტურად ვაკეთებ ამას?
5. ვებრძვი თუ არა დროის მჭამელებსა და ხელის შემშლელ გარემოებებს?

ინფორმაცია და კომუნიკაცია

როგორც აღვნიშნეთ, კონტროლი ბოლო ფაზაა თვითმენეჯმენტში, ხოლო ინფორმაცია და კომუნიკაცია უმთავრესი შემადგენელი ნაწილია თვითმენეჯმენტისა იმდენად, რამდენადაც იგი საჭიროა ყველა ეტაპზე.

ხელმძღვანელი აუცილებლად უნდა ფლობდეს ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების რაციონალურ მეთოდებს, მაგალითად: მენეჯერს უნდა შეეძლოს რაციონალური კითხვა; თათბირების ჩატარების რაციონალიზება; რაციონალური დოკუმენტირება და ა.შ.

ყველა ზემოთ ხსენებულ უნარებს ავითარებს თვითმენეჯმენტის დისციპლინის (კურსის) პრაქტიკაში დანერგვა. თვითმენეჯმენტი ასევე აქტიურად გამოიყენება სტრესგამძლეობის ამაღლებისთვის, რაც მეტად მნიშვნელოვანია ხელმძღვანელთა დღევანდელი მომეტებული გადატვირთვის პირობებში.

დასკვნა

თანამედროვე საჯარო მმართველობა და ზოგადად, მენეჯმენტი, ძირითადად სამი მიმართულებით ვითარდება, ესენია: ორგანიზაციის მართვა; წარმოების მართვა და ადამიანების (პერსონალის) მართვა. სამწუხაროდ, არასაკმარისი ყურადღება ექცევა ისეთ უმნიშვნელოვანეს მმართველობით ქვესისტემას, როგორიცაა თვითმენეჯმენტი, ანუ საკუთარი თავის მართვა.

შეუძლებელია ხელმძღვანელმა ეფექტურად მართოს ორგანიზაცია და პერსონალი, თუ მას არ შეუძლია საკუთარი თავის მართვა; თუ არ შეუძლია მაქსიმალურად გამოიყენოს საკუთარი შესაძლებლობები; თუ არ არის ორიენტირებული სისტემატურ თვითგანვითარებაზე და ვერ მართავს საკუთარ ცხოვრებას.

თვითმენეჯმენტი გვეხმარება შრომის ორგანიზებასა და სამუშაოს შესრულებას მინიმალური დროის დანაკარგითა და მაქსიმალური ეფექტურობით.

საჯარო მმართველობასა და არა მხოლოდ საჯარო მმართველობაში, თვითმენეჯმენტის ძირითადი მიზანია: ხელმძღვანელის პერსონალური ეფექტურობის ამაღლება, სადაც იგულისხმება მისი არა მხოლოდ პროფესიონალური, არამედ პირადი ცხოვრების გაუმჯობესება.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ თვითმენეჯმენტის აქტიური გამოყენება წარმოადგენს ხელმძღვანელების (მენეჯერების) პროფესიული კომპეტენტურობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ წინაპირობას, ვინაიდან პროფესიული კომპეტენტურობის ზრდას ხელს უწყობს მუდმივი თვითგანვითარება და ისეთი უნარების ათვისება, როგორიცა: თვითმართვა, თვითშეფასება, თვითრეგულირება, თვითკონტროლი...

სწორედ ამიტომაც, თვითმენეჯმენტისა და თვითგანვითარების პროცესი ხდება აუცილებელი ნაწილი ჩვენი ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობისა.

ბიბლიოგრაფია:
გურგენიძე, ვ. (რედ.). (2005). *თვითმენეჯმენტი.* თბილისი.
კაიშაური, ბ. (2016). *ადგილობრივ თვითმმართველობაში გადაწყვეტილების მიღების თანამედროვე სისტემები და პერსპექტივები.* გორი: ფარნავაზი.
ქლეიტონი, მ. (2015). *როგორ ვმართოთ დრო.* თბილისი: ბაკურ სულაკურის გამომცემლობა.
Зайверт, Л. (2017). *Ваше время – в Ваших руках.* Получено из old.nkozlov.ru/library/642/d 3048
Самоменеджмент Руководителя. (2017). Получено из https//works.doklad.ru/view/г А 9у0о6qx
Шолаганова, А. (2012). *Самоменеджмент.* Петербург.

Besik Kaishauri, Nino Shavdatuashvili
Georgian Technical University

SELF-MANAGEMENT IN PUBLIC MANAGEMENT
RESUME

In modernepochmanagement of the organization faces to the manager in front of the special challenges.

Nowadays the manager must know not only the content of managerial process, but also, possession of self-organizingskills for effective management of current procedures in the organization.

Self-management serves to solve the above mentioned problem. This is the latest conception in the managerial science and except effective time management itcovers to acquire those skills for self-development of the manager such as: skills of targeting and effectively fulfilling, skill of planning and controlling, skill of stress management, skill of effective communication, etc.

The main target of the self-management is to increase personal efficiency of the manager that means to improve his/her professional and personal life.

Self-management provides to organize labor and to fulfill work with minimal time expenditure and maximum efficiency.

Keywords: Self-management, Public governance, Self-development, to increase efficiency, Time management, Self-organizing, to target, to plan, Self-control, Stress management.

ნარგიზა კანკია
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი

საგამოძიებო სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის თავისებურებანი

საკვანძო სიტყვები: ჟურნალისტიკა, გამოძიება, ტელევიზია, დოკუმენტური ფილმი.

ყველა სახის ჟურნალისტურ საქმიანობას ბევრი საერთო აქვს ჟურნალისტურ გამოძიებასთან (განსაკუთრებით ეს ეხება ანალიტიკურ ჟურნალისტიკას), მაგრამ ნამდვილი საგამოძიებო პროდუქტის მომზადებას უფრო მეტი დრო და რესურსი ესაჭიროება, ვიდრე ჟურნალისტიკის სხვა სახეებს. ჟურნალისტური გამოძიებისთვის იყენებენ როგორც მეორად, ისე პირველად წყაროებს.

ინფორმაციის მოპოვების დროს ამ დარგში მომუშავე ჟურნალისტები ხშირად მიმართავენ ფარულ ჩანაწერებს, თუმცა, მათი გამოყენება მაინც განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები. ჟურნალისტური გამოძიების დროს განსაკუთრებულ როლს ასრულებს ინტერვიუები დანაშაულში ეჭვმიტანილებთან, ექსპერტებთან, მოწმეებთან, დაზარალებულებთან და სხვ.

რაც შეეხება ანონიმურ წყაროებს, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში და, რაც მნიშვნელოვანია - ჟურნალისტურ გამოძიებაში ინფორმაციის

სიზუსტე უნდა დაადასტუროს სულ მცირე სამმა დამოუკიდებელმა წყარომ. ამ საკითხში დიდ როლს ასრულებს წყაროს კონფიდენციალურობის დაცვა, რადგან ის შეიძლება ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ჟურნალისტური გამოძიების თემები ბევრია (პოლიტიკური, კორუფციის, სოციალური, ისტორიული, კრიმინალის და სხვ), მაგრამ ყველაზე რთულად გამოსაძიებელ თემებს მაინც განეკუთვნება პოლიტიკის და კორუფციის საკითხები, რადგან ამ შემთხვევაში განსაკუთრებული წინააღმდეგობები ხვდება ჟურნალისტ-გამომძიებელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტური გამოძიების არსებობა და მისი დონე დამოკიდებულია თვითონ ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხზე. "საგამომძიებლო ჟურნალისტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმირებული და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. ის მოქალაქეებს გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება; გარდა ამისა, გავლენიან ადამიანებს შორის მომხდარ შემთხვევებსაც აკონტროლებს; მთავრობასა და ბიზნესორგანიზაციებს კი თავიანთი ქმედებების გამო ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულს ხდის". (ჰიუსტონი & ჟურნალისტ-გამომძიებელთა და რედაქტორთა ასოციაცია, 2009, გვ. 3)

ჟურნალისტური გამოძიება საქართველოში საბჭოთა წყობის დროს, ცხადია, არ არსებობდა. ამ სახის მასალები ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იხილა საზოგადოებამ. იგი თავდაპირველად პრესაში გამოჩნდა და მან მაშინვე მიიქცია მკითხველის ყურადღება, მაგრამ სულ სხვა რეზონანსი მიიღო სკანდალური თემების კვლევებმა მათი სატელევიზიო ეკრანზე გამოჩენის შემდეგ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ტელევიზიას გააჩნია ხმა და გამოსახულება, რაც მას მეტ დამაჯერებლობას სძენს - ადამიანი თავისი თვალით ხედავს და ისმენს, როგორ გამოიძიეს ესა თუ ის საქმე, აკვირდება ვინ, რას და როგორ საუბრობს, ეცნობა ფარული კამერით გადაღებულ აუდიო-ვიდეო მასალას და ა.შ. თანაც, მკვლევართა აზრით, ჟურნალისტური გამოძიების აუდიტორია განსაკუთრებულია - მას აინტერესებს არა მარტო გამოძიების შედეგები, არამედ ისიც, თუ როგორ, რა ხერხებით გამოიკვლიეს ეს ამბავი.

ტელევიზიის ყველგან შეღწევადობის სპეციფიკა კი განაპირობებს იმას, რომ მისი აუდიტორია მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. სწორედ ამ მიზეზების გამო, სატელევიზიო ჟურნალისტურ გამოძიებას განსაკუთრებით დიდი წინააღმდეგობები ხვდება თავისი განვითარების გზაზე.

პირველი საგამოძიებო გადაცემა - „60 წუთი" - "რუსთავი 2- ზე" 1999 წელს გამოჩნდა და ის 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ (გასაგები მიზეზების გამო), მალევე დაიხურა. მისი წამყვანი იყო აკაკი გოგიჩაიშვილი.

„60 წუთის" ჟურნალისტებმა კი 2005 წელს ჩამოაყალიბეს სტუდიები "მონიტორი" და "რეპორტიორი", ამიტომაც შემდეგ წლებში საქართველოს მოსახლეობას საშუალება ჰქონდა ენახა ამ და სხვა სტუდიების მიერ მომზადებული საგამოძიებო გადაცემები: „კვირის რეპორტაჟი", „ანატომია", „გრიფის გარეშე", სტუდია "მონიტორის" „ჟურნალისტური გამოძიება" (ცხადია, კერძო ტელეკომპანიებში). მათში ასახვა პოვა თითქმის ყველა იმ მნიშვნელოვამა საკითხმა, რაც განსაკუთრებით აღელვებდა ხალხს. ეს გადაცემები ძირითადად პოლიტიკის, კორუფციისა და კრიმინალის საკითხებს იკვლევდნენ, თუმცა, იყო სხვა თემებზე მომზადებული სიუჟეტებიც. ეს გადაცემები ხშირად მოხსენიებულია ფილმებად, რაც, ჩვენი აზრით, სწორი არ არის. ფილმი, სატელევიზიო გადაცემისაგან განსხვავებით, უფრო ღრმა და სერიოზული ნამუშევარია, რისთვისაც მეტი დრო და საშუალებებია საჭირო.

მაგალითად, გადაცემაში „კვირის რეპორტაჟი" საუბარი იყო პრემიერ-მინისტრ ზ. ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე (პრემიერი უცნაურ პირობებში გარდაიცვალა 2005 წელს). გადაცემაში იყო ვიდეომასალებიც, ახლობლების, მოწმეების, ექსპერტების საუბრებიც, ფაქტების რეკონსტრუქციებიც, რითაც აუდიტორია ერთხელ კიდევ დაფიქრდებოდა ამ ამბავზე, მაგრამ, ვფიქრობთ, მას მაინც ბევრი რამ აკლდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიუჟეტი („კვირის რეპორტაჟის" ერთ-ერთი თემა იყო) 2012 წელს მომზადდა. ეს მით უფრო გასაგები ხდება მაშინ, როცა ვნახავთ ვ. კომახიძის ფილმს „ტყვიის გარეშე", რომელიც ბევრად უფრო ადრე (2007) გადაიღეს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი შეიძლება ჰგავდეს სატელევიზიო გადაცემას, ის მაინც განსხვავდება გადაცემისაგან. პირველ რიგში, სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი უფრო ღრმა და საინტერესო ნამუშევარია. ამას განაპირობებს ის, რომ გარდა იმისა, რომ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმისთვის დამახასიათებელი არ არის პირდაპირობა (ეს არც ჟურნალისტური გამოძიების გადაცემებს ესაჭიროება), მას არ მოეთხოვება ისეთი ოპერატიულობა, როგორიც გადაცემას, ის გათვალისწინებული არ არის ერთჯერადი ჩვენებისთვის. მან უნდა გაუძლოს დროს. ამიტომ დოკუმენტური ფილმის ქრონომეტრაჟიც ხშირად უფრო დიდია. ასევე, რადგან მას ფილმი ჰქვია (თუნდაც სატელევიზიო), ცხადია, მისი დრამატურგიული და რეჟისორული მხარეც უფრო დახვეწილი და სრულყოფილია.

სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი პროგრამის ნაწილია ე. ი. ის აღიქმება მთელი პროგრამის კონტექსტში. თითოეული ფილმი იმ არხის პროგრამული პოლიტიკის მატარებელია, რომელშიც ის იქმნება.

ახლა კი განვიხილოთ ზევით დასახელებული სატელევიზიო საგამოძიებო ფილმი „ტყვიის გარეშე“ (სტუდია „რეპორტიორი“, 2007 წ). ის გავიდა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, რომელიც იმ დროს მთავრობის ოპოზიციურ არხად მიიჩნეოდა. ფილმის ავტორია ვახტანგ კომახიძე და იგი ეხება ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ამბავს. ამ ფილმში გამოყენებულია მრავალი მასალა და გამოძიების მეთოდი (ფოტოები, ინტერვიუები, კომპიუტერული გრაფიკა, ფაქტების რეკონსტრუქცია, ექსპერიმენტები, ფარული გადაღებები და სხვ). დავიწყოთ იმით, რომ ფაქტების დასაკონკრეტებლად, ფილმი დაყოფილია თავებად („მოხარშული ძეხვი“, „დაბნეული ექსპერტები“, „ჟანგბადის კვლევა“, „ნახშირბადის მონოქსიდის კვლევა“, „წინააღმდეგობრივი კვლევა...“).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სატელევიზიო დოკუმენტურ ფილმში მთავარი სათქმელი პირველ სამ წუთში უნდა ითქვას, რადგან არის საშიშროება იმისა, რომ მაყურებელმა, რომელიც თავიდანვე არ დაინტერესდება, შეიძლება სხვა არხზე გადართოს. ამიტომ სწორია ავტორის გადაწყვეტილება – „ტყვიის გარეშე“ იწყება ინფორმაციით პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების შესახებ (პირველად ეს ფაქტი ი. მერაბიშვილმა შეატყობინა საზოგადოებას), შემდეგ კი ვეცნობით საგაზეთო განცხადებას ბინის გაქირავების შესახებ (სადაც შემდეგ პრემიერ-მინისტრი იპოვეს გარდაცვლილი) და ვგებულობთ, რომ ბინაში თავდაპირველად გაზის გამათბობელი “ნიკალა” არ ყოფილა დამონტაჟებული, პრემიერის გარდაცვალების შემდეგ კი სხვა განცხადებაში მისი არსებობა უკვე დაფიქსირებულია. მოწმეებთან ინტერვიუც იმას ამტკიცებს, რომ “ნიკალა” ახალი დადგმული იყო (ბათქაში ჯერ კიდევ სველი იყო), ასევე, გაზის მომსახურების წარმომადგენლების საუბრიდან გასაგები გახდა, რომ გაზი გვიან ღამით გამოურთავთ. იმის გასარკვევად კი, როდის და როგორ იღუპება ადამიანი ნახშირბადით, ფილმში დიდი ადგილი უჭირავს ექსპერტების მოსაზრებებს, რომლებიც, მეტი თვალსაჩინოებისთვის, წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემებისა და კომპიუტერული გრაფიკის მოშველიებით.

ინტერვიუები არის დაზარალებულებთანაც, მაგალითად, ზურაბ ჟვანიას დედა საუბრობდა იმაზე, რომ მისი შვილი დიეტაზე ყოფილა, ამიტომ, ის ვერ შეჭამდა ძეხვს და, მით უმეტეს, არ დალევდა არაყს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ბოთლზე და ჭიქებზე ხელის ანაბეჭდები არ აღმოჩნდა.

პრემიერის ძმამ აღნიშნა ისიც, რომ სუპერმარკეტი, რომელზეც დაცვის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, 10 საათზე უკვე დაკეტილია და იქ როგორ შეიძენდნენ გვიან ღამით პროდუქტსო (ეს ინფორმაცია, მისი თქმით, უშიშროების სამსახურის თანამშრომელთან წამოცდენია, რის შემდეგაც ჩანაწერში მარკეტის მისამართი შეუცვლიათ).

დედის და ძმის ნათქვამის სისწორეში მაყურებელი დარწმუნდა ავტორის სხვა კვლევების მეშვეობითაც. ჟურნალისტურ გამოძიებაში ხშირად იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს, ზოგჯერ ისინი კომპლექსურადაც გვხვდება. ამ ფილმშიც ის ფაქტი, თითქოს გარდაცვლილის კუჭში აღმოჩენილა მოხარშული ძეხვი, გააქარწყლა ექსპერიმენტმაც (დედისგან მიღებული ინფორმაციის გარდა), რომელიც მაყურებლის თვალწინ ჩაატარა ვ. კომახიძემ. კერძოდ, მან დაკეპა რამდენიმე სახის ძეხვეული (სარდელი, შებოლილი ძეხვი, სოსისი...) და აღმოჩნდა, რომ მათ ადამიანი ასეთ მდგომარეობაში ერთმანეთისგან ვერ გაარჩევს.

სხვა ექსპერიმენტმა კი დაამტკიცა კიდევ ერთი ტყუილი - დაცვის წევრის თქმით, ის სიგარეტის საყიდლად საბურთალოდან წერეთლის გამზირზე გასულა, რისთვისაც მას შვიდი წუთი დასჭირვებია, ეს ტყუილი ადვილად დამტკიცდა, როცა ხელახლა გაიარეს ის გზა, რაზეც ეს ადამიანი საუბრობდა.

კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით, ავტორმა ნათლად დაგვანახა ფანჯარასთან დაკავშირებული უზუსტობაც - კერძოდ, ჩანს, რომ ფანჯრის შიგნიდან ჩაკეტვის შემთხვევაში, მისი გაღება მხოლოდ ჩამტვრევით იქნებოდა შესაძლებელი, სხვა შემთხვევაში კი, ის ისე იქნებოდა გამოღებული, რომ იქიდან ჰაერი შევიდოდა და გაზის ის რაოდენობაც ვერ დაგროვდებოდა, რომელიც ადამიანის გარდაცვალებას გამოიწვევდა.

ამ ფილმში დიდ როლს ასრულებს კადრსგარეთა ტექსტი. მისი მეშვეობით აუდიტორია იღებს ბევრ დამატებით ინფორმაციას. მაგალითად, თავში „დაბნეული ექსპერტები“ ავტორის კარნახით მაყურებელი აკვირდება ექსპერტის გვერდით მდგომ ადამიანს, რომელიც „აკონტროლებს“ მის საუბარს და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება გასაგები, თუ რატომ არის ეს პიროვნება შეშინებული და დაბნეული.

ფილმში, ცხადია, გამოყენებულია ფარული კადრებიც (მაგალითად, დაცვის წევრის საუბარი), რადგან დამნაშავეებისგან საჭირო ინფორმაციის მიღება ადვილი არ არის და ასევე, ხშირად მოწმეებიც გაურბიან კამერის წინ გულახდილ საუბარს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მეთოდის გამოყენება რისკებთანაც არის დაკავშირებული - ამ დროს არსებობს საშიშროება, რომ არაკეთილსინდისიერმა

ჟურნალისტმა გადაიღოს კონკრეტული ადამიანის არა მარტო დანაშაულის მამხილებელი ფაქტები, არამედ ის კადრებიც, რომელიც მის პირად ცხოვრებას ეხება.

ჟურნალისტურ გამოძიებებში ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როდესაც ჟურნალისტები, მიზნის მისაღწევად, ყველა ხერხს მიმართავენ (ზოგჯერ უკანონოსაც) და ამის საუკეთესო მაგალითია „უოთერგეითის სკანდალი“. იგი ეხება საქმეს, რომელიც “ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტებმა - კარლ ბერნსტაინმა და ბობ ვუდვორდმა გამოიძიეს (რესპუბლიკელების გასამარჯვებლად დემოკრატების შტაბ-ბინაში თეთრი სახლის ადმინისტრაციის გავლენიანი პირები მოსასმენი და ჩამწერი აპარატურის დამონტაჟებას ცდილობდნენ). მათ ამ ამბის შესახებ შემდეგ გამოაქვეყნეს წიგნი „პრეზიდენტის მთელი ამალა“, სადაც აღწერილია, თუ როგორ აწოდებდნენ მათ ინფორმაციას სატელეფონო კომპანიის წარმომადგენლები (ამ საქმეში მონაწილეთა საქალაქთაშორისო საუბრების ფინანსური ანგარიშების შესახებ), რაც, ცხადია, უკანონო ქმედებაა.

ჩვენ განვიხილეთ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტყვიის გარეშე“, რომელიც ამტკიცებს იმას, რომ პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების მიზეზი გაზი არ ყოფილა, თუმცა, მასში ბრალს პირდაპირ არავის დებენ და ამ თემას თითქოს სხვა გამოძიების მიზეზად მიიჩნევენ.

ფილმში „ტყვიის გარეშე“ გადმოცემული ამბავი კვლავ აქტუალური გახდა - ახლახან (2018 წლის ოქტომბერში) საქართველოს ტელევიზიით გავრცელდა ფარული ჩანაწერები, საიდანაც ირკვევა, რომ, თურმე, იმ პერიოდში იგეგმებოდა ბადრი პატარკაციშვილის მოწამვლა და მასში გარეული იყვნენ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები... პოლიტიკოსებმა ახლა ზ. ჟვანიას მკვლელობის შესახებაც დაიწყეს საუბარი. ალბათ, ახლა მართლაც დადგა დრო ახალი ფილმის გადასაღებად, რომელშიც მიუკერძოებლად და ობიექტურად გამოიძიებენ პრემიერ-მინისტრ ზ. ჟვანიას გარდაცვალების ამბავს.

ბიბლიოგრაფია:

გემაზაშვილი, ზ. (2011). *საზღვარგარეთული მედიათეორიები.* თბილისი: უნივერსალი.

ჟურნალისტიკა. (2013). თბილისი, იდეის ავტორები მ. ვეკუა, ჟ. რუე: მერიდიანი.

ჰიუსტონი, ბ., & ჟურნალისტ-გამომძიებელთა და რედაქტორთა ასოციაცია (2009). *ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო: დოკუმენტების, მონაცემთა ბაზებისა და მეთოდების გზამკვლევი* (5 გამ.).

Nargiza Kankia

National University of Georgia

PECULIARITIES OF INVESTIGATORY TV DOCUMENTARY FILM

RESUME

Journalistic investigation needs hard work and experience. Its audience is more demanding – is interested in not only the results of investigation, but how the case was investigated. Just because of this TV journalistic investigation is more interesting and convincing for the spectators than the material published in press (TV audience is given a chance to watch numerous facts and details of the case).

Most perfectly journalistic investigation can be conducted in the TV documentary film. Compared with TV program it is less operational (running time is often larger), due to which it is a deeper and more interesting work – more material is used in it (interviews, reconstruction of facts, photos, computer graphics, fragments from the programs and films, etc). A documentary film is more refined from the viewpoint of directing and dramaturgy.

Keywords: Journalism, Investigation, Television, Documentary film.

სალომე კაპანაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

პოლიტიკური კომუნიკაციის მორალურ-ეთიკური ასპექტები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური კომუნიკაცია, ემოციური ინტელექტი, ზნეობრივი ლიდერები, მორალი როგორც საზოგადოებრივი სტაბილურობის საფუძველი.

კომუნიკაცია ადამიანების საქმიანი და არა მარტო საქმიანი ურთიერთობის უნარია, რომელიც მოითხოვს იმ ფსიქოლოგიური ამოცანების გადაჭრას, რომლის ამოუხსნელობის შემთხვევაში ჩვენ ვღებულობთ ,,ბაბილონის გოდოლს" არა მარტო პოლიტიკაში, არამედ ყოფით და საქმიან ურთიერთობაში. ასეთი მოცემულობა, ბუნებრივია, აზიანებს ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს. ამ პრობლემის მოგვარებაში ჩართული არიან ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და ფიზიოლოგიის სფეროს წარმომადგენლები, თუმცა ამ თვალსაზრისით, დიდია პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოებების, საღვთო სწავლებათა მნიშვნელობა. ადამიანების მიზნები, მოტივები, ემოციონალური მდგომარეობა და პოზიციათა განსხვავება ვლინდება ყველგან - ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ურთიერთობებში. ეს განსხვავება ბუნებრივი და ლოგიკურია, თუმცა არსებობს საკითხები, რომლის დანახვა საერთო თვალთახედვით აუცილებელია და ემოციური ინტელექტის (EQ) დეფიციტზე მიგვანიშნებს. ტერმინი მიმოქცევაში შემოვიდა 1995 წელს, თუმცა ამერიკელი ფსიქოლოგის დანიელ გოლმანის მიერ ჯერ კიდევ 1946 წელს ჩამოყალიბებულია ემოციური ინტელექტის თეორია. ადამიანის უნარი მართოს თავისი ემოციები, გამოხატოს ემპათია სხვათა გრძნობების მიმართ უმნიშვნელოვანესი უნარია არა მარტო ადამიანის სოციალიზაციის, არამედ პოზიტიური სასიცოცხლო გარემოს შესაქმნელად. ამ უნარის განმსაზღვრელ მნიშვნელობაში დღეს ჩამოყალიბებული აზრი სულაც არ გახლავთ გადაჭარბებული. არც ის ჩაითვლება პარადოქსულ რეალობად, რომ სწორედ ემოციური ინტელექტის ადამიანები აღწევენ წარმატებას და როცა ინტელექტისა და ტექნიკური უნარების აუცილებლობაზე ვამახვილებთ ყურადღებას, ყველანი ვთანხმდებით, რომ ამ თვისებების ხვედრითი წონა წარმატების პროცესში უფრო სოლიდურია. როცა აცნობიერებ, მართავ საკუთარ ემოციებს და ამავდროულად შეგწევს სულიერი ენერგია სხვათა ემოციები სასიკეთო საქმეებისკენ მიმართო, შეგიძლია კომპრომისზე წასვლა მაშინ, როცა ეს უფრო დიდ საქმეს ჭირდება, ვიდრე შენი პირადი ,,მე" და იმწუთიერი, მომენტალური იმპულსებია. ასევე გაქვს მოსმენის კულტურა და მუდმივად მონოლოგის რეჟიმში ყოფნის ჩვევა შეგიძლია საჭირო ჟამს დათრგუნო - მხოლოდ კარიერული წინსვლისთვის საჭირო თვისებები არ გახლავთ. ,ამ ,,სიბრძნის სიყვარული" შეუძლებელია მორალის, ზნეობისა და ეთიკური ნორმების დაცვის გარეშე. ისინი თანამყოფობენ და ეს საუკეთესო შესაძლებლობაა საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლისათვის. როცა საქმე პოლიტიკურ ლიდერებს ეხება, შეუძლებელია მკვეთრად გამიჯნო და მექანიკურ ჩვევად გაიაზრო ადამიანის უნარი აკონტროლებდეს საკუთარ თავს. პოლიტიკოსების მოღვაწეობა, მისი პიროვნების, მოქმედების და მისი შედეგების შეფასება ისეთი მარეგულირებელი ცნებების გარეშე, როგორიც გახლავთ მორალი და ეთიკა, შეუძლებელია. მორალი, ზნეობა და ეთიკა განასხვავებს ,,მოწოდებით პოლიტიკოსს" ,,ხელობით პოლიტიკოსისაგან," რომელსაც ძალაუფლების მოპოვების ჟინი წარმართავს.

საქართველო ემოციურობით და იმპულსურობით გამორჩეული ქვეყანაა. ბუნებრივია, ქართულ პოლიტიკას აქვს ნაციონალურ თავისებურებები, სადაც შეიძლება მოვიძიოთ ჩვენი მარადიული დილემის - ხიდჩატეხილობის მიზეზებიც. საკითხი - უნდა ჩაითვალოს თუ არა მორალი და ეთიკა საკვანძო კომპეტენციად პოლიტიკურ ლიდერებში, სადავო არ არის. თვითშემეცნების, თვითრეგულაციის, სოციალური ემპათიისა და სოციალური უნარების გარეშე დარჩენილი, უპასუხისმგებლო პოლიტიკური ლიდერი ნებისმიერ გარეშე მტერზე უფრო საშიშია. საკითხის ამგვარი ფორმულირების სამოტივაციო მაგალითები საქართველოს პოლიტიკური სივრცეში საკმარისზე მეტია. მართალია, პოლიტიკური სიტუაციის აღქმის რაკურსი საქართველოში თანდათან იცვლება დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების პარალელურად, მაგრამ მისი შენელებული ტემპის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, სწორედ პოლიტიკური კომუნიკაციის მორალურ-ეთიკური ასპექტებია.

,,საქართველოში დემოკრატიზაციის თვალსაზრისით წინსვლა დროთა განმავლობაში არ აღინიშნება. ინდექსების უმეტესი ნაწილის მიხედვით საქართველო მიეკუთვნება ,,ნაცრისფერ ზონას, ის ნაწილობრივ

თავისუფალი და დემოკრატიულია“. (რეხვიაშვილი, 2012, გვ. 4) მართალია, ამ დასკვნისათვის გამოყენებული შეფასების ინდექსები პირდაპირ კავშირში არ არის ჩვენს განსახილველ საკითხთან, მაგრამ ეს არის სხვადასხვა რაკურსიდან დანახული ერთი მთლიანობა, რომლის განცალკევება შეუძლებელია. სრულფასოვანი დემოკრატიული ინსტიტუტების განმავითარებელ საზოგადოებას უპირველეს ყოვლისა ჭირდება ის სოციალური და ფსიქოლოგიური უნარები, რომელიც ახლა ერთ ტერმინში - ეფექტურ პოლიტიკურ კომუნიკაციაშია თავმოყრილი, რომლის მნიშვნელოვანი გარანტი ძალაუფლებისა და მორალის შეთავსებაა. სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური ელიტა ვერ ახერხებს ძალაუფლების მოპოვების გზაზე ერთგული დარჩეს სახელმწიფოებრივი იდეალების, პოლიტიკური და ადამიანური ღირსებების. ეს, საერთო ჯამში, აისახება სოციალური და პოლიტიკური განვითარების დინამიკაზე, რომელიც გეოპოლიტიკური გარემოდან გამომდინარე მიზეზების თანხლებით, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ მყიფეა.

რამდენად რეალიზებადია მორალთან და პოლიტიკურ ეთიკასთან დაკავშირებული პოსტულატები ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, როგორია ვერბალური კომუნიკაცია მმართველებსა და მართულებს შორის ან თავად მმართველებს შორის? გააზრებული პოლიტიკური კომუნიკაცია ხომ სასიცოცხლოდ აუცილებელი ინსტრუმენტია სახელმწიფოს განვითარებისათვის, რადგან მუდმივად ჩატეხილი ხიდის სხვადასხვა ნაპირზე მდგომი პოლიტიკოსების საჯარო დაპირისპირება, რომელსაც ხშირად ქვეყნის ინტერესებზე უფრო ძალაუფლების ხელში კონცენტრირების სურვილი მართავს, ასუსტებს, აძაბუნებს საზოგადოების ოცნებას - იცხოვრონ უკეთეს ქვეყანაში. პოლიტიკური ძალები მათი სააგიტაციო მასალებით, ლიდერებთან ინტერვიუები, ექსპერტების შეფასებები და სხვ. მუდმივად დგას ერთ იმპერატივზე - ეს არის მოწინააღმდეგის ძლევა ნებისმიერი მეთოდებით მიუხედავად იმისა, არის თუ არა მისი მოსაზრება პროდუქტიული იმ დიდი საქმისთვის, რომელსაც პოლიტიკოსები უნდა ემსახურებოდნენ.

საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ლანდშაფტი, რომელიც ერთდროულად აღბეჭდილია დემოკრატიულობის და ავტორიტარულობის ნიშნით, ქმნის საფუძველს განსხვავებულ მოსაზრებათა სიუხვისათვის. პრობლემა მათი გაზიარების ფორმასა და განწყობაშია, რომლის სამოტივაციო სურვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო არა ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების დომინირებაა, არამედ პოლიტიკური ელიტარულობისა და ძალაუფლების კონცენტრაციის სურვილი. კითხვა: ,,ვუწამლო თუ მოვწამლო?“ როგორც არასდროს აქტუალურია ქვეყნის ფსევდოტრანსფორმაციის ფონზე, რომელსაც პოლიტიკური მოწინააღმდეგის დაძლევის იდეა მართავს. პარტიულ საკადრო რეზერვუარებზე კონცენტრარციის გამო, გაძნელებულია ასპარეზი ავტორიტეტული, მორალური ლიდერებისათვის. გამოკვეთილი პოპულიზმი, როცა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად აპელირება ხდება სწორედ იმაზე, რისი პრობლემა საზოგადოებაში არსებობს და არაფერს აკეთებ მის გამოსასწორებლად, მერამდენედ გადის მოჯადოებულ წრეზე. სამწუხაროდ, მას თავისი რიტორიკული და პროპაგანდისტული ელემენტებით მოკლევადიანი, თუმცა მაინც დამაზიანებელი შედეგი აქვს ქართულ პოლიტიკაში, რადგან მასთან ორთაბრძოლაში იკარგება ენერგია, დრო, ემოციური მუხტი და განწყობა.

საქართველო ამგვარი პოპულიზმისათვის ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურა. ზოგადად პოპულიზმი, როგორც ცნობილია, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების თანმდევია. ის არ შეიძლება წარმოიშვას ტოტალიტარულ სახელმწიფოში და მასთან გამკლავებაში არ მოიაზრება მისი სრული აღმოფხვრისაკენ მიმართული ძალისმიერი მეთოდები, ან სოციალური კონტროლი. მისი არსებობა კანონზომიერია, თუ სახელმწიფო ლიდერები მას მიმართავენ პოზიტიური შედეგებისკენ, ამ ქმედებებს სასარგებლოდ გარდაქმნიან. დუალიზმი პოლიტიკაში ისევე აუცილებელია, როგორც ზოგადად სამყაროში. ის ქმნის განვითარების საფუძველს, თუმცა ეს პროცესი იმ რწმენით უნდა წარიმართოს, რომ სიმართლე გამარჯვებადია, რომლის მექანიზმი დევს სწორედ მორალთან ახლოს მდგომ პოლიტიკურ კომუნიკაციაში.

სულხან-საბა ორბელიანმა, რომლის ინტელექტი სამუდამოდ დარჩა არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში, თავის ,,სიბრძნე-სიცრუეში“ მონიშნა პოლიტიკური ლიდერისათვის - მეფისათვის საჭირო ყველა აუცილებელი თვისება: ,,მეფე ესეთი ხამს...“ ამბობს იგი და ჩამოთვლის პოლიტიკური ლიდერისათვის აუცილებელ საკომუნიკაციო პოსტულატებს, რომელიც სახელმწიფოებრივი წესრიგისათვის უალტერნატივოა. ქართველმა პოლიტიკურმა ლიდერებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი მოღვაწეობის ნაყოფიერება დამოკიდებული იყო ლიდერების ზნეობრივ ავტორიტეტზე, მორალურ ქმედებებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ კომუნიკაციაზე.

ტერმინი ,,პოლიტიკური კომუნიკაცია” დასავლეთში გამოიყენება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, თუმცა ის არსებობს იმ დღიდან, რაც საზოგადოების პრივილიგირებული ნაწილი იწყებს ადამიანების ქცევის წარმართვას. დღეს 21-ე საუკუნეში ყველაფერი ახსნადი ხდება იმის მიხედვით, როგორია ინფორმაციის ცირკულაციის, მისი მომოქცევის ამპლიტუდა. ეს არის იმ ინფორმაციის შექმნის, გაგზავნის

და მასზე რეაგირების პროცესი, რომელიც ქმნის პოლიტიკურ განწყობას, ზემოქმედებს და აისახება საზოგადოებაზე, რომელიც შემდგომ ხშირად საბედისწერო არჩევანს აკეთებს. კ. დოიჩი პოლიტიკურ კომუნიკაციას უწოდებს ,,სახელმწიფოს მართვის ნერვულ სისტემას" (Deutsch, 1963, p. 9) ჟ. მ. კოტტრე კი პოლიტიკურ კომუნიკაციას ადამიანის ორგანიზმში სისხლის მიმოქცევას ადარებს (Cotteret, 1973, p. 62) პოლიტიკური კომუნიკაციის ძირითად ინსტრუმენტად მოაზრება მედია, წიგნები, აფიშები, ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და არაფორმალური ურთიერთობები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მასმედიის როლი პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესში განსაკუთრებულია. ცნობილია ,,კულტივირების მეთოდი", რომლის ძირითადი შემსრულებელი სწორედ მედიაა. ადამიანები ცხოვრობენ იმ რეალობაში, რომელსაც მედია უსახავს, რომელშიც პოლიტიკას დიდი ადგილი უჭირავს, რადგან ადამიანები ელოდებიან სამართლიან კანონებს, სამართლიან არჩევნებს, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიას და შანტაჟისა და მანიპულირებისგან დაცვას. ხოლო ის პოლიტიკური თოქშოუები თავშეუკავებელი, ემოციურად და ზნეობრივად ლაბილური პოლიტიკური ლიდერების მონაწილეობით რეალურად მათ უქმნით პოლიტიკური და სოციალური კრიზისიდან გამოუსავლობის განწყობას. საქართველოს პოლიტიკური ლიდერები პერმანენტულად იმეორებენ იმავე გაუაზრებელ შეცდომებს, რომელიც მათ წინამორბედებმა დაუშვეს და რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა მათი ჩანაცვლებისათვის პოლიტიკურ ავანსცენაზე. საკმარისია, თვალი მოვადევნოთ წინასაარჩევნო დაპირებებს, რომელიც ნაწილობრივ ასახავს ქართული პოლიტიკური ელიტის მორალურ სახეს და ნიშნულია მათი პასუხისმგებლობის გასააზრებლად. დაპირებები, რომელიც იმთავითვე მარცხისთვისაა განწირული, რადგან პოლიტიკურ სუბიექტს არ გააჩნია მათი აღსრულების იურიდიული მექანიზმები და ეს დაპირება მხოლოდ მორალისგან დაცლილი პროპაგანდაა, მაგრამ ის აქტიურად გამოიყენება ოპონენტებზე გასამარჯვებელ იარაღად. სემანტიკურად მნიშვნელოვანი პოლიტიკური კონტექსტის ინფორმაცია მართულებთან მიდის მორალური ცენზურისგან დაცლილი. კომუნალური ტარიფების თემა, საპენსიო რეფორმა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, რომელიც ამ ბოლო ჟამს მხოლოდ ოპონენტების დისკრედიტაციისთვის გამოიყენება და მისი მოგვარების დაპირება საერთოდ ამოვარდა პოლიტიკური მანიპულაციების სივრციდან. რა თქმა უნდა, ეს დაპირებები აუდიტორიის შესაბამისად ნაწილდება. ამასთან, ნებისმიერ პოლიტიკურ სუბიექტს კარგად აქვს გააზრებული ამ დაპირებების აღსრულების სირთულე, მაგრამ მორალი ძალაუფლების მოპოვების გზაზე მათთვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს. პროფესორი მარინა მუსხელიშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს: ,,ცხადი ხდება რომ წინასაარჩევნო დაპირებების ერთადერთი დანიშნულებაა ამომრჩევლებზე მიტმასნება და მერე ამ ამომრჩევლების გადაგდება. სიმართლეს თვალი რომ გავუსწოროთ, დავინახავთ, რომ დღესდღეობით დემოკრატიის დამკვიდრებას ხელს უშლის არა იმდენად საარჩევნო კოდექსი და კონსტიტუცია, რამდენადაც საზოგადოების გულგატეხილობა და უიმედობა არჩევნებთან მიმართებაში. მრავალჯერადად გადაგდებული ამომრჩევლის განწყობები ცალსახაა – რატომ უნდა წავიდე რისკზე და დავუპირისპირდე საშიშ და ავტორიტარულ ხელისუფლებას, თუკი არა მაქვს იმედი რომ ახალიც არ გადამაგდებს? ამდენად შეიძლება ითქვას რომ დემოკრატია დამკვიდრდება მაშინ, როდესაც შეიცვლება დამკვიდრებული სამოქმედო ლოგიკა: ჯერ ძალაუფლება, მერე იდეალები, საპირისპირო მიმდევრობით: ჯერ იდეალები, მერე ძალაუფლება. ჯერ იდეალები მერე ძალაუფლება სასარგებლო რჩევა იქნებოდა პოლიტიკური ლიდერებისთვის" (მუსხელიშვილი, 2012) სამწუხაროდ, მასობრივი ცნობიერება ამ დაპირებებს ხშირ შემთხვევაში იღებს რაციონალური, კრიტიკული გააზრების გარეშე, რადგან ჩვენი ყოფა კოლონიზირებულია სოციალური იმპერატივებით და ადამიანები ისმენენ იმას, რისი მოსმენის სურვილი აქვთ.

ცალკე საუბრის თემაა კამათის- ვერბალური კომუნიკაციის განსაკუთრებული სახეობის საკითხი ოპონენტის ძლევის პროცესში. იგი მეხუთე საუკუნიდან გამოიყენება და შემთხვევითი არ არის, რომ ხელოვნების რანგშია აყვანილი. კამათის შესახებ დაწერილი ნაშრომები ცხადყოფენ, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება კამათის სწორად წარმართვას. კამათის სამ სახეობას - აპოდიქტურ, ერისტიკულსა და სოფისტიკურ კამათს შორის ყველაზე ემოციური და მორალურ-ეთიკური კატაკლიზმებით დატვირთული სწორედ ,,სოფისტიკური" კამათია. დღეს მედიასაშუალებები უზრუნველყოფენ პოლიტიკური ოპონენტების საჯარო კამათს, რომელიც ილუსტრირებაა პოლიტიკური მანიპულირების ტექნოლოგიებით გაჯერებული სოფისტიკური კამათისა ყველაზე უღირსი მეთოდებით და რომელიც მასობრივ ცნობიერებაში სოციალურ-პოლიტიკური მითების სისტემატურ ჩანერგვას, ადამიანებში ხელსაყრელი განწყობის ჩანერგვას, ,,გასაიდუმლოებული" ინფორმაციის გაჟონვას, ქვეცნობიერი საინფორმაციო სტიმულების გამოყენებას და სხვ. ემყარება. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც კი შესაძლებელია მეტ-ნაკლებად დაცული იყოს წონასწორობა მორალსა და შეუქცევად პროცესებს შორის პოლიტიკაში, მაგრამ მანიპულატორი, რომელიც დაცლილია მორალური პასუხისმგებლობისაგან, ყოველთვის მოკლევადიან პოლიტიკურ მიზნებზეა ორიენტირებული. გრძელვადიან პერსპექტივაზე მისი მიდგომები გათვლილი არ

არის. ცხადია, ასეთი პოლიტიკოსის საქმეზე ორინტირებულობაზე მსჯელობა ჩანასახშივე ყალბი და უპერსპექტივოა. ის პოზიტიურ შედეგზე ორიენტირებული ვერ იქნება.

ბოლო რამდენიმე წელია ცენზურისგან თავისუფალ მედია არც უცენზურო ლექსიკის მიმართ იჩენს სიფრთხილეს. ,,პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთთანა და ღმერთი იყო სიტყვა“. ეს პატარა, მაგრამ დიდი ნარატივი ბიბლიიდან არის არქეტიპული მოდელი, სახელმძღვანელო კაცობრიობის მთელი შემდგომი კომუნიკაციისთვის. სიტყვის მეშვეობით წმინდა მამები კურნავდნენ ადამიანებს და განდევნიდნენ დემონებს. ძველბერძნულ მატერიალისტურ ფილოსოფიაში სიტყვა საყოველთაო კანონზომიერებაა, იდეალისტურ ფილოსოფიაში - სულიერი პირველსაწყისი. სიტყვებს ნამდვილად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მოქმედებებს, განსაკუთრებით დღეს დემოკრატიული პოლიტიკის განვითარების სურვილის ფონზე. ამიტომ სრულიად ადეკვატურია მსჯელობა მორალურ-ეთიკურ კომუნიკაციასა და პოლიტიკურ საქმიანობას შორის კავშირზე, რადგან მომრავლებული ცილისწამების, ბილწსიტყვაობისა და ლანძღვის ფონზე სიტყვას პირდაპირი გავლენა აქვს სამართავ სოციუმზე. დიპლომატებს არ ჰყავთ საბრძოლო გემები, ძლიერი ქვეითი ჯარი, არც ციხე-სიმაგრეები გააჩნიათ, მათი იარაღი არის სიტყვა“- აღნიშნავდა დემოსთენე. ეს სიტყვა ქართულ პოლიტიკაში გამოიყენება პროვოკაციის, ლანძღვისა და შანტაჟისათვის. თუ რ. შვარცენბერგის მოსაზრებას გავიხსენებთ პოლიტიკურ კომუნიკაციაზე, რომელიც მას მიიჩნევს პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემის პროცესად, ,,რომლის წყალობითაც ეს ინფორმაცია მოძრაობს პოლიტიკური სისტემის ერთი ნაწილიდან მეორეში და ბრუნავს პოლიტიკურ სისტემასა და სოციალურ სისტემას შორის“. (Шварценберг, 1992, стр. 174) ცხადი ხდება, რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ასეთ კომუნიკაციას და რამდენად მნიშვნელოვანია საჯარო კამათის დროს ისეთი ლექსიკური ერთეულების შერჩევა, რომელიც ეთიკურ პრობლემებს არ შეუქმნის პოლიტიკოსის პროფილს. უცენზურო გამოთქმებით დატვირთული ქართული პოლიტიკური სივრცე უდავოდ ქმნის ამ ლექსიკის ლეგიტიმაციის წინაპირობას. როცა ეს სიტყვები ისმის საჯაროდ მედიასივრციდან და მაღალი ტრიბუნიდან, რისკფაქტორი მისი ნეგატიური ზემოქმედებისა არსებობს და, ცხადია, პოლიტიკოსების პასუხისმგებლობა ასეთი ცდომილებების მიმართ განსაკუთრებით დიდია.

საქართველოში პოლიტიკური ლიდერების მისიის დევალვაციამ და პრაქტიკაში განუხორციელებლობამ განაპირობა, რომ თავისუფლების, დემოკრატიის, სოციალური თანასწორობის დისკურსებმა შეიძინეს ცინიკური ელფერი, რადგან უმეტეს შემთხვევაში ქართული პოლიტიკური ელიტა მოუმზადებელი აღმოჩნდა მორალის თვალსაზრისით. მორალი და პოლიტიკა ერთმანეთს გაემიჯნა. მოიშალა ზღვარი სახელმწიფო და პირად ინტერესებს შორის. ქვეყანაში არ არსებობს მორალური პერსონების სიმძიმის ცენტრი. ლათინური ანდაზის თანახმად ,,რასაც არ კრძალავს კანონი, იმას კრძალავს სინდისი”, მაგრამ ამ უკანასკნელის გაღვიძების აუცილებლობა დღის წესრიგიდან მოხსნილია. ,,პოლიტიკა ბინძური საქმეა” თვითდამშვიდების ინსტრუმენტად იქცა. პოლიტიკა კანონზომიერად მიიჩნევა ამორალურად, რადგან მისი განხორციელების საშუალება ძალაუფლებაა. ძალაუფლებას კი მოსდევს ადამიანების ბედის, მატერიალური და სულიერი ფასეულობების მაცდუნებელი განკარგვა და ანგარება. ,,ყოველგვარი ძალაუფლება ხრწნის ადამიანს, აბსოლუტური ძალაუფლება კი აბსოლუტურად ხრწნის“. (ლორდ აკტონი). პოლიტიკური გადაწყვეტილებები ფორმდება როგორც დიდი სოციალური ჯგუფების, ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისი. პოლიტიკისთვის მთავარია შედეგი, მისი მიღწევის საშუალებები კი, როგორც წესი, მეორეხარისხოვანია. ამის საფუძველი დევს მაკიაველის ტრაქტატებში, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ის არასოდეს უგულებელყოფდა ზნეობას პოლიტიკაში. მორალურის უმაღლეს და უმნიშვნელოვანეს გამოვლენად მიიჩნევდნენ პოლიტიკას პლატონი და არისტოტელე. წმინდა ეპისკოპოსი ნიკოლოზ სერბელი თავის წერილში ასე გაიაზრებს პოლიტიკური მორალის არსს: ,,თქვენმა წერილმა მიმახვედრა, რომ მზად ხართ აღიაროთ რაღაც განსაკუთრებული მორალი პოლიტიკაში, რომელიც განსხვავდება სხვა საქმეთა და ადამიანურ ურთიერთობათა მორალისაგან. ეს ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობაში უპატიოსნობად მიიჩნევა, პოლიტიკაში პატიოსნებად ითვლება, და ის, რაც დაუშვებელია დანარჩენ ურთიერთობებში, დასაშვებია პოლიტიკაში. ამ საშიშმა წარმოსახვამ (რომლის შესახებ არც თქვენგან მესმის პირველად და არც გუშინ გამიგია), ის მოიტანა, რომ ხალხმა პოლიტიკა მართლაც განსაკუთრებული მორალის მქონედ, ანუ ამორალურად ჩათვალა. არ ვიცი თქვენ გაგიგიათ თუ არა, მაგრამ მე მავანთა შესახებ ხშირად მესმოდა ხალხის ამგვარი მსჯავრი: ,,ნუთუ შენ ფიქრობ, რომ იგი სიმართლეს ამბობს? ეს მხოლოდ პოლიტიკაა”. ხედავთ, როგორი უფსკრულია თქვენს ოცნებასა და ხალხის სამართალს შორის. ეს იმიტომ, რომ პოლიტიკა თავისი საუკეთესო არსით ხალხის მსახურებაა და ამასთან ერთი უდიდესთაგანი”. (წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი), 2005, გვ. 61)

როდესაც პოლიტიკურ მორალზე ვსაუბროთ, ჩეხოსლოვაკიის მეათე და უკანასკნელი პრეზიდენტის, ჩეხი დრამატურგის, ესეისტის, დისიდენტისა და პოლიტიკოსის ვაცლავ ჰაველის სიტყვებიც უნდა დავიდასტუროთ: ,,პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე. ბინძურები შეიძლება იყვნენ ის

ადამიანები, რომლებიც პოლიტიკით არიან დაკავებულნი. მე მხოლოდ იმას ვუშვებ, რომ ადამიანების მოღვაწეობის ეს სფერო უფრო მეტად უბიძგებს ადამიანს სიბინძურისკენ, ვიდრე სხვა საქმიანობა. შესაბამისად, პოლიტიკა ადამიანისგან დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. არ არის მართალი, თითქოს პოლიტიკოსისთვის გარდაუვალია სიცრუე და ინტრიგობის ქსელის გაბმა, ამ სისულელეს ის პირები ავრცელებენ, რომლებიც რიგი მიზეზების გამო ცდილობენ, მოსწყვიტონ ადამიანები საზოგადოებრივ საქმიანობას. ერთი სიტყვით, ვისაც აქვს გული და გემოვნების შეგრძნება, მას შეუძლია წარმატებული პოლიტიკოსი გახდეს და უფრო მეტიც, ის პოლიტიკისათვის არის შექმნილი. პოლიტიკის საფუძველია არა სიცრუე, არამედ პოლიტიკური ალღო, რომელიც გვკარნახობს, ვისთან, სად და როგორ მოიქცე. არ არის მართალი, თითქოს მტკიცე პრინციპები პოლიტიკისათვის მიუღებელია. საჭიროა მტკიცე პრინციპებს მოვახმაროთ მოთმინება, საღი აზროვნება და ზომიერების სურვილი, გაუგო სხვა ადამიანებს". (ჰაველი, 2010)

ამგვარად, ასეთი სახელმძღვანელო პრინციპებისგან მარგინალიზებულმა პოლიტიკურმა კომუნიკაციამ საქართველოს მულტიპლიკაციური ეფექტი მოუტანა - მორალური ქმედება ზედა ეშელონიდან გადაეცა ქვედა ეშელონებს და გამრავლდა. მოხდა პოლიტიკური ლიდერის ინსტიტუტის დისკრედიტაცია, საგრძნობი გახდა მოქალაქეობრივი ნიჰილიზმი, რომელიც ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა უაღრესად ნეგატიურად აისახება სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ჯერაც დაუსრულებელ პროცესში. მორალურ-ეთიკური ვალდებულებებისგან გამიჯნული პოლიტიკური ელიტისათვის უცხო არ არის მართვის გართულებული პროცესი და ხალხის გაუცხოება ხელისუფლებისაგან, მაგრამ ამ რეალობაში ყველაზე საშიში მის მიმართ შემგუებლობაა. რაც უფრო გაღრმავდება ეს სტაგნაცია, მით უფრო მოთხოვნადი გახდება მორალური გუნდის ხილვის სურვილი ქვეყნის მართვის სათავეებთან. მით უფრო ცხადი იქნება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი კრიზისი. ამდენად, ქართული პოლიტიკური სივრცე უნდა შეივსოს ადამიანებით, რომელთა ავტორიტეტი არამარტო ნორმატიულ-სამართლებრივ პრინციპებს ეყრდნობა და ფორმალური კანონმორჩილებით განისაზღვრება, არამედ იმ მორალურ-ეთიკური ასპექტებით საზრდოობს, რომელიც სინთეზშია ადამიანურ პასუხისმგებლობასთან, განათლებასა და ემოციურ ინტელექტთან. „ძალაუფლება არის უპირველესად ადამიანის მიზანსა და განზრახვაზე ზემოქმედება. ადამიანმა უნდა დაგიჯეროს, რომ დაგემორჩილოს, ასე მოქმედება მის ინტერესშია". (რამიშვილი, 2015, გვ. 217) პოლიტიკური კომუნიკაცია დღეს არ გულისხმობს მხოლოდ პოლიტიკური მანიპულაციების უზადო ცოდნას და ძალაუფლების ქცევას ბრძოლის საგნად, ის გულისხმობს მორალურ-ეთიკური პრინციპების, როგორც ადამიანის ყოფიერების მოწესრიგების ერთ-ერთ სანდო ინსტრუმენტის და საზოგადოებრივი სტაბილურობის ერთ-ერთი საფუძვლის ერთგულებას.

ბიბლიოგრაფია:

მუსხელიშვილი, მ. (2012 წლის 27 მარტი). *მიმტმასნებლობა და გადამგდებობა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://european.ge/მიმტმასნებლობა-და-გადამგ/

რამიშვილი, ვ. (2015). *ფილოსოფია.* თბილისი: მერიდიანი.

რეხვიაშვილი, ლ. (2012). *საქართველოს დემოკრატიული განვითარების გზა: სართაშორისო შეფასება. განათლების და განვითარების პროგრამა.* თბილისი.

წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი). (2005). *პოლიტიკოს ნ.ნ.-ს - პოლიტიკური მორალის შესახებ, მისიონერული წერილები.* თბილისი.

ჰაველი, ვ. (2010). *ზაფხულის ფიქრები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: /nanaberuashvili.wordpress.com/2010/04/

Cotteret, J. M. (1973). *Gouvernants et gouvernes: La communication politique.* Paris: Presses universitaires de France.

Deutsch, K. W. (1963). *The Nerves of Government: Models of Political Communication and Control.* London: Free Press of Glencoe.

Шварценберг, Р. Ж. (1992). *Политическая социология, в 3 ч.* (Ч. 1). Москва: РАУ.

Salome Kapanadze
Grigol Robakidze University

MORAL AND ETHICAL ASPECTS OF POLITICAL COMMUNICATION IN GEORGIA

RESUME

Communication is the ability of business and not only business relations between people, which requires solving psychological problems, while ignoring which we get the Tower of Babel, not only in politics, but also in everyday life and business. This circumstance naturally negatively affects all areas of development of our statehood and the public, because the confrontation between politicians who are on opposite sides of the broken bridge reflects the society and weakens its dream to live in a better country. Regrettably, semantically important political context information in Georgia comes from moral censorship. Political morality is not an obstacle on the way to gain power. Morality and politics are separated from each other. The boundary between the state and personal interests has been eliminated. Politics of political policy based on "politics is a dirty thing" has already brought a multiplier effect - moral action from upper echelons to the lower echelons and multiplied. There is a discrediting of the political leader's institution and election nihilism for a small country like Georgia which is highly negative in the formation of civil society in the endless process. There is also a complicated process of management and the alienation of the people from the authorities. In our opinion, the more moral-ethical imperatives of the political emanations, the state crisis will become more realistic than its negative processes.

Keywords: Political Communication, Emotional Intelligence, Moral Leaders, Morality as the Basis of Public Stability.

ნესტან ლომაია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფემინიზმისა და გენდერის პარალელები

საკვანძო სიტყვები: სქესი, ფემინიზმი, გენდერი, ძალადობა.

ფემინიზმი – (ლათ. Femina, „ქალი“) საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობაა, რომლის მიზანია ქალთა უფლებების აღიარება და მათი გათანასწორება მამაკაცებთან, ცხოვრების ყველა სფეროში, კერძოდ კი ეს ეხება სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურული სფეროებს. ფემინიზმი მოიცავს სოციოლოგიურ თეორიებს, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ მოძრაობებს, რომლებიც ეხება ქალთა მდგომარეობას სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში.

არსებობს მრავალი სახის ფემინიზმი, რომელთა საერთო მახასიათებელი და გამაერთიანებელი ღერძი გახლავთ ქალთა და მამაკაცთა თანაბარუფლებიანობის მოთხოვნა, ზოგადად კი მთელი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი ქალებისათვის ცნობიერების ამაღლება.

ფემინისტური ხასიათის იდეები პირველად ძველ ჩინეთში გაჩნდა, თუმცა თავად თეორიების ჩამოყალიბებას მე–18 საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. ამ თეორიის ჩასახვის მთავარი ბიძგი 1776 წელს „ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ იყო, ხოლო 1789 წელს შექმნილმა „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციამ“ დიდი ზეგავლენა იქონია განმანათლებლობაზე, რომელმაც შეცვალა ქალთა მსოფლმხედველობა. ზოგადად მე–18 საუკუნეს „განმანათლებლობის“ ეპოქად მოიხსენიებენ, რადგან ამ პერიოდის მოაზროვნეთა ცნებებში, „ადამიანი რაციონალური“ („The man of reason“) მხოლოდ მამაკაცები იგულისხმებოდნენ. ეპოქამ თავად უკარნახა ქალებს, არაფრად ჩაეგდოთ იმდროინდელი მოაზროვნეების: ვოლტერის, დიდროს, მონტესკიეს და როსოს შეხედულებები - მსჯელობები ქალთა შესახებ, სადაც ქალები არსებითაც ემოციების ქმნილებებად მოიაზრებოდნენ. ისინი

თვლიდნენ, რომ ქალებს თავიანთი ბიოლოგიური საწყისის გამო, არ შეუძლიათ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და აქტიური ჩარევა სოციუმის სხვადასხვა სფეროებში. სწორედ, ეს გახლდათ ფემინიზმის ჩამოყალიბების წინაპირობა, რომელიც ამ პერიოდში გააქტიურდა. (ბერაია, 2016)

დასავლური ფემინიზმის განხილვისას და მისი ძირითადი ეტაპების გააზრებისას აუცილებელია გარკვეული კონკრეტული ისტორიული პერიოდების ანალიზი. მე–18 საუკუნის მიწურულიდან იწყება ფემინიზმის პირველი პერიოდი, სადაც განსაკუთრებით გამოიკვეთა ქალთა მოძრაობა. ამ მოძრაობის ძირითადი მოთხოვნა გახლდათ, ქალთა საკითხებისა და უფლებების წინ წამოწევა, ქალების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის აუცილებლობა. ქალთა აქტიურობამ ამ პერიოდისათვის კულმინაციას მიაღწია, რაც გამოიხატა 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციაში ქალების აქტიური მონაწილეობით, რომელმაც შემდეგ საფუძველი დაუდო შემდგომი ეტაპების ჩამოყალიბებას. 1792 წელს უკვე ინგლისში გამოქვეყნდა მერი უოლსტონკრაფტის ტრაქტატი „ქალის უფლებების დაცვა“.

1. ფემინიზმის პირველი ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომელიც დიდ ბრიტანეთსა და ამერიკაში გაძლიერდა. ამ პერიოდისათვის ეს ქვეყნები გახდნენ მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნები. ინდუსტრიალიზაციამ და საჯარო სფეროების დიფერენციამ ქალები განდევნა ყველა სივრციდან. მე–18 და მე–19 საუკუნეებში ლიბერალური და ეგალიტარიული იდეოლოგიების გაძლიერებამ ხელი შეუწყო ქალების მიერ კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნას. პირველი ეტაპის ფემინიზმისათვის დამახასიათებელია: 1) ქალებისათვის პოლიტიკური (საარჩევნო) უფლებების; 2) განათლებაზე ხელმისაწვდომობის; 3) კერძო საკუთრების ფლობის და 4) განქორწინებისთვის უფლების მოპოვება. (გამთენაძე, 2016)

პირველი ეტაპის ფემინიზმისათვის დამახასიათებელია მაინც ქალების ბრძოლა საარჩევნო ხმის უფლების მოპოვებისათვის. ამიტომაც ალბათ პირველი პერიოდის ფემინიზმის ხშირად სუფრაჟიზმის (Suffrage – ხმის მიცემის უფლება) სახელწოდებითაც მოიხსენიებენ. ხმის მიცემის უფლების მოპოვების აუცილებელი პერიოდი დადგა, რამაც ბევრი ქვეყნის ქალები გააერთიანა, რადგან სამართლებრივი საგანმანათლებლო თუ ეკონომიური ცვლილებებისათვის ბრძოლა ფუჭი აღმოჩნდა პოლიტიკური უფლებების მოპოვების გარეშე. სუფრაჟისტების პირველი გამარჯვება იყო 1893 წელს ახალ ზელანდიაში ქალებისათვის ხმის მიცემის უფლების მოპოვება. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ქალებმა ოცზე მეტ ევროპულ ქვეყანაში მოიპოვეს ხმის მიცემის უფლება. მაგალითად, ფინეთში 1906 წელს, რომელიც პირველი ქვეყანა გახლდათ, ხოლო 1920 წელს სუფრაჟისტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც გაიმარჯვეს.

დასავლური ფემინიზმის მეორე ეტაპი მეტად მნიშვნელოვანია ფემინიზმის ისტორიაში, რომელსაც ხშირად განმანთავისუფლებელ მოძრაობასაც უწოდებენ. მას საფუძველი ჩაეყარა მე–20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, რომელიც 90-იან წლებამდე გაგრძელდა. ეს ის აქტიური პერიოდია, როცა ფემინისტურმა მოძრაობამ ხმის მიცემის აუცილებლობიდან თვითონ ქალის სხეულის, მისი რეპროდუქციისა და ბიოლოგიურ განსხვავებასთან ასოცირებული მნიშვნელობები შექმნა და წამოწია. მეორე ეტაპის გააქტიურებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის სიმონ დე ბოვუარს, (ნამდვილი სახელი ჟანა მარი ბერტონ დე ბოვუარი), რომლის ნაშრომმა „მეორე სქესი“, რომელიც 1949 წელს გამოიცა, დიდი გამოხმაურება გამოიწვია ფემინისტ ქალებში. მის ნაშრომში გატარებულმა აზრმა, რომ „ქალად არ იბადებიან, ქალად იქცვიან“. შესაძლებელი გახადა გენდერული განსხვავებების სოციალურად კონსტრუირებულობაზე ფიქრი და ქალის ჩაგვრის იდეოლოგიური საკითხების წინა პლანზე წამოწევა. მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც ფემინიზმის მეორე პერიოდის სულისჩამდგმელი და მამოძრავებელი ძალა გახლდათ, იყო ბეტი ფრიდანის ნაშრომი „ქალურობის გამოცანა“, რომელიც 1963 წელს გამოიცა. ამ ნაშრომში ფრიდანი, ასახავს საშუალო კლასის განათლებული ქალების მდგომარეობას, რომლებიც მხოლოდ ოჯახური საქმიანობით შემოისაზღვრებიან და მათ მთავარ დანიშნულებას დიასახლისობა წარმოადგენს.

მეორე პერიოდის ფემინისტების მიზნები, პერსპექტივები და პოლიტიკური ამოცანები მრავალფეროვანი იყო. აღსანიშნავია მაინც ის ფაქტი, რომ მეორე პერიოდის წარმომადგენელი ფემინისტი ქალებისათვის მნიშვნელოვანი მაინც ქალის სექსუალური თავისუფლებისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. ისინი თვლიდნენ, რომ ყველა პრობლემა, მათ შორის პირადიც უკავშირდება სოციალურ პრობლემას. ამგვარად მეორე ეტაპის ფემინისტ ქალთა გამაერთიანებელი სლოგანი გახლდათ „პირადი პოლიტიკურია“. მე–20 საუკუნის 60-იანი წლების ფემინისტ ქალთა მოთხოვნები, საკუთარი სხეულის კონტროლის უფლებას უკავშირდება. კონკრეტულად კი იგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივ დაცვას, განქორწინების უფლებას, კონტრაცეპტიისა და აბორტის ლეგალიზებას, ჯანდაცვის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით, სქესობრივი ჯანმრთელობის სფეროში. მეორე პერიოდის ფემინისტ ქალთა მოთხოვნები ცივილური გახლდათ. ისინი იბრძოდნენ შესრულებული სამუშაოს თანაბარი ანაზღაურებისთვის, ტრადიციულად „მამაკაცური“ საქმიანობის სფეროში ქალების ჩართულობას. რაც შეეხება საოჯახო საქმეებს, კერძოდ

შვილების აღზრდის სფეროში თანაბარ პასუხისმგებლობას, რაც მიზნად ისახავდა ქალების შრომის შემსუბუქებას და მათ გააქტიურებას საზოგადოებრივ სფეროში. მეორე პერიოდის ფემინიზმისათვის დამახასიათებელია აგრეთვე აკადემიური აქტივობა, ანუ ამ პერიოდში შეიქმნა ქალთა საკითხების კვლევის პროგრამები, რამაც ხელი შეუწყო ახალი თეორიული პოზიციებისა და ჩარჩოების ჩამოყალიბებას ქალთა ჩაგვრის ანალიზისა და ფემინისტური ბრძოლისათვის. ფემინიზმის მეორე პერიოდი, ბრძოლის პირდაპირი და რადიკალური მოთხოვნებით გამოირჩევა, როგორიცაა მაგალითად – ქუჩის აქციები, დემონსტრაციების მოწყობა, გაუნათლებელი ქალებისათვის სპეციალური კურსების შემოღება, ცნობიერების ამაღლება, ასევე გულში დაგროვილი სათქმელის პირდაპირობა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეორე პერიოდის ფემინისტებს „კაცთმოძულეების“ იარლიყი მიაკრეს და ამით სცადეს დაეკნინებინათ ამ მოძრაობის როლი და ადგილი ისტორიაში. მიუხედავად ყველა მცდელობისა ქალების წინააღმდეგ, ფემინისტურმა მოძრაობამ იმდენი მოახერხა, რომ მან დიდი მხარდაჭერა მოიპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც ცეცხლის ალივით მოედო ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს და სწორედ მათი დამსახურება გახლდათ ის ძირეული ცვლილებები კანონმდებლობაში, რომელიც შემდეგ სოციალურ კეთილდღეობაში გადაიზარდა, რამაც დიდად გაზარდა ქალთა უფლებები კანონიერად საზოგადოებაში და ზოგადად ადამიანთა ცნობიერებაში.

გენდერის, როგორც სოციალურ-კულტურული კონსტრუქციის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ტერმინების „სქესი“ და „გენდერი“ გაგება და მათ შორის სხვაობის გააზრება.

გენდერი – არის ცნება, რომელიც გულისხმობს კულტურით განპირობებულ შეხედულებებს ქალისა და მამაკაცის ინტელექტუალური შესაძლებლობების, მათი პიროვნული თვისებებისა და ქცევის შესახებ. გენდერი, როგორც კონსტრუქცია იქმნება საზოგადოების მიერ, როგორც ქალისა და მამაკაცის სოციალური მოდელი, რომელიც განსაზღვრავს მათ როლსა და მდგომარეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გენდერული როლები – არის კონკრეტული საზოგადოების მიერ, განსაზღვრული – ქალისა და მამაკაცის ქცევის ფორმები, ნორმები და ღირებულებები. გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანაბარ წარმოჩინებას, უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობასა და თანაბარ მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია. (ანთელავა, 2002)

სქესი – გულისხმობს ბიოლოგიას, ადამიანის გენეტიკურ და ფიზიოლოგიურ თვისებებს, რომლებიც გვიჩვენებენ, მამრია იგი, თუ მდედრი, ქალის ან მამაკაცის ბიოლოგიური სქესი სტატიკურია ანუ იგი არ იცვლება, არის უნივერსალური და აშკარად დაკავშირებულია რეპროდუქციულ ფუნქციებთან. მნიშვნელოვანი სქესობრივი განსხვავება არის ის, რომ ქალს შეუძლია ბავშვის გაჩენა, ხოლო კაცს – არა. სქესი დაკავშირებულია ქალსა და მამაკაცს შორის ფიზიკურ, სხეულებრივ განსხვავებებთან, ცნება „გენდერი“ კი მიუთითებს მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე. თუკი სქესი ბიოლოგიურად არის დეტერმინირებული, მაშინ გენდერი არის სოციალურად და კულტურულად მოცემული. გენდერი – ეს არის სქესთაშორისი განსხვავებების სოციალური ორგანიზაცია: ქცევის კულტუროლოგიური მახასიათებელი, რომელიც შეესაბამება სქესს მოცემულ დროში და მოცემულ საზოგადოებაში; გენდერი წარმოადგენს სოციო-სქესობრივი როლების მიმართებათა სისტემის სოციალურ კონტსტრუქციას. გენდერი მნიშვნელოვანწილად აპირობებს ქალების, მამაკაცების ფსიქიკურ თვისებებს, უნარებს, მოღვაწეობის სფეროებს, პროფესიებს და საქმიანობებს, სამართლებრივ და ეთნიკურ ნორმებს. (ფრეიზერი, 2012)

დაბადებიდანვე ბავშვი განეკუთვნება ბიოლოგიურ კატეგორიას სქესს, შესაბამისად მდედრობითს ან მამრობითს. შემდგომში განვითარების პროცესში ორივე სქესი მსგავსია ფიზიოლოგიური მახასიათებლებით, ისევე, როგორც ფსიქოლოგიური თავისებურებებით (თვითშეფასება, ინტელექტის დონე, ლექსიკის მარაგი, სიარულის დაწყება, კბილების ამოსვლა და სხვა). მაგრამ სხვადასხვა სქესის ბავშვები იღებენ სხვადასხვანაირ გამოცდილებას და აღზრდას, რაც განსაზღვრავს მათი ცხოვრების სტილს და მიზნებს, მათ ფუნქციებს და როლებს.

გენდერი გულისხმობს ფსიქოლოგიურ ატრიბუტებს, მახასიათებლებს და ქცევებს, რომელთა შეძენა ხდება სოციალურ კონტექსტში, რაც დაკავშირებულია სქესობრივი კატეგორიების სოციალურ გაგებასთან. ყოველ საზოგადოებაში გენდერული განსხვავებები ვლინდება ადამიანთა ქცევის ფორმებში მაგ., რა სამუშაოს ასრულებენ, როგორ იცმევენ და ა.შ. ამდენად, გენდერი გვევლინება სოციალური ურთიერთობების საზომად ამა თუ იმ კულტურაში. (სუმბაძე, 2012)

გენდერი არის სოციალურად და კულტურულად მოცემული. იგი აღნიშნავს სოციალური და კულტურული ნორმების ერთიანობას, რომელთა შესრულებასაც საზოგადოება მიაწერს ადამიანებს, მათი ბიოლოგიური სქესიდან გამომდინარე. გენდერის ცნება სოციალურ მეცნიერებაში გამოიყენება ადამიანის სქესობრივი მიკუთვნებულობის სოციალურ–კულტურული ასპექტის გამოსახატავად.

ამგვარად, ერთი მხრივ, გენდერი, როგორც სოციალურ შეფასებათა მოვლენა (ფენომენი) ადამიანის ცნობიერების და არაცნობიერების ნაყოფია და იგი არსებობს საზოგადოების ფსიქიკაში, ფსიქიკური წარმონაქმნის, ფსიქიკური სტრუქტურის სახით, ხოლო მეორე მხრივ კი გენდერი, როგორც სოციალურ–შეფასებითი ფენომენი საზოგადოების სხვადასხვა მეცნიერებებში (ან მათი შესწავლის სფეროებში) გენდერის, როგორც ფსიქიკური კონსტრუქტის ზეგავლენის შედეგების შესწავლას გულისხმობს. (წერეთელი, 2006)

ვფიქრობთ, რომ მიუხედავად იმისა ბევრი რამ კეთდება ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამართლებრივ ჭრილში, ეკონომიკის, სოციუმის, კულტურის მიმართულებით, მაინც ძალიან მძიმეა ქალთა მდგომარეობა ზოგადად. არა აქვს მნიშვნელობა ეს არის ევროპის განვითარებული ქვეყანა, თუ შეერთებული შტატები, სადაც ასეა თუ ისეა, უფრო ცივილურად არის ქალთა საკითხები მოგვარებული და მაინც არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები. ის გამოკვეთილად ჩანს განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ოჯახურ ძალადობას. ოჯახური ძალადობა ის თემაა, რომელიც თანაბრად ეხება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მცხოვრებ ქალს. გამოვდივარ რა ქართული რეალობიდან, სიტუაცია ამ კუთხით ძალიან რთულია, განსაკუთრებით რეგიონებში, სადაც ქალებმა ჯერ კიდევ არ იციან არც ფემინიზმის არსებობა და არც გენდერულ ძალადობაზე აქვთ წარმოდგენა. მათთვის ჯერ კიდევ მამაკაცი გაიგივებულია, როგორც მბრძანებელი, რომლის ნებისმიერი სურვილი უნდა შესრულდეს უსიტყვოდ ანუ გამეფებულია სრული პარტიარქატიზმი. არ იციან არც სექსუალური ძალადობის, არც ეკონომიკური, არც ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ და პირიქით თვლიან, რომ დასაშვებია სიმთვრალეში ფიზიკური ძალადობაც კი.

მიგვაჩნია, რომ ამ მხრივ სერიოზული მუშაობაა გასატარებელი რეგიონებში, სადაც ქალები გააცნობიერებენ თავიანთ მდგომარეობას და გააკეთებენ საჭირო დასკვნებს არსებულის წინააღმდეგ. ამისათვის აუცილებლად უნდა განხორციელდეს გარკვეული ღონისძიებები, რაც ქალებს საშუალებას მისცემდა და დააფიქრებდა იყოს ან ფემინისტი ან გენდერის მიმდევარი.

ბიბლიოგრაფია:

ანთელავა, ლ. (2002). *კულტურა და გენდერი [გენდერული პრობლემატიკა საქართველოში].* თბილისი: ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი.

ბერაია, ა. (2016). *რადიკალური ფემინიმზი, როგორც წინააღმდეგობის ფორმა.* თბილისი: ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო.

ბერეკაშვილი, ნ. (2003). *გენდერი, საზოგადოება, პოლიტიკა.* თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი.

ბრანდერი, პ., გომესი, რ., კინი, ე., ლემინერი, მ., ოლივეირა, ბ., ონდრაჩკოვა, ი., სურიანი ა., სუსლოვა, ა. (2004). *კომპასი (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით).* (გ. კენჭოშვილი, რედ., მ. წულუკიძე, & ტ. პატარაია, მთარგმნ.) თბილისი.

გამთენაძე, ზ. (2016). ქალთა მოძრაობა საქართველოში. *Civicus* (7), 8-10.

ლომაია, ნ. (2009). *გენდერის საკითხები.* თბილისი: უნივერსალი.

მელიქიძე, ვ. (2006). *მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

სიგუა, ს. (2012). *კულტუროლოგიის საფუძვლები.* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

სუმბაძე, ნ. (2012). *თაობები და ღირებულებები.* თბილისი: საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი.

ფრეიზერი, ე. (2012). *გენდერი, ძალადობა და პოლიტიკა.* სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

შულცი, უ. (2016). სექსიზმი კანონმდებლობაში - გენდერული სტერეოტიპების გავლენა სამართალწარმოებაზე. *ბრძოლა საჯარო სივრცისთვის: როცა პირადი პოლიტიკურია.* თბილისი: ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

წერეთელი, მ. (2006). *გენდერი - კულტურული და სოციალური კონსტრუქტი.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ჯავახიშვილი, მ. (2002). *გენდერული კვლევები და ისტორიული მეცნიერება.* თბილისი: ფონდი „ღია საზოგადოება“.

Nestan Lomaia
Sokhumi State University

FEMINISM AND GENDER PARALLELS

RESUME

The article deals with the feminism as a socio-political movement aimed at recognition of women's rights and equalization with men in social, political, economic and cultural contexts. In thepresent work, the main stages of feminism development are set out in a particular historical context: feminist women's struggle against domestic violence, equal pay for work done, their engagement in legislative space, etc.

The article also deals with gender and its social theory, the main principle of which implies realization of gender equality, which means equal opportunities and responsibilities for women and men, their equal participation in decision-making, social life and social activity.

At the end of the work, the general situation of women is summarized, which is so important for today's world. Europe and the United States are fighting violence, namely it's most powerful indicator - domestic violence, as there still exists psychological, physical and economic violence in the family.

As a conclusion, there is given a clear idea that the patriarchate is still strongly visiblein Georgian reality, especially in regions where there is little heard about feminism and gender.

Keywords: Sex, Feminism, Gender, Violence.

მალხაზ ლომსაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი ძარცვისათვის

საკვანძო სიტყვები: პასუხისმგებლობა, ძარცვა, დანაშაული, სისხლის სამართალი, კოდექსი.

ძარცვის მომზადება. კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებში აღწერილია დამთავრებულ ქმედებათა შემადგენლობები, მაგრამ მე-18 და მე-19 მუხლები ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას არა მარტო დამთავრებული დანაშაულისათვის, არამედ აგრეთვე ისეთი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის, რომელიც ბოლომდე არ იყო მიყვანილი.

დაუმთავრებელ დანაშაულს, რომელიც ისჯება კანონის თანახმად, წარმოადგენს დანაშაულის მომზადება და მცდელობა. უფრო ადრინდელი სტადია, ე.ი. განზრახვის გამომჟღავნება დანაშაულად არ ითვლება. განზრახვის გამომჟღავნება არის სუბიექტის დანაშაულებრივი გადაწყვეტილების გამოვლინება მესამე პირისათვის მისაწვდომი ფორმით. ასე მაგალითად, დანაშაულის ჩადენის განზრახვის გამომჟღავნება რაიმე ისეთი მოქმედებით, რომელიც არ ქმნის მომავალში დანაშაულის ჩადენის პირობას, მაგრამ ადასტურებს სუბიექტის დანაშაულებრივ განზრახვას.

განზრახვის გამომჟღავნების დაუსჯელობა აიხსნება იმით, რომ ასეთი მოქმედება ობიექტურ შემადგენლობას არ ქმნის. (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, გვ. 113)

დაუმთავრებელი დანაშაულის პირველ დასჯად სტადიას მოსამზადებელი მოქმედება წარმოადგენს.

კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის მომზადებად ჩაითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნაც. ე.ი. დანაშაულის მომზადება არის განზრახი მოქმედება, რომელიც ქმნის პირობებს დანაშაულის ჩასადენად. მოსამზადებელი მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულის აღსრულების დაწყებას. იგი მხოლოდ ქმნის პირობებს იმისათვის, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს დანაშაულის განხორციელება ან გაადვილდეს მისი ჩადენა.

მე-18 მუხლში მომზადების ობიექტური მხარე დახასიათებულია როგორც პირობების შექმნა. იგი შეიძლება გამოიხატოს საშუალების ან იარაღის გამოძებნა თუ მომარჯვება, ან სხვაგვარი პირობების შექმნა დანაშაულის ჩასადენად.

იარაღად ან საშუალებად უნდა ჩაითვალოს ყოველი საგანი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სუბიექტის მიერ უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად. მაგალითად, თოკი ძარცვის ჩასადენად. ამასთან ერთად დანაშაულის საშუალებად ჩაითვლება ყოველი საგანი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად. მაგალითად, კიბე ძარცვის ჩასადენად.

გამონახვად ითვლება იარაღის ან საშუალების საკუთარი ხელით გაკეთება, ყიდვა, გაცვლა ან რაიმე სხვა საშუალებით შეძენა.

იარაღის ან საშუალების მომარჯვებად ითვლება მისი მოყვანა ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელი შეიქმნეს განზრახული დანაშაულის განხორციელება. მაგალითად, ძარცვის ადგილზე კიბის მიტანა.

სხვაგვარი პირობების შექმნა შეიძლება მრავალი სხვადასხვა სახის მოქმედებით გამოიხატოს. ასეთია მაგალითად, თანამონაწილეთა გამოძებნა, უშედეგო წაქეზება, დანაშაულის ჩასადენად აუცილებელი ცნობების შეგროვება და ა.შ.

მართალია, დანაშაულის მომზადება განზრახი მოქმედებაა, მაგრამ უნდა დავადგინოთ მისი ჩადენა პირდაპირი თუ არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვით შეიძლება იქნეს ჩადენილი.

ვინაიდან ჩვენ, როდესაც განვიხილავდით ძარცვის სუბიექტურ შემადგენლობას და დავადგინეთ, რომ მისი ჩადენა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, მისი მომზადებაც მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. სახელდობრ, სუბიექტი ითვალისწინებს, რომ ქმნის პირობებს შემდგომი დანაშაულის ჩასადენად და სურს ამ დანაშაულის განხორციელება.

კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების მომზადებისათვის. ძარცვის 1-ლი ნაწილის შემადგენლობა მიეკუთვნება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და ამიტომ ამ საკითხის მოგვარება უნდა ვეძებოთ მატერიალურ სისხლის სამართალში. აქაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების არც ერთი პირობა არ მიესადაგება მოცემულ შემთხვევას. ჩვენი აზრით, მოცემულ შემთხვევას ზუსტად ასახავს კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსი, რომლის თანახმად დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.

ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს ქმედების ნიშნებს, მაგრამ დანაშაულს არ წარმოადგენს, ნიშნავს იმას, რომ ქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

აქედან დასკვნა, კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ძარცვის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით.

დაბოლოს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მომზადებისათვის, განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის. ე.ი. ძარცვის მომზადებისას, ქმედება კვალიფიცირდება კოდექსის 18, 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც იმას ნიშნავს, რომ ძარცვა შეწყდა მომზადების სტადიაზე.

ძარცვის მცდელობა. დაუმთავრებელი დანაშაულის მეორე სტადიას, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს.

კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მოყვანილი. ე.ი. დანაშაულის მცდელობა არის განზრახი მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულის ჩასადენად, თუ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

დანაშაულის მცდელობა უნდა განვასხვაოთ, ერთი მხრივ, დამთავრებული დანაშაულისაგან, მეორე მხრივ, მოსამზადებელი მოქმედებისაგან.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როდესაც განხორციელებულია სუბიექტის მიერ განზრახული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი. დამთავრებულ დანაშაულს ორი მომენტი ახასიათებს: 1) განხორციელებული უნდა იყოს კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი ქმედების ყველა ნიშანი და 2) განხორციელებული უნდა იყოს სწორედ იმ დანაშაულის ნიშნები, რომლის შესრულებაზეც მიმართულია სუბიექტის ნება.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სუბიექტმა ქმედების მეშვეობით ვერ მიაღწია იმ საბოლოო მიზანს, რის გამოც მან ქმედება ჩაიდინა, თუ ასეთი მიზნის განხორციელება კოდექსის მუხლის დისპოზიციაში გათვალისწინებული არ არის როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი.

სისხლის სამართლის კოდექსში დამთავრებული დანაშაულის სამი სახე გვხვდება:

ა) ე. წ. შედეგიანი დანაშაული ანუ მატერიალური დანაშაული, ე.ი. ისეთი დანაშაული, რომლის შემადგენლობა ითვალისწინებს გარკვეული ობიექტის რეალურ დაზიანებას. ასეთია, მაგალითად, ძარცვა, მოძრავი ნივთის დაუფლება;

ბ) ე. წ. კონკრეტული საფრთხის დელიქტი, რომელშიც დანაშაულის დამთავრების მომენტი გადატანილია უფრო ადრინდელ საფეხურზე, როდესაც შექმნილია გარკვეული ობიექტის დაზიანების რეალური შესაძლებლობა. ასეთია, მაგალითად, ბანდიტიზმი, ყაჩაღობა და ა.შ.;

გ) ე. წ. აბსტრაქტული საფრთხის ანუ ფორმალური დანაშაული, ე.ი. ისეთი დანაშაული, რომელიც დამთავრებულად ითვლება მოქმედების ჩადენისთანავე ან – უმოქმედობის დროს – იმ მომენტში, როდესაც სავალდებულო მოქმედება უნდა შესრულებულიყო.

დამთავრებული დანაშაულისაგან დანაშაულის მცდელობა განსხვავდება იმით, რომ დამთავრებული დანაშაულის დროს შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ყველა ელემენტი, ხოლო მცდელობის დროს დანაშაულის შემადგენლობა ბოლომდე განხორციელებული არ არის.

დანაშაულის დამთავრებისა თუ მცდელობის არსებობის საკითხის გადაჭრა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია ამ დანაშაულის საკანონმდებლო კონსტრუქციაზე.

დამთავრებული დანაშაული არ გულისხმობს შედეგის დაუყოვნებლივ განხორციელებას. მოქმედება, მიმართული რაიმე დანაშაულის ჩასადენად არ გადაიქცევა მცდელობად იმის გამო, რომ ამ მოქმედების ჩადენიდან შედეგის განხორციელებამდე დროის განსაზღვრულმა მანძილმა გაიარა. (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, გვ. 116) მაგალითად, ძარცვა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლებიდან, მის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებამდე ვერ ჩაითვლება მცდელობად.

მომზადებასა და მცდელობას შორის ის მსგავსებაა, რომ ორივე დაუმთავრებელ დანაშაულს წარმოადგენს. როგორია მსგავსება მათ შორის?

მაშინ როდესაც მომზადება გულისხმობს პირობების შექმნას მომავალში დანაშაულის ჩასადენად, მცდელობა წარმოადგენს მოქმედებას უშუალოდ მიმართულს დანაშაულებრივი შედეგის განსახორციელებლად.

კონკრეტულად თუ რომელი მოქმედებაა პირობების შექმნა და რომელი დანაშაულის განხორციელება, გადაწყდება იმისდა მიხედვით, თუ რომელ დანაშაულებრივ ქმედებასთან გვაქვს საქმე. ერთი და იმავე შინაარსის მოქმედება ერთი დანაშაულის მიმართ შეიძლება მცდელობა იყოს, ხოლო სხვა დანაშაულის მიმართ — მომზადება. მაგალითად, მკვლელობის მიმართ დაზარალებულის საცხოვრებელ ბინაში შესვლა მომზადება იქნება, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი ძარცვის განზრახვით, მცდელობას წარმოადგენს.

ზოგადად შეიძლება მითითებულ იქნეს შემდეგ დებულებებზე:

ა) მცდელობა გვაქვს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ჩაიდინა მოქმედება, რომელსაც რაიმე ახალი მოქმედების გარეშე მისი მხრივ უნდა მოჰყოლოდა დანაშაულებრივი შედეგი, მაგრამ ეს შედეგი არ განხორციელდა მისი ნებისაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო. მაგალითად, სუბიექტმა ჩანთა გასტაცა ადამიანს, მაგრამ ცარიელი აღმოჩნდა;

ბ) მცდელობა გვაქვს მაშინაც, როდესაც პირი უშუალოდ დაესხა თავს ხელყოფის ობიექტს და შეუდგა თავისი განზრახვის განხორციელებას, მაგრამ მოქმედება ვერ დამთავრდა. მაგალითად, გაძარცვის მიზნით ხელი სტაცა მგზავრის ჩანთას, მაგრამ მისი დაუფლება ვერ შეძლო, რადგან ნივთის მფლობელმა არ დაანება.

გ) მცდელობა იქნება აგრეთვე მაშინ, როდესაც დამნაშავემ მოამზადა ყველა პირობა დანაშაულის ჩასადენად და უკვე გადადის იმ მოქმედებაზე, რომლითაც უშუალოდ ხორციელდება დანაშაულის შემადგენლობა, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ აღწევს, რადგან მის მოქმედებას ხელს უშლიან, მაგალითად, სუბიექტი აპირებდა მოძრავი ნივთის გატაცებას, მაგრამ სხვა პირმა დააკავა;

მცდელობად ითვლება ისეთი მოქმედება, რომელსაც შედეგი არ მოჰყვება დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს დანაშაულის ჩასადენად ამორჩეული საშუალების უვარგისობა, მცდელობისათვის ხელის შეშლა მესამე პირის მიერ და ა.შ., თუ სუბიექტმა თვით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე, გვექნება არა დასჯადი მცდელობა, არამედ ნებაყოფლობითი ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე, რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არის დაშორებული მცდელობა დანაშაულის დამთავრებისაგან, განასხვავებენ მცდელობის ორ სახეს: დამთავრებულ მცდელობას და დაუმთავრებელ მცდელობას.

მცდელობა დამთავრებულია მაშინ, როდესაც პირმა გააკეთა ყოველივე, რაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად, მაგრამ დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შედეგი არ განხორციელდა.

მცდელობა დაუმთავრებელია მაშინ, როდესაც პირმა ვერ გააკეთა ყოველივე, რაც მისი მხრივ საჭირო იყო დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებისათვის.

განსხვავება აგრეთვე ე.წ. უვარგის მცდელობას მისი ორი სახით — მცდელობას უვარგის საგანზე და მცდელობას უვარგისი საშუალებებით. (ფურცხვანიძე, 1971, გვ. 176)

მცდელობა უვარგის საგანზე ნიშნავს ისეთ მცდელობას, რომლის დროსაც სუბიექტი მოქმედებდა, მართალია, მიმართულია გარკვეულ ობიექტზე, მაგრამ სინამდვილეში ამ ობიექტს ვერ უქმნის რეალურ საფრთხეს იმის გამო, რომ ხელყოფის საგანი ადგილზე არ იმყოფება, ან თუნდაც იმყოფება, მაგრამ თავის თვისებათა გამო მცდელობას მისთვის რაიმე ზიანის მიყენება არ შეუძლია. მაგალითად, ან-მა აშკარად გასტაცა ბან-ს ხელჩანთა, რომელიც ცარიელი აღმოჩნდა.

მცდელობად უვარგისი საშუალებით ითვლება დანაშაულის ჩასადენად ისეთი საშუალების გამოყენება, რომელსაც თავისი ობიექტური თვისებების მიხედვით არ შეუძლია გამოიწვიოს დანაშაულებრივი შედეგი.

მცდელობის სუბიექტური მხარე გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. ე.ი. სუბიექტი ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით უშუალოდ სჩადის გამიზნულ დანაშაულს და სურს კიდევაც ამ დანაშაულის ჩადენა.

გაუფრთხილებლობით მცდელობა ლოგიკურად წარმოუდგენელია. შეუძლებელია მოქმედება უშუალოდ მიმართული იყოს დანაშაულის ჩასადენად, თუ სუბიექტი არ ითვალისწინებს თავისი მოქმედების დანაშაულებრივ შედეგს.

მცდელობა გამორიცხულია აგრეთვე არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვის დროსაც, რადგან ამ შემთხვევაში სუბიექტის ნება არ არის უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი შედეგების განხორციელებაზე.

რამდენადაც მცდელობა დანაშაულის გამოვლინების ფორმებს წარმოადგენენ, ამდენად ისინი კვალიფიცირებული უნდა იქნენ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის იმ მუხლით, რომელიც ამ დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას ითვალისწინებს. მაგრამ იმ გარემოებების აღსანიშნავად, რომ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი და მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, აუცილებელია მითითება მე-19 მუხლზე.

ძარცვაზე ნებაყოფლობით ხელის აღება. კოდექსის მე-18 მუხლი ათავისუფლებს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობისაგან ამ სუბიექტს, ვინც ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულის ჩადენაზე. სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიზანი იმთავითვე იყო და არის დანაშაულთა თავიდან აცილება და ამ გზით მართლწესრიგის განმტკიცება.

სწორედ ამ ამოცანას ემსახურება სისხლის სამართალში ე.წ. „წამახალისებელ ღონისძიებათა“ სისტემის გამოყენება, რომელშიც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მიკუთვნებული აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. ეს ინსტიტუტი სათანადოდ აისახა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. კოდექსის 21-ე მუხლი ადგენს, რომ „პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი“.

ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით დაწყებული დანაშაულის შემთხვევაში, რომლის დროსაც სუბიექტს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ითვალისწინებს მისგან გამომდინარე შედეგებს და სურს იგი. შეუძლებელია ნებაყოფლობით ხელის აღების დაშვება არაპირდაპირი განზრახვის და გაუფრთხილებლობის დროს, რადგან ასეთი რამ ფსიქოლოგიურად სავსებით შეუსაბამოა თვით ნებაყოფლობით ხელის აღების ბუნებასთან. „დაწყებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას მოვლენათა განვითარების ასეთი სურათი იქმნება: პირი იწყებს ქმედებას არაპირდაპირი განზრახვით, მიმართულს რომელიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენისაკენ. ამ მომენტიდან იგი იძენს მისთვის დამახასიათებელ ნიშანს, რომელსაც სამართლის ენაზე მართლწინააღმდეგობა ეწოდება და ექცევა სამართლის სფეროში“. (სულაქველიძე, 1980, გვ. 47)

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გულისხმობს სამ პირობას:

ა) აცდენილი უნდა იქნეს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება;

ბ) დანაშაული ბოლომდე არ უნდა იქნეს მიყვანილი თვით სუბიექტის ნებასურვილით;

გ) დანაშაულის ჩადენაზე სუბიექტმა საბოლოოდ უნდა აიღოს ხელი.

თ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელი მომენტით (იგულისხმება „ბ“ დებულება) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება განსხვავდება დასჯადი მომზადებისა თუ მცდელობისაგან, რომლის დროსაც შედეგი არ ხორციელდება სუბიექტის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“. (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, გვ. 125)

სისხლის სამართლის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სიტუაციაში სწორედ მისი საბოლოო შედეგის გამომწვევი მიზეზები აინტერესებს.

ცნობილია, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების არსებობას მაშინ სცნობს იურისპრუდენცია, თუ პირი მოქმედებს ისეთ ვითარებაში, სადაც მას აქვს სრული შესაძლებლობა ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დანაშაული და თვით სუბიექტს მტკიცედ სწამს ასეთი შესაძლებლობის არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონმდებელი დაწყებულ დანაშაულზე ხელის აღებისას პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტაში განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს ნებითს აქტს, ანუ იმის გარკვევას, ნამდვილად იყო თუ არ დანაშაულზე ხელის აღება სუბიექტის თავისუფალი ნების გამოვლინება. როგორც თ. წერეთელი აღნიშნავს, დანაშაულზე ნებაყოფლობით რომ აიღებს ხელს, პირი ასე მსჯელობს: „მე შემიძლია ბოლომდე მივიყვანო დანაშაული, მაგრამ არ მსურს ეს“. პირიქით, თუ სუბიექტი მსჯელობს: „მე მსურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ეს ჩემთვის შეუძლებელია“. აქ ადგილი აღარ აქვს ნებაყოფლობით ხელის აღებას“. (წერეთელი, 1961, გვ. 225) ამგვარად დანაშაულის დაწყებაც და შემდგომ მასზე ხელის აღებაც პირის ნებაყოფლობითი ქცევის აქტია.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სიტუაციაში სწორედ მოქმედის ნების შეცვლა და ამ შეცვლის თავისუფლება მოწმობს პიროვნების გარდაქმნას, მის ახლებურ მიმართებას თავისი მომავალი ქცევისადმი. დ. უზნაძე მიუთითებდა „ნებელობის აქტში სუბიექტის მომავალი ქცევისადმი დამოკიდებულება განიცდება: იგი „მე“-დან გამომდინარე აქტივობაა, რომელშიდაც სუბიექტის პოზიცია ირკვევა მომავალი ქცევის მიმართ“. (უზნაძე, 2003, გვ. 154)

ამრიგად, ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე წარმოადენს ნებელობითს ქცევას, მას წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღება ამ ქცევის განხორციელების აუცილებლობის შესახებ, რომელიც წარმოშობს სათანადო გადაწყვეტილებას, მაგრამ უკვე დაწყებული დანაშაულის წინააღმდეგ შეცვლილ განწყობას. მართებულად შენიშნავს თ. წერეთელი, რომ „... პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც დამნაშავის წინაშე თავისუფალი არჩევანი იყო ან ბოლომდე მიეყვანა დანაშაული, ან ხელი აეღო მასზე და მან დანაშაულზე ხელის აღება არჩია“. (წერეთელი, 1961, გვ. 222)

ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტისათვის მისაღებია მხოლოდ სუბიექტის ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არის საბოლოო და ურყევი, ვინაიდან „გადაწყვეტილების აქტი თავისთავად მომენტურია, მაგრამ იმისათვის, რომ რაც გადაწყვეტილია, შესრულდეს, აუცილებელია გადაწყვეტილება შეურყეველი დარჩეს, რათა ქცევა ბოლომდე თავისდა შესაფერისად წარმართოს. ასეთ სტაბილიზირებულ გადაწყვეტილებას განზრახვა ეწოდება. განზრახვის ნებელობის აქტი შექმნილი განწყობა უდევს საფუძვლად“. (უზნაძე, 2003, გვ. 158-159) მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქმედი სუბიექტის უნარი — ბოლომდე შეინარჩუნოს ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება და იმოქმედოს მის შესანარჩუნებლად, რასაც პირობითად ნებისყოფას უწოდებენ.

მოტივებს თავისი გარკვეული და აუცილებელი როლი აკისრია ადამიანის ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმში, რადგან თუ გადაწყვეტილების მიღებაზე ვილაპარაკებთ, მაშინ იგი სათანადო მოტივაციის გარეშე არ შეიძლება მოხდეს, მოტივაცია ხომ გადაწყვეტილების შინაარსს ადგენს. თვითონ მოტივი ადამიანის მაღალი პიროვნული მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილების სიტუაციის ურთიერთდამოკიდებულებიდან წარმოიშობა და არსებითად სუბიექტისათვის ამა თუ იმ ქცევის ღირებულების უპირატესობის გაცნობიერებას წარმოადგენს.

ამრიგად, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას სუბიექტის ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ დროს ის ძირეულ გარდატეხას განიცდის და სულ სხვანაირად ხდება, ვიდრე იყო მაშინ, როცა დანაშაულის გზას დაადგა, სახელდობრ ისპობა მისი პიროვნების საშიშროება. ეს კი უთუოდ მნიშვნელოვანი საფუძველია იმისათვის, რომ კანონმდებელმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს სუბიექტი, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დაწყებული დანაშაულის მიყვანაზე.

დანაშაულის ნებაყოფლობით მიტოვება შეიძლება როგორც მომზადების, ისე მცდელობის სტადიაზე, უკანასკნელ შემთხვევაში როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი მცდელობის დროს.

მომზადებისა და დაუმთავრებელი მცდელობის დროს დანაშაულის ნებაყოფლობით მიტოვება გამოიხატება იმაში, რომ დამნაშავე არ განაგრძობს თავის დანაშაულებრივ საქმიანობას, თუმცა შესაძლებლად მიაჩნია მისი ბოლომდე მიყვანა.

ერთგვარი თავისებურებებით ხასიათდება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის დროს.

დამთავრებული მცდელობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დანაშაულებრივი შედეგი დროის მიხედვით დაცილებულია მოქმედებისაგან.

დამთავრებული მცდელობის დროს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიური ფორმით, ე.ი. პირმა უნდა უვნებელყოს ის ძალები, რომლებიც მან აამოქმედა დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევის მიზნით, და ამით თავიდან აიცდინოს დანაშაულებრივი შედეგი.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეიძლება მხოლოდ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღები გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან იმ დანაშაულისათვის, რომელზედაც მან ხელი აიღო. მაგრამ თუ მის მიერ შესრულებული მოქმედება თავისთავად შეიცავს რაიმე დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს, იგი პასუხს აგებს ამ დამთავრებული დანაშაულისათვის.

თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ხელის აღებისათვის საკმარისი არ არის უმოქმედობა, არამედ აუცილებელია, რომ მათ აქტიურად ხელი შეუშალონ დანაშაულის ბოლომდე მიყვანას. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ დამხმარის მიერ დაპირებული მოქმედების შეუსრულებლად დანაშაულის ბოლომდე მიყვანა შეუძლებელია, დამხმარის მიერ დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება შეიძლება გამოიხატებოდეს უმოქმედობითაც.

თუ დანაშაულზე ხელი აიღო ამსრულებელმა, ეს გარემოება გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ მას და არა თანამონაწილეებს. რამდენადაც თანამონაწილეთა მოქმედება, დამოუკიდებლად აღებული, მოსამზადებელი მოქმედების ნიშნებს შეიცავს, ეს უკანასკნელნი პასუხს აგებენ დანაშაულის მომზადებისათვის.

ერთ-ერთი თანამონაწილის მიერ ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე არავითარ ზეგავლენას არ მოახდენს არც ამსრულებლისა და არც სხვა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობაზე.

ბიბლიოგრაფია:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. (1976). თბილისი.

სულაქველიძე, დ. (1980). დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის. *საბჭოთა სამართალი* (4).

უზნაძე, დ. (2003). *ზოგადი ფსიქოლოგია.* თბილისი.

ფურცხვანიძე, ბ. (1971). *საბჭოთა სისხლის სამართალი: ზოგადი ნაწილი.* თბილისი.

წერეთელი, თ. (1961). *დანაშაულის მომზადება და მცდელობა.* თბილისი.

Malkhaz Lomsadze

Gori State Teaching University

LIABILITY FOR UNCOMPLETED PILLAGES

RESUME

We should punish the criminal for completed guilty and also for uncompleted guilty with the Criminal Law. According to principle of Criminal law the person should be punished for preparation and effort of guilty. In this paper it is well given all stages of guilty these are arrangements of pillages, effort of pillages and refuse of this guilty and juridical guilty, It is well realized the characteristics of criminal law, are said some ideas about criminal law theory and is discussed about court practice importance. To do this paper we used some methods of historical, statistical and dialectical research. We hope that all above mentioned recommendations will provide to evaluate the guilty in right way. All these provides to omit the criminal law norms contradiction and arrange it together well.

This paper will be very good resource for scientists and lawyers, practical lawyers and all people who are interested in this issue.

Keywords: Liability, Pillages, Crime, Criminal Law, Code.

ნესტან მამუჭაძე, იოსებ სანიკიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

რეგიონული მედიის ზოგიერთი ასპექტის მიმოხილვა
(აჭარის მაგალითი, 2013-2015 წწ)

საკვანძო სიტყვები: მასობრივი კომუნიკაცია, რეგიონული მედია, მასმედიის ზემოქმედება, მედიის ფუნქცია.

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ფუნქციები დღეისათვის ერთობ აქტუალური თემაა. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, ნარკვევი თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტების მხრიდან მოსაზრება გვხვდება. ამავდროულად, საინტერესოა აღნიშნული პრობლემის დეტალური წარმოჩენა რეგიონული მედიის მაგალითზეც, ვინაიდან ეს უკანასკნელი ცენტრალურ, ნაციონალურ არხებთან მიმართებაში, საინტერესო პლაცდარმს ქმნის. მოგეხსენებათ, ცენტრალური გაზეთებისა და ტელევიზიებისაგან განსხვავებით, რეგიონულ მედიას აწყობილი მარკეტინგისა და მენეჯმენტის პირობებშიც კი არ შეუძლიათ, რომ გაყიდვის ამარა იყოს. შევნიშნავთ, რომ მედიაორგანიზაციები ხშირად დონორთა მხარდაჭერაზე არიან დამოკიდებულნი. ბეჭდური მედიის მომხმარებელთა მცირე რაოდენობა რეგიონულ გაზეთებს შესაძლებლობას არ აძლევს, შემოსული თანხები საკუთარი ინსტიტუციური განვითარებისათვის გამოიყენოს. დონორთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა დახმარება ამ მიმართულებით შემცირდა. შესაბამისად, ეს მიმართულება იმ თავისუფალ ნიშად იკვეთება, რომლის გასავითარებლადაც „მედიის მხარდაჭერის პროგრამამ“ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს.

კვლევის მეთოდებია: სოციოლოგიური გამოკითხვა ელექტრონულად და ბეჭდურად, დაკვირვების მეთოდი.

ლიტერატურის მიმოხილვა: მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი აუდიტორიაზე ყოველდღიურად მძლავრად ახდენს გავლენას. სწორედ ნააზრევის ერთ წიგნად თავმოყრაა მელვინ დეფლორისა და ევერეტ დენისის სახელმძღვანელო წიგნი „მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის“, სადაც რიგი პრობლემური საკითხები თავებადაა მიმოხილული.

ამავდროულად, შეუძლებელია მასობრივი კომუნიკაციის თავისებურებათა ფუნქციები მიმოიხილო და ჟურნალისტიკის ეთიკური კრიტერიუმები უკუაგდო. ცხადია, სხვათა გვერდით კლოდ ჟან ბერტრანის „მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები“ ერთ-ერთ დასაყრდენ სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

მასობრივი კომუნიკაციის თეორიებსა და კონცეფციებზე საინტერესო კვლევა-ძიებას გვთავაზობს ქალბატონი თამარ მალაღურაძე. მაშინ, როცა ჟურნალისტური ტექსტის გავლენაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერც ამავე ავტორის წიგნს „თანამედროვე პუბლიცისტური ჟანრების თავისებურებანი“ ავუვლით.

ქართველი მეცნიერი ბორის იმნაძე მასობრივი კომუნიკაციის არსს, ფუნქციურ დანიშნულებებსა და მედიაზემოქმედების თავისებურებებს საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იკვლევდა. მისი არაერთი სამეცნიერო ნაშრომი პრობლემის აქტუალობის ნათელი მტკიცებაა: „თანამედროვე ჟურნალისტიკის თეორია, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში მასობრივ ინფორმაციის (ანუ მასობრივ კომუნიკაციის საშუალებებს) ფუნქციონირების კანონზომიერებას, კარგად აქვს შეგნებული, თუ რაოდენ საჭირო და აუცილებელია ჟურნალისტიკის შემოქმედებაში ისეთი განზოგადოებული და კონცეპტუალური მოდელების აგება, რომელიც საშუალებას მოგვცემს „დავინახოთ, „აღმოვაჩინოთ“ ეს მისი საქმიანობა, როგორც ერთგვარი ურთიერთმომქმედი მის სტრუქტურაში შემავალი ქვესტრუქტურებისა“. (იმნაძე, 2012, გვ. 69)

საზოგადოების სოციალური ცხოვრება მიმდინარეობს სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების სოციალურ ფორმებში – ორგანიზაციების, კავშირების, საზოგადოებების, დაწესებულებების და სტრუქტურულ, რეგიონულ, უწყებათაშორისი და სხვადასხვა ორგანოების სისტემებში, რომლებიც სხვადასხვა განაწესით მოქმედებენ. მათზე დაყრდნობით ისინი უზრუნველყოფენ ამა თუ იმ საზოგადოებრივი სფეროს ფუნქციონირებას.

ჟურნალისტიკა საზოგადოების ერთ-ერთი სოციალური ინსტიტუტთაგანია, ვინაიდან ჟურნალისტური საქმიანობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობაა. რაც შეეხება ჟურნალისტიკის, როგორც სოციალური ინსტიტუტის თავისებურებას სხვებისგან განსხვავებით, იგი შემდეგში მდგომარეობს:

ღრმად იჭრება ცხოვრების ყველა პროცესში, სინამდვილის ყველა სფეროში პოლიტიკიდან და ეკონომიკიდან დაწყებული და კულტურით, ეკოლოგიით თუ სპორტით დამთავრებული. მედია აშუქებს და აანალიზებს სინამდვილეს, ფაქტებს და ცდილობს იმ ამოცანების განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას, რაც საზოგადოების წინაშეა დასახული;

ჟურნალისტიკის თავისებურება გამოიხატება აგრეთვე იმით, რომ მედიასაშუალებანი ხშირად ამა თუ იმ ფრთის ინტერესების დამცველს წარმოადგენს (ერთია პროფესიული სტანდარტი, მაგრამ მეორეა რეალობა. ვფიქრობთ, აღნიშნული დეტალი სჯა-ბაასის საგანია, რაზეც ქვემოთ დავკონკრეტდებით);

საინტერესოა ე.წ. უპარტიო მედიასაშუალებების არსებობაც, რომლებიც სიტყვით თავისუფლებისა თუ თავისუფალი სიტყვის სადარაჯოზე დგანან.

ჟურნალისტიკის, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გავლენა მასობრივ აუდიტორიაზე რომ განუზომელია, ამ ეტაპზე ამის მტკიცებას არ დავიწყებთ. ის, რომ ჟურნალისტიკა აუდიტორიის შეგნებას აყალიბებს, საზოგადოების წინაშე დასმული პრობლემების კვალდაკვალ რომ მის აზრს ეყრდნობა, რაღა თქმა უნდა, მედიის სწორხაზოვნებას განსაზღვრავს.

ზემოთ მოცემული მინი ექსკურსი, რაც მეტწილად ჟურნალიზმის ურთიერთობას განსაზღვრავდა თუ აღნიშნავდა სოციუმთან მიმართებაში, პირდაპირ კავშირშია იმ საკითხთან, რომელიც აღნიშნულ თავში უნდა განვიხილოთ. მედიის ფუნქციები ერთ-ერთი საინტერესო და რთული საკითხია. აღნიშნული პრობლემის შესახებ თეორიულ ჭრილში ბევრი რამ თქმულა. მისივე აქტუალურობიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ბევრი კვლავაც ითქმება. ჩვენი მიზანი კი არა რიგი თეორიების გამეორება, არამედ რეგიონულ მედიათა კვალდაკვალ ფუნქციათა ჭრილში დაკონკრეტებაა. მაშასადამე, რაში მდგომარეობს მედიის ფუნქციები და რამდენად იცავს თუ ასრულებს მას სათანადოდ რეგიონული მედია? სტანდარტი სტანდარტად რჩება თუ მოდერნიზებულმა გარემომ ახლებური პრინციპი შემოგვთავაზა? რაღა თქმა უნდა, კითხვა მრავლად შეიძლება დაისვას, მაგრამ ვიდრე პასუხს გავცემთ, მედიის ფუნქციების ე.წ. „სტანდარტული ნაწილის“ მიმოხილვაა უპრიანი.

ჟურნალისტიკა, რომელიც ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთ ინფორმაციულ-მმართველობით ფორმას წარმოადგენს, სპეციფიკურ ფუნქციებს ახორციელებს, რომელთა რეალიზაციით გასაგები ხდება მისი ადგილი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქედან ცხადია, რომ ჟურნალისტიკა მიზანსწრაფული სისტემაა და სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად მისი ფუნქცია საზოგადოების მართვა არის.

უპირველეს ყოვლისა, საქმიანობის სახე დანიშნულების ასპექტით ხასიათდება ანუ იმ ამოცანების გააზრებით, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქმიანობის პროცესში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დანიშნულება წინასწარგათვალისწინებული, წინასწარგანჭვრეტილი საქმიანობის შედეგია. ადამიანის შეგნებული საქმიანობა ყოველთვის მიმდინარეობს გარკვეული შედეგების მოპოვებისათვის, მაგრამ რა თქმა უნდა, სათანადო გზები მართებულად უნდა დავსახოთ. ამ დროს აუცილებელია გადაწყვეტილება სწორად მივიღეთ და ინსტანციათა თვლის თითოეული საფეხური სათანადოდ გავიაზროთ. მაშასადამე, დანიშნულება მიზნობრივი, შედეგობრივი ფუნქციაა. მისი რეალიზაციისთვის კი აუცილებელია ხელთ გვქონდეს საშუალებათა ერთობლიობა, რომელთა გამოყენებითაც ჟურნალისტიკის რეალურ ფუნქციონირებას მივაღწევთ. ამრიგად, ფუნქციების ცოდნა ნიშნავს ერთობლიობას ადამიანის დანიშნულების, საშუალებებისა და შედეგების შესახებ. ამავე დროს, ჟურნალისტიკისათვის დანიშნულება სუბიექტური ფაქტორი როდია. ჟურნალისტიკის საქმიანობა მით უფრო ნაყოფიერი იქნება, რაც უფრო სრულად გავიზიარებთ მის კანონებს. ეს კი ჟურნალისტებს საშუალებას მისცემს განსაზღვრონ თავიანთი საქმიანობის ხასიათი და პრინციპები. ხოლო მიზნების გაგება და მათი მიღწევის საშუალებების გამოძებნა მათ დაეხმარება სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი პროფესიული როლი.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტიკის ფუნქციების გარშემო აზრთა სხვადასხვაობა დღემდე აქტუალური თემაა.

ჟურნალისტიკა საზოგადოებრივი ცხოვრების სახეა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები დღითიდღე მძლავრად იკიდებს ფეხს, თუმცაღა საზოგადოებრივი ცნობიერება ინოვაციური რეჟიმისკენაა მიმართული. ყურადსაღებია ისიც, რომ ამა თუ იმ მოვლენას (ბევრ მოვლენას), თავად საზოგადოება აძლევს კონკრეტულ მიმართულებას, ხშირ შემთხვევაში თავადვე ქმნის და მასვე აქვს მოთხოვნილება იმისა, რომ ფაქტი, მოვლენა – მასობრივ აუდიტორიამდე მივიდეს. დღეს თანამედროვე აუდიტორია – საზოგადოება, ვითარების შემქმნელად, აღმწერად და ინფორმატორადაც გვევლინება. ისმის კითხვა – რასთან გვაქვს ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე? რაღა თქმა უნდა, ეს არის გზა, მიმართულება

ერთგვარი მასობრივი აუდიტორიიდან – ინფორმაციულ სანახაობამდე, რომლის შემქმნელი, თვითმხილველი და ხშირად ინფორმატორიც – თანამედროვე ადამიანია, ტექნოლოგიური პროგრესის კვალდაკვალ ინოვაციური მოვლენებისკენ მიმართული.

დავას აღარ იწვევს, რომ 21-ს საუკუნეში მასმედიის ზემოქმედების როლი საზოგადოებრივ ცნობიერებაზე კიდევ უფრო გაიზრდება. ეს სათანადო მოთხოვნებს უყენებს როგორც საინფორმაციო საზოგადოების მუშაკებს, ასევე მასობრივ-კომუნიკაციური პროცესის სპეციალისტებსაც. ადამიანთა ერთობლიობა ქმნის საზოგადოებას, რომელიც ცხადია, ერთგვაროვანი არ არის. ამიტომ, ადამიანთა შორის ურთიერთობა სხვადასხვანაირია და შესაბამისად, იგი სხვადასხვა დონეზე ხორციელდება. არაერთმა კვლევამ ცხადყო, რომ მასმედია ბევრისთვის გართობის წყაროა. ასეთნი მედიას ხშირად იმიტომ აკრიტიკებენ, რომ გასართობი შემოაკლდათ, მათი მოსაწონი სატელევიზიო პროგრამა თუ საგაზეთო ტექსტი დაილია; ან კიდევ, ახალი ამბები მათთვის მოსაწყენია.

საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაცია სხვადასხვა ჯგუფისა და სოციალური ქმედების უამრავ ვარიანტს ქმნის, რაც მაყურებელს არჩევანის შესაძლებლობას აძლევს. სოციალური მოლოდინის თეორია გვასწავლის, რომ ნორმების, როლების, რანგებისა და კონტროლის კარგი ცოდნა მედიის მიერ ასახული სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის და ადამიანთა ჯგუფების გაუცნობიერებელი დასწავლის შედეგად მიიღება. სოციალური მოლოდინის ცნება შეიცავს იმ ნორმებს, რომლებიც წარმართავს მათ ქცევას, ეხმარება უკეთ გაითავისონ ესა თუ ის როლი, გამოიჩინონ თავი ხელმძღვანელობის წინაშე, შეასრულონ დავალებები და გაიგონ, რას უნდა მოელოდნენ საყვედურის ან ჯილდოს სახით. ამ გაგებით, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში წარმოდგენილმა სოციალური მოლოდინის აღწერამ ადამიანზე, შესაძლოა, ხანგრძლივი, შენელებული მოქმედების, მაგრამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.

თითოეული ჩვენგანი უკანასკნელ დროს აქტიურად მიმდინარე გლობალურ-სოციალური ცვლილებების მომსწრე და უშუალოდ მონაწილენიც გავხდით. შესაბამისად, სიახლის მიღება, შეფასება და უკუკავშირი, როგორც სოციუმის მოღვაწეობის აუცილებელი ელემენტი, დემოკრატიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნის წინაპირობად მოიაზრება. მოგეხსენებათ, მიღებული ინფორმაცია უდიდეს ზეგავლენას ახდენს პიროვნების ცნობიერებაზე, გარდაქმნის მას და გარკვეული მიმართულებით განსაზღვრავს. იმას, რომ თანამედროვე ადამიანი ზღვა ინფორმაციას მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით იღებს, ინოვაციას არ წარმოადგენს და შესაბამისად, მედია უყალიბებს მას „სწორხზოვან“ აზროვნებას. იქიდან გამომდინარე, რომ მანიპულირება გარკვეული იდეოლოგიური დამოკიდებულებაა, მედიაზემოქმედების იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ კონტექსტში განხილვა, კვლევის თვალსაზრისით ვფიქრობთ, რომ მრავალმხრივ საინტერესო და ეფექტური იქნება.

მედიისა და ჟურნალისტიკის ფუნქციების განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, კვლავ მათი ურთიერთობის საკითხი დგება წინა პლანზე. „რით განსხვავდება ჟურნალისტიკა კომუნიკაციის სხვა ფორმებისაგან და რა არის მისი ძირეული საწყისები“, – ამის გარკვევა დაისახეს ამოცანად 1997 წელს აშშ-ის წამყვანი მედიასაშუალებების გავლენიანმა წარმომადგენლებმა და სპეციალისტებმა. „მათვე დააფიქსირეს პრობლემა, რომ – ჟურნალისტიკის გათქვეფა კომუნიკაციების უფრო დიდ სამყაროში და მიზანი – უნდა ვეცადოთ, რომ ჟურნალისტიკა კვლავ გამოვყოთ ამ დიდი სამყაროდან“. (ვეკუა & რუე, 2013, გვ. 123)

შინაგანი სტანდარტები, რასაც რეგიონული მედია გვთავაზობს, გასათვალისწინებელი და გასასიგრძეგანებელია. გაზეთი „ბათუმელები“, გაზეთი „აჭარა“, „ტელეარხი 25“ და „აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებელი“ – იმ სტანდარტული ხედვის საშუალებას იძლევა, რომელიც ფუნქციათა ჭრილში თავსდება, ოღონდ თავისებური გაგებით წარსდგება აუდიტორიის წინაშე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გადაცემათა ნაირფეროვნებით გამოირჩევა. კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციის კვალდაკვალ გადაცემა „პარადიგმა“ წარმოგვიდგება. გადაცემა რეგიონის საგანმანათლებლო სივრცით შემოიფარგლება, სადაც სტუმრად გევლინება ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელობა, სკოლების დირექტორები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები თუ მოსწავლეები. აღნიშნული არხი მეტი პოპულარობით მაღალმთიან აჭარაში სარგებლობს და კიდევ უფრო პოპულარულია გადაცემა „ერთი დღე სოფელში“. მაშასადამე, ამავდროულად სტატისტიკური კვლევაც ცხადყოფს, რომ აჭარაში მეტად პოპულარული კულტურულ-საგანმანათლებლო თემატიკასა და ტრადიციებზე ორიენტირებული გადაცემებია. ბუნებრივია, ამ კუთხით ჩვენ კითხვები მრავლად შეგვიძლია დავსვათ და არც პასუხი დავაყოვნოთ: რატომ?

1. კულტურა და განათლება ერის განვითარების ცოცხალი ნაწილია, რაზედაც თითოეული ოჯახი ავტომატურადაა მიჯაჭვული. ოჯახი, რომელიც მომავლისკენ იხედება, ბუნებრივია, ნათელ გზას განათლებაში ხედავს;

2. ზემოთ მოცემული მსჯელობის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ მომდევნო პუნქტიც, ვინაიდან განათლებული ოჯახი ხშირად ტრადიციულ ხედვას მოითხოვს, რათა თვისტომს არ დაავიწყდეს ვისი გორისაა. მოგეხსენებათ, მოყვანილი ორივე არგუმენტი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ ამავდროულად ორივე გენეტიკური კოდის შენარჩუნებას ემსახურება. ტრადიცია კულტურისა და განათლების გარეშე არ არსებობს და პირიქით.

ჟარკო პეტანი წერდა: „ნათელ მომავალზე პოლიტიკოსები ზრუნავენ, ნათელ წარსულზე _ ისტორიკოსები, ნათელ აწმყოზე – ჟურნალისტები“. ჟურნალისტობა ოდითგანვე მომავლის პროფესიად ითვლება, რაც ჟურნალისტიკის ფართო სპექტრის კვალდაკვალ თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ერთგვარ სინთეზს მოითხოვს.

კულტურულ-საგანმანათლებლო და რეკრეაციული ფუნქციის ზოგადი პრინციპები ზემოთ ჩამოვაყალიბეთ, რაც ასევე ზემოთ ხსენებული ორივე გადაცემის სპეციფიკასთან პირდაპირკავშირშია. მოკლედ, საანალიზო რეგიონული მედიის მაგალითზე აღნიშნულ ფუნქციათა კვალდაკვალ მუშაობის მცდელობა არის, მის განხორციელებას აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი ცდილობს, თუმცა არც ინტერპრეტირებულ ფორმას აყოვნებს. ბევრი რამ შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს.

აღვნიშნავთ, რომ მოსახლეობის გამოკითხვა ჩავატარეთ. მათ შემდეგი კითხვით მივმართეთ: რომელი მედიასაშუალების მეშვეობით იგებთ ინფორმაციას ხშირად (გაზეთი, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტგამოცემა)? იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის ობიექტი რეგიონალური მედიაა, მხოლოდ ქ. ბათუმის მკვდრნით შემოვიფარგლეთ. გამოკითხვა ორ ეტაპად ჩავატარეთ: სოციალური ქსელის მეშვეობით და ე.წ. „ქუჩის გამოკითხვის“ პრინციპით. 12 საათის განმავლობაში სოციალურ ქსელზე 917 ადამიანი გამოგვეხმაურა, რომელთაგან 798 უპირატესობას ინტერნეტგამოცემებს ანიჭებდა. გაჩნდა ე.წ. „კომენტარებიც“: უმრავლესობა მიუთითებდა, რომ ისინი კონკრეტულად „ნეტგაზეთით“ სარგებლობენ და ინფორმაციის უტყუარობაზეც მიუთითებდნენ. რაც შეეხება ე.წ. „ქუჩის გამოკითხვის“ შედეგებს, ახალ ამბებს ინტერნეტის მეშვეობით ხშირად (და არა რეგულარულად) 200-დან მხოლოდ 67 რესპონდენტი იგებს. აღმოჩნდა, რომ ინტერესები ასაკისა და სოციალური სტატუსის შესაბამისადაც გაიყო. ბუნებრივია, აღნიშნულ შედეგს კონკრეტული ახსნა-განმარტებაც მოეძებნება, რაც ახალი მედიის ფუნქციათა ჭრილშია საძიებელი.

ბიბლიოგრაფია:

ბერტრანი, კ. (2004). *მედია ეთიკა და ანგარიშვალდებულებების სისტემები.* თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.

დენისი, მ., & დეფლორი, ე. (2009). *მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის.* თბილისი: საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი.

ვეკუა, მ., & რუე, ჟ. (2013). *ჟურნალისტიკა.* თბილისი: მერიდიანი.

იმნაძე, ბ. (2012). *მასობრივი კომუნიკაციის აუდიტორიის ტიპოლოგია.* განათლება.

ლებანიძე, გ. (2004). *კომუნიკაციური ლინგვისტიკა.* თბილისი: ენა და კულტურა.

მალაღურაძე, თ. (2013). *თანამედროვე მასკომუნიკაციური თეორიები და კონცეფციები.* თბილისი: უნივერსალი.

Nestan Mamuchadze, Ioseb Sanikidze

Batumi Shota Rustaveli State University

Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

OVERVIEW OF SOME ASPECTS OF REGIONAL MEDIA
(EXAMPLE OF ADJARA, 2013-2015)
RESUME

Mass communication conducts various groups' ant social activities in the society that gives the choice possibility to spectators. Journalism, which is one of the information-governing forms of human activity, carries out specific functions, which's implementation proves its place and role in public life. Accordingly, journalism is purposeful system and its function is governing the society with other social institutes.

Keywords: Mass Communication, Regional Media, Media Impact, Media Function.

ნიკოლოზ მიდოდაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობის ეფექტიანობის ზოგიერთი აქტუალური საკითხი

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მმართველობა, აღმასრულებელი მენეჯმენტი, ლიდერობა.

უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში ევროპის ქვეყნების მიერ უმაღლესი განათლების სფეროში გატარებული რეფორმების ყველაზე ნათლად გამოკვეთილ ტენდენციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - უსდ) ინსტიტუციური ავტონომიის მნიშვნელოვანი ამაღლება წარმოადგენს. იგი დაწესებულების ინსტიტუციურ მმართველობაში სახელმწიფო ორგანოების უშუალოდ ჩარევის უფლების შეზღუდვასა და შესაბამისი უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების დაწესებულებისათვის დაკისრებას გულისხმობს. (Keczer, 2012; Arnhold, Kivisto, Puttmann, Vossensteyn, & Ziegele, 2016; Shattock, 2013; Rowlands, 2017) შეზღუდული ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში, როდესაც უსდ მჭიდროდაა ინტეგრირებული სახელმწიფო სტრუქტურებთან, უსდ-ის მართვას ფაქტიურად შესაბამისი სახელმწიფო სახელისუფლო სტრუქტურა, უპირატესად, შესაბამისი სამინისტრო ახორციელებს. მაღალი ინსტიტუციური ავტონომიის პირობებში კი უსდ-ის მმართველობაზე პასუხისმგებლობა თვით დაწესებულებას ეკისრება და შესაბამისად, მმართველობა იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას მრავალრიცხოვანი გამოწვევების ფონზე დაწესებულების კონკურენტუნარიანობის, ფუნქციონირებისა და განვითარების უზრუნველყოფის კუთხით. ამიტომ, ინსტიტუციური ავტონომიის ამაღლების კვალდაკვალ, არსებული გამოწვევების საპასუხოდ და შეცვლილ გარემოში უსდ-ის მმართველობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ევროპის მრავალ ქვეყანაში უსდ-ის მმართველობის რეფორმა განხორციელდა. აღნიშნული რეფორმების გამომწვევი მიზეზების და შედეგების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე უსდ-ის მმართველობის თანამედროვე პრობლემური საკითხების თაობაზე საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში საფუძვლიანი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება დაგროვდა. (Rowlands, 2017; Carnegie & Tuck, 2010; Keczer, 2012; Davidovitch, 2015; Taylor, 2013) ცხადია, რომ საყოველთაო გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია, აგრეთვე ევროინტეგრაციის პროცესებში საქართველოს აქტიური ჩართულობა განაპირობებს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის წინაშე ისეთივე გამოწვევების წარმოქმნას, როგორითაც ხასიათდება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცე. ამდენად, ამ გარემოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საერთო ევროპული ტენდენციებისა და დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, თანამედროვე გამოწვევების ფონზე, საქართველოს უსდ-ის მმართველობის მოდელის ნაკლოვანებების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის მიზნით, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

ზემოაღნიშნული ევროპული რეფორმების ერთ-ერთ ზოგად ტენდენციას უსდ-ის მართვის უმაღლეს კოლეგიურ ორგანოში პროფესიონალიზმის ნიშნით შერჩეული გარე წევრების ჩართვა წარმოადგენს. იგულისხმება, რომ ამგვარად გაძლიერდება მართვის ორგანოს პოტენციალი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, გაიზრდება უსდ-ის გარე კავშირების გაძლიერების შესაძლებლობები (ვინაიდან გარე წევრები, ჩვეულებრივ, წარმოადგენენ ერთგვარ ხიდს გარე სამყაროსთან დაკავშირების კუთხით). ამასთანავე, გარე წევრების ჩართვა დაწესებულების მართვის ორგანოში შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც საზოგადოების წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობა უსდ-ის მართვაში, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს საზოგადოების ნდობას უსდ-ის საქმიანობისადმი.

ევროპული რეფორმების კიდევ ერთ გამოკვეთილ ტენდენციას უსდ-ის ინსტიტუციური ლიდერების როლის მნიშვნელოვანი ამაღლება წარმოადგენს. (Shattock, 2013; Rowlands, 2017; Arnhold, Kivisto, Puttmann, Vossensteyn, & Ziegele, 2016) ამ ტენდენციის შესაბამისად, უსდ-ის ინსტიტუციური ლიდერები უპირატესად წარმოადგენენ ფართო უფლებამოსილებებით აღჭურვილ უმაღლეს აღმასრულებელ ხელმძღვანელებს, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან მხოლოდ უსდ-ის მართვის უმაღლესი კოლეგიური ორგანოს - მმართველი საბჭოს წინაშე. უფლებამოსილებათა კონცენტრაცია დაწესებულების ხელმძღვანელის ხელში უზრუნველყოფს აღმასრულებელი საქმიანობის ფარგლებში

სწრაფი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია მუდმივად ცვალებად გარემოში დაწესებულების წარმატებული ფუნქციონირებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ერთი პირის ხელში ძალაუფლების ძლიერი კონცენტრაციით შესაძლოა წარმოიქმნას საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია აღმასრულებელი ხელმძღვანელის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებასთან ან გადაჭარბებასთან, რაც შესაძლოა გახდეს შემაფერხებელი გარემოება დაწესებულების ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. მ. შატტოკი მიუთითებს, რომ ამგვარი საფრთხის პრევენციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მმართველი საბჭოს მიერ აღმასრულებელი ხელმძღვანელის საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კონტროლის ქმედითი მექანიზმების არსებობა. (Shattock, 2013)

კიდევ ერთ ტენდენციას, რომელიც ევროპის უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის პრაქტიკაში გამოიკვეთა, წარმოადგენს უსდ-ში მცირერიცხოვანი, მაგრამ ქმედითი აღმასრულებელი ბირთვის - აღმასრულებელი საბჭოს არსებობა. (Shattock, 2013) აღმასრულებელი საბჭოს ფორმირებას ახორციელებს ინსტიტუციის უმაღლესი აღმასრულებელი ხელმძღვანელი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისაგან და პროფესიონალიზმის ნიშნით შერჩეული მენეჯერებისაგან. ამ გუნდის პასუხისმგებლობას წარმოადგენს უსდ-ის ყოველდღიური აღმასრულებელი საქმიანობა და იგი ანგარიშვალდებულია დაწესებულების მართვის კოლეგიური ორგანოების წინაშე. მისი ძირითადი დანიშნულება დაწესებულების გარეთ თუ შიგნით წარმოქმნილ მოვლენებზე სწრაფი და ადეკვატური რეაგირებაა. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული რეფორმების შედეგად უსდ, რომელიც მანამდე ერთმანეთთან სუსტად დაკავშირებული ფაკულტეტების ერთობლიობას წარმოადგენდა, გარდაიქმნა კარგად ორგანიზებულ დაწესებულებად ძლიერი ცენტრალური ხელმძღვანელობითა და აღმასრულებელი სტრუქტურებით. (Keczer, 2012)

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით“ (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004, მუხლი 22), სსიპ უსდ-ის ხელმძღვანელს წარმოადგენს რექტორი. თუმცა, ევროპული ტენდენციისათვის დამახასიათებელი მიდგომისაგან განსხვავებით, საქართველოს უსდ-ის რექტორი არ წარმოადგენს მხოლოდ დაწესებულების აღმასრულებელ ლიდერს, ვინაიდან იგი ითავსებს აგრეთვე უსდ-ის უმაღლესი კოლეგიური ორგანოს - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეობას. მიგვაჩნია, რომ ამგვარი შეთავსება არ უწყობს ხელს უსდ-ის აღმასრულებელი ლიდერის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. თუმცა წარმოდგენილ ნაშრომში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული უსდ-ში ქმედითი აღმასრულებელი ბირთვის - აღმასრულებელი საბჭოს არსებობა, რომელიც იქნებოდა დაწესებულების ხელმძღვანელის საქმიანობის ხელშემწყობი და მხარდამჭერი ორგანო, რაც საერთო ევროპულ ტენდენციებში გამოკვეთილ მნიშვნელოვან მიდგომას წარმოადგენს. უმაღლესი განათლების სფეროში დამკვიდრებული საბაზრო ურთიერთობების ფონზე, სულ უფრო მზარდი კონკურენციისა და სწრაფად ცვალებადი გარემოს პირობებში, უსდ-ის აღმასრულებელი მმართველობის მიერ კომპეტენტური და სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დაწესებულების წარმატებული საქმიანობისა და განვითარებისათვის. ამიტომ უსდ-ის აღმასრულებელი საბჭო, რომელშიც ჩართულია დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, მათ შორის ფაკულტეტის დეკანები და რომლის საქმიანობასაც ხელმძღვანელობს რექტორი, შეუძლია მნიშვნელოვნად აამაღლოს დაწესებულების აღმასრულებელი საქმიანობის ეფექტიანობა. ცხადია, რომ მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 2004, მუხლი 14) განსაზღვრული სსიპ უსდ-ის სტრუქტურით გათვალისწინებული რექტორის აპარატი და აკადემიური საბჭოს სამდივნო ამგვარ ფუნქციას სათანადოდ ვერ შეასრულებს.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების შესაბამისად საქართველოს კანონმდებლობით სსიპ უსდ-ის მართვის ორგანოს სახით აღმასრულებელი საბჭოს დაარსება ერთი მხრივ, განაპირობებს ამ კუთხით არსებულ ევროპულ ტენდენციებთან შესაბამისობას და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს უსდ-ის აღმასრულებელი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას და გრძელვადიან პერიოდში უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად და წარმატებულ განვითარებას.

ბიბლიოგრაფია:

საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 2004. (№688). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/document/view/32830?publication=75

Arnhold, N., Kivisto, J., Puttmann, V., Vossensteyn, H., & Ziegele, F. (2016). *International Trends and Good Practices in Higher Education Internal Funding and Governance.* World Bank Reimbursable Advisory Service on Higher Education Internal Funding and Governance in Latvia.

Carnegie, G. D., & Tuck, J. (2010). The ABC of university governance. *The Australian Journal of Public Administration, 69* (4), 431-441.

Davidovitch, N. (2015). Models of Higher Education Governance: A Comparison of Israel and Other Countries. *Global Journal of Educational Studies, 1* (1), 16-44.

Keczer, G. (2012). Governance Reforms in European Universities. *International Journal of Economics and Finance Studies, 4* (2), 55-63.

Rowlands, J. (2017). *Academic Governance in the Contemporary University.* Singapore: Springer.

Shattock, M. (2013). *Repositioning Tertiary Education for National Development.* The Governance of Tertiary Education Institutions: Emerging Trends.

Taylor, M. (2013). Shared Governance in the Modern University. *Higher Education Quarterly, 67* (1), 80-94.

Nikoloz Midodashvili

Georgian Technical University

SOME TOPICAL ISSUES OF EFFICIENCY OF GOVERNANCE OF A HIGHER EDUCATION INSTITUTION

RESUME

Against the background of the European reforms of governance of higher education institutions the issue of increase in efficiency of institutional executive management is considered. The important role of executive board is specified.

Keywords: Higher education institution, Governance, Executive management, Leadership.

მაკა სალხინაშვილი

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

რამდენიმე მოსაზრება ადმინისტრაციულ ორგანოებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა განხილვისას არსებული პრობლემების შესახებ

საკვანძო სიტყვები: ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ადმინისტრაციული ორგანო, დადგენილება, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, გასაჩივრება.

საქართველოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება განმარტებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (შემდგომში ,,კოდექსის“) მე-10 მუხლში, კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. (საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984)

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვა ძირითადად ხდება ადმინისტრაციულ ორგანოებში, ხოლო არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს (გადაცდომებს) პირველი ინსტანციის სასამართლოები იხილავენ (მაგ, კოდექსის 166-ე მუხლი - წვრილმანი ხულიგნობა, 45-ე მუხლი - ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება და სხვ.).

კოდექსის მე-14 თავი არეგულირებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ქვემდებარეობას. სიახლეა კოდექსის 228[3] მუხლში, კერძოდ, სასმელი წყლის მიმწოდებელი კომპანიები თუ ადრე იხილავდნენ მხოლოდ კოდექსის 149-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, ამჟამად განიხილავენ კოდექსის 58-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს - წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევებს, კერძოდ, - წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ნარჩენების ჩაყრა, აგრეთვე ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შეუსაბამო ჩამდინარე წყლების ჩაშვება. (საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984)

ადმინისტრაციულ ორგანოებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვამდე საჭიროა სამართალდამრღვევად მიჩნეული პირის სხდომაზე გამოძახება კოდექსის 252-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ,,ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.“ (საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984)

სამწუხაროდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ არეგულირებს საკითხს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ჩაბარდეს მხარეს შეტყობინება ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის სხდომაზე სამართალდამრღვევად მიჩნეული პირის გამოცხადების შესახებ. შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განმხილველი პირები მიმართავენ უწყების (შეტყობინების) გაგზავნის სხვადასხვა ფორმას. ვფიქრობთ, საქართველოს კანონმდებლობით ერთიანი წესი უნდა არსებობდეს ყველა ადმინისტრაციული ორგანოსათვის შეტყობინების (უწყების) ჩაბარების საკითხთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ კანონმდებლობით ეს საკითხები არ არის მოწესრიგებული, მისაღებია შეტყობინების (უწყების) ჩაბარების ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმები (სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანო საფოსტო შეტყობინების ჩაბარების სხვადასხვა ხერხს იყენებს):

- საფოსტო გზავნილი (იგზავნება ფოსტის მეშვეობით როგორც იურიდიულ, ასევე ფაქტობრივ მისამართზე);
- ელ. ფოსტა (იმ შემთხვევაში, თუ საქმის განმხილველი პირისათვის ცნობილია);
- მოკლე ტექსტური შეტყობინება (იმ შემთხვევაში, თუ საქმის განმხილველი პირისათვის ცნობილია მობილური ტელეფონის ნომერი);
- სატელეფონო შეტყობინება (იმ შემთხვევაში, თუ საქმის განმხილველი პირისათვის ცნობილია მობილური ტელეფონის ნომერი);
- შეტყობინების გაგზავნა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით (ვაიბერი, სოციალური ქსელი (შეტყობინება უნდა გაიგზავნოს დახურულად და არ უნდა გასაჯაროვდეს);
- ფაქსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ზემოაღნიშნული ჩამონათვალი შესაძლოა არ იყოს სრული ან/და ადმინისტრაციული ორგანოები შესაძლოა მიმართავდნენ შეტყობინების ჩაბარების სხვა რომელიმე ფორმასაც.

რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ დადგენილებას, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მკაფიოდ მიუთითებს დადგენილების ჩაბარების საშუალებებზე, თუმცა დღეის მდგომარეობით ეს საშუალებებიც შესაძლოა სხვაც იყოს. კერძოდ, კოდექსის 268-ე მუხლის თანახმად (საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984), საქმეზე მიღებული დადგენილება გამოცხადდება დაუყოვნებლივ, საქმის განხილვის დამთავრებისთანავე და დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში

ჩაბარდება ან გაეგზავნება პირს, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება. დადგენილების ასლი 3 დღის ვადაში ჩაბარდება აგრეთვე დაზარალებულს მისივე თხოვნით. დადგენილების ასლი ჩაბარდება ხელწერილით. დადგენილების ასლის გაგზავნის შემთხვევაში საქმეში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

დადგენილების ჩაბარება შესაძლოა სხვადასხვა ფორმითაც მოხდეს. მაგ. თუ მხარე ესწრება დადგენილების გამოტანას, მაშინ შესაძლოა თავად განაცხადოს თანხმობა ელ. ფოსტით ან ე.წ. მესინჯერით ან ვაიბერით და ტექნიკის თანამედროვე საშუალებებით დადგენილების ჩაბარების შესახებ, ვინაიდან თანამედროვე ტექნიკური საშუალებები უფრო ,,მოქნილია" და სწრაფი. თუ ფოსტის მეშვეობით 3-7 დღე სჭირდება დადგენილების ჩაბარებას, ტექნიკის თანამედროვე საშუალებებით რამდენიმე წამშია ეს შესაძლებელი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ გასაჩივრების 10 დღიანი ვადა აითვლება დადგენილების გამოტანიდან (როცა მხარე ესწრება დადგენილების გამოტანას), ამასთან მხარეს დადგენილება წერილობითი ფორმით ბარდება 3 სამუშაო დღეში, შესაძლოა ფოსტით გაგზავნილი დადგენილება ისეთ დროს ჩაბარდეს, რომ გასული იყოს გასაჩივრების 10 დღიანი ვადა. ***მიგვაჩნია, რომ ცვლილება უნდა შევიდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, სადაც ჩაიწერება როგორც შეტყობინების, ისე დადგენილების ჩაბარების საშუალებები.***

მნიშვნელოვანია ასევე ადმინისტრაციულ ორგანოში სხდომის ჩატარების დროს საოქმო ჩანაწერის გაკეთება. კოდექსის 265-ე მუხლი (საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984) განსაზღვრავს მხოლოდ კოლეგიურ ორგანოში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას საოქმო ჩანაწერის გაკეთებას. უნდა აღინიშნოს, რომ კოლეგიური ორგანოს გარდა, საქმეს იხილავს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირი ერთპიროვნულად. მართალია, ერთპიროვნულად საქმის განხილვის დროსაც საჭიროა ასევე საოქმო ჩანაწერის გაკეთება, მაგრამ კოდექსით ეს საკითხი არ რეგულირდება და გამოიყენება ანალოგია. დასახელებული მუხლით გათვალისწინებული ხელით გაკეთდეს საოქმო ჩანაწერი, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

- ✓ სხდომის თარიღი და ადგილი;
- ✓ საქმის განმხილველი ორგანოს დასახელება და შემადგენლობა;
- ✓ განსახილველი საქმის შინაარსი;
- ✓ ცნობა საქმის მინაწილე პირთა გამოცხადების შესახებ;
- ✓ საქმის განხილვის მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებები, შუამდგომლობანი და მათი განხილვის შედეგები;
- ✓ საქმის განხილვის დროს გამოკვლეული დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი;
- ✓ ცნობები მიღებული დადგენილების საჯაროდ წაკითხვისა და მისი გასაჩივრების წესისა და ვადების განმარტების შესახებ.

ამავე მუხლის თანახმად, ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

დღეს, მოქმედი პრაქტიკა განსხვავდება კოდექსის დასახელებული მუხლის ჩანაწერისაგან და სხდომის აუდიო ჩაწერა მიმდინარეობს. ***მიგვაჩნია, რომ კოდექსში ცვლილებაა შესატანი, სადაც აღინიშნება, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას სავალდებულოა ან საოქმო ჩანაწერის გაკეთება ან აუდიო ოქმის შექმნა,*** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხდომის აუდიო ოქმის ჩანაწერის გაკეთება გაცილებით მოსახერხებელია და ნაკლებ შრომასთან არის დაკავშირებული.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში 2013 წლის 20 მარტს შეტანილი ცვლილებების თანახმად სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა) (საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ", 2009, მუხლი 13[1]).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ***მიმაჩნია, ასევე ცვლილება უნდა შევიდეს საქართველოს ზოგად ადმინისტარციულ კოდექსში***, სადაც დაფიქსირდება, რომ ფორმალური და საჯარო წარმოების დროს სხდომის ჩატარებისას ადმინისტარციული ორგანო უფლებამოსილი პირის დავალებით სხდომის მდივანი გააკეთებს საოქმო ჩანაწერს ან განახორციელებს სხდომის აუდიო ჩაწერას.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ორი მუხლი არეგულირებს სხდომის ოქმის საკითხებს, ესენია 106-ე და 112 -ე მუხლები (საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999). კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

- ✓ კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;
- ✓ სხდომის დრო და ადგილი;
- ✓ სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;
- ✓ განხილვის საგანი;

- ✓ კენჭისყრის შედეგები;
- ✓ მიღებული გადაწყვეტილება.

სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, აგრეთვე მდივანი, თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.

ამავე კოდექსის 112-ე მუხლის თანახმად, სხდომის დროს იწარმოება ოქმი, სადაც უნდა მიეთითოს:

- ✓ ადმინისტრაციული წარმოების დასახელება, რომლის თაობაზედაც ეწყობა მოსმენა;
- ✓ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;
- ✓ განხილვის დრო და ადგილი;
- ✓ სხდომის თავმჯდომარის, ზეპირ მოსმენაში მონაწილე დაინტერესებული მხარის, ექსპერტის, მოწმის ვინაობა;
- ✓ ზეპირი მოსმენის საგანი, წარდგენილი განცხადების მოკლე მიმოხილვა;
- ✓ მოწმეთა და ექსპერტთა ჩვენებების მოკლე აღწერა;
- ✓ შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგის აღწერა.

სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

დღეს არსებული პრაქტიკას თუ გადავხედავთ, ადინისტრაციული ორგანოები აწარმოებენ აუდიო ჩაწერას როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვისას, ისე ადმინისტრაციული დავების განხილვისას, რასაც შიდა აქტებით არეგულირებენ. ამდენად, მიზანშეწონილობის პრინციპის გათვალისწინებით, კარგი იქნება თუ სხდომის აუდიოჩანაწერის გაკეთება საკანონმდებლო დონეზე დარეგულირდება, თუმცა აქ არ უნდა დავივიწყოთ 2011 წლის 28 დეკემბრის კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, რომელიც განამარტავს მონაცემთა დამუშავებას, რაც გულისხმობს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედებას, კერძოდ, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღდგენას, გამოთხოვას, გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას. (საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, 2011)

სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის საკითხი რამდენიმე ადმინისტრაციულ ორგანოში ნორმატიული აქტით დარეგულირდა, მაგ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 მარტის #6 დადგენილების (სემეკის დებულების დამტკიცების შესახებ) 22-ე მუხლის თანახმად (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, 2014 წლის 6 მარტი), კომპიუტერულ-ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტი უზრუნველყოფს კომისიის სხდომის დარბაზის ტექნიკური უზრუნველყოფას, სხდომების აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერს და მათი არქივის შექმნას.

მას შემდეგ, რაც ელექტრონული მმართველობა შემოვიდა საჯარო მმართველობაში/ადმინისტრაციაში, გაცილებით გამარტივდა საზოგადოებრივი ცხოვრება. ელექტრონული მმართველობის, როგორც მმართველობის ახალი სახის პირველი განმარტებები 2000-იანი წლების დასაწყისიდან შეიქმნა. მაგ, აშშ-ში კონგრესმა აქტი 2000 წელს მიიღო და დანერგა ე.წ. ინტერნეტ აპლიკაციები. ელექტრონული მმართველობა არის ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და განსაკუთრებით ინტერნეტის გამოყენება უკეთესი მმართველობის მისაღწევად. (ხუბუა & ყალიჩავა, 2018, გვ. 375-377) საჯარო ელექტრონული მომსახურება, რაც დანერგილია ადმინისტრაციულ ორგანოებში, არის ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთი სახე და წარმატებით ხორციელდება საქართველოშიც. ელექტრონული მმართველობა ორიენტირებულია მოქალაქეზე და ხელს უწყობს კოორდინირებულად საკითხის მოგვარებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1980 წელს მიღებულ იქნა ქაღალდზე დაფუძნებული საქმისწარმოების შემცირების აქტი, რომელიც მიმართული იყო ელექტრონული კომუნიკაციის დანერგვისაკენ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა ადმინისტრაციულ ორგანოებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა განხილვისას.

და ბოლოს, გთავაზობთ, რამდენიმე რეკომენდაციას:

- ➢ *ცვლილება შევიდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, სადაც ჩაიწერება როგორც შეტყობინების, ისე დადგენილების ჩაბარების საშუალებები;*
- ➢ ***ამავე კოდექსში შევიდეს ცვლილება და ჩაიწეროს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას სავალდებულოა ან საოქმო ჩანაწერის გაკეთება ან აუდიო ოქმის შექმნა;***

➢ *ცვლილება შევიდეს საქართველოს ზოგად ადმინისტარციულ კოდექსში, კერძოდ, ფორმალური და საჯარო წარმოების დროს სხდომის ჩატარებისას ადმინისტარციული ორგანო უფლებამოსილი პირის დავალებით სხდომის მდივანი გააკეთებს საოქმო ჩანაწერს ან განახორციელებს სხდომის აუდიო ჩაწერას.*

ბიბლიოგრაფია:

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია. (2014 წლის 6 მარტი). *საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“* (№6). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2272078?publication=0

საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ 2011 (№5669-რს). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=21

საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 1984 (№161) *(2018 წლის 19 მარტის მდგომარეობით).* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=435

საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 1999 (№2181). (ცვლილებებით და დამატებებით 2018 წლის 19 მარტამდე). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16270?publication=32#!

საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ 2009 (№2257). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/90676?publication=36

ხუბუა, გ., & ყალიჩავა, კ. (რედ.). (2018). *ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო.* თბილისი: პეტიტი.

Maka Salkhinashvili

Gori State Teaching University

SOME IDEAS ON THE EXISTING PROBLEMS WHEN DISCUSSING ADMINISTRATIVE LAW VIOLATIONS IN ADMINISTRATIVE AGENCIES

RESUME

The Author of the article briefly reviews the gaps of Administrative Bodies in the Administrative Legislation of Georgia during the Administrative Offence hearing and provides some recommendations to eliminate the existing problems. In particular, the Author thinks:

- The Code of Administrative Offences to be amended and the ways of delivery of Notifications and Resolutions to be written in;
- To amend the same Code and make mandatory to write Minutes or to record an audio of the Administrative Offence case hearings;
- General Administrative Code of Georgia also to be amended, in particular, during the Formal or Public proceedings, by the directives of Authorized Person of the Administrative Body the Secretary shall make the Minutes or an audio recording.

Keywords: Administrative offense, Administrative body, Resolution, Administrative liability, Appeal.

მარიკა შერაზადიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ენა და პოლიტიკა

საკვანძო სიტყვები: მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პოლიტიკა, ცენზურა, მეტყველების კულტურა, სიძულვილის ენა.

მასობრივი ინფორმაციის თანამედროვე საშუალებებს, იქნება ეს დაწესებულება თუ ორგანიზაცია, რომელიც დაკავებულია ინფორმაციის შეგროვებით, გადამუშავებით და სხვადასხვა სახით (ბეჭდური, რადიო, კინო, ტელე და სხვ.) გავრცელებით, აქვთ საშუალება, მოსახლეობის ფართო მასები ჩააბან პოლიტიკურ პროცესებში. მედიის, როგორც ,,მეოთხე ხელისუფლების" ფუნქცია არის მთავრობის საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, იმ სამი - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების კონტროლი, რომელიც საზოგადოების თავისუფლების, თანასწორობის და სამართლიანობის გარანტია. ოპერატიულობა და დინამიურობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შესაძლებლობას აძლევს, ეფექტურად იმოქმედონ საზოგადოების სულიერ ცხოვრებაზე, ფართო მასების ცნობიერებაზე. მათ შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე გარკვეული მიზნით, ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის კურსის მხარდასაჭერად. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ქმედებაში პოლიტიკური შინაარსი განსაკუთრებით იკვეთება სახელმწიფო მართვის ფორმების, საზოგადოებრივი ურთიერთობების ცვლილებების დროს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შეჰყავს ხალხი პოლიტიკის სამყაროში, აცნობს პოლიტიკურ ფასეულობებს, რომლებსაც აღიარებს ესა თუ ის მხარე. მისი ქმედება მიმართულია იქითკენ, რომ მოქალაქეებს ჩამოუყალიბდეთ არსებული პოლიტიკური ჯგუფების ძირითადი კურსისადმი თუნდაც მინიმალური თანხმობა.

ჟურნალისტიკისა და პოლიტიკის ურთიერთობა - ეს არის ფენომენი, რომელიც აქტიურად ვითარდება გლობალიზაციის პროცესში ჩართულ და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენის ქვეშ მყოფ თანამედროვე სამყაროში. ეს ურთიერთქმედება გამუდმებით იხვეწება, იძენს ახალ ფორმებს და გავლენას ახდენს თანამედროვე საზოგადოებაზე. ისტორიულად, სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის პირობებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სხვადასხვა როლი ჰქონდათ. მაგალითად, ტოტალიტარული რეჟიმის დროს მას საინფორმაციო-პროპაგანდისტული როლი ეკისრებოდა, დემოკრატიის დროს ის თავისუფალი სიტყვის გუშაგია. იმ შემთხვევაში, როცა პოლიტიკური სისტემა და მისი ინსტიტუტები სხვადასხვა სახის გავლენებს და ცვლილებებს განიცდიან, მათსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის ურთიერთობა არამდგრად სახეს იღებს, რაც გამოიხატება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მაღალი აქტივობით პოლიტიკურ პროცესებში, ხელისუფლებასა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის დაძაბულობაში და რიგ შემთხვევებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვის თავისუფლების ხარისხის შეზღუდვაში.

ჟურნალისტიკისა და ხელისუფლების ურთიერთობა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია, რომლის ირგვლივ ჯგუფდება ყველა სახის პრობლემა: ჟურნალისტიკის როლი პოლიტიკურ ძალთა ხელისუფლების გადანაწილებისათვის ბრძოლაში და მის შესანარჩუნებლად ან შესაცვლელად. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, როგორც სპეციფიკურ სოციალურ ინსტიტუტს, შეუძლია გავლენა მოახდინოს პოლიტიკური სისტემის ამა თუ იმ ინსტიტუტზე როგორც პირდაპირ, ისე ირიბად - საზოგადოებრივი აზრის ფორმირების გზით. ყოველივე ეს განსაკუთრებული სიცხადით ვლინდება კრიზისული სიტუაციების დროს.

შემდეგი აქტუალური საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად შეძლებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მოვლენების სტიმულირებას ან შეკავებას. აქ გასათვალისწინებელია ერთი ფაქტი - რამდენად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული პოლიტიკური და ჟურნალისტური ელიტა. ხელისუფლების კრიტიკოსებს, ისევე როგორც მხარდამჭრებს, თითქმის ყოველთვის ჰყავთ კონკრეტული ადრესატები - კონკრეტული სუბიექტები, პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, კონტრასტული პიროვნებები. ასევე კონტრასტულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც მხარს უჭერენ ან აკრიტიკებენ მათ. ხშირად პოლიტიკოსთა დამოკიდებულება ჟურნალისტებისადმი და ჟურნალისტებისა პოლიტიკოსებისადმი არ არის პარალელური, არამედ გადამკვეთია (ანუ ხდება მათი ინტერესების

გადაკვეთა). სწორედ იმაზე, თუ სად და როგორ იკვეთება ეს ურთიერთობები, დამოკიდებულია ჟურნალისტიკის ადგილი საზოგადოებაში.

სიტყვის, გამოხატვის თავისუფლების საკითხი ყველა დროში წითელ ხაზად გასდევს ჟურნალისტიკისა და ხელისუფლების ურთიერთობას და ყველაზე ნათლად და სრულად ასახავს მათი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს. თავისუფლების შეზღუდვის და ჩახშობის ერთ-ერთი საშუალება ცენზურაა, რისი მწარე ისტორიული გამოცდილებაც აქვს ჩვენს ჟურნალისტიკას. სიტყვის თავისუფლების დაცვის ვალდებულება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლშია ჩამოყალიბებული - ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე, მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. დაუშვებელია ამ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლენა არ ლახავს სხვათა უფლებებს. აქ იგულისხმება არა მხოლოდ ის გამოთქმები, რომლებიც ყველასათვის მისაღებია და სხვათა აზრებსა და გემოვნებას ეხმიანება, არამედ ისეთი აზრებისა და მრწამსის გამოთქმაც, რომლებმაც შეიძლება აღაშფოთონ ადამიანები, წყენა მიაყენონ მათ ან საზოგადოებრივი არეულობაც კი გამოიწვიონ. თუ ადამიანს არ შეუძლია იმის თქმა, რასაც ფიქრობს, ან, გაცილებით უარესი - თუ მას აიძულებენ თქვას ის, რასაც არ ეთანხმება, ამით შეურაცხყოფენ ადამიანის უფლებების საფუძველთა საფუძველს – მის ღირსებას. თავდაპირველად სიტყვის თავისუფლება ყველაფრის თქმის შესაძლებლობას ნიშნავდა. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ დაიწყო სიტყვის თავისუფლების გაგება, როგორც ინფორმაციის, შეხედულებების და მრწამსის გამოხატვის უფლებისა. იმავე კონსტიტუციაში ნათლადაა მითითებული, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია, ხოლო ცენზურა – დაუშვებელი.

საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციოკულტურული ცვლილებები მჭიდროდ უკავშირდება ენას და ლექსიკურ ცვლილებებს და ენობრივი ნორმების ერთგვარ ტრანსფორმაციას იწვევს. მეტყველების კულტურა არა მარტო ცალკეული ადამიანის კულტურის, არამედ, ზოგადად, საზოგადოების კულტურის მაჩვენებელია. ქართული მედიასაშუალებების მეტყველების კულტურა სატელევიზიო და რადიოგადაცემების სრულფასოვნების, მათი პროფესიული დონის მთავარი მახასიათებელია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ენამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს მოსახლეობის მეტყველების კულტურის ამაღლების საქმეში, ტელეეკრანიდან კი ხშირად გვესმის არცთუ სანიმუშო ქართული - ბარბარიზმებით, უცხო სიტყვებით გაჯერებული და ქართულისათვის შეუსაბამო აქცენტით თქმული.

არსებობს მოსაზრება, რომ ენა თვითორგანიზებული სისტემაა, ის დროთა განმავლობაში თვითონ გაუმკლავდება ენობრივი ნორმების დარღვევას; სხვანი ამტკიცებენ, რომ ენის განვითარება სტიქიური პროცესია, რომელსაც რეგულირება არ ესაჭიროება, იგი თვითონ ამოარჩევს მისაღებს და უკუაგდებს მიუღებელს, შეუფერებელს. იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რა პროცესები მიმდინარეობს დღეს ენაში, საჭიროა შეფასების მეცნიერული მეთოდები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ენობრივ ცვლილებებს წინ ვერაფერი დაუდგება, თუმცა მისი სწრაფი და ხშირი ცვლილებაც მიუღებელია საზოგადოებისათვის.

მასობრივი კომუნიკაციის ენის შესწავლა ფილოლოგთა აქტუალური ამოცანაა. ფართო კონტექსტში საჭიროა გაანალიზდეს, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოებაში ენის ფუნქციონირებაზე სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები. დადგენილია, რომ ენის და საზოგადოების კავშირი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ეგუება ენობრივი სისტემა ენობრივ გარემოცვას. საზოგადოებრივი ცვლილებები თითქმის ყოველთვის იწვევს ცვლილებებს ენობრივ სისტემაში. ენის ლექსიკა, რომელიც, ერთი მხრივ, შედარებით მობილური და ცვლილებებისადმი მზადმყოფია, მეორე მხრივ კი მკაცრად სტრუქტურირებული, - ექსპლიციტურ ფორმაში ასახავს ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებებს.

მასმედია ცხოვრების ახალი სოციალური და კულტურული მოვლენების გამტარია, მისი საშუალებით ინერგება ენაში ახალი ცნებები, ახალი გრამატიკული ნორმები. მასმედიის ტექსტი - ეს ტექსტის განსაკუთრებული სახეობაა, ,,ტექსტის განზოგადებული სივრცის", როგორც ენობრივი მატერიის, ერთგვარი გამოვლინება. მასმედიის ტექსტი - ეს უმაღლესი დონის ენობრივი ერთეულია. როგორც ი. ლოტმანი აღნიშნავდა, ,,ტექსტი - ეს არსებული ინფორმაციის გადაცემაა, იგი იბადება სემიოსფეროში - კულტურული საზღვრების შემავსებელ სინქრონულ სემიოტურ სივრცეში". (Лотман, 2005, стр. 32) განსაკუთრებით საინტერესოა მასმედიის ტექსტის მოდელის ფორმირება. მედიაში გავრცელებული ფონეტიკური შეცდომებიდან უნდა აღვნიშნოთ უადგილოდ, ძირითადად, სიტყვის ბოლო ხმოვანზე გაკეთებული მახვილი, ასევე რიგი ბგერების და მთელი მარცვლების ,,ჩაყლაპვა"; სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების გავლენით გვხვდება ცვლილება სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოებაში. თუ სიტყვები: პარტია, ბანკი, მთავრობა პრაქტიკულად, ძირითადად, მხოლობითში იხმარებოდა, ახლა ვხვდებით მათს მრავლობით რიცხვსაც; ჩვენ შორს ვართ აზრისგან, რომ ქართული შესატყვისები უნდა მოვუძებნოთ ისეთ სიტყვებს, როგორიცაა: ლიდერი, დეპარტამენტი, ბოიკოტი,

პარლამენტი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ლიფტი, დოკი, ბიუჯეტი, სკვერი, კოტეჯი, რომი, ვისკი, ტორტი, პლედი, პიჯაკი, ფინიში, სპორტი, პოკერი, ჟოკეი, სპინინგი და სხვ., მაგრამ არ უნდა ვიხმაროთ: პრეზენტაცია, კონსენსუსი, ბრიფინგი, შოპ-ტური, ქილერი, ფეშენ-ვიკი, ქასთინგი, თოქ-შოუ, ექსკლუზივი, ბუტიკი, სუპერმარკეტი და მსგავსი სიტყვები, რომელთა შესატყვისი ენას მოეპოვება. სესხება არ ხდება სპონტანურად, არც მყისიერად. ეს არის თანდათანობითი, ხანგრძლივი პროცესი, რომლის დროსაც უცხოურენოვანი სტრუქტურული ელემენტი ქართული ენის მორფემულ თვისებებს იძენს და მკვიდრდება ენაში.

იმ ხარვეზების გამოსწორება, რაც ენას მასობრივი ინფორმაციის ელექტრონულმა საშუალებებმა მიაყენა, უნდა დავიწყოთ დიქტორების, პუბლიცისტების, კომენტატორების მომზადება-გადამზადებით, მათი ლექსიკის გამდიდრებით, ჟარგონის, სლენგის და უადგილო აქცენტის აღმოფხვრით, მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიკავებს ენა მის კუთვნილ ადგილს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. არ შეიძლება არ ვახსენოთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მომრავლებული სიძულვილის ენა და უცენზურო გამონათქვამები, რომლებიც ზოგიერთის მიერ ,,სიტყვის თავისუფლებად“ აღიქმება. რა თქმა უნდა, ლანძღვა-გინებას გამართლება არ აქვს არც პრესის ფურცლებზე და არც რადიო თუ ტელესივრცეში. სიტყვის თავისუფლება არ შეიძლება უკულტურობასთან გავაიგივეოთ! სულ ახლახანს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში ჯორჯ კენტი ,,ამერიკის ხმასთან" ინტერვიუში საქართველოში ყველა მხარეს მოუწოდებდა, წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში ერთმანეთთან საუბრისას ცივილური ტონი გამოიყენონ: ,,ვფიქრობ, სიტყვები, როგორიცაა ,,მოღალატე” და ,,ფაშისტი” - არ არის რაციონალური დისკუსიის ნაწილი პოლიტიკური კამპანიის დროს“. აქვე გვინდა დავიმოწმოთ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა - სიძულვილის ენა წინასაარჩევნოდ მედიაში.

ამრიგად, ჟურნალისტიკისა და პოლიტიკის ურთიერთობა გამუდმებით იხვეწება, იძენს ახალ ფორმებს და გავლენას ახდენს თანამედროვე საზოგადოებაზე. საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციოკულტურული ცვლილებები მჭიდროდ უკავშირდება ენას და ლექსიკურ ცვლილებებს და ენობრივი ნორმების ერთგვარ ტრანსფორმაციას იწვევს. მეტყველების კულტურა არა მარტო ცალკეული ადამიანის კულტურის, არამედ, ზოგადად, საზოგადოების კულტურის მაჩვენებელია. ქართული მედიასაშუალებების მეტყველების კულტურა სატელევიზიო და რადიოგადაცემების სრულფასოვნების, მათი პროფესიული დონის მთავარი მახასიათებელია.

ბიბლიოგრაფია:

გოგოლაძე, თ. (თ. გ.). *სიძულვილის ენა წინასაარჩევნო დისკურსში: საპრეზიდენტო არჩევნები 2018.* მედიის განვითარების ფონდი (MDF). მოძიებულია ვებგვერდიდან: http://mdfgeorgia.ge/uploads/library/101/file/sidzulvilis_ena_2018.pdf

Лотман, Ю. М. (2005). *Внутри мыслящих миров. Человек – текст – семиосфера – история.* Москва.

Marika Sherazadishvili

Gori State Teaching University

LANGUAGE OF MASS MEDIA AND POLITICS

RESUME

Communication between Journalism and Politics - This is a phenomenon that is actively evolving in the modern world under the influence of globalization and information and communication technologies. Mass media is the mean transmitting new social and cultural events of life; new concepts and new grammar standards are introduced through it. Speech culture is not only an indicator of the culture of the individual, but also is the indicator of the culture of society in general. The speech culture of Georgian media is a key feature of the usefulness of television and radio broadcasting and their professionalism.

Keywords: Mass media, Politics, Censorship, Speech culture, Hate speech.

სოფო ჩქოფოია
საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტი

მენეჯმენტი: მართვის მეცნიერება და ხელოვნება

საკვანძო სიტყვები: სტრუქტურა, დაგეგმვა, ეფექტური მართვა, კონტროლი.

შესავალი: ბოლო ათწლეულში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებმა, გლობალური პროცესების განვითარებამ, ინტეგრაციულმა პროცესებმა, მსოფლიო პოლიტიკის და ეკონომიკის გლობალიზაციამ, საერთაშორისო სამართლის გავლენის გაძლიერებამ წინა პლანზე წამოწია საერთაშორისო და საჯარო სფეროში სპეციალისტების შესაბამისი ცოდნით აღჭურვის საკითხი. სწრაფმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა გააქტიურა სოციალურ-პოლიტიკური პროცესები, გაიზარდა ქვეყნებსა და ორგანიზაციებს შორის კონკურენცია, რამაც აიძულა ისინი გადაეხედათ მართვის მიდგომებისათვის, მათ გასაუმჯობესებლად. რაც უფრო სწორად არის აგებული სტრუქტურა, მით უფრო დიდხანს მუშაობს ცვლილებების შეტანის გარეშე. მენეჯმენტი ეს არის მართვის სისტემა, მიუხედავად მრავალი განმარტებისა, ის მაინც დაკავშირებულია ორგანიზაციის ცნებასთან. ორგანიზაციაში კი იგულისხმება სოციალური ერთეული, რომელიც შედგება ადამიანთა ჯგუფებისაგან, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: მიზანი, თანამშრომლები და სტრუქტურა. მნიშვნელოვანია ასევე კადრების ცვლილების საკითხიც, სწორად აგებულ სტრუქტურაში კადრების ცვლილებაც ხდება უმტკივნეულოდ, ისე, რომ ეს არ აისახება სტრუქტურაში მიმდინარე პროცესებზე. აღნიშნული სტრუქტურების არსებობა მნიშვნელოვანია ორგანიზაციებისათვის, რადგან ისინი ეხმარებიან მათ შემდგომი პროცესების განხორციელებაში: 1. ეფექტურად მართონ მიმდინარე პროცესები; 2. განახორციელონ სტრატეგია, 3. რაც მთავარია, გამოიყენონ მასში მომუშავე ადამიანების შესაძლებლობები მაქსიმალურად.

მეთოდოლოგია - შინაარსობრივი ანალიზი, სიღრმისეული ინტერვიუ, ემპირიული მეთოდი. ემპირიული მეთოდი - ესაა მეცნიერული ცოდნის მახასიათებელი, რომელიც ობიექტური დაკვირვების საფუძველზე გარკვეული მტკიცების სისწორის ჩვენებას გულისხმობს. ესაა მტკიცება, რომელიც აჯამებს ურთიერთობას კონკრეტულ ფაქტებს შორის და ავითარებს ზოგად ცოდნას.

ორგანიზაციის ეფექტურად სამართავად საჭიროა სწორად დავსახოთ მიზანი. დასახული მისიისა და მიზნების მისაღწევად კი ორგანიზაციამ სწორად უნდა განსაზღვროს სტრატეგია. აუცილებელია გარე ცვლილებების გათვალისწინებაც, რაც იწვევს არსებული სტრატეგიის გადახედვასა და ხშირად შეცვლასაც კი. სტრატეგია შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი, რომელშიც ჩამოყალიბებული უნდა იყოს მიზნის მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები და შესაბამისი მეთოდები. საქმეს ართულებს ის, რომ სტრატეგიის ჩამოყალიბება თუ შეცვლა ყოველთვის მარტივი არ არის. როგორც კომერციულ, ასევე არაკომერციულ საქმიანობაში დიდი როლი უკავია მარკეტინგს, პროცესის სწორად სამართავად. არაკომერციული ორგანიზაციებისათვის მნიშვნელოვანია საკუთარი მისიის, სტრატეგიის და ზეგავლენის სწორად გადმოცემა და ფორმულირება როგორც დონერებისათვის, ასევე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. აუცილებელია განისაზღვროს შემდეგი წლის ბიუჯეტიც.

ორგანიზაციას საკუთარი მიზნების განსაზღვრასა და განვითარებაში დიდ დახმარებას უწევს მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმულირება. თუმცა სავსებით შესაძლებელია ორგანიზაცია დროთა განმავლობაში განვითარდეს, რის შედეგადაც გასცდეს თავის თავდაპირველ მისიასა და მიზნებს. აუცილებელია წინასწარ მოხდეს პასუხისმგებლობისა და როლების გადანაწილება, ასევე მუდმივად უნდა ხდებოდეს დაკვირვება ორგანიზაციაზე, უნდა დაისვას კითხვები, მაგალითად, თუ რა ტიპის სტრუქტურაა საჭირო ორგანიზაციის ზრდისთვის, ან რა ცვლილებების განხორციელებაა საჭირო არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად და აშ.

შედეგების მისაღებად აუცილებელია გუნდური მუშაობა, ასევე ლიდერები მუდმივად უნდა ცდილობდნენ განვითარებას, მუდმივად უნდა მუშაობდნენ თავიანთ თავზე, რათა მოახდინონ ორგანიზაციის სოციალური მიზნების ეფექტური განხორციელება.

მიზნების განსახორციელებლად აუცილებელია სტრუქტურამ უზრუნველყოს პროცესისთვის საჭირო ყველა ფუნქცია საკმარისი რესურსით, რადგან თუ ორგანიზაციაში პროცესის განსახორციელებლად არ არსებობს რომელიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია, ან სუსტად არსებობს, ეს რა თქმა უნდა ართულებს მიზნის სისრულეში მოყვანას, ან საერთოდ წყვეტს მის განხორციელებას.

ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებზე დიდ გავლენას ახდენს სტრუქტურა, კოორდინაცია კი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია პროცესების სისწრაფისთვის. კოორდინაციის ხარისხი ბევრად მაღალია მაშინ, როდესაც ადამიანები ერთ ქვედანაყოფში არიან, ხოლო როდესაც ქვედანაყოფები ერთი დირექტორის ქვეშ ერთიანდებიან ისინი უფრო ეფექტურად და გამართულად მუშაობენ. თუმცა სტრუქტურის ეფექტური მუშაობისათვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თვითრეგულირებადი პოლიტიკის ჩართვა, რომელიც განახორციელებს კონტროლს საკუთარი გუნდის წევრებზე, რომელიც დიდ გავლენას ახდენს პროცესის შედეგზე და მის ხარისხზე. უკიდურესად მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რამდენად იხარჯებიან ადამიანები ორგანიზაციის საკეთილდღეოდ, პასუხისმგებლობა კი ყველაზე დიდი მოტივატორია ადამიანებისათვის, დასაქმებულებმა ცხადად უნდა იცოდნენ თუ რეალურად რას ელოდება მათგან ორგანიზაცია და რაზე არიან ისინი პასუხისმგებელნი, ამ შემთხვევაში ისინი, მაშინაც კი თუ ისინი უკმაყოფილონი არიან სამუშაო პირობებით პასუხისმგებლობა აძლევს სტიმულს იმუშაონ და მხოლოდ დაკისრებული მოვალეობის შესრულების შემდგომ იფიქრონ ორგანიზაციიდან წასვლაზე. არის ადამიანთა მეორე კატეგორია, რომლებიც სწორედ იმის გამო ტოვებენ სამუშაო ადგილს, რომ ვერ გაიგეს მათი პასუხისმგებლობა კონკრეტულად, რაც ამცირებს შრომის ნაყოფიერებას და არასაკმარისი თვითრეალიზაციის განცდით ახალი სამსახურის ძიების მოტივაციას უზრდის. ადამიანთა მოტივაციაზე ასევე გავლენას ახდენს ძალაუფლება, რომელსაც მათ სტრუქტურა ანიჭებს. რაც უფრო დიდია ძალაუფლება, მით უფრო მაღალია თვითრეალიზაციის განცდაც და სურვილიც.

მენეჯმენტს დიდი ძალისხმევა ესაჭიროება მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაწყვეტად თანამშრომლების მოსამართად, რადგან ნებისმიერი სტრუქტურა მოითხოვს გადახედვას ეტაპობრივად. (ტოლიაშვილი, 2012) მენეჯერის ფუნქციაა, რომ მიზნები გადაამუშაოს მთელ სისტემასთან თანხვედრაში, მოახდინოს პროცესისთვის საჭირო მასალის ინტეგრირება. მენეჯმენტის დამახასიათებელი ნიშნები მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ და ტექნიკურ-ორგანიზაციულ ასპექტებს. ეკონომიკურ ასპექტში იგულისხმება მატერიალური და შრომითი რესურსების კოორდინირება. სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი გულისხმობს მთელი პერსონალის ძალისხმევას ორგანიზაციის და მენეჯერთა განსაკუთრებული ჯგუფის საქმიანობას დასახული მიზნების მისაღწევად.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის საშინაო და საგარეო ბედზე. მუდმივად ცვალებადი გარემო კი მოითხოვს ორგანიზაციებისაგან მართვის სისტემის სრულყოფას. ორგანიზაციების არასტაბილური განვითარების მიზეზიც სწორედ არასწორ მენეჯმენტშია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა განვითარებად ქვეყნებში. მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია მარკეტინგული სამსახურების არარსებობა და არასწორი გაგება, ასევე კადრების არარსებობა ამ კუთხით.

ერთია მიიღო გადაწყვეტილება, თუმცა რთულია მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეფექტურად იმუშავებს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ერთია პრობლემის იდენტურობა და მეორე პრობლემის გადაჭრა. მენეჯერის ფუნქციაა გამოიყენოს სისტემური მიდგომები, რათა მიღწეულ იქნას სწორი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღება მმართველობითი პროცესის ყველაზე საპასუხისმგებლო ფუნქციაა, მთავარია ალტერნატივების არჩევა და სწორი გადაწყვეტილების მიღება. პოლიტიკური გადაწყვეტილება კი გარკვეულ საზღვრებსა და გარკვეულ ეტაპზე საზოგადოების ამა თუ იმ ფორმით რეგულირებაა. გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია არჩევანის გაკეთება ალტერნატიულ ვარიანტებს შორის. ამისათვის კი საჭიროა შედარება, ხოლო შედარებისათვის კი უნდა გაგვაჩნდეს კრიტერიუმები. ალტერნატიული ვარიანტების შერჩევისათვის ფართოდ გამოიყენება მეცნიერებაში აპრობირებული არაერთი მეთოდი, მაგალითად, როგორიც არის თამაშის თეორია, რომლის არსიც მდგომარეობს კონფლიქტური სიტუაციის შექმნაში, სადაც ერთი „იგებს“, მეორე მხარე კი „აგებს“. ეს გულისხმობს სიტუაციისა და შედეგის იმიტაციას, მთავარია ოპტიმალური გადაწყვეტილებისაკენ სწრაფვა. მენეჯერს უნდა ჰქონდეს სწრაფი რეაგირების უნარი და შეეძლოს პრობლემურ სიტუაციებში ეფექტური მოქმედება, მას უნდა შეეძლოს უმტკივნეულოდ შეცვალოს მიდგომა, თუ საჭიროა კრიტიკულად მიუდგეს საკუთარ სისუსტეებს და დაშვებულ შეცდომებს.

ეფექტური მართვისათვის აუცილებელია, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა პერიოდულად შეხვდეს საკუთარი გუნდის წევრებს, ასევე მოუსმინოს ინდივიდუალურადაც. მენეჯმენტი ეს არის შრომითი კოლექტივის სოციალურ-ფსიქოლოგიური მართვა, აქედან გამომდინარე კი ორგანიზაციის

ხასიათის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას მენეჯმენტის მოდელი, რომელიც იქნება წარმატებული და მოერგება არსებულ გარემოს.

ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატება დამოკიდებულია მენეჯერთა კორპუსზე. მართვასა და რეგულირებას შორის არსებითი განსხვავებაა. მართვის აუცილებელი კომპონენტია დაგეგმვა. იმისათვის, რომ ვმართოთ რაღაც, უნდა დავგეგმოთ. მართვის დროს გადაწყვეტილებები მიიღება კონკრეტული ობიექტის მიმართ. რეგულირება გულისხმობს ორგანიზაციების ეკონომიკური ქცევის წესების განსაზღვრას კანონების საფუძველზე და არა მათ სამეურნეო საქმეში ჩარევას. რეგულირებას ახასიათებს ხანგრძლივობის პერიოდი, მართვისაგან განსხვავებით.

მენეჯმენტის ფუნქციები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

დაგეგმვა - აქტივობა, რომელიც განსაზღვრავს მდგომარეობას, რომელშიც კომპანია აღმოჩნდება გარკვეული დროის შემდეგ. ის ასევე მოიცავს მიზნებს, შედეგებს და განსაზღვრავს რესურსების საჭიროებასა და საშუალებას.

ორგანიზაცია - გულისხმობს გეგმის შესრულებისათვის საჭირო აქტივობებისა და მეთოდების გამოყენებას, ამოცანების კონკრეტიზაციას კომპანიის განყოფილებაში და რესურსების გადანაწილებას.

ლიდერობა (ხელმძღვანელობა) - გულისხმობს მენეჯერის გავლენის გამოყენებას თანამშრომლებისათვის მოტივაციის გაზრდის მიზნით, რომელიც სჭირდება ყველა თანამშრომელს მიუხედავად მისი თანამდებობისა.

კონტროლი - მნიშვნელოვანი და ძირითადი ფუნქცია, რომლის უგულებელყოფამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს კომპანიას. გულისხმობს თანამშრომელთა ქცევაზე დაკვირვების განხორციელებას, წარმატებებისა და შეცდომების შეფასებას.

მენეჯმენტი - ეს არის პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებელი სახეობა, მენეჯერი დამოუკიდებელია ფირმის საკუთრებისაგან, სადაც იგი მუშაობს. მენეჯმენტი სხვადასხვა სპეციალობის მუშაკებს აერთიანებს, რომლებიც მუშაობენ მისი ხელმძღვანელობით. მენეჯმენტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მმართველობითი შრომის შინაარსის გარკვევა, მიზეზსა და შედეგს შორის კავშირის დადგენა, ფაქტორებისა და პირობების გამოვლენა, რომლებიც უფრო ეფექტიანს და სასარგებლოს ხდის ადამიანთა ერთობლივ შრომას. მენეჯმენტი ხელს უწყობს როგორც მიმდინარე საკითხების ოპერატიულად და ხარისხიანად მართვას, ასევე მოვლენათა განვითარების პროგნოზირებას და ამის შესაბამისად ორგანიზაციების სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერება შეიმუშავებს თავის თეორიას, რომელიც მართვის პროცესში ადამიანთა მიზანმიმართული საქმიანობის კანონებს, კანონზომიერებებს, პრინციპებს, მეთოდებს, ფუნქციებსა და ფორმებს ასახავს.

მენეჯმენტი ეს არის მართვის მეცნიერების მეთოდოლოგია, რომელიც სხვა მეცნიერებათა ანალოგიურია. მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძველი არის ფილოსოფია, ზოგადი ეკონომიკური თეორია და კიბერტექნიკა. ორგანიზაციები მიეკუთვნებიან რთულ დინამიკურ სისტემებს, ხოლო ამ სისტემების ფარგლებში მართვის ურთიერთობათა შესწავლისათვის აუცილებელია სისტემური ანალიზის მეთოდის გამოყენება. მართვის სისტემა განიხილება, როგორც ურთიერთდაკავშირებული ერთიანი მთლიანობა, რომელშიც მოცემულია ორგანიზაციის მიზნები, მართვის პრინციპები, მეთოდები, პერსონალი, ფუნქციები, სტრუქტურა, პროცესები და ტექნიკა. მართვის პრობლემები ვერ იქნება გადაწყვეტილი სისტემის ელემენტების თავისებურებების, სხვა სისტემებთან კავშირების გათვალისწინების გარეშე.

მენეჯმენტი, როგორც მართვის მეცნიერება, იყენებს მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მეთოდებს, როგორიცაა მოდელირება და სოციოლოგიური გამოკვლევები. მიუხედავად იმისა, რომ მართვის ყველა ასპექტი არ ექვემდებარება მოდელირებას, ბევრი ამოცანის გადასაწყვეტად ეს მეთოდი ერთ-ერთი ქმედითია. სოციოლოგიური მეთოდი კი ფართოდ გამოიყენება ორგანიზაციებში ადამიანთა ურთიერთობების რთული საკითხების შესასწავლად. მენეჯმენტი - ეს არის მართვის ხელოვნება, რომელიც გულისხმობს მართვის თეორიის, აგრეთვე მენეჯმენტის დარგში დაგროვილი გამოცდილების გამოყენებას ორგანიზაციის პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის დროს. ორგანზიაციები რთული სოციალურ-ტექნიკური სისტემებია, რომელთა ფუნქციონირებაზეც ზემოქმედებენ შიდა და გარე ფაქტორები, თუმცა მთავარი ფაქტორი მაინც ადამიანებია, რომლის გათვალისწინებაც არა მხოლოდ მეცნიერულ მიდგომას მოითხოვს, არამედ მისი გამოყენების ხელოვნებასაც სიტუაციის მიხედვით. მენეჯერს საკმაოდ დიდი ფუნქცია აკისრია ნებისმიერ ორგანიზაციაში, აქედან გამომდინარე ეკონომიკურად განვითარებად სახელმწიფოებში მის მომზადებასა და გადამზადებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა.

XX საუკუნის 70-80 იანი წლებიდან საერთაშორისო ბიზნესის განვითარება მჭიდროდ დაუკავშირდა გლობალური მართვის პრობლემებს. გაიაზარდა საერთაშორისო ეკონომიკური მასშტაბები,

სირთულეებმა აიძულა მსოფლიოს მსხვილი კომპანიები, რომ გადაეხედათ საკუთარი კომპანიების მენეჯმენტისათვის. მეცნიერებმა გლობალური მენეჯმენტის პრობლემების გადასაწყვეტად სხვადასხვა ვარიანტების გამოყენება და მათი გადასინჯვა დაიწყეს. მათი მთავარი ფუნქცია იყო გლობალური კორპორაციების ფორმირება და სტრატეგიული კავშირების დინამიკური ქსელის შექმნა.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაცია მართლაც რთული და შეუქცევადი პროცესია, ხოლო სტრატეგიული კავშირები წარმოადგენენ ერთ-ერთ ფორმას, რომელიც მსოფლიოში სწრაფად ვრცელდება. ასეთ კავშირებში შედიან სხვადასხვა რეგიონისა და ქვეყნის კომპანიები, როგორც საშინაო, ისე მსოფლიო ბაზარზე. სტრატეგიული კავშირების დამყარება ხელს უწყობს, როგორც ბიზნესის განვითარებას, ასევე ეკონომიკურ ინტეგრაციასაც საერთაშორისო დონეზე. ორგანიზაციის სწორი და ეფექტური მართვისათვის მნიშვნელოვანია მენეჯმენტის როლი. ცნობილი მკვლევარი ნ. მინცბერგი განმარტავდა, რომ მენეჯმენტი წარმოადგენს: „განსაზღვრული ქცევის წესების ნაკრებს, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ დაწესებულებას ან კონკრეტულ თანამდებობას“. (შუბლაძე, მღებრიშვილი, & წოწკოლაური, 2008) როგორც მინცბერგი აღნიშნავდა, ცალკეულმა პიროვნებამ შესაძლოა მოახდინოს გავლენა მენეჯერის როლის შესრულებაზე, თუმცა ის გავლენას ვერ მოახდენს მის შინაარსზე. მენეჯერი მსახიობის მსგავსად ასრულებს წინასწარ განსაზღვრულ როლს, რომელსაც ისინი თავიანთი პიროვნებიდან გამომდინარე კონკრეტულ ინტერპრეტაციას აძლევენ. მის მიერ შესრულებული როლები ორგანიზაციაში მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ზემოქმედებენ ერთმანეთზე. პიროვნებათაშორისო როლი მოიცავს ადამიანებთან ურთიერთობას და გამომდინარეობს სწორედაც რომ ორგანიზაციაში შესასრულებელი დავალებისაგან, რომელიც აძლევს საშუალებას მენეჯერს შეასრულოს საინფორმაციო როლი და მიიღოს გადაწყვეტილებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში მართვის დონეთა განსაზღვრა, რომელსაც განსაზღვრავს ორგანიზაციის სიდიდე და სამუშაოს ხასიათი, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევებიც. მართვის საშუალო დონის ხელმძღვანელთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია ძირეული დონისა და მაღალი დონის ხელმძღვანელებისაგან. ფაქტიურად ისინი ასრულებენ შუამავლის როლს უმაღლესსა და ძირეულ დონეს შორის. უმაღლესი დონის ხელმძღვანელები ძირითადად განმარტოებულები არიან. სწორედ ამიტომ მათ აქვთ განსხვავებული ხელფასიც. სამუშაო დროის დიდ ნაწილს ისინი თათბირებსა და მართვის ორგანიზებას უთმობენ.

ორგანიზაციები ძალიან დიდ როლს თამაშობენ თითოეული ქვეყნის სოციალურ ყოფაში, აქედან გამომდინარე მათ ეფექტურობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ქვეყნებისთვისაც. მართალია ორგანიზაცია სოციალური წარმონაქმნია, მაგრამ ის წარმოადგენს საზოგადოების ნაწილს და მისი მოღვაწეობა ექვემდებარება განსაზღვრულ მიზნებს. სოციალურად შემდგარ სტრუქტურაში ამოცანები და პასუხისმგებლობები განაწილებულია თვით ორგანიზაციის წევრებს შორის.

ორგანიზაციას აქვს მიზნები, ამ მიზნების მიღწევა დიდწილად დაკავშირებულია მენეჯერზე, რომლის ვალდებულებაცაა რესურსების ეფექტურად და რაციონალურად გამოყენება. ორგანიზაციის წარმატება და ეფექტური მუშაობა კი არის ყველაზე კარგი მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად კარგად შეასრულა მენეჯერმა თავისი ფუნქციები. მათ ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატება მათი მოღვაწეობის შედეგიანობაზე, რაც გულისხმობს ორგანიზაციის მიზნების შესრულებას რესურსების ეფექტური გადანაწილებითა და მწარმოებლური გამოყენების გზით.

ბიბლიოგრაფია:

დენჰარტი, რ. ბ., & დენჰარტი, ჯ. ვ. (2012). *საჯარო მართვა.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ტოლიაშვილი, პ. (2012 წლის 10 დეკემბერი). *სტრუქტურის როლი ორგანიზაციის მართვაში.* მოძიებულია 2018 წლის 15 მაისს ვებგვერდიდან: http://strategy.ge/2012/12/10/the-role-of-structure-in-management/

შუბლაძე, გ., მღებრიშვილი, ბ., & წოწკოლაური, ფ. (2008). *მენეჯმენტის საფუძვლები.* თბილისი: უნივერსალი.

How Management Both a Science and an Art. (n.d.). Retrieved May 25, 2018, from https://iedunote.com/management-science-art

Sopo Chkopoia
Davit Aghmashenebeli University of Georgia

MANAGEMENT: SCIENCE AND ART OF MANAGEMENT

RESUME

The efficiency of modern organizations is mainly depend on right management. The strategy is a set of rules which are guidelines for organization during decision. In addition the strategy is considered as a common complex plan which is designed to ensure the organization's mission and to achieve economic goals.

The essence of strategic managment lies in the fact that the organization need not only organized integrated strategic plannning but also point is that the organizational structure of managment is" adequate" strategic planning and is designd to provide long-term strategies for creating mechanisms which will be helpers to implemnting tis strategy through th planning system. Although strategic management is an essential condition for successful survival in competition, the organization's actions are constantly observed in wrong menegmenting which often leads to defeat.

Effective managementing is when the manager of the company periodically meet its own team members and listen to them individually. Management This is the socio-psychological manage of the working group, so the management model must be created with the nature of the organization that will be successful and succeed in the existing environment.

Organizations play a big role in the public life of each country, therefore their effectiveness has one of the most important meaning for each country.

Keywords: Structure, Planning, Effective management, Control.

ნანული (ნანა) ცხვედაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბექა ტოლიაშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სამხედრო განათლების განსხვავებულ სისტემაში მომზადებულ ოფიცერთა სოციალური კომპეტენციის განმსაზღვრელი პიროვნული დისპოზიციები

საკვანძო სიტყვები: კომპეტენცია, სოციალური კომპეტენცია, სამხედრო განათლება, ტოლერანტობა, ბედნიერების განცდა, მიღწევა, თვითშეფასება, თვითეფექტურობა, რისკი, ადაპტურობა.

თანამედროვე სწრაფად განვითარებადმა და ცვალებადმა სამყარომ მეცნიერების წინაშე პროფესიონალიზმისა და პროფესიონალთა კვალიფიკაციის ახლებური ინტერპრეტაციის საკითხი წამოჭრა. შესაბამისად, გაჩნდა და დამკვიდრდა ახალი ცნებები - კომპეტენტურობა და კომპეტენცია.

ადამიანის წარმატებული საქმიანობის აღსანიშნად კომპეტენტურობის ცნების დამამკვიდრებლად დ. რავენი ითვლება, თუმცა ტერმინი „კომპეტენცია“ 1959 წელს უაითმა იმისათვის შემოიღო, რომ აღეწერა ინდივიდუალობის ის თავისებურებები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სამუშაოს წარმატებით შესრულებასა და მაღალ მოტივაციასთან. მან აღწერა ურთიერთკავშირი კოგნიტურ კომპეტენციებსა და მოტივაციურ ტენდენციებს შორის და განსაზღვრა კომპეტენცია, როგორც ,,ადამიანის ეფექტური ურთიერთობა გარემოსთან“. უაითი ამტკიცებდა რომ კომპეტენციასთან ერთად არსებობს ,,კომპეტენტური მოტივაცია“, რომელიც მიღწეულ უნარად უნდა ჩაითვალოს. (ჭავჭავაძე & ჩიგოგიძე, 2008)

ცნება კომპეტენცია არ არის ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული. არსებობს ამ ცნების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

ამერიკელი მეცნიერები კომპეტენციას ახასიათებენ, როგორც კოგნიტური შესაძლებლობებს მიღმა არსებულ უნარ-ჩვევებს, როგორებიცაა: სოციალური ჩვევები, თვითრეგულირება და თვითშეგნება. მათთვის კომპეტენციები უმეტესად ქცევითი მახასიათებლებია და მიიჩნევენ, რომ ინდივინდუალურობისა და ინტელექტისგან განსხვავებით ამ კომპეტენციის ფორმირება შესაძლებელია სწავლისა და განვითარების გზით. კომპეტენციები განისაზღვრება, როგორც ადამიანის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც მიზეზობრივად არის დაკავშირებული სამუშაოს წარმატებით შესრულებასთან. მაკელანდის აზრით კომპეტენციაში შედის: 1. მოტივები; 2. თვისებები; 3. ღირებულებები; 4. ცოდნის შინაარსი; 5. კოგნიტური და ქცევითი უნარები - ნებისმიერი ინდივინდუალური თავისებურება, რომელიც შეიძლება გაიზომოს ან დაითვალოს. ითვლება, რომ ამ თავისებურებების მიხედვით შესაძლებელია ადამიანთა დიფერენცირებაც.

1996 წლიდან გერმანულმა განათლების სისტემამ უპირატესობა მიანიჭა მოქმედების კომპეტენციას. პროფესიული სწავლების ყოველი წლისთვის ადგენენ კომპეტენციების სტანდარტულ ტიპოლოგიას. მასში შედის: 1. საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციები; 2. ზოგადი კოგნიტური კომპეტენციები; 3. პიროვნული კომპეტენციები; 4 სოციალური კომპეტენციები.

საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციები აღწერს ადამიანის მზადყოფნას და უნარს საგნობრივი ცოდნის ჩვევების საფუძველზე შეასრულოს ამოცანები და მიზნების შესაბამისად თანმიმდევრულად შეაფასოს შედეგები.

ზოგად კოგნიტურ კომპეტენციებში გულისხმობენ ადამიანის უნარს, იფიქროს და იმოქმედოს, იმ მეთოდით, რომელიც ხელს შეუწყობს პრობლემის მოგვარებას. ამდენად, საგნობრივი კომპეტენცია მოიცავს როგორც ფუნქციონალურ, ისე შემეცნებით ასპექტებს.

პიროვნული კომპეტენციები აღწერს ადამიანის მზაობას და უნარს, გაიგოს გაანალიზოს და შეაფასოს განვითარების შესაძლო გზები, მოთხოვნები და შეზღუდვები; პირად, სამუშაო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში განავითაროს საკუთარი უნარები, აირჩიოს და განახორციელოს ცხოვრებისეული გეგმები. ეს კომპეტენცია მოიცავს ისეთ პიროვნულ მახასიათებლებს, როგორიცაა: დამოუკიდებლობა, კრიტიკული მსჯელობის უნარები, თვითდაჯერებულობა, საიმედოობა, პასუხისმგებლობა და ვალდებულების გრძნობა პროფესიონალურ და მორალურ ღირებულებებთან კავშირში.

ამდენად, პიროვნული კომპეტენცია კოგნიტურ და სოციალურ კომპეტენციებსაც მოიცავს.

სოციალური კომპეტენციები აღწერს ადამიანის მზაობას, უნარს დაამყაროს და განამტკიცოს ურთიერთობები, განსაზღვროს და დაინახოს ურთიერთობაში როგორც გარკვეული სარგებელი, ისე საშიშროება, ითანამშრომლოს სხვებთან რაციონალური და ისეთი წესებით, რომლებიც აძლიერებს სოლიდარობის და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობებს.

ავსტრიაში გამოყოფენ: კოგნიტურ, სოციალურ და პიროვნულ კომპეტენციებს. კოგნიტურ კომპეტენციებად მიიჩნევა: ცოდნა, უნარები და შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც კონკრეტული, ასევე სხვა, შერეული ტიპის საქმიანობისას. ითვლება, რომ სამუშაო ადგილის უსაფრთხოების დაცვა და მენეჯმენტის სწორად წარმართვა პირდაპირ კავშირშია თეორიულ აზროვნებასა და პროფესიონალიზმთან.

კომპეტენტურობისა და კომპეტენციების საკითხი რუსეთშიც აქტუალურია (Мачехина, О. Н., & Шолохова, М. А. (2005). ისინი გამოყოფენ სხვადასხვა კომპეტენციებს: ესენია სწავლის კომპეტენცია, კომუნიკაციური კომპეტენცია, ინფორმაციული კომპეტენცია, სოციალური კომპეტენცია. ითვლება, რომ სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში ეს კომპეტენციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სოციალური კომპეტენცია განისაზღვრება, როგორც ინდივინდუალური ხასიათის, ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების კომპლექსი, რომელიც განსაზღვრავს ინდივინდისა და სოციუმის ურთიერთობის დონეს, საშუალებას აძლევს მას, სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. სოციალური კომპეტენცია განიხილება სოციალურ როლთან მჭიდრო კავშირში, მაგრამ როლზე მეტია, რადგან იგი აუცილებლად გულისხმობს როლისადმი ინდივინდუალურ, გამორჩეულ მიდგომას და გამომჟღავნებას. როლები არა მარტო თამაშდება, არამედ იწერება კიდეც. მათი გადაწერაც შესაძლებელია, ამიტომ სოციალური კომპეტენციის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს ამა თუ იმ ადამიანის გამოცდილებაც ემატება. სოციალური კომპეტენციის ნაწილადაა მიჩნეული ისეთი ფსიქოლოგიური კრიტერიუმები, როგორებიცაა: ტოლერანტობა, ადაპტურობა, თვითდაჯერებულობა, წარმატებაზე ორიენტირებულობა, არაკონფლიქტურობა.

ამრიგად, ცნება „კომპეტენტურობა“, როგორც გარკვეულ კომპეტენციათა ერთობლიობა შეიცავს რთულ და მრავალპლანიან შინაარსს, რომელიც აერთიანებს საქმიან-პრაქტიკულ სოციალურ, ფიქოლოგიურ და პიროვნების სხვა მახასიათებლებს; მახასიათებელთა დიდი უმრავლესობა შეძენილია;

მიიღწევა დასწავლით; წარმოადგენს გამოცდილების ეფექტებს, რომლებიც საბოლოო ჯამში განაპირობებენ სამუშაოს შესრულების ეფექტიანობას.

გამომდინარე იქიდან, რომ სამხედრო სამსახური სამუშაოს ერთერთი სახეა, მისი შესრულების ეფექტიანობაც პროფესიულ ცოდნასთან ერთად, ოფიცრის გარკვეულ სოციალურ კომპეტენციებსაც გულისხმობს, ანუ იმ უნარ-ჩვევებისა და პიროვნული მახასიათებელების ერთობლიობას, რაც მას შეძენილი და განმტკიცებული აქვს სამხედრო განათლების მიღების პროცესში.

ქვეყნის დამოუკიდებლობის პირობებში სამხედრო განათლების სისტემამ ცვლილება განიცადა. შეიცვალა სამხედრო განათლების საბაზო პრინციპები. საკუთარი უსაფრთხოებისთვის, თავდაცვაზე ორიენტირებული მომზადება, ჩაანაცვლა დემოკრატიის და გლობალური უსაფრთხოებისთვის პარტნიორულ პრინციპებზე დაფუძნებულმა სამხედრო განათლების სისტემამ. უსაფრთხოების მიღწევის ეს ორი განსხვავებული სტრატეგია/ან ფოკუსი, მშვიდობისა და თავდაცვიანობის მიღწევის ორი განსხვავებული კონცეპტუალური ხედვაა. რომელიც, აგრეთვე, ორ განსხვავებულ სამხედრო განათლების სისტემის სახეს იძენს: მოდული, რომელიც ოფიცრის კვალიფიკაციაში აერთიანებს კომპეტენციებს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, პარტნიორების ინტერესებთან საკუთარის დაახლოება-თავსებადობით (უსაფრთხოების საერთო ქოლგის ქვეშ) უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება. და მოდული, რომელიც მიმართულია ისეთი კომპეტენციების ფორმირებაზე, რაც ოფიცრებს შესაძლებლობას მისცემს უსაფრთხოების ამოცანების უზრუნველყოფისთვის მხოლოდ საკუთარი ინტერესებით იხელმძღვანელონ.

სამხედრო განათლება ან სამხედრო მომზადება, როგორც აღნიშნული გვქონდა, ორი მოდულის ე.წ. ძველის (თავდაცვაზე ორიენტირებულის) და ,,ახალის" (თანამშრომლობაზე ორიენტირებული) მიხედვით წარმოებდა. შესაბამისად, ამ ორი სისტემის ფარგლებში მომზადებული ოფიცრების კომპეტენციებიც ამ ორი აქცენტის შესაბამისად, განსხვავებული უნდა იყოს. განსაკუთრებით, ოფიცრების სოციალური კომპეტენციის ნაწილში, რომლის არსებით მახასიათებელს ოფიცრის პიროვნული თავისებურებები შეადგენს. გამომდინარე აქედან კვლევის მიზნად ვაქციეთ განსხვავებული სამხედრო განათლების სისტემაში მომზადებული ოფიცრების **სოციალური კომპეტენციის განმსაზღვრელი პიროვნულ დისპოზიციების ფორმირებაზე** განათლების სისტემის შესაძლო გავლენის ეფექტების, აგრეთვე, გავლენის ზომისა და საზღვრების შესწავლა, აღწერა და ანალიზი.

მიზნიდან გამომდინარე, კვლევის **ამოცანებად** დაისახა:

- განსხვავებულ სამხედრო განათლების სისტემაში მომზადებული მოქმედი ოფიცერების პიროვნული თავისებურებების და არსებითი მახასიათებლების გამოვლენა-დადგენა;
- განსხვავებულ სამხედრო განათლების სისტემაში მომზადებული მოქმედი ოფიცერების მოტივაციურ-ქცევითი სტრუქტურის იდენტიფიცირება და შეფასება;
- განსხვავებულ სამხედრო განათლების სისტემაში მომზადებული მოქმედი ოფიცერების პიროვნული თვისებებისა და მოტივაციურ-ქცევითი სტრუქტურის შედარებითი ანალიზი და არსებითი მახსიათებლების გამოვლენა-დადგენა.

ქცევასთან მიმართებაში, პიროვნული თავისებურებების პრედიქტორული ღირებულება, განაპირობებს კვლევის ორი მიმართულებით **აქტუალობას**: პირველი, უკავშირდება თითოეული სისტემის მიერ მომზადებული ოფიცრების საორგანიზაციო ქცევის პროგნოზირებების შესაძლებლობას. მეორე - თვითონ სამხედრო სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის შეფასებას, რასაც თეორიულთან ერთად, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს რეფორმირების პროცესში მყოფი სამხედრო განათლების სისტემის მენეჯმენტისთვის.

ვინაიდან, ტრადიციული და თანამედროვე სამხედრო განათლების სისტემებს აქვთ განსხვავებული საბაზო პრინციპები (კონკურენცია და თანამშრომლობა), რაც ოფიცრის ქცევის განსხვავებულ მოტივაციებს ქმნის და შესრულებისთვის საჭიროებს განსხვავებულ უნარ-ჩვევებს, სავარაუდოა, რომ აღნიშნული სისტემების ფარგლებში მომზადებული ოფიცრები ერთმანეთისგან უნდა განსხვავდებოდნენ პიროვნული და ქცევით-მოტივაციური სტრუქტურით. ამ დაშვებიდან გამომდინარეობს კვლევის **ჰიპოთეზა:** თუ ოფიცერს, გლობალური უსაფრთხოებისა და დემოკრატიის დაცვისთვის პარტნიორობაზე დაფუძნებული სამხედრო განათლება აქვს მიღებული, მაშინ მისი პიროვნული და ქცევის მოტივაციური სტრუქტურა განსხვავებული იქნება, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სამხედრო განათლების სისტემაში მომზადებული ოფიცრის პიროვნული და მოტივაციური სტრუქტურისგან. კერძოდ, პირველ შემთხვევაში, პიროვნულ-მოტივაციური სტრუქტურა თანამშრომლობაზე ორიენტირებული იქნება, მეორე შემთხვევაში - კონკურენციაზე ორიენტირებული.

კვლევის ჰიპოთეზიდან გამომდინარე კვლევის **ობიექტია**: თვითშეფასება, ღირებულებები და ღირებულებების მიხედვით მოტივაციური ტიპები, ტოლერანტობა, ბედნიერების სუბიექტური შეფასება, მიღწევის მოტივაცია და რისკისკენ მიდრეკილება.

კვლევის **საგანი**: პარტნიორობასა და კონკურენციაზე დაფუძნებული განათლების სისტემის გავლენები ოფიცერთა თვითშეფასებაზე, ღირებულებათა სისტემაზე, ტოლერანტობაზე, ბედნიერების განცდაზე, მიღწევის მოტივაციასა და რისკისკენ მიდრეკილებაზე.

კვლევაში დამოუკიდებელ ცვლადებს წარმოადგენს: ოფიცერთა განსხვავებული (პარტნიორობასა და კონკურენციაზე დაფუძნებული) განათლების სისტემაში მიღებული სამხედრო მომზადება;

დამოკიდებულ ცვლადებს - თვითშეფასება, ღირებულებებათა სისტემა, ბედნიერების სუბიექტური განცდა/შეფასება, ტოლერანტობა, მიღწევის მოტივაცია და რისკისკენ მიდრეკილება.

საკვლევ ჯგუფებს - განათლების განსხვავებულ სისიტემაში მომზადებული მოქმედი ოფიცრების ორი ჯგუფი (30 ტრადიციული (ძველი) სისტემის ფარგლებში მომზადებული ოფიცრის და 30 ახალი განათლების სისტემის ფარგლებში მომზადებული ოფიცრების ჯგუფი.

საკონტროლო ჯგუფი - უმაღლესი განათლების მქონე 30 სამოქალაქო პირით დაკომპლექტებული ჯგუფი.

ნაშრომის ორიგინალობა (ღირებულება): ქართულ სინამდვილეში, ოფიცერთა პიროვნულ და ქცევით მოტივაციურ სტრუქტურაზე (სოციალურ კომპეტენციაზე) ძველი და ახალი სამხედრო განათლების გავლენის ეფექტების შედარებით ანალიზსა და შეფასებაზე მიმართული ემპირიული კვლევების სიახლე.

კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია

საკვლევი ცვლადების იდენტიფიცირებისა და შეფასებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტები:

1. მ. ბალიაშვილის თვითშეფასების საკვლევი შეფასების სკალები. ინსტრუმენტი 50 სუბსკალისგან შედგება და იკვლევს თვითშეფასების განმსაზღვრელ ათ პარამეტრს: 1. სოციალურ რეპუტაციას; 2. ზოგად გონიერებას; 3. ზოგადი შთაბეჭდილებას; 4. ტემპერამენტს; 5. ნებისყოფას; 6. ზნეობას; 7. ფიზიკურ სტატუსსა და ჯანმრთელობას; 8.ზრდილობას; 9. გრძნობებს; 10. ფიზიკურ სილამაზესა და გარეგნობას.

2. ბედნიერების განცდის შესაფასებლად, ფორდისის ბედნიერების სკალის მოდიფიცირებული 1 შეკითხვიანი ქართულ პოპულაციაზე ადაპტირებული ვარიანტი. (პაჭკორია, 2014) კითხვა ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: "საერთო ჯამში შეგიძლიათ თუ არა თქვათ, რომ ხართ... ძალიან ბედნიერი; საკმაოდ ბედნიერი; არც თუ ისე ბედნიერი; უფრო უბედური.

3. ტოლერანტობის ზოგდარუსის განსხვავებული ჯგუფების მიმართ შემწყნარებლობის სკალა.

4. რისკის შესაფასებლად, შუბერტის რისკის გაწევის მზაობის შეფასების კითხვარი («PSK»)

5. მიღწევის შესაფასებლად მიღწევის, 17 შეკითხვიანი კითხვარი

ინტერვიუ ტარდებოდა თითოეულ ცდისპირთან ინდივიდუალურად. რესპონდენტების მონაწილეობა გამოკითხვაში ნებაყოფლობითი იყო.

კვლევის შედეგები სტატისტიკურად დამუშავდა SPSS-ის საშუალებით, განსხვავების სანდოობები შემოწმდა t ტესტის საშუალებით. ცხრილები და დიაგრამები აწყობილია EXSL-ში.

მიღებული შედეგები და დასკვნები

მიღწევა

მიღწევის ტესტის შედეგების მიხედვით, საკვლევი და საკონტროლო ჯგუფები არ განსხვავდებიან (მონაცემები წარმოდგენილია ცხრილის სახით):

მიღწევის მაჩვენებლები:	ახალი ოფიცრები	ძველი ოფიცრები	სამოქალაქო პირები
საშუალო მაჩვენებელი	12,6	12,3	12,6
მინიმუმი	8	9	8
მაქსიმუმი	17	17	17
სტანდარტული გადახრა	2,2	1,9	2,4

ბედნიერების განცდა და ტოლერანტობა

ანალიზის შედეგები დიაგრამა #1 სახით არის წარმოდგენილი.

- ბედნიერების განცდის მიხედვით, თავს ყველაზე ბედნიერად სამოქალაქო პირები განიცდიან. ყველაზე ,,უბედურად" - თანამედროვე განათლების სისტემაში მომზადებული ოფიცრების ჯგუფი.
- ტოლერანტობის ნიშნით ყველაზე ტოლერანტულად ხასიათდება სამოქალაქო პირების ჯგუფი, ყველაზე ნაკლებ ტოლერანტულად - ძველი განათლების მქონე სამხედრო ოფიცრები.
- ზოგადი ტოლერანტობის შესაფასებლად გამოყენებული ცალკეული ჯგუფებისადმი დამოკიდებულებების დიფერენცირებული განხილვა აჩვენებს, რომ:
- სხვა რასის წარმომადგენლების მიმართ, ყველაზე შემწყნარებელი ახალი ოფიცრების ჯგუფია, ყველაზე შეუწყნარებელი - ძველი ოფიცრობის კორპუსი;

- შიდსით ინფიცირებულის მიმართ ყველაზე შემწყნარებელია ძველი ოფიცრები;
- უცხოელი მუშახელის მიმართ, სამხედრო პირები, სამოქალაქო პირებისგან განსხვავებით, თანაბრად შეუწყნარებელნი არიან;
- ჰომოსექსუალები ყველაზე მიუღებელნი ძველი ოფიცრების, ხოლო ყველაზე მისაღებნი სამოქალაქო პირებისთვის არიან;
- სხვა აღმსარებლობის მქონეების მიმართ ყველაზე შემწყნარებლობას ახალი ოფიცრები, ყველაზე შეუწყნარებლობას კი ძველი ოფიცრები ავლენენ;
- ლოთისადმი ოფიცერთა კოპუსი ერთნაირად მიუღებლობას ავლენენ, სამოქალაქო პირებისგან განსხვავებით;
- ქორწინების გარეშე მყოფი წყვილისადმი სამივე ჯგუფი თანაბრად შემწყნარებელია;
- ეთნიკური უმცირესობის მიმართ ზოგადად სამივე ჯგუფი შემწყნარებელია. თუმცა მათ მიმართ ყველაზე ტოლერანტული ძველი ოფიცერთა კორპუსია;
- ნარკომანის მიმართ სამივე ჯგუფი არატოლერანტულია, თუმცა სამოქალაქო პირებთან შედარებით სამხედრო პირები კიდევ უფრო შეუწყნარებელნი.

დიაგრამა #1. საკვლევ ჯგუფებში ბედნიერების განცდის და ტოლერანტობის შედეგები



<u>შეჯამება:</u> ტოლერანტობის ნიშნით ძველი და ახალი ოფიცერთა შედარება აჩვენებს, რომ ახალი ოფიცრები უფრო მეტად შემწყნარებლები არიან განსხვავებული რასის, უცხოელი მუშახელის, აღმსარებლობისა და ჰომოსექსუალების მიმართ, ხოლო ძველი ოფიცრები - შიდსით ინფიცირებულების, ლოთებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ.

<u>**რისკისკენ მიდრეკილების კვლევის მონაცემები**</u>

რისკისკენ მიდრეკილების მაჩვენებლების მიხედვით შედარება აჩვენებს, ყველაზე რისკიანები სამოქალაქო პირები არიან, ხოლო ახალი ოფიცრები ყველაზე ნაკლებად მიდრეკილი რისკიანი ქცევებისადმი (იხ. დიაგრამა #2).



დიაგრამა #2 ასახავს სახიფათო სიტუაციების მიხედვით სამივე ჯგუფის რისკისადმი მიდრეკილებებს დიფერენცირებულად. მონაცემების მიხედვით:

➢ ახალი ოფიცრები, ძველებთან შედარებით მეტ რისკიანობას იჩენენ: უძილო ღამის შემდეგ მუშაობისა და უბილეთოდ და უფულოდ მგზავრობის სიტუაციებისადმი, ყველაზე მეტ სიფრთხილეს კი - პარაშუტიდან ჩამოხტომის და ალკოჰოლის მიღების შემდგომ საჭესთან დაჯდომის სიტუაციების მიმართ.

➢ ძველი ოფიცრების კორპუსი, ახალ ოფიცრებთან შედარებით საშიშ ექსპედიციაში წასვლა, აფრიანი ნავის მართვა, პარაშუტიდან ხტომა და მოძრავი ვაგონიდან გადმოხტომის სიტუაციებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ოფიცრები თითქმის ყველა სიტუაციაში უფრო მეტად არიან მიდრეკილნი რისკისკენ, ვიდრე ახალი ოფიცრები, გარდა სიჩქარის გადაჭარბების, საშიშ დამნაშავესთან პირისპირი შეხვედრის, ცივ მდინარეში შიშველი შესვლის, ნასვამი ველოსიპედის მართვის, სიმაღლიდან ხტომისა და ლიფტით მგზავრობის სიტუაციებისა.



<u>**თვითშეფასების კვლევის მონაცემები**</u>

სამივე ჯგუფის ზოგადი თვითშეფასების მაჩვენებლები წარმოდგენილია დიაგრამა #3-ს სახით, ხოლო კომპონენტების მიხედვით მათი შედარებითი ანალიზი დიაგრამა 4-ის სახით.

აღსანიშნავია, რომ სამივე ჯგუფი მაღალი თვითშეფასების მატარებელია. მათგან, კი გამორჩეულად მაღალი თვითშეფასების მქონეა ახალი ოფიცრების ჯგუფი. ყველაზე დაბალის - ძველი ოფიცრები.

➢ ახალ ოფიცრებს ზომიერი თვითშეფასება მხოლოდ გარეგნობის შეფასებაში აღენიშნებათ. ყველა სხვა პარამეტრის მიხედვით მათი თვითშეფასება ზომიერზე მაღალია. განსაკუთრებით თვითშეფასების ისეთ კომპონენტებში, როგორებიცაა: ფიზიკური სტატუსი და ჯანმრთელობა, გონიერება, ზრდილობა და ნებისყოფა.

➢ ძველი ოფიცრების თვითშეფასების მახასიათებელია: ზომიერ საზღვრებში მოქცეულია ყველა კომპონენტი, გარდა ზნეობის, ზრდილობის, გონიერებისა და გრძნობების კომპონენტებში მაღალი თვითშეფასებისა.

დიაგრამა #4



შედეგები

კვლევის შედეგად,

✓ გამოვლენილი და დადგენილია განსხვავებულ სამხედრო განათლების სისტემაში მომზადებული მოქმედი ოფიცერების პიროვნული თავისებურებები და სპეციფიკური მახასიათებლები თვითშეფასების, რისკისკენ მიდრეკილების, ბედნიერების განცდისა და ტოლერანტობის ნიშნით. კერძოდ, მაღალი თვითშეფასება და ტოლერანტობის, დაბალი რისკისკენ მიდრეკილებისა და ბედნიერების განცდა ახალი ოფიცრების თავისებურებად იკვეთება. ზომიერების საზღვრებში მოქცეული თვითშეფასება, შედარებით ნაკლები ტოლერანტობა, აგრეთვე შედარებით მაღალი რისკისკენ მიდრეკილება და ბედნიერად თავის განცდა ძველი ოფიცრების მახასიათებლებად;

✓ მიღწევის მოტივაციის თვალსაზრისით, ახალ და ძველ ოფიცრებს შორის განსხვავება არ არის. ორივე ჯგუფი მიღწევაზე ორიენტაციით ხასიათდება.

დასკვნა

კვლევის ჰიპოთეზა, რომ გლობალური უსაფრთხოებისა და დემოკრატიის დაცვისთვის პარტნიორობაზე დაფუძნებული სამხედრო განათლების სისტემაში მომზადებული ოფიცრის პიროვნული და ქცევის მოტივაციური სტრუქტურა განსხვავებული უნდა ყოფილიყო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დაფუძნებული სამხედრო განათლების სისტემაში მომზადებული ოფიცრის პიროვნული და მოტივაციური სტრუქტურისგან, კვლევის შედეგებით დასტურდება, მაგრამ, რა ზომისა და რამხელაა ამ განსხვავებაში განათლების სისტემის წილი, ეს, შემდგომ, უფრო ფართომასშტაბიანმა კვლევამ უნდა გადაწყვიტოს.

ბიბლიოგრაფია:

ბალიაშვილი, მ. (1980). *სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა.* თბილისი: მეცნიერება.

პაჭკორია, მ. (2014). *ბედნიერების კვლევის ტესტის ადაპტირება: სამაგისტრო ნაშრომი.* სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჩრკვიანი, დ. (2001). *ფსიქოლოგია ინდუსტრიულ ორგანიზაციებში.* თბილისი.

ჭავჭავაძე, ნ., & ჩიგოგიძე, ქ. (2008). კომპეტენციის ფსიქოლოგიური რაობის შესახებ. *ფსიქოლოგიის მაცნე* (1), 189-192.

ჯაფარიძე, მ. (რედ.). (2005). *განათლების ფსიქოლოგია: დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის.* თბილისი.

Delamare Le Deist, F., & Winterton, J. (2005). *Competency* . France Business School of Toulouse.

Raven, D. (2002). *Competency in the Modern Society, Announcement, Development Realization.* Moscow: Cognito-Centre.
Аронсон, Э., Уилсон, Т., & Эйкерт, Р. (2002). *Социалъная Психологиа.* Москва.
Мачехина, О. Н., & Шолохова, М. А. (2005). *Социалъная компетенция старшекласников.* Москва.
Хекхаузен, Х. (1986). *Мотивация и деятельность: В 2-х тт.* Москва: Педагогика.

Nanuli (Nana) Tskhvedadze
Sokhumi State University
Beka Toliashvili
Gori State Teaching University

PERSONAL DISPOSITIONS THAT DEFINE THE SOCIAL COMPETENCE OF THE OFFICERS WHO ARE TRAINED IN A DIFFERENT SYSTEM OF MILITARY EDUCATION

RESUME

The work deals with the results of empirical research, the findings of the personal characteristics (dispositions) that determine social competence in operational military officers, such as self-esteem, tolerance, the sense of happiness, and risk for risk in the old / traditional, modern and / or reformed military education.

High self-esteem and tolerance as a result of research and the feeling of low-risk prone and happiness have been identified as the peculiarities of new officers. Moderation within borders of self-esteem, compared with less tolerance, as well as relatively high risk propensity and his feeling happy - the old officers' characteristics.

From the diagnostic values of each individual discharge, the conclusion is that in the view of adaptive functioning, officers with traditional military education are characterized by higher social competence, and therefore, with a more adaptive potential or resource group. Officers with old military education are considered. But what is the reason for this difference, altered basic principles of military training or the different age of officers, to find out what else is a new research task.

Keywords: Competence, Social Competence, Military Education, Tolerance, Happiness, Achievement, Self-Esteem, Self-Efficacy, Risk, Adaptability.